

1965/4



საქართველოს
რესპუბლიკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა ფილოსოფია

— 1965 —

6

მნათობი



საქართველოს მწერთა კავშირის მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე

№ 6

ივნისი, 1965 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გელაქიონ ტაბიძე — ლექსები	3
ოთარ ჩხეიძე — ევერნაქი, რომანი, გაგრძელება	13
ლადო სულაბერიძე — სამაისო ბალადა, ლექსი	39
ვახტანგ ჭავჭავაძე — ლექსები	40
თამაზ გოდერძიშვილი — ცვირადლე, მოთხრობა	41
შაღვა რეხვიაშვილი — ლექსები	50
სერგეი ანტონოვი — შემოდგომის შეხვედრები, მოთხრობა, თარგმანი მარტიამ ავია- შვილისა	51
თან-პოლ სარტრი — სიტყვები, თარგმანი ფრანგულიდან კოტე ჭავჭავაძისა და ვასტონ ბუაჩიძისა	60

კრიტიკა და მიხედობა

გიორგი დეონიძე — ტალანტის სიუჟე	99
გიორგი გაჩეჩილაძე — პოეტური ოსტატობა და თანამედროვეობის ტენდენციები	104
პეტრე შამაღვა — კაცო ეცეხლი და შამაღვა...	117
დ. მუსხელიშვილი — აკად. ნ. ბერძენიშვილი	120

ფაქტები, მოგონებანი


მიხეილ კვებელავა — ათასი ფუთი ბრალდება, გაგრძელება	132
--	-----

კუბლიკაცია

ნ. ნიკოლაძის წერილები აკაკისადმი, შენიშვნები და კომენტარები შალვა გოზალიშვილის	166
ლევან ასათიანი — უბის წიგნაქიდან	173

წიგნების მიმოხილვა

ბ. ხარანაული — მედღეი თანამგზავრი	182
ალ. დლონტი — დედის ლექსიკონი	184
ნ. კეჭელაძე — არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ ქართულ ენაზე	187
ე. კვიციანიშვილი — სხელთიანი ტრადიცია	189
შ. შათირიშვილი — გერმანული ლიტერატურის ქრესტომათია	191



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. უღენტო, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI-65 წ. ქალაქის ზომა 20×108. ანაწყობის ზომა
7¹/₄×12¹/₂ ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უი 03272. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 1581.

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

გადაჯიონე ზაბიძე გამოუქვეყნებელი ღმრთობიანი*

შ ე ხ ვ ე ღ რ ა

აღარ არის ის ქალები,
ის მღინარე, ის სანავე,
გზნებით აღარ ვიმსკვლელები
პირველ გაცნობისთანავე.

შინც ძველთან შედარებით
ცის და მიწის შეზავება,

მოგონების ნეტარებით
ჩემს გულს ენათესავება.

კვლავ მომესმის ეგ ხმა ტკბილი:
„დაქარ გრძნობით დაირასა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომავლებ მაგ ტკბილ ხმას!“

1911
სახეგრე

* * *

შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

საშინელი რამ იყო კარზე მათი მოდგომა,
გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა!

ო, ეს წელი გულს გლეჯდა, როგორც მიწას აფთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

მათ გზა ჰქონდათ ღზენისა და მე კი დაზაფრული,
ზამთარი, შემოდგომა, ზაფხული, გაზაფხული.

1951

გ ა ზ ა ფ ხ უ ღ რ ა

რისთვის ტოკავს ხშირი შტერი,
ან ნაკადი ან ჩანჩქერი?
იმიტომ რომ რაც კი სძულდა,
სულის სევდა, ფიქრთა მტვერი,
მოიცილა... გაზაფხულდა!

1911

* საქართველოს სსრ მედიკურებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებამ გამოსაცემად მოამზადა სახალხო პოეტის ვალაკიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეული, რომელსაც მკითხველს საზოგადოება 1965 წლის მეორე ნახევარსა და 1966 წლის პირველ ნახევარში მიიღებს.

გვემძღვთ გ. ტაბიძის გამოუქვეყნებელ ლექსებს, რომელთა პუბლიკაცია მოამზადეს ი. ლორთქიფანიძემ, ლ. სანიამმა, რ. კუსრაშვილმა, ე. შარაშენიძემ და ლ. კრელაშვილმა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თრთიან, როგორც მზის
ანარეკლები,
ძველი ქართული
ენის ძეგლები,
გულდამშვიდების
თუ აძგერების
ხმა ძველთა-ძველი
ხელნაწერების.
ბევრს კი ვერ ვპოვებთ
ხელნაწერებში

დაკარგულთ ეამთა
სიავის გამო.
რამდენი მწარე
ღამის მთევია,
რასაც ჩვენამდის
მოულწევიან.
არის მზიური
ნამის თოვება,
რაც დღესდღეობით
მოგვეპოვება.

1950

* * *

მინაზონ ქალს — ოფელიას

გმართებს ტირილი და ცრემლითა
ფრქვევა,
სტიროდღე ადამ, სტიროდღე ევა.

დასწვით, დასდავეთ ოცნების ფერფლი,
ბოროტი გველის მსხვერპლი ხარ,
მსხვერპლი!

სევდათ იცვალა თრთოლა ციების,
ღმერთი თარეშობს შურისძიების!

სტიროდღე ადამ, სტიროდღე ევა,
გმართებს ტირილი და ცრემლითა
ფრქვევა.

1911

* * *

დღეს ჩემი დღეა, დაბადების დღე.
მსურს ვიხალისო, მსურს მოვილხინო,
მომავალ ბედის სადღეგრძელებლად
მინდა, რომ ყანწით დავსცალო ღვინო.
მამ მომილოცეთ, რაღას უყურებთ?
ვარდ-ყვავილებით მომირთეთ ბინა,
წუხელის მე ამ დღეზე ვფიქრობდი,
ვერ მოვისვენე, არ დამეძინა.

ერთი დღე მაინც, ერთი დღე მაინც
მწარე ოცი წლის განმავლობაში
დამითმეთ, რომ მე ვიყო მეუფე
ამ განუსაზღვრელ მარტოობაში.
არაფინ მოდის? არავისა სურს,
რომ ვიხალისო, რომ მოვილხინო?...
ხა, ხა, ხა, ხა, ხა! დღესაც მარტო ვარ,
მაგრამ რას ვეძებ, მომეციო ღვინო!

1912

ჩანს ახლოა ქარიშხალი

ცა ღრუბლებით დაიბურა,
მზე მინელდა სხივმიქრალი,
ჩანს ახლოა აღელვება,
ჩანს ახლოა ქარიშხალი.
სიო არ ქრის, მაგრამ მაღლა
აშრიალდა ხის მწვერვალი,

ჩანს ახლოა აღელვება,
ჩანს ახლოა ქარიშხალი!
მძლედ დაჰქროლე, ქარიშხალო,
ააღელვე მთა და ბარი,
ეს სინემე მე გულს მიკლავს,
სხვა ძალა მსურს, სხვა სიზმარი.

1913

ე ლ ე გ ი ა



ქართველთა
წიგლმწერთა
კავშირის კავშირი

ლ. მ-ს

ბავშვმა დავდვარე ცრემლი ღვარული,
ბევრის წუხილით და დანანებით...
აჰა, ის ქალი და სიყვარული
მოვიდა, მაგრამ დაგვიანებით.

გულში ყვაილი იყო დარღული.
ხმა მეგობრობის დღეთა მზიანთა
და მეგობარი გადაკარგული
მოვიდა, მაგრამ დაგვიანდა.

ეჰ, მეგობარო, ეს დრო აფთარო
შენ საუკუნის სელას მიანებე,
ეხლა გვიანი არის ზამთარი
და ქარი ტირის დაგვიანებით.

იმედი ხდება ნათილისმარი,
მას გარინდება ბედმა მიანდო,
რომ ყველაფერი არის სიზმარი
და რომ ყველაფერს დაგვიანდა.

1923

ფ ღ ვ ი ს პ ი რ ს დ ა ს ა ხ ლ ე გ უ ლ ხ ა რ თ

ზღვისპირს დასახლებულხართ,
შვებით ვით არ ვიქნები,
რომ გავიგე: თანა გაქვთ
ყველა ჩემი წიგნები.

თქვენ ჩემს საღამოებზე
სხვა, გულწრფელი გაგებით

მოდიდით ყოველთვის
თქვენი ამხანაგებით.

სად არიან ისინი?
თუმც, რა'საკვირველია,
მას აქეთ უმძაფრესი
ოცდაათი წელია.

1930

ს ხ ვ ა ფ ღ ვ ა ს ა დ ა ა ა ს ე თ ი ?

რად ვეგო სხვას ფიანდაზად?
არის ქართული ანდაზა:
თურაშაულის პატრონი
ტყეში ეძებდა პანტასა.

სხვა სიღამაზე სადაა,
სხვა ზღვა სადაა ასეთი,
ამიტომ მიყვარს ღამაში
და მარად მხნე აფხაზეთი.

1930

მ ყ ი ნ ვ ა რ ი

ლიტერატურას ბევრი ტურისტი
ახლავს გვიანი,
ზოგი კუბისტი და ფეტურისტი,
ზოგიც ჭკვიანი.
ზოგი სიზმრებში არის გართული
როგორც ნიბლია,
ნატვრაა ზოგის მხოლოდ ქართული
სტილის ბიბლია.

ზოგს მყინვარზედაც უახლოესი
აქვს ტალახი.
რომ იქ იპოვოს ავეროესი
ქრისტე, ალლახი.
იქ ეგულება მას მონასტერიც,
მუხლმოდრეკილი
თავის უამრავ ცოდვებს დასტირის
დრო-განდევილი.

1930



საქართველოს
წერაწერის
კავშირების
დაცემის
კავშირები

ქვეყანაზე არის სიმი,
სხვა სიმებზე უფრო რთული:
სიმღერებში გვხვდება ქალი,
აფხაზურად თავმორთული.

ქვეყანაზე არის სიმი,
ხიმთაგან არ გამოორთული,

უკვდავია მაინც ქალი,
აფხაზურად თავმორთული.

მიყვარს ოდა აფხაზური,
ზედ შავ ზღვაზე წამოდგმული:
ზღვას გაჰყურებს ეხლა ქალი,
აფხაზურად თავმორთული.

1946

გიგზავნი ამ წიგნს.
ვათავდა ომი.
ამ წიგნში ოდნავ აისახა
ის მძაფრი ხანა,

ის მწველი ხანა,
როს სისხლს ღვრიდა
ჩვენი ქვეყანა.
ვათავდა ომი.

1947

საკობდიშო ლექსი იმის გამო, რომ ვერ ვესწრებო ყაზგევის დღეს

ყაზგევის დღეებს, მზიან დღეებს რომ ვერ ვესწრებო,
მსაყვედურობენ ხეივნები და ორკესტრები.

ხევის დიდებულ ბეთხოვენის გზაა დღეობის,
ჩამოკრეს ზარი ახალი მთის, ახალ ხეობის!

აივებოდა ეს მიდამო, მე ხომ ვიცოდი,
მრავალთ-მრავალი მაყვალათი და ელისოთი.

1948. 26 სექტემბერი

გარიკა გარათაშვილს

მადლობელი ვარ
თქვენი, გარიკა,
როს ხანა მქონდა
ყოფნა-არყოფნის,

თქვენმა გულწრფელმა
ხმამ შემარიგა
აქიბევრ რამესთან...
სიტყვა არ მყოფნის.

1951 17 იანვარი

ერთი ბალადელი ქალი

ხმაურობდა, მჩქეფარებდა,
მღელვარებდა ხანის წყალი,

შენ იღეჭი ზვირთთა კიდეს,
„ერთი ბალადელი ქალი“.

1951



აგერ კიდეც ცეცხლამდის, იმ ცეცხლოვან დაღამდის,
 ხავერდოვან არეზე რაც არ უნდა დაღამდეს,
 მიმოცურავს ტალღები და აფრების ამარა,
 ოცნებათა მგრგვინაეთა მოშფოთარებს კამარა
 იქ, სად ერთი სახლი ღვას, სადაც ძველი ცხუმია,
 სანაპირო მზიური თითქო აბრეშუმია.

1955

მტკვარს ვერის პირად
 ზე დაჰყურებდა,
 როს მას თიბათვის
 მზე ახურებდა,
 ზეობებიდან
 წამოსულ ნიავს
 ის თავადივით
 იმსახურებდა.

წარვიდა ჟრჟოლა
 იმ ნიავქარის,
 სხვაგვარად ისმის
 დუღუნი მტკვარის.

ვერის ხილთან რომ
 მტკვარს დაჰყურებდა,
 იყო ერთი ზე
 და აღარ არის.

იმ ადგილს ბუნჭი
 სხვაგვარი დარგეს,
 ზიდი ასწიეს,
 ტევრი მოქარგეს,
 და სანაპირო
 ულამაზესი
 დასცქერის ახალ
 მდინარის სარკეს.

1955 26 სექტემბერი,
 იუნის ბაღი

მინდვრად იდგა
 ერთი ზვინი,
 დიდი ზვინი,
 თივის ზვინი!
 მალლა ციდან
 თეთრი ნისლი
 თავზე ადგა
 ვით გვირგვინი.
 ვიწვე ზვინზე,
 იყო ზვინი;
 დიდი ზვინი,
 თივის ზვინი,
 მალლა ციდან

მთვარის დისკო
 ქანაობდა,
 ვით გვირგვინი.
 დაიშალა
 იგი ზვინი,
 დიდი ზვინი,
 თივის ზვინი;
 მალლა ცაზე
 თეთრი ნისლი
 დაიშალა,
 ვით გვირგვინი.

1934

P. S.

გულო ჩემო მღელვარევე,
 სულო ჩემო მყვიანო —

ერთი დღეც არ გქონიათ
 მშვიდი, უსატყვიარო.

შპანასკნელი მატარებელი



ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, —
რა საჭიროა ეხლა გოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა ან შეცოდება?

მატარებელი თვლემს, როგორც ლავა.
მატარებელი ხუთ წუთში გავა,

ვინც სხვებს აცილებს, ღრბით ჩამსკვლავსა
მატარებელი ხუთ წუთში გავა.

აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდეგ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!

ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი, —
ყოველქამს ეკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ნუთუ არვინ არს პოეტის მეტი?!

1937

* * *

ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში,
უდაბურებად იქცა სოფელი.
ნუ გაოცდები, რომ ასეთ დროში
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

შეიძლებოდა მქონოდა სული
კეთილი, ნაზი, როგორც დობილი,
მაგრამ ცხოვრება არაა სრული,
შეირე ბედისაც ვარ კმაყოფილი.

ვით შეიძლება იქნე ლამაზი
როცა სიტლანქე მოდის მგომობელი,
დროა, დაეტრავო ფიქრი ამაზე,
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

საშინელება, გესლი, სიბნელე,
დემონიური ცეცხლის პროფილი,
ბოროტო, სული ნუ გამიმნელე,
მადლობელი ვარ, ვარ კმაყოფილი.

* * *

სხვაგვარი იყო ეს თებერვალი,
გუშინ ვხედავდი: ერთი მწვერვალი
ცრემლს ვით იღენდა.
ო, ძლივს ვიკავებ

ცრემლთა ნიაღვარს;
ამხანაგებო, ძმებო! რაგვარი
დღე გავვითენდა...

თ ო ლ ი ა

აღარა ჩანან! ნისლი წყალმა სრულად
დაჰფარა,
ჩმელეთმა ზღვაზე მყუდროება
გადააპარა,

ისევ დაჰკვივის თეთრი თოლია,
ისევ ზვირთების წყნარი ფიქრი და
ჩოჩქოლია.

* * *

აცივდა... მალე მოვა ზამთარი.
ტყე დგას ლანდივით გარინდებულნი.
უკვე არ დაჰქრის ხეებში ქარი,
უსახლკარო და მიუსაფარი;
განელდა ცეცხლი, ჩაჰქრა ლამპარი,
საგაზაფხულო აღით ნთებულნი.

მალე დასცივდა თოვლი ლურჯ ცივას,
მალე დაიწყებს კვნესას აედარი
და ააჩქარებს ფოთლების ტრიალს;
ეხლა კი მთების იღუმალ ნიავს
მკენარი რტოები საფლავში მიაქვს...
მოდის ზამთარი, მოდის ზამთარი...

ზღვაზე გრიალებს გრიგალი



საქართველოს
წერაწერის
კავშირის
სამსახური

ზღვაზე გრიალებს გრიგალი,
ცაზე დაჰქრინან ელვები...
ო, ჩემო სამშობლო მხარევე,
მე შენ თავს შემოგვევლები!

თუ დრო ასეთი დადგება
არვის არა მაქვს რიდი მე,
შევძლებ მოვისწრო ან გულით...
ან კიდევ სხვაით რითიმე.

წარწერა ქვაზე

აი, ამ ქვასთან გავატარე ჩემი ბავშვობა,
მე საუბარი მიყვარდა მასთან.
ფაზისის მწუხრი

და ცისფერი მორიყრაცობა,
მე განვიცადე აი, ამ ქვასთან,
აი, ამ ქვასთან...

* * *

მორჩა! სტიქიის
თავდება რიგი,
ადამიანმა
დასძლია იგი.

ლამე მშვიდობის,
ლამე მშვიდობის,
თავდება ლამე
უიმედობის.

* * *

წელიწადის ნაზო დროო, ნადრევე შემოდგომა,
დაგშენია ყავისფერი და ყვითელი ველის კვდომა.
დაგშენია ლალისფერი, ალვისფერი, დღე ცისფერი,
ბალახის და ყვავილების საამური ჩალისფერი.
დაგჩენია ჩემი გულის ჩუმი ბნედა, შორი კდომა,
წელიწადის ნაზო დროო, ნადრევე შემოდგომა.

* * *

მთაწმინდიდან გაღმით
ვხედავ თოვლის ლივლივს,
ვგრძნობ ელექტრო ნაღმით
გადალეკილ ტფილისს.

როგორც ნაზი ხავსი,
გარდავლილი ავდრის,
გაზაფხულის მსგავსი
თოვლი მოდის ზამთრის.

ქადრებს მტკვარი ნამავს,
ვარსკვლავებიც ქედის
რუსთაველის ლამაზ
ხეივანში შედის.

ჰშვენის მელქიორის
ტფილისს თოვლის ტვირთი,
ქველ ზღუდეთა შორის
თრთის სიცოცხლის ზვირთი.

* * *

ჰაეროვანი ფრთა შემოდგომის,
შემდეგ ზამთრისა და გაზაფხულის
გაფრინდა, დროა უეცარ ტყდომის,
უკანასკნელი დღეა ზაფხულის.
ჯერ კიდევ არ ჩანს ფერები ლომის,

უკანასკნელი დღეა ზაფხულის,
ავვისტოს კრთომის, სისხვის, ნდომის
უკანასკნელი დღეა ზაფხულის,
უკანასკნელი დღეა ზაფხულის!

ცაცხლში შეყრილი წერილებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი არასდროს არ არის ძველი,
ის წელიწადი იქნება მნათი,

განვლილი წელი, განვლილი წელი,
ვით მალეძარი, რეკავს საათი!

• • •

აი ფანჯარა იმ სახლის
დაუვიწყარი ფანჯარა,
რომელთა დღეთა სიახლის
ჩემს გულში არა დარჩა რა.

სამუდმოდ ამიერიდან
დახურულია ის კარი.

საიდან მფენდა ნათელსა
ამომავალი ცისკარი.

გზებს მარტოობა ჰფენია,
ზღვას ხმა გოდებით დალია,
წინათ სასახლე მეგონა,
ეხლა უბრალო სახლია.

ლექსი, დეწერილი უამინდობაში

რა ამოდ ძლევას ფიქრობს
რღვევა ელვის სარკეთა.
ვერ დამძალავს, ვერ შემოიპყრობს
შიში, სასოწარკვეთა.

რა ამოდ გზას იახლებს,
რომ წაშალოს საზღვარი.
ვერაფერსაც ვერ დამაკლებს
ღვართქაფი, ნიაღვარი.

ამოდ ხმას ნიაღვარი
ქუხილად გადააქცევს,
ვერრავგვარი, ვერრავგვარი
გრიგალი ვერ წამაქცევს.

თუ საქვეყნოდ არამაო
ზრუნვა გულს არ შორდება,
მითხარ, ზღვაო, შავო ზღვაო,
რა არ გამოსწორდება!

• • •

მოლაღატის ცხარე ტაში
და ორპირას ნუგეში

მეზიზღება, როგორც მაშინ,
როგორც სიჭაბუკეში!

• • •

თუ წუთი შეგებდა
წყნარი, მონიო,
შენც ინახულე
მაშინ გონიო.

რომ სულ სხვად იქცეს
ცხოვრება შენი,
უპოეზიო,
უპარმონიო.

• • •

ამ ჩემს თმებში ვერცხლის ჩრდილებს
სიბერის დრო აქსოვს.
არ ვემდური სიყმაწვილეს,
ის ზომ კარგი მახსოვს.

სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოფილა თითქმის;

არყოფილზე საყვედური
არასდროს არ ითქმის.

და არც შიში გაორების
არ მიგრძენია მწარე...
მე ზომ მთელი გზა ცხოვრების
ასე გავატარე.



ტ რ ი ლ ე ტ ე ბ ი

მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი სანთლები,
ყვითელი ვარდების ლივლივი ელვარე,
ყვითელი ფოთლების ოცნება მღელვარე.
აგანთებ ჩირადღნებს და ლოცვად დაედგები,
ოსანნა, სად არის ყვითელი ვარდები?
რად ჩაქრა სიმღერად სიმღერა მჩქეფარე?
მე მომაქვს ყვითელი ვარდები ელვარე,
მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი სანთლები?

გ ა ლ ა შ რ ე ნ ა

სადაც არ უნდა ვიყო,
მე თან მიმყვება მწველი,
შენს კალთებს იქით, ლიბო,
გადაფენილი ველი.

და იმ ოცნების დემონს,
სად დასცილით, რაი უყავ;
მთვარით მოსილო, ჩემო,
უძვირფასესო მუხავ!

სადაც არ უნდა ვლიდეს
ეს საპაერო გემი,
მაინც ფაზისის კიდეს
უვლის ოცნება ჩემი.

ჩემი ბავშვობის ჩანგი
კვლავ ხმებს იგონებს გრძნეულს:
ო, ეს არ არის პანგი,
რომელიც კარგავს სხეულს.

სადაც მგზნებარე ბავშვი
ქარის პირისპირ ვჭროდი;
ველად, ყანაში, ნავში
მღვრდა ზვირთების შფოთი.

და იმ ნანგრევთა ხედვა,
განცდის ყოველმა წამმა,
სადაც მარხია დედა,
სადაც მარხია მამა.

• • •

დღეს მეზიზღება მყუდრო ნაპირი —
სხვა არაფერი;
ქარი მწყურია მე პირდაპირი —
სხვა არაფერი.
რომ ღამე იყოს შავი, მწყურია,

ერთი უბრალო ნავი მწყურია;
ო, ნავი, ნავი, ნავი მწყურია,
ერთიც ნიჩაბი —
სხვა არაფერი.

• • •

მე დამესიზმრა მწარე სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი;
უეცრად ჩაპქრა მზე ელვარებით და სიდიადით მოთილისმარი.
უსაზღვრო სივრცის სიმაღლეებში, სადაც მარადი იყო ბინდბუნდი,
უშუქოდ, ყოველ მიზანს გარეშე ხეტიალობდა ვარსკვლავთა გუნდი.

• • •

ვით, აღარ ვიცი,
როგორ გაპქრა
ის სიყვარული

ატმებისადმი,
ღვინისადმი,
ქალებისადმი!



სალამოთი ნაცნობ შარით
შენ სახლისკენ გასწევ ნელა
და შეკრთები ერთი წამით —
შენს ფანჯრებში ისევ ბნელა.

ყოველგვარი გაჰქრა ვაღარა
არ ემჩნევა ფანჯრებს ნთქბა,
თითქოს ვიღაც წავეიდა და
არასდროს არ დაბრუნდება!

მე მივდიოდით ერთი,
სადაც მაღალი ფერდი,
ვით უძველესი ღმერთი,
ამართულიყო ცადა.
ჩვენ მივდიოდით ორი,
განვლეთ ჭალა და გორი;
შორი მთებიდან ქორი
თან მიგვეყვებოდა გზადა.
ჩვენ მივდიოდით სამი,
გზებზე დაეცა ნამი,

იყო სალამო წამი,
გამჭვირვალე და სადა.
ჩვენ მივდიოდით შვიდი,
ლამეც მოვიდა მშვიდი
და როს ცისკარის მშვილდი
გაღმოეკიდა მწვერვალს.
გავხდით ათასი მცველი —
სულ ახალი და ძველი...
ეხლა მივდივართ მთელი
ლევითების წყება.

საღღაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის,
შარასთან ორი ძველი ცაცხვია;
იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის

ვადამტან გულთა ფერფლი აწყვია.
ხსოვნაც არაა, გამქრალა ნიში;
რა სიმშვიდეა, რა სისაწყვია!

მახსოვს ზორაგაულის
სევდიანი სადგური,
მისი ყრუ სამკაული,
აკვივნილი აგური.

უშფოთველი ცხოვრება,
წყნარი, როგორც გუგული,
ისმის მოახლოვებულ
ორთქლმავალის გუგუნი.

სიმღერა სამშობლოზე

არ იქნება, რომ სამშობლო
გალაქტიონს არ ახსოვდეს:
არასოდეს, მეგობრებო,
არასოდეს, არასოდეს!

ვინა სთქვა, რომ საქართველოს,
ბედით კარი დარაზოდეს;
მისი წინსვლა არ შესდგება.
არასოდეს, არასოდეს!



რომარ ჩხიძე

კ ვ ე რ ნ ა ქ ი

XVI

უგუნებობას ატყობენ სამსახურში, რა უშველონ არ იციან ან როგორ მოეხდინონ, — ემანდ უბერიოდ არ შეევეჯახათო, ფრთხილობენ, ბევრსაცა ცდილობენ, ჰყვებიან ანეგდოტებს, ძველს, ახალს, უწმალურს, ლაზათიანს, სულ ერთია, არ მოსწონს, არ ასდევს; ურჩევენ შეებულება აილოს, ცოლი წაიყვანოს და წავიდეს ზღვაზე ან მთაში, სადმე მიყრუებულ ადგილას, დამშვიდდება, დამოშშინდება, დაბრუნდება გაკაყებულის; ურჩევენ, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს. ღვინის მიმდევარნიც დროს ურჩევენ, უნდათ აიყოლიონ, ვერა, ვერ დასძრავენ, ვერ ჩაითრევენ თავიანთ წრეში. პოლიტიკის მოყვარულნიც წაუტორღილდებიან, ვერა, ვერ დააცუნენ ვერცერთ სიტყვას. ჭადრაკის მეგობარი თევზაობას ურჩევს, კვირას წავიდეთო. ჭადრაკის მეგობარი მაინც ჭადრაკის მეგობარია, დაჰყვება იმის რჩევას. ჭადრაკის მეგობარი მაინც სხვა არის, ანკესაც ის გაუწყობს, იმის სამყოფ ჰიაყვლებსაც დაიჭერს, საუზმეზედაც ის იზრუნებს. სანდრო მხოლოდ დანიშნულ ადგილას უნდა მივიდეს, ხიდის ყურესთან, ავტობუსის გაჩერებასთან, მივიდეს, მეტი არაფერი ევალება, ოღონდ მივიდეს, მეტი არაფერი ეკისრება და ისიც ღირსეულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ჭადრაკის მეგობარიც პირობას არ გადადის, მიდის ზურგჩანთისქვეშ დადრეკილი, მხარზე ანკესებგადებუ-

ლი, მიჰყავს თანამზრახველნიც; ორი იმათი თანამზრახველია, ორი მეზობელი, შორიდან იცნობს, ერთი მთლად უცნობია, მაგრამ ყველანი ერთნაირად ესალმებიან, ერთნაირად, შინაურულად, ჭადრაკის მეგობარიც, სამსახურით მახლობელნიც, შორით ნაცნობიც, ის სულ უცნობიც. ერთნაირ განწყობილებაზე დამდგარან, ერთნაირადა ხალისობენ, თითქოს ერთნაირად უდარდელნი, ერთნაირად გულუბრყვილონი; თითქმის ერთნაირადვე გამოწყობილან, განიერფარფლებიანი ქუდები ახურავთ, ტანს შემოტმასნილი, წელსალტიანი ხალათები აცვიათ, შარვლები შემოკლებული, დარგვალელებული, თითქოს უთო არ მიჰკარებიათო. მართალია ფერით განსხვავებულიყვენ, მაგრამ ფერიც იმდენი არაფერი, ერთ ნიღზე აწყობილიყვენ, ერთნაირ ყურადღებას იქცევენ, ანკესებიც რომ არა სჭეროდათ, იტყოდნენ, შეანკესენი არიანო. სანდრო იმათთან ვერ მოვიდოდა, თუმცა შინაურულად ჩაეცვა, უბრალოდ ჩაეცვა, მაინც ნახმარი, გახუნებული კოსტუმი იყო იმისი შინაურული, შეანკესებს არავინ მიათვლიდა, შუაში ჩაეყენებინათ, მაინც არავინ მიათვლიდა. ჯერ თითქოს ეხამუშებოდა, მერე კიდევაც უხაროდა, რომ გამოირჩეოდა თანმხლებთაგანა. ეს მერე, ავტობუსში რომ ავიდნენ. ძირს იმდენი არაფერი, ძირს ყველას რაღაცა აფუსფუსებდა, ყველა თავის ავტობუსს ელოდა, აღიოდნენ, ჩადიოდნენ; აქ საშური, თუ საფუსფუსო აღარავინაა ჰქონდა, ისხდნენ მოწყენილნი, თვალს აცეცებდნენ სახალისოს საპოვნელად. ამაზე სახალისოც რაღა იქნებოდა: ვე-

ბა ვაქაცები ვეება ჩანთებითა და ანკესებითა.

— საქმე გამოლევიათ, — ამბობს ერთი, სახეაქერცილი, წარბებგაჯაგრული შუახნის კაცი, — ჩემთან წამოვიდნენ, გავუჩენ საქმესა... — ისე ამბობს, რომელიმე კოლმეურნეობის ბრიგადირი მაინც იქნება.

— საქმე ჩვენც ბევრი გვაქვს, — ეუბნება ერთი სამსახურით ნაცნობთაგანი.

— საქმიანი კაცი ანკესს მიუჯდება?! — ამბობს ვილაც სხვა, ბრიგადირს რომ ჰგავს, ის მხოლოდ იციანის.

— დასვენების დროს მაშ რას იზამს საქმიანი კაცი? — კითხულობს ამათგანი.

— საქმიანი კაცის დასვენება არსადა თქმულა... — ესეც სხვა არის.

— მოსვენებულნი კვირნაქზე წვანან. — ეს კიდევ სხვაა.

ისინი სხედან, ესენი დგანან, მიბრუნდებიან და მობრუნდებიან. ესენი ერთნი არიან, ისინი სხვადასხვანი, ამ წამოძახილებით ერთდებიან, ძლიერდებიან, დასჯაბნიან თუ ვერ ივაქაცეს.

— თუ არც კვირნაქზე წევს, თუ კვირა დღეა, მაშინ როგორ მოიქცეს საქმიანი კაცი? — კითხულობს მეორე შორითნაცნობთაგანი. იგივე კითხვავა, ეტყობა ჩაიჭრებიან, დამარცხდებიან, დადამარცხებენ სახელდახელოდ შეკავშირებულნი თუ დარაზმულები.

— დინამიტს ააფეთქებს, აუარება თევზს დაიჭერს, ფულს გააკეთებს. — კიდევ სხვა გამოჰყოფს თავსა.

— მაგას დამნაშავე ჩაიდენს! — აღარა ხუმრობს ჰადრაკის მეგობარი.

— ბრაკონიერობას გვირჩევს!.. — ტუჩსა სწევს ერთი მეზობელი.

— ბრაკონიერობა აკრძალულია!.. — აცხადებს მეზობელი.

— კარგია და აკრძალულია. — თავი რომ წამოჰყო, იგივე დუღღუნებს.

— კაცის კვლაც აკრძალულია, მაშ კაცის კვლა კარგია?! — წყრება ის ერთი უცნობი.

— ზოგჯერ არ არის ცუდი. — ეს კიდევ სხვაა. ის გარეთ იქცირება.

— მაშ დავერიოთ ერთმანეთსა და ელიტოთ ერთმანეთი: — ეხვეწება ხუმრობს ჰადრაკის მეგობარი.

— ეგეცა ხდება, — გარეთ რომ იცქირება ის ამბობს, — ეგ ომია, ომი არც არის აკრძალული.

ავტობუსს თვითმფრინავები გადაუგუგუნებენ, ქალები შეკრთებიან, შიშით აღაპყრობენ თვალებს, მძულვარედ გადაჰხედვენ, ომი ვინც ახსენა, თითქოს მართლაც ომი იწყებოდეს, თითქოს იმისი ბრალი იყოსო. ის იშმუშნება, ბექები ემტვრევა, თითქოს იგრძნო მძულვარე თვალებით. ჩერდება ავტობუსი. ვილაციანი ჩადიან, ვილაციანი ამოდიან, ფეხს ითრევენ ჩამსვლულები, კიდევ ვინ რას იტყვისო, მყისვე კამათში ებმებიან ამომსვლულები, ვითომც თავიდანვე იქა ყოფილიყვნენ, ვითომც ერთი სიტყვაც არ გამოჰპარავიათო. მხოლოდ სანდრო სდუმს, თავისიანები აქვზებენ, მოგვეშველეთ, მოპირისპირენიც აქვზებენ, თავიანთი ჰგონიათ, იმათშიც ჩამყდარა ამ ასვლა-ჩასვლობანაში, შეანკესენიც იმათში ჩაბნეულან. ზოგი თავში მოხვედრილა, ზოგი ბოლოში, ზოგი შუაში, ზოგი მრავალმეტყველთან მოქცეულა, ზოგი ბრძნულადმეტყველთანა, ზოგი ძლიერთანა, ზოგი სუსტთანა, ყველა თავისას შეჰპნია, დანაწილებულა კამათი თუ ხუმრობა, დანაწილებულა და გაცხოველებულა. ხან არაფერი ისმის, ზოგს მკვეთრი ხმა აქვს და ყველას აგონებს, უფრო ხშირად გუგუნი დგას ავტობუსში, გუგუნი ხალხისა და ძრავისა. მიჰქრის და ჩერდება ავტობუსი. აღიან და ჩადიან, ხოლო გუგუნი არც აღის, არც ჩადის, მისდევს, მიჰყვება. ფშანებთან ისინიც ჩადიან. სიამოვნებით აცილებენ მოდავენი თუ მოხუშარენი, ბარაქიან ანკესობანას ვისურვებთო. მისძახიან; მიჰქრიან და მიჰყვებათ გუგუნი.

ფშანებში სიწყნარება, თვითონ არა ხმაურობენ, ბუჩქები არა ბიბინებს, არცა ხეები, აქა-იქა გაფანტულები. მაღალ მწვერვალებს ღრუბლები არ აწევს, არც სხვაგან სადმე ჩანს ღრუბლის ნაგლეჯი. დალდა თუ გადაიფრენს, უსმალ-

როდ გადაიფრენს, კრილა ჰაერს გა-
დამრდილავს და ჩაიკარგება. „კარგია,
არა?!“ ამბობს ჭადრაკის მეგობარი და
ბილიკს მისდევს. ბილიკი ბუჩქებში
გახვეულა, ბუჩქები ფლატეზე გადაკ-
დულან. მერე რიყეზე გავლენ, მერე
ისევ ფლატეზე, ლურლუმებს ექებენ,
საანკესო ადგილებს ეტანებიან. „კარ-
გია, არა?!“ ისევ კითხულობს ჭადრაკის
მეგობარი, რადგან წელან ყველამ უპა-
სუხა სანდროს გარდა, იმას მხოლოდ
სანდროს პასუხი უნდა. „კარგია!..“ სან-
დროც გაეპასუხება, რომ გაახაროს,
ამიტომ მისძახის კარგიაო, თორემ ისე
ბევრი არაფერია, არც ის გუგუნის ახე-
ლებდა, არც ეს სიწყნარე ანეტარებს,
იმისთვის ერთია, ისიც, ესეც, არც იქ
დადლილა, ვერც აქ დაისვენებს, არც იქ
მობზრებულა, ვერც აქ გაიხალისებს,
მხოლოდ რახან გამოჰყოლია, ხასიათს
აღარ გაუფუჭებს, კარგიაო და კარგიას
დასძახის. ანკესები მზრებზე გაუწყვი-
ათ, იმასაც გაუღვია მხარზე, დროდად-
რო ადგილებს აკვირდებიან, ისიც ჩას-
ცქერის გამოცდილ შეანკესსავით,
ღრმად ამოისუნთქებენ, ისიც ამოი-
სუნთქავს, ვითომდა რაო, მეცა ვენტა-
რებ ამ წმინდა ჰაერითაო. ფესსაცმე-
ლებს გაიძრობენ, შარვლის ტოტებს
აიკარწახებენ, ისიც აიკარწახებს, მი-
ტოპავენ, მიტოპავს ისიცა. ოლესთან
ჩანთებსა ჰყრიან, იმას დასადები არა-
ფერი აქვს, ოლონდ ანკესებზე ჰიაყე-
ლებს რომ ააცვამენ, ისიც ააცვამს. გა-
იშლებიან, შირბიან, ირჩევენ უკეთეს
ადგილსა, იმან არ იცის, რომელია უკე-
თესი, თუნდაც იცოდეს, არ ენაღვლება,
სადაც მოხვდება, იქ ისვრის, იქვე ოლეს-
თან ჩაადგებს ანკესს, ამისათვის აღარ-
ცა სცხელათ, მხოლოდ ჭადრაკის მეგო-
ბარი თუ დაუქნევს ხელს, ზევით წამო-
დიო, მერე ისიც ჩამოეხსნება.. გაიშ-
ლებიან, ანკესებს ჩაჰკიდებენ, თვითო-
ნაც ჩაეკიდებიან ანკესებივით, ჩასცქე-
რიან, ჩაჰკირკიტებენ წყალსა. წყალი
მიდის, მიედინება, არ ვაეგება თუ რას
ჩაჰკირკიტებენ. ეს არც ჩაჰყურებს
წყალსა, შეანკესებებს გაჰხედავს, რასა

სჩადიანო. ვილაცა ამოიქნევს ანკესს,
ისიც ამოიქნევს, — არაფერია, ისევ ჰი-
აყელა ან ჰიაყელა? ანკესები-
სხვას წამოაქმევს, ისევ ჰი-
ნი რალაცას ანიშნებენ, ამან რა ანიშ-
ნოს, არ იცის, მერე მიხვდება, არაო,
ჰიაყელები ჯერ არ გამოშლევიაო, ამას
ანიშნებს. სხვა რა, აქ სანიშნებელი
მეტი რა უნდა იყოს, თევზზე ხომ ლა-
პარაკი ზედმეტია; თევზისათვის თვალიც
არ მოუქრავს. ავტობუსშიც ამას ეუბ-
ნებოდნენ, — სახლში თქვენი იმედით
თუ არიან, მშვირები დაგეხოცებიანო.
ამას არც უთქვამს თუ სად მიდიოდა,
ასე, რომ იმედი არ ექნება, არც თავს
მოიშვებს. ბრალი იმათი ოჯახებისა.
თუმცა გამოცდილები იქნებიან, აქ ამ-
დენი ხორავი რომ გამოუტანებიან, თა-
ვიანთთვისაც დაიტოვებდნენ საკმარი-
სად. ოლესთან ყრია ჩანთები. ბოთლე-
ბის ყელიც მოსჩანს ჩანთებიდან. ივ-
ლიან, ისხდებიან, გამოიხრუყებიან მზე-
ზე, მობრუნდებიან დათენთილები, დახ-
სნიან ამ ჩანთებსა და პურსა სჭამენ მა-
მაპაურადა. ეს არ გამოიხრუყება,
ოლეს ჩრდილს მისდევს, გადაინაცე-
ლებს ჩრდილი, თან გადაჰყვება. ვი-
საც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნ-
დაო, ნათქვამია, ერთი პირობა ხომ და-
სველა ფეხი, — აქამდის გამოტობა, ამ
დასველებაში რაც ეკუთვნის, ისიც ეყო-
ფა. მაგრამ ისევ ცარიელი ამოსდევს
ანკესი, ეტყობა საკმარისად ვერ დაის-
ველა. მერე სულაც დაეხსნება თავის
ანკესს, ფლატეებზე დაკიდულ მეთევ-
ზეებს გაჰყურებს, დაკიდულებს, დარ-
კალულებს, დაქვავებულებს.

როცა იქნება, მოჭერდებიან, ოლეს-
თან მივლენ საითთაოდ, მიიტანენ თავ-
თავიან ნადავლს. ერთი შორით ნაც-
ნობი, ერთიც სულ უცნობი. დაყოფნე-
ბიან, უხმობენ, ხელს უქნევენ. დაგვეხ-
სენითო, ანიშნებენ იქიდან, ან ქარავანს
მიავნეს ან არაფერი დაუჭერიათ და არ
უნდათ დაბრუნდნენ ხელცარიელნი,
ხელცარიელნი მაინც არ მოვლენ, ბევ-
რსაც ვერაფერს მოიყოლებენ. სხვათა-
ნადავლიც არ გამოდგება სატრამახოდ.

ერთმანეთს მაინც ექაღნებოან, ამბობენ თითქოს გაექცათ ვეება თევზები, იმ ფშანებში რომ არ ჩაეტყვა, იმოდენეებსა ზომავენ ხელით, სტყუიან, უღმერთოდა სტყუიან, მაინც ვაფაციცებულნი შეკუურებენ ერთმანეთს. ნანობენ და მაინც ნანადირევება სთვლიან ვაქცეულთა თუ მონაგონ ვაქცეულთა. მაინც იმას უნდა დასაჯერდნენ, რაც მოუტანიათ; ხოლო რაც მოუტანიათ, არ ეყოფა შვიდ კაცსა, შვიდ დამშეულსა, — არ დავაფიწყდეს, სანდროს მიგდებული ანკესიდანაც ერთ ციმორს ჩამოხსნიან. ისიც რომ მიუმატოთ, მაინც არ ეყოფათ. თევზის მოხარშვას არც აპირებენ, თავთავიანთთვის უწყვიათ, თავთავიანთთვის შეჭხარიან, შინ უნდა მიიტანონ. ოჯახში უნდა გამოიდონ თავი, სამაგიეროდ, სააქაოდ ზურგჩანთებსა ხსნიან, წამოპყრიან შემწვარს, მოხარშულს, ხაჭაპურებს, მწვანილს, კიტრს, პამიდორს, კონიაკის ბოთლებსაც ამოაძრობენ, ღვინის ბოთლებს ჩამოყრიან ფშანში; ინანებენ, აქამდის რატომ არ ჩავყარეთო, დაიშვდებიან, ცივია წყალი, მალე ჩააცვივებო. სანდრო ხომ უჩანთოდაა, უსათლოდაც არის, იმისი ციმორი ჭადრაკის მეგობრის სათლში მოქცეულა. ქალაქში ჩავალთ თუ არა, შენსას გამოგიგზავნიო, ანუგეშებს ჭადრაკის მეგობარი, უშეტდომოდ გამოვარჩევ ჩემი ციმორებიდანო. განთქმული მცნობიაო, უდასტურებენ მეინახენი, შენც ვააბარებ შენს ოჯახსაო, თანაც იმედდებენ, პირველად ასეა, გულს ნუ გაიტებ, შემდგედაშემდეგ ჩვენსავით დაბრუნდებიო. სანდროს ეციენება, არც ისინი არიან უხალისოდ. ყველა თავისას აქებს, თავისასა სთავაზობს სანდროს, ერთმანეთსაც სთავაზობენ, ყველა ყველას სტუმარია, ყველა მსაპინძელიც არის, სანდრო მხოლოდ სტუმარია. პირველად ასე უნდა, დღეს შენი ნათლობა არისო და სვამენ სანდროს ნათლობის სადღეგრძელოს.

ჭადრაკის მეგობარი თამადაობს, ექსპედიციას მოთავეობს, თამადაობას ვილა შეეცილება.

— უკეთესი სპორტი, ჩვენა სპორტი რომ არის, უფრო სახალისო, ჩვენა არის, ქვეყანაზე მეორე აღარ მოძოვება, — ამბობს ჭადრაკის მეგობარი, სადმე, სხვა პლანეტაზე შეიძლება იყოს, ისიც შეიძლება-მეთქი, თანაც ჭერ კიდევ გამოსაკვლევია, ხოლო აქ, ჩვენში. დედამიწის ზურგზე ამისი ბადალი არაფერია. ამდენად სანდროს არჩევანი გამართლებულია, საესუბით სწორი და მისასალმებელია. თუმცა მეგობართა წრეში შეიძლება ითქვას, დიდად დაავიანდა, ვინ იცის, აყოლილი იყო იმ მკდარ შეხედულებას, თითქოს მეანკესეობა ხანშიშესულთა თუ მთლად მოხუცთა სპორტი იყოს, თითქოს ორმოც წელს თუ მაინც არ ვადასციდი, ისე ანკესის ხელის მოკიდება სასიარტებელი იყოს, თითქოს მანამდის თუ სპორტი უნდა, უფრო მაღალსა და ნამდვილ სახეობას უნდა დაადგეს. არ მინდა დავიჯერო, თითქოს სანდროც ამ მავნე შეხედულების გავლენის ქვეშ მოპყლიყვეს, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ის აქამდის ჩვენთან არ იყო, ის დღეს ჩვენთან არის, იმ ადამიანებთან არის, იმ ჭგუფთან, რომელსაც აურჩევია სპორტის ქეშმარიტად უმაღლესი სახეობა, სპორტულად უმაღლესი, ხოლო სარგებლობას ხომ ნულარ იკითხავ!..

— ნულარ!... ნულარ!... — თვალებსა ნაბავენ სხვები.

— ჩემთან, მაგალითად, — განაგრძობს ჭადრაკის მეგობარი, თევზი მობეზრებულნი აქეთ. ამას სახლში არც შემატანიებენ, მეზობლებს თუ დავუთრიებ.

— მეზობლებს, თორემ ერთბაშად ჩვენები არ ვააბარო!... — ამბობს ერთი მეზობელთაგანი ანუ სანდროს შორით ნაცნობი, — ჩემს სახლში თევზის ხსენებაც არ არის.

— ჩემსაში ხომ რა, — მეორე მეზობელთაგანი ამბობს, — გაგიგონია!... ერთბეღ იმდენი თევზი მივიტანე, რომ ჩემმა ცოლმა, ჩემმა სიდედრმა და ჩემმა დამ დილაამდის წელეს, წელეს და

მინც ბევრი დარჩათ გამოსაწელი.

— ჩემსას არ იკითხავთ? — წამოიწევს სულ უცნობი, — ერთხელ იმდენი თევზი დავიჭირე ამ ფშანში, სამმა კაცმა ვერ შევღებთ მანქანაზე, შოფერი რომ არ დავგვხმარებოდა, ვერც დავძრავდით, შოფერი მოხმარებდასაც არა ფიქრობდა, ერთი უხიაკი, ერთი უცხვირპირო რამ იყო. მებარგული კი არა ვარო, ჩემი საქმე მანქანის მართვააო. გავიგონიათ?! აგერ უამრავი თევზია, სამ კაცს ძვრა ვერ უჭნია, იმას დოინჯი შემოუწყვია და მებარგული კი არა ვარო. მე ვუთხარი...

— არიან ეგეთნი, სხვისი ღვაწლი ჩირადაც არ უღირთ, — სიტყვას წაართმევს ერთი თანამშრომელთაგანი, — ეგეთივე შემთხვევა მქონდა, თითქმის ეგეთივე: გზაზე ვდგავარ, შემხვედრ მანქანას ველოდები, თევზი მიწყვი: გოდრებით, კალათებით, ყუთებით, რითი აღარა!... მანქანამ ჩაიარა, ვეუბნები, წამიღმეთქი. არაო, მე თევზის წამლები არა ვარო. ნახევარი შენ, ნახევარი მე მეთქი. ეგ სხვა ლაპარაკიაო, ხელიც აღარ დამაკარებინა, თვითონ შეალავა, ნახევარიც თვითონვე ამიტანა სახლში. მერე არ იკითხავთ, რამდენი იყო ის ნახევარი?! ჰმ!... ჩემი მეგობრები, ნათესავები, მისხითმისხის ნათესავები მთელი კვირა ჰამდნენ და ნახევარზე მეტიც გადაყარეთ.

— უამრავი თევზი მეც ბევრჯერ დამიჭერია, — სიტყვას ჩამოართმევს მეორე თანამშრომელი, — ეგ არაფერი, ეგ რა გასაკვირია!.. გასაკვირი ის არის. ერთხელ მე რომ შემემთხვა: ამოვწიე ანკესი და ბიჭოს, ოქროს თევზი! ეგეც არაფერი, მეთევზე იმისი მეთევზეა, ზან ოქროს თევზსაც გადაყრება, მეც გადავეყარე, ოღონდ ეგეც არაფერიმეთქი, აკი ვითხარით. მთავარი ის იყო, პირი დაალო თევზმა და ლაპარაკი დაიწყო. ოღონდ გამიშვიო, შემევედრა, ოღონდ გაჩიშვიო და ბედსა გწევო. ფა გამოიძრო და გამომიწოდა. თუ გაგიკვირდესო...

— კარგი ახლა, — შეება ჰადრაციის

მეგობარი, — მაგ სიგრძე ზღაპრის დრო აღარ არის.

— თქვენ თუ თქვით, მტკ...
ნეთ.

— ჩვენ მაგ სიგრძე ზღაპრები ვთქვით?! — გაოცებს პირველი თანამშრომელი.

— არა!.. — დასკვნის ჰადრაციის მეგობარი, — მე თუ მიყურებ, მე თამადა ვარ... ერთისიტყვით სარგებლობას ხომ ნულარ იკითხავ! სხვა ლირსებასაც მოგახსენებ: ქვეყნის დარდი გულზე რომ დავწოლოდეს, ერთ მურწას ამოადებთ თუ არა, სიხარულით ფეხზე ვეღარ დავლგები. დანარჩენი რაღას ჩამოვიტვალო, ჩვენში ჩაებმი და შენვე დარწმუნდები. დღეს ნათლობაა, ნათლობისათვის ესეც კმარა. ოღონდ ჩემო ძმებო და მეგობრებო, ერთიც უნდა ვითხრათ: სანდრო ახლა დიდ მღელვარებაშია, თითქოს ვეღარც გვიცვნია, არც გასაკვირია, ეს მღელვარება ყველას გადავიტანია, ვიცით რა არის მოლოდინი პირველი შვილისა, სანდრო ახლა ამ მოლოდინში. დაველოცოთ მოლოდინი, ანკესობანაც დაველოცოთ. ანკესი ადვილად გადაატანინებს მოლოდინის ღელვას, ხოლო სარგებელს ხომ ნულარ იკითხავთ!.. დავულოცოთ...

მაგრამ დალოცვას ვეღარ მოასწრებენ, ამ ლაპარაკში წამოუპარებათ შხაპუნა წვიმა, გვარიანად წამოუგერისებს. დაუშვებს, დაასხამს, ისე უცებ, ისე მოულოდნელად, გაოცდებიან, ეს საიდანო, ეს რა ამბავია ჩვენს თავსაო. ოღონდ გაოცების დროც აღარა რჩებათ, წამოაკრეფენ, რასაც მოასწრებენ, — ვაღმა ტოტზე მიტოვებული წისქვილია, იქით პირბიან. იქით მოასწორებენ, მოშხაბუნებენ, იქ შერგავენ თავს, მიგდებულ ხვიმირას გადმოაბრუნებენ, ზედ დაყრიან გალუმბულ, აზელილ ხორავს, კმეჩენ თვითონაც გალუმბულები, კმეჩენ, კუჭი რომ დაიკმყოფილონ, თორემ სუფრის ეშხი ვილასა აქვს. თვითონ სუფრასაც აღარა აქვს ეშხი, ყველაფერი არეულა, ალუფხულა, ჩამბალა წვიმაში, ესეც არაფერი, ესეც თავგადსაავალია, მერე მო-

საგონარი, ვინ იცის როგორი მოსაგონარი: ათი გოდორი თევზი ვაგვიტაცა წყალშია, იტყვიან, ათი ან ოციო, როგორც მოენებებთ, უცხად დაუშვა, უცხადვე მოდიდდა ფშანი, თევზს ვინდა ჩიოდა, ჩვენც ძლივსდა გამოვასწარიითო. თავიანთი ნებაა, როგორც იტყვიან, ხოლო იმახად სუფრის ეშხი რომ გაუქარწყლდათ, ის იყო სადარდებელი. მანც დაწყარდნენ, კიდევაც შეთვრნენ, მერე აღარ ენადვლებოდათ, გრძელგრძელი სადღეგრძელოები რომ ვერ მოასწრეს.

უნადვლოდ მანც არ დარჩენილან, ძლიერმა ქარმა მიურმოურია წვიმის ღრუბლები, მიურმოურია და დაქანებდა, ღმუოდა, გუგუნებდა, გრგვინავდა, თითქოს ჭვეყნის დაქვევას იმუქრებოთ. ახრქიალებდა, ძვლებს უმტვრევდა ძველ წისქვილს, ოლეს ბანტა სულაც გადაელეწნა, — მწარედ დააკვნესა და გადაამტვრია წელში. იმათ თვალწინ დაეცა ერთადერთი საჩრდილობელი, საჩრდილობელი შეანკესეთა. ესეც დასანანი თუ სანადვლებელი გახლდათ, მაგრამ ბევრად მწარე სანადვლებელიც გასჩენოდათ: ვთ თუ ჩვენც ველარ გადავჩიეთო. ოთხივ კლთხივ იჭრებოდა ქარი, ძვლებში ატანდა ძლიერი ქარი. ჩამოყრილი. ისედაც გვერდებშეღწევილი ზემირები ნაფორებდა აქციეს, ცეცხლი დაავზნეს, უფრო ბოლი დააყენეს და გაეხვნენ იმა ბოლში. ესეც ნუგეში გახლდათ, კბილი მოეჭრებოდა ქარსა. ნუგეშდებოდნენ, მხნეგდებოდნენ, თან ყველა ერთად სანდროს ამშვიდებდა: ასეცა ხდება ხოლმე, გული მანც არ გაიტეხო, ვისაც თევზი უნდა, ფეხი სველი უნდათ, ნათქვამი რომ არის, ასეთი რამეც იგულისხმება იმ ფეხის სისველეშიო. ამხნეგებდნენ და იმედოვნებდნენ, სხვა რაღა დარჩენოდათ, ერთად იყვნენ, ერთ ბედში იყვნენ, ერთმანეთს უნდა გაფრთხილებოდნენ იმედით თუ ნუგეშით. ძლიერი გახლდათ ის ნუგეში, ის გამხნევება, ძალიან ძლიერი, — სხვისა რა მოვახსენოთ, ოღონდ სანდრომ ის მოულოდნელი თავსება და ქარიშხალი თუ გადაიტანა, გამხნევების წყალობაც იყო, იმედისაც,

ღრმად ოპტიმისტური სიტყვებით დასაგრეულ წისქვილში რომ ჩამხმტქქქქქქ იმ სიტყვებისა, ქარი რომ ამხრინებდა იმათს კოცონსა და ბოლით ამომწვარ თვალებს ისრესდნენ.

თვალების წვა შინამდის მიჰყვა. მხნეობაც მიჰყვა, მეზობლებიც მიჰყვნენ, იმათაც გაამხნევეს, მაგრამ ძალა აღარ ეყო სანდროს, თავში შემოიკრა ორივე ხელი, ეგრევე ხელგშემორტყმულმა ჩაჰკიდა თავი და აღარც აუღია. ხოლო მეზობლები დაუღალავად ჩასძახოდნენ, რომ გული არ უნდა გაიტეხოს, მარცხს არ უნდა დაუშინდეს, ვაეკაცმა ვაეკაცურად უნდა გადაიტანოს ჭირიც, ლხინიც; რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან და კიდევ ბევრს მოესწრებიან; ჩასძახიან ერთობლივად, ერთიმეორეზე მჭექაერედ, ერთიმეორეზე მეტად გამოცდილებივით. მანამდის ასევე ერთობლივად აუწყეს, რაც დამართნოდა: ქარიშხალს შემოგელიჯა ალაყაფის კარები. ჯახუნებდა კარი, კედელს აწყდებოდა, ფრიალებდა, ტრიალებდა, ქუჩაში გავარდებოდა, შემოიგეღეღებდა ეზოში. დაიგრუხუნებდა, დაიდგაფუნებდა, თითქოს საძირკვლიანად უნდა დასძრას შენობაო. ვერ მოუთმენია ლალის, ჩასულა, ვერ დაუმორჩილებია, ცალი კალთა დასჯახებია და გაუტყორცნია რამდენიმე მეტრზე. კიდევ კარგი კედელს არ მიენარცხაო, სულს გააბნევედაო. ჰო გაუსვრია და ვეღარც ამდგარა, მეზობლებს მიუსწრიათ... ახლა საავადმყოფოშია, ვითომ გადაჩიო... აქ იყო სწორედ ორივე ხელი რომ იტაცა თავში, აქვე ჩასძახეს ერთდროულად, კიდევ მოესწრებით, ახალგაზრდები ხართო, რომ გადაჩა მთავარი ეგ არის, გამრავლებით ხომ გამრავლებით, ამას აღარ უნდა ბევრი ანი და ბანიო. აღარაფრის ვაგონება არ უნდოდა, იჭდა თავზარდაცემული, იჭდა თავჩაკიდული და შეძრწუნებული, როდის მომცილდებიანო. მეზობლებს მოცილებდა ფიქრადაც არ მოსდიოდათ, ასეთ ყოფაში ამისი მართლდატოვება არ შეიძლებო, არა და არაო.

მაშინ თვითონვე წამოიჭრა, საავადმყოფოში უნდა წავიდეთ. ორი მეზობელი იქაც გაეკიდა, მარტო ვერ გაგიშვებთო. ეს იმათი მონდომებაც ვახლდათ, სხვანიც აქებებდნენ თვლით თუ ჩურჩულით, არ ჩამოსცილდეთო, ერთი წუთითაც არ დასტოვოთ მარტოო.

რა გაფრთხილება გვინდაო, — ცოტა არ იყოს გულიც მოსდიოდათ, ჩვენ ვიცით, თქვენ დამშვიდებულნი ბრძანდებოდეთო. ჰო, ჩვენ ვიცითო და საავადმყოფოში რომ არ შეუშვებს, ვეება თაიგულები გაუგზავნეს ავადმყოფსაც, ექიმებსაც. ექიმების თაიგულში ცოტა რამ სასმელი და ტკბილეულიც ჩაატანეს, ტკბილად მიგვიხედდეთ ჩვენს ავადმყოფსაო. მერე სანდრო რესტორანში გაინაბირეს და გვიანობამდის დასძახოდნენ იმედებით აღსავსე სადღეგრძელოებს. გასჭრა იმედებმა, ღვინომაც გასჭრა, რა თქმა უნდა, აცრემლებული სანდრო ეხვეოდა მეზობლებს, ეხვეოდა და ელულულულებოდა, — თუ გადამატანივებით, მხოლოდ თქვენ გადამატანივებით ამ უბედურებასაო.

კიდევაც გადაატანინეს... თაიგულობანა ძალიან მოეწონა და ვიდრე გამოეწერებოდა ლალი, უამრავ თაიგულს უგზავნიდა. მოხიზლულიყო მთელი საავადმყოფო ავადმყოფებ-ექიმებთანად. ქმარი მყავსო ამან უნდა სთქვასო; ასეთი ქმარი მომცა, თუნდაც ჯოჯოხეთში მომიხვედრაო, — თავთავიანთთვისაც ამბობდნენ, ლალისაც გაავიწყებდნენ. ეამებოდა, მშვიდდებოდა, ქმარმა გამიგო, საყვედურს არ გამიგონებს, თანამიგრძნობსო, ჩემთან ერთად იტანჯებაო. ტკივილები უყუჩდებოდა, დანაკარგი უმსუბუქდებოდა. მალეც გამოკეთდა. ყველამ გამოაცილა, ფეხზე ვინც იდგა, ყველა გამოჰყვა ეზოს კარამდის. მანქანა დაახვედრა ქმარმა. მანქანაში ყვავილები მოჩანდა. ყველამ გადაჰკოცნა ლალი. ყვავილებივით იყვნენ ისინიც, — ზოგი წითელ, ზოგი ყვითელ, ზოგი ალისფერიო. ყვავილებში ჩაჭდა ლალი, მანქანაც გაჰყვა ყვავილოვან ქუჩას, გაჰყვა, შემოუარა, მოუხვია და იმ სახლთან

შეჩერდა, ბინა რომ შეინახებინა გოგელ-შემთხვევისათვის ანუ ამ შემთხვევისათვის. ლალის ესეც კარგად უნდა მოეხერხებინა ლობის თვლით ახვედა ქმარს, — აქ მოსვლა მინდოდაო. ოღონდ კარი რომ შეუღო და თავისი ბოხჩა იქ დახვდა, იქვე დახვდა ფერადი ძაფებით დაბოქნილი ხალიჩის საქარავი. გაოცნდა ქალი.

— რატომ?! რისთვის?! — აღმოხდება და მუხლმოჭრილი დაეშვება ბოხჩაზე.

— განა აუცილებელია განმარტებანი?! — პირქუშად კითხულობს სანდრო.

— ეს ხომ შემთხვევის ბრალი იყო!

— არ გაგაფრთხილებე?!

— ეს ხომ სახლის ზრუნვისთვის მოხდა!

— არ გაგაფრთხილებეთქი?!

— გამაფრთხილე...

— მორჩა და გათავდა!

— მე ხომ...

— არავითარი ხომ! თავიდანვე გითხარი, შენი თავი შენდა რომ აღარ გეკუთვნოდა, რომ ვერ გავუძლებდი რაიმე უბედურ შემთხვევას და არც შენთვის იქნებოდა კარგი, არ გითხარი?!

— მითხარი...

— მორჩა და გათავდა.

— მაგრამ შენც გაუძელი, მეც გადავრჩი, ამიერიდან ბევრად გონივრულნი ვიქნებით

— ოცი წლის ყმაწვილი აღარა ვარ, ოცდათექვსმეტ წელს გადავიცლი. სულმეტია ახლა ჩემი დარიგება.

— დარიგება ადამიანს არასოდეს მოსჭარბდება, არც ოცდათექვსმეტი წელია საბედისწერო ასაკი.

— ახლა სხვასა ჰკითხე!.. ერთისიტყვით მორჩა და გათავდა! — სანდრო კარს გამოაღებს.

— მოიცა! — შესძახებს ქალი.

— კიდევ რას გვიბრძანებთ! — კარს მიხსურავს, წარბებმოქუშული გაჰყურებს.

— ეს ერთი მაპატიე!

— სხვასაც მოითხოვე...

— აღარასოდეს!

— ვინ იცის... რად ავიტყვიო, აუტკი-
ვარი თავი.—კარს გამოაღებს.

— მოიცა!—ჰკვივის ქალი.

სანდრო საჩქაროდ მიჰხურავს კარს,
სახელურს მაინც არ ეშვება, მოუშარ-
ჯვება.

— შეილი მეყოლება, —ვედრებით
ამბობს ქალი, — ისეთი არაფერი დამ-
მართნია, კიდევ მეყოლება, ექიმებს
ჰკითხე...

— ვისურვებ წარმატებას!—თავს უკ-
რავს სანდრო.

— ეს რა პასუხია!—კოპებს შეიკრავს
ქალი.

— ჰა, ჰა, ჰა...—იცინის სანდრო. —
განმარტებებს დასასრული აღარ ექნება.
მშვიდობით ბრძანდებოდეთ! როცა ყვე-
ლაფერი ნათელია, უდვილოა განმარ-
ტებანი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
ბედნიერად ბრძანდებოდეთ!—და გა-
რეთ ვადის და ჩარბის. ჩარბის და მიჰ-
ქრის, თვალებსაც არ ახელს, ისე მირ-
ბის, არ უნდა შეეფეთოს ჭადრაკის მე-
გობარს.

XVII

აღარ უნდოდა შეჰხვედროდა, მოს-
ტლდა ჭადრაკის მეგობარი, თითქოს
იმისი ბრალი იყო, ორივე ბედი რომ
გაუტყუდდა; ყოველშემთხვევაში ორივეს
იმისგან გადაეყარა და აღარ უნდოდა
მესამე ბედის ძიების გზაზეც ის ასტ-
ლოლოდა. შეიძლება ეს საბაბიც იყო ან
თავის მართლება უფრო იყო, ვიდრე სა-
ბაბი ან მითუმეტეს ვიდრე მიზეზი; ვინ
იცის, იმ ჰასაკში შედიოდა, როცა ძველ
მეგობრებს ჰკარგავს ადამიანი, ძველს
ჰკარგავს და ახლის შექმნის თავიც აღა-
რა აქვს ან აღარა სურს, მოჰმზრებია
თუ გასტენია გული. მაგრამ ასეთ ფიქ-
რებს აღარ გასდევდა, აღარ უნდოდა და
საბაბიც ჰქონდა, სხვა რაღა იყო საფიქ-
რალი თუ გადასაჭრელი: აღარც ჭადრა-
კის მეგობარს უნდოდა, საანკესოდ აღარ
ეძახდა, ნათლობა ნათლობად დარჩა ან
ვერც მოინათლა, ავდარამა შეუშალა ზე-
ლი, განგებამ არ მიიღო მათს წრეში,
ღირსი არ ყოფილა და არ მიიღო,—თუ
არა სამსახურებრივი აუცილებლობა,

ზნასაც აღარ გასცემდა, მკვრელი იხუმ-
რებით, ქალი მიუგდო, ვეღარც მიუ-
ხვდო და წაეიდა, ვითომდა არაფერიო.
ერთი სიტყვით შეგმა კატამ გაიარა იმათ
შორის და მესამე ბედიც აღარსადა
ჩანდა. ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო, ამ-
ბობდა გულმოსული; აღარც შინ უნდო-
და, აღარც გარეთ, სამსახურიც აღარ უნ-
დოდა, მაგრამ რომელიღაც ნაწილად
ჩაბმულიყო ვეება მანქანაში და ვიდრე
არ ვაცვდებოდა, ვერც თავისთავად ჩა-
მოვარდებოდა. არც არავინ გადაავდებ-
და. ხოლო შესაძლოა სულ სხვანაირად
აწყობილიყო იმისი ცხოვრება, პირვე-
ლი ბედი რომ არ გასცუდებოდა. სად
შესცდა, რა ვერ გაიანგარიშა? არც არ-
სადა. არც არაფერი, —განგარიშება
ზუსტი იყო, ოღონდ ორბიტზე ვერ გა-
ვიდა... ამერიკული თანამგზავრივით
აღბათ, არის სხვა რაღაც კიდევ, ისეთი
რამ, განგარიშებას რომ არ ემორჩილე-
ბა, რაღაც უცნაური, უცნაური იმიტომ,
განგარიშებაში რომ არ შემოდის, თო-
რემ ისე, ბუნებრივი, ნამდვილი, ქეშმა-
რითი. თვითონაც ხომ ბუნებრივია, ბუ-
ნებას ჩაებმის. აჰყვება ბუნებას, ოღონდ
როგორ აჰყვება ან რა არის ბუნებრი-
ვი? — ძნელი მისაგნები ყოფილა, იმისი
ფიქრისათვის ყოფილა ძნელი მისაგნე-
ბი ან არც სხვა ვინმეს გაადვილებია,
იმისთვის მაინც გადაუღახავ სიმწელედ
ქმნილა, დაბნეულა, შეღონებულა.

შინ ვეღარ მოუსვენია, ავდარში მა-
ინც სულ ვეღარ მოუთმენია, გარეთ გა-
სულა, სველ ქუჩებს ჩაჰყოლია, ხშირ-
წვიმისას სადარბაზოებსა თუ მალაზიებს
შეჰვარებია, კინკლიანობისას შეუფა-
რებლად უყიანია, წამოუფარებია ჩაფ-
ხუტი საწვიმარისა და უყიანია უთავ-
ბოლოდ, უთავემოდ, გვიანობამდის
უყიანია. თუმცა ქუჩები ადრე დაი-
ცილილა, პატარა ქალაქის პატარა ქუჩები,
ადრევე დაცილილა დიდი ქუჩებიც პატა-
რა ქალაქისა, ამისთვის დიდები, სხვათა-
თვის, ვინ იცის, ისინიც პატარანი, ადრე
დაცილილა და ვერ მოხდენია დაცილილ
ქუჩებს კენტიდ მოარული. ქუჩას არცა
ჰყვარებია კენტი თუ კანტიკუნტი, ან უნ-

და აღვსილიყვეს ხალხითა, ან უნდა დაცალოს; ან უნდა დელავდეს, ან უნდა მოისვენოს, ამ ორთა შორის რაიმე ზღვარს ვერ შეგკუებია, დაუშნოებულა ამ ორთა შუა და უვლია სიუშნოვედ ქუჩისა, სიუშნოვედ თუ შეუფერებლად ჩამყდროებული ქალაქისა, ბევრჯერ უვლია, ბევრჯერ უყიალნია. ბევრჯერაც შეგფეთებია დაგვიანებულთა თუ იმისსამებრ მოყიალეთა; უფრო დაგვიანებულთ შეგფეთებია და შეშურებია ამ დაგვიანებულთა თუ აჩქარებულთა ბედი, შეშურებია ან უნატრნია; მომლოდინენიც შეუწინავეს და ესეც გაუვლია გულში, ნეტავი მე მელოდებოდნენო.

თუნდაც აგერ ის ელოდებოდეს, აგერ ისა—ვიტრინის შუქზე რომ შემდგარა უნივერსიტეტთანა. ნეილონის შინდისფერი საწვინარი მკიდროდ შემოუკრავს ტანზე, შემოუტმასნია, გამოკვეთილა, ჩამოქნილა, ჩამოქანდაკებულა. ოღნავ მოზიდულა, თითქოს ეს არის ადგილს მოსწყდებო. ანტიკური ხანიდანაც შემორჩენილა ასეთი ქანდაკებანი, აღორძინებულანაც, შემდგომ ხანებშიც გამოვრებულა, მცირედი სახეცელითა, მცირედი თავისებურებით, ესეც თავისებურსა ჰგავდა, ოღონდ უფრო მოზიდულს, უფრო სხარტს. იმისი თავისებურებაც ეს იქნებოდა. შუქი ზურგიდან დასცემოდა, სახე ჩაბინდვოდა. შუქჩრდილის ასეთი განაწილება ძველმა ქანდაკებამ არ იცოდა, არც ახალმა, ვერც მოიხდენდა ან ვერ მოახერხებდა ვერცერთი ხელოვანი, სახე ჩაებინდა და თანაც ესოდენი მეტყველება მიენიჭებინა, გაბრწყინებული თვალები რომ ანიჭებდა იმ ჩაბინდულ სახეს. ჰო, თუნდაც აგერ ის ელოდებოდეს, თუნდაც შემოსწყრეს, რად მალოდინეო. მაგრამ ჰმ! სხვას ელოდება, სხვას შემოსწყრება, იმისი ბედიც შეშურებია. უფრო საცოდაობა იქნება განა?!—ალბათ იქნება, იქნება და იყოს, ოღონდ ეს ფეხს ითრევს, მიდის ნელა, ძალიან ნელა, მიდის თუ არც მიდის. თვალები მოუთმენლად ბრწყინავენ, რა გემართება, რა

ფეხები გებლანდებო. სასწრაფო ელოდება, მოჩვენებაც ასეთი უხელოვანობა და ჩერდება, თითქოს მსგავსი შეწყდეს თითქოს აღარ იცის თუ საით გადაუხვიოსო. ქანდაკება შეიბრებვა, აქამდისაც მოზიდულიყო, ადგილს მოსწყდებდა, გამოქანდებდა, თითქოს უნდა დაეცახოსო, ოღონდ უცებ მოსხვებით შეჩერდება, შეჩერდება ახლოს, სულ ახლოს, სუნთქვაც მოესმის.

- ვიმედოვნებ, არსად გეჩქარებათ.
- არსად.
- მანქანა გექნებათ.
- არა.
- მეგობარს მაინც...
- არა.
- მაშ ტაქსი გააჩერეთ!

— კეთილი! — მორჩილად მიუგებს მბრძანებლურ ნათქვამს, უნდა სწრაფადაც აღასრულოს, კიდევაცა სწრაფობს, მაგრამ ხალხი რომ მიღეულა, მიკურწყულა მანქანებიც, სადაც თუ გამოჩნდება, ხმას ვერ მიაწვდის. ვერ შეაჩერებს; მახლობლადაც ჩაუქროლებენ, ყურს არ იბერტყენ, არა სცალიათ, მაინც მისდევს, მერე სხვას გამოეკიდება საქმიანად, მონდომებით, სულსწრაფობით, — მბრძანებლურ ნათქვამში სულსწრაფობაც იგრძნობოდა, გადასდებოდა ის სულსწრაფობა, ამდენხანს მოდუნებული სულიც აჩქარებულყო და იმისი ქუსლები არყვედა მიყრუებულ ქუჩას. მონდომებას უშედეგოდ არ ჩაუვლია, ჩამოდგა თავისუფალი ტაქსი, მწვანე შუქით რომ მოდიოდა, მიესწრაფა თავგანწირვით, ვინმე რომ გადასდგომოდა, ცოცხალი თავით არ დაუთმოზბოდა. საბედნიეროდ არავინ გადასდგომია, არავინ გამოჩენილა. შოფერიც დაღლილიყო მგზავრების ძებნით, ისიც გამოქანდა, ემანდ არავინ გამომიტყვრესო, არავინ წამართვას ძლივს ნაბოენიო. შეხვდნენ, გაიხარეს. მხოლოდ არცერთს გამოუშველანებია, პირიქით, ამან კარი გამოვლოჯა ბრაზიანად, იმან მრისხანედ აუბრუნა თვალები. ამასობაში მბრძანებულმაც მოიბრინა, „დიესი!...“ კვლავ ბრძანა და ისარივით შევარდა მანქანაში.

შოფერს არ უნდა მეტი განმარტება. სანდროც დიდი ცნობისმოყვარეობას არ იჩენს. დიესი იცის, პატარა აგარაკია პატარა ქალაქისა, ათ კილომეტრზე შეჭრილა ხეობაში. მშრალი ადგილია, კარგი ღვინოც მოდის, თათარობაც იცის დღეობასავით. შორს წასვლა ვისაც არ მოუხერხდება, იქ გამოიზაფხულებს. ხოლო თათარობისას იქ არის მთელი ქალაქი. ასე იტყვიან, მთელი ქალაქით, თორემ სანდრო, მაგალითად, ერთხელაც არ მოხვედრილა თათარობაში; სხვა დროს ყოფილა, საქეიფოდ წაუყვანიათ ერთხელ თუ ორჯერ. სხვები ხშირად ჩადიან, აქ მიჩვეულან დარდმანდი ვაჟკაცები, ზეუდრო ყურეა გასალალებლად, გულის საამოდ, მოსალხენად. შოფერს რად უნდა განმარტება, შოფერმა იცის. სანდრო არ იჩენს ცნობისმოყვარეობას, რაღაც გამოსხვიდა, სიმარტოვიდან გამოარკვია, მოღუწებიდან ამოიყვანა, ჯერ აქ არის, ამ გამორკვევისა თუ ამოყვანაში, ცნობისმოყვარეობა ჯერ არ აპხსნია. ის მიკუნძულა, კუთხეში ჩაფლულა, გატვრენილა, არც ირხევა, თითქოს არცა სუნთქავს, ელშუქი რომ გადაუვლოს, უცნაურად უელავს ზვალები... მერე ტყეში ჩაეფლობიან, მერე ველად გავლენ და ნაწიმიარი მთვარე უფრო უცნაურად აუელვებს თვალებს, ძლიერს, მიმზიდველ მომაქადოებელ თვალებს. თითქოსა ფარავს, თითქოს არ უნდა ძალის გამოჩენა, სახეს იბრუნებს, მხრებიანად როდი, არა, მხოლოდ სახეს, იცის, მხრებიც არა აქვს ნაკლებ მომზიბლავი, იცის და სავარძელს დაჰკვრია, უნდა ჩაიფლოს, სხვისთვის ჩაიფლოს, ხოლო თვითონ ყველაფერსა სჭერტდეს; ახლა ასე უნდა, თორემ ასეთად ვის გაუგონია, სილალის მოყვარულად, მჩქეფარედ, მგზნებარედ სმენია ყველას, სანდროსაც ასევე, მრავალმეტყველად, მახვილისიტყვიანად, ცოტა დამკინავად წარმოუდგენია ყველას, სანდროსაც ასევე; ახლა სხვანაირი ჩანს, როგორიც ჩანს, ისეთადა ჰხედავს; როგორადაცა თქმულა, ის აღარ აგონდება ან უქარწყულდება, მან-

ქანა მიჰქრის და უქარწყულდება. უქარწყულდება და მანქანა მიჰქრის. უქარწყულდება ტყეში შედის, მერე ზერტში მიჰქრის. იგნებში ჩამჯდარ სახლებს ჩაუვლის, მიჰქრის და ხმაურობს, სხვა ყველა სდუმს. სდუმს შოფერი, მიჰქროლებს და თუ ეტყვიან, გაჩერდება. სდუმს სანდრო, ბრძანებას დამორჩილებია, კიდევ თუ უბრძანებენ, იმასაც აღასრულებს. ისიცა სდუმს და მხოლოდ იმან იცის, რადაცა სდუმს, სად მიეშურება, რად მიეშურება. ბოლოსდაბოლოს შოფერმაც იცის, თუ რად მიეშურება,—შრომობს, ფულს აკეთებს. მხოლოდ სანდროა გაუგებრად, არც უნდა გაიგოს, გულს მოეშვა და ახლა მეტი აღარაფერი უნდა, ხოლო შემდეგ,—მო შემდეგ ვნახოთ,—კიდევ რას ინებებს იმისი მბრძანებელი.

მანქანა სვლას უკლებს, შუქქვეშ ზიმი მოჩანს, ზიმი კედელს გაჰკვრია, მაგრამ გზა ვიწროა და ფრთხილობს ამათი შოფერი, ფრთხილად ჩაუვლის, გასცდება, სიჩქარეს მოუმატებს. „გაჩერეთ!“ ბრძანებს მბრძანებელი, კარს გააღებს, სანდროს ხელს ჩაჰკიდებს, გადმოწყვეით, არაფერს ეუბნება, გადაჰყავს ხელჩაკიდებულად. თავიანთ მანქანას რომ გასცდებიან. ზიმიც დაშორებით რომ არის, მაშინლა ეტყვის ჩურჩულითა, ოღონდ ისევ მბრძანებულურადა, მფლობელივითა: ამ სახლს ზომ ჰხედავ, აქეთა მხარეს დაეხსენი, შეგნით, ვენახის მხრით მოუარე, ფანჯრებიდან შეიკვირტე, გამიგე, რა ზდებო. უყოყმანოდ ემორჩილება. აქეთ მიდგება, იქით მიდგება, იქ ღობეს დაეკიდება, იქით ძეძვს გამოედება. იმას იქით აიტებს ძაღლებს, ვერას გახდება, ვერსაიდან მოუვლის, მობრუნდება გაუბილებული. უწყრება მბრძანებელი, ხეს აჰკვრია, არა ჩანს, რა სახით უწყრება სიტყვებიც არ ისმის, ჩურჩულით თქმული ძნელი გასარკვევია, ძნელი გასარკვევია, მაგრამ იგრძნობა დამკინავი უნდა იყოს, მძღუგარიც უნდა იყოს ნათქვამი. სანდრო მზადაა, კიდევ გაიქცეს, კვლავ შემოიბრძინოს ირგვლივ, თუნდაც ყბაში ჩაუვარდეს ძაღლებს,

მაგრამ გზას შუქი დაეცემა. ზიმი დაეცემა შუქი მომავალი მანქანისა და უცებ ხელს წაავლებს მბრძანებელი. აიყუდებს, ახლა საფარია სანდრო, გადარჩენია ძაღლის კბილებს.

ზომთან ტაქსი შეჩერდება, ვილაცანი გადმოდიან, რალაცას ლაპარაკობენ, შეიგნით შედიან, იქიდანაც ისმის ლაპარაკი, თანდათან ხმამალალი, თანდათან აწეული, გაბრაზებული, გამწვავებული. ზოგჯერ სიტყვებიც გამოირჩევა, ოღონდ სანდროსათვის გასაგები მაინც არ არის. მაღე ის სიტყვებიც ჩაიყლაპება, ყუყუს მორთავენ ძაღლები, იგივე ძაღლები, სანდროს რომ გამოესიგნენ, ეცნობა ხმოთ, სხვანიც აპყვებიან. სხვა აღარაფერი გაიგონება, თვალად მაინც მოჩანან შუქიან აივანზე ვილაც ვილაცანი, სანდროსათვის უცნობნი, შედიან. გადიან, ვილაც მიიწევენ, ვილაც ამშვიდებს; მთავარი მოქმედი, მთავარი გამწევი ქალია, მთავარი დამამშვიდებელი კაცი, იმ კაცს ჩამოჰყავს ის ქალი, ზიმი ჩასვამს. ტაქსი ვილაცები სხდებიან ცოტა მოგვიანებით. ზიმი უკვე გზას გასდგომია, მობრუნებულია, წასულა. ტაქსიც ბრუნდება. ამ მიმობრუნებაში შუქი ეცემათ, ის არა ჩანს, ხე აფარია, სანდროც აფარია, სანდრო გამოპრილად მოჩანს, ოღონდ ყურადღებას არავინ აქცევს, თავიანთი სადარდელი გასჩენიათ, თავიანთი სადარდელი აჩქარებთ, მიჰქრიან, მიეშურებიან. ხმაური იღვება, ძაღლებიცა ყუჩდებიან, ეს აღარა ჩქარობს, სანდროს ხელს ჩაჰკიდებია, ნელ-ნელა მიჰყვება, მიჰყვება თუ მიჰყავს თავიანთი მანქანისგან, ნელა მიჰყავს, შეიძლება ფეხით დაბრუნებაც ერთი-ნოს, ყოველშემთხვევაში, ეტყობა აღარ ეჩქარება; ეგებ არც უნდა შინ დაბრუნდეს.—წადი და გაუგე. წადი და მიუხვდი,—ლღე რომ იყოს, ეგებ მიუხვდეს. ღამე იყოს, მკითხაობა რად უნდა.—შეეკითხოს ან თვითონ ურჩიოს რამე. არა, იმისია ეს ღამე, ისაა მბრძანებელი, კიდევ უბძანოს. აღარცა ბრძანებს, ვარს აღებს მანქანისა, შუქი იხთება, სახე უცინის, რილაცით დიდად კმა-

ყოფილია, თვალები უბრწყინავს წელანდელზე ძლიერ, ჯადოშუქით უბრწყინავს თვალები. ჯდება, ისევე უთხრის მბრძანებელს, მდუმარედ ბრძანებს, დაბრუნებას.

ქალაქში რომ შევლენ, სანდრო გაიფიქრებს, ნეტავი ახლა რას მიბრძანებსო.

—წავიდეთ თქვენთან,—იტყვის,—თუ არავისი გერიდებათ.

—ვისი უნდა მერიდებათ?!—ითაკილებს სანდროი.

—რა მოგახსენოთ, არიან სხვაზე დამოკიდებული ადამიანები.

—ნუ გეგონებთ იმათთაგანი.

—მაშ?

—წავიდეთ!..—უკვე სანდროა მბრძანებელი, შოფერს ასწავლის, საით იაროს, სად გაჩერდეს. იმასაც მიუთითებს, სად გადმოვიდეს, სად შევიდეს, ოღონდ იმას არ უნდა ბევრი ჩიჩინი თუ პატივი, დარბაზში რომ შევლენ,—ჯერ დარბაზში შეიწევენ,—შესვლისთანავე გაიძრობს საწვიმარს, მოისვრის, სკამზე მიაგდებს, ჩანთასაც თან მიაყოლებს, ერთის ხელის აკვრით შეისწორებს თმასა. თან ღრმა კუთხეში ღრმა სავარძელს მიაშურებს მოხდენილი რხევითა, უბრალოდ, ჩვეულებრივად, ჯაგრამ მოხდენილად. სიარული უხდება ღამაზე სხეულს, დგომაც უხდება, დგომა ჭანდაკებად, ერთისიტყვით ყველაფერი უხდება, ჩამოჯდომაც უხდება, თუნდაც ჩაჯდომა ისე ღრმად, ღამაზე წვივები რომ შემალღებულა და ტანი ნახევრად ვადასვენებულა. თავის ჩანთას მოითხოვს, არც შეირხვეა, ისე მოითხოვს. სწრაფად მიერთმევა. ვადაპხსნის, პაპიროსს ამოიღებს, ასანთს მოითხოვს, ცხადია მიერთმევა უსწრაფესად. მოუკიდებს, ბოლში გაეხვევა. სანდროს არ მოსწონს პაპიროსი, არც კაცისთვის, არც ქალისთვის, მაგრამ ამას ესეც უხდება, ბოლი ადის, ბოლისფერი უხდება სახე, ბოლში ციმციმებს ჯადო თვალები. თვალები ციმციმებენ ცოცხლად, სწრაფად, თორემ ისე მთლად მოდუნებულს მიემგვანება, თითქოს ამ-

ქვეყნად აღარაფერი სურს, ან რაღაც ამბავს დიდად შეუღონებია თუ შეუფიქრინებიაო. არა ასეთად არ წარმოუდგენია, — ეს ზომ დიანაა, ისაა, რომ შეუძლია დილამდის იცეკვოს, იმღეროს, იმხიარულოს, ამხიარულოს ხალხი, დილამდის იმხიარულოს და თუ დღეც წაება, სამხიარულო არც იქ გამოაკლდეს, ეშხი არ გამოილიოს მაშინაც. აქ სულ სხვა არის. არა, უეშხო არც აქ არის, — პირიქით, ალბათ, ასეა ყოვლად ეშხიანი, ყოვლად მომხიბლავი, ყოველშემთხვევაში სანდრო მოხიბლულა, მოხიბლულა და შორიახლოს შეჩერებულა; შორიახლოს შეჩერებულა და მართალიც არა ჰგონია, მოჩვენება ჰგონია. ისე უჩვეულო იყო ეს საღამო მისთვის, ისე წარმოუდგენელი გახლდათ დიანას მობრძანება იმის სახლში. უნდა მიუახლოვდეს და შიშობს არ გაუქრეს მშვენიერი ჩვენება. მაგრამ სიშორეც ძნელი მოსათმენია, რახან აქ არის ძნელი გამხდარა, თორემ მართლაც შორს რომ იყო, არც ეძნელებოდა, არც უფიქრია, დაახლოვებოდა. ახლა აქ არის, დაე ჩვენება იყოს, დაე გაუქრეს, მიუახლოვდებოდა თუ არა, — მივა, მორიდებით მივა, ემანდ მართლა არ გამოქრესო, ფეხებთან ახლოს დაუცუტქდება: რა იყო, სად ვიყავით, რას შევესწარიითო, შეეცითება.

— გაიგებ... — მიუგებს, ბოლოს ააყოლებს სიტყვასაც, თვალსაც.

რა თქმა უნდა გაიგებს, მაგრამ ასეთი პასუხი როდი უნდა, ისეთი უნდა, სათქმელი მოჰყვეს, საამისოდ ამა რაღა მიუგოს? — თუმცა რად არა, ყველაფერს თავისი მისაღვენებელი ჰქონია, ყოველ სიტყვას თავისი მისაღვეარი:

— რა დარჩენილა გაუგებარი...

— ბევრი რამ.

— არაფერიო, ნათქვამია.

— ისეა ნათქვამი, ვისთვის სანუგეშორდ, ვისთვის შესაშინებლად.

— ჩემთვის?

— ცნობისმოყვარეობის დასაოკებლად — ცერად ჩაჰხედავს კიდევ რას იტყვიო.

სანდრომ შეჰღიმა, კეთილი, დავიკებ ცნობისმოყვარეობასაც. ცნობისმოყვარეობასაც, წარბების ახრაც. ცნობისმოყვარეობის მოწყურვაც, ვინ იცის, დილამა არ იქმაროსო. იმას არ უნდოდა სახის ამდენი მირევმორევა თუ მიმოდრეცა, ერთის მოქნევით გამოსთქვამდა სურვილს, — პაპიროსიანი ხელი გადმოიქნია, სად დავაგდოო. მერე ხელი თვალბეზე აიფარა, ფიქრს მიეცა თუ ზმანებას, სულერთია, ყურადღება აქეთ აღარა ჰქონდა. ხელი ეკიდა მოწყვეტილივით, ნამწვი ილეოდა თითებში. სანდრომ გამოაყალა ნამწვი. ნატუჩარს ვარდისფერი მოსდებოდა. არც ჩაწეწვილიყო ნატუჩარი, არც დასველებულიყო, ისე ნაზად, ისე ფაქიზად შეჰხებოდა. ნატუჩარიდან ტუჩებისაკენ გაქცეა თვალი: ფეთქდა ტუჩები, თითქოს ფეთქდა ლამაზად მოყვანილი, მცირედ ბუსუსიანი, ნდომის აღმძვრელი. ტუჩები გადაიტკიცებოდა და გამოიწვდებოდა, თითქოს სიზმარში ჩურჩულებდნენ. მოგესურვებოდა ყური მიგეტანა, სულ ახლოს მიგეტანა, გაგეგონა ჩურჩული იგი; მოგესურვებოდა და მოესურვა, ოღონდ უცბადაც ვერ მიეტანა ტუჩებს. ჯერ ჩამოგარდნილ ხელს დასწვდა. თითებქვეშ გამოჰხედა, ელვად გამოსჭრა თვალმა. „ნამწვი ჩამოგართვიო...“ — ესლა სთქვა ვაჟკაცმა. „ალბათ გადააგდებ...“ — ოღნავ ჩაიციანა, მერე ის ხელი თავის ჩანთას მიატანა, არც შებრუნებულა, არც მიუხედნია, ისე, ნაჩვევად ააფათურა თითები ჩანთაში, ვერ იპოვნა, დაეხსნა, ისევ დაჰკიდა ხელი. სანდრო იღვა ნამწვიანად, შემდეგ გადაგდება გაახსენდა, თუ მოიფიქრა, აჩქარებით გავიდა, აჩქარებითვე შემოვიდა, რას მოეშურებოდა, ძნელი სათქმელია, ოღონდ მიახლოვებამდის სიტყვამ შეაყენა:

— დასაღვევი არაფერი გაქვით?

— ღვინო.

— თქვენი ხეივნისა...

— დიას!.. — მოწონებით მიადევნებს..

ის გაიცინებს:

— ვინდამ იცის!.. გორიოსა და ლუ-
არსაბის შემდეგ ვინა ტრაბახობს თა-
ვისი ღვინითა.

— რატომ?! ეზო ვისაცა აქვს, ღვი-
ნოცა აქვს მცირეოდენი.

— რა არის მერე მცირეოდენი?

— რაც არის...

— მცირეოდენი და არაფერი ერ-
თიდაიგივეა, მცირედითაც არ ივარ-
გებს ტრაბახი, როგორც არაფრითა.

— შე არცა ვტრაბახობ.

— იტრაბახეთ, ცუდი არ არის, იტ-
რაბახეთ!.. ეგება კონიაიცი გაჭვთ
თქვენი ხეივნი?

— ჰმ!.. არა...

— არც იცით, სად იშოვება?

— როგორ არა!.. — ფიცხლად და-
ტანს, ოღონდ ისევე არ აესწრაფება,
თითქოს ვერ მიმხვდარა, ან კიდევ სხვა
რალაცას ელის.

— პაპიროსიც არ დაგავიწყდეთ.

— არა...

აღარც მიუხვედრებოდა შეიძლებო-
და, აღარც დაეცა... ლალის ყვავილებ-
მა რომ ზარალი მიაყენა, ჯერ ისიც ვერ
მოენელებინა, მოულოდნელად ამდენი
ხარჯი გვარიანად შეაფიქრებდა, მა-
გრამ ყოყმანიც აღარ ივარგებდა: სურ-
და? უნდა აღსრულებულიყო. ეამებო-
და იმისი სურვილი, აღსრულება იმის
ბრძანებათა და კიდევ ბევრი ასეთივე
სიამე ელოდა, ბევრი და აღმტაცა, განა
ივარგებდა ახლა ყოყმანი? — არა, არ
ივარგებდა, საზიანო იქნებოდა, დიდად
საზიანო. აქ ტუჩზე იკბინა, მიხვდა,
ისევე ანგარიში გამოსდიოდა, შეშინდა,
კიდევ არ შეეცდეთ, შეშინდა და ინანა,
— ავი ვთქვი, ბუნებას უნდა გავდიო,
ბუნებისდარი უნდა ვიყვე-მეთქი!..
„აღსრულოს!“ — თითქმის ხმამაღლა
ამოიძახა და გავარდა აღსასრულებლად.
ამ ძლიერმა შთაგონებამ უშველა,
ძალიან უშველა, თორემ დაბრუნდებო-
და ხელცარიელი: დაგვიანებულიყო,
გამოეკეტათ მალახიები, რესტორნებიც
გამოეკეტათ, ერთი-ორგან გაჭირვულ-
ებულ მოქიფებებს არ გაეშვათ რესტო-
რნის მსახურნი, მაგრამ რა გამოვიდა, ან

არა ჰქონდათ ან არ გამოუჩინეს სახლში
გასატანებლად; ბოლოს სეფურფურსა
სტორანში გამოუჩინეს კმახისსხლად
დაუფასეს და წარბიც ვერ შეხარვევი-
ნეს... დაბრუნდა კმაყოფილი, რახან
აღასრულა. ის ისევე იჭდა, იჭდა თუ ნა-
ხევრად მიწოლილიყო, როგორც დას-
ტოვა, ისევე დახვდა. თავიც არ წამო-
უწევია, თითებშუაეც არ გამოუცურე-
ბია თვალები. ალბათ. წასთვლიშაო, —
ფხეხაკრფით მიუახლოვდა, დაჰხედა,
მხოლოდ დაჰხედა და გაბრუნდა ფხეხა-
რფით. კონიაის ბოთლი გაჰხსნა, და-
ბალღება მაგიდაზე დააწყო ჭიქები, და
ტბილუული, — ტბილუულიც გამოი-
ყოლა, პაპიროსიც არ დაგიწყებია,
რათქმუნდა, — ასწია მაგიდა, ფრთხი-
ლად, უჩქამოდ მიიტანა, გვერდით მი-
უდგა. მაშინვე წამოიწია, თურმე ბუ-
რანში როდი ყოფილიყო, არც არაფე-
რი გამოჰპარვოდა, მაშინვე წამოიწია,
წინ წამოჭდა, ჭიქა აიღო, გაუწოდა,
დამისხიო. ამანაც დაუსხა, ცოტა არ
იყოს აქანებული ხელით დაუსხა, კინა-
ლამ დაექცა. თვალი ჰკიდა, თითქოს
მონუსხაო, გაჰყინა აქანებული ხელი.
მერე მაჯას თითები მიატანა, მხურვა-
ლე თითები, მცხუნვარე თითები, ოდ-
ნავ მიატანა, თორემ გადასწავდა, მია-
ტანა და გასწია, გაიცილა ბოთლიანად,
მეყოფაო. ცოტა მოსვა, ცოტა და ცო-
ტა, ნელნელა გამოსცალა უთქმელად,
ლიმილით, თვალთა ეუქუნიით; უთქმე-
ლად, ოღონდ მეტყველად, — რად და-
გაგვიანდაო, ესეცა ჰკითხა, შენ რატომ
არა სვამო, ისიც; აშხელა სახლში მარ-
ტო ხარო, არც ეს გამოჩინა; თქვენთვის
დაგვიანებული ხომ არ არის, ხომ არ
დაიღალეთო, არც ისა. სანდროც ილი-
მოდა, ეჭირა თავისი ჭიქა ტუჩმიუ-
კარებლად, თითქოს მიმხვდარიყო, თი-
თქოს ვერა, შეჰლიმოდა და ვითომც ეს
იყო ყველაფრის პასუხი; შეჰლიმოდა
და ნდომა ეძალებოდა, თითქოს ბრყ-
ვული ღიმილი თანდათანობითა მძეინ-
ვარდებოდა, შმაგდებოდა თვალი, მთე-
ლი სხეული შმაგდებოდა. ის სვამდა,
თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, თითქოს

თამამობდა და სვამდა. ასწევდა ჭიქასა, კონიაკის ზოლს ვაჰხედავდა, ზოლით ვაჰყოფდა იმის თვალებს, ისე ვაპოზილს ვააქცერდებოდა; ტუჩებთან მიიტანდა, ააცილებდა თვალს, აღარც აღარაფერს ჰხედავდა, ფიქრთანად მოსვამდა, ფიქრთანადვე დაღვამდა ჭიქას, ხელს არ შეუშვებდა, დაჰყურებდა ფიქრთანად. სანდრო უმატებდა, მცირედ, წვეთწვეთად უმატებდა, ისიც მცირედვე, წვეთწვეთადვე სვამდა ან მხოლოდ ტუჩებსა ისველებდა, მაშინვე იშრობდა ფიციხე ტუჩები. მერე შეერყოლდა თუ შეძრწუნდა, მხრები მოეზინქა, შეერხა წელი. თვალები მიანაბა, საბანი ითხოვა.

სანდრო გავარდა საბნისთვისა, გავარდა დაუფიქრებლად, კიბეს რომ მოექცა, შეყოვნდა, რალაც მოისაზრა, — „მობრძანდით საწოლში!“ მოიფიქრა და თქვა. არ უუარანია, წამოდგა, საით მიბრძანებთო, თვალებით ჰკითხა. მე ვაგვიძღვებთო, შესძახა სანდრომ, როგორღაც უცნაურად შესძახა, დაუოკებელი ძალა თუ მოსწოლოდა, ხოლო მცირე ხანს დაუოკებლობაც არ ივარგებდა: მოდიოდა, უახლოვდებოდა, მიუახლოვდა, გამიძახებთო, სანდრო აღვიღს მოსწყდა, აირბინა, აარბენინა იგივე ძალამ, წამობრძანდითო, სთხოვა, სთხოვა უცნაურად: შეძახილი უცნაური ყვირილი გამოდიოდა, თხოვნა — უცნაური ჩურჩული. ის სულ ახლოს მივიდა, მხარით შეეხო, სანდრომ ხელი მოჰხვია, იმან მხარზე დააყრდნო თავი, და ველარ გაუძღვა, თვითონ ვაჰყვა, ნელნელა, ტაბით ვაჰყვა; ის მიდიოდა ტაბით, მიდიოდა და მიჰყავდა დამორჩილებული. კართან შეჩერდა: „კონიაკი დაგრჩათო!“ — სინანულითა სთქვა, თქმავე ვერ მოასწრო, სანდრო გაცალა, თქარათქურით დაეშვა კიბეზე, თქარათქურითვე ამოვარდა, მაგრამ ის ვაშქრალიყო. ჯერ ასე ეგონა, მართლაც ვაჰქრაო, მომეჩვენა, მოჩვენებამ გადაიარაო; ჯერ ასე ეგონა, ერთი წამით ეგონა, მერე ეძგერა მოხურულ კარსა, ოღონდ ვერაფერი დააჯ-

ლო, მოკეტილიყო კარი. დაიგვიანა თუ დაიღმუვლა ან ისეთი ტუჩებზე, რუქებსკდა, ორივეს რომ მიემგვაიებოდა, ოღონდ არ დაიბნა, მეორე კარიცა ჰქონდა საწოლს, იქით გავარდა. იქ ძალა მოიკრიფა, ფეხბაკრუფით მიეპარა, ფრთხილად დასწია სარაზავი, წამიც და ის გმინვა თუ ღმუილი ველური ყიყინით შეიცვლებოდა, ყიყინა კიდევაც მოჰხეტქებოდა ყელსა, მაგრამ ვაგლახ, იქავე ჩაწყდა, — ის კარებიც მოკეტილიყო. ყიყინა ჩაწყდა, ხოლო ძლიერმა ძალამ კიდევ მიაგდო წინა კართან, მუშტები ააბრახუნა კარზე, თითქოს უნდა შეამტვრიოსო.

— რა ამბავია?! — წყრომა მოისმის.

— კონიაკი მოგიტანეთ... — ვითომც მორიდებით ვაეპასუხებდა.

— გმადლობთ, აღარ მინდა.

— მანდ იყოს, ეგება მოგინდეთ.

— გმადლობთ, არ მომინდება.

— მაგრამ... — სიტყვა იშშობა,

თითქოს სული შეგუბებულაო.

— მოისვენეთ! — ბრძანებად ვაისმის.

მხრებჩამოყრილი გამობრუნდება, შორსაც ვერ მიდის, იქვე ჩამოჯდება კიბეზე, თითქოს მხრები და მკლავები ექინჭრებაო, ხელებს ისვამს მხრებზე, მკლავებზე, თვალებსაც ისრესს, რილაცის იმედოცა აქვს, — ეგება თამაშია, ეგება გამოვიდეს, იშშოს ან მიეპაროს, ჰა, რომ მომეპაროს, ისე მომეპაროს, ვერაფერი ვავიგოო. ვავიგებ, მაგრამ ვითომც ვერ ვავიგეო. ან მართლაც ვერ ვავიგებ, სულმთლად გამოვყრუვდები, აჰა, გამოვყრუვდი, აჰა, მეპარება. მაგრამ თუ ვგრძნობ, რალა გამოყრუვებაა, რალა მიპარება გამოვა, მართლა უნდა გამოვყრუვდეო. და მიყურდებოდა, მიინაბებოდა, მიტვრინდებოდა და უცურად მხრებს აიქნევდა, შებრუნდებოდა უსწრაფესად. მერე ბრაზობდა, ასე არ მოვა, არ მომეპარება, ჩემი ბრალია, მევე ვაფრთხოობო. რომ დაეთმინა? ჰჰ!.. ვერ დაეთმინა, ვერ დაეთმინა...

XVIII

დილით კვლავ მიადგა საწოლის კარს, გამოეძინა, დანაყრებულიყო, უნდოდა შეეძახნა, სამსახურში მივდივარ, ზომ არაფერს ინებებთ ან რას მიბრძანებთ, რას დამაბარებთო, — ასე მზრუნველი სიტყვები უნდა ამოეთქვა მზრუნველი ხმით, ოღონდ ვერ გაბედა, მაინც ვერ გაბედა, ვინ იცის, რატებილ ძილს მისცემია, რად დავუფრთხო ნეტარი ძილიო. ამჯობინა უთქმელად წასულიყო. გაპარულიყო ისე, იმის მოპარება როგორც უნდოდა. მობრუნდებოდა, ზრუნევაც მაშინ გამოეჩინა, ხერხიც, თუ გაუჭირდა რაიმე ხერხი. ასე ამჯობინა, ასეც მოიქცა... ოღონდ საქმეს ვერ დაუდო გული, იწრიალა, იფორიაქა სამსახურში, ავადმყოფობა მოიგონა და არც მოიგონა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა, მთავარი გონება შინ მიუბრბოდა. დრო იხელთა და მართლაც გაიქცა, სულმოუთქმელად აიბრძინა საწოლამდის, მაგრამ რა გაგიშვია, რას ეძებო, ძეხორციელი არა ჭაჭანებდა არც იქა, არც სხვა თთახებში. საწოლები გასწორებულიყო, თითქოს იმისაც არ მიჰკარებოდა არცერთი სულიერი. ნამდვილად მოჩვენება იყო, გაიფიქრა, ნამდვილად და ჭეშმარიტად, დაიბეჯითა, ასეც უჯობდა, მარცხის გრძნობა აღარ შეაწუხებდა, აღარც ძებნას დაუწყებდა, გამოეთხოვებოდა უსინანულოდ, გაუქრებოდა, როგორც ლანდი რამ, ვითარცა სიზმარი, წაუვიღოდა დასცილდებოდა. ასე ერჩივნა, ასეც გადასწყვეტდა აზრი, ხოლო გული ეურჩებოდა, ისევე ფორიაქობდა, კვლავ ანგარიშობნას ასდევნებოდა, — რა ქმნილა აღთქმა ბუნებისდარობისათ. ვის შესდევებოდა, ვის გასდევნებოდა, — იყო და არა იყო რაო. თუმცა არა, უკვალოდ მაინც არ გამქრალიყო, სარკესთან საფერფლეში ეყარა ნაშფვები პაპიროსისა, ფერფლი ეყარა. ველარ იტყოდა, მოჩვენება იყო, ველარც დაიჭერებდა, ველარც მოისვენებდა. ნეტავი ეს კვალი მაინც არ დარჩენილა,

კვალი ფერფლისა არ დარჩენილა, თან წაეტანა, გაეყოლებინა; ან, ეგეტ უსჯერ თესი იყო, რომ დარჩენილად დარჩენილად გებაც დაუტოვა, როგორც ნიშანი სამარადისო ვარდაგებისა. ნუ გაზრდის ასე, ნუ გასჭიმავს, ნუ გააზვიადებს, შემთხვევით დარჩა ან არ იცოდა, სად გადაეყარა ან არც ახსოვდა, არა ფიქრობდა ნაშფვსა თუ ფერფლზე, სიცოცხლეზე ფიქრობდა, ცოცხლობდა სიცოცხლითა, ფერფლი სხვათათვის დაეტოვებინა.

სანდროსათვის წამაქეზებლად იქცა: შეჰხედავდა, მოსვენება ეკარგებოდა, უნდოდა ვარეთ გაეარდნილიყო, უნდოდა ებოვნა, შინ მოეყვანა, აქ მოეყვანა, ფერფლი რომ მიემატებინა ამ ფერფლისთვის, ძეგლი აეგო თუნდაც ფერფლისა; ჰო უნდოდა და ვარეთ გაეარდნა იმის ხელთ იყო, გაეარდებოდა, დაბორილებდა, ღობეყორეს ედებოდა, ეს ამის ხელთ იყო, პოვნა არ გახლდათ ამის ხელთა, ვერა ჰპოვებდა, ველარ შეჰხვედროდა; ძეგლიც ოცნებაში იკარგებოდა, ის ფერფლიც იფანტებოდა, ჰქრებოდა, მხოლოდ ღერებილა ეწყო, თითქოს ხელშიუყარები, ტუჩშიუყარები ღერები. კვლავ გაეარდებოდა ქინეულიან ჭურჭელში. ქინელიანი შემოდგომა დამდგარიყო, საწვიმრებში გამოწყობილიყვნენ, ფერადფერად საწვიმრებში, შინდისფერებშიც, რათქმაუნდა, ჰოდა ის შინდისფერს გაეკიდებოდა, მიუქრებოდა შინდისფერი ან სხვა შერჩებოდა ხელში. სხვა რომ შერჩებოდა, რაღას იზამდა, რაღას აწამებდა, — რომ მიუქრებოდა ის ეგონა თავისი საპოვნელი, იქა ტრიალებდა, სადაც მიუქრებოდა: რომელიმე სადარბაზო იქნებოდა, აფთიაქი თუ მალაზია ან დაწვესებულება იქნებოდა, კინოთეატრი თუ დრამატული თეატრი. კინოში ყოველ სენასზე დარბოდა, თეატრიდან უკანასკნელ მაყურებელს გამოაცილებდა, აღარსად იყო, აღარ მოჩანდა, თითქოს იქ შევიდა, გამქრალიყო თუ მიმალულიყო ან მოჩვენების ავადმყოფობა დამართნოდა. დამემართა და და

მემართოსო, როგორც დამემართა, ისევე გამივლისო. და კვლავ მისდევდა შინდისფერ საწვიმარს. კარგი დარი თუ იყო მოხდენილ მხრებს, ლამაზ კისერს გაევიდებოდა. ეს არაფერი, ბევრი არ იყო გამორჩევილ ლამაზი, ეს არ ითხოვდა ბევრ ჯაფას, სხვა იყო შინდისფერი საწვიმარი, ბევრს ეცვა, ბევრი სჭირდა თვალსა.

ყველა საჯარო ლექციას ესწრებოდა, უსმენდა ფილოლოგებს, ისტორიკოსებს ხელოვნებათმცოდნეებს, მუსიკათმცოდნეებს, ასტრონომებს, კოსმონავტიკის მცოდნეებს, მეატომებზე, ჭიმიკოსებს, სოფლისმეურნეობის სპეციალისტებს ფეოლოგებს, საერთაშორისო ურთიერთობის მიმომხილველებს, ვის აღარა, სახალხო უნივერსიტეტის მსმენელადც ჩაეწერა, რაღას აღარ ისმენდა და კიდევ კარგი, გულსყურით არაფერს ისმენდა, კიდევ კარგი, მთავარი გონება სხვაგანა ჰქონდა, თორემ ამდენის მოსმენა ან ბრძენად აქცევდა ან გაასულელებდა. თუმცა გასულელებას აღარა მაკლია რაო, თვითონვე იტყოდა, ოღონდ ისე იტყოდა, რომ არა სჯეროდა, ჯერ მაინც არა, არა სჯეროდა. ვინ იცის სჯობდა დაეჯერა, ეგება მიემართა ეჭიმიათვის, მაგრამ ჭიუტობდა, არ იჯერებდა, არც ეჭიმებს მისჩვეოდა, მერე ასეთ უცნაურ ეჭიმებას, მოჭკვიანება რომ გაუხლიათ ხელობად. ყოველშემთხვევაში ფსიქოლოგთა ლექციების მოსმენა მაინც უნდოდა, მაგრამ როგორღაც მომხდარიყო, იმ ხანებში ფსიქოლოგთა ლექციები არ დაენიშნათ, გაუვლსდა, ჯავრიან გულზე მისწერა მეცნიერული ცოდნის გამაერცვლებელ საზოგადოების განყოფილებას, განყოფილების კრებასაც დაესწრო, სიტყვაც აიღო, გააკრიტიკა განყოფილების მუშაობა, ეს რაა პავს, სად არიან ფსიქოლოგებიო, ხალხი მოითხოვსო. მოითხოვსო და მოიწვიეს ფსიქოლოგები, განა ერთი, განა ორი, ყველა ცნობილი ფსიქოლოგი მოიწვიეს თბილისიდან. ყველას ესწრებოდა, ყველას რიგში იჭდა, მთავარ გონებას იკრებდა მიაღვენებდა გულსყურს. შეკითხვე-

მსაც აძლევდა, ოღონდ ვერ გამოტეხილიყო თუ რა უნდოდა. მისივე განგაღ თეორიულ დებულებებს უსმენდა, ისიც ზოგად შეკითხვებს ამოიძახოდა, პასუხებიც ასეთივე მოსდევდა. ვერავენ მიმხედარიყო თუ რა უნდოდა, ვერავენ მიახლოებოდა მოჩვენებათა ბუნებასა თუ მიზეზთა. მაინც მადლობას მოახსენებდა, ტაშს უყარავდა სხვებთან ერთად, მიაცილებდა ტაშითა და მადლობით. მიაცილებდა და მიეშურებოდა სხვა ლექციაზე, აქ რომ არ იყო, მამ იქ იქნებო.


იქიდან კიდევ იქით გაეწურებოდა, ფეხქვეშ ამოიგო ქალაქის ქუჩები, ვის არ გადაეყრებოდა, ვის არ შეჩვედებოდა, ნაცნობთა თუ უცნობთა. — ნაცნობებმაც შენიშნეს, უცნობებმაც შენიშნეს: ბევრს დადისო. საიუვილერო მაღაზიასა თუ ყავშორგაბშულობის სახლთან დგომის მოყვარულ ახალგაზრდებისათვის ხომ სასერიოდ იქცა: აქეთ შემობრუნდებოდნენ, — არიქა, მოაქვენებსო, იქით შემბრუნდებოდნენ, — არიქა მოაქვენებსო. მხოლოდ ეს არის, არავინ იცოდა რას მოაქვენებდა, რა მოაქვენებდა. უცნონი ხომ ვერ მიუხვდებოდნენ და ვერა, ნაცნობთათვისაც გაუგებარი იყო. ან არც ეკითხებოდათ: ჩედაც არ შეჰხვდავდა ისე ჩაუვლიდა ქადრაკის მეგობარი, სამსახურში თუ დაეხმიანებოდა, საქმეზე ელაპარაკებოდა, გარეთ არა, არც ისე, არც საქმეზე ჩამოუფდებდა სიტყვას. ტუნებს მოპრტუნავდა იმისი ცოლი, არც იმ შეჰხვდავდა. ლალი შეჰხვდავდა, სულ ახლოს ჩაუვლიდა, დეარძლიან სიტყვას გააგონებდა. მაგდას თვითონვე ერიდებოდა, გულთამბილაგია. ვინმე თუ მიმიხვდება, ის მიმიხვდება, რაც დამარბენინებსო. სადღაც შინდისფერი საწვიმარი გადათულებდა და ესეც ავიწყდებოდა, ყველა ავიწყდებოდა, ველარც ველარავისა ჰხვდავდა, იმ ფერის გარდა ველარაფერს.

ერთი ცნახოთ სპორტდარბაზში შეეღვდა შინდისფერი, მაგდას დაი შედიოდა, იმას მიადევნა თვალი, ელვად წამოეწია შინდისფერი, შეეღვდა და შეი-

ტაცა. მიჰყენენ სხვანიც, ადრეც შედიოდნენ გუნდგუნდად, ჭაროჭაროდ, სათითაოდაც, შედიოდნენ, და შედიოდნენ, შემსვლელნი ბევრი იყო, გამოშვლელი აღარა. იქ რაღაცა ხდებოდა, ისიც იქ იყო, დაღუნა თავი, მიჰყვა ტალღას ახალგაზრდათა. ტალღას რომ მიჰყვა, ისუვლა უცბად იმ ტალღამ, გაცვივდა, გაიბნა, ზოგი სად ჩაიჭვდა, ზოგი სადა. ისიც ჩაიჭვდა. კიდევ მოდიოდნენ, კიდევ იჭედებოდნენ, ტყვა აღარ იყო მერხებზე კედელთა გასწვრივ. ფეხზეც იდგნენ, ფეხბადაც ტყვა აღარ იყო. იმას როგორღა შეხვდა ადგილი, კარგად ვერ გაეგო: თავდაღუნული რომ მიიწევდა, ორი ქალიშვილი გაიყო, იმათ შუა ჩავარდა, ვიწროდ ჩავარდა, მიიწმობიწმობის, ცოტა უხალგაოთეს; ჰო, ჩავარდა, ჩაქდა მონებრებულ ადგილს და შეეძლო ადვილად მოკებნა შინდისფერი თუ იქ იქნებოდა. ეჭვიც ასდევდა, მომჩვენნა ან მინამგვანს მივატანე თვალიო. მინამგვანიც არავინა ჩანდა. აღარც მაგდას დაი მოჰხვედრია თვალში. ერთად შემოვიდნენ, ერთად იქნებოდნენ. არც ისა ჩანდა, ისიც ხომ არ მომჩვენნაო; არ მომჩვენებოდა, მიფარებით თუ მიმჭდარა, ისიც იქვე იქნება მიფარებით, ადრე თუ გვიან გამოვარჩევო. ოღონდ მანამდის მხოლოდ ამას არჩევდა: შემოდოდნენ და იჭედებოდნენ, მსაჯები ადგილებს იცავებდნენ, მთავარი მსაჯი რაღაცასა ბრძანებდა, ჯერ მხოლოდ მსაჯთა გასაგონადა ბრძანებდა, მოიხმობდა და გაისტუმრებდა, მიმორბოდნენ ისინიც. დიდი დაუტრებით მიმორბოდნენ ან ჩამოსხდებოდნენ ზოგნი რგოლებთან, ზოგი დვირთან, ზოგი ტაბთან, ზოგი ორქელთან, ზოგიც იქვე, ხალიჩასთანა. ისიც ხალიჩასთან მოხვედრილიყო. ერთი იქვე უჭდა, დიდ დაკთანს აწვალეზდა შევიბრის დაწყების მოლოდინში, ქულათა მაჩვენებელ დაკთანს. შუაში რომ ჩაუჭდა, იმ ქალიშვილებში აუხსნენ, უმაღლეს სასწავლებელთა ტანმოვარჯიშეების შევიბრი იწყებო. მთავარი მსაჯიც იმათ დაანახვეს, სხვა მსაჯები ხომ ისედაც გამოორ-

ჩაუღიფენენ ქულათა მაჩვენებლებზე. თვალს შემოატარებდა, იწყებდა იწყებდა, თვალსა, კიდევ შემოატარებდა, კიდევ იანი ამოდოდნენ თვალში. ის არ იყო, არ უნდოდა დაეჭრებინა, მომჩვენნაო, მაგრამ იქვე დასძენდა, ჯერ მაგდას დაი დავიანაო, მერეღა ჩაეთელი მოჩვენებდაო.

ღა ჩასთვალა მოჩვენებად: მაგდას დამ გამოირბინა ერთი ცარიდან, მეორეში შევიდა, იასამნისფერი სპორტსამოსი იცვა. სხვანიც მიჰყენენ, იქით კიდევ სხვებში წაირბინეს, საღდაც გროვლებოდნენ თუ ბრძანებას ელოდნენ. იმათი საქმე იყო, რაააც უნდა დალოდებოდნენ, ეს მორჩა თავის გამოკლებას. აქ რალა მინდაო, — მაგრამ თუ ადგებოდა, ეგრე შეატყო, მთელი გუნდი უნდა აეგლიჯა, თან აეტანა, ისე ჩაქედლიყო, ისევ მოცდა ამჯობინა, როცა იქნებოდა შეთხელდებოდნენ, იდროვებდა, გაჰყვებოდა თავის ჭხას. მალე მაინც არ შეთხელდებოდნენ. ეს არის ცაისმა ბრძანება მთავარი მსაჯისა, საყოველთაო, ყველას გასაგონი და გუნდებიც გამოვიდნენ მწკრივად, შეწყობილი ნაბიჯით გამოვიდნენ სპორტსამენი გოგონები. წინ ის მოდიოდა შინდისფერ სპორტსამოსში გამოკეართული. სხვათა ფერები უფრო მუქი იყო, იმისი გამოჩრქეული, სხვებიც ჩამოქნილიყვნენ, ის მაინც გამოჩრქეულიყო, სხვანიც მსუბუქად, ლალად მოდიოდნენ, ის მაინც გამოჩრქეულად, სხვებსაც მოწონებით შეჰყურებდნენ, იმას მაინც გამოჩრქევით. მოდიოდა დახვეწილი ნაბიჯით, დახვეწილი რჩევით, — იყო სადა, იყო ბუნებრივი, მშვენიერი, თვალის მიმტაცი, მხოლოდ სანდროსათვის როდი, სხვათათვისაც, ყველა შეჰყურებდა სანდროს თვალითა და, ცოტაარიყოს გული მოსდიოდა სანდროს, უცნაური სურვილიც მოსდევდა: რა იქნება, ყველა რომ დაბრმავდეს, მხოლოდ მე ერთი შევეყრებდე, ისიც მხოლოდ მე მხედავდესო. ეს, რა თქმუნდა, ასანდენი სურვილი არ იყო, მაგრამ ახლა ისიც ახარებდა.



ამჯერადაც მოჩვენება რომ არ გამოვდგა, ნამდვილი ვახლდათ ის შინდისფერიც, ეს შინდისფერიც, ისევე ნამდვილი, როგორც მოყვანის ბრძანება მთავარი მსახრისა, შეჩერდითო. შეჩერდნენ, შემობრუნდნენ. ის პირდაპირ მოეჭყევა, სულ პირდაპირ თუ არა, მაინც ასე ითქმის: ჰყვდას თუ არა, ეამება თუ არა იმისი დანახვა? ვერ მიუხვდა, ვერ დაინამდვილა. ეგრე ეჭირა თავი, თითქოს არც არავისა ჰყვდას, არც არავისი დარდი აქვს, მხოლოდ ერთი ფიქრით აღესილა, გამარჯვება მოუტანოს თავის გუნდსაო; სხვა არც არაფერი სურს, არც არაფერი უნდა, არც არასოდეს დაინტერესებულა სხვა არაფრითა, ეგრე ეჭირა თავი, ჯადო თვალები მიემალა, მიეჩქმალა, ხშირად წამწამები ჰფარავდა ჯადო თვალებს. ან ჯადო სულაც გაეჭრო თვალთვან სპორტული ეშხითა და გატაცებით აღესილიყო.

ცუნდები დამკვეს, დაანაწილეს, იმისი გუნდი ორქელზე მოხვდა, თვალი ძლივს მიუწვდებოდა, მიახლოვებაც ძნელი გახლდათ, აქაც ადგომა არ უბერხდებოდა, იქაც ნემსი არ ჩაევარდებოდა. იქ თვალი ძლივს მიუწვდებოდა, აქვე, ხალიჩაზე რომელიღაც ცუნდი უჩვენებდა თავის ხელოვნებას, რომელიღაცა, უნივერსიტეტისა, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა თუ სხვა რომელიმე ინსტიტუტის, არც ყური უგდია, არც ეკითხებოდა; რთულსა და ლამაზ ვარჯიშს ასრულებდნენ მშვენიერი გოგონები, საუკეთესოდ დაოსტატებულნი, ვერც ამჩნევდა; სხვანი მოხიბლულიყვნენ, ტაშს უკრავდნენ, არც ცაეგებოდა. სამაგიეროდ იქ, მოშორებით შინდისფერი რომ გაიღვებდა და ტაში მოსწყდებოდა, კარგადაც ცაეგებოდა, სიამეც ჩაეღვრებოდა გულში. მაგრამ სულ შინდისფერი არა ელავდა, ტაში სხვასაც ასღევდა აქაც, იქაც, იქითაც და უნდოდა ყველა ტაში იმისი ყოფილიყო; წელან რომ ინატრა, ყველა დაბრმავდესო, ახლა ეს სანატრელი აღმნდა: ისღა იყოს ასპარეზზე, სხვა ყველა გაჰქრესო. არც ეს გახლდათ აღსასრულებელი სურ-

ვილი, მაგრამ ტაში მაინც მხოლოდ იმისად უნდოდა. თავის გულში იმისი მიუთვალა, ეს ადვილი იყო, ადვილადაც ასრულებდა, სპორტსმენები ახარტში შედიოდნენ, ტაში მატულობდა, მიუთვალა როგორც უნდოდა, იმის გულში ვინ იჭდა, ვინ აუბირდებოდა. მხოლოდ სანადვლო იყო, იგვიანებდა ის გუნდი ან ძალიან ნელა უახლოვდებოდა ხალიჩას: ორძელიდან რგოლებზე გადაინაცვლა, ხალიჩას სხვა დაეუფლა, მერე კიდევ სხვა, ერთიმეორეს სჯობნიდნენ, ერთიმეორეზე უკეთესნი იყვნენ. შაჯები დაუხარებლადა ჰყრიდნენ მოსაწონ ქულებს, ამასა სწყყინდა, იმას რაღა უნდა მიაკუთონონ.

საიმისო ქულებიც დარჩენილიყო, პირველი შედეგები რომ გამოაცხადეს, იმისი გუნდი მოიხსენიეს თავში. ის მოიხსენიეს პირველთა შორის. სხვაგვარად არც იქნებოდა, უბედებოდა ყოველი რბევა, ყოველი გარბენი, ბრუნე თუ ყირა, ყველაფერი უბედებოდა, დახვეწილიყო ყოველ ვარჯიშში, აგერ ხალიჩასთან რომ ჩამოვდნენ, ყველას დასდებოდა რაიმე ნიშანი ამდენი ჯაფისგანა, თმები ასჩეჩოდათ, ოფლი მოჰკიდებოდათ, მტვერი თუ ლაქა წასცებოდათ, ცანჭი ან მკლავი გაჰაჭვროდათ თუ დაჰბეჯოდათ, ის იყო სუფთა, დაუღლეელი, მშრალი, უწყენელი. წინასწარი ვარჯიშობისას, მოთელვას რომ უწოდებენ, ორი-სამი კამარა შეჰკრა და უკვე მოხიბლა მაყურებელი. სხვა მხრიდანაც დაშორებული კუთხეებიდანაც აქეთ მოაწყუნენ და სანდრომ ინანა, მეც მედევნა, რას დაეწეებე, ფეხი არ მოვიცვალე ამ ადგილიდანაო. ახლა მაინც უნდა დაწებებუდიყო, დამცხვარიყო იმ ადგილზე, თორემ შეიძლება წამოეგდოთ, კიდევ იქულებოდნენ, მხრებზედაც დასწოლოდნენ, წინაც ჩაუტუცდნენ, აღტაცებას ხომ არა ჰვარავდნენ და არა, ერთიმეორეს გასჯობრებოდნენ აღტაცებით... იქით ისინი შეჯობრებულებიყვნენ, აქეთ ესენი. ამათი შეჯობრი უწესრიგობამდისაც მისულიყო, მიკროფონი სიწყნარეს მოუწოდებ-

და, მორჩილდებოდნენ, მაგრამ მალე ავიწყდებოდათ, სანდროსაც იმათებრი ალტაცების სიტყვები ამოსდევდა, თავისთავად, უნებლიედ ამოსცდებოდა, ხელიც ხელს თავისთავად ეტანებოდა სატაშედ, მხოლოდ იმისი გამოსვლის დროს როდი, სხვებითაც მოხობლულიყო, უკვე არჩევდა უკეთესს უკეთესთა შორის, მარცხს ხომ ალღო აართვა თავიდანვე; დაიწყებოდა და თუ მიპყრუებოდა საბაბი აქ შემოსვლისა, მაყურებლად ქვეუღიყო, უნდაოთ მაყურებლად, მხატვრული ტანვარჯიშის მოყვარულად. ასევე იყო, იმას რომ შესცქეროდა. ხელოვნებით მოხობლულიყო, თითქოს აღარ ახსოვდა თუ როგორ გახელებულიყო შინდისფერით.

ნანობდა, აქამდის რად არ მომწონდა სპორტის ეს სახეობაო, თუმცა ჩუმად, გულში შეიძლება გამოტეხილიყო, რომ არც ახსოვდა, მოსწონდა თუ არ მოსწონდა, არც უნახა, ვაგონებით ვი გაეგონა, მაგრამ არასოდეს მიეღვევებინა გულსცუტრი; ახლა რომ მოსწონდა, კიდევაც სწყინდა, სხვებს რად არ მოსწონთო, თუმცა ძნელი სათქმელია, ვის ეღავებოდა, იქ ნემსი არ ჩაეარდებოდა, იმდენი მოსულაყვენ, სხვა რაღა უნდოდა, მთელ ქვეყანას იქ ხომ არ მიიყვანდა? ან ეგებ თვითონ რომ არ იცოდა, ეგონა არც არავინ იცოდა, თვითონ რომ გაიგო, უნდა გაეგო მთელს ქვეყანას. მეტი სიკეთე ვაგონილადა? ვინ იცის, ვინ უწყის!.. ვერ სურვილიც დიდ რამედ ითქმის, მერე წერილის გამოქვეყნებაც დანიზრახა, დღესვე მოველაპარაკები რედაქტორსაო. ეს უბრალო კორესპონდენცია არ იქნებოდა, კორესპონდენტები სხვანიც იქნებოდნენ, თუნდაც აგერ ფოტოაპარატებით რომ ირევიან, ისინიც იყარებენ, ეს სხვა რამეს დასწერს, ვრცელსა, ღრმავაროვანსა, ვთქვათ ასეთი სათაურით, „მხატვრული ტანვარჯიშის ესთეტიკა“. ჰო ამ შინაარსის წერილს დასწერს, სათაურს ყოვეც დააზუსტებს, ეგებ უკეთესი გამოსძებნოს, — გამოსძებნის, სათაური არაფერია, ადვილად მიაგნებს, თუ ვერა და

იყოს, მერე რაო, რა ურთვია „მხატვრული ტანვარჯიშის ესთეტიკა“ მხოლოდ ნაც კარგია!.. მხოლოდ სპორტული ტერმინები არ იცის, ამითი თუ შეეშლება ხელი, მაგრამ ერიპაა, რას შეეშლება, — აგერა მსაჯები, მოეთათბირება, გამოკითხავს, ყაცმა მოინდომოს, თორემ ძნელი არაფერიაო.

შევიბრი მთავრდება, ცხადდება შედეგები, უკვე ვაღიან მხოლოდ სანახაობის მოყვარულნი ან ისინი, ვისაც ეჩქარება. ასეა თუ ისე, ხალხი თხელდება, განძრევა მოხერხდება, ადგომა, მისვლა-მოსვლა შესაძლებელია. მსაჯებმაც მოიცალეს, სწორედ დროა, ვიდრე შთაბეჭდილება არ განელებიათ ან თვითონვე არ დასცხრომია მხურვალემა; ჰოსწორედ დროაო და ხან ერთს გაინაპირებს, ხან მეორეს, შეკითხვებს აყრის, შენიშვნებს არ ერიდება, მოკლე პასუხებით არა კმაყოფილდება, თავს აბეზრებს, მაგრამ უგვეც არაფერი, თვითონ ხომ ვერა ცრძნობს, ისინი ხომ მოთმინებით უპასუხებენ, ან სხვას მოიშველიებენ, ამ საბეობაში ის უფრო გამოცდილიაო; სხვას მოიშველიებენ და თვითონ უგანებენ, უგვეც არაფერი, ოღონდ უპასუხონ, ოღონდ სპეციალისტის აზრი იცოდეს. ის სპეციალისტი, ეს თვითონ აზრი ხალხისა, წერილს მეტიც არაფერი უნდაო. გვიანდა გაახსენდება, რადაც მოვიდა, ან აქ რამაც შემოიტაცა. გაახსენდება და აფუსფუსდება, დარბაზში სპორტსმენებს რომ ვეღარ დაინახავს, შეფუცხუნდება, ოღონდ გულს არ გაიტებს ვერე ადვილად, — აქვე იქნებიან, ხომ უნდა გამოიცივლონ, ეგრევე ხომ არ იცევიდებიანო; ჰო გული არ გაუტყდება ვერე ადვილად, ოღონდ მაინც გაეარდება, მიატოვებს მოსაუბრეს, მთავარ გამსვლელთან დაერქობა, დაერქობა და იქ ერქობა კარგახანს.

კარგახანს, ვიდრე გული გადაეღოოდეს ლოღინით. გულიც რომ არ გადალეოდა, ჰქუა მაინც უნდა მოეკრიფა, უნდა გასცლოდა, წასულიყო, როცა აღარავინ დარჩენილიყო დარბაზში: ჩაეღლოთ მაყურებლებს, მსა-

ჯებს, მწვერთნელებს, სპორტსმენებსაც. ის თუ ვეღარ დაენახა, რა ვუყოთ მერე, იქ აღარავინ იყო, ვეღარც დაინახავდა. როგორ აცეცებდა თვალებს, საით გაეპარა?! მაგდას დაიღამის გადაყლაპა თვალთ, იმასთან ერთად შესული დაინახა, თუ მოდის, ალბათ, იმასთანვე ერთად. ვერა ჰხედავდა და არ უნდოდა დაეჯერებინა, ვერა ჰხედავდა და ვერც ეკითხა. არც არას მიუგებდა მაგდას დაი, — იმისგანაც განაწყენებულიყო, უკმაყოფილო იყო დღევანდელი შედეგებითაც: ბოლო დროს ის იყო მიორველი, ახლა სხვამ გაუწერო, ჩამოიტოვა, არა, არ მიუგებდა არაფერსა, ვერცა ჰკითხავდა, ვერც ახსენებდა იმის სახელს. უნდა წასულიყო ბირში ჩალაგამოვლებული, უნდა წასულიყო და წავიდა, წალასლასდა ნაბეგევივით.

იმ ქალიშვილებს წამოეწია, აქეთ-იქით რომ უსხდნენ, იფიქრა გამოველაპარაკებოთ, გადაიფიქრა, ეგება იმასაც წამოეწიოთ. გამხნედა, მუხლი გამართა, გაეშვა ძსარივით. ბევრს წამოეწია, მასურებლებსაც, მსაჯებსაც, მწვერთნელებსაც, სპორტსმენებსაც, მაგდას დასაც აუქცია გვერდი, იმას ვერა, ვეღარ გადაეყარა. მოჩვენება იყო, ჰმ! ვერა, ვეღარც ასე გაისულელებდა თავსა. არც ის შეეძლო, არ გაბრაზებულყო, — ოღონდ ვისზე ან რაზე თუ არა საყუთარ თავზე, — რა ღობეუორეს ვედებოთ, რის ესთეტია მხატვრული ტანვარჯიშისა, რა ფილოსოფიაო, გავიდა თუ არა, რად არ გავუყვი, რად არ გავევიდეთ. რახან უნდა გაბრაზებულყო, გაბრაზდა, რახან გაბრაზდა შურიც უნდა ეძია და იძია შური, აღარ დაეწერო, ამას ხომ არა, სხვასაც აღარაფერს დაეწერო; თუმცა რადო, სხვა რამეს დაეწერ, ოღონდ მხატვრული ტანვარჯიშის ესთეტიკას არა, არც არაფრის ესთეტიკას გამოეცილებოთ. ესთეტიკა ზოგადია, მიუწვდომია, იმას წვდომა უნდა, მიუწვდომლობამ აქამდისაც დააბნია და გაამწარა.

დააბნია და დაჰყავს დაბნეული... ციხის ბილიეებს მისდევს, ნანგრევებს უფ-

ლის, ლოდებზე გადადის, ციკაბს გასდევს, გადარჩენილ კომუნისტებსა. იქიდან მთელი ქალაქი მისწავს, მისწავს ფანჯრიდანაც მოჩანს მთელი ქალაქი, მაგრამ იქ „მთელი“ გავხივალბა, იქ ნამდვილია, ნამდვილად მთელი ქალაქი მოჩანს. მოჩანს ფანჯრები, აივნები, სახურავები ხომ გაფენილა და გაფენილა. რომელიღაც სახურავი იმასაც ჰფარავს, რომელიღაც აივანზე ისიც ვადმოვდება, რომელიღაც ფანჯარაში გამოიხივდავს, ოღონდ რომელში, — ეს არ იცის, გუმანიც ვერ მიუტანია. ქალაქია, რაც უნდა იყოს ქალაქია, ნიუ-იორკის ხელა არ არის, არც ლონდონისა, არც პარიზისა, თბილისისაც არა, მაინც ქალაქია, მაინც ძნელი მისაგნებია; თუმცა არც ისე ძნელი. იკითხავს და მივანებს. კითხვა კითხვით იერთსალიმი მოუვლიათო, მაგრამ სწორედ კითხვა გასძნელებია და ოცდაათექვსმეტი წელი აქ მართლაც რაღაც შუაში უნდა იყოს. ჰაბუკობისას არ გაუჭირდებოდა. ეგება არც ახლა გაუჭირდეს, მეგობრები რომ ეხიოს გარს, მაგრამ საღლა არიან მეგობრები, — ძველებსა ჰყარავს, ახლები ვერ შეუძენია. ოცდაათექვსმეტი აქაც რაღაც შუაში უნდა იყოს, ან რაღა ოცდაათექვსმეტი, — წავიდა ოცდაათექვსმეტი, ოცდაჩვიდმეტიც მიჰყვა, ეს არის მიჰყვა, ვერ ოცდათვრამეტის ხსენება არ უნდა, თუმცა რას უშველის უნდა თუ არ უნდა, იმის სურვილზე რომი ბრუნავს ჩარბი დროისა, მიეჭანება დაუსაბამო, მიეჭანება აულაგმაგი, ვინ უწყის რამდენი ოცდაათექვსმეტი ჩათვლია თუნდაც ამ კომპში, ვინ იცის რამდენი მღელვარე გული მოუდენია... ახლა მიტოვებულა, აქ აღარავინ აღელდება. ოდესღაც აქა სცემდა მაჯა ქალაქისა, აქა წყდება ბედი ქალაქისა. ამ საგუშაგო კომპიდან მტრის გზას გასცქეროდა რომელიმე მეომარი, ქალაქსაც დაჰყურებდა, აგერ იქა ჩემი მტრახიო. პატარა იყო ქალაქი, ციხის კალთებს შემოჰფარებოდა, მონიშნება ადვილი გახლდათ. ბარათს ისარში ჩაამაგრებდა და სარკმელთან დაღრჭობდა ბარათთან

ისარსა; ან მტერი თუ შემოესევოდათ, ციხეში მოიკრიფებოდა მთელი ქალაქი, ისიც აქ იქნებოდა, სადმე, რომელიმე სენაქში. ქალთა ჯარაში იტრიალებდა, მეომართათვის ზრუნვაში იქნებოდა. აქედან ვეღარ დაინახავდა, ვეღარც ბარათს აახლებდა ისრითა, შემცველს ინატრებდა, მალე ჩავიდე სენაკები შემოვიაროო. ეგებ იმასაც ვერ გაეზილა...
 ჰო, ეგებ იმასაც ვერ გაეზილაო, მაგრამ ამას მაინც რა ჰქონდა გასამხელი: უცბათ ვიღაცა შემოიჭრა იმის ცხოვრებაში, უცბადვე წაუვიდა, უნდოდა ცვლავაც შეშხვედროდა, რატომ და რისთვის, არც იცოდა, მხოლოდ უნდოდა, უნდოდა, გასამხელი, აბა, რა იყო...

XIX

უნდოდა იმას შეშხვედროდა, მაგრამ სხვებსა ზედებოდა, იმათა ზედებოდა, შუაში რომ ჩაეჭვდა სპორტდარბაზში. ძველი ნაცნობივით ესაღმებოდნენ, კიდევაც დაძველდნენ, დრო ზომ გადიოდა პირველი გაცნობის შემდეგ. თუმცა არც სახელი იცის იმათი, არც ვინაობა, რა ვუყოთ შერე, ასეთი ნაცნობობაც არის ხოლმე. შერე გაიგო, ერთს გურანდა რქმეოდა, მეორეს ქეთევანი, შემოკლებით — გურა და ქეთო, საალერსოდ — გურაყო და ქეთინო; ქალაქის გამწვანებაში მუშაობენ, ესეც გაიგო. ტანად თუ სახით ზომ აღრევე გააბრია: ორივე მომალლო იყო, თანატოლი, ჩალაგადავლებულებივითა, ორივეს ცოტა მოგრობო სახე ჰქონდა, ცხვირიც მოგრობო, ოღონდ უშნო როდი. დებსა ჰგავდნენ ერთის თვალის ვადავლებით. ერთხანს ტყუპებიც ეგონა, თითქოს ვერც განსხვავებინა, შემდეგ ცხადია განასხვავა და ძალიანაც განასხვავა: ერთს მოთეთრო ფერი ვადაკრავდა, ეს გურანდა გახლდათ, მეორეს მოშავგვრემანო, ეს ქეთევანი იქნებოდა, რათქმაუნდა. ერთს დიდი, შავი თვალები ასხდა, მომრავი, ცოცხალი, ცოტა გამომწვევი, ცოტა დამცინავი, ცოტა მოალერსე, ცოტა გოროზი, ეს ქეთევანი გახლდათ; მეორეს თაფლისფერი თვალები ჰქონდა, თით-

ქოს მიუწვდომი, თვითონ მომწველი, ეს გურანდა იქნებოდა, რათქმაუნდა; ქეთევანი შორიდანვე მიეზიდავდა, ცხვირ-მიანს, გურანდა ახლოს იყო მიმზიდველი. მაგრამ ეტყობოდა მაინცღამაინც ვერავინ მიეზიდათ, რადგან მარტო ვიდოდნენ ანუ წყვილად დადიოდნენ; ხოლო დაწყვილება ქალთა ყოველთვის სიმარტოვისაგან ყოფილა, მწვევე სიმარტოვისაგან. ისიც მარტო დარჩენილიყო. ვადმოვარდნილიყო ხარირეზივით მცვირალაობისას, საფეროს ეძებდა გამაგებული, ის ვერ ეპოვნა, ამით გადაპყროდა, ეგება ამათავანი იყო საფერო იმისი? ყველგან ისინი გამოუჩნდებოდნენ, ყველგან ისინი აფთარებოდნენ. ბალეტის საღამოზეც აფთარნენ, წინ ჩამოუსხდნენ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მართავდა იმ საღამოს, ბილეთები ერთი ცვირით აღრე დაეტაცნათ, ისიც ჩარეულიყო იმ ტაციობაში, — თუ ვნახე, იქა ვნახავო, არ გამოტოვებსო; ვინ იცის მართლაც არ გამოტოვა, მაგრამ იმას ვერ მოჰკრა თვალი, ესენი აეტუზნენ, გზა ვადაუჭრეს, შემობრუნდნენ და უზიარებდნენ შთაბეჭდილებას, არ აცდიდნენ, არ ასვენებდნენ ან უფრო სწორედ, ქეთევანი არ ასვენებდა, გურანდა დრო და დრო თუ ჩაერეოდა, მოკვეთით იტყოდა და მერე ისევ ყურს უგდებდა იმათ საუბარს.
 ქრწამიც ასევე იყო, შინ რომ მიაცილებდა; ჰო მიაცილებდა... ლაპარაკით გამოვიდნენ, ლაპარაკითვე დაადგნენ გზას. თავისთავად მოხდა, იმათ არ უთხოვნიათ, ამას არ შეუთავაზებია თავისი სამსახური, იმათ ფეხს აპყვა, იმათ სურვილს. ქეთევანმა შუაში მოიყოლია, თვითონ არ უცდია, არც მოპფიტრებია, ნაპირნაპირ მისდევდა გაზონებს, უცებ შუაში ამოყო თავი, ამოყო და მიაცილებდა. ჯერ გურანდას ბინას ჩაუარეს, ქეთევანმა როდი გაუშვა, მე მიმყვითო. ნებას დაპყვნენ. იქიდან დაუბრებულებივით გამობრუნდნენ, მალე შოატანეს, უნდა გამომწვიდობებულებიყვენ, ახლა მაინც უნდა თქმულიყო რამე, ზრდილობისათვის უნდა თქმულიყო.

— ღამეშშვიდობისა!.. — ჟერ სანდრო იტყვის.

— ღამეშშვიდობისა!.. — დაადევნებს გურანდა.

— აქამდის უკვე მოისვენებდით. — სანდრო განმარტავს.

— არც ისე გვიანაა, კიდევ მოვასწრებ. — აიძვლებს გურანდა.

— გზა რომ გავიგრძელოთ, იმას ვამბობ.

— არაფერია, შეგჩვეულვარ, ხშირად გვიხდება ერთმანეთთან მისვლა მოსკლა.

— ღამე მაინც...

— არაფერია, ჩემთვის არაფერია, იმისთვის რაღაცას ნიშნავს.

— რას? — უბოდიშოდ იკითხავს სანდრო, ავგილა ტყეპნის, უნდა ფეხი წასდგას, თავის გზას იცაყვეს, სიტყვას უნდა მიუსადაგოს.

— ერთდება ვინმესთან ერთად დაბრუნდეს გვიანობისას... — საქმრო ჰყავს.

— ყოველთვის თქვენთან რომ ვხვდავ?

— აქ არა ჰყავს, ელოდება...

— თქვენ?

— არა...

— მაგრამ შორილება? ხალხი ყველგანაა.

— ყველა ერთს ერთდება. ხალხი მეტად ზოგადი რამ არის, მთავარია ადამიანი მართალი იყოს, ხალხი მოსარიდი არ არის. ურთი კი მოსარიდია, რაც უნდა მართალი იყოთ. ღამეშშვიდობისა!..

— მოსტრის გურანდა, ოღონდ ფეხს არ იცვლის, ჟერ ჩემი მომცილებელი უნდა წაივდეს, თვალი უნდა გადაეწვოს მადლობის ნიშნად, მადლიერი თვალი უნდა გადაღვწოს.

— ღამეშშვიდობისა!.. — დაატანს სანდრო. არც ის იცვლის ფეხსა, — მაგრამ ადამიანის ქცევას ხალხი აფასებს, ხალხი ჰქმნის აზრს ადამიანზე.

— ის ერთს მისჯავს აზრითა და ფიქრითა, იმის საქციელს ერთი განსაზღვრავს, ერთითაა, ერთისთვის არის.

— კოლექტივისთვის... — ფრთხილად უსწორებს სანდრო, არ მიწვევს...

— წიგნებით, — წყნარად წაიხედა ნებს, — ასე გვასწავლეს რაც უნდა იყოს ადამიანის ფსიქიური / წყობა სულიერ საწყისებს ემორჩილება, ხოლო სულს ერთი აიძვლებს.

— ქალური ფილოსოფიაა, უფრო სწორედ, ქალიშვილური... — ხუმრობს სანდრო, აღარა ტყეპნის, თითქოს ვერ იხელთა დრო ნაბიჯის გადადგმისა და ბედს შეურთავდა.

— ქალური ფილოსოფია არ გამიგონია, მითუმეტეს ქალიშვილური. ასე თუ გავყვებით, შეიძლება ბავშვური ფილოსოფიაც იყოს.

— შეიძლება და კიდევაც არის. პირველყოფილი...

— ძველი ბერძნებისა?

— თუნდაც!.. თუმცა მე სხვასა ვგულისხმობდი.

— ვერ მივხვდარვარ, რასა გულისხმობდით, მაგრამ ძველი ბერძნები არც ისე ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ.

თალესიც გაახსენდა, ანაქსიმანდრეც გაახსენდა სანდროს, მოაგონდა ოდესღაც განაგონი, მაგრამ ისე მაინც არ მოაგონდა, საკამათოდ რომ გამოსდგომოდა. ძველი ბერძნები არც მოჰგონებია, იმან უხსენა, უხსენა და ვეღარ წაუვიდა თუმცა წამოსცდა, სხვასა ვგულისხმობდიო; იმის ნათქვამს თუ გულისხმობდა ბავშვობად, გახუმრება თუ უნდოდა, ის მიუხედა, დაფარა ძველი ბერძნები, დაფარა და ვეღარ წაუვიდა. უნდა წასვლოდა, ვეღარას უშველიდა გახსენება თალესისა თუ ანაქსიმანდრესი, იქვე ანაქსიმენიც მოაგონდა, ოღონდ ვეღარ გაერკვია, რომელი უფრო სწორი იყო. ანაქსიმანდრე თუ ანაქსიმენი თუ სხვადასხვანი იყვნენ, ჟერ ესეც ვერ გამოერკვია, საკამათოდ როგორღა აიღრენდა თავსა. „ღამეშშვიდობისა!..“ დიდებული რამ გახლდათ, რა ვუყოთ თუ ითქვა რამდენჯერმე, შეიძლება კიდევ რამდენჯერმე თქმულიყო, — კეთილმა სიტყვამ სათვალავი როდის იცისო.

— ვიმედოვნებ კიდევ შევხვდებით.



საკამათოდ.—იციანის სანდრო, —ლამემ-
შვიდობისა!..

— განა ეკამათობთ?!—გურანდას უკ-
ვირს.

— არა, მაგრამ მაინც ასე ვთქვათ...
ლამემშვიდობისა!..—შებრუნდება, მხო-
ლოდ ნახევრად შებრუნდება.

— ლამემშვიდობისა!.. მეც ვიმედოვ-
ნებ...
ისე, ნახევრად შებრუნებული გაეპა-
სუხება:

— ციხიდან კარგია ქალაქი, სალაპა-
რაკოც ბევრი მოჩანს.

— ხვალ იქ ვიქნებით, დღის ბოლოს...
—მსწრაფლ მიატანს გურანდა, —მისას-
ვლელები უნდა გავამწვანოთ, კალთები
გავაშენოთ, ვგეგმავთ.

— მით უკეთესი... ლამემშვიდობისა
— ლამემშვიდობისა!..

და წავიდა, აღარ შემობრუნებულა,
ოღონდ გრძნობდა, თან მისდევდა თვა-
ლი გურანდასი. თვალისა რა მოგახსენ-
ნოთ, როდემდის გასწვდებოდა თვალი,
ფიჭრი კი მიჰყვა. თავისი ფიჭრი: კარგი
ქალიშვილები ყოფილანო, რამდენი იქ-
ნება კიდევ უკეთესი, მხოლოდ მე არ ვი-
ცნობ, ამიტომაც ერთზე ჩამომიწყდა სა-
ლამიო. რა ცოცხალი, რა ხალისიანი, რა
მჩქეფარია ქეთევანი, რა აზრიანი, რა
ზომიერია გურანდა!.. ქეთევანი რაც
არის, არის, საქმრო ჰყოლია, ბედნიე-
რიც ყოფილა! გურანდა? უკეთესს ცო-
ლად ვერც ინატრებს აღამიანიო. თუმ-
ცა რაღა ვჩქარობ, გათენდეს ხვალე-
ხვალ უკეთესად გამოჩნდებო. ასე
იფიჭრა, ვიდრე თავს დააგდებდა ბა-
ლიშზე, დააგდო თუ არა, ჩაეძინა,
ღრმა ძილს მიეცა. კარგახანია ასე აღარ
ჩასძინებოდა, უღელტეხილზე, გადამ-
დგარიყო, იმას ეთხოვებოდა ამას ეგე-
ბებოდა, ისვენებდა უღელტეხილზე. ხო-
ლო ხვალე მოიწევდა დაუდგრომლად,
იმედებისა და ეჭვების ხვალე. ასე იტ-
ყვიან, თორემ საეჭვო იმდენი აღარაფე-
რი იყო. დასაწყისს კარგი პირი რომ
უჩანდა, კარგადაც გაგრძელდებოდა...
ისინი მართლაც ციხეზე დახვდნენ, კე-
დელს გადმოეკიდნენ, ხელი დაუქნიეს,

ბილიც შეუდგა თუ არა; ოღონდ კე-
დელს ორივენი რომ გადმოეკიდნენ,
ხელს უქნევდა მხოლოდ შეტყუების
კამაროდა, უნდა აჩქარებულყო, კი-
დევაც აჩქარდა. მაგრამ აღმართი
სძლევდა, თანდათან უფრო სძლევდა,
ისევ მშვიდი ნაბიჯი ამჯობინა თავის
შერცხვენას, ოღონდ რა უფრო შეარ-
ცხვენდა, ასე ტატიტ სიარული თუ
რომ აჭრილიყო გულამოვარდნილი,
ძნელი სათქმელია. თუმცა მიჭრა მაინც
მიჭრაა, სირცხვილი იქ თავს ვერ გამო-
იჩენდა. მაგრამ მიდიოდა, როგორც შე-
ეძლო, არჩევანი რაღას არგებდა. ხოლო
ქეთევანი ლამის გადმოფრენილიყო, ლა-
მის მიეწვდინა ხელი, მალეო, ჩქარაო,
მალეო, ჩქარაო. ავიდა, როცა
იყო, მაინც დაღლილი, ძალიან არა,
ცოტათი დაღლილი. გული გტკი-
ვით თუ ხანმა დაგზიდავთ, ეხუმრა
ქეთევანი. არც არა მტკივა, არც ხანი
მიგრძენია ჯერჯერობითაო, მტკიცედ მი-
უჯო სანდრომა. მაშ ალელვებისა იქნება
ეს ოფლის ცვარიო, — ცხვირსახოცი
ამოიღო, დაკეცილი, დაუთოებული, გა-
შალა, შუბლზე მოუსვა და წაუშვირა, ეს
ოფლის ცვარიო: არაო, ესეც იუარა
სანდრომა, ხანდახან ვიცო. მღელვარე-
ბა თუ ცვარი შუბლზედა, —არ მოეშვა
ქეთევანი. ერთიცა და მეორეცო, —უარი
აღარ ვასდიოდა სანდროს. ქეთევანიც
აღარ ჩააცვიდა, მაგვიანდებო, დაიძახა
მოულოდნელად, ნახვამდისო, დაუქნია
ხელი და ბილიც მიეცა. მიეცა და მიაქა-
ნებდა თავდაღმართი, შემობრუნდებო-
და, კვლავ ხელს დაუქნევდა უფრო
ხანგრძლივად, მრავალმნიშვნელოვნად,
თითქოს ეთხოვებოდა, მეგობრობას ეთ-
ხოვებოდა, მიდიოდა და შორდებოდა,
მიექანებოდა და იწრითებოდა, ჰქრებო-
და, ჰქრებოდა.

— თქვენ დიდდებოდით, —იტყვის
გურანდა, — ამოდიოდით და დიდდე-
ბოდით.

— მოახლოებისას ასე იცის, დაშო-
რებისას ისე. სანდრო უდასტურებს.
ხმის კილოზე არ ეტყობა, სახუმროდ თუ
ამბობს. ამხედავს გურანდა, ეგება ტუ-

ჩემზე ეტყობოდესო,—არც ტუჩებზე ეტყობა; ბავშვი თუ ვგონივარ, პედაგოგივით მიხსნის, გაკვეთილივით გამოძკითხავს, ნიშნისაც დამიწერსო. ეგრემც იყოს ნახავ თუ როგორი ბეჯითია, ხუთიანის გარდა სხვა ნიშანი არა სცოდნია, ოღონდ გაკვეთილად ეს ძალიან მცირე რამ არის, სხვა რამეც აუხსენი. სხვა რამეც შეასწავლე, აი თუნდაც: წყალი თავდაღმა მიედინებათქო, მზე მალლიდან ანათებსთქო, მთიდან მეტი სივრცე მოსჩანსთქო, კიდევ სხვაც ასეთი, უამრავი, ყველაფერს დაისწავლის, ხუთზე ჩაგაბარებს.

— რა კარგად მოჩანს აქედან კვერნაქი,—შემპარავად ილიმის გურანდა,—თითქოს ხელს გაიშვერ და მისწვდებო...—ილიმის და აქეზებს, აბა, ამისხენი, თანაბარ სიმადლეზეა ციხე და კვერნაქი, ასე ამიტომ გეჩვენებო.

სანდრო მართლაც ასე აპირებს, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევა მისცემია და უკობს, თავი გამოიღოს:

— იქ ჩემი სახლია.—ამყად ამბობს სანდრო.

გურანდა კვლავ ილიმის.

— იქ ყველანი მივალთ, მაგრამ რა საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს...

— იქ არა... ასე რად გამიგეთ?! კვერნაქის ქუჩაზე. აგერ მოჩანს. აბა თუ მიხვდებით, რომელი იქნება ჩემი სახლი?

— აგერ ის, თაღოვანფანჯრებიანი, პატარა აივნებით, ბოლნისის ქვით მოპირკეთებული. ფანჯრებს ჩუქურთმა შემოსდევს...

— რა იცით?

— ჩამივლია.

— ჩუქურთმაზე არ მოგახსენებთ, რა იცით, რომ სწორედ ის არის ჩემი სახლი?!

— ცუდად ვინც აშენებს, ერთს მაინც ააშენებს კარგად ის ერთი თავისი იქნება—იციანს გურანდა, განგებ, ძალად იციანს, მაშ რაო, ვინ იცის რა ხასიათისაა, ვინ უწყის. რა იელად მოედოს ნათქვამი, სიცილით ჩაფარცხავდა, გაანელებდა, უამისოდაც ჩაფარცხულიყო ან ვერც მიჰკარებოდა, ვერ შესწვდენოდა

პატივმოყვარეობასა: ამასაც ვცნობივარ, ყველასა ვცნობივარო. *მარქსის*

— რა იცით მშენებლობაზე? — იკითხავს ოდნავ თავდახრილი, ოდნავ ლაბაბჩამოშვებული, ვაჟინტრული ღირსეული სიამაყითა და ღირსეულივე თავმდაბლობით. ასეთ ღირსებას მხოლოდ ამას თუ შეკბენდა: ბავშვმაც კი იცის შენი სახელიო. მაგრამ გურანდას იმედი აქვს თავისი სიცილისა, კიდევაც იციანს, მოგვეწონებათ, ისე იციანს, თუმც თქმით არ ამბობს მაინც—დამაინც მოსაწონარსა.

— ვხვდებით ხოლმე,—ამბობს და მადის, კედელს გასდევს, ჩრდილოეთის ქონგურებისაკენ მიემართება, იქიდან მწვერვალები მოსჩანს კავკასიონისა, დათოვლილი მწვერვალები,—თქვენ რომ მუშაობას ამთავრებთ, ჩვენ ვიწყებთ, თქვენ გადიხართ, ჩვენ შემოვდივართ, თქვენ ამყადა სტოვებთ იქაობას, ჩვენ მორჩილად მოვემართებით; თქვენ აღარავის ამჩნევთ, ჩვენ ყველას ვუვირდებით, ჩვენ უნდა მოვასწოროთ, უნდა გავამწვანოთ და ვაკვირდებით მირეულ-მორეულ მიდამოს, საიდან დავიწყით აღარ ვიციით...

— მირეულ-მორეულს არაფერსა ვტოვებთ,— იწყენს სანდრო, საუწყებო დაეა იწყება, უნდა დაიცვას თავისი უწყება,—და თქვენ რომ იცოდეთ, იქით არც არაფერი გვეკითხება, საძირკვიდან სახურავამდის ვაგებთ პასუხს, დანარჩენი სხვისი საქმეა.

— თავისი პასუხისმგებლობის იქით სხვაც არ გაიხედავს.—უწყინრად მიუგებს გურანდა,—პასუხისმგებლობით ბევრი რამის შექმნა შეიძლება, მხოლოდ სილამაზისა არა. სილამაზეს საზღვრები არ უყვარს, საძირკვიდან სახურავამდის მცირე მანძილია, არ ეკმარება. ყოველ დიდებულ ძეგლს დიდებულნი ფონიც ამშვენებს, ფონი თუ არ ვარგებულა, ძეგლის სილამაზეც განახევრებულა.

— ფონზე თქვენ უნდა იზრუნოთ.

— კიდევაც ვზრუნავთ,—მოჰყვეთს გურანდა, ამას უცებ მოჰყვეთს, დანარ-

ჩენს მოადევნებს შემპარავი ღიმილითა,
—ოღონდ ზოგჯერ ველარაფერს მოვუ-
ხერხებთ, ისეთ შენობას დაგვახვედ-
რებთ ზოლმე.—იტყვის და მიღის აღმო-
საველეთის ქონგურებისკენა. იქ კედელი
მალაია, ქვებზე აღის, ქვები კორი-
კობს, კედელს ჩაეჭიდება ცალი ხელი-
თა, მეორეს გაიშვერს,—აი თუნდაც ის,
რა მოუხერხდება, რა დაამშვენებს?

— რომელი?—უფუნებოდა კითხუ-
ლობს სანდრო.

— აი ის, გაჰხედეთ, ჩემს თითს გა-
აყოლეთ თვალი...—სანდროც ქვებზე
უნდა ავიდეს, უფრო კორიკობს ქვები.
გურანდა კედელს შეეშვება. სანდროს
დაეყრდნობა, თუმცა ორივენი კორი-
კობენ, ერთადა კორიკობენ, მაგრამ
თითქოს ასე უფრო მოხერხებულია,—
საით იცქირებით ჩემს თითს გააყოლეთ-
მეთქი!..

ცალი თვალი გააყოლა და ეყოფა,
იცის, საითაც მიმართულა თხელი საჩვე-
ნებელი თითი: იქ როგორღაც წაღმაუ-
კულმა გამოუვიდათ მშენებლებსა, ფა-
სადი ეზოსკენ მოექცათ, ეზოს მხარე
მთავარი ქუჩისკენა. დამთავრებამდის
ვერაფერი გაიგეს, მერე ვილაყა მიხვდა
და შეესივნენ მშენებლები დამპროექ-
ტებლებსა, დამპროექტებლები მშენებ-
ლებს. მობინადრენიც მომდგარიყვნენ
ბარგაკიდებულნი, რის ვაივაგლაზით ბი-
ნა მიეღოთ, აღარა სცხელოდათ იმათი
თავისთვისა; რის ვაივაგლაზით ბინა მი-
ეღოთ და დრო იხელთეს თუ არა
დაბინავდნენ; დაბინავდნენ და მომჩი-
ვარი არავინ იყო, დავაც მოთავდა, პირ-
ში წყალი ჩაიგუბეს მშენებლებმაც, დამ-
პროექტებლებმაც, მხოლოდ ბინები და-
რჩა ასე, მთავარ ქუჩაზე გადმოფენილი
შუშაბანდებით, სათავსოებით, რკინის
ვიწრო კიბეებითა, ხოლო ეზოსაკენ —
მალალი ვიტრინებითა და კერამიკის
ტრაფარეტებით. ვიტრინებში ნაირნაი-
რი ქსოვილები გამოუფენიათ, მანეკენე-
ბი ილიმიან, სევდიანად ილიმიან, მობურ-
თავე ბიჭებსა თუ მოასკინიკილე გოგოებს
რომ გაჰყურებენ. ველარაფერი ეშველე-

ბოდა იმ სევდიან ღიმილსა, შენობა კე-
ლარავინ შეაბრუნებდა. იქით მიმართუ-
ლა საჩვენებელი თითი, ხელე-ქმნის
ქანაობს სხეული, ქანაობს, კორიკობს,
თითი მიინც იმ წერტილს ჩასჭიდებია,
ასცდება და მიეტანება, ასხლტება და
ჩამოეკიდება. მეორე ხელი უფრო მშვი-
დადაა, მხარს დაჰყრდნობია ვაკაცისა-
სა. ის ოღნავ კორიკობს ან ხანდახან თუ
შეკორიკდება, შეიძლება ჩამოვიდეს,—
ცალი თვალით იყო თუ როგორც იყო,
დინახა,—მაგრამ ზომ არ გამოეცლება
ქალიშვილსა, ესეც არ იყოს, ასე სჯო-
ბიან, მონატრებულა სიღბოსა და სით-
ბოსა, მონატრებულა, დახარბებულა.
თავმოყვარეობაც თავისას აძალუბს, და-
ცინვა უნდა აირიღოს, დაცევას თავი.

— ჩვენთან ასეთი რამ წარმოუდგე-
ნელია, ეგ მეორე ტრესტმა ააგო.—აი-
ხალღს სანდრო.

— სულერთია!..—არ იშლის გურანდა.

— როგორაა სულერთი, ჩვენ პირ-
ველნი ვართ, ისინი მეორენი?!

— იმიტომაცაა სულერთი, ნომრები
ერთნაირებს უნდათ.

— ნომერი განსხვავების ნიშანია.

— არა, კისკისებს გურანდა,—სარჩე-
ვია ერთნაირი.

— სარჩევი იყოს, — ბრაზობს სანდ-
რო, როდი ეხუმრება, მართლა ბრაზობს,
გამოეცლება, ჩამოდის ქვის ხროვიდანა,
აჩქარებით ჩამოდის, თუნდაც ჩამოვარ-
დეს, არ ენაღვლება, ხელეგაშლილი
შემოიბრუნეს ჩაშლილ ქონგურებსა, —
თქვენ ხომ არ გინდათ სარჩევი, თქვენ
ერთი ხართ, თქვენს ნამოქმედარსაც
გაჰხედეთ, საერთო შენობებთან და და-
წყესებულებებთან აქაიქა ღივღავებს სიმ-
წვანე, კერძო სახლები მწვანეში ჩაფ-
ლულა. აჰა, გაჰხედეთ გარეუბნებსა და
ქალაქის გულშიც ჩაიხედეთ, სად არის
თქვენი გამწვანება, თქვენი ლამაზი ფო-
ნი?! მოდიეთ, გაჰხედეთ, მოდიეთ!..

იცინის გურანდა, ისევე კორიკობს
ქვებზე და ისევ იქით გაუწვდია ხელი,
ამაზე უკეთესს რას დამანახებო; ისევე
კორიკობს და ქანაობს ჩრდილი, ლამის
ჩამოვარდეს, ლამის წაიქცეს ჩრდილი,

რაც უნდა იყოს, ამაზე სასაცილო ჩვენ რა დაგვემართებოდ, საით მეწვევი, ამას გაჰხედდეთ. სანდროს ღიმილი წამოუვია, მეტი რა ჩარაა. ვაბრაზებას არ აცდის ან რად ვაბრაზედეს, მეორე ტრესტისაა, რა თავი გამოუდევია სხვათა გულისთვის. — იმათნაირივე იქნება რახან ასე გამოუდევია თავი. მართლა სარჩევადლა ერქმევათ პირველი. არც გამოიდებს, ისევ გამწვანებაზე ილაპარაკებს, ან ლაპარაკიც არ უნდა შემობრუნდება გამოლილი ხელებითა და დამცინავი იერით. რად უნდა ლაპარაკი, მიმხვდარა გურანდა, ჩამოდის ქვის ხროვიდანა. ოღონდ მიწაზეცა კორიკობს, ორმო თუ დახვედრია ან ასე უცებ ვეღარ გადახვეულა, არაფერია, მალე ვასწორდება, წაირბენს, მზის სხივებით სავსე თაღში ჩადგება, აღივსება მზითა, აელვარებს, ხელს დაუქნევს, აქეთ მოდი, მზის გულზე მოდი, ქარი დაგსუსხავსო. არც ქარისა ეშინია, არც მზის გული უნდა, თუ უნდა ავერ არის, მზის მეტი რა არის, მაგრამ, ალბათ, შესარიგებლად უამობს, დაყოვნებაც არ შეიძლება, წყრომაც არ ივარგებს. — სად გავიწილა ეურჩო ქალიშვილსა, სად გავიწილა თუ გახალისებულა, სიცილი თუ მოსურვებია და იცინის, იცინოს. აღარ იცინის, ღივი ღივებს მზეში. ქარცა ჰქრის, თაღქვეშაცა ჰქრის, კაბის კალთებს აუტაცებს, წაართმევს გურანდა, ისევ აუტაცებს, ისევ წაართმევს. ამაზეც იცინის, მიდი და გაუწყვირო... უცებ ამოვარდა ქარი, წელან საამო ნიაგი სისინებდა. ქალაქსაც დაპრეოდა ქარი. ირზევა მაღალი ვერხვები, ირწევა დიდი ბაღი მდინარის პირას. ის მდინარის ბაღია, ქალა იყო, ქალიდან არის გამოჩეული, — ხომ არ დაიტრიაბებებს ჩვენი გაშენებულაო? დაიტრიაბახოს, აღარ ედავება. მიუახლოვდება. ერთად დგანან, მზის სხივებზე დგანან, თაღქვეშა დგანან. მზე გაიტაცებს თუ ქარი გაიტაცებს? — რაღამაც მაინც უნდა გაიტაცოს.

— წყენია ყოფილხართ... — ამბობს გურანდა, კაბის ბოლო ჩაქრის, სანდროსა, აპყურებს და ისე ამბობს.

— არა... — უარობს სანდრო, ღიმილსაც იგვრის, ვითომდა რაო, რის წყენაო, რა წყენაო, მაგრამ ღიმილი დაბრეცილი გამოსდის, ნაწყენობა თუ სიბრაზე დაუბრეცს ღიმილსა.

— გეტყობათ და... — არ ეთანხმება გურანდა. თან ასეთი თვალთ შეპყურებს: რა მოხდა, გეხუმრეთ, ნუთუ ხუმრობა არ იცითო.

— განა რა გეტყობა?! — სანდროს უკვირს, ხმას ძალას ატანს, სხესაც ძალას ატანს, მთელი სხეულით იძაბება, უნდა მოიშოროს ნაწყენობა, არა შორდება, არ ეცლება ეგრე ადვილად.

— მე ხომ მხოლოდ მინდოდა შეტყვა, გიცნობთ შეტყვი?..

— უბრალოდ გეთქვათ, — კვლავ წყენა ამოჰფენს, კვლავ შეეკიდება ღიმილით, — თუმცა, როგორც ითქვა, უკეთესიც არის, თემა მომეცა, დაეწერ ქალაქის გამწვანების საკითხებზე. — აქ ღიმილი გაუსწორდება, ნაწყენობას თუ მოერიო, — ალბათ, კითხულობთ ჩემს წერილებს?..

— არა... არ ვიცი... — მყისვე, დაუფიქრებლად მიუგებს გურანდა, გულწრფელად მიუგებს. სანდროს სიცრუე ერჩივნა, უჯობდა გაეგონა: ვკითხულობ რომელია, ალტაცებული ვარო, ცხადია უჯობდა; ისიც ერჩივნა, მაგდამ რომ უთხრა, არ მომწონს, არ გეთანხმებითო; ლალიმ რომ მიახალა, ვურნალისტობა შენი საქმე არ არისო, ისიც უკეთესად მოეჩვენა. იმათადმი დაპირისპირება ადვილი იყო, — არ ესმითო, ამან მთლად უარჰყო, არა ვიცი რა, არაფერი მსმენიაო. ამან მთლად უარჰყო და რაღაც გამოეცალა, რიხის ბოძი თუ გამოეცალა, მოლხვა, მოიბუზა მზესა და ქარში.

ღამო სწავებრიძე

სამაისო გალაღა

ჩემო მაისო,

ამ შენს კორდებთან,
შუშა ნუშებთან, შუშა ატმებთან,
ის მაისობა მომავგონდება,
შენს მაისობას რომ მანატრებდა.
ახლა რომ აგრე მელამაზებში,
ახლა რომ აგრე მეგალობებში, —
ერთხელ შენც გერთყა წელზე
ვაზნები,

და შემართული გქონდა თოფები.
ერთხელ შენც გერთყა

მავთულხლართები,
ჩვენთან, ჩვენს შორის,

ჯარისკაცებთან.
არ გიყვავოდა შეკრდზე ვარდები,
ნაკადულები შენი არ ჩქეფდა.
მავთულხლართების გჩხვლეტდა
ეკლები,

ტყვეებში შენი ჩრდილიც ვრია.
იქ ახლა დგანან რუხი ძეგლები,
ხელები შენსკენ მოუშვერიათ.
ომის ქარცეცხლში დამწვარი კალთა
გქონდა ტყვეებით სულმთლად
დაბრული.

იყავ მაისი,

შენ მიხველ მათთან
და არ იყავი შენ გაზაფხული.
შენ გახსოვს, გახსოვს

ტყვეობის სევდა,
ვერ შეგეგებეთ მაშინ დროშებით.
ჩვენ შენი სული ავალდაკვალ
გვედევდა,

თოვლში მიტომ არ გავითოშენით.
იმ ცივ ბანაკში

შენ შემოხველი.
ჩვენს წინ ელავდა სიკვდილის ცელი
თავი არ გქონდა ჩვენი მოლხენის
და მაინც მაგრად ჩაგვიკიდე ხელი.
ფეხზე წამოდგნენ ხეიბარები,
ვინატრეთ შენს წინ

მწყობრში ჩადგომა.
გავსწორდით წელში

და მხნე თვალებით
წინ ჩაუვარეთ თითქოს სარდლობას.
არკი ისმოდა გუგუნი მარშის,
არკი გრგვინავდა ვაშა აღლუმის.
შენ ბარჩხალა მზე არ გახლდა მაშინ
ღრუბლებში გქონდა ვადამალული.
...მჩხვლეტს ახლა შენი ვარდის
ეკლები,

ღიდ პროსპექტებზე ვარდის ფერია
შორს

მრისხანენი დგანან ძეგლები,
ხელები შენსკენ მოუშვერიათ :
კალთების ძველი ნატყვიარები
იაიებით დაგიფენია.
თან მოგყოლია მშვიდი ქარები
და გაზაფხულის ჰანგებს მღერიან.
ჩემო მაისო,

ეს მზე შენია,
შენსავით ჩვენც ვართ მზეში
ჩაფლული.

მხრებზე მერცხლები შემოგფრენია,
ახლა ნამდვილი ხარ გაზაფხული.

პახანაჲ ჯაჲახანაჲ

სამი ლექსი

• • •

დედებს იმდენი ზოტბა შეასხეს,
მიჭირს ახალი სიტყვის მიგნება...
მე უკვე ვიცი,
ჩემთვის ყველაზე
მძიმე რომელი წუთი იქნება;
სახელოვანი კაცის დიდება
მაინც არასდროს შემხარბებია,

როცა ძალიან გამიჭირდება,
დედის თვალები მეხმარებიან;
დედის თვალებით,
დედის ფიქრებით
გაზომილია ჩემი ცხოვრება,
მე უფრო მკაცრი კაცი ვიქნები,
როდესაც დედა არ მეყოლება.

• • •

ქალაქებს შორის მგზავრებით სავსე
მატარებელი დადის ყოველდღე,
ერთმანეთს ტკბილად ხვდებიან
გზაზე,

ერთმანეთს საღმით აჯილდოვებენ;
და ელიშებათ მოქალაქეებს
სასიამოვნო განწყობილებით,
ერთიმეორის ქალაქს აქებენ
მატარებელში გაცნობილები.

მზე ეფერება სავსე მოედნებს,
ქუჩებში ბევრი ხალხი ტრიალებს,
ქალაქი ქალაქს უცვლის ყოველდღე
ცნობისმოყვარე ადამიანებს.
ხიდს აშენებენ ერთმანეთს შორის,
რომ მომავალსაც დასდონ ამაგი,
ხიდს აშენებენ და ცხოვრობს ორი
ქალაქი,
როგორც ერთი ქალაქი.

• • •

ჩემი სიზმრების სამფლობელოდან
შენ აგარჩიე,
როგორც მიზანი,
შენ კი იმდენად დიდხანს მელიოდა,
როცა მოვედი, ველარ მიცანი.
დღეს თვითონ გელი... დავრჩი
გამოდმა,

შენი ძაბილი გაღმა გაისმა,
ხვალ მაინც მოდი, დღეს თუ არ
მოხვალ,

წელს თუ არ მოხვალ, მოდი გაისად.
მე გავეპტევი სიტხეს მომქანცველს,
ჩრდილს მასესხებენ ნედლი ტოტები,
შენ დღისით მოსვლას თუ ვერ
მოასწრებ,

მე მთელი ღამე დაგელოდები.
ჩვენ ერთმანეთი უნდა მოვქებნოთ,
გავიადვილოთ მკაცრი სასჯელი.

ადამიანებს უყვართ ოცნება
და ეშინიათ მარტო დარჩენის.
მეც მეშინია დავრჩე უშენოდ,
მე მინდა მალე შეგხვდე უვნებელს,
არ დაუჭერო,
არ დაუჭერო
თვალებს — თვალები

მოგატყუებენ.
გამომიწოდე ხელი ზიდივით,
მოდი,
უძილო ღამე წამართვი,
შენი იმედის თოკზე ჰკიდია
ჩემი სიცოცხლის ყველა საათი.
მე მხოლოდ სულის სურვილს
ვასრულებ,
მე მინდა გული ისევ დედაგდეს,
გადავივიწყე წყნარი წარსული
და მომავლისგან ველი ყველაფერს.

თამაზ გომეჩიშვილი

კვირალი

მოთხრობა

ვაჟა მარტიროზაშვილი ჩემი მეზობელია. საბავშვო ბაღში ერთად დავდიოდით და ერთი სკოლა დავამთავრეთ. მეცხრე კლასში ჩამომჩნა. ძალიან ცელქი იყო: კიბეზე დაგორდა და... აკადემიური შევებულემა მისცეს. სკოლა რომ დაამთავრა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოინდომა სწავლის გაგრძელება. იმ წელს ავტოსაინჟინრო სპეციალობაზე ძალიან ბევრი მსურველი იყო. ქართულ წერა-ზეპირში ხუთები მიიღო, რუსულშიც, ფიზიკამ გაუფუჭა საქმე; ოთხტაქტიანი ძრავის მუშაობა შეხვდა.

— ბედი არ გინდა! — მოთხრა ვაჟამ, — სხვებს რაც უნდოდათ, ის შეხვდათ!

მეორე წელსაც ვერ ჩააბარა ვაჟამ გამოცდები. ვერც მესამე წელს. რა უნდა ექნა?! რომელიღაც ტრესტის კანტორაში მოაწყო მამამისმა. მერე ლიმონათის ქარხნის ექსპედიტორად მუშაობდა. ცოტა ხანს სასაუზმის გამგეც იყო.

— გამგე ვარ. რა ექნა! — მოთხრა ერთხელ ძალიან უბრალოდ, საწყალი კაცივით.

— რა უნდა ქნა. ვიღაცა ხომ უნდა იყოს გამგე! — შევიცოდე მეც.

— გული მეუბნება: მაღე „ვოლგას“ მოიგებ ლატარეაშიო.

— მაინც როდისაო?

— მაღეო! — მოთხრა ვაჟამ და მხარზე ხელი დამარტყა. — ავტოინჟინერი მაინც უნდა გახდე.

სამი თვის წინ ვაჟამ მწვანე „ვოლგა“ მოიგო, ჩვენს ეზოში გარაჟი ჩადგა და გასუქდა.

— უნდა ვივარჯიშო, თორემ ღიბი მგზრდება! — შემომჩივლა.

— დილით სიმძიმეები არ ასწიო. ძალისმიერი ვარჯიში არ ვარგა. — გავაფრთხილე მე.

— მართლა?

— ჰო!

— ვა! — გაუყვირა ვაჟას.

არასოდეს არ დამინახავს ვაჟას ევარჯიშოს. თუმცა როგორ დავინახავდი, დილის შვიდ საათზე უკვე სამსახურშია. მე კი რვის ნახევარზე ვდგები. ერთადერთი დღე, როცა ჩვენ დილით ვხვდებით ერთმანეთს — კვირაა.

დღეს კვირადღეა. მე აივანზე ვვარჯიშობ. ვაჟა ეზოში მანქანას რეცხავს. პატარა ბიჭები ეხმარებიან. ბიჭებს ყოველთვის უყვართ მანქანა, მიუხედავად წლოვანებისა. ვაჟა მათ ბორბლების გარეცხვას ანდობს. ერთს წინა-მარცხენას, მეორეს წინა-მარჯვენას, მესამეს უკანა-მარცხენას, მეოთხეს უკანა-მარჯვენას. ბავშვები ერთმანეთს ეჯობრებიან. როცა სამუშაო თავდება, ვაჟა ბიჭებს ტკბილეულს ურიგებს. ტკბილეული გამოთლეველი აქვს და საზღვარგარეთულ ჟურნალებთან ერთად უყრია მანქანაში. თუ ძალიან კარგ ხასიათზეა — ცოტას ასეირნებს კიდეცაც „თანამშემწეებს“.

— როგორ ცხელა ამ დილაადრიან! მეუბნება ვაჟა.

— ცხელი ქარებია სამხრეთიდან!

— საიდან იცი?

— ამინდის ბიურომ გადმოსცა.

— მაშ, წვიმაც მოვა. — ჩაიხითხითა ვაჟამ და ცას ახედა.

ცა გამჭვირვალე და სუფთა იყო,

— დღესაც უნდა იმუშაო? — მეკითხება ვაჟა. ეტყობა, რაღაცა მოიფიქრა.

— თუ უკეთეს რამეს შემომთავაზებ
— შეიძლება გადავდო.

— წამო ქალაქგარეთ გავისერინოთ.
ცოტა ეგრილება მაინც.

— საით?

— საითაც გინდა. კაი ბურიც ვჭამოთ.

— ეგრე არ მინდა. დასამტკრევი თა-
ვი არა მაქვს!

— ხომ იცი, როცა საჭესთან ვზივარ
— არა ვსვამ.

— კარგი, წავიდეთ.

— მაშ, ჩაიცვი.

მანქანამ წრე მოხაზა და რუსთავე-
ლის გამზირს გაუყვა. სამ თვეში ვაჟამ
უკვე მოასწრო მანქანის ნაცნობების
გაჩენა. შეხვედრისას ისინი თავისებუ-
რად ესალმებოდნენ ერთმანეთს და კმა-
ყოფილად ეღიმებოდნენ.

— საით — კითხვას დასვამდა სარკ-
მლიდან გამოყოფილი მარცხენა ხელი.

— რა ვიცი. — მასუხს აძლევდა
მხრები. — ისე, გავისერინებთ ცოტას! —
უმატებდა თითები.

— თქვენ რა გიჭირთ! — თანაბრად
ბუბუნებდა ძრავა და სრიალებდა საბუ-
რავები.

— თამაზ! — მომესმა ნაცნობის ხმა.

მუხრატვი.

— ვა! — ვაიკვირვა ვაჟამ — რა კარ-
გი გოგოა!

— საით მისერიანობთ?

— გაიცანი, ჩემი მეზობელი და ძმა-
კაცი.

„რა კარგი გოგოს“ თეთრი ხელი მან-
ქანის ღია სარკმლიდან შემოსრილდა, და
ცხვირწინ ჩამიჭროლა და ვაჟას ხელში
მოთავსდა.

— ნანა. — გაცნო მძღოლის ხელს.

— ვაჟა. — უპასუხა მძღოლმა. — და-
ბრძანდით, სად მიგიყვანოთ?

ნანამ უკან კარი გააღო და ისე ჩაჯ-
და მანქანაში, რომ ვაჟამ სარკეში ცქე-
რა დაუწყო.

ლალისთან მივდივარ. თამაზ, თუ იცი
სახლში იქნება?

— ალბათ. ჩემთვის არ დაურეკავს.

— თუ არ დაურეკავს, არ გამოვიდო-
და სახლიდან.

— შენგან ნებართვას იღებ? — გა-
იცინა ვაჟამ.

— სხვა რა გზა აქვს? — მუტკრუნავს.

— მოდი, ლალისაც გავუაროთ და წა-
ვიდეთ. თქვენ გცალიათ? — ინიციატივა
ხელში ჩაიგდო მანქანის პატრონმა.

— მე? დიდი სიამოვნებით... — არ
დააყოვნა პასუხი ნანამ.

ლალის სხვა გზა არ ჰქონდა და სახლ-
ში დაგვიხვდა. სასწრაფოდ ჩაიცვა და
ნანას გვერდით მოუჭდა.

— საით მიბრძანებთ? — იკითხა გა-
თამამებულმა კერძო მესაკუთრემ.

— ფსანაურში! — თქვა ნანამ.

— ყინწისში! — თქვა ლალიმ.

— ვა! — თქვა ვაჟამ.

— დმანისში! — ვთქვი მე.

— სადა? — მკითხა ვაჟამ.

— დმანისის სიონი ვნახოთ.

გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს.

— საით? — მკითხა ვაჟამ.

— ბოლნისისაკენ.

— წავედით. — ვაჟა გაიფხორა, ძრავა
ახმაურდა. „ვოლგა“ მორჩილად გა-
უყვა გზას. მძღოლს განზრახ ნელა მი-
ჰყავდა მანქანა.

„— ცოტა ჩქარა, დავიღრჩე. — ეხვე-
წებოდა ძრავა.

— ცოტა ჩქარა, გეცხელა. — ემულა-
რებოდა საბურავები.

— ცოტა ჩქარა, ნუ მადუღებთ. —
ბრაზობდა წყალი“.

მძღოლი არა ჩქარობდა და რუსთავე-
ლის გამზირს თვალს უყენებდა. ეს იმას
ნიშნავს, რომ მთელს ქალაქს დაუყენა
თვალი მძღოლმა. რუსთაველის გამზირი
ხომ მთელი ქალაქია! გოგოებიც და ბი-
ჭებიც შურით გვიყურებდნენ. ყოველ
შემთხვევაში, მძღოლს ასე ეგონა.

— ცოტა ჩქარა! — ვთხოვე ვაჟას.

— გავგიჟდეთ? — მკითხა აჭარბლე-
ბულმა მძღოლმა.

— გავგიჟდეთ. — დაეთანხმნენ გოგო-
ები და მალე სპიდომეტრმა ასი უჩვენა.

— ეხლა, კაცმა რომ თქვას, რა გვინ-
და დმანისში?

სიჩუმე.

— რესტორანი არის? — კვლავ იკითხა ვაჟამ.

— არა.

— არც სასადილო?

— არა.

— აბა, გოგოები სად მიგვყავს? — ძალიან გაუკვირდა მძღოლს და სისწრაფეს მოუკლო.

— ლამაზი ადგილია. — სხვანაირად ვერ ვუპასუხებ; არც დაიჭერებს.

— ლამაზი ადგილი?! როგორ გითხრათ... ყველაზე ლამაზი ადგილი არის კარგად შემწვარი წიწილები ახალი ტყემლით; მწვადი, ცივი ღვინო...

კიდევ კარგი გოგოებმა გაიცინეს, თორემ ვაჟა ტოლმამდე ჩავიდოდა.

— ჩვენთვის სულ ერთია! — თქვა ნანამ ლალის მიგვირბოდაც.

თუ ლალისთვისაც სულერთია, მაშინ ჩემთვისაც სულერთი იქნება, ლალი. ალბათ, ლალისთვის არ არის სულ ერთი. არ უნდა იყოს. მე ესლა ლალის შევხედავ. მას ისეთი თვალები აქვს, რომ ნამდვილად შეეტყობა, რასაც ფიქრობს. მე ნელა მოვბრუნდი და ლალის თვალებში შევხედე. ლალიმ არ იცოდა, — რა ექნა. მერე გამიღიმა. მიეჩვია, რომ მის მიგვირბოდაც ვფიქრობ. თუ ასე გაგარბედდა, არ იქნება კარგი. ლალი ყოველთვის კმაყოფილია. ესეც არ არის კარგი.

გზაზე სასადილო გამოჩნდა. ვაჟამ მანქანა გააჩერა და თქვა:

— შგონი, ტაოტი გატყდა.

გოგოებს შეეშინდათ. ვაჟა გადმოვიდა და მანქანას გარს შემოუარა. მერე ნანას უთხრა:

— გინდა გამტყდარი ტაოტი გაჩვენო?

— მინდა.

— ჩამოდი.

ნანა გადავიდა. ვაჟამ ნანას ხელი მოკიდა და სასადილოში შეიყვანა. მალე სანოვაგითა და კონიაკებით დატვირთული „მასპინძლები“ მზიარული სიცილით დაბრუნდნენ.

— კონიაკის არჩევა ვიცი, ცოტა საჭ-

მლის შერჩევა მეძნელდება. — თქვა ვაჟამ.

ნანას ხელში ეპირა გამგვირვალე ქალაქში კობტად გახვეული ყველი. მწვანილი, კიტრი, პომიდორი, წიწყა. პური და ცივად მოხარშული დედალი.

— ხილი დაგვრჩა, — თქვა ნანამ.

— ახლავე, — უპასუხა ვაჟამ და ხუთვარსკვლავიანი კონიაკები და ლომონათი ფეხებთან დამიყარა. როცა ხილიც მოვიმარაგეთ, ვაჟამ იკითხა:

— მართლა დმანისში წავიდეთ?

— სიტყვა—სიტყვა! — ვუთხარი მე და შევნაბადას გავხედე.

— რა წვეტიანია, არა? — გაიოცა ვაჟამ.

— მახათაა? — იკითხა ნანამ.

— არა, ეგ შევნაბადაა. — უპასუხა ლალიმ.

მანქანამ სიჩქარეს უმატა.

წელს დმანისის პირველი სტუმრები ჩვენ ვიყავით. გალავანს შიგნით, მთელს ეზოში მწვანედ ბიზინებდა ბალახი. ვაჟამ მანქანა ლამაზ ეკლესიასთან გააჩერა და ძრავა გამორთო. უკან გავიხედე. გაქეცილ ბალახზე ცხადად ჩანდა ოთხივე ბორბლის კვალი.

— მოვედით? — იკითხა ნანამ.

ლალი მანქანიდან გადმოვიდა. ბალახი მუხლამდე წვდებოდა.

— ისე ლამაზად ირბევა ქარისაგან ეს ბალახი, რომ მოლივლივ ტალღებს მაგონებს, მწვანე ზღვის ტალღებს. — თქვა ლალიმ. ლალიმ ეს ჩემს გასაგონად თქვა, ვაჟამ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და მწვანეზე გულალმა გაიშობა.

— რა კარგია, არა? — თქვა ნებვირად ვაჟამ და ბალახში რამდენჯერმე გადატრიალდა.

— წამო, ყველაზე მაღალ ქონგურზე ავიდეთ. თქვა ნანამ.

— მოიცა, ჯერ ეჭამოთ. მომშივდა. — თქვა ვაჟამ.

— ჯერ აჭაურობა დავათვალიეროთ და მერე ვისადილოთ.

— წყალი არის? — იკითხა ვაჟამ.

— არა, ვალავანში არ არის. მდინარეზე უნდა ჩახვიდე. — ვუპასუხე.

— ჭვევით?

— ჰო.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ. ალბონისტი ხომ არ გგონივარ?

— აქ საიდუმლოდ გაყვანილი წყალსახიდი გვირახია. — ვუთხარი ვაჟას.

— რადგან თამაზს გზა სცოდნია, წყალი ამოიტანოს. — თქვა ვაჟამ და მანქანის საბარგულიდან სუფთა პატარა თუნგი ამოიღო. ვაჟას ყველაფერი ჰქონდა მანქანაში, რასაც მოისურვებდით: სანთელი, ნემსი, ხალიჩა, გასაბერი ბალიში, ჩანგალი, თოკი, ჭიქები, ძაფი, სასაპნე, სუფრის კოვზი, პირსახოცი და, ვინ იცის, კიდევ რა.

— მეც წამოვალ, — მითხრა ლალიმ.

— წვეტიანი ქუსლებით ვერ ივლი!

— აბა, ფეხშიშველა ხომ ვერ წამოვალთ? — ჩაგვერია საუბარში ნანა.

— ჩვენ აქ სუფრა გავშალოთ. — წამოაყენა წინადადება ვაჟამ, — თქვენ მე დამეხმარეთ.

მე თუნგს ხელი დავავლე და გვირახისაკენ წავედი. გვირახი გრძელია და საკმაოდ დახრილი. ადრე კიბეები ყოფილა: ახლა ალაგ-ალაგ თუ შეხედება კაცი. ძალიან ბნელა. ჯიბის ნათურა მაინც წამომელო. ნეტავ თუ ექნება ჯიბის ნათურა ვაჟას. ალბათ, ექნება. ვაჟა წინდახედული კაცია. გვირახში გრილა და ბნელა. დღისით გვირახი დამურების სამფლობელოა. სიბნელეში დაფრინავენ ზემოთ და ქვემოთ, სისინებენ. არასასიამოვნო ხმა აქვთ დამურებს. ჩემი ფეხისხმა რომ ესმით, ზემოთ აღარ მოფრინავენ, გვირახის ბოლოს გროვდებიან. გასასვლელი ჩამონგრეულია. ამიტომ ნაჟონი წყალი გროვდება. სინათლის სხივები ოდნავ ანათებს ჩამონგრეულ ლოდინებს და პატარა გუბებს. ალბათ, სადმე გასაძრომი იქნება. ვის არ უვლია აქ! ვინ იცის, ვის ხელში არ ყოფილა დამანისი ასეული წლების შემდეგ კი იმავე ადგილს ვაბიჯებ მე — ლალის, ნანას და ვაჟას თულუხნი. რა

ტომ ვარ მე თულუხნი? იმეტომ, რომ კიდევ ერთხელ მინდოდა ჭამოდასუფრევი ამ გვირახში და დამეხმარებოდა ჩემს თავთან მარტო.

„სისხლისაგან იცლება ალყაშემორტყმული ქალაქი. დაჭრილთაგან ყველაზე კარგად მე ვგრძნობ თავს. შეუმჩნეველად უნდა გავიდე მდინარის პირას და ეს უზარმაზარი თუნგი ავუტანო მეომრებს. ბრძოლაში გახლებულ მეომრებს წყურვილი აღრჩობთ. წყლისპირს უკვე რამოდენიმე ვულადი ვაქკაცი დარჩა. მტრის მარჯვე მემსრეებმა შენიშნეს და მოწამულწვერიანი ისარი სტყორცნეს. მერე ბევრი ეძებეს საიდუმლო გასასვლელი და ვერ იპოვნეს. გაოცებულები არიან ალბათ. მე მივუტან წყალს მეომრებს. ციხე არ დაცემულა“.

წყლისპირს ლამაზი გოგო ზის და თმებს იწნავს.

— გამარჯობა!

— უი! — შეჰკვილა გოგომ და გაქცევა სცადა.

— ნუ გეშინია. შენ და მე ძმა.

„შენ და მე ძმაო. — უთხრა ადინანჯალამ“.

— მიწიდან ამოძვერ? — მეკითხება დიდრონი შავი თვალები.

— არ გეტყვი. ეს საიდუმლოა.

— გვირახი იცი?

— არ გეტყვი. შენ აქ რას აკეთებ?

— ბატებს ვმწყემსავ.

— შენნაირ მშიშარას ორ ბატსაც არ ჩავაბარებდი.

— აბა, ჩვენ თავმჯდომარესა ჰკითხე!

— მოწინავე ხარ?

გოგონამ თავი დახარა. მერე წამოღვა და თქვა:

— მე წავალ.

— დაიცა.

— ბატებს უნდა მივხედო.

ფეხშიშველა გოგო ისე მიდიოდა რიყის ქვებზე, თითქოს ურბილეს ხალიჩაზე აბიჯებდა.

— რა გვქია?

— ქეთინო.
 — რა გვარი ხარ?
 — მარტიროსოვი.
 — მარტიროსოვი, თუ მარტიროზა-
 შვილი.

— მარტიროზაშვილები წინათ ცხოვ-
 რომდნენ დბანის ცხეში, დღეს, დიდ
 დმანისში მარტიროსოვებად იწერებიან.

— შენ რა იცი, წინათ აქ ვინ ცხოვ-
 რომდა?

— პაპაჩემმა მითხრა.

— პაპა რამდენი წლისაა?

— ასორისა.

„მოსახლეობას, ვინც თავს მკვიდრად
 სთვლის, წარსულისა აღარაფერი ახ-
 სოვს. არავითარი ვადმოცემა აღარ არ-
 სებობს. გარდა იმისა, რაც უკანასკნელ
 ორბულიანთაგან აქვთ ვაგონილი. სახე-
 ლები დავიწყებული, ან დამახინჯებუ-
 ლია. ლოქის ვარდა არცერთი მითს სა-
 ხელი არ იციან. მაშავერს „მუშევანს“
 ეძახიან, ფინუზაურს — „პამაღლეს
 წყალს“. უმრავლესობა ნანგრევ-ნასოფ-
 ლარისა უსახელოა, ან თათრულ სახელს
 ატარებს, როგორც თამარის დროინდელ
 ეკლესიანი. ეკლესიანს ახლა პამაღ-
 ლე ჰქვია“.

— ქართულის ვარდა რომელიმე ენა
 იცის პაპაშენმა?

— არა.

— შენ?

— არც მე. თუმცა რუსული და ინგ-
 ლისური გვსწავლეს სკოლაში.

— მერე იცი?

— რუსული — ცოტა ინგლისური —
 არა.

— ცუდად სწავლობდი?

— არც ისე. წავალ.

— რა გეჩქარება. მოდი, ეს თუნგი
 შემადგმევინე მხარზე.

— ეგ პატარა თუნგი?

— ჰო, მთელი ჭარისთვის მიმაქვს
 წყალი.

— ამითი?

— ჰო.

როცა თუნგის ასაწევად დაიბარა,
 ღრმად ამოჭრილ კაბიდან მკერდი გამო-
 უჩნდა. არც უფიჭრია ხელი დაეფარა.

აღბათ ეგონა, სოფლელი გოგოს დათ-
 ვალიერებას არ ვიცადრებდნენ არ
 იცის, რომ თვალი გრძნობს (სხუტუხუტა-
 ვად მაინც თავისას აკეთებს. თუმცა მეც
 არ ვიცი ეს გონების დაუკითხავად ხდე-
 ბა, თუ პირიქით.

— რამდენი წლისა ხარ?

— თვრამეტისა.

— მერე არა თხოვდები?

— ჟი, რას ამბობ!

— უკვე დროა.

გოგო გაწითლდა. მერე ისე, რომ მე
 არ დამენახა, სხეული შეითვალეირა.
 ღრმად ამოჭრილ გულსპირზე ხელის-
 გული დაიდო და ხელმეორედ გაწითლ-
 და.

— წავალ.

— წადი, შენი ჭირიმე.

სულ სხეუნიარად მიაბიჯებდა ახლა ბა-
 ტების მწყემსი. თვრამეტი წლის გოგო
 გინდა ბატების მწყემსი იყოს და გინდა
 კოსმონავტი, უკვე ქალია, დასრულებუ-
 ლი ქალი — თავისი ავითა და კარვით.

„ამ თუნგს მე მეომრებს ავუტან. უნ-
 და გადაეარჩინო ქეთინო, ნანა, ლალი და
 ვაჟა. გვირაბის შესასვლელთან ფეხი და-
 შიკდა და დავეარდი, მაგრამ თუნგიდან
 წვეთი წყალი არ დაქცეულა. ჭრილობა
 შემეხსნა. სისხლმა იწყო დენა. მაგრამ
 მეყოფა ძალა, ძალაც და სისხლიც იმი-
 სთვის, რომ გვირაბის თავს მივალწიო.
 მეომრებს სწყურიათ. მე ფორთხვით მი-
 ვიწვევ ხევით. ცალ ხელში მიჭირავს
 თუნგი, როგორც დროშა, როგორც ჩე-
 მი ორივე თვალის სინათლე. თავბრუ
 მეხვევა. ველარაფერს ვხედავ. საიდან-
 ლაც გალობის დიდებული ხმა მესმის.
 ცალ ხელში ჩემი ორივე თვალის სინა-
 თლე მიჭირავს. გვირაბში ჭაღები ინთე-
 ბა. თაფლის სანთლის სუნი დგება და
 კვლავ მსმის:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
 მორჩი კეთილი, ედემში დანერგული.“

„ალე სულნელი, სამოხით გამოსრული, ღმერთთან შეგამყო, ვერც გგობს ქებული, და თვით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

მღერძიან კედლები. ირზევა სანთლის ალი. გუგუნებს ყველაფერი ჩემს გარშემო. მე კი ცალ ხელში მიჭირავს ჩემი ორთავე თვალის სინათლე და მივიწვევ ზევით. თერთმეტი წლის დემეტრე თავადებულმა ათაბაგობა მისცა სადუნ მანკაბერდელს „რომელი იყო კაცი ბრძენი და გონიერი და კეთილის განმზრახავი და ჰაერთვანი, ძალითა ფრიად ძლიერი, და მოჩინალი რჩეული საზინო და მოძსარი ხელგანი“. სადუნისხუა და სხუა ენის მცოდინარე კაცი, — ამბობს საბა. სადუნი-მეგობარი, დაახლოვებული კაცი, — ამბობენ მონღოლები. მონღოლთა-მონღოლი, ქართველთა-ქართველი, სომეხთა-სომეხი, სომხურის, ქართლის, მონღოლურისა და სპარსულის კარგი მცოდნე. მოენეობის გამო აღზევდა, ძალიან გამდიდრდა და მედროვედ იქცა ავაგ ათაბაგისა და გვანცის ასულის, ხვაშაქის ეჯიბი“. ჩემი სული მარხია ამ გვირაბში. იგი მღერის... — მესმის სადუნის იღუმალი ხმა, — ღმანისი ჩემია...“ ამაღა ყაენმა დიდი გადასახადი შეაწერა საქართველოს. „უკეთუ მომცე ღმანისი. მე მივეცე საფაე ყაენსა.“ დემეტრემ „უნებლიედ მისცა ღმანისი და მიმღგომნი მისნი“. ეტყობა „ურიცხვი საფასის“ სანაცვლოდაც არ ემეტებოდა მეფეს ღმანისი სადუნისათვის.

— ღმანისი ჩემია, — კვლავ ჩურჩულებს მანკაბერდელი კედლიდან.

— მერე შენ ვინა ხარ? — ვეკითხები.

„სადუნი კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველოსათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქმნებოდა თათართაგან ძალი და უსამართლობა. არცა დიდ ნოინთაგან, არცა ელჩთაგან და ესრეთ აღშენდა საქართველო და მოიჩქუნა“. — ამბობს უცნობი ისტორიკოსი, საქართველოს შემატანე.

— შენ ჩემი სისხლი ხარ; ჩემი სისხლი გეხმარება ახლა მანკაბერდელს; ჩემი თვალის სინათლემ, მისცა სხუებს რომ გიჭირავს. — მიბუქდავს ტყინში მანკაბერდელი.

— ერთ რამეს ვერ გაბატებ.

— რა ღაფამავე?

— სამი ცოლი გყავდა.

— ერთი მიყვარდა.

— რომელი?

— თამარი, მეფის და.

— რომელიც იყიდე?

„არღუნის შეიღს მთიულეთში გაექცა ძალით გათხოვილი თამარი. მონღოლური წესის თანახმად სადუნი ქმარყოფილს „დაევაჭრა, რათა მოჰყიდოს დაი მეფისა“.

— მე სამშობლოში დაეპარუნე დემეტრეს და დასყვარელი მეუღლე ჩემი. და ავიტანე ეკლესიის საქეთმზყრობლის და მოხუცი მწყემსის კათალიკოს ნიკოლოზის რისხვა; მე ერთნაირად მიყვარდა თამარი და ჩემი სამშობლო.

— რა?

— საქართველო, ჩემი სამშობლო!“

— სადა ხარ, კაცი აქამდე? — ამიყვარდა ვაჟა.

სუფრა გაშლილი დამხვდა. დავსხედით. ბურ-მარბილი ხალიჩაზე ელაგა. ჩვენც ხალიჩაზე ვისხედით. ხალიჩის გარშემო მხოლოდ ღმონათის და კონიაკის ბოთლები იყო მაღალ ბალახში ჩამალული. თუ დავთვერით, ალბათ ვეღარც ვიპოვით სასმელს. ამიტომ წყლით საეე თუნგი სუფრის შუაში ჩავდგი. სუფთა ჰაერზე ქალაქელებს მალე მოგვშივდა და გულიანად მივირთმევედით ცივ-ცივ პომიდორსა და კიტრს. ლალი კიტრს სულგუნს ატანდა და ილიმებოდა. ნანა კონიაკს წრუტავდა. ვაჟას ისე ოსტატურად დაეჭრა დედალი, რომ მთელსა ჰგავდა.

— მოდი, გავეიმარჯოს! — თქვა ვაჟამ და ტიქები მოგვიჭახუნა.

— მოდი. — დავეთანხმე მე.

ფოგოებს არაფერი არ უთქვამთ, და-

ლიეს. ვაჟამ ქათმის ბარკალი ვაჟებანა
ყბიკენ.

— თეთრი ხორცი არ მიყვარს.

— თეთრი ხორცი მე მიყვარს. —
თქვა ნანამ.

— დაიქი, ავქაში სკამე და „აიდოს-
ტზე“ დადინძლადეთ. — უთხრა ვაჟამ.

— კარგი.

— ლალის გაუმარჯოს! — ვთქვი მე.
პირველმა ჰქიამ მუხლებამდე ჩაატანა
და სმა მომიხდა.

— ნანასაც გაუმარჯოს! — დაამატა
ვაჟამ.

გოგონებმა მადლობა გადაგიხადეს.
ლალემ, სანამ სამადლობელოს შესვამ-
და, თქვა:

— მოდით ამ მფრინავ ხალხსა გაუმარ-
ჯოს! ვინატრეთ და აქ მოგვაფრინა. და
თუ კიდევ ვინატრებთ, გავგაქროლებს
შორს. შორს... — ლალის რაღაც არა-
ჩვეულებრივი უნდოდა ეთქვა. ამას ხომ
ჩემს გასაგონად ამბობდა, მაგრამ ვერ
მოიფიქრა და დაასრულა — ...ძალიან
შორს.

— ესე იგი, „ვოლგას“ გაუმარჯოს,
არა? გმადლობთ! — თქვა კერძო მესა-
კუთრემ.

გაგვეცინა. ვაჟა მხიარული ბიჭია. რო-
ცა ცოტას დაღვეს, უფრო მხიარულდებ-
ა. მაგრამ დღეს არ შეიძლება. თავისი
თავის გარდა, კიდევ სამი ადამიანის სი-
ცოცხლე აქვს ჩაბარებული.

მანქანამ ძვე სწრაფად მოხვდია, რომ
საბურავებმა კივილი დაიწყა.

— ცოტა ნელა! — ფრთხილობდა
საბურავები.

— ცოტა ნელა! — დინჯად თქვა ძრა-
ვამ.

— ცოტა ნელა! — დუღდებოდა
წყალი.

— ჩქარა, ჩქარა, კიდევ უფრო სწრა-
ფად! — ყვიროდა ნანა. ნანა ახლა ვა-
ჟას ვეწრდით იჭდა. კაბა მუხლებს ზე-
ვით ასწეოდა და ახელებდა თავზეხელა-
დებულ მძღოლს.

— გავგიჟდეთ? — კითხულობდა ვაჟა
და სისწრაფეც მატულობდა.

— რა ჯაზეხია, არა? — ეუბნებოდა

ნანა ლალის და თან რადიოშიმღებელ
ვალებდა.

ერ. მ. მ. მ. მ. მ.

— ლალი, ცუდად ხომ სხამს ჩემს
კეითზე ვაფითრებულ გოგონას.

— არ უნდა დამელია.

— ვაჟაჩერო? — ჰკითხა ვაჟამ.

— არა, ცოტა ჩქარა. აღარ გამოჩნ-
და ეს ოხერი თბილისი?! — იკითხა ლა-
ლიმ.

— ასოცი ცოტა? — ამბობდა ვაჟა,
— კარგი ძრავა შემწვდა. ახლავე ასორ-
მოცს დავეცამ.

მანქანამ სისწრაფეს უმატა. მე შევე-
ტყე, საუკემ ხტუნვა დაიწყო, კელარ ერე-
ოდა მძღოლი სისწრაფეს. ხეები, ბუჩქე-
ბი, სახლები და ტელეგრაფის ბოძები
ისე სწრაფად მორბოდნენ ჩვენს შესახ-
ველად, თითქოს დიდი ხნის უნახავები
ვიყავით. ამ დროს მე ასფალტის მოძ-
რაობით ვერბობი. ის ჯერ უუსწრაფე-
სად მოჭრის ჩვენსკენ. ბორბლებს ქვეშ
ჭრება და ზღანტი ხსნარივით ჩერდება
მანქანის უკან. მე კვლავ წინ ვიხედები.
ისევ მოჭრის ასფალტი და ისევ იყინება
ჩვენს უკან. მერე მე ისევ წინ ვიყურე-
ბი. ასფალტზე უზარმაზარი მანქანა მო-
ჭრის. მანქანა ისე სწრაფად იზრდება,
რომ დავეირვებასაც ვერ ვასწრებ. ასეთი
გრუბენი მე ჯერ არ გამიგია!...

— ვაჟა როგორ არ იცნობდი, კაფე
„რიტაჟის“ დირექტორი რომ იყო!

— მწვანე „ვოლგა“ რომ ჰყავდა? —
გამოიცირო გოგონამ.

— ჰო. — უპასუხა ნაცრისფერბურან-
გინამა და თამბაქოს კვამლი ღრმად ჩაი-
სუნთქა.

— მარტო ყოფილა? — შეეკითხა გო-
გონა.

— არა, ოთხნი. — დაბეჭითებით
თქვა დაბალმა. ისინი სამნი იყვნენ და
თითქმის დაცარიელებულ რესტორანში
ყავას შეეპტეოდნენ.

ნაცრისფერბურანგინანი ლამაზი ბიჭი
იყო. გოგონაც ძალიან ლამაზი და კოხ-
ტა. მესამე — მსუბუქი წონის მოკრი-
ვეს ჰგავდა, განიერი და მიწყლებილი
ცხვირი ჰქონდა, განვითარებული, მაგა-

რი კუნთები, პერანგიდინაც ემჩნეოდა.

— დანარჩენები ვინ იყვნენ? — დაინტერესდა გოგონა.

— ერთი იცი რომელი იყო... „ლურჯი იები“ ნახე? — ჰკითხა გოგონას ჯაბალმა.

— სამჯერ.

— ყოჩაღ! — დაცინევით უთხრა ნაცრისფერპერანგიანმა.

გოგონა გაბრაზდა, მერე დაბლისაყენ მისწია თავისი საეარძელი და ჰკითხა:

— რომელი იყო, მთავარ როლს რომ თამაშობდა?

— არა იმისი და, ნანა. — უბასუხა დაბალმა და ხელზე ხელი დაადო.

— ის კარგი გოგოა, ძმაო! — თქვა ნაცრისფერპერანგიანმა.

— ეგ რა არის! შენ მერე უთხარი, ვინ იყო. — მრავალმნიშვნელოვნად თქვა დაბალმა.

— ლალი!

— ლალი?! ჩვენს ზემოთ რომ ცხოვრობს? — გაოცდა გოგონა. გოგონა ნაცრისფერპერანგიანს არ უყურებდა.

— ცხოვრობდა... — დააზუსტა ნაცრისფერპერანგიანმა.

— ოთხივე დაიღუპა?

— მგონი.

— მეოთხეც გოგო იყო?

— არა, მეოთხე არ ვიცი ვინ იყო, მგონი, ბიჭი იყო. — დაბალმა მბოლოდეს არ იცოდა.

— ალბათ, მთერალეები იყვნენ. — გოგონა დაბალს თვალს არ ამორებდა.

— გახეტოილი. ნანას მოჰყავდა თურმე მანქანა ასორმოციით.

— რა იცი? რომელი მანქანა უჩვენებს ასორმოცს? — დაეჭვდა ნაცრისფერპერანგიანი.

— ექსპერტმა გამოითვალა.

— მართლა?

— სულ ტიტვლები მგდარან მანქანაში. — თქვა დაბალმა.

— კარგი, კაცო!

— ძლივს გამოიღეს, ისე დაჰმეჭვილა „ვოლგა“.

— სულ ტიტვლები იყვნენ? — კვლავ

იკითხა გოგონამ. გოგონა დაბალს თვალს არ ამორებდა.

— დედიშობილა ანტიკვარტის არაფერი აცლდათ.

— ლალი რომ ეგეთი არ იყო!

— არც ნანაზე ამბობდნენ... მერამ...

— ახლა ყველაზე რაღაცეებს ამბობენ. — თქვა გოგონამ და სიგარეტს მისწვდა.

— არ წავიღეთ? — იკითხა დაბალმა და ასანთს გაჰკრა. არ აინთო. დაბალმა რაღაც ჩაიმურტყუნა და ასანთის ღერი ვიტრინის დიდ მინაზე აანთო.

— სად? — კითხვით უბასუხა ნაცრისფერპერანგიანმა.

რესტორანში არავინ არ იყო და ნახევრად ბნელოდა...

— საქართველოს გაუმარჯოს! — თქვა ვაჟამ.

— რა თქვი? — ვკითხე თამადას.

— ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს! —

— გაიმეორა ვაჟამ.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს — ეივლიზილი ასტეხეს გოგონებმა. ალბათ უკვე შეთერნენ.

— აქაურობა არ დაეათვალიეროთ?

— იკითხა ნანამ.

— ახლავე. — თქვა ვაჟამ, — თამაზ, თითოც დავლიოთ?

— როგორც გინდა.

— მოდი, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს. ასეთი დღე ჩემთვის ჯერ არ გათენებულა.

— რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა! — გაიოცა ვაჟამ და ნანას გადახედა. ნანამ თვალი გაუქსწორა. მერე რაღაც ჩაილაპარაკა და იდგა.

— მოიცა, მეც წამოვილა! — უთხრა ვაჟამ ნანას. მერე მჯდომარემ თვალი ააყოლა ნანას მშვენიერ სხეულს, ფრანგული ქუსლებიდან მუქ თაფლისფერ თვალბამდე. წამოდგომა სცადა, ვერ შესძლო. ნანას წვივზე მოჰკიდა ხელი და ადგა. ეს ისე ვაჟკეთა, თითქოს აღდგომის სხვა საშუალება არ ჰქონდა. ნანასაც ასე ეგონა. უფრო სწორად, ალბათ, ნა-

ნასაც ასე ეგონა. არც კი მიუტყვევია ვაქსათვის ყურადღება. მაგრამ ვაჟამ ადგომის დროს ხელი ააცურა და... ნანამ ვაჟას სილა გააწნა.

— ვინ არის ეს ქაჯი? — იკითხა ვაჟა? და მე შემომხედა.

„ეს ქაჯი“ ლალის მიუახლოვდა და უთხრა:

— წამო ყველაზე მაღალ ქონგურზე ავიდეთ, გინდა?

— მინდა.

წავიდნენ.

— არ ვადმოვარდეთ! — გვეფრხილეს.

— შენ არ წამოხვალ?

— დაგეწევით. — ვაჟას დატოვება არ მინდოდა...

— მგონი, კონიაკი მომიყიდა. — განმიმარტა ვაჟამ.

— ხუთუარსკვლევიანი მატარია. — დავეთანხმე.

— ხო, სამიანის და ოთხიანის სმა არცა ღირს. თითქოს არყით მუხბის კასრები გაურეცხიათო.

— მართალია.

— მგონი, დავითვერი, არა? — ვაჟას ლოყაზე ოთხი თითი ემჩნეოდა.

— ხომ არ წაუძინებ ცოტას?

— არა.

— ინსპექტორი არ შეგვხვდეს, ხომ იცი, გოგოები გვიხედონ და გაგვჭირებენ.

— არ შეძინება. ქაჯია, არა? — შემეკითხა მერე.

— წამოხვალ?

— არა, ავალაგებ.

— მაგას გოგოები მოუვლიან.

— მაშინ მანქანას მივხედავ. — ვაჟა ვამებუტა.

მე ქონგურზე ავიდიოდი. ხევით გოგოები იდგნენ და ქარი კაბას უთამაშებდა. გოგოები ხელით იჭერდნენ კაბის ქალოებს.

— წადით, ვაჟას სუფრის ალაგებაში მიუბმარეთ; დანარჩენს მე დაეაოვადიერებ და გზაში მოგიყვებით.

— შენ დარჩი, მე წავალ. — უთხრა ნანამ ლალის.

მე და ლალი დავრჩით ყველაზე მა-

ღალ ქონგურზე. მე ლალის შეხვედრის შემდეგ და ლალი არასოდეს არ ვემდეგავართ ერთად ყველაზე მაღალ ქონგურზე. მერე ლალიმ მკითხა: სიმბოლოები

— გიყვარვარ?

მე ვუთხარი, რომ მიყვარს.

როცა მანქანასთან დავბრუნდით, უკვე ბნელოდა. ვაჟა და ნანა მანქანაში ისხდნენ და მუსიკას ისმენდნენ.

— წავიდეთ? — მკითხა ვაჟამ.

— როგორც გინდათ — თქვა ლალიმ.

— წავიდეთ. — თქვა ნანამ.

— სად? — იკითხა ვაჟამ.

— თბილისში.

სოფლის შარავზიდან მანქანა ფრთხილად და ნელა გადავიდა ასფალტიან გზატკეცილზე.

— კარგი აღვიღაა დემანისი. — თქვა ვაჟამ.

— რა კარგი იყო, არა? — იკითხა ლალიმ.

— ძალიან. — უბასუბა ნანამ.

— მანდ მეფეები ცხოვრობდნენ? — დაინტერესდა ვაჟა.

— არ ვიცი. ერთ დროს ეს ქალაქი სადღნ მანკაბურდელს ეკუთვნოდა.

— ვისა?

— სადღნ მანკაბურდელს.

— ვინ იყო მანკაბურდელი? — იკითხა მძლოლმა.

— გასომხებული ქურთი. — ვუბასუბე.

— ეა! — გაიოცა ვაჟამ და ლოყაზე ხელი მოისვა.

მანქანამ სისწრაფეს უმატა. საქემ ბტუნვა დაიწყო. ხეები, ბუჩქები, საბლები და ტელეგრაფის ბოძები ისე სწრაფად მოქროდნენ ჩვენს შესაბედე-რად, თითქოს დიდი ხნის უნახავები ვიყავით. მე ასფალტის მოძრაობით ვერთობი. ასფალტი სწრაფად მოსრიალებს ჩვენსკენ. მანქანის ბორბლებს ქვეშ ქრება და ბლანტე ხსნარით ჩერდება ჩვენს უკან. მე კვლავ წინ ვიხეუდები. ისევ მოქტრის ასფალტი და ისევ იყინება ჩვენს უკან. მერე მე ისევ წინ ვიყურები. გზატკეცილზე უზამზარი მანქანა მოქტრის.

შალვა აბხვიაშვილი

ს ა მ ო მ ე ლ ა

საგომელავ, საგომელავ,
წმინდა წყალის სადგომელავ,
მამა-პაპის ნახელავო,
ჩემი გულის ნახევარო.
ყანას ვმკვი თუ ბალახს ვთიბავ,
თუ მზემ სხივით გამახურა,
ვინატრებ და ფასის მთიდან
ჩემსკენ მოჰქრი კალმახურად!
საგომელავ, ბროლის წყალი
მომაშურე, გამაგრილე,
მშობლიური მზით დამწვარი
ვერ ვშორდები ამ ადგილებს.
აქ ცეცხლს ყრიდა მამის წალდი,

აქა მზრდიდა დედის ნანა,
სიმღერები, მამითაღი,
სათიბები, ლურჯი ყანა.
საგომელავ, დილა წყნარი
ისარკება შენს უბეში,
მე მაცოცხლებს ყინულწყალის,
შენი წყალის ერთი პეშვი!

მე ფასის მთის ფესვთან აბლოს
საგომელას წყალი მისევამს,
ქამთა ფურცვლა ვერ დააზრობს
სიყვარულს და ტრფობას მისას.

ღამე შიორის ტყეში

ტყეში კოცონი ტკაცუნებს,
ისერის ნაბერწკლებს ბრიალას,
ორწოხში წყალი ფაცურებს,
მეწყერმა დაიგრიალა.

მთვარე ივარცხნის ოქროს თმებს
და ვერცხლავს წყაროს აღმასას,
ციცხლის კოცონთან ღამე თვლემს,
სიო უმღერის ნანასა.

ზეცაში ბამბის ნაფლეთებს
მთვარე იბურავს მანდილად.
აფთარი თვალებს აფეთებს,
მთა თრთვილით გადაბარდნილა.

თვალს რული არ ეკარება,
ცა ლურჯი მხურავს ფარაჯად.
და მუხა, დევის მკლავება,
თავს დამდგომია დარაჯად.

ისმის შუშხუნა ვეძების
განუწყვეტილი ხარხარი,
თავაწყვეტილი ვერძების
საყანწე რქების ჯახანი.

ფიქრი მაქვს ორბის ფრთებისა,
ცისარტყელებით ნაფერი,
მთას ვუმღერ შეილი მთებისა,
არიწვად წამონაფრენი.



საკები ანონონი

შემოდგომის შეხვედრები

მოთხრობა

ოღრო-ხოღრო ქვაფენილზე ათეული აბანოსაყენ მიემართებოდა ნალევის წყრიალით. ზღვიდან მონაბერი თბილი ნიავი ატჩქარებლად ფურცლავდა ტროტუარების გასწვრივ ჩამწყრივებული ალვეებისა და არყის ხეთა გაყვითლებულ ფოთლებს, ხანდახან ფოთლები მოწყდებოდა და ტრიალ-ტრიალით ეცემოდა ქვაფენილის მრგვალსა და გლუმ ზედაპირს, ტროტუართა ხორკლიან ასფალტს.

პავლე ვიატიკინმა წიგნის მალაზიისაკენ გაიხედა და ტონია დაინახა. იგი წიგნებით დატვირთული გამოდიოდა მალაზიიდან და საოცრად შორთული ჩანდა. თუმცა ყველაფერი რაც ეცვა — ფართო კლოშიანი ქვედატანი, შალის თეთრი ჯემპრი, — თავისთავად არაფრით არ იყო ღირსშესანიშნავი. პავლემ განზე გაიხედა; არ უნდოდა დაენახა ტონიას. „იღლიაში ამოუჩრია ფუთა და აბანოში მიდის! უნდა დაიბანოს, ცოცხით გაიშოლტოს და ყოველ დარტყმაზე ოხვრა აღმოხდეს“. თუმცა პავლე არასოდეს ხმარობდა ცოცხს, მაგრამ მოეჩვენა, რომ უსათუოდ ასე იფიქრებდა ტონია: და, საერთოდ, მთელ ამ მსვლელობას აბანოსაყენ, მხოლოდ მოწყალე-ირონიული ღიმილი შეეძლო გამოეწვია ქალიშვილის ბაგეზე. ტონიასთან შეხვედრისას ცდილობდა ბლოკზე, ესენისსა და ჩაიკოვსკიზე ესაუბრა...

ტონიამ შენიშნა პავლე. პავლეს ეშინოდა მისკენ თავის მობრუნება, ესმოდა, როგორ კაყუნობდა ასფალტზე ტონიას ტუფლის წვრილი წვეტიანი ქუსლები. მასაც პავლეს ათეულის მიმარ-

თულებით ჰქონდა გზა თუ არა? სად უნდა მიდიოდეს? შინ? მაშინ მალაზიიდან მარჯვნივ კი არა, მარცხნივ უნდა გაეხვია. არა, შინისაკენ არ მიდის...

ათეულმა შეუხვია, ქუჩა ციკაბოდ ეშვებოდა ზღვისაკენ. ჯარისკაცების ჩექმები ატყაპუნდა რუხ-ყავისფერ მტვრის სქელ ფენაზე და უხვად ატყორცნა იგი ზემოთ.

პავლემ ველარ მოითმინა და გახედა.

ტონია კუთხეში იდგა. შენიშნა ვაჟის გამოხედვა თუ არა, კეთილი, გულდია აღამიანის ღიმილით უპასუხა, აღამიანისა, რომელსაც არაგვისთან არაფერი ჰქონდა დასამალი. პავლეს სახეზეც ღიმილი აუთამაშდა. მაგრამ იმ წამსვე დამალა, რათა ამხანაგებს არ შეემჩნიათ და არ მიმხვდარიყვნენ, ვის ეკუთვნოდა იგი.

როდესაც მეორედ გაიხედა მოსახვევისაკენ, ტონია იქ აღარ იყო, მაგრამ არყის ხე სახლთან. სადაც ქალიშვილი იდგა, კუთხე წყალსადენის მილთან და მის ქვეშ მდგარი კასრი, სახლის ფანჯრები განსაკუთრებით უჩვეულოდ ლამაზი მოეჩვენა.

იმავე დღეს შეიტყო, რომ მომავალ კვირას ათეული ქალაქის სურათების გალერეაში უნდა წასულიყო ექსკურსიაზე. პავლემ იმწამსვე მისწერა ტონიას ეს ამბავი და როდესაც კონვერტი დაეცა საფოსტო ყუთის ძირზე, პავლე თავს უკვე თითქმის ბედნიერად გრძნობდა.

მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ტონიას პაემანი დაუნიშნა და დარწმუნებულ იყო, ქალიშვილი მოვაო, პავლეს

უჩვეულო გრძნობა დაეუფლა, რომელსაც მოუსვენრობა და შიში შეიძლება დაეარქვათ.

როგორც კი ოცეულის მეთაური შენიშნას მისცემდა ტერეშჩენკოს, რომელიც ორძელიდან ტომარასავით ჩამოვარდა, იმის ნაცვლად, რომ წესისამებრ ჩამომხტარიყო, როგორც კი ზემდეგი უსაყვედურებდა ჯანგილინის ყველაზე ბოლოს რად შეუერთდი მწყობროს, როგორც კი გაანჩხლდებოდა უფროსი ლეიტენანტი ვისკოვატოვი, პოლიტმეცადინეობაზე მცდარი პასუხების გამო, პავლე ვიატკინი გულის ფანცქალით ელოდა, რომ რომელიმე უფროსთაგანი გაბრაზდებოდა და იტყვოდა:

— ექსკურსია ვალერეაში აღარ შედგება! მორჩა და გათავდა!

შეუძლებელი იყო არ შეემჩნიათ, მეთაურებს, როგორ გაჯომარდა ვიატკინი, როგორი ვულისყურიანი ვახდა, როგორ ცდილობდა სხეებზედაც მოეხდინა გავლენა.

...ექსკურსია არ გადადებულა და თბილ, მზიან დღეს ათეული ქალაქის სურათების გალერეისაკენ ვაემართა.

როგორც კი დაეპატრონა ათეულს ექსკურსიის მძღოლი გოგონა, რომელსაც პაჭუა ცხვირზე სათვალე ეკეთა და საჩვენებელი ჯოხი თხელ, თეთრ ხელში ეჭირა, ლეიტენანტმა ტრეგუბოვმა აღარ იცოდა რა გაეკეთებინა. მან მოულოდნელად თავი იგრძნო იმ საქმისაგან ჩამოშორებულ ადამიანად, რომელსაც ყოველთვის განაგებდა, საქმე, რომლის მიტოვება მისი აზრით არ შეიძლებოდა, არცერთ წუთს. იგი იმდენად სურათებს არ უყურებდა, რომლის შესახებ ძალზე მშვიდად ლაპარაკობდა ექსკურსიის მძღოლი, არამედ თავის ჯარისკაცებს, რომელთაც უხმოდ რაღაცას ანიშნებდა და უსწორებდა. და თუ ამ ახალგაზრდებისათვის მუზეუმის დათვალიერება იყო გართობა, ლეიტენანტ ტრეგუბოვისათვის, რომელსაც ახლანაშნა შეუსრულდა ოცდარვა წელი, ყოველივე ეს

იყო აღმზრდელისა და მეთაურის ჩვეულებრივი შრომის გაგრძელება.

მაგრამ შემდეგ სურათზე: სწავლა მოსახული იყო სოფლის ბაზრობა, რადგამ ისიც გააოცა და იმ წუთს მხედველობიდან დაეკარგა პავლე ვიატკინი.

ხოლო ვიატკინი, როგორც კი ვალერეაში შევიდა, ფრთხილად, საიდუმლოდ იცქირებოდა აქეთ-იქით და ტონის ეძებდა. „ნუთუ არ მოვა?“ გაიფიქრა მან. როდესაც მეორე დარბაზში გადიოდნენ, ვიატკინმა დინახა იგი. ტონია იღვა სურათთან მართო (აღბათ იმიტომ, რომ პავლეს ადვილად შეეშინა) და მისკენ იყურებოდა. მაგრამ პავლეს ეშინოდა თავისიანებს არ ჩამორჩენოდა და შემჩნევა არ მიეღო, ვერ გაეხებდა ქალთან მისვლა, და ტონია, რომელიც თვალს არ აშორებდა ათეულს, დარბაზიდან დარბაზში გადადიოდა.

მალე ჯარისკაცებს სხვა დამთვლიერებლებიც შემოუერთდნენ, რომლებმაც, აღბათ იგრძნეს, რომ ექსკურსიის მძღოლის მოსმენით სურათში უფრო მეტს დინახავდნენ და უკეთ გაიგებდნენ ყველაფერს. ამ შემთხვევით ტონიამაც ისარგებლა და ათეულს შეუერთდა, მაგრამ არც პავლეს და არც ტონიას, თითქმის მთელი საათის განმავლობაში ერთმანეთისათვის არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ.

სრულიად მოულოდნელად დასრულდა ექსკურსია. ექსკურსიის მძღოლმა ქალიშვილმა თქვა: „აი, ესაა ყველაფერიო“, ლეიტენანტმა ტრეგუბოვმა ჯარისკაცების სახელით მადლობა გადაუხადა ქალიშვილს ახსნა-განმარტებისათვის და ხელქვეითებს ანიშნა გასასვლელისაკენ. როდესაც კიბეებზე ჩავიდნენ და ვესტიბულში მოიყარეს თავი პავლე ისევ ხედავდა ტონიას, მაგრამ ათეული ქუჩაში რომ გამოვიდა ტონია თვალს მოეფარა. როდისღა შეხვდებოდნენ კიდევ ერთმანეთს?

მოგვიანებით, როცა პავლე ცდილობდა გაეხსენებინა, რომელი სურათი ნახა მას შემდეგ, რაც ექსკურსიანტებს ტო-

ნია შემოუერთდა, მისდა გასაკვირად, ვერც ერთი ვერ მოიგონა, თითქმის არც არაფერი დაუთვალა იერებშია და არც არაფერი უნახავს.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამის შესახებ, მით უფრო გაოცებული რჩებოდა.

პაველ მოხერხებულად განმარტოვდა — მაგიდაზე მარჯვნივ და მარცხნივ დაიწყო წიგნები, რვეულები, ფანქრები, თითქოს მეცადინეობდა, — იგი წერილს წერდა ტონიას. ეს იყო სატრფიალო წერილი და მას არ უნდოდა, ვინმეს მოეკრა თვალი, თუნდაც ერთი სიტყვისთვისაც კი.

წერილში გაიტაცა.

ყოველთვის როდი ახერხებდა ტონიასთან საუბარს, კიდევ კარგი, ერთმანეთს მაინც რომ ნახულობდნენ. მაგრამ ხანდახან, შეხვედრისას, პაველ სათქმელს ვერ ეუბნებოდა. როდესაც დაბრუნდებოდა, ნათლად წარმოიდგენდა, რა და როგორ უნდა ეთქვა, — მაგრამ უკვე გვიან იყო. ახლა კი, წერილში ყველაფერს ეტყვის.

შემოდგომაზე ადამიანი უფრო მეტად ფიქრობს სიცოცხლეზე, მის აზრსა და დანიშნულებაზე, ვიდრე სხვა დროს. შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ თვითონ შემოდგომა ემზადება განსასვენებლად შიშველი მიწოდებით, აჭრელებული ხეებით, რომელთაც ნელ-ნელა ცვივით ფოთლები, საღვლა შორეულ სამხრეთში გამგზავრებულ ფრინველთა სულში ჩამწვდომი, მოუსვენარი შეძახილებით. ამ დროს შემოდგომა თითქოს ამთავრებს თავის ცხოვრებას, ანდა კიდევ იმიტომ — რომ შემოდგომაზე ყოველთვის მოწყენილი ხარ, ყოველთვის მეტს ფიქრობ.

პაველ ვიატკინს მთელი ცხოვრების ოცი წლის მანძილზე ეს არ განუტდია. მან უბრალოდ იგრძნო ისეთი რამ, რაც ადრე არ განეცადა და არ ენახა, რომლის არსებობას ვერც ხედებოდა. ბოლო სტრაქონების წერისას იგრძნო

მთლად რომ ენახებოდა. შეეშინდა, არაფერი შემამჩნიოსო, დერეფანში გამოვიდა, ხელში „ვატკინილი ყაპირის“ ტომი ეჭირა, რომელშიაც წერილი ჩადო. ადრე იფიქრა, წერილი გიმნასტურის ჯიბეში შეენახა, მაგრამ დაკმუჭვის შეშინდა.

დერეფანშიც გრძნობდა კანკალს, სულ ერთი დღის შემდეგ ამა და ამ სართალს, ტონია გახსნის წერილს და წაიკითხავსო, ფიქრობდა.

— ვიატკინი! — დაუძახა ჯანგილდინმა, — არ მესმის რაღაც! გახსოვს, იქ რომ სურათი ეკიდა?... ცხენი, ცხენზე ახალგაზრდა მოჭირითე ქალი ზის, ზემოთ კი თვითმფრინავი ტუ-104... სურათი მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის. როგორ? რატომ?

— რომელი თვითმფრინავი? — შუბლშეკვრით კითხა ვიატკინმა. მას არცერთი სურათის გახსენება არ შეეძლო, არც თვითმფრინავისა, არც სხვისი, იგრძნო, პასუხს ვერ გასცემდა ჯანგილდინს და ბრაზობდა, — რომელი თვითმფრინავი, იყო კი, იქ თვითმფრინავი?

როგორც კი დაასრულა ეს ფრაზა, მზიარული სიცილი გაისმა. აშკარა იყო, ჯანგილდინი, ტერეშჩენკო და კაიუკოვი ერთობოდნენ. ჯანგილდინმა კი გულთბილად მოუთათუნა ვიატკინს მხრებზე ხელი და თითქოს დასამშვიდებლად უთხრა:

— არაფერი, ამხანავო, არაფერი... ჯერ სადა ხარ!

ვიატკინმა იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეზე, და რა გამალებული უფანცქალებდა გული. რაც შეიძლება, თავი დაიმშვიდა, რათა მქირდავები უფრო დაეწვა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— თავად გაბეჯითდე, ის ჯობს, არც ათეულს შეარცხვენდი.

უეცრად გამეფებულ სიჩუმეში, ვიატკინი განაგრძობდა:

— შენ კი, ტერეშჩენკო, დროა თავი ანებო დერეფანში სპილოსავით ბობღვას.

თუმცა ვიატკინი ცდილობდა, რაც შეიძლება მაგრად მოეცხო მჭირდაეზისათვის, მაგრამ მთელი დღე და საღამოც გრძობდა, რომ ყველაზე მეტად თვითონ იყო შეურაცხყოფილი.

ლამით შეშფოთებულს გამოედევია. ვერ გაეგო, რა მოსდიოდა, წამოიწია და გოგნებული რამდენიმე ხანს იჯდა.

ყაზარმაში მშვიდად სუნთქავდნენ და ხერხინავდნენ მისი ამხანაგები. ფანჯარაში მთვარისაგან ვანათებული წრის ნაწილი მოჩანდა, სადაც ახლოს ძალიან ყვფდა.

ვიატკინმა სქელი ლეიბის ქვეშ შეჰყო ხელი და „გატეხილი ყამირის“ ტომი გამოიღო. წიგნი გაშალა. მაგრამ წერილი ველარსად იპოვა. სტაცა ხელი ყდას და სწრაფად დაუწყო ფურცლვა. წერილი არსად ჩანდა. შემდეგ გადააბრუნა წიგნი და დაბერტყა. წერილი მაინც არ გამოჩნდა.

და უცერად წარმოიდგინა, ტონიასადმი მიწერილ წერილს როგორ კითხულობდნენ ჯანგილდინი, ტერეშჩენკო, კაიუკოვი, ათეული, ოცეული!

კითხულობენ და იცინიან, თან თავადაც უმატებენ საღლაბუცო სიტყვებს, ოხუნჯობას, თვალწარმტაცად აღწერენ მათი შეხვედრის წერილმანებს. პარკის ხეივანში, მათ ბოლო შეხვედრას, თავად ვიატკინიც ვერ იგონებდა უხერხულობის, და შესაძლოა, სირცხვილის გარეშე.

როგორც ჩანდა, ტონია, ასაკის მიუხედავად, გულუბრყვილო და მიმნდობი იყო. მას ადამიანები, ანდა ყოველ შემთხვევაში ვიატკინი, ბოროტ განზრახვებს მოკლებულად ეჩვენებოდა. პარკში შეხვედრის დროს ვიატკინმა ტონია ბნელ ხეივანში შეიყვანა. გარშემო მიმოიხედა (თავად მშვენიერად გრძობდა, როგორ ქურდულად იხედებოდა აქეთ-იქით!) შეჩერდა და თავისკენ მიიზიდა ტონია. ხელი გულისპირ-თან ჩაუტურა, ტონიამ მშვიდად მოიშორა იგი და წყნარად ჰკითხა:

— ესაა ყველაფერი, რაც შენ ვინდა? მაშინ სხვა ეთი.

ვიატკინი განზე გახტა.
— ნახვამდის! — მიიძახა ტონიამ და წავიდა.

როდესაც ქალიშვილმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და სინათლეზე გავიდა, ვიატკინმა დაინახა (თითქოს ამის დანახვა ნამდვილად შეიძლებოდა), თუ როგორი ნაწყენი იყო ტონია. მიდიოდა იგი წელში მოხრილი, ნელი ნაბიჯით, ხელი გულზე მიედვა და, ალბათ, თვლები ძირს ჰქონდა დახრილი.

ვიატკინი კი იჯდა და თავის ცხოვრებაში პირველად ფიქრობდა, რას ნიშნავდა ისეთი გოგონასათვის, როგორიც ტონია იყო, ვაყის მცდარი მოქმედება, ერთი მცდარი ნაბიჯი.

ვიატკინმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა უნდა მოემოქმედა, უცერად წამოიჭრა და ტონიას გამოუდგა, გრძობდა მხოლოდ, რომ მას არ შეეძლო, უფლება არ ჰქონდა ასე მარტოდმარტო მიეტოვებინა განაწყენებული ტონია.

ცდილობდა დამშვიდებით ევლო, რათა გარშემო მყოფთა ყურადღება არ მიექცია. ვიატკინი გასასვლელთან დაეწია ტონიას. უხმოდ გამოვიდნენ ქუჩაში, და როდესაც გარშემო აღარავინ იყო, ტონიამ უემაყოფილოდ ჰკითხა:

— რაო? — ისეთი აზრით უთხრა, თითქოს ეკითხება, რალა ვინდა ჩემგანო?

— რალა უნდა ვითხრა? სისულელე გამომივიდა...

— გასაგებია, წადი... წადი, პავლე... და ახლა, როდესაც წერილი დაიკარგა და ამგვარად ამხანაგებმა შეიტყვეს მისი და ტონიას ამბავი, პავლეს მოყვენა, რომ ისინი მათ დამოკიდებულებას წარმოიდგენენ მხოლოდ იმ საბედისწერო შეხვედრით პარკში.

მომდევნო დღის მეორე ნახევარში, პისკარიოვის ათეული გაავზავნეს სატვირთო სადგურში ნაწილისათვის გან-

კუთვნილი ბარგის მისაღებად და გადმოსაზიდად, მაგრამ რატომღაც აქამდე ვერ მოახერხებს წასვლა. გამაზადეს სამი მანქანა.

სამუშაო მძიმე იყო. სამტონიანი მანქანის მჭიდროდ მიყენება საწყობთან შეუძლებელი შეიქნა. გამოსასვლელები დახორცილი იყო ბარდანებით, კონტეინერებით, კასრებით, დიდ ყუთებს ორისამი კაცს მოათრევდა და ვიატკინს ახლაც კი ეჩვენებოდა, რომ ეს ანცი, დამცინავი ღიმილი, გადალაპარაკება, საუბარი, რომელიც არ ესმოდა, სახელდობრ, მას და ტონიას, და ხეივანში მომხდარ ამბავს შეეხებოდა.

ერთხელ, როდესაც მის ზურგს უკან ვაისმა ჯანგილდინის სიცილი. ვიატკინი დაიძაბა, აიტაცა ყუთი, მოიგდო ზურგზე და მარტოკამ წაიღო. ჯანგილდინი გვერდზე გადავარდა.

— ვიატკინ! — დაუძახა პისკარიოვი. — რა მოგივიდა?

ვიატკინი მძიმედ სუნთქავდა, ყუთი მანქანის ძარაში შეაგდო და ამ დამაბულლობისაგან გაწითლებული მეთაურისაკენ გაემართა, თან გზადაგზა გიმნასტურას ისწორებდა.

— რა მოხდა, ვიატკინ?

— მარტომ შემიძლია გადავხილო... ნუ დამცინიან, — უპასუხა მან.

— ვის დასცინიან? ვინ დასცინის?

— ყველა...

— არ მესმის, რაზე იცინიან?

დანარჩენებმაც შეაჩერეს მუშაობა და ყური მიუგდეს მეთაურისა და ვიატკინის საუბარს.

— რა აქვს სასაცილო ვიატკინს? — კითხვით მიმართა პისკარიოვი ყველას.

საპასუხოდ ყველამ მხრები აიჩეჩა, გაოცებულებმა ერთმანეთს გადახედეს. ტერეშჩენკომ კი თქვა:

— პირადად მე ბიჭებს შევეიკის შესახებ ვუთხრობდი.

— შევეიკის შესახებ? — შევეითხა პისკარიოვი და ვიატკინს მიმართა: — განდიდების მანია გქონია ვიატკინ!

— ცუდია! ხვალ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ მოყვებიან... შენც ემსაიცი შენ თავზე მიიღებ? სამუშაოს მიხედვ!

და უეცრად თითქოს ჰეჰა-ჰუხილმა გადაიარათ: გაიელვა, გავარდა მეხი, დადგა სულის შემამსუბუქებელი განმუხტვა... მართლაც და რატომ იფიქრა, რომ მას დასცინოდნენ, ისიც პარკში მომხდარი იმ საბედისწერო ეპიზოდის გამო? რატომ? საიდან მოაფიქრდა? წერილში ამ შეხვედრას იხსენიებს მხოლოდ. მის შესახებ ჯერ არავინ არაფერი იცის, არც იქნება კარგი, რომ გაიგონ...

მეორე დღეს ათეულის მეთაური პისკარიოვი, რომელიც სამწყობრო მეცადინეობას ატარებდა ეზოში, შესვენების დროს ვიატკინს მიუჭდა გვერდით. ყველანი ტერეშჩენკოს შემოგვივიწყნენ, რომელსაც სადღაც უჩრნალ „სოვეტსკი ეკრანის“ ახალი ნომერი ეშოვნა, ვიატკინი კი გვერდზე გავიდა და დაჯდა ეზოში დაგდებულ ერთ-ერთ მორზე.

პისკარიოვიმა ქისა ამოიღო, რომელშიაც წევო ეყარა და ვიატკინს მიაწოდა:

— ყველა სიგარეტზე გადავიდა... მამაპურს იფიწყებენ. ჩვენი ბაბუები კი სულელები როდი იყვნენ.

თუმცა ვიატკინს წევო არ უყვარდა, მაგრამ მაინც მოხია ქალაღი, აიღო ორი მწიკვი თუთუნი და გახვევა დაიწყო. პისკარიოვის გულის მოგება უნდოდა, თუ უბრალოდ წევოს გემოს გასინჯვა — თავად არ იცოდა.

— გამოტყდი. — შევეითხა პისკარიოვი, — რამდენი პაპიროსი მოგიწევია, თამბაქო კი არც გაგისინჯავს?

— არ მქონია შემთხვევა...

— ასეც ვიცოდი... რა არის თამბაქო! ზოგს წვერი ჩამოეზრდება, ანდა მთლად გამელოტდება, მაგრამ ცხოვრებაში მთავარს მაინც ვერ გამოცდის.

ვიატკინი მიხვდა, საით უკაუნებდა პისკარიოვი, ან რა განზრახვა ჰქონ-

და, სახელდობრ, მეთაურს სურდა, უბედურად გამოეძალა რაღაც სულს სიღრმედან, ვიატკინი დაიძაბა.

— მეც განმიცდია, ვიატკინ, — განაგრძობდა პისკარიოვი და თან წყოს ქაჩავდა, — უფილაშ შექპირის რომეო და ჭულიეტას მსგავსი თავგადასავალი. მესმის შენი...

ვიატკინმა მორზე დაასრისა ნახევრადმოწყული პაპიროსი და გადააგდო, მერე თავის ფეხებს დააჩერდა.

— რაო? — შეეკითხა პისკარიოვი — არ მოგეწონა?

— არ მომეწონა.

— დიახ... მესმის, ვიატკინ, ეს რთული ისტორიაა...

— მე, ამხანაგო ზემდეგო, არავითარი ისტორიები არა მაქვს, — შეაწყვეტინა ლაპარაკი პისკარიოვს, მისკენ თავი მიაბრუნა და დაუმატა — არა მაქვს. არც მარტივი და არც რთული.

ვიატკინმა შეამჩნია, როგორ გასწორდა პისკარიოვი, როგორ შეუფეხლდა ლოყა, რომელზედაც ცხადად დაეტკო ჭორღლი. თითქოს სილა გააწნესო. თუმცა შეამჩნია წყენა და რისხვა პისკარიოვს, მაგრამ ვიატკინი თავის თავს არწმუნებდა, ვერავინ მაიძულებს, თუნდ ერთი სიტყვა მათქმევინონ ტონისა და ჩემი დამოკიდებულების შესახებო. საოცარი იყო, ყველა ის სიკეთე, რაც მათ დამოკიდებულებას ახლდა, ახლა დაჩრდილა იმ საბედისწერო შეხვედრამ პარკის ბნელ ზეივანში. და როდესაც თავად მოიგონებდა ტონისას, ან სხვა ვინმე მოაგონებდა, ახსენდებოდა მხოლოდ ის შემთხვევა, თითქოს მათ შორის სხვა არაფერი მომხდარიყო. ორი უბრალო, მაგრამ თავისებურად განუმეორებელი ორი პიროვნების დამოკიდებულების მთელი სიმდიდრე — თავისი სიხარულით, ტანჯვით, აღფრთოვანებითა და მწუხარებით — შემოწმებისას მხოლოდ ზეივანში მომხდარ ბანალური შემთხვევით ამოიწურებოდა.

— ნუ აფათურებთ ხელებს სულსა და გულში, არაა საჭირო, ამხანაგო ზემ-

დეგო, — განაგრძობდა ვიატკინი... ჩერჩერობით, სასჯელი ვერცხვით მიმწელოა, ცუდად არ ვმეცადინებო...

ვიატკინი გრძნობდა, როგორ შეურაცხყოფდა ზემდეგს, ადგა, როგორც მას მოეჩვენა, საშუალება მისცა დამნაშავე და დამარცხებულ პისკარიოვს, ნათქვამ სიტყვებზე დაფიქრებულიყო.

პისკარიოვი არ წამომდგარა, ღრმა ნაფაზი დაარტყა, ცდილობდა ვიატკინისათვის არ შეეხებდა, ისე მძიმედ და დღვრემით ჩილაპარაკა:

— არაფერი ვაგეგვება შენ ადამიანურობისა, ვიატკინ. ასეთი ხანიათით შენ ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლის დერეჟიმორდა უნდა იყო.

იგი წამოდგა და მალე ეზოში ჩვეულუბრივზე მეტად მკაცრად გაისმა მისი ბრძანება:

— სდექ!

პისკარიოვთან საუბრის შემდეგ ვიატკინს უფრო მოუნდა ტონისთან მიწერილი წერილის მონახვა. ადრე უძველათვალღიერებული ჰქონდა შენობა, სადაც იყო იმ საღამოს წიგნით — ბიბლიოთეკა, დერეფანი, სამეცადინო ოთახი. ამით არ დაკმაყოფილდა, თავიდან დაათვალღიერა ის ადგილები, თითქოს წერილი ნემსი ყოფილიყო. უცბათ მოაგონდა; იმ საღამოს, სანამ ყაზარმაში წავიდოდა, რამდენიმე წუთს ეზოში იდგა. შესაძლოა, წერილი ეზოში დაკარგა, მაგრამ მისი მოძებნა ვერსად შესძლო....

ვიატკინი ფიქრობდა, ახლა დამატებდა თავს სასჯელი, გადამეკიდებიან, შენიშვნებს მომცემენო: ადამიანის ბუნება ხომ არასრულყოფილია! მაგრამ პისკარიოვი, რატომღაც, გვერდს უვლიდა, ვერ ამჩნევდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მან გადაწყვიტა ვიატკინისათვის თავი დაენებებინა. თუ რამე დავალება იყო შესასრულებელი, პისკარიოვი სხვებს ავალუბდა, ვიატკინი კი აკეთებდა მხოლოდ მას, რაც ყველას უნდა ეკეთებინა.

მალე ვიატკინმა მიიღო ქალაქში გასვლის უფლება, პისკარიოვის გარდავის შეეძლო დახმარებოდა მას?

დანიშნულის გაურკვეველი გარძობით კარგი აღამიანისა და ყველა ამხანაგების მიმართ, რომლებიც აღსავსენი იყვნენ სიკეთითა და გულკეთილობით, ვიატკინი ქალაქში გაემართა.

შესცქეროდა საათებს — სადგურზე დიდ საათს, ელექტრონის მრგვალ საათს სვეტზე, ჯიბისა და მაჯის საათებს მალაზიის ვიტრინებში, თან გამუდმებით ანგარიშობდა, თუ კიდევ რამდენი დრო დარჩა ტონიასთან გასატარებლად. საკუთარ საათს დღეს რატომღაც აღარ ენდობოდა...

თუმცა ფეხით უნდოდა გავლა, მაგრამ ზოგადაა წუთებს და თან შიშობდა, ტონიას არ გაესწრო, ვიატკინმა სამი გაჩერება აეტობუსით გაიარა.

როდესაც კარზე ხარი დარეკა, ტონიას დედამ შეიპატივა ვიატკინი ოთახში. შეშინებულმა უპასუხა მისალმებაზე, როგორც მას მოეჩვენა, თითქოს დედა ყოფილიყო დამნაშავე და გამოუტყდაო.

— ტონია რომ არაა შინ, სულ ახლახან წავიდა...

— როდის დაბრუნდება?

— რაღაც შაბათობაა, თუ კვირაობა ქალაქგარეთ... მთელი დღით წავიდა, ბუტერბროდები წაიღო თან. შემობრძანდით, დაბრძანდით...

— გმადლობთ...

ვიატკინი გამოეთხოვა ქალს. ეზოში ჩავიდა და მხოლოდ აქ იგრძნო, რომ ასე არ შეიძლება, დადგე და რაღაცას ელოდო. იგი ისევ ავიდა მეორე სართულზე და ჰკითხა ტონიას დედას, ვინ მოაწყო ეს შაბათობაო, გამოირკვა — კომკავშირის რაიკომის მიერ იყო მოწყობილი.

მან კომკავშირის რაიკომში შეიარა.

ხუთი კილომეტრი შემხვედრა მანქანით იარა, შემდეგ ჩამოვიდა, ხევში გზა გაკიპულიყო. ყვითელი, გამხმარი ბა-

ლაში უსიამოვნოდ ტყაცუნობდა ფეხქვეშ. ვიატკინი მიაბიჯებდა უჩინოდ ნაკვალევზე. თან ფიქრობდა, რა უნდა ეთქვა ტონიასთვის. საუბარი გრძელი და რთული იქნებოდა, რადგან ბევრი რამ იყო ასახსნელი. ჯერ ერთი, — ხეივანში მომხდარი ამბავი... მეორეც ის, რომ თავად უნდა ახსოვდეს სხვა შეხვედრებიც. ტონია საბავშვო ბიბლიოთეკაში მუშაობს, ნაქითხი აღამიანაა, უნდა დარწმუნდეს, რომ იგი, ვიატკინიც, არაა მოკლებული შინაგან კულტურას და შეგნებას, იცის რა არის გარძობა, მესამეც, ის...

ბოლოს ვიატკინი საკმაოდ დაღლილი მიადგა პატარა ნაკადულს, იგი უხმოდ მიედინებოდა ქვემოთ, ხან იკარგებოდა მოსახვევში, ხან მზეზე ალაპლაპდებოდა, წინ, მთაზე ტყე შეფენილიყო. უეცრად გაიელვა ვიღაცის წითელმა თავსაფარმა.

ვიატკინმა ნაკადულის წყალი შესვა, ბალახი მობლუჯა და ჩექმებიდან მტვერი მოიცილა, თმა გადაიფარცხნა და ტყისაკენ გასწია. მოულოდნელად დაინახა ტონია. მას ეცვა შარვალი, სათხილამურო, ყელიანი ფეხსაცმელები და ჯიბეებიანი კურტკა, იგი დაღლილი უთხრიდა ძირს ნორჩ არყის ხეს. მის ახლოს სხვა გოგონებიც მუშაობდნენ. ვიატკინი ნიჩაბს მისწვდა — როგორც კი ქალიშვილმა შეამჩნია იგი.

— დაქეჩი, — უთხრა მან ტონიას.

ქალიშვილმა ხელი გაუშვა ნიჩაბს და შემოხედა.

— მანქანით მოხვედი? — შეუმჩნეველი ხტერესით ჰკითხა მან. თან ჩექმებზე დახედა.

ვიატკინმა თავი დაუქნია.

ტონია ხავსმოდებულ წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა, ვიატკინმა კი მიწის თხრა დაიწყო, თან ფიქრობდა, როდისღა მოვახერხებთ საუბარსო.

ტონიას განზე გახმობა უხერხული იყო, ალბათ, თავადაც არ ვაპყვებოდა და ვიატკინი თხრიდა და თხრიდა გამალებით. შემდეგ ტონიამ შეცვალა, ის

კი ხეებს ეზიდებოდა შორს, ქვემოთ მანქანაში. არავის გაკვირვებია მისი აქ ყოფნა. უკან სამტონიანი მანქანით ბრუნდებოდნენ, სადაც მათ გარდა კიდევ ორი გოგონა იყო. სალამოს, როდესაც ხეები უკვე დარგული იყო ახალი სახლების წინ, ვიატკინის ნაწილში დაბრუნების დრო მოვიდა. მან ისევ დახედა საათს, იანგარიშა — დიახ, უკვე წასვლის დრო იყო.

— გავვიანდება? — შეეკითხა ტონია.

— ჯერ არა.

— წადი, პავლე.

ვიატკინს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, თუმცა დიდად არაფერი ეიმედებოდა „წადი“ — და მანაც ცივად უთხრა:

— ნახვამდის, ტონია.

ტონიას გაეღიმა და განუმარტა.

— დაგეწევი.

ნიჩბებს ხელი დაავლო და გაიქცა სადღაც ჩასაბარებლად, ვიატკინმა ნელი ნაბიჯით გასწია ნაწილისაკენ, რათა ტონია მალე დაწეოდა მას. მაგრამ იგი მიდიოდა, მიდიოდა, აი უკვე, დამთავრდა ახალი ქუჩები, თეთრი აგურისაგან ნაგები პატარა აიენებიანი ერთნაირი სახლებით, რამდენჯერმე მობრუნდა ვაჟი, მაგრამ ტონია არ გამოჩენილა.

კიდევ ნახევარი კვარტალი გაიარა ვიატკინმა, უკვე ძველ ქუჩაზე გამოვიდა, ტონია კი ისევ არ ჩანდა. იგი შეჩერდა და დაიწყო უკან ყურება. განათებულ მალაზიიდან ნავაჭრით გამოდიოდნენ ადამიანები, კინოთეატრის გაღებულ ფანჯრებიდან ისმოდა პატარა საესტრადო ორკესტრის მუსიკის ხმები. სადაც ყველაზე მკვირალა ინსტრუმენტი დოლი და საქსაფონი იყო. ჩაიჭროლა „პობედამ“ რომელსაც რადიომიმღები ჩართული ჰქონდა და ვიატკინმა გაიგონა: „დარტყმა“.

კიდევ დარტყმა, არის!

ტონია მინც არ ჩანდა.

ვიატკინი შემობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ. რათა დრო აენახლა-

ურებიანა. რას იზამ, ტონიამ ქვეა ახწავლი. ესაა და ეს! ტყუილად ვერაფერი გეუღიმა გამომშვიდობებნს დროს. მას სევდ გაახსენდა დაკარგული ბარათი, შემთხვევა ხეივანში. ყველაფერი მას ამტყუნებდა, მაგრამ ეს ხომ სიმართლე არაა!

აჩქარებულ ნაბიჯებში, ასფალტზე ნაღების ზომიერ წყარუნში პოულობდა სიმშვიდეს, ასე მიდიოდა ვიატკინი, ახლა უკან აღარ იყურებოდა, აღარაფერზე ფიქრობდა, იყო დაცარიელებული და ამავე დროს დამძიმებულიც.

შურაცხყოფისა, წარუმატებლობისა და წყენისაგან თითქოს ფიზიკურ ტკივილს გრძნობდა.

ვიატკინი ხშირად იყურებოდა საათზე, დავეიანების ეშინოდა. რატომღაც დღეს არ უნდოდა ტონიას გამო შენიშვნის მიღება.

— პავლე! — უეცრად შემოესმა მას. — რამდენ ხანს უნდა ვდიო!

ვაკი შემობრუნდა სახეაპრიანებულ ტონია მისკენ მოეშურებოდა:

— ეს კრასიუტინა აუტანელი ადამიანია! — თქვა მან. — „რამდენი ხე დარგო პირველმა ბრიგადამო. რამდენი მეორემო, ვინ გამოიჩინებოდაო. ვინაა გამარჯვებულიო!“ ოჰ, ეს რაიკომის წარმომადგენლები!

პავლე შეჩერდა, უნდოდა ცოტათი მაინც შეესვენა ტონიას და უნებურად გაიფიქრა, კრასიუტინა სწორედ ის შავტუხა გოგონაა, რომელსაც დღეს ველაპარაკე რაიკომში. ტონიამ სული მოიბრუნა და ჰკითხა:

— ხომ არ გავვიანდება? ხომ არ მოგხვდება?

— ნუ დელავ... მოვასწრებ..

— ყოველშემთხვევისათვის ვიაროთ... ისინი უხმოდ მიდიოდნენ. ბნელი საღამო იყო, წინა საღამოებთან შედარებით გრილოდა. ზღვიდან უბერავდა გრილი, მოუსვენარი ქარი.

სიბნელეში ფეხაუწყობლად მიდიოდნენ, ხანდახან ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ცდილობდნენ ერთი-მეორისაგან

მოშორებით ევლოთ, მაგრამ შეუმჩნევლად ისევ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

პავლეს ეშინოდა ხელმკლავის გაკეთება, ისევ ძველებურად მიდიოდნენ თავ-თავისთვის.

— გცივა? — შეეკითხა ვაჟი, გრძნობდა რა ძლიერად უბერავდა ზღვიდან ქარი.

— ცოტათი...

— იქნებ ასე უფრო იგრძნო სითბო, — მან ხელმკლავი გაუკეთა ტონიას.

ქალიშვილი მიეკრა პავლეს, თან ფეხიც აუწყო, იცოდა, ნელი სიარული ვაჟისთვის შეუძლებელი იყო.

პავლე მიდიოდა და ეჩვენებოდა, რომ ასე ივლიდნენ დიდხანს, რომ გამუდმებით იხმაურებდა ზღვა, მუდამ იქნებოდა ამართული ეს პატარა სახლები, რომელთა ფანჯრების მიღმა, ყველას საკუთარი ცხოვრება ჰქონდა, მუდამ იქნებოდა გაფენილი ეს ასფალტი, რომელზედაც მათი შთამომავლებიც ვივლიდნენ.

გრძნობდა თავის მხართან ტონიას მხარს და იდაყვთან მის სითბოს, პავლეს აღარ უნდოდა აღარაფრის ახსნა-განმარტება, არაფრის თქმა.

ყაზარმაში ვიატკინი ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს, მას უნდოდა ლაპარაკი, უნდოდა მოყოლა აზრებსა და გრძნობებზე, რომელსაც იგი შეეპყრო, მაგრამ ჯარისკაცებს ახლახან ენახათ შტეტესელისა და ტარაპუნეას მონაწილეობით გადაღებული ფილმი და ჯერ კიდევ მისი შთაბეჭდილებით იყვნენ გატაცებულნი, ხუმრობდნენ და იმეორებდნენ მოსწრებულ სიტყვებს.

ვიატკინმა გადაწყვიტა, ახლა ვერავენ ვერ გამოგებსო, აოცებდა, მისი ახსნიანებს როგორ შეეძლონ ასეთი ნისქლელებით თავის გართობა. ასეთი არარაობით, მაშინ როდესაც იგი, ვიატკინი, ჩაწვდა ცხოვრების დიად საიდუმლოებას, განიცადა ის, რასაც ყველა როდი განიცდის ცხოვრებაში ერთხელ, თურმე რა ბედნიერებაა, იაბო ბნელ, ცივ საღამოს მეორე ადამიანის გვერდით და უსიტყვოდ გაიგო და იგრძნო ყველაფერი...

დღეს ვერავენი გაუგებდა მას. და ვიატკინს უეცრად გაახსენდა დეკარგული ბარათი. იმაში ხომ ყველაფერი იყო ნათქვამი, იქ ისე კარგადაა ნათქვამი სიყვარულის შესახებ, ადამიანისადმი ნდობის შესახებ. არ იქნება ცუდი საქმე, თუ იმ წერილს ვინმე წაიკითხავს.

რა იყო იქ სამარცხვინო?

— ვიატკინ, — მოესმა ჯანგილდინის ხმა. — რატომ არ აბარებ „გატეხილი ყაპირის“ პირველ ტომს?

— დიდი ხანია ჩავაბარე, მეორეს ვკითხულობ.

— ამბობენ, წიგნი შენთან ყოფილა!

— დიდი ხანია ჩავაბარე... — უთხრა ვიატკინმა და ხელში აიღო ტომი, რომელშიც ოდესღაც წერილს ეძებდა, დაბნეულმა და გაოცებულმა უცბათ ჩაილაპარაკა. — პირველი.

მეორე დღეს პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე შეირბინა ბიბლიოთეკაში. ასეც მომხდარა! პირველი ტომის ნაცვლად იმ საღამოს მეორე ტომი ჩაუბარებია, რომელშიც წერილი იყო.

წიგნი არავის წაუღია... ძალზე დასანანი კი იყო, რომ არ წაუღიათ.

თარგმანი მარიაშ აპიაშვილისა

ჟან-პოლ სარტრი

თანამედროვე ფრანგი მწერლის ჟან-პოლ სარტრის შესახებ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი გაუგებრობა, ვიდრე წაუთიხავთა, შეიძინა მიკოლა ბაგინა თავის რეცენზიაში სარტრის უკანასკნელი ნაწარმოების — ავტობიოგრაფიული მოთხრობის „სიტყვების“ გამო. მართლაც, უკვე ოცდაათი წელია, რაც პავრის ლიცეუმის ფილოსოფიის პროფესორი, ფრანგული ლიტერატურის თეალანონი მოლდაწყა, ხოლო ოცზე მეტი წელია, რაც იგი საბელგანთქმული მწერალი გახდა. ჩვენში ძალიან ცოტაა მის თბულებათაგან თარგმნილი.

ფრანგი ეგზისტენციალისტების ერთერთი მეთაურთაგანი, იგი იზიარებს, როგორც თვითონ ამბობს, „ათეისტურ ეგზისტენციალიზმს“. ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელსაც მიუკავს იგი კუწმარტების ობიექტური კრიტერიუმების უარყოფასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დეტერმინიზმის უგულვებლყოფაში. მწერლის ლიტერატურულ პრაქტიკაში პესიმიზმ-ტრამა ეგზისტენციალისტურმა შეტეფიზიამ კონკრეტული გამოსახულება ჰყოფა ადამიანთა ვითომდა ბედითი გათიშულობის დაუძლელობის თემაში, რომელიც მიხეყება მთელ მის შემოქმედებას. ისეთ ნაწარმოებშია კი, როგორცაა ტრილოგია „თავისუფლების გზები“ (რომანები: „მოწიფულობა“, „ვადის გადაღება“, „სიკვდილი სულში“), რომელშიც სარტრი ამხელს ფაშისმს, მიუნენის დაღატს, საფრანგეთის სამხედრო მარცხის მიზეზებს, აღმინაწებს გეიჩვენებს, როგორც ერთმანეთისაგან გათიშულ ერთეულებს, და ამგვარად მათი ბრძოლა წინასწარვე განწირულად გვესახება: განსაკუთრებული როლი სარტრის შემოქმედებაში ითამაშა მისმა აქტიურმა მონაწილეობამ წინამდებეობის მოძრაობაში, ომისშემდგომ წლებში იგი მონაწილეობს საერთო დემოკრატიულ და ნაციონალურ შაძრაობაში, გამოდის ომის სამინისტროების წინამდებე, ხდება მწეიდობისათვის ერთერთი თავგამოდებული მებრძოლი. ორმოცდაათიან წლებიდან სარტრის შემოქმედებაში თვითონ მთავარი მხარეა ახალი ნაყოფი, ისახება ოპტიმისტური და რეალისტური ტენდენციები, ისეთ ნაწარმოებში როგორცაა: „თავაზიანი კახა“ სარტრი დასიცინის აშერიულ რასიზმს, ხოლო სატირულ პეესაში „ნეკრასოვი“ — ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების პირმოთენობას და ბურჟუაზიულ პრესას.

ამას წინათ ჟან-პოლ სარტრს მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. სარტრმა ნობელის პრემიაზე უარი თქვა, რაც იმით დაასაბუთა, რომ შეეცინის აკადემია არაობიექტურობას იჩენს და ხშირად პოლიტიკური მოსაზრებებით ზელმქელანელობს პრემიების მინიჭებისას.

უკანასკნელ წლებში სარტრი გამოდის როგორც მწეიდობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე. საბუთა ადამიანებს ახსოვთ მისი მგზნებარე პუბლიცისტური გამოსვლები, ხოლო სარტრის ამას წინანდელი განცხადება „რატომ არ წავედი აშერიის შეერთებულ შტატებში“ სრულიად გარკვეულ ადგობას უჩვენებს ავტორს დასავლეთის პროფურების მოღაწყების ბრძოლაში მწეიდობისა და დემოკრატიისათვის. რაც შეეხება სარტრის მოთხრობას „სიტყვები“, რომლის თარგმნის ბეჭდვას „მნათობი“ იწყებს წინამდებარე ნომრიდან. ავტორი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც დასრულებული ოსტატი, რომელიც ვასცქერის თავის წარსულს სამოცი წლის გამოცდილებით მწეეკრულიდან.

სარტრი ყოველთვის ძალიან ადამიანური მწერალი იყო, მაგრამ ახლა მან აღმოაჩინა, რომ ადამიანები ბევრად უყუთენნი არიან, ვიდრე მას ეჩამდე ეჩვენებოდა. წინასიტყვიანობაში, რომელიც სარტრმა წაუძმღვარა „სიტყვების“ რუსულ თარგმნის, იგი განმარტავს, თუ რა ოპქმედება და ამ მოთხრობის დაწერისას: „ბურჟუაზიული საფრანგეთი 1900-1914 წლების პერიოდს დღესაც ელევიურად „მწეენიერ ეპოქას“ უწოდებს. იგი არ ყოფილა მწეენიერი, ყოველ შემთხვევაში, მშრაძელი კლასისათვის, მაგრამ მთავრობა და პრესა ფარადენენ საქმის ნამღვილ ვითარებას, ხოლო წერალი ბურჟუაზია ცდილობდა არ შეეძნნია იგი. მე მოვითხრობთ ბურჟუაზიულ ბავშობაზე. შვილი და შვილიშვილი წერილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, მე ვებღავდი იმას, რასაც მიჩვენებდნენ. მოწესრიგებულ საქარის. ვენბათადილვის გარეშე, ბედნიერად და მოწყენილად გავატარე ის მძიმე ათი წელი, რომელსაც 1914 წლის სსსაკლასიკენ მიუყავდით. მაშ, რა საქირთა, იუთხავთ თქვენ, ამ ფუჭი და ცრუ სიხშირის მოყოლა? საამისოდ ორი მიზეზი მაქვს: უწინარეს ყოვლისა მე მინდოდა ამწერა ის კლასილი გზა, რომელიც ჩემი ასაკის ფრანგებმა გვიარეს, კატასტროფები და სულიერი ჭერები, რომლებმაც გაანია-

ვის მათი ფსევდო-გულტურული ოპტიმიზმი და იდეალიზმი, მე მინდოდა მომეხსრო მის შესახებ, თუ როგორ შეუერთდა მრავალი მათგანი. და, მათ რიცხვში მეც, ექსკლუზიტიზმული და ჩაგრული ბანაკი და ჩვენი ძალღონის შესაფერისად დაეწყოთ მუშაობა სპირიტუალური აშენებისათვის. თქვენი რეოლუცია ჩვენი ცხოვრების უდიდეს მოვლენად გადაიქცა, ჩვენ ვანეცადეთ იგი შორიდან და დავგვიანებთ, ცოტა არ იყოს, პროვინციულად. მაგრამ მან მაინც დააყენა დასავლეთის ადამიანი საბჭოთა კავშირში მომხდარი გრანდიოზული ამბების პირისპირ. ამ დაპირისპირებამ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ისტორია დღეს ერთიანია და, როდესაც ისტორია ამა თუ იმ მხრით მოუბრუნდება ხოლმე ყოველ ჩვენგანს, იგი მაშინაც კი გვახლოვებს ყველას, როდესაც გვეყოფს და პირისპირ გვაყენებს. ასეთი პირველი მიზეზი, რომლის გამო მე შესაძლებლად მიმანია შევთავაზო ეს წიგნი საბჭოთა მეითხველს. მართალია, მოთხოვნა მხოლოდ 1915 წლამდე მიუვანილი, მაგრამ ამ წიგნს სხვაე მოქცევა და ისინი მოგვითხრობენ მთელ ჩემს ცხოვრებას. აქ კი მინდოდა მომეხსრო ჩემი ბავშვობის შესახებ, რომლიდანაც გამოვდით ჩვენ და გავხდით ისეთები, როგორც ჩვენ დღით, უოველი ადამიანისათვის ადრეული წლები ყველაზე მნიშვნელოვანია. მათი ნაქუჭიდან თანდათან იჩეკები, მერე ვერასოდეს იშორებ მას საბოლოოდ. ჩემი მეორე განზრახვა ყველამ სწორედ როდი განმარტა. კრიტიკოსები მისაყვედურებდნენ, რომ მე ზედმეტად სასტიკი ვარ იმ ბავშვისადმი, რომელიც შევიყვავი. ადამიანებს მოსწონთ, როდესაც მოგონებანი თავისთავისადმი შეწყწინარებლობით არის გამსჭვალული. მაგრამ მე არც სასტიკი ვარ და არც გულჩვილი; ვადანაშაულებ არა ბიჭუნას, არამედ გარემოს და ეპოქას, რომელიც იგი წამოაყალიბა. მთავარი კი ისაა, რომ მე მძულს მითი ბავშვობის შესახებ, მითი, რომელიც დიდებმა შეთხზეს. ვთხოვთ ეს წიგნი მიიღოთ იმად, რა ცივი ნამდვილადაა — მითის გაქარწყლების ცდა“.

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

I

ქალბატონ z-ს

პირთხულოა

ეს იყო ელზასში, დაახლოებით 1850 წელს. წერილშვილდახვეული მასწავლებელი იძულებული გახდა ბაყლობას დასჯერებოდა. მაგრამ ვადამდგარი მოძღვარი სამაგიეროს გადახდას ფიქრობდა: რახან მან გონების განსწავლაზე ხელი აიღო, ერთერთმა შვილმა სულები უნდა განანათლოს. ოჯახს თავისი წინამძღვარი ეყოლებდა. შარლი ხუცესი გახდება. მაგრამ შარლმა უგანა და სხვა გზა აირჩია: სახლიდან გაიქცა და მოკირითე ქალს აედევნა. შვილის სურათი პირით კედლისკენ შეაბრუნეს და მისი სახელის ხსენებაც-კი აღკვეთეს. ახლა ყერი ვისზე მოდგება? ოგიუსტმა არ დაყოვნა, მამისა არ იყოს, თავი გაწირა — გაქრობას მიჰყო ხელი და კარგი ხერიც ნახა. ახლა ლუი და დარჩა, რომელსაც გარკვეული მიდრეკილებანი არ ვაჩნდა. მამა დაეპატრონა ამ თვინიერ ბიჭს, ბევრი არ ალაპარაკა და მღვდლად აკურთხებინა. შემდგომში ლუიმ მშობლისადმი მორჩილება იქამდე განავრ-

ცო, რომ ვადამდგელი თავისი შვილიც — ალბერ შვეიცერი, რომლის ცხოვრება ცნობილია. ამასობაში შარლი ვერ დასწევია თავის მოჭირითე ქალს. მამის ლამაზმა საქციელმა წარუშლელი დალი დაამჩნია მთელ მის ცხოვრებას: ყოველივე ამბულბულის გემო გაეხსნა და თავს სდებდა, რომ მცირე ამბები გავეზვიადებინა და დიდმნიშვნელოვან მოვლენებზე მოეჭვენებინა. როგორც ხედავთ, მას არც უფიქრია გვერდი აეხვია მეგვიდრეობით მისწრაფებისათვის. ოღონდ უნდოდა უფრო უწყინარი სულიერი მოღვაწეობისათვის შეეწირა თავი და ზიარებოდა ისეთ საქმეს, რომელიც მოჭირითე ქალბატონს არ გამოეჩინებოდა. ასეთი იყო უმაღლესი სასწავლებელი: შარლმა გადაწყვიტა გერმანული ენის მასწავლებელი გამხდარიყო, დაიცვა დისერტაცია ჰანს საქსის შესახებ, პირდაპირი მეთოდის მომხრე გახდა, შემდგომში გამოაცხადა თავი ამ მეთოდის ფუძემდებლად, ბატონ სი-

მონოსთან ერთად გამოაქვეყნა ფრიად დაფასებული სახელმძღვანელო „Deutsches Lesebuch“, და სწრაფად გაიკვეთა გზა: ჯერ მაკონი, მერე ლიონი, შემდეგ პარიზი. პარიზში, სწავლის დამთავრებისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ცალკე გამოცემის ღირსად შეიქნა: „ბატონო მინისტრო! მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო! ძვირფასო ბავშვებო! თქვენ ვერასგზობ ვერ მიხვდებით თუ რის შესახებ უნდა გელაპარაკოთ დღეს! მუსიკის შესახებ!“ რაიმე გარემოების გამო ლექსების თხზვაში ფრიად გაიწაფა. საოჯახო თავმოყრასზე უყვარდა იმის თქმა, რომ „ლუი ყველაზე ღვთისმოსუშია, ოგიუსტი ყველაზე მდიდარი, ხოლო მე ყველაზე ჰკვიანი ვარ“. ძმები ხარზარებდნენ, რძლები ტუჩებს იკვნიტდნენ.

მაკონში შარლ შვეიცერმა შეირთო კათოლიკე ვეჟილის ქალიშვილი ლუიზა ვიემენი. ქალი ზიზლით იხსენიებდა საქორწინო მოგზაურობას: სადილის დამთავრებამდე ქმარმა მოიტაცა ქალი და შეაგლო იგი მატარებელში. სამოცდაათი წლის ლუიზას ლაპარაკში კიდევ ახსენებოდა ხოლმე თუ როგორ მოუტანეს მათ რომელიღაც სადგურის ბუფეტში პრასის სალათა: „შარლმა სულ შეჰამა პრასის თავები მე კი ფოჩები დამიტოვა“. ელზასში თხოთმეტი დღე ისე გაატარეს რომ სუფრიდან არ ამდგარან. ძმები ადგილობრივად უქცევდნენ და ასე ეკიბრებოდნენ ერთმანეთს უწმაწური ანეკდოტების თხრობაში. დრო და დრო მღვდელი მოწყალეობას იჩენდა, მოუბრუნდებოდა ლუიზას და უთარგმნიდა ამ ანეკდოტებს. ლუიზას არ დაუყოვნებია და ნაცნობობით იმოვნა ექიმის მოწმობა, რომელმაც ცოლქმრულ ვალდებულებათა შესრულებას გადაარჩინა და ცალკე საწოლი ოთახის უფლება დაუმკვიდრა; იგი თავის ტყვილის უჩივოდა, წოლას მიეჩვია, შესაძულდა ხმაური, გრძნობები, აღფრთოვანება—ყოველივე, შვეიცერების უხეშ,

ულაზათო და თეატრალურ ყოთისტიკურებისა: ეს ცოცხალი და ყვეველივე, მაგრამ გულცივი ქალმანმარცხუნა და აუგად აზროვნებდა, რადგან ქმრის აზრები კეთილგანზრახვითა და შეუსაბამობით იყო აღსავეს, ამასთანავე ვინაიდან იგი ცრუცა და ადვილმერწმუნეც იყო, ქალს ყოველივე საეჭვოდ მიაჩნდა: „მიაჩნიათ, რომ დედამიწა ბრუნავსო—ნეტა საიდან უნდა იცოდნენ“? კეთილისმყოფელ კომედიანტების გარემოცვაში ქალს შესაძულდა პირფერობა და სათნოება. ამ უხეში სპირიტუალისტების ოჯახში მოხვედრილი გამპკრიახი რეალისტი, იგი ისე ვახდა ვოლტერიანელი, რომ ვოლტერი არც წაუკითხავს, გახდა მხოლოდ იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწია. პატარა და ფუნზულა, ცინიკური, კეკლუცი, იგი ყოველივეს პირწმინდათ უარყოფის განსახიერებად იქცა. წარბებს აიწვედა, შეუმჩნევლად ჩაიღიმებდა და გააქარწყლებდა გაბერილსა და ზეიად საქციელს, თანაც მხოლოდ თავისთვის, ისე რომ სხვა ვერც შეამჩნევდა. მას სპობდა ყოველისუარყოფის ამპარტავენება და არცნობის ეგოიზმი. არავისთან არ ჰქონდა ურთიერთობა—ზედმეტად ამაყი იყო, რომ პირველ ადგილისათვის ცდილიყო, ზედმეტად პატივმოყვარე, რომ მეორეს დასჯერებოდა. „ისე უნდა მოიქცეთ, რომ სასურველი გახდეთ“ ამბობდა ხოლმე იგი. ბევრისათვის იყო სასურველი, შემდეგ ნაკლებისა და ნაკლებისათვის და ბოლოს, რომ ვეღარ ხედავდნენ, სულაც დაიფიყეს. იგი აღარ სტოვებდა თავის სავარძელს ან საწოლს. შვეიცერები ნატურალისტები და პურიტანები იყვნენ, თუმცა სიქველეთა ასეთი კომპინაცია გაცილებით უფროა გავრცელებული ვიდრე ითვლება. მათ უყვარდათ უხეში სიტყვები, რომელნიც, თუმცა ამდაბლებენ ხორციელს, როგორც შეჰფერის ქრისტიანულ ღვთისმოსაობას, მაგრამ ამავე დროს, მოწმობენ ფართო შემწყნარებლობას ხორციელის ყოველივე ბუნებრივ გამოვლინე-

ბისადმი. ლუიზას ორატორიული სიტყვები ერჩია. გადაგებული იყო ფრეიოლური რომანების კითხვას და ინტრიგაზე უფრო აფასებდა იმ გამჭვირვალე საბურველს, რომელშიც იგი იყო გახვეული. „გაბედულია, კარგადაა დაწერილი, იტყვოდა ხოლმე ეშმაკურად. ზედაპირზე ისრიალეთ წარმავალნი, შიგნით ჩახედეთ!“ ეს თოვლივით ცივი ქალი აღოლქ ბელოს „მგზნებარე ქალის“ კითხვის დროს სიცილისაგან კვდებოდა, უყვარდა საქორწინო დამის შესახებ ამბის მოყოლა, თანაც ყოველთვის ცუდი დასასრულით — ხან მოუთმენლობით შეპყრობილი ქმარი საწოლის თავზე კისერს უგრებდა ცოლს, ხან შიშით შეპყრობილ შიშველსა და გაგიჟებულ პატარძალს დილით ნახავდნენ ხოლმე კარადის თავზე გასულს. ლუიზა ბინდში ცხოვრობდა. შარლი შევიდოდა მასთან ოთახში, დააღებდა დარაბებს, დაანთებდა ერთბაშად ყველა ლამპებს. ქალი აიფარებდა თვალზე ხელს და აკვნესდებოდა: „შარლ თვალები მიჭრელდება“, მაგრამ მისი პროტესტი კონსტიტუციით დაშვებულ ოპოზიციის ფარგლებს არ სცილდებოდა. შარლი შიშს პგვირდა ლუიზას, სრულიად შეუწყნარებელ გაღიზიანებას იწყევდა, ხოლო ხანდახან პირიქით, კეთილგანწყობილებასაც — ოღონდ-კი იგი არ შენებოდა მას. მაგრამ როცა შარლი მოყვებოდა ყვირილს, ქალი ყველაფერს უთმობდა. ასე ანაზღად გაუკეთა ოთხი შვილი: ქალიშვილი, რომელიც პატარაობაში გარდაიცვალა, ორი ვაჟი და კიდევ ერთი ქალიშვილი. გულგრილობა იყო ეს თუ ქალისადმი პატივისცემა, მაგრამ შარლმა ნება დართო, ბავშვები კათოლიკური რწმენით აღეზარდათ. ურწმუნო ლუიზამ, პროტესტანტიზმისადმი სიძულვილის გამო, ბავშვებს ღვთისმოსაობა ჩაუწერა. ორივე ვაჟიშვილი დედას მიემბრო. დედამ ჩუმ-ჩუმად მოაშორა შვილები ზედმეტად ფართოდმოზაროვნე მამას. შარლს ეს არც კი შეუშინებია. უფრო ყოჩაყი, პოლიტიკნიკურ

ინსტიტუტში შევიდა; უმცროსი, ვილხ, გერმანული ენის მასწავლებელმა მას იგი მეტად მაინტერესებდა. ვილხ, რომელსაც ცოლი არ შეუერთავს, მაგრამ დანარჩენში, ყველაფერში მამას ბაძავდა, თუმცა არ უყვარდა. ბოლოსდაბოლოს მამა-შვილი წაიხსუნებენ. ხანდახან შესდგებოდა ხოლმე ღირსსახსოვარი შერიგება. ემილი კარჩაკეტილად ცხოვრობდა: გაგიჟებით უყვარდა დედა და სიკვდილამდე ჩვეულებად დარჩა გაუფრთხილებლად, მოულოდნელად და სხვების უჩუმრად მასთან სტუმრობა. მოეალერსებოდა, დაკოცინდა, შემდეგ მოყვებოდა მამის შესახებ ლაპარაკს, ჯერ ირონიულად, შემდეგ გაბოროტებით და ბოლოს გაიჯახუნებდა კარებს და წავიდოდა. ვფიქრობ, ლუიზას უყვარდა იგი, მაგრამ, ცოტა არ იყოს ეშინოდა კიდევაც. ორივე, თავნება მამა-შვილი, არაქათს აცლიდნენ და მას ყოჩაყი ერჩივნა ორთავეს, მაგრამ იგი ყოველთვის სხვაგან იყო. მარტობისაგან გამოყვეყნებული ემილი 1927 წელს მოკვდა; ბალიშქვეშ უპოვნეს რევოლვერი, ჩემოდნებში ასიოდე წყვილი ვაცვეთილი წინდა და ოცი წყვილი ქუსლმოღრეცილი ფეხსაცმელი.

უმცროსმა ქალიშვილმა, ან-მარიმ, მთელი ბავშვობა სკამზე გაატარა. იგი მოწყენით ყოფნას. ტანგამართულად ჯღომასა და ჭრა-კერვას მიაჩვიეს. ან-მარი ნიჭიერი იყო, მაგრამ წესი არ იყო და ამ ნიჭს ყურადღება არ მიაქციეს; თვალადი იყო და შეეცადნენ მისთვის არ გაეგებინებინათ. ამ თავმდაბალსა და ამაყ ბურჟუებს, შვეიცარებს, მიაჩნდათ რომ სილამაზე ისეთი რამაა, რაც მათ სახსრებს აღემატება ან მათ მდგომარეობას არ შეეფერება; სილამაზის უფლებას ისინი მხოლოდ მარკიზებსა და კაბაებს უტოვებდნენ. ლუიზას უნაყოფო ამპარტავნება სულს ხდიდა: იმის შიშით, რამეში არ მოგტყუვდეთ, იგი არ სცნობდა არც ბავშვების, არც ქმრისა და არც თავის ყოვლად ნათელსა და აშკარა ღირსებებს. შარლი სხვის სილა-

მანუში ვერ ერკვეოდა — იგი სილამაზესა და სიჯანსაღეს ერთმანეთში ურევდა. მას შემდეგ, რაც ცოლმა ავადმყოფობა დაიწყო, იგი დარდს იჭირებდა იდეალისტურად განწყობილ, დონდროზსა, უღვაშა, ძალამოჭარბებულ დედაკაცებში, რომლებიც მშვენიერად გრძობდნენ თავს. ორმოცდაათი წლის შემდეგ ან-მარიმ, საოჯახო ალბომის ფურცლის დროს აღმოაჩინა, რომ თერამე უღამაზესი ქალი ყოფილა. დაახლოვებით იმ ხანებში, როდესაც შარლ შვეიცერი შეხვდა ლუიზა გიემენს, ერთმა სოფლის ექიმმა ცოლად შეირთო შეძლებული პერიგორელი მემამულის ქალიშვილი და მასთან ერთად ტივიეს მეტად უსიხარულო მთავარ ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ დასახლდა. მეორე დღეს გამოიჩინა, რომ სიმამრს კაპიცი არ გააჩნია. გააფთრებულმა ექიმმა სარტრმა შეწყვიტა ცოლთან ლაპარაკი და ორმოცი წლის განმავლობაში სიტყვა არ დაუძრავს მასთან. სუფრაზე ცოლს ნიშნებით აგებინებდა თავის სურვილს; ბოლოს საქმე ისე წავიდა, რომ ქალი ქმრის შესახებ ამბობდა „ჩემი მღვმერი იყო“. მიუხედავად ყოველივე ამისა, ექიმი ინაწილებდა მასთან სარტრს და ხანგამოშვებით, ასევე ხმის ამოუღებლად, აორსულებდა: მას ეყოლა ორი ვაჟიშვილი და ქალიშვილი, დუმილის ამ ნაშვიერთ დაარქვეს ეან-ბატისტი, ეოზეფი და ელენი. ელენი უკვე ხანგადასული ქალიშვილი იყო, როდესაც გათხოვდა კავალერიის ოფიცერზე, რომელიც შემდგომში გაიქცა. ეოზეფი ზუავად მსახურობდა, მოიხადა ჯარი, უმაღლე თადარიგში გავიდა და თავის მშობლებს დაუბრუნდა. ხელობა არ გააჩნდა. დამუწეხებულ მამასა და მყვირალა დედასთან ცხოვრებამ დააბლუვა, ასე რომ თავისი სიცოცხლე სიტყვებთან ჭიდილში მოლია. ეან-ბატისტი მან ზღვის სანახავად საზღვაოსნო სასწავლებელში შესვლა მოისურვა. 1904 წელს შერბურში, უკვე ტროპიკული ციებისაგან შელახულმა საზღვაო ოფი-

ცერმა, გაიცნო ან-მარი შვეიცერი, მოაჯადოვა ეს ყველასაგან უჭიქუჭუჭი აყლაყულა ქალიშვილი, შარლ შვეიცერს, მან ხელდახელოვ გაუჩინა ბავშვი — ეს მე ვარ — და განიზრახა სიკვდილისათვის შეეფარებინა თავი.

მაგრამ სიკვდილი იოლი საქმე როდია: ტროპიკული ციება აუჩქარებლად ეითარდებოდა, დროდადრო ავადმყოფს უმჯობესობა ეტყობოდა. ან-მარი თავგამოდებით უვლიდა ქმარს, თუმცა ისეთი უწყესობის ნებას არ აძლევდა თავს, როგორცაა სიყვარული. ლუიზამ ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ განაწყობა შვილი. სისხლიანი ადათით იწყებოდა ყოველდღიური მსხვერპლთა წყება, რომელშიაც შიგადაშიგ გამოერეოდა ხოლმე ყოველღამეული ბიჭიერება. თავისი დედის მაგალითისამებრ, დედაქმნა, სიამოვნებას ვალდებულების შესრულება ამჯობინა. იგი თითქმის არ იცნობდა მამას, არც ქორწინებამდე, არც შემდეგ, და ალბათ, ხანდახან ეკითხებოდა თავს, რატომ მოხდა ისე, რომ ვიღაც უცხოში არჩია მის ხელში სიკვდილი. ავადმყოფი, ტივიეს მახლობლად, რამდენიმე ლიეს მანძილზე მდებარე სახლში გადაიყვანეს, მამა ყოველდღე ორთვალათი მოდიოდა შვილის სანახავად. ღამის თევამ და ზრუნვამ ან-მარი წელში გაწყვიტა, რძე გაუშრა, იქვე მახლობლად მცხოვრებ ძიძვს მიმბარეს და მეც ყველა ღონე ვიხმარე რათა საიქიოს გავმგზავრებულიყავი ენტერიტიისაგან ან იქნებ, შურისძიების მიზნით. ოცი წლისა, გამოუცდელი და რჩევადარიგებას მოკლებული, დედაქმნი მისთვის უცნობ ორ მომაკვდავთა შორის შუაზე იგლიჯებოდა. ქუთით გათხოვებას ავადმყოფობა და ძაძები მოყვა. ამასობაში შექმნილი მდგომარეობა ხელს მიწყობდა: იმ ხანებში დედები თითონ აძლევდნენ ძუძუს ახლადდაბადებულებს და თანაც დიდხანს აწოვებდნენ. ეს ორმაგი სულთმობრძობა რომ შემსწრებოდა, ხიფათის წინაშე აღმოჩნდებოდა: ძუძუს გვიან მოშორებდნენ, მაგრამ,

ავად ვიყავი და იძულებული ვაბდნენ ცხრა თვის ბავშვი ძუძუს ძალად მოვეშორებინე. მაციებდა, უგონოდ ვიყავი და ამიტომ შეუშინეველი დამჩანა ის თუ როგორ მოკვება მაკრატელმა უკანასკნელი ძაფი, რომელიც დედას ბავშვთან აკავშირებს. მოვხვდი ბუნდოვანი სამყაროს გარემოცვაში, რომელიც პრიმიტიული პალეოცინაციებითა და პირველმობილი კერპებით იყო სავსე. მაპაჩემის სიკვდილი შემდეგ მეცა და ან-მარისაც ჭაღო მოგვიცოდა. მე გამოეჯანსაღდი. მაგრამ ჩვენ გაუფერობის მსხვერპლი შევიქენით: ან-მარიმ საყვარელი შვილი ჰპოვა, რომელიც „სი-მართლე რომ ითქვას“ არასოდეს დავიწყებია, ხოლო მე გონს მოვეგე უცნობი ქალის მუხლებზე.

უფულო, ხელობის უცოდინარმა ან-მარიმ საცხოვრებლად მშობლებთან დაბრუნება გადაწყვიტა. მაგრამ შევიცურები შეურაცხყოფილი იყვნენ მამა-ჩემის ეგზომ შეუფერებელი სიკვდილით, რომელსაც გაყრის სუნი უდიოდა. ხოლო, ვინაიდან დედაჩემმა ვერ შესძლო ამ ამბის გათვალისწინება ან თავიდან აცილება, მთელი პასუხისმგებლობა მას დააკისრეს: ამჩატა, წინდაუხედავად აეკიდა ადამიანს, რომელიც ისე მოიქცა, როგორც არაა მიღებული. ხელში ატატებული ბავშვით მედონში დაბრუნებულ ტანწერწეტა არიანას ყველანი ჩინებულად შეხვდნენ: პაპა ჩემს, რომელიც ის იყო სამსახურიდან გადადგა და ისევ დაუბრუნდა სამსახურს, საცვედურის ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია, ბებიაც კი თავშეკავებულად ზეიმობდა. მაგრამ მადლობის გრძნობით დათრგუნული დედაჩემი, მისდამი ასეთ უზადო საქციელში გაიციხვას გრძნობდა. ისიცაა, რომ ნათესაობას ქვრივი ურჩევია მარტოხელა დედას, თანაც როგორც ნაკლები ბოროტება, ამ ორში, ცდილობდა რა პატიების დამსახურებას, ან-მარი ძალღონეს არ ზოგავდა. ზურგზე მოიკიდა თავისი მშობლების მთელი შინაური საქმეები. მედონ-

ში, შემდეგ პარიზში, იგი ერთსა და იმავე დროს აღმზრდელიც, მომვლელიც, დიასახლისიც, კომპანიონიც და მშენებელიც მოსამსახურეც იყო, მაგრამ მიიხი ვერ შესძლო დედის გულჩათხრობილი სინანულის დაოკება. ლუიზას მობეზრდა ყოველდღიობით მენიუს შედგენა და ყოველ საღამოობით ანგარიშის გასწორება, მაგრამ არც ის ეპიტანვებოდა, როდესაც უმისოდ ხერხდებოდა საქმის მოგვარება; უარს არ იყო, რომ ვალდებულებანი თავიდან მოეცილებინა, მაგრამ თავისი პრეროგატივების დაკარგვაც არ სურდა. ამ, სიბერეში გადამდგაო, ცინიკურ ქალს ერთადერთი ილუზია ჰქონდა შენარჩუნებულის: მიანდა, რომ იგი შეუცვლელია. ილუზია გაქრა და ლუიზა აღივსო ეჭვით თავისი ქალიშვილისადმი. საცოდავი ან-მარი, გულზე ხელ-დაკრეფილი რომ ყოფილიყო, მუქთაბორობას დააყვედრებდნენ, მაგრამ იგი ჭარბსავით ტრიალებდა და ახლა ეჭვი აღძრათ, სახლში მბრძანებლობა ხომ არ მოინდომაო. პირველი წყალქვეშა ქვისათვის რომ თავი დაედო, მას მთელი თავისი სიმხნევის შემოკრეფა მოუხდა, ხოლო მეორესთვის რომ შემოევლო, მორჩილება გამოიჩინა. დიდ ხანს არ გაუვლია და ახალგაზრდა ქვრივი კვლავ არასრულწლოვან ქალიშვილად იქცა, რომლის რეპუტაციას ლაქა აჩნდა. ჯიბის ფულზე არავინ უარს არ ეუბნებოდა — ოღონდ მიცემა ავიწყებოდათ. კაბა ტანზე შემოაცვდებოდა ხოლმე. პაპაჩემს კი ახლის ყიდვა თავშიაც არ მოსდიოდა. სტუმრადაც კი დიდო გაქირვებით უშვებდნენ მარტო. როდესაც სიყრმის მეგობრები, ახლა უკვე გათხოვილი ქალები, პატივებდნენ, მათ უხებოდათ დიდი ხნით ადრე ნებართვის აღება, ამასთანავე უნდა შეპირებოდნენ, რომ სახლში მოიყვანდნენ არა უგვიანეს ათი საათისა. შუა ვახშობაში ეძახდნენ ეტლს, სახლის პატრონი თავს ანებებდა ვახშამს, რომ ან-მარი გაეცოლებინა. ამასობაში კი პაპაჩემი ლამის-პერანგის ამარა ბოლთას სცემდა თავის

საწოლ ოთახში და ხელში საათი ეჭირა. საათი რომ მეათეს დაკარავდა, იწყებოდა ქექა-ქუხილი. მოპატოებამ თანდათან იკლო, თანაც დედაჩემსაც დაეკარგა ეგზომ ძვირფასად ღირებული გასართობის გემო.

ყან-ბატისტის სიკვდილი ჩემი ცხოვრების უდიდესი მოვლენა იყო: მან დედაჩემს ბოაკილები დაუბრუნა, ხოლო მე თავისუფლება მომანიჭა.

კარგი მამები არ არსებობენ — ასეთია წესი. ეს კაცების ბრალი როდია — ძირი აქვს გამოთხრილი თვით მამობის კაცშირს. ბავშვის გაკეთებას რა სჯობს, მაგრამ ბავშვების ყოლა ნამდვილად უსამართლობაა! მამაჩემი რომ არ მომკვდარიყო, მთელი თავისი სიმძიმით დამაწვებოდა და გამსრესდა. საბედნიეროდ იგი მოკვდა ახალგაზრდობაში. ხროვაში ენეოსებისა, რომლებიც ზურგით ზიდავენ თავის ანქიზესებს, მე მართოდ მართო დავებეტებოდი და მძულდა მწარმოებლები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უხილავად არიან მომჯდარი თავისი ვაჟიშვილების ზურგზე. როდესდაც, წარსულში, მე დავტოვე ახალგაზრდა მიცვალებული, რომელმაც ვერ მოასწრო ჩემი მამა გამხდარიყო და დღეს შეიძლება ჩემი შვილი ყოფილიყო. კარგი იყო ეს თუ ცუდი? არ ვიცი. მაგრამ მზად ვარ ზელი მოვაწერო ცნობილი ფსიქონალიტიკოსის დიაგნოზს: ჩემთვის ჟენობია ზე-მეობის კომპლექსი.

სიკვდილი — ჯერ კიდევ მთლად ყველაფერი არ არის: მთავარია დროულად მოკვდე. მამაჩემი რომ უფრო მოგვიანებით გარდაცვლილიყო, მე თავს დამნაშავედ ვიგრძნობდი. ობოლს, რომელსაც შეგნებული აქვს ობლობა, აღძვრება ხოლმე თავის გაკიცხვის სურვილი: მისი პიროვნების ხილვით შელონებული მშობლები განაშორნეს თავის ციურ სასუფეველში. მე ვნებარებდი: ჩემი სამწულარო ხვედრი პატივისცემა იმსახურებდა, ფასსა მდებდა: ობლობას სათნოებაში მივითვლიდი. მამაჩემის თავი-

ზიანი გარდაცვალება მას ბრალად ვუდებოდა: ბებია სულ იმის ურჩხულს ვუძახავ, რომ მამა დაუძვრა თავის მოვალეობებს. პაპაჩემს, რომელიც სრულიად სამართლიანად ამაცობდა შვეიცარების გამძლეობით, არ სცნობდა ოცდაათი წლის ასაკში სიკვდილს, ეგზომ საექვეო განსვენების შუქზე ეჭვი აღუძრა, არსებობდა თუ არა როდისმე მისი სიძე, და ბოლოს სრულიად დაიფიქრა იგი. მე-ვი დაიფიქრებაც კი არ დამცალდა: ყან-ბატისტმა სააქაო ინგლისური წესისამებრ მიმატოვა და ნაცნობობის პატივიც კი არ დამლო. მე დღესაც კი მივიჩნის რა მცირე რამ ვიცი მის შესახებ. მას კი უყვარდა, სურდა სიცოცხლე, ნაბა სიკვდილის მოახლოვება — ყოველივე ეს საკმარისია ერთი აღამიანის წილად. მაგრამ ჩემი ოჯახის წევრთაგან არავის აღუძრავს ჩემში ცნობისმოყვარეობა ამ აღამიანისადმი. მრავალი წლის განმავლობაში ჩემი საწოლის თავზე ეკიდა სურათი პატარა ოფიცრისა, რომელსაც გულუბრყვილო თვალები, მოტველები მრგვალი თავი და დიდი უღვაში ჰქონდა. სურათი გაქრა, როდესაც დედაჩემი მეორედ გაათხოვდა. შემდგომში მე მერგო განსვენებულის წიგნები: ლედანტივის ტრაქტატი მეცნიერების მომავლის შესახებ, ვებერის თხულებულობით — აბსოლუტური იდეალიზმის გზით პოზიტივიზმისკენ. ყველა თავის თანამედროვის მსგავსად, ყან-ბატისტი ყოველგვარ აბლა-უბდას კითხულობდა. წიგნების არეებზე გაურკვეველად დაქაბნილი მინაწერები აღმოვაჩინე — მკვდარი ნიშნები წუთიერი ავზნებისა, რომელიც ავიზგიზდა და ფუტყავდა ჩემი ამ ქვეყნად გაჩენის დღეებში. წიგნები გაეყიდურა საქმე მქონდა ამ ცხედართან? მისი ამბავი ყურმოკრულად ვიცოდი, ისევე როგორც რჩინის ნიღბოსანისა ან შევალივ ღვონის შესახებ. ყველა ამ ამბავს ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა: თუნდაც ვყვარებოდი, ხელში ავეყვანე, ეცქირა შვილისათვის თავისი ნათელი

თვალეობით, დღეს რომ უკვე დიდიფერდ-
 ლენ, არავის დახსომებია მისი სიყვარუ-
 ლის ეს უნაყოფო გამოვლინებანი. მა-
 მაჩემის ჩრდილიც კი არ დარჩა ამ ქვე-
 ყნად, მისი გამოხედვაც-კი გაქტრა, მხო-
 ლოდ ერთ დროს ჩვენ ორივენი, მე და
 ის, ერთსა და იმავე მიწას ვამძიმებდით.
 ესაა და ეს. მე აღმზარდეს იმ შეგნებით,
 რომ იმდენად გარდაცვლილის შვილი
 არა ვარ, რამდენადაც ჩემ ვაჩენაში სა-
 სწაული ურევია. ნამდვილად ამით აიხ-
 სნება ჩემი სრულიად უმაგალითო ფუქ-
 სავატობა. მე ბელადი არა ვარ და არც
 მინდა, რომ ბელადი ვიყო. მბრძანებ-
 ლობა და მორჩილება, არსებითად ერთი
 და იგივეა. ყველაზე სრულძალა-
 უფლებიანი ადამიანიც-კი ყოველთვის
 სხვისი სახელით მბრძანებლობს, წმინ-
 დანად შერაცხულ პარაზიტის სახელით,
 რომელიც მას მამად ერგება და მხო-
 ლოდ გამტარებელია განყენებული ძა-
 ლადობისა, რომელიც მას თავზე აქვს
 მოხვეული. ჩემს დღეში ბრძანება არ
 გამიცია, იქნებ მხოლოდ იმისათვის
 მიბრძანებია, რომ გამეცინა და სხვები
 გამეცინებინა. ბატონობის მოყვარულო-
 ბის წყლული იმიტომ არა მღრღნის,
 რომ ჩემთვის მორჩილება არ უსწავლე-
 ბიათ.

თუმცა ვის უნდა დავმორჩილებოდი?
 მაჩვენებენ ახალგაზრდა ქალს და მეუბ-
 ნებიან, დედაშენიაო. მე რომ მკითხონ,
 უფროს დათ თუ მერგება. ჩემთვის საე-
 სებით ცხადია, რომ ზედახედველობის
 ქვეშ მცხოვრები ეს ქალწული, რომე-
 ლიც სრულიად მორჩილია მთელი ოჯა-
 ხისა, ჩემი პიროვნების მომსახურების-
 თვისაა გაჩენილი. მე მიყვარს იგი,
 მაგრამ როგორ ვცე პატივი. თუკი სხვე-
 ბი მას არაფრად აგდებენ? ჩვენ სახლში
 სამი ოთახია: პაპაჩემისა, ბებიასი და
 „საბავშვო“. „ბავშვები“ ჩვენა ვართ:
 ორივენი არასრულწლოვანი და ორი-
 ვენი სხვისი შესანახნი. მაგრამ მთელი
 უპირატესობა მე მეკუთვნის. ოთახში
 დადგეს ქალიშვილის საწოლი. ქალი-
 შვილს მარტო სძინავს, იღვიძებს რო-
 გორც ქალწული, მე ჯერ კიდევ მძინავს.

როდესაც იგი უკვე გარბის საბუნაოდ,
 როდესაც ბრუნდება — ~~უკვე სრულწლო-
 გამოწყობილია — ნეტა ჩემთვის უნდა~~
 დავებადე? იგი მანდობს თავის გაჯირ-
 ვებას, მე ვულისხმიერად ვუსმენ: გავა-
 დრო, ცოლად შევირთავ და მფარველო-
 ბას აღმოვუჩენ. იმის პირობას ვაძლევ,
 რომ არავის მივცემ მისი წყენინების ნე-
 ბას და ამისათვის მთელ ჩემ ქაბუჯურ
 გავლენას გამოვიყენებ. მაგრამ, ნუთუ
 მას უნდა დაეუგდო ყური? ჩემთვის
 ჩვეული სიკეთის გამო, მოწყალეთ ვე-
 კიდები მის ზევწნა-მულდარას. ის კია რომ
 ის არასოდეს არაფერს არ მიბრძანებს.
 თითქოს შემთხვევით წამოცდენილი სი-
 ტყვებით მიხატავს იგი ჩემი მომავალი
 მოღვაწეობის სურათს და ქება-დიდებას
 მასხავს იმისათვის, რასაც კეთილვინე-
 ბებ და მოვიმოქმედებ მომავალში: „ჩე-
 მი კარგი ბიჭუნა ჰქვიანია, თავის დე-
 დიკოს ნებას მისცემს ცხვირში ჩაუწ-
 ვეთოს წამალი“. მე ვეგები ამ მაამებელ
 წინასწარმეტყველებათა ანეკსზე.

ახლა პატრიარქის შესახებ: იგი იმ-
 დენად გავდა მაამდმერთს, რომ ხშირად
 ზენარად მიაჩნდათ. ერთხელ იგი საშოს-
 საცაყიდან შემოვიდა ეკლესიაში სწო-
 რედ იმ დროს, როდესაც კიურე ზეციუ-
 რი სასკელით ემუქრებოდა გარეწართ:
 „ღმერთი აქ არის. ის თქვენა გხედავთ!“
 და იმავ წუთს მორწმუნეებმა კათედ-
 რის წინ იხილეს მაღალი წვეროსანი მო-
 ხელი, რომელიც მათ შესცქეროდა; და
 უშალვე გაიქცნენ. ხანდახან პაპაჩემი
 ამტკიცებდა, რომ ისინი მუხლებში ჩაუ-
 ვარდნენ. პაპაჩემს ამგვარი ამბების გე-
 მო გაეხსნა. 1914 წლის სექტემბერში
 იგი მოველინა ხალხს არკაშონის კინო-
 ში. მე და დედაჩემი ბალკონზე ვისხე-
 დით. იგი მოითხოვდა შუქის ანთებას.
 მას ანგელოსთა გუნდის მსგავსად შე-
 მოხვეოდნენ ვიღაც ბატონები და და-
 დიდებდნენ „გამარჯვება! გამარჯვე-
 ბაო!“. ღმერთი ავიდა სცენაზე და მარ-
 ნასთან გამარჯვების კომუნიაკე წაიკით-
 ხა. სანამ პაპაჩემს შავი წვერი ჰქონდა,
 იეღოვას თამაშობდა და მე ეკვი მაქვს,
 რომ დამნაშავეა ემილის სიკვდილში.

არა პირდაპირ, რასაკვირველია. ამ მრისხანე ბიბლიურ ღმერთს თავისი შვილების სისხლი სწყუროდა. მაგრამ მე მისი ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულისას გაეჩნდა ამ ქვეყნად. წვერი უკვე გათეთრებოდა და თამბაქოსაგან გაყვითლებოდა კიდევაც, მამის როლი უკვე აღარ ართობდა. თუმცა, მისი შვილი რომ ვყოფილიყავი, ალბათ თავს ვერ შეიკავებდა და დამიმონებდა, მხოლოდ ისე, ჩვეულებისამებრ. ჩემდა ბედათ მე მიცვალებულს ვეკუთვნოდი, მიცვალებულს, სპერმის რამდენიმე წვეთი რომ დაუღვრია, რომელიც ბავშვის ჩვეულებრივ ფასს წარმოადგენს. მე არავის არ ვეკუთვნოდი. პაპაჩემს შეეძლო ჩემით ესარგებლა, მაგრამ ჩემი დასაკუთრების უფლება არ გააჩნდა. მე ვიყავი მისი „საუნჯე“, ვინაიდან მას სურდა სული დაეღლია ნათელმოფენილ მოხუცის როლში. ვადაწყვიტა დანიახოს ჩემში განგების განსაკუთრებული წყალობა, ზეგარდმო საბოძვარი, რომელიც ყოველ წლს შეიძლება დავკარგოთ, რისი მოთხოვნა შეეძლო მას ჩემგან? თვით ის, რომ მე ვარსებობდი, აღავსებდა მას ალტაცებით. იგი სიყვარულის ღმერთად იქცა, რომელსაც ზეციერი მამის წვერი და მისი შვილის წმინდა გული გააჩნდა. იგი ხელს მადებდა თავზე, მე ვგრძნობდი კეფაზე მისი ხელების სითბოს, და გულის აჩუყებისაგან აკანკალებული ხმით მიწოდებდა „თავის პაწაწას“; ამასთან მის ცივ თვალებს ცრემლი ერეოდა. ნაცნობები შფოთავდნენ: „ეს ლაწირაკი სულ გაასულელეს!“ პაპა მათყაყანებდა — ეს აშკარა იყო. მაგრამ ვუყვარდი, თუ არა? ასე საჭაროდ გამოფენილ გრძობაში გულწრფელობისა და ფარისევლობის გარჩევა მიძნელდება. არ მახსენდება, რომ პაპას განსაკუთრებით მშობრვალე გრძნობები გამოეჩინოს სხვა შვილიშვილების მიმართ. მართალია, იგი იშვიათად ხედავდა მათ და ისინი არც საჭიროებდნენ მის ყურადღებას. მე-კი ყველაფერში მისგან ვიყავი დამოკიდუ-

ბული. ჩემში მას თავისი საკუთარი ღიდსულოვნება ხიბლავდა, *„L'art d'être grand père“*, სინამდვილეში იგი, *„L'art d'être grand père“*, აჭარბებდა ყოველივე ამადლებულის ღირგში. იგი XIX საუკუნის ადამიანი იყო და მრავალ მათგანისა არ იყოს, თვით ვიქტორ ჰიუგოსიც არ იყოს — ვიქტორ ჰიუგოდ მიაჩნდა თავი. მე რომ მკითხოთ, ეს ლამაზი, გრძელწვერა მოხუცი, ლოთივით, რომელიც ყოველთვის გადაკვრას ელის, მუდამ მორიგი თეატრალური ეფექტის მოლოდინში იყო; ორი უახლესი ტექნიკური გამოგონების მსხვერპლი შეიქნა — ესენია ფოტოგენობა და პაპადყოფნის ხელოვნება.¹ მისდა საბედნიეროდ და საუბედუროდ იგი ფოტოგენური იყო. ჩვენი სახლი გამოტენილი იყო მისი ფოტოსურათებით. ვინაიდან იმ დროს ნათებადვე ფოტოსურათებს არ იღებდნენ, პაპას პოზებისა და ცოცხალი სურათების გემო გაეხსნა. მაინცდამაინც დიდი მიზეზი არ იყო საჭირო, რომ იგი უცებ შეჩერებულიყო და ლამაზ პოზაში გაქვავებულიყო. მას გაიყვებით უყვარდა მარადისობის ეს ხანმოკლე წუთები, როდესაც იგი გადაიქცეოდა ხოლმე საკუთარ ძეგლად. ასევე ჩაიბეჭდა იგი ჩემს მეხსიერებაში, როგორც ჯადოფარნის გაქვავებული სურათი, რომელიც მას ასე უყვარდა: ტყეში, მე ვზივარ წაქცეულ ხეზე, ხუთი წლისა ვარ; შარლ შვეიცერს პანამა ხურავს, შავ ზოლებიანი, კრემის ფერი ფლანელის კოსტიუმი და თეთრი პიკეს ყილეტი აცვია, რომელიც საათის ძეწკვითაა გადაკვეთილი. მისი პენსნე ზონარზეა დამაგრებული. პაპა ვაღმოსჩილია ჩემკენ, ოქროს ბეჭდიანი თითი აღუმართავს და დაღაღებს. მოღუშული და ნესტიანი ამინდია, მხოლოდ მისი წვერი მზესავით ანათებს: პაპა-ჩემს მისი შარავანდედი ნიკაპზე აქვს შემოვლებული. არ ვიცი, რას ამბობს: ისე თავგამოდებით გვდილობდი დამეგ-

¹ *L'art d'être grand père* — „პაპადყოფნის ხელოვნება“ — ვიქტორ ჰიუგოს ლექსების კრებული სიათურ.

დო ყური, რომ არაფერი არ მესმოდა. ვგონებ, ეს იმპერიის დროინდელი ძველი რესპუბლიკელი, ჩემს სამოქალაქო ვალდებულებას მიხსნიდა და ბურჟუაზიულ ისტორიას მიყვებოდა: იყვნენ მეტად ბოროტი მეფეები და იმპერატორები. ისინი გაყარეს და ახლა ყოველივე სიკეთე მოეფინა ქვეყანას. საღამოს, როდესაც გავდიოდით გზაზე პაპაჩემის დასახვედრად, ფუნიაკლორიდან გადმოსულ უამრავ მგზავრებში მაშინვე ვიცნობდით ხოლმე მაღალი ტანითა და ცეკვის მასწავლებლის მიმოხვრით. ჯერ კიდევ შორიდან დაგვინახავდა და იმ წუთსავე, უხილავი ფოტოგრაფის მითითებით „პოზაში დგებოდა“—ქარში აფრიალებული წვერით, მხრებ გამართული, ტანში გასწორებული, გაქაჩული, წინწამოგდებული ვულმკერდით, ფართოდ გაშლილი მკლავებით. ამ ნიშნისთანავე მე გავშემდებოდი ხოლმე, წინმისწრაფებული და დაძაბული: მორბენალი, რომელიც მზადაა მოწყდეს ადგილიდან, პატარა ჩიტი, რომელიც ამ წუთს უნდა გამოფრინდეს ფოტოაპარატიდან. რამდენიმე წუთს ასე ვიყავით გაშეშებული ერთმანეთის პირისპირ: როგორც საქსონური ფაფურის მშვენიერი ჯგუფი, შემდეგ კი მე მოწყვდებოდი ხოლმე ადგილიდან, ყვავილებით და ხილით დატვირთული ბიჭი, პაპაჩემის სიცოცხლე და ბედნიერება თვალთმაქცურად აქლოშინებული ვეტაკებოდი მუხლებში, ის კი წამავლებდა ხელს, ამისგრიდა ჰაერში, ჩამიკრავდა გულში და ჩურჩულებდა „ჩემო საუნჯეც!“ ეს იყო მეორე ფიგურა, რომელიც ფრიალ მოსწონდათ გამვლელ-გამომვლელებს. ჩვენ ვთამაშობდით დაუსრულებელ კომედიას. რომელიც ასეული სხვადასხვა სექტჩისაგან შესდგებოდა: იყო არშიყოზა, და სწრაფმავალი განხეთქილება, უბოროტო გამოჯავრება, ალერსიანი დატუქსვა და სასიყვარულო სინანული, ფარული სინაზე და ვნებათა დღევანდელი ვიგონებდით დაბრკოლებებს ჩვენი სიყვარულისათვის, — რათა მათი დაძლევა გაგვხარებოდა. მე ხანდახან მომივლი-

და სიციუტე, მაგრამ ამ კაპრიზებსაც კი შეეძლო დაეფარა ჩემს უმეცხველ მგრძობებლობა: იგი, როგორც მწვენი ნის პაპას, იჩენდა ამაღლებულსა და გულუბრყვილო თავმოწონებობას, სიბეცესა და საძრახის წამქეზებლობას, რომლებსაც ჰიუგო გვთავაზობს. მე რომ დავესაყე და ზმელი პური მოეცათ, პაპა მურაბას მომიტანდა, მაგრამ ასეთი რამ ჩვენს დაშინებულ ქალებს აზრადაც არ მოუვიდოდათ. ისიცაა, რომ მე თვინიერი ბავშვი ვიყავი. ჩემი როლი იმდენად მომწონდა რომ არც ვაპირებდი მის მიტოვებას. მართლაც, მამაჩემის სასწრაფო გაქცევამ ფრიალ დასუსტებული „ოიდიბოსის კომპლექსით“ დამაჯილდოვა: არავითარი ზე-მეოზა და ამასთანავე, სრულიად არავითარი აგრესიულობა არ გამაჩნდა. დედა საჩემოდ იყო განკუთვნილი და არაფერ მედავებოდა და ამ უდრტვინველ კუთვნილებას; არ ვიცოდი რა არის ძალადობა და სიძულვილი და ამცდა ეჭვიანობის მწარე გამოცდილება. ცხოვრების მახვილ კუთხეებს არასოდეს დაუშევებივარ და ამიტომ, დასაწყისში, სინამდვილე ვაცივებული და უსოცო მეჩვენებოდა. ანდა ვის წინააღმდეგ ან რის მიმართ უნდა ავჯანყებულიყავი? არასდროს. არაფის მოსურრებია ეკარანახა ჩემთვის როგორ უნდა მოქცეულიყავი.

მე თავაზიანად ვრთავ ნებას რომ ფეხსაცმელი ჩამაცვან და ცხვირში წამალი ჩამაწყეთონ, ჯავრისით დამვარცხნონ და პირი დამბანონ, ჩამაცვან და გამხადონ, მიპატრონონ და მაპატივონ. დამჯერი ბიჭის როლის თამაშზე უკეთესი გასართობი არ ვიცი. არასოდეს არა ვტირი, არ მახსოვს, რომ ვიცინოდი, არ ვხმაურობ. ოთხი წლის რომ ვიყავი მომისწრეს მურაბაზე მარისს რომ ვაყრიდი, მაგრამ, მგონია, ეს უფრო მეცნიერების სიყვარული იყო. ვიდრე ბოროტგანზრახვა, ასეა თუ ისე, მაგრამ ესაა ერთადერთი ჩემი ცელქობა, რომელიც დამახსოვდა. ხანდახან, კვირაობით, ჩვენი ქალები ესწრებიან წირვას,

რათა მოისმინონ ცნობილი ორგანიზაციის კარგი მუსიკა. არც ერთი მათგანი რელიგიურ წესჩვეულებას არ იცავს, მაგრამ მორწმუნეთა აღტკინება განაწყობს მათ მუსიკალური ექსტაზისათვის; მათ სწამთ ღმერთი, სანამ ჟღერს ტოკატა. ჩემთვის არაფერია უტკბესი ამ სულიერი ზეალმაფრენის წუთებზე. ყველას თითქოს ჩაედინა: სწორედ ის დროა, რომ ჩემი ნიჭი გამოვაჩინო: მუხლებს ვაბჯენ მერსს და ქანდაკებად ვიქცევი: ღმერთმა დამიფაროს ფეხის თითის განძრევისაგანაცქი. გაშტერებულად ვიყურები წინ, თვალს არ ვახამამებ მანამ, სანამ ცრემლი არ დაიწყებს ლოყაზე დენას, რასაკვირველია, ბუმბერაზული ბრძოლა მაქვს გამართული ფეხის დაბუჯებასთან, მაგრამ გამარჯვების რწმენა მაქვს და იმდენად ვარ აღვსილი ჩემი ძლიერების გრძობით, რომ უშიშრად აღვავზნებ ჩემში ყველაზე ცოდვილ ცდუნებას. რათა ვავიხარო მისი დათრგუნვის სიტკბოებით. რამოხდება უცებ რომ წამოვტეგ და დავიღრიალო „პოპოპოპო“? ან და რა იქნება რომ ავძვრე და ჩავაფსა ბარძიშში? ეს საშინელი ზმანებანი განსაკუთრებულ ფასს სდებენ იმ ქებას, წირვის შემდეგ რომ დედაჩემი შემასხავს ხოლმე; თუმცა მე თვითონ ვიტყუებ ჩემს თავს, ვთვალთმაქცობ, თითქოს რაღაც საშიშროება მომელის, რათა ვავზარდო ჩემი დიდება; სინამდვილეში იმდენად მეშინია სკანდალისა, რომ არავითარ ცდუნებას არ ძალუძს ჩემთვის თავბრუს დაბვევა — თუ კი იმაზე მიდგა საქმე, რომ ყველანი განვაცვიფრო, ისევ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მაღალი ზნეობით. ეს ადვილი გამარჯვებები მიმტკიცებენ, რომ კარგი ბუნებისა ვარ. მივუშვებ თუ არა თავს საკუთარ ნებაზე, მაშინვე ქება-დიდებას მასხავენ. ავი სურვილები და ბოროტი აზრები, თუ კი ასეთები აღმეძვრება ხოლმე, ვარედანაა მოხვეუილი; მაგრამ ვერ მოასწრებენ ისინი ჩემს სულში შემოაბარვას, რომ უკვე კინდებიან და იღვეიან: ცოდვა ვერ პოვებს

ჩემში ნოყიერ ნიადაგს, ^{ქვეყნე-მერ} მხოლოდ თავმოწონების ^{ქვეყნე-მერ} რამ ამისთვის არ ვიქაჩები და თავს ძალას არ ვატან: მე ვთხზავ, მე ვტკბები მსახიობის მეფური თავისუფლებით რომელსაც დამონებული ჰყავს მყურებელი და თანაც აშალაშინებს თავის როლს. მე მეთავყვანებიან, ვინაიდან თავყვანების ღირსი ვარ. ამაზე მარტივი ნეტავ რა უნდა იყოს. ქვეყნად ხომ ყოველივე კარგადაა განწყობილი? მეუბნებიან რომ ლამაზი ვარ და მეც მჭერა ამისი. ეს ერთი ხანია მარჯვენა თვალზე ლიბრი მომეფინა, შემდგომში სიელმე დამემჩნევა და სულაც ელაში ვავხდები, მაგრამ ჯერჯერობით არ მეტყობა. ასობით ფოტოსურათს მიღებენ, რომლებსაც დედაჩემი ფერადი ფანქრებით რეტუშს უყეთებს. შემორჩენილია ერთი ასეთი სურათი, რომელზედაც მე ვარ გამოხატული — ლოყაწითელი, ქერა, ზუჭუჭა. ფუნჩულა, თვალბში პატივისცემა სამყაროს განწყობის მიმართ, წამოსივებულ ტუჩებში მალული თავხედობაა ჩაქსოვილი: მე ვიცი ჩემი ფასი.

საკმარისი არაა რომ კარგი ბუნება მაქვს მონიჭებული: მე საწინასწარმეტყველოდ ვარ განკუთვნილი: ბავშვების პირით ხომ ჭეშმარიტება დალადებს. ისინი ჯერ სულ ახლოს არიან ბუნებასთან, ქარისა და ზღვის ღვიძლი არიან: მას, ვისაც სმენა გააჩნია, შეუძლია მათ ტიტინში მრავალი გაურკვეველი ზეშთავიჯნება ამოიკითხოს. პაპაჩემს ანრი ბერგსონთან ერთად მოუხდა ვენევის ტბის გადაცურვა: „ალტაცებისაგან გონება დავკარგე, ამბობდა პაპა, თვალს ვერ ვამორებდი ფაფარმოყრილი ტალღების ბრწყინვალეებას, წყლის ზედაპირის ელვარებას. ბერგსონი კი ჩემოდანზე იჯდა და მთელი მგზავრობის განმავლობაში თვალმოუცვალვლად იატაკს მისჩერებოდა“. ამ შემთხვევაზე დაყრდნობით, შარლი უპირატესობას პოეტურ განქვერტას ანიჭებდა. ფილოსოფიასთან შედარებით. იგი ჩემზე

ფიქრობდა ბაღში, სკამლოგინზე გადაწოლილი ისე, რომ ლუღის ჰიკა ხელმისაწვდომზე ქონოდა, სკვრეტდა ჩემს სირბილსა და ხტუნვას. ჩემს უთავბოლო ტიტინში სიბრძნეს ეძიებდა და ჰპოვებდა. შემდგომში მე დაეცინოდი ამ ახირებას. ახლა ვნანობ: იგი სიკვდილის მოახლოვებით იყო გამოწვეული. ამ აღტინებით შარლს სიკვდილის სიახლოვის სევდის დაძლევა სურდა. ჩემში მას მიწის შესანიშნავი ქმნილება აღიტაცებდა და იგი ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ ამ ქვეყნად ყოველივე მშვენიერია, თვით ჩვენი უბადრუკი დასასრულიც-კი. მთების მწვერვალებზე, ტალღებში, ვარსკვლავთა შორის, ჩემი ნორჩი სიცოცხლის სათავეებში, ყველგან, იგი ეძიებდა ბუნებას, რომელიც ემზადებოდა, რომ კვლავ მიეღო იგი თავის წიაღში, ეძიებდა, რათა ერთიანად მოეცვა იგი და ეღიარებინა, მიეღო იგი მთლიანად, გამოუკლებლოვ, თვით საფლავის ორმომდე, რომელიც უკვე ითბრებოდა მისთვის ბუნების სავანეში. ჩემი პირით ღაღადებდა არა ჭეშმარიტება, არამედ თვით მისი სიკვდილი. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ჩემი ნორჩობის დროინდელ უფერულ ბედნიერებას, ხანდახან საიჭიოს ელფერი დაჰკრავდა. თავისუფლება ერთმა, დროულად მომხდარმა აღსასრულმა მომანიჭა, ხოლო მეორე გარდაცვალებამ, რომელსაც დიდხანს ელოდნენ, მდგომარეობა შემიქმნა. თუმცა ასეა: ყველა პითია საიჭიოს სახელით ღაღადებს, ყველა ბავშვი სიკვდილის საჩუკა.

ამასთან ისიცაა, რომ პაპაჩემს თავისი შვილებისათვის გულის გაწყალება სიამოვნებდა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მრისხანე მამა თრგუნავდა მათ; ისინი ფეხაკრეფით შედიან მასთან და ხედავენ რომ მას მუხლი მოუყრია ბიჭუნას წინაშე; მოდი და გული ნუ გავისკდება! თაობათა ბრძოლაში ბავშვები და მოხუცები ხშირად ერთ პირზე დგანან: ერთნი წინასწარმეტყველებენ,

მეორენი განმარტავენ ამ წინასწარმეტყველებას. ბუნებას, თავისუფლებას, გამოცდილება ამ ღაღადებამ მარტავს: საშუალო თაობამ ხმა უნდა გაიკმინდოს. ბავშვის მავივრად შეგიძლიათ გოშია გაიჩინოთ: შარშან, ძაღლების სასაფლაოზე, როდესაც ვკითხულობდი ძეგლებზე წარწერილ აღწევებულ ხობტას, ქვიდან ქვაზე რომ გადადის, გამახსენდა პაპაჩემის ნათქვამი: ძაღლებმა სიყვარული იცაან, ისინი ადამიანებზე უფრო ერთგულნი და გულისხმიერნი არიან; მათ გააჩნიათ ტაქტი. უტყუარი აღლო, რომლის მეშვეობით ისინი ცნობენ სიკეთეს, არჩევენ კეთილსა და ბოროტ ადამიანებს; „პოლონიუს, მოსთქვამდა ძაღლის ერთი გულდაშწვარი პატრონი, შენ ჩემზე კარგი ხარ: შენ ვერ აიტანდი ჩემ სიკვდილს, მე — კი ვცოცხლობ“. მე ამერიკელი მეგობარი მახლდა: იგი გაშმაგდა, ფეხი ჰკრა ერთი ძაღლის ცემენტის ქანდაკებას და ყური მოამტვრია. მისი საქციელი მართებული იყო: ზოგიერთების გადამეტებული სიყვარული ბავშვებისა და ცხოველების მიმართ. ადამიანების საზიანოა.

ამგვარად, მე მომავლის მქონე გოშია ვარ; მე ვწინასწარმეტყველებ, ჩემს ბავშვურ სიტყვებს იხსომებენ, მიმეორებენ: მათ მსგავსად ახლა სხვას ვთხზავ. უფროსების ენითაც ვლაპარაკობ: გავიწაფე წარბშეუხრელად გამოვთქვა „საკისათვის შეუფერებლად გონიერული“ აზრები. ჩემი გამოთქმები, ნამდვილი პოემებია, მეტად მარტივი რეცეპტით შედგენილი: თქვი, რაც ენაზე მოგადგება, რასაც უფროსებისაგან მოისმენ, დაალაგე როგორც მოგესასიათება, მაინცა და მაინც აზრსა და შინაარსს ნუ გამოეკიდები, და დაუკვირებლად გაიმეორე. მოკლეა. მე ვღაღადებ გრძელულ სიბრძნესა და ვისაც როგორც უნდა ისე იგებს მას. ჩემი გულის სიღრმეში იშვება თვით სიკეთე, ხოლო ჩემი ნორჩი არსების საიდუმლო ცნობიერება თვით ჭეშმარიტებას ბადებს. უფროსების შემ-

ყურე, მე ალტაცებული ვარ ჩემი თავით: უფროსების თვალს არ გამორჩება ხოლმე ჩემი სიტყვებისა და ქესტების მშვენიერება, ხანდახან მე თვითონაც არ მესმის, რა არის ამაში კარგი; მაგრამ რა გაეწყობა! მე მზად ვარ არ გაუმტყუნო მოლოდინი და მივანიჭო ფაქიზი სიამოვნება, რომელიც ჩემთვის მიუწვდომელია. ჩემი მანკვა-გრეხვა სულ-გრძელობას წააგავს: ამ ბედკრულ ადამიანებს ბავშვები არა ჰყვდათ და იტანჯებოდნენ: კაცთმოყვარეობის გრძობით შეპყრობილი ვიშვი არმყოფობიდან, ბავშვად ვიქეც და მოვევლინე. რათა მათ ეჩვენოთ, რომ ვაჭიშვილი ჰყავთ. დედა და ბებია ხშირად ამიყოლებენ ხოლმე და მამეორებიანებენ ჩემი ამ ქვეყნად მოვლინების წარმოდგენას, იმენით გამოუთქმელი მოწყალების აქტს, რომელმაც ეს სიცოცხლე მომანიჭა. შარლ შვეიცერის ახირებასა და თეატრალური ეფექტების სიყვარულს აყოლილნი, ისინი სიურპრიზებს უმართავენ. მე დამმალავენ ხოლმე სადმე ავეჯის უკან, მე ვისუსები და სუნთქვას ვიგუბებ; ქალები გადიან ან ისეთ იერს იღებენ, ვითომ დავავიწყდი. მე გაუჩინარებული ვარ. შემოდის პაპაჩემი, დაღლილი და მოღუშული, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, მე რომ არ ვარსებობდე ამ ქვეყნად; მე გამოვდივარ სამალაეიდან და ჩემი გამოჩენით პაპას ვაბედნიერებ. იგი მხედავს და როლში შედის, სახე ეცვლება და ხელებს ცისკენ აღაპყრობს: ჩემი მოვლინება მას სიხარულით აღავსებს. ერთი სიტყვით, მე ვასაჩუქრებ მას ჩემით; ვასაჩუქრებ ყოველთვის და ყველგან, ვასაჩუქრებ ყველას. საკმარისია ხელი ვკრა კარებს და, პაპაჩემისა არ იყოს, მეც მეჩვენება, რომ მე მოვევლინე ხალხს. სათამაშო სახლს ავაგებ თუ სიღისაგან კოკორს გამოვძერწავ, მაშინვე გავკვივარ რაც ძალა შემწევს: ჩემს დამახილზე ყოველთვის ვინმე მოიბრუნს და გაიკვირვებს; კიდევ ერთი ადამიანი გავაბედნიერებ. ჰამა, ძილი, ცუდი ამინდისაგან დაცვის

საშუალებანი — ასეთია ჩემი სიცოცხლის ზუსტი განრიგებით ~~ქმნილი~~ ^{ქმნილი} მთავარი დღესასწაულები და მთავარი ვალდებულებანი. მეფესავით, სხვათა თანდასწრებით ვცამ. თუ კარგად ვცამე, მილოცავენ. ბებიაც კი წამოიძახებს ხოლმე: „ყოჩაღ, რომ მოგვიწინია!“

მე განუწყვეტლოვ ვიქმ თავსა ჩემსა: მე თვით ვარ მიმძღვნელი და ძღვენიც მე ვარ. მაამჩემს რომ ეცოცხლა, მე შევიცნობდი ჩემს უფლებასა და მოვალეობას: იგი გარდაიცვალა და მე ამით არაფერი გამეგება: უფლებები არ გამაჩნია, ვინაიდან ავსებული ვარ სიყვარულით; მოვალეობანი არა მაქვს, ვინაიდან სიყვარული მანიჭებინებს. ერთადერთი რამა მაქვს დაკისრებული: თავი მოვაწონო: თანაც ყოველივე ეს, სხვის დასანახებლად. ჩვენს ოჯახში დიდსულოვანთა ღრეობაა: პაპა არსებობის საშუალებას მანიჭებს, მე მას სიხარულს ვანიჭებ, დედა თავს სდებს ყველას გულისთვის. ახლა, როდესაც სალადა ვმსჯელობ, მხოლოდ მისი თავდადება მეჩვენება გულწრფელი, მაგრამ მაშინ ისე ვიყავით განწყობილი, რომ თვალს ვარიდებდით მას. ასეა თუ ისე, მაგრამ ჩვენი სიცოცხლე ცერემონიების წყებაა და მთელი ჩვენი დრო იმას უნდება, რომ პატივი ვცეთ ერთმანეთს. პატივს ვცემ უფროსებს იმ პირობით, რომ მე მალმერთებენ: გულმოსული ვარ, გულწრფელი და გოგოსავით მოალერსე. კეთილგანმზრახი ვარ, ვენდობი ადამიანებს: ყველანი კეთილნი არიან, რადგან კმაყოფილნი არიან ყველაფრით. საზოგადოება წარმომესახება დამსახურებათა და რწმუნებათა ზუსტად დაწესებულ იერარქიულ კიბეთ. ის ვინც კიბის თავზე დგას, ყოველივეს რაც გააჩნია, ქვედა საფეხურებზე მდგომთ აძლევს. მე არ მიმაჩნია რომ ჩემი ადგილი ამ კიბის მწვერვალზეა: ვიცი იგი განკუთვნილია პირქუში, კეთილგანმზრახი ადამიანებისათვის, რომლებიც წესრიგს იცავენ.

მე მოკალათებული ვარ მათ მახლობლად, უბრალო გვერდითა ქანდარაზე და ყოველმხრივ ვაფრქვევ სხივებს. მოკლედ, ამ ქვეყნიურ ძალაუფლებას თავს ვარიდებ და ვცდილობ ვიყო ჩემთვის: არც მძლავრ, არც დაბლა—ღვთის მსახურის შვილიშვილს, მეც ბავშვობიდან დამყვა ღვთისმსახურება, ეკლესიის თავადთა შემპარაობა და სამღვდლოთა მსახურული ხასიათი. უმცროს ძმათა, როგორც ტოლ-სწორს ვეპყრობი: ეს არის სიცრუე დახსნისათვის, რომელსაც მივმართავ, რათა გავაბედნიერო ისინი, ხოლო მათ ევალეზათ მოტყუვდნენ, მაგრამ არც მაინცდამაინც. ძიძას, ფოსტალიონს, ჩემს ძაღლს მოთმინებითა და თავშეკაცებულად მივმართავ. ამ მოწესრიგებულ ქვეყანაში ღარიბები არსებობენ. გვხვდება აგრეთვე ხუთფეხა ბატკნები, სიამის მჩჩობლები, რკინიგზის კატასტროფები: მაგრამ ყოველივე ეს გამონაკლისია და არავის ედება ბრალად. კეთილმა ღატაკებმა არც კი იციან, რომ მათი ამქვეყნიური დანიშნულება ჩვენი გულუხვობის გამოცდაა; ეს ღატაკნი მორცხვნი არიან, ისინი კედლებს ეკვრიან; მე მივისწრაფვი მათკენ, ხელში ვაჩქებ ხურდა ფულს და ამასთანავე ვითარცა ტოლ-სწორთ ვაჯილდოვებ მათ მომხიბლავი ღიმილით. ვთვლი, რომ მათ სულელური გამომეტყველება აქვთ, არ მიყვარს რომ ხელით შევეხო მათ, მაგრამ თავს ვაძალებ: ეს ხომ ცთუნებაა; ამასთანავე, საჭიროა რომ მათ ვუყვარდე: ეს სიყვარული ვაალამაზებს მათ ცხოვრებას. ვიცი რომ დღიური ლუკმა აკლიათ და მომწონს მათთვის ფუფუნების საგანი ვიყო. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს გაჭირვება, მათ არასოდეს განუცდიათ ის წამება, რაც პაპაჩემს გადახდენია: პატარაობისას მას უხდებოდა გათენებამდე აღგომა, სიბნელეში ჩაცმა, პირის დასაბანად ჭერ წყლის დოქში ყინული უნდა გაეტეხა. საბედნიეროდ, დროება შეიცვალა: პაპაჩემს სჯერა პროგრესისა. მე-

ცა მჯერა: პროგრესი, გრძელი და მძიმე გზაა, რომელიც ჩემთვის უწყვეტად სამოთხეში ვიყავი. ყოველწელიწადს მხედვებოდა განცვიფრებული სიხარულით მოცულს, აღტაცებულს, რომ ბედმა გამიღიმა და დავიბადე ყველაზე ერთსულოვან ოჯახში და ამ ქვეყნად ყველაზე მშვენიერ მხარეში. უკმაყოფილოთა შემყურეს გული მიღონდება: ნეტავ რასა ბუზღუნებენ? ნამდვილად, შფოთის თავები არიან. საკუთრივ ბეზაიჩემი შეშფოთებას იწვევდა ჩემში: მწუხარებით აღვნიშნავდი, რომ იგი არასაკმარისად იყო ჩემით აღტაცებული. სინამდვილეში, ლუიზა კარგად ხედავდა რაცა ვარ. იგი ყველას დასაანახად ამხილებდა ჩემ ტაკი-მასხარაობას, რომლისთვისაც ქმარს საყვედურს ვერ უბედავდა: მასხარას, ჯამბაზსა და მანქიას მეძახდა, მოითხოვდა რომ ოინბაზობას შევშებოდი. ეს მაშფოთებდა. მით უფრო, რომ ამ გაიცხებაში პაპაჩემის დაციწვასაც ვხედავდი: ეს იყო „ყოველის უარყოფელი სული“. მე „სიტყვას ვუბრუნებდი“, ბებია ბოდინის მოხდას მოითხოვდა; ბოდინზე უარს ვამბობდი, ვინაიდან მხარდაჭერის იმედი მქონდა. პაპაჩემს ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა, რომ სისუსტე გამოეჩინა: იგი ჩემს მხარეს იჭერდა ცოლის საწინააღმდეგოდ, ხოლო აღშფოთებული ბებია მიდიოდა, რათა თავის საწოლ ოთახში ჩაკეტოდა. დამფრთხალი დედა, ბებიაჩემის გულღვარძლიანობის შიშით, ხმადაბლა, მორიდებით კიცხავდა პაპას, ის-კი მხრებს აიჩჩავდა და თავის სამუშაო ოთახს მიაშურებდა; მაშინ დედა ცდილობდა ჩემ დაყოლიებას, რათა ბოდინი მომეხადა ბებიას წინაშე. მე ვტკებობდი ჩემი ყოველისშემძლეობით: მიქელ-გაბრიელი ვარ ავის სულის დამთრგუნავი. საქმის მოსაფაველად, სასხვათაშორისოდ ბოდინს ვიხდი ბებიას წინაშე. ამისთანების ვარდა კი, სიმართლე რომ ითქვას, ვეთყუვანებობდი ბებიას: ვინაიდან იგი ჩემი დიდედა იყო. მასწავლეს დამეძახა მის-

თვის „მამი“, ხოლო ოჯახის თავისათვის მეწოდებინა მისი ელზასული სახელი — კარლი. კარლი და მამი ღვდრდა უკეთესად, ვიდრე რომეო და ჯულიეტა, ფილემონი და ბაკისი. დღეში ასჯერ დედაჩემი არც თუ განუზრახავად ჩამჩინებდა: „კარლემამი გვიცდიან“, „კარლემამის გაუხარდებით“, „კარლემამი...“ და ამ ოთხი მარცვლის შინაგანი კავშირით ხაზს უსვამდა ამ აღამიანთა სრულ ურთიერთ თანხმობას. მე მხოლოდ ნახევრად ვტყუვდებოდი, მაგრამ უფრო მეტად თავს ვოკატუნებდი, თითქმის სავესებით ვტყუვდებოდი. სიტყვა შუქს ფენდა თვის საგანს: კარლემამის მეშვეობით მე შემეძლო შემენარჩუნებინა ჩვენი ოჯახის უხადო ურთიანობა და შარლის სათნოება უმეტესად ლუიზასათვის მეწილადებინა. არასაიმედო და ცოდვისაკენ მიდრეკილ ბებიარჩემს, რომელსაც ყოველ წუთს შეიძლება ფეხი დასცდენოდა, ანგელოზების მარჯვენა და სიტყვის ძლიერება აკავებდა.

არსებობენ ნამდვილი ავაზაკები: პრუსიელები, რომლებმაც წაგვართვეს ელზას-ლორენი და წაიღეს ყველა ჩვენი საათი, იმ შავი მარმარილოს ქვესადგამიანი საათის გარდა, რომელიც პაპაჩემის ბუხრის თავს ამშვენებს. ეს საათი მას სწორედ მისმა გერმანელმა მოწაფეებმა აჩუქეს; საკითხავია, ნეტავ სადაა მოპარული? ჩემთვის პანსის გამოცემულ წიგნებს ყიდულობენ და სურათებს მაჩვენებენ: არავითარ სიძულვილს არ განვიციდი ვარდისფერ შაქარყინულისაგან გაკეთებულ ვაზლენძილ კაცებისადმი, რომლებიც ასე გვანან ჩემს ელზასელ ბიძებს. პაპაჩემი, რომელმაც სამოცდათერთმეტში საფრანგეთი აირჩია, ხანდახან დადის ვუნსბახსა და პუაფენპოფენში, იქ დარჩენილნი რომ მოინახულოს. მეც თან მივყავარ. პატარებელში, როდესაც გერმანელი კონტროლიორი მას ბილეთს სთხოვს ან კაფეში, თუ ოფიციალტი აგვიანებს დაკვეთის მიღებას, შარლ შევიცერს პატრიოტული აღშფოთებისაგან სახე ენთე-

ბა. ქალები ხელსა სტაცებენ და აკავენ: „შარლ! რას შერებო შენაშენი და ამით რას მოიგებო?“ მაშინ უმაღლებს: „ერთი ვნახოთ, როგორ გამოაქვებენ მე ჩემს მხარეში ვარ!“. მკრავუნ ხელს რომ მივუახლოვდე, მე ვედრებით შევცქერი და პაპაჩემიც მოლბება ხოლმე: „ასე იყოს, პატარას გული-სათვის“, ამოიხრებს და გამხმარი თითებით თავზე მეაღერსება. ამგვარი სცენები მის წინააღმდეგ უფრო მამხედრებენ, ვიდრე ოკუპანტების წინააღმდეგ. ისიც უნდა ითქვას, რომ ვუნსბახში შარლი შემთხვევას ეძებს, რომ რძალს მოსდოს შარი: კვირაში რამდენჯერმე გაბრაზებით ავლებს მაგიდაზე ხელსახოცს და კარების ბრაზუნით გადის სასაღილო ოთახიდან: რძალი კი სულაც არ არის გერმანელი. საღილის შემდეგ ჩვენ ხვეწნა-მუღარით ფეხქვეშ ვუვარდებით, იგი ყურს გვიგდებს გაკერბულში. მოდი და ნუ დაეთანხმები ბეზიაჩემის განარჩენს: „ელზასი მაწინარია შარლისათვის. საჭირო არ არის ასე ხშირად აქ სტუმრობა“. მე თითონაც მაინც და მაინც არ მიყვარს ელზასელები, რომლებიც ჩემდამი არავითარ პატივისცემას არ იჩენენ და სულაც არ მადონებს რომ ისინი წაგვართვეს. ირკვევა, რომ მე მეტად ხშირად დავრბივარ პუაფენპოფენელი ბაყლის ბ-ნ ბლიუმენფელდის დუქანში და ტყუილ-ტბრალოდ ვაწუხებ. ამის გამო ბიცოლა კაროლინამ მოახსენა დედაჩემს „თავისი აზრი“, რომელიც დედამ მე გადმომცა. ამჯერად მე და ლუიზა თანამოაზრენი ვიყავით: იგი ვერ იტანს ქმრის ნათესავეებს. სტრასბურგში, სასტუმროს ოთახში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მესმის გამყვიანი საკრავების ხმა, გავრბივარ ფანჯრისაკენ; ჯარიო! ალტაცებული შევცქერი, როგორ მიაბიჯებს პრუსია ამ ბალღური მუსიკის ხმაზე და ტაშს ვუკრავ. პაპაჩემი გაუნძრევლად ზის თავის სკამზე, ბუზღუნებს; დედა ყურში ჩამჩურჩულებს, ფანჯარას მოშორდით. მე ცოტა ვიბუტები, მაგრამ ვუჭერებ. მე მძულს გერმანელები, ჯანდაბას მაგათი

თავი, მაგრამ მთლად დარწმუნებული არა ვარ ამასში. შარლსაც შეუძლია გამოიჩინოს შოვინიზმი მხოლოდ, სულ მცირედ. 1911 წელს, როდესაც მივატოვეთ მედონი, ჩვენ დავსახლდით პარიზში, ლე გოფის ქუჩის პირველ ნომერში. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ჩვენი შენახვა რომ შესძლებოდა. პაპაჩემი იძულებული გახდა ცოცხალი ენების ინსტიტუტი დაეარსებინა: სადაც ჩამოსულ უცხოელებს ფრანგულ ენას ასწავლიდნენ პირდაპირი მეთოდის საშუალებით. მოწაფეთა უმრავლესობა გერმანიიდანაა ჩამოსული, კარგ ფულს იხდიან: პაპაჩემი დაუთვლელად იყრის ჯიბეში ლუიდორებს; ღამ-ღამობით ბეზია, რომელსაც უძილობა დასჩემებია, მიიპარება დერეფნისაკენ, რათა თავისი ხარკი აკრიფოს, „უჩუშრად“, როგორც თვითონ ეუბნება თავის ქალიშვილს: მოკლედ რომ ვთქვათ: მტერი გვასულდგმულებს. საფრანგეთ-გერმანიის ომი დაგვიბრუნებდა ელზასს, მაგრამ დაქვევდა ჩვენს ინსტიტუტს: შარლი მშვიდობის შენარჩუნების მომხრეა. ამასთან, კარგი გერმანელებიც არსებობენ, ჩვენთან რომ სტუმრად მოდიან: რომანების მწერალი — ქალი, სახეწითელი და წვერ-ულვაშა, რომელსაც ლუიზა იჭენეული ხიბობით „შარლის დულცინეას“ უძახის; მელოტი ექიმო, რომელიც კართან მიჰყვებოდა ხოლმე დედაჩემს და ცდილობს აკოცოს; როდესაც ამისგან იგი გაუბედავად ჩივის, პაპაჩემი იქაურობას აქცევს: „თქვენ მთელ ქვეყანას გადამკიდებთ!“, მერე მხრებს აიჩეჩავს და დასკვნის „ნამდვილად მოგეჩვენა, შვილო ჩემო“ და დედაჩემი თავს დამნაშავეთა-ც კი გრძნობს. ჩვენ სტუმრებს შეგნებული აქვთ, რომ უნდა აღტაცება ვამოსთქვენ ჩემი სიქველის გამო და ისინი მორჩილად მეფერებიან, რაიცა იმის მანიშნებელია, რომ მათთვის, მიუხედავად მათი წარმოშობისა, როდია უცნობი ბუნდოვანი წარმოდგენა სიკეთის შესახებ. ინსტიტუტის დაარსების წლისთავის გამო გამართულ დღესას-

წაუღზე დაპატივებული იყო ასზე მეტი სტუმარი, იყო მათრობელი, მშობლები, დედაჩემი და მადმუაზელე, მშობლები, ბელით უკრავდნენ ბახს. ცისფერი მუსლინის კაბაში გამოწყობილს, თმებში ჩაქსოვილი ვარსკვლავებით მორთულს და ფრთებგამოსხმულს, კალათით დამაქვს მანდარინი და სტუმრებს ვთავაზობ. ისინი აღტაცებით იძახიან „ქეშმარიტად ანგელოზია!“. დახეთ, არც ისეთი ცუდი ხალხი ყოფილა. თავისთავად ცხადია, რომ უარი გვითქვამს წამებული ელზასისათვის; შურისძიებზე ოჯახში, ხმადაბლა, გუნსბახელი და პუაფენბოფენელი ნათესაეების მსგავსად, ჩვენც გაკილვით ვსაბობ ბოშებს, მესეთ სასაცილოდ ვივდებთ მოსწავლე გოგონას, რომელმაც ფრანგულ თხზულებაში დაწერა „შარლოტა მწუხარებისაგან მიაკვდა ვერტერის საფლავს“, ან ახალგაზრდა მოსწავლეებს, რომელიც სადილის დროს დიდხანს ეკვით ათვალეობდა ნესვის ნაჭერს, ხოლო შემდეგ შექამა მთლად ქერქიანად და თესლებიანად. ამ შეცდომების გამო მე მოწყალე თვალით ვუცქერი გერმანელებს: გერმანელები დაბალი არსებანი არიან, მაგრამ ბედად, ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ; ჩვენ მათ გავანათლებთ.

იმ ხანებში ამბობდნენ: ქოსას კოცნა უმარילו კვერციბო; მე ვუმატებ: როგორც სიკეთე ბოროტების გარეშე, როგორც ჩემი სიცოცხლე 1905 და 1914 წლებს შუა. თუ პიროვნება ირყევა თავისთავთან ბრძოლაში, მაშინ მე სისხლად და ხორცად ჩამოყალიბებული გაურკვევლობა ვიყავი. თუ სიყვარული და სიძულვილი ერთი და იგივე მედალის პირითი და უკანა მხარეა, მაშინ მე არავინ და არაფერი არ მყვარებია. ახი იყო ჩემზე: არ შეიძლება მოვთხოვოთ აღამიანს რომ ეცადოს სხვას მოაწონოს თავი და თანაც სძულდეს. არც ის, რომ თავი მოაწონოს და უყვარდეს.

მაშ, მე ნარცისი ვარ? ისიც კი არა ვარ: იმდენად ვარ გართული სხვისთვის

თავის მოწონებით, რომ ჩემი თავი მავიწყდება. სინამდვილეში ვერაფერი გასართობია ქვეშის კოკორების ძერწვა, ჯღაბნა და ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება: ყოველივე ამას რომ ფასი დაედოს, საჭიროა ჩემი ნამოქმედარის გამო ერთმა უფროსმა მაინც გამოსთქვას აღტაცება. საბედნიეროდ, აპლოდისმენტები არ მაკლია: განურჩევლად იმისა ისმენენ ჩემს ტიტინს თუ ფუგის ხელოვნებას, უფროსებს სახეზე გამოეხატებათ მაგემელთა და თანამონაწილეთა სრულიად ერთნაირი ღიმილი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მე კულტურულ ფასეულობას წარმოვადგენ. კულტურითა ვარ გამსჭვალული. მე გამოვასხივებ მას და ვასხივოსნებ ჩემს ოჯახს, ისევე როგორც ტბის ზედაპირი, საღამოობით რომ გვიბრუნებს დღისით მიღებულ სითბოს.

მე დავიწყე ცხოვრება და ალბათ, დავასრულებ მას, წიგნებს შორის: პაპაჩემის კაბინეტი წიგნებით იყო გამოტენილი; მტერის გაწმენდა ნებადართული იყო წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ოქტომბერში, სწავლის დაწყების წინ. ჯერ კითხვა არ ვიცოდი, როდესაც მოწიწებით შევეცქეროდი ამ სათაყვანებელ ნივთებს. ისინი იდგნენ ხან აგურბივით მხარდამხარ, ხან კეთილშობილად განმარტობულნი, ქვაკაცბივით იყვნენ ჩარიგებულნი. მე ვგრძნობდი რომ ჩვენი ოჯახის სიკეთე მათგანაა დამოკიდებული. ყველანი ერთმანეთს გვანდნენ, მე ვხარობდი ამ პატარა საკურთხეველში, ამ სიძველეთა შორის, რომელთაც იხილეს ჩემი დაბადება. უნდა გამხდარიყვნენ ჩემი სიკვდილის მოწმენი და რომელთა შეურყევლობა მომავალშიც მიქაღდა ისეთივე აუზღვრეველ სიცოცხლეს, როგორიც მქონდა წარსულში. მე მალულად ვეხებოდი მათ, რათა მათი შეხებით გამეპატიოსნებინა ჩემი ხელები, მაგრამ არ კი მქონდა წარმოდგენილი, რისთვის არიან ისინი საჭირო. ყოველდღე მოწმე ვიყავი ცერემონიისა, რომლის აზრი ვერ გამეგო: პაპაჩემი,

რომელიც ცხოვრებაში იმდენად მოუხერხებელი იყო, რომ ~~დაეცნენ~~ უბნევედა ხოლმე ხელთახმანს ~~საქმის~~ რთხელის მსახურის ხელმძრავეობით ატრიალებდა ამ წმინდა ნივთებს. ათასჯერ მინახია, სრულიად გამოთიშული გამომეტყველებით რომ შემოუვლიდა ირგვლივ თავის მაგიდას, ორი ნაბიჯით ვადამერავდა ოთახს და ყოყმანის გარეშე ხელს წაავლებდა რომელიმე წიგნს, ისე უცბად რომ მისი არჩევის დროც კი არ ჰქონდა, გზადგზა ფურცლავდა მას საჩვენებელი და დიდი თითის ჩვეული მოძრაობით, კვლავ ეშვებოდა თავის სავარძელში და ერთი ხელის მოსმით გადაშლიდა წიგნს საჭირო ადგილას. თანაც ტყავის ყდა ახალი ფეხსაცმელივით დაჰქრატუნებდა ხოლმე, ხანდახან უფრო ახლო მივიდიოდი. რომ დამეთვალე რებინა ეს კოლოფები, რომლებიც ნიკარბივით ვადაიხსნებოდნენ და გამოაჩენდნენ ხოლმე თავის შინაარსს: ფერგადასულ და დობებულ, ოღნავ აფრაკებულ და შავი ძარღვებით დაფარულ ფურცლებს, რომლებიც იშრობდნენ მელანს და სოკოს სუნი ახლიოდათ.

ბებიაჩემის ოთახში წიგნები კი არ იდგნენ, არამედ მაგიდაზე ეწყვნენ. ლუიზას ბიბლიოთეკიდან გამოაქონდა წიგნები, მაგრამ ერთბაშად ორზე მეტს არ იღებდა. ეს გასართობი წიგნები საახალწლო ტკბილეულს მაგონებდნენ, რადგან მათი თხელი, პეწიანი ფურცლები პრიალა ქაღალდისაგან გამოჭრილებს გავდნენ. ეს კოპია, თეთრი, თეთქმის ახალი წიგნები, თითქოს ქუამხიარულ საიდუმლოებათა წინათქმის წარმოდგენდნენ. ყოველ პარასკევს, ბებიაჩემი გამოეწყობოდა და იტყოდა „წავალ ამათ დასაბრუნებლად“, ხოლო დაბრუნებისას მოიხდიდა პირსაბურავიან შავ ქუდს და ამოიღებდა მათ თავის მუფტიდან: მიკვირდა „ისევე ის წიგნებია?“. ბებია გულდამსმით გაახვევდა წიგნებს, შემდეგ აირჩევდა ამ ორიდან ერთს და ჩაესვენებოდა ფანჯარასთან მდგარ ბალიშებიან



სავარძელში, გაიკეთებდა სათვალეს და ბედნიერად, დაღლილად ამოიხრებდა და მილუღავდა თვალებს, იმ ნატიფი ტკბილი ღიმილით, რომელიც შემდეგში ჭიოკონდას ტუჩებზე აღმოვაჩინე. დედა ჩემი გაყუჩდებოდა ხოლმე, მანიშნებდა, რომ ჩემად ვყოფილიყავი, მე-კი მეჩვენებოდა წირვა, სიკვდილი, ძილი და წმინდა ღუმელი მეუფლებოდა. ხანდახან ლუიზა ჩაიხიზნებოდა, ეძახდა ქალიშვილს და თითქმის დაადებდა რომელიმე სტრიქონს და ქალები გამგებად გადახედავდნენ ერთმანეთს. მე მაინც არ მიყვარდა ეს ზედმეტად კოპწია, ცრუმარჯვია წიგნები. თანაც პაპაჩემი არც მალავდა, რომ ძინი მეორე ხარისხოვანი წმინდანები არიან და დაბალი, მხოლოდ ქალებისათვის განკუთვნილი კულტის საგამს წარმოადგენენ. კვირაობით, უსაქმურობისაგან პაპა შედიოდა თავის მეუღლის ოთახში, თავზე დაადებოდა ბეზისს და არ იცოდა რა ეთქვა. ყველანი მას შეეცქეროდით, ის კი ათამაშებდა თითებს ფანჯრის მინაზე და ვერაფერ სათქმელს რომ ვერ მოიგონებდა, მოუბრუნდებოდა ლუიზას და ხელიდან წაართმევდა რომანს: „შარლ! გაბრაზებული აყვირდებოდა ბებია, ფურცლებს ნუ ამირევ“, მაგრამ პაპა წარბებს ასწევდა და კითხვას შეუდგებოდა; შემდეგ საჩვენებელ თითს დაუკაკუნებდა წიგნზე „არაფერი მესმის! — რა უნდა გაიგო, როდესაც შუიდან კითხულობ?“ — ეუბნებოდა ბებია. ყოველივე მოთავდებოდა იმით, რომ პაპა დაავდებდა წიგნს მავიდაზე, მხრებს აიჩეჩავდა და მიდიოდა.

პაპაჩემი ყოველთვის მართალი გამოდიოდა: ეს მისი ხელობა იყო. ეს ვიცოდი, რადგან თავისი ბიბლიოთეკის ერთერთ თაროზე მაჩვენა ყავისფერ ყდებიანი სქელი წიგნების წყება და მითხრა „ესენი, პატარავ, სულ პაპა შენის შექმნილია“. რა სიამაყეა! მე ამ წმინდა საგნების დამზადებაში გაწაფული ხელმარჯვე ოსტატის შვილიშვილი ვარ, ეს ხელობა კი ისეთივე საბატოა, როგორც ორგანონის ოსტატისა ან სი-

ეკლესიო თერძის ზელობა. პაპა ჩემს მუშაობისათვის მიყურებდა, „Desireux Lesebuch“ ყოველწლიურად ახლა გამოდიოდა. არდადეგების დროს მთელი ჩვენი ოჯახი მოუთმენლად ელოდა კორექტურის ფურცლებს. შარლი ვერ იტანდა უსაქმობას და როცა საქმე არ ჰქონდა საშველს არ გვაძლევდა. ბოლოს და ბოლოს ფოსტალიონს მოჰქონდა რბილი ბანდეროლები. მაკრატლით პრიდნენ კანაფს; პაპა გაშლიდა ანაბეჭდებს, გაფენდა ხოლმე სასადილო მაგიდაზე და იწყებდა წითელი ფანქრით ჩეხვას: ყოველ შეცდომაზე კბილებში სცირიდა ღვთის წყრომას, მაგრამ ყვიროდა, მანამ, სანამ მოსამსახურე ქალი სუფრის გაშლას არ დააპირებდა. საყოველთაო კმაყოფილება სუფევდა. სკამზე შემდგარი მე აღტაცებით შეეცქეროდი ამ შავ სტრიქონებს, სისხლის-ფერი დაღებით რომ იფარებოდა. შარლ შვეიცერი მიხსნიდა, რომ მას ყავს მოსისხლე მტერი, მისი გამომცემელი. პაპაჩემი არასოდეს არ ყოფილა გაწაფული ანგარიშში, უდარდებლობის გამო ხელგაშლილი იყო, ხოლო სიციფტის შედეგად უხვი. მხოლოდ სიცოცხლის დასასრულისათვის დასჩემდა ოთხმოც წელს გადაცილებულ ადამიანთა მანკი — სიძუნწე, რაიცა დამაბუნებისა და სიკვდილის წინაშე შიშის შედეგია. მაგრამ იმ ხანად ეს სენი ჯერ მხოლოდ უცნაურ ეჭვიანობაში გამოიხატებოდა: როდესაც ფოსტით საავტორო ჰონორარი მოსდიოდა, იგი აღაპკობდა ხელებს ცისკენ, ყვიროდა, რომ მას ყელს სჭრიან ან დაღერემილი შედიოდა ბეზის ოთახში და მრისხანედ აცხადებდა „ჩემი გამომცემელი ისე მძარცვავს, გეგონება ტყეში ვართ“. ასე, განცვიფრებულმა, აღმოვაჩინე ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ. რომ არ ყოფილიყო ეს საზიზღრობა, საბედნიეროდ არც ისე განვრცობილი. ეს ქვეყანა შესანიშნავად იქნებოდა განრიგებული: ყოველი პატრონი, თავის შექლებისდაგვარად, მოუზღავდა ყოველ მშრომელს მისი დამსახურების შესაფერისად. რა-

ტომ ზღებოდა რომ ეს მახრჩობელა გამოცემლები თელავდნენ სამართლიანობას და სისხლს სწოვდნენ უბედურ პაპაჩემს. კიდევ უფრო ვაიზარდა ჩემი პატივისცემა ამ წმინდა ადამიანისადმი, რომლის თავგანწირვა არ იყო სათანადოდ დაჯილდოვებული: ჩვილობიდანვე შეჩვეული ვიყავი იმ აზრს, რომ მასწავლებლობა მღვდელმსახურებაა, ხოლო ლიტერატურული მოღვაწეობა — მოწამეობაა.

ჩერ კიდევ კითხვა არ ვიცოდი, მაგრამ უკვე საკმაოდ სწორი ვიყავი და მოვსურრე მჭონოდა საკუთარი წიგნები. პაპაჩემს წავიდა თავის ყალთაბანდ გამოცემელთან და იშოვნა პოეტ მორის ბუშორის „ზღაპრები“, ფოლკლორიდან ნასესხები ამბები, ბავშვებისათვის დამუშავებული ადამიანის მიერ, რომელიც პაპაჩემის თქმით, ბავშვს თვალთ უცქერდა სამყაროს. მე მაშინვე მოვინდომე ყველა წესების დაცვით შევდგომოდი საქმეს. ავიღე ეს ორი პატარა წიგნი, დავსუნე, მოვსინჯე ხელით. სასხვათაშორისოდ გადავშალე „საქირო ადგილას“ და წესისამებრ დავაპრაკუტუნე. ამოდ: არ ვგრძნობდი, რომ ისინი მე მეკუთვნიან. თამაში დაიწყო: ვათამაშებდი დედოფალსავით, ვაძინებდი, ვეფერებოდი, მივარტყი კიდევაც, მაგრამ არც ამ თამაშში გამოიღო რაიმე შედეგი. კინაღამ ავტირდი და ისღა ვიღონე, რომ დედაჩემის კალთას მივაშურე და წიგნები მუხლებზე დავულაგე. დედამ თვალი მოაშორა საკერაეს: „რა წაგიკითხო, საყვარელო? ფერიების ამბავი?“. უნდობლად ვკითხე: „ხანა ფერიები შიგ არიან?“ ეს ამბავი კარგად ვიცოდი: დედა მას ხშირად მიაშობდა დილაობით, როცა პირს მბანდა, თან წამდარეწმე წყვეტდა ამბავს, ხან იმიტომ, რომ ოდესაღონით ზეღვას მიწყებდა, ხან ხელიდან საპონი გაუსხლტებოდა და პირსაბანქვეშ ეძებდა, მე-კი უყურადღებოდ ვესმენდი ამ, ჩემთვის ცნობილ, ამბავს და ყოველ დილას ვხედავდი მხოლოდ ან-მარის, ჩემ ნორჩ მეგობარს, მესმოდა მხოლოდ მისი გაუ-

ბედავი ხმა, ხმა მორიდებულ მიახლოებას. მე მომწონდა როგორც ამბავს: „შუა სიტყვაზე ზმეტყველებს“ შემბრძივებოდა, მერე უეცრად გულდაჭერებით დაიწყებდა თხრობას, ისევ დაიბნეოდა და დაკარგავდა თხრობის ძაღს, და მერე მცირე შესვენების შემდეგ ისევ ნარნარად განაგრძობდა ამბავს. თვით ზღაპარი რაღაც დამატებასავით იყო: იგი მხოლოდ აერთიანებდა ამ სიტყვებს. მთელ ამ დროს, სანამ ან-მარი მიაშობდა, ჩვენ ფარულად განმარტობულნი ვიყავით, ვიყავით შორს ადამიანებისა. ღმერთებისა და ხუცებისაგან, ტყეს შეფარებული ორი შველი. სხვა შველებსა და ფერიებს შორის. ძნელი იყო იმის დაჭერება, რომ ვილაყამ მთელი წიგნი შეთხზა, რათა შიგ მოეთავსებინა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ამბები, რომელსაც საშინსა და ოდესკალონის სუნი ასდიოდა.

ან-მარიმ წინ დამსჯა ჩემს პატარა სკამზე; დაიხარა ჩემსკენ, თვალეები დახუჭა და გატვინდა. ეს ქანდაცება უცებ ალაპარაკდა ხელოვნური ხმით. მე დავიბენი: ვინ ყვებოდა? რას ან ვის უყვებოდა? დედაჩემი სადღაც ჰქრებოდა: არც ღიმილი ეტყობოდა, არც რაიმე ნიშანი თანაგრძნობისა, მე მისთვის აღარ ვარსებობდი. თანაც, ვერც მის ლაპარაკს ვცნობდი. საიდან გამონახა ეს დამაჭერებლობა? მაგრამ იმავე წუთს მივხვდი: ეს ხომ წიგნი ლაპარაკობს. მისგან წარმოსდგებოდა ეს წინადადებები, რომლებიც შიშს მგერიდნენ: ნამდვილი ცხრაფეხებივით მიცოცავდნენ და დახტოდნენ მარცვლები და ბგერები, გრძლად ეღერდნენ დიფტონგები, ორმაგი თანხმოვნები რეკდენ და ხმინობდნენ; ამღერებულნი და ხმოვანი, ხან პაუზებითა და ამოხვრით იკვეთებოდნენ; ავსებულნი იყვნენ უცხო სიტყვებით; ძინი თვით ტკებოდნენ თავისით. მათ ატვობდა საკუთარი ქლერა და სულაც არ მაქცევდნენ ურალღებას: ხანდახან ჰქრებოდნენ მანამდე სანამ მე რაიმეს ვავიგებდი, ხან კი ჩემთვის უკვე ყველაფერი ცხადი იყო, ისინი კი კვლავ

ამაყად მოედინებოდნენ დასასრულისაკენ და ერთ მიმხედველს კი არა სთმობდნენ ჩემი გულისთვის, ექვს გარეშე იყო, რომ ეს სიტყვები ჩემთვის არ იყო განკუთვნილი. თვითონ ზღაპარიც გამოპარაჲსულიყო: შეშის მჭრელი, მისი ცოლი და ქალიშვილები, ფერია, ყველა ეს, ჩვენსავით უბრალო ადამიანები, გადიდაცდნენ: მათი დაკონიკილი ტანსაცმელი მაღალფარდოვნად იყო აღწერილი, სიტყვების ელფერი სხვა ფერებს ანიჭებდა საგნებს, უბრალო საქციელს — რიტუალად აქცევდა, ხოლო რაიმე შემთხვევას — ცერემონიად. ვილაცამ შეკითხვა დაიწყო: პაპა ჩემის გამოცემელმა ხელი ვაიწაფა სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენაში და რაკი შემთხვევა მიეცა, არ გამოსტოვებდა და თავის ნორჩ მკითხველებს ჭკუის სავარჯიშოს აძლევდა. მეჩვენებოდა თითქოს ბავშვს ეკითხებოდნენ: რას ვააყეთებდი შეშის მჭრელი რომ ყოფილიყავი? ამ თარ დაში, რომელი უფრო მოგწონს? რატომ? სამართლიანად დაისაჯა ბაბუტა, თუ არა? მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, ეს ბავშვი მე ვარ თუ სხვა ვინმე და ამიტომ, პასუხის გაცემისა შეშინოდა. ბოლოს მაინც ვუპასუხე, მაგრამ ჩემი სუსტი ხმა მიჩუმდა და მომჩვენა თითქოს უკვე სხვა ვარ. ან-მარიც სხვა არის, ვილაც ბრმა მისანი: მელანდებოდა, თითქოს ყველა დედის შვილად ვიქეც, ხოლო ან-მარი ყველა შვილის დედა გახდა. კითხვა რომ გაათავა, სწრაფად ხელიდან გამოვტაცე წიგნი, ილიის ქვეშ ამოვიჩარე და გავაქცუნე ისე, რომ მაღლობაც არ მიტყვია.

თანდათან ის წუთი, როდესაც თითქოს ამომრთველის ტყაცუნი გამომთიშავდა გარემოდან, სანატრელი გახდა: მორის ბუშორის გულისყური ბავშვებისაკენ იყო მიმართული, ისეთივე უნივერსალური თავაზიანობით, როგორსაც დიდი მაღაზიების ნოქრები იჩენენ ხოლმე მკიდველებთან; ეს ამბებდა ჩემს თავმოყვარეობას. იმპროვიზირებულ ზღაპრებს ახლა ადრევე შეთხზული ზღაპრე-

ბი მერჩია; სიტყვების ზუსტ თანამიმდევრობას გემო გაუგე: ყოველწინებისას მეორდებოდა ისტყინისიტყვებს და ისევე იმ თანამიმდევრობით: მე მათველოდი. ან-მარის ზღაპრებში გმირები ისევე, როგორც თითონ ან-მარი საალაბედოდ იყვნენ მიტოვებული. ახლა მათ თავისი ბედი ჰქონდათ განკუთვნილი. მე მესას ვესწრებოდი: სახელებისა და მოვლენების მარადიული მიმოქცევის მოწმე ვხდებოდი.

მე მშურდა დედაჩემისა და მისი როლის წართმევა გადავწყვიტე. დავეპატრონე წიგნს „ჩინელის ავბედითი თავგადასავალი ჩინეთში“, წავიღე საექუნაოში, მოვთავსდი გასაშლელ საწოლზე და წარმოვიდგინე ვითომ გკითხულობთ: თვალს ვაყოლებდი შავ სტრიქონებს, ისე რომ ერთსაც არ ვტოვებდი და ვუყვებოდი ჩემ თავს რომელიღაც ზღაპარს, ხმაშლლა და ყველა მარცვლის მკაფიოდ გამოთქმით. მომისწრეს — ან მე თითონ მოვაწყე ისე, რომ მოესწროთ, — დაიწყო. მოთქმა და გადაწყდა, რომ უკვე დროა ანბანი დამაწყებინონ. კათაკველივით ბეჯითი ვიყავი, საქმე იქამდე მივიდა, რომ თვითონვე ვაძლევდი ჩემ თავს კერძო გაცვეთილებს: მოკვიდებდი ხელს ჰექტორ მალოს წიგნს „უსახლკაროს“, რომელიც ზეპირად ვიცოდი, დავჯდებოდი გასაშლელ საწოლზე და ნახევრად ზეპირად, ნახევრად მარცვალ-მარცვალ კითხვით, გვერდი არ გამომიტოვებია ისე გავიარე: უკანასკნელი რომ გადავშალე, უკვე კითხვა ვიცოდი.

სიხარულმა თავბრუ დამასხა: ახლა ჩემია ეს გამშრალი ხმები, ამ პატარა პერბარიუმებში რომ იყვნენ დაცული, პაპაჩემი ერთი შეხედვით რომ აცოცხლებდა, ყურს რომ უგდებდა მათ და მუკი არ მესმოდა! ახლა მოვუსმენ მათ. ვეზიარები მღვდელმსახურების ენას, ყველაფერი მეცოდინება. ბიბლიოთეკაში წანწალს აღარ მისილდნენ და მეც კაცობრიობის სიბრძნის იეროშზე ვადავედი. შემდგომში ასკერ გამიგია ანტი-სემიტების საყვედური უმრავლესობის

მიმართ, რომ მათთვის უცხო და გაუგებარია ბუნების გაკვეთილები და მისი დუმილი. ამაზე ვუპასუხებდი: „თუ ასეა, მაშინ მე ებრაელებზე უფრო ებრაელი ვარ“. სოფელში გატარებული მზიარული ბავშვობის ტკილ მოგონებებს ამაოდ დავუწყებდი ძებნას ჩემს წარსულში. მიწა არ მიბარავს და არც ბუდეები მომიწვია, ყვაილები არ მიკრეფია და ჩიტებისათვის ქვა არ მიღვრია. წიგნი იყო ჩემი ჩიტიცა და ბუდეც, ჩემი შინაური ცხოველი, საჯინიზო და სოფელი. ბიბლიოთეკა იყო სარკვეში ასახული სამყარო. იგი უსასრულოდ ყოვლისშემცველი, მრავალფეროვანი და მოულოდნელობით აღსავსე იყო. საშინელ ამბებს ჩავდიოდი: დავძვრებოდი სკამებსა და მაგიდებზე ისე, რომ შემძლო წიგნები ჩამომეშვავებინა და მოვყოლოდი ამ შუაღმის. ზედა თაროების წიგნები დიდხანს მიუწვდომელი იყვნენ ჩემთვის; ზოგის გადაფურცვასაც ვერ მოვასწრებდი, ხელიდან რომ გამოიტაცებდნენ; ისეთებიც იყო, თითონ რომ მემალებოდნენ. დავიწყებდი მათ კითხვას, მეგონა, თითქოს თავის ადგილზე დავდე, მაგრამ კვირასე გავიდოდა, რომ ვეღარ მივაგნებდი. საზარელ რამეს შევხვდებოდი ხოლმე: ვშლი ალბომს, ვხვდები ფერად ჩანართს, ჩემ წინ საზოგადოებრივი და ცოცხალი. ხალიჩაზე ვწევარ და უშედეგოდ ვმოგზაურობ ფონტანელის, არისტოფანესა და რაბლეს ფურცლებზე. წინადადებები ნიეთიერ წინააღმდეგობას მიწევნენ. მიხდება მათი ყოველმხრიდან შემოვლა და მოსინჯვა, ვარშემო ტრიალი, მოჩვენებითად განზე გადაგომა, თითქოს უკვე თავს ვანებებ და მივდივარ და უცებ შემობრუნება, რომ მოულოდნელად მოვიხელთო; მაგრამ უფრო ხშირად. ისინი მაინც არ გასცემდნენ ხოლმე თავის საიდუმლოს. მე ლაპერუზი, მაგელანი და ვასკო დე გამა ვიყავი. ტერენციუსის ალექსანდრიული ლექსით თარგმნილ თხზულებებში მე აღმოვაჩინე „პოტონტიმორუმენოსთა“ უცნაური ტომები, „იდიოსინკრა-

ზია“, შედარებით ლიტერატურულად ნეობის თხზულებაში: „მარტინუსი უჭინაზში“, „პარანგონი“ და „მოსინკრა“ შორეული და საიდუმლო კაფრები გამომჩნდებოდნენ ხოლმე ახლად გადაშლილ გერარდზე და უცებ გაუგებარს ნდიდნენ მთელ თავს. ამ ძნელი და ბნელი სიტყვების მნიშვნელობა ათი თუ თხუთმეტი წლით გვიან გავიგე, მაგრამ დღესაც, მათი აზრი ჩემთვის ბუნდოვანია: ეს ჩემი მეხსიერების პლუსია.

ბიბლიოთეკა უმთავრესად დიდი ფრანგი და გერმანელი კლასიკოსების წიგნებისგან შედგებოდა. აქ იყო აგრეთვე გრამატიკები, რამდენიმე ცნობილი რომანი, მოაქანის „რჩეული მოთხოვნები“ თხზულებები ხელოვნების შესახებ — წიგნები რუბენსზე, ვან დეიკზე, დიურერზე და რემბრანდტზე, საახალწლოდ რომ უძღვნეს პაპაჩემს მისმა მოწაფეებმა. მწირო სამყარო იყო. მაგრამ ლარუსის დიდი ლექსიკონი ყველაფრის მაგვირობას მიწევდა: მაგიდის უკან რომ თარო იყო, იქედან საალაბედოთ ავიღებდი ერთერთ ტომს: ანიდან — ბელომდე, ბელოციდან — გამამდე, მელედან — პრემდე ან ტროდან — უნამდე (მარცვლების ეს შეხამება ჩემთვის საკუთარ სახელებად იქცა, რომლებიც ადამიანის ცოდნის გარკვეულ დარგებს აღნიშნავდნენ: აქ იყო უნივერსალური ცოდნის რაიონი ვან-დაბა ან ვან-პუს რაიონი, რომელთაც საკუთარი ფლორა, საკუთარი ფაუნა, თავისი ქალაქები, თავისი სახელოვანი ადამიანები და ცნობილი ბრძოლები გააჩნდათ); გაჭირვებით ჩამოვიღებდი მორიგ ტომს, დავასვენებდი პაპაჩემის საქალაქზე, გადავშლიდი და გავეშურებოდი ნამდვილ ფრინველთა სამეზენელად, ნამდვილ პეპლების მოსაპოვებლად, რომლებიც ცოცხალ ყვავილებზე დანაყარდობდნენ. აქ, წიგნის ფურცლებზე, ადამიანები და ცხოველები ნამდვილად არსებობდნენ. გრავირები მათი სისხლი და ხორცი იყო, ტექსტი მათი სული, მათი განუმეორებელი არსი; ხოლო კედლების იქით მხო-

ლოდ უფერული ასლები დაბოგინობდნენ, რომლებიც მეტ-ნაკლებად თუ წააგედნენ თავის დედანს, მაგრამ არასდროს არ იყვნენ მასავით სრულყოფილი: ზოოლოგიურ პარკში მამიშენები გაცილებით ნაკლებად გვანდნენ მამიშენებს, ზოლო ლუქსემბურგის ბაღში მოსიერნე აღამიანებში ნაკლები აღამიანერობა იყო. თანდაყოლილი მქონდა პლატონიკობა და ამიტომ შემეცნებიდან საგნისკენ მივდიოდი; იდეა თვით საგანზე უფრო მატერიალურად მეჩვენებოდა; რადგან ჯერ იდეა მეძლეოდა და თანაც, მეძლეოდა როგორც საგანი. სამყარო პირველად წიგნებში გავიცანი: იგი ათვისებული, დახარისხებული ეტიკეტებადკრული. გააზრებული, მაგრამ ჯერ კიდევ საშინელი იყო და ჩემი მოუწესრიგებელი მწიგნობრული გამოცდილება ნამდვილი ამბების მსვლელობის შემთხვევითობაში მერეოდა. აქედან წარმოსდგა ის იდეალიზმი, რომლისგან თავის დაღწევას ოცდაათი წელი მოვანდომე.

ყოველდღიური ცხოვრება ნათელი და გასაგები იყო: ურთიერთობა გვექონდა დარბაისელ აღამიანებთან, რომლებიც გარკვევით და ხმაილდა ლაპარაკობდნენ, მათი დაუქვევებელი მსჯელობა საღ პრინციპებს და ხალხურ სიბრძნეს ემყარებოდა; მათ ავმყოფილებდა ანბანური ჭეშმარიტება, რომელსაც ხანდახან თუ დაღვარქნიდნენ ხოლმე, რაიც უკვე დიდიხანა შეეჩვიე. მათი ანბანული განაჩენი დამაჯერებელი იყო ჩემთვის თავისი აშკარა და იაფფასიანი უცილობლობით. თავისი საქციელის დასასაბუთებლად ისინი მიმართავდნენ იმდენად მომამბზრებელ საბუთებს, რომ მათი სიმართლე უეჭველი ხდებოდა; მათი სულიერი ქენჯნა, მათი მოწყალე თვალთ დანახული, იმდენად არ მაკრთობდა, რამდენადც ჭეშმარიტ გზას მიმითითებდა: ეს ხომ მოჭორილი კონფლიქტები იყო, წინასწარვე უკვე გადაწყვეტილი, თანაც ყოველთვის ერთი და იგივე; თუკი ისინი ცნობდნენ თავის დანაშაულს, ეს შეცო-

დებდა არც თუ ისეთი სამძიმო იყო: გამქარდნენ, სამართლიანმა, მაგრამ, რააკვირველია, გადაჭარბებულმა, რასხვამთვალი დაუბნელათ, მაგრამ სახეუქრუქუქროდ დროზე გონს მოვიდნენ: ყოველთვის მზად იყვნენ შეენდოთ იქ არ მყოფთათვის მათი მეტად მძიმე დანაშაული: ჩვენ სახლში არ ჭორიკანობდნენ, მხოლოდ სინანულით აღნიშნავდნენ აღამიანის ნაკლს. მე ვუსმენდი, მესმოდა და თანავუგვრძობდი; ეს ლაპარაკი მამშვიდებდა, მისი დანიშნულებაც ხომ ეს იყო: დავერწმუნებინე, რომ უსაშველო რამ არ არსებობს; სინამდვილეში ყოველივე უცქელელია და ზერელე ამაოებამ არ უნდა დაგვიხშოს თვალი ჩვენი ხვედრის სავალალო გარდაუვალობის დასანახად.

სტუმრები მიდიოდნენ, მარტო ვრჩებოდი, ვტოვებდი ამ უხამს სასაფლაოს და წიგნებში ვხედებოდი განუსჯელსა და ნამდვილ ცხოვრებას. გადავშლიდი რომელიმე მათგანს და ჩემს წინ გადაიშლებოდა ხოლმე ის არააღამიანური, შეუხელებელი აზრი, რომლის გაქანება და სიღრმე ჩემი გონებისათვის მიუწვდომელი იყო, იგი იმდენად სწრაფად დახტოდა ერთი იდეიდან მეორეზე, რომ მე, გაბრუებულსა და გონება დაფანტულს, წიგნის თითო ვვერდზე ასჯერ მიცდებოდა ფეხი და ვკარგავდი დედა-აზრს. ჩემ თვალწინ ხდებოდა ამბები, რომელიც პაპანემს, უეჭველია, დაუჯერებლად მოეჩვენებოდა, მაგრამ მათ ნაწერის ექვმიტანელი საწმუნოება გააჩნდათ. მოქმედი პირები მოულოდნელად ჩნდებოდნენ, მათ ერთმანეთი უყვარდათ, ჩხუბობდნენ, ხოცავდნენ ერთმანეთს; გადარჩენილი დარდისაგან სნეულდებოდა და საფლავში მიყვებოდა თავის მეგობარს ან სატრფოს, რომელიც ეს ეს არის თვითონვე გამოასალმა წუთისოფელს. რა უნდა ვქნა? იქნება, უფროსების შემხედვარემ, მეც უნდა გავციკხო, მოვიწონო, გავაართლო? მაგრამ იმ ახირებულ ხალხს, თითქოს, არაფერი გაეგებოდა ჩვენი ზნეობისა და მათი გულისწადი-

ლი, თუ კი მას ახსენებდნენ, ჩემთვის გაუგებარი რჩებოდა. ბრუტუსი კლავს შვილს, ამასვე აკეთებს მატეო ფალკონეც. ასეთი მოქმედება საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, მაგრამ, რატომღაც ჩემს გარემოცვაში ასე არავინ არ მოქმედებდა. ერთხელ მეღონში, პაპა წაეჩხუბა ბიძაჩემ ემილს და მე ბაღიდან მესმოდა მათი ყვირილი. პაპა-ჩემს შვილის მოკვლა არ დაუპირებია. ნეტავ, პაპა-ჩემი შვილის მკვლელებზე რა აზრისაა? მე, თვითონ თავს ვიყავებდი: პირადად მე არავინ მერჩოდა, რადგან ობოლი ვიყავი და ეს საზეიმო ხოცვა-ყურება მართობდა კიდევაც, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მიხრობელი უწონებდა ამ საქციელს და ეს მაკრთობდა. გავბრაზდი და ძლივს შევიძაგრე თავი, რომ არ მიმეფუთხებია გრავიურისათვის, რომელზედაც გამოხატულია მუზარადიანი ჰორაციუსი, ხმალომწვდილი რომ მისდევს უბედურ კამილას. ხანდახან კარლი წაიმღერებდა:

და-ძმობაზე უფრო მყარი
ნათესავობა არ არის...

ეს მასწუხებდა: ბედად და რომ მყოლოდა, ნუთუ იგი ჩემთვის ან-მარჩიზე უფრო ახლობელი იქნებოდა? ან კარლემამიზე უფრო ახლობელი? მაშ, იგი ჩემი შეყვარებული იქნებოდა. „შეყვარებული“ მხოლოდ ბუნდოვანი სიტყვა იყო, რომელსაც ხშირად ვხვდებოდი კორნეის ტრაგედიაში. შეყვარებულნი ბევრნი-კოცნაში არიან და ლოგინში ერთად დაძინებანს აღუთქვამენ ერთმანეთს (უცნაური აზრებია: მითომ რა მოხდებია, მეზობლად დადგმულ საწოლებში რომ დაწვნენ ისე, როგორც მე და დედაჩემს გვიძინავს?). ამის მეტი არაფერი არ ვიცი. მაგრამ ცნების ბრწყინვალე გარსს ქვეშ რაღაცა ბნელი და ბანჯგლიანი მელანდებოდა. და რომ მყოლოდა, სისხლადრევითი ზრახვები არ ამცდებოდა. ამაზე ვოცნებობდი. რა იყო ეს, რაიმე მანკი თუ აკრძალული გრძნობების დაფარვის სურვილი? ასე

იქნებოდა. მე მყავდა უფროსი ძმა — დედაჩემი, მინდოდა მყოლოდა. დღესაც — 1963 წლისათვის — ყველა ნათესაური კავშირების მხოლოდ და-ძმის ნათესაობა მალეღვევს. დიდი წინდაუხედაობა იყო, რომ მრავალჯერ ვცდილვარ ის, ჩემი არარსებული და, მეპოვნა ქალთა შორის: სარჩელზე უარი შეთქვა და სასამართლოს ხარჯვბიე მე დამეკისრა. მიუხედავად ამისა, ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემში ისევ იღვიძებს კლავინდებური რისხვა კამილას მკვლელის მიმართ, ისეთი ჩატკრობელი, ცხოველი რისხვა, რომ ჰორაციუსის დანაშაული ჩემი ანტიმილიტარიზმის ერთერთ წყაროდ მიმაჩნია: სამხედროები კლავენ თავის დებს, რომ შემეძლოს დედას ვუტირებდი ამ ხებრეს! კედელთან მიაგდეთ! თორმეტი ტყვია დასცხეთ! დიკრილით! ვფურცლავ გვერდს; სასტამბო ნიშნები მიმტკიცებენ, რომ მართალი არა ვარ: დის მკვლელი უნდა ვავამართლოთ. რამდენიმე წუთის განმავლობაში გულს ვასკდები, მიწაზე ფეხს ვურტყამ გამძენივარებული ხარვიით. მაგრამ ფერფლი ეყრება და აცხრობს ჩემს მრისხანებას. ასე ყოფილა და რას ვიზამდი, უნდა დამეცხრო გული: მეტად ახალგაზრდა ვიყავი და ყოველივე უკუღმართად გამიგია. ამ გამართლების

1. ათის წლისა ვიქნებოდი, როდესაც „ტრანსატლანტიკური ამბების“ კითხვით ვტკებოდი: იქ ფრიად უმანკო პატარა ამერიკელისა და მისი დის თევდადსავალია მოთხრობილი. მე ამ პატარა ბიჭვ გადავქეცელი ბოლო და ამგვარად მიუფარდა პატარა გოგონა, ბიდი, დიდხანს ვოცნებობდი ორი გზადეკარგული და სისხლის აღრვისაკენ ოდნე მდრეკილი ბავშვის ამბავი დამეწერა. ჩემს ნაწერებს ამ აბარების ამბავი იტყვია: ორესტი და ელფებრა „ბუზებში“, ბორისი და ივანი „თავისუფლების გზებში“, ფრანკო და-ლენი „ალტონის პატარებში“, საქმეზე მხოლოდ ეს ბოლო წყვილი გადადის. ნათესავთა ამ დამოკიდებულებაში, იმდენად სიყვარულის ცოფენება არ მიზნავდა, რამდენადაც აკრძალული სიყვარული: ცეცხლი და ყინული, ერთმანეთში გათქვეფილი ნეტარება და გრძნობათა განქარვება, სისხლის აღრევა-კი მხოლოდ პლატონური მიმწინადა.

საჭიროება გარდუვალად იყო დასაბუთებული ალექსანდრიული ლექსის მრავალრიცხოვან ტაბეში, რომელთა აზრი ჩემთვის შეუცნობელი დარჩა ან გამოფტოვე, რადგან მოთმინება არ მეყო მათ წასაკითხად. მე მიუყვარდა ეს გაურკვეველობა და ის, რომ ამბავი წამდაუწყებელიდან მეცლებოდა: თითქოს რაღაცა უჩვეულოს განვიციდიდი. ორჯერ ვადავიკითხე „მადამ ბოვარის“ უკანასკნელი გვერდები; ბოლოს ზებირაღ დავისწავლე ისინი, მაგრამ, ბედკრული დაჭერივებული მამაკაცის საქციელი მაინც გაუგებარი დამრჩა; წერილები. იპოვნა, მაგრამ ამის გამო წერის მოშვება რაში დასჭირდა? იგი პირქუშად გადახედავს ხოლმე რუდოლფს, მაშ ნაწყენია მასზე, მაგრამ რის გულსათვის? და რატომ ეუბნება მას: „მე აღარა ვარ თქვენზე ნაწყენი“. რატომ ეჩვენებოდა იგი რუდოლფს „სასაცილო და ოდნავ საზიზღარიც-კი“ მერე შარლ ბოვარი კვდებოდა. რა კლავს: დარდი? ავადმყოფობა? და რატომ გაკვეთავს მას ექიმი. თუკი ყოველივე უკვე გათავდა? მე მომწონდა ეს შეუბოვარი წინააღმდეგობა, რომლის გადალახვა საბოლოოდ მაინც ვერ შეეძლო: მოტყუებულმა და ილაჯაწყვეტილმა ვიგემფ გაუგებლად გაგების მშფოთვარე სიტუბოება: ეს იყო ყოფიერების სიზრქე; ადამიანის გული, რომლის გამო პაპაჩემი ასე ხალისიანად მსჯელობდა შინაურებში, ყოველთვის ფუჟე და მტანარად მეჩვენებოდა. ყველგან, გარდა წიგნებისა. უცნაური სახელები გუნებას მიშლიდნენ, გაუგებარ შიშსა და სევდას მგვრიდნენ: ვიტყვოდი „შარბოვარი“ და სადღაც — არსად, მელანდებოდა ჩამოფლეთილი აყლაყულა წვეროსანი, რომელიც რაღაც მოლობილში დაეხეტებოდა: ძნელი იყო ამის გაძლება. ამ ჩემ მტანჯველ სიტუბოებას ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო და ერთმანეთში არეული შიში ძაზრდობდა; მეშინოდა, რომ თავდავიწყებით გადავყარდები ამ საარაკო სამყაროში და იქ, პორაციუსსა და შარბოვარისთან ერთად

თად ვიხეტიალებ იმედგაცრუებული, რომ ვიპოვნი ლე გოფის უცნაურ, ეჩინემა მისთან და დედასთან უკან დასაბრუნებელ გზას. თანაც, მეჩინე მისი, ვხედებოდი, რომ მწიგნობარული სიტყვების ვალა უფროს მკითხველთათვის აღვსილია აზრით, რომელიც ჩემთვის გაუგებარი რჩება. ვაცქერდებოდი და თავში ვიქედავდი ამ შხამიან სიტყვებს, რომლებსაც გაცილებით მეტი შინაარსი ჰქონდათ, ვიდრე მე წარმომედგინა; უცხო ძალა, სიტყვებით რომ ხატავდა ამ დამთხვეულთა ამბებს, რომელთაც ჩემთან არაფერი საერთო არ ჰონდათ, ჩემში ჰხადებდა ცხოვრების გაპარტახების მტანჯველ დარღს: მეც ხომ არ შემეყრება და არ მომკლავს ეს სენი? ვშთანთქავდი-რა ზმნას, რომელიც თვით იყო შთანთქმული სახეთა მიერ, მე გადავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ ის ორი ხიფათი, რომელიც ერთდროულად შემუქრებოდა, შეუთავსებელი იყო. დღე რომ მიილეოდა, როდესაც სიტყვების ჭუნგლებში გზაბნეულს, ყოველი შრიალი მაკრთობდა და იატაკის კრაქუნთი ვიღაცის კვიღად მეჩვენებოდა, მე მეგონა, რომ სააშკარაოზე გამომქონდა ენის პირველქმნილი ბუნება, როგორიც იგი იყო ჯერ კიდევ ადამიანამდე. როგორ ლაჩრულად მომეფონებოდა ხოლმე გულს და როგორი გულგატეხილი ვუბრუნდებოდი ოჯახის ყოველდღიურ ყოფას, როდესაც შემოდიოდა დედა, ჩართავდა სინათლეს და წამოიძახებდა „თვალებს გაიფუქებ, ჩემო საწყალო ბიჭუნა“. დაფეთებული წამოვიტრებოდი, ვყვიროდი, დავრბოდი, ვიძმანებოდი. მაგრამ ბავშვობაში დაბრუნებულს, მე მაინც მაწვალებდა ფიჭრი: რას მოგვითბობენ წიგნები? ვინ სწერს ამ წიგნებს? რისთვის სწერს? მე გამოვტყვდი პაპაჩემს იმის შესახებ თუ რა მქეჩნიდა. მან მცირეოდენ განსჯის შემდეგ, გადაწყვიტა რომ დადგა ჩემი განათლების დრო და ისე გულმოდგინედ შეუდგა ამ საქმეს, რომ სამუდამო დადი დამასვა.

აღრე პაპა ხშირად შემისვამდა ხოლ-

მე მუხლზე, მახტუნებდა და მღეროდა: „აჲ, აჲ, ცხენო, საით გავაქენო“, მე-კი ვიქაქებოდი სიცილისაგან. ახლა, პაპა აღარ მიმღეროდა: დამისვა მუხლებზე და ჩამხედა თვალების სიღრმეში. მე აღამიანი ვარ, წარმოსთქვა მან მჭევრმეტყველის ხმით, „მე აღამიანი ვარ და არაფერი აღამიანური ჩემთვის უცხო არ არის“. იგი მეტად აჭარბებდა: თუ პლატონი განდევნიდა პოეტებს, კარლი აგდებდა თავის რესპუბლიკიდან ინჟინრებს, ვაჭრებს და იქნებ, ოფიცრებსაც. ფაბრიკები, მისი აზრით, პეიზაჟს ბილწავდნენ; წმინდა მეცნიერებაში მას მხოლოდ სიწმინდე მოსწონდა. გერინიში, სადაც ჩვეულებრივ, ივლისის მეორე ნახევარს ვატარებდით, ბიძაჩემმა ყორემა სამსხმელო ქარხნის დასათვალიერებლად დაგვაპატიჟა: იქ ცხელოდა; უხეში, ცუდად ჩაცმული აღამიანები, გვეჯახებოდნენ; გამაყრუებელ ხმაურისაგან რეტდასხმული, შიშისა და მოწყენილობისაგან ვილეოდი, პაპაჩემმა სადნობი ლუმელი რომ ნახა, გაკვირვების ნიშნად დაუსტვინა, მხოლოდ თავაზიანობის გამო, მაგრამ უგრძობლად იყურებოდა. თვალეში სიციცხლე არ ჩასდგომია. სამაგიეროდ, ავვისტოში, ნივერნში რომ ვიყავით, იგი დაძრწოდა სოფელ-სოფელ, გაინაბებოდა რომელიმე ძველ გალავანთან, თავისი ჯოხის წვერით აგურებს დაუკაკუნებდა და აღფრთოვანებით მეტყვოდა: „ამას რომ უყურებ, ჩემო პატარა, გალო-რომანული კედელია“. მიუხედავად პაპისტები-სადმი სიძულვილისა პაპა საეკლესიო არქიტექტურის მოყვარულიც იყო, ეკლესიას გვერდს ვერ უხევედა, თუ გოთური იყო, შიგ შეიხედავდა, თუ რომანული, გუნებას გააჩნია. კონცერტებზე აღარ დადიოდა. მაგრამ თავის დროზე ერთსაც არ გამოტოვებდა: უყვარდა ბეთპოვენი, მისი საზეიმო განწყობილება, დიდი ორკესტრები; ბახიც უყვარდა, მაგრამ ნაკლებად. ხანდახან პიანინოსთან მივიდოდა და დაუჯდომლად, გახევებული თითებით, რამდენიმე აკორდს დაუკრავდა: ბებიაჩემი შეკავე-

ბული ღიმილით ამბობდა: „განსაკუთრებით-კი ყორე — საკმაოდ უკრავდნენ; ვერ იტანდნენ და ყველაფერს კამერული მუსიკა ერჩიათ; მაგრამ შეხედულებათა ასეთი სხვადასხვაობა პაპაჩემს სულაც არ სწყინდა; იგი კეთილი გამომეტყველებით ამბობდა: „ყველა შევიცერს მუსიკოსის ნიჭი აქვს თანდაყოლილი“. რვა დღის დაბადებული ვიყავი, როდესაც მოჩვენათ თითქოს კოვზის წყარუნმა გამახარა და პაპაჩემმა გამოაცხადა, რომ მე კარგი სმენა მაქვს.

ვიტრაჟები, არკატურანები, ქანდაკებებით შემკული კარიბჭეები, საგალობლები, ხესა და ქვაში ნაკვეთი ჯვარცმები, ტუბილხმიანი ლექსთაწყობა და პოეტური პარამონია: ყოველივე ამ აღამიანურის გზა პირდაპირ ღვთაებისაკენ მიდიოდა. თანაც მას ბუნების მწვენიერებაც ემატებოდა. ღვთაებრივი ქმნილებანიცა და აღამიანის დიდი შემონაქმედიც ერთმა და იგივე შთაგონებამ შეჰქმნა; ერთი ცისარტყელა ბრწყინავდა ჩანჩქერების შეხებზე, გამოკრთოდა ფლობერის სტრიქონებიდან, ციმციმებდა რემბრანტის შექარდილუმში: მას სული ერჭვა. სული აუწყებდა ღმერთს აღამიანების შესახებ, აღამიანებს ღმერთის არსებობას უმოწმებდა. პაპაჩემისათვის სილამაზე ქეშმარიტების ხორციელი გამოსახულება იყო და წყარო უზენაესი ზეშთაგონებისა. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში — როდესაც მთაში ქარიშხალი მიძინვარებს, როდესაც ვიქტორ ჰიუგოს შთაგონება მოეფინება — შეიძლება მიღწეულ იქნას ის უმაღლესი მწვერვალი, სადაც ქეშმარიტება, სილამაზე და სიკეთე შეირწყმება.

მე ვპოვე რწმენა: მეგონა არაფერი იყო ამ ქვეყნად წიგნზე უფრო მნიშვნელოვანი. ბიბლიოთეკა ტაძრად იქცა. ღვთის მსახურის შვილიშვილი მსოფლიოს მსახურავზე, მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდი, შემომჯდარი ვიყავი ზეცხოველის ყველაზე მაღალ ქანდაკარზე:

ლიტერატურის შახტი ამ ხის ტანში იყო გაყვანილი. დავხეტიალობდი, გავიდოდი აივანზე, ზევიდან დავხედავდი გამვლულ-გამომვლულებს, მოაჯირში თავს გაეყოფდი და მივესალმებოდი ჩემ მეზობელ ტოლ გოგონას, ლესეკ მოროს, რომელსაც ჩემსავით ჭერა კულულები ჰქონდა და ჩემსავით ქალურად ნაზი იყო, მერე ისევ ვბრუნდებოდი ჩემს ცელაში თუ პრონაოსში, თუმცა სინამდვილეში მე ისინი არასოდეს მიმიტოვებია: როდესაც დედას ლიუქსემბურგის ბაღში დავყავდი ე. ი. ყოველდღე, ეს უგვანო გარემო მხოლოდ ჩემ ნაჭუქს ხედავდა, ჩემი დიდებული სახელო-კი თავის ქანდაკაზე რჩებოდა. ასე მგონია, რომ იგი ახლაც იქ არის. ყოველ ადამიანს თავისი ბუნებრივი ადგილი აქვს მინიჭებული; არც მედიდურება და არც ღირსება არ განსაზღვრავს ამ ადგილის სიმაღლეს; არამედ მხოლოდ ბავშვობა. ჩემთვის დადგენილი იყო პარიზის სახლის მეშვიდე სართული, საიდანაც სახურავები ჩანდა. დიდი ხნის განმავლობაში, ხეობაში ყოფნისას ვიხუთებოდი, ბარი მთრგუნავდა: გული მიწვრილდებოდა, თითქოს მარსზე ვიყავი და სიმძიმის ძალა მაწევებოდა; მაგრამ საკმარისი იყო რაიმე ბორცვზე აესულიყავ, რომ სისარული მეუფლებოდა: მე ვუბრუნდებოდი ჩემ სიმბოლურ მეშვიდე სართულს და შევისუნთქავდი კახულსიტყვაობის გაუხშობებულ, საღ ჰაერს. ჩემ ფეხქვეშ მსოფლიო ოროკოვებდ იყო განლაგებული და ყველა საგანი მორჩილად თხოვლობდა სახელის მინიჭებას, სახელის დარქმევა-კი საგნის შექმნაცა და მისი დაუფლებაც იყო. ამ ძირითადი ილუზიის გარეშე მე ვერაფრის დიდებით ვერ დავიწყებდი წერას.

დღეს, 1963 წლის აპრილის 22-ს, მე ვასწორებ ამ ხელნაწერს ახალი სახლის მეთერთმეტე სართულზე; ღია ფანჯრიდან ვხედავ სასაფლაოს, პარიზს, სენ-კლუს ცისფერ ბორცვებს. შეიძლება ითქვას, რომ გამოუსწორებელი ვარ. მაგრამ, ყოველივემ ფერი იცვალა. ბავშვობაში, რომ ამ სიმაღლემდე აზვიებდას

ვცდილიყავი, შეიძლება ჩემი სიუცარული სამტრედებებისადმი, პატრემენტებისადა, თავმომწონებოდა და მათთან ნისათვის სამავიეროს ანაზღაურების სურვილად ჩათვალათ. მაგრამ, არც ესაა; ეს იმ წმინდა ხეზე აბრომის ამბავი არ იყო, რადგან უკვე ზედ ვიყავი, და არც ვაპირებდი ჩამოსვლას; არც ადამიანებზე მაღლა აზვიებდას ვაპირებდი: მე მხოლოდ მსურდა ეთერში მეფრინა, საგნების ჰაეროვან ლანდთა შორის. მოგვიანებით, მე არა მარტო არ მივისწრაფოდი ჰაერში ფრენისაყენ, არამედ პირიქით, გულმოდგინეთ ვცდილობდი დაბლა დაშვებას: საჭირო გახდა ტყვიის ძირებიანი ფეხსაცმლის ჩაცმა. ხანდახან, ბედი გამილიმებდა და წმინდა სილაზე ზღვის მკვიდრთა ისეთ სახეობას შევეხებოდი, რომლისთვისაც სახელი მე უნდა შემერქვა. მაგრამ უფრო ხშირად ამოდ ვშერებოდი: დაუძლეველი სიმსუბუქე ზედაპირზე მატოვტივებდა. ბოლოსდაბოლოს ჩემი სიმაღლისმზომი მოიშალა. ახლა ხან მფრინავი ვარ, ხან წყალში მყვინთავი; ხან ერთიცა და მეორეც, როგორც ჩვენი ჭილაგის ხალხს შეჰყვრის: ჰაერზე ცხოვრებას დაჩვეული ვეჩხირები ყოველივეში რაც ქვევით არის, თუმცა მაინცდამაინც წარმატების იმედი არა მაქვს.

ამაობაში, პაპაჩემს მაინც მოუნდა ეამბნა ჩემთვის მწერლების შესახებ. მიამბო ტაქტითა და აღტკინების გარეშე. ჩამომითვალა ამ ბრწყინვალე ადამიანთა სახელები; მარტო რომ დავრჩი უშეცდომოთ გავიზებირე ეს ნუსხა ჰესიოდედან — პოეგომდე, როგორ შემეშლებოდა, ისინი ხომ წმინდანები და წინასწარმეტყველნი იყვნენ. შარლ შვეიცერი ამბობდა, რომ ეთავყვანება მათ, მაგრამ ოდნავ შეჭირვებული იყო, რადგან მათი არსებობა საშუალებას არ აძლევდა ადამიანის ქმნილებანი უშუალოდ სული წმინდისათვის მიეკუთვნებინა. ამიტომ იყო რომ თავისთვის გულში იგი უპირატესობას ანონიშებს აკუთვნებდა, თავდაბალ სუროთმოდლებს, რომლებიც მორიდებით ეფარებოდნენ

მათ მიერ აგებულ ტაძრებს და ხალხური სიმღერების უამრავ ავტორებს. მას არ სძულდა შექსპირი, ვინაიდან მისი პიროვნება არ იყო დადგენილი, არც ჰომიროსი სძულდა, იმავე მიზეზით. ასევე, ზოგიერთი სხვაიც, ვისი არსებობაც ბოლომდე საარწმუნო არ იყო. მაგრამ მათ, ვინც არ მოიხურვა, ან ვერ შესძლო თავის ამქვეყნიური არსებობის კვალია წაშლა, იგი შეუძნლობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი მკვდრები იყვნენ. მაგრამ ყველა თავის თანამედროვეს ერთი მოსმით ამტყუნებდა, გარდა ანატოლ ფრანსისა და კურტელინისა, რომელიც საყოველთაო პატივისცემას შეიშნობდა, რაც მას მოხუცებულობის, კულტურის სიღამაზის და სათნოების ხარკად ეძლეოდა. ეს ლიტერატორი, უარს არ იყო სავსებით ბიბლიურად წარმოედგინა, თითქოს უზენაესმა აკურთხა მისი სახელი. სუფრაზე იგი ხანდახან ფიქრში წაყვიდოდა, რათა თვალი მოეველო მთელი თავისი ცხოვრებისათვის და ჯამი მოეყარა მისთვის: „შვილებო, ბედნიერია ის ვისაც არაფერი აქვს თავის სასაყვედურო“. სიფიცხე და მედიდურობა, ამპარტავნობა და მიდრეკილება ამაღლებულისაკენ ჰფარავდნენ მოშიშარ, გაუბედავ გონებას, რომელიც მისმა რელიგიამ, მისმა საუკუნემ და მისმა წრემ — უნივერსიტეტმა, უანდერძა. ამიტომ იყო, რომ თუმცა ამას არ ამტკავებდა, გუნებას უმღვრევდნენ მისი ბიბლიოთეკის წმინდა კერპები, ვიკინდარები და თაღლითები. რომელთა წიგნებს იგი, გულში, უხამსობად მიიჩნევდა. ამან მომატყუა: ამ ნაძალადეგ ენთუზიაზმში გამოისუვიოდა ზოლმე თავშეკავება, მე იგი მთავრის სისასტიკედ ჩავთვალე, მღვდლის წოდება მას მწერლებზე მაღლა აყენებდა. „როგორც გინდა განსაჯე, მარწმუნებდა კულტის მსახური, მაგრამ გენია მხოლოდ სესხია: რომ დაიმსახურო იგი, დიდი ტანჯვა უნდა გამოიარო, უდრტივგულად და უდრეკად გაუძლო განსაცდელს. ბოლოს, მოგესმება ხმა და მის კარნახით დასწერ“. რუსე-

თის პირველი რევოლუციისა და პირველ მსოფლიო ომის შემდეგ, ლარმეს სიკვდილიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, იმ ხანებში, როდესაც დანიელ დე ფონტანენმა აღმოაჩინა თავისთვის „მიწიერი საკვები“, XIX საუკუნის ადამიანი თავის შვილიშვილს უნერგავდა ლუი-ფილიპეს დროინდელ იდეებს. ამბობენ, სწორედ ამით აიხსნება გლეხების ჩამორჩენილობა: მამები მინდვრად გადიან სამუშაოდ, შვილებს-კი პაპებსა და ბებოების ამარა სტოვებენ. სტარტზე რომ გამოვედი ოთხმოცი წლის პანდიკაპი! მქონდა. ახლა, ეს ვინანო? არ ვიცი: ჩვენს მუდამ მოძრავ საზოგადოებაში ჩამორჩენა ხანდახან გასწრების საშუალებას იძლევა. ასეა თუ ისე, სახრავად ეს ძვალი მომიგდეს და მეც ისე გულმოდგინედ გავდრძე, რომ ახლა ნახერტიდან ვუყურებდი ქვეყანას. პაპაჩემი ოცნებობდა თვალთმაქცურად შეეძლებინა ჩემთვის მწერლები, რომელთაც შუამავლებად თვლიდა, მაგრამ საწინააღმდეგო შედეგს მიადწია: მე ველარ ვარჩევდი სად ნიჭია და სად დამსახურება. ეს კარგი ბიჭები მე მგვანდნენ: როდესაც ჰკვიანად ვიყავი, მოთმინებით ეძძებდი ყოველ „ვაგას“, ვიკოდი, რომ ჯილდოდ დაფინს გვირგვინი მეკუთვნის. ასეთია ბავშვობა. კარლ შევიცერმა სხვა ბავშვები მანყენა, რომლებსაც ჩემსავით მწყემსავდნენ, ცთუნებაში ავდებდნენ, აჯილდოებდნენ, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეინარჩუნეს თავისი ბავშვობა. უღამშოთა და უამხანაგოდ ვიყავი და მწერლები გავიხადე პირველ მეგობრებად. მათ უყვარდათ, სასტიკად ეწამებოდნენ თავისი რომანების გმირებივით და, რაც მთავარია, ყოველთვის ბოლო კეთილი იყო გრძნობაშლილი და ოდნავ გახარებული ჩამოვთვლიდი მათ ავ-ბედობას: როგორ ზეიმობდნენ,

1 პანდიკაპი — (სპორტული ტერმინი) შეჯიბრება, რომელშიაც სუსტ მოწინააღმდეგეს გარკვეული უპირატესობა ეძლევა (მანძილის დროის).

როდესაც გასაჭირში ვარდებოდნენ, ალბათ ამბობდნენ „ეს რა ბედი მეწევა! ნამდვილად კარგი ლექსი გამომივიდა!“

ჩემი შეხედულებით ისინი არ მომკვდარან და თუ მოკვდნენ, მაინც არა სასესებით, არამედ თავის წიგნებად გარდაისახნენ. კორნელი სახეელად, დამორგვილ ბლენძად იქცა, რომლის ტყავით-დაფარულ ზურგს წებოს სუნი ასდიოდა. ეს უხეირო და წარბაუხსნელი პიროვნება გაუგებრად მტყუვლებდა და როცა მისი ზიღვა მიხდებოდა თავისი მახვილი კუთხეებით ხელ-ფეხსა მტკუნდა. მაგრამ, გადავშლიდი თუ არა, მიწვდიდა თავის გამქლავებულ გულის-თქმსავეთ მოწყენილსა და ნახს გრავიურებს. ფლობერი ტილოში გამოხვეული, დაჭორფილი, უსუნო წიბუჯა იყო. ვიქტორ ჰოუგო და მისი ურიცხვი გარდასახულებანი ერთბაშად ყველა თაროებს მოსდებოდნენ. ყოველივე ეს ხორციელია, რაც შეეხება სულებს. ისინი თხზულებებს დასტრიალებდნენ: წიგნის ფურცლები ფანჯრებსა ჰკვირდნენ, გარედან მინაში ვილაციის სახე მიყურებდა, მითვალთვალებდა, მე თითქოს არაფრად მივიჩნევდი, განვგარძობდი კითხვას, ვნთქავდი სიტყვებს, გარედან კი თვალმოუშორებლად მიცქერდა განსვენებული შატობრიანი. ეს წრიალი დიდხანს არ გრძელდებოდა, დანარჩენ დროს ვთაყვანებდი ჩემს მეგობრებს, რომლებიც მეთამაშებოდნენ. ყველაზე მაღლა ვაყენებდი მათ და სულაც არ მიკვირდა, როდესაც მიამბობდნენ, რომ კარლოს მეხუთემ იატაკიდან აიღო ფუნჯი, როდესაც იგი ტიციანს ხელიდან გაუვარდა: ესეც საქმეა, რაღა მეფე მეტი რაში უნდა გამოვადგეს. მაგრამ არც პატრივისცემა მქონდა მათი: აქაო, და დიდები არიან, ხომ არ უნდა ვადილოთ ამისათვის? მათ მხოლოდ თავისი მოვალეობა შეასრულეს. დანარჩენებს ვკიცხავდი იმისათვის, რომ უმნიშვნელონი იყვნენ. მოკლედ, ყველაფერი შებრუნებულად გავივე, გამონაყლისი კანონად მივიჩნიე: ჩემის წარმოდგენით აღამიანთა მოდგმა რჩეულთა კრებუ-

ლია, ერთგული პირუტყვივით გვერდები, მორტყმული. მთავარი კი ვეფხვენი, ვეფხვენი: ანემი ისე კიცხავდა მწერლებს, რომ მეცრაფრით ვერ მივეჩვიე მათდამი მთლად სერიოზულ დამოკიდებულებას. ვიქტორ ჰოუგოს სიკვდილის შემდეგ პაპაჩემი ახალ წიგნს აღარ კითხულობდა, მხოლოდ მოცალების ეამს, ხელახლა გადაიკითხავდა ხოლმე ადრე წაკითხულს. იგი თარგმანის მსახური ვახდა. გულის სიღრმეში „Deutsche Lesebuch“-ის ავტორი მთელ მსოფლიოს ლიტერატურას მხოლოდ როგორც თავის მასალას უყურებდა. თავს ძალას ატანდა, რომ მწერლები მათი მნიშვნელობისდამიხედვით დაელაგებინა, მაგრამ ამ გარეგნულ იერარქიის უკან ძლივს ახერხებდა თავისი მიყვარძობის უკიდურესად უტილიტარული მოსაზრებების დამალვას. მოპასანი გერმანელი მოწაფეებისათვის საუკეთესო სათარგმნი მასალა იყო; გოეთე რომელიც ერთი თავით მაღლა იდგა გოტფრიდ კელერზე, შეუდარებელი იყო ფრანგულ თარგმანებისათვის. როგორც ჰუმანისტი, პაპაჩემი, რომანებისადმი საკმაოდ უპატივისცემლოდ იყო განწყობილი, ხოლო როგორც მასწავლებელი ფრიალ აფასებდა მათ სიტყვიერი მასალის გამო. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მხოლოდ რჩეულ ნაწყვეტებს-ლა იტანდა და რამდენიმე წლის შემდეგ მე იმასაც მოვესწარი, რომ იგი ალტაცებით კითხულობდა „მადამ ბოვარიის“ ნაწყვეტს, რომელიც მირონომ თავის „საკითხავ წიგნში“ შეიტანა, ხოლო ფლობერის სრული თხზულებები აგეროცი წელია ელოდებოდნენ თუ როდის განდებოდნენ მისი ყურადღების ღირსი. ვგრძნობდი, რომ პაპაჩემი გარდაცვლილთა ანგარიშზე ცხოვრობს და ეს გარემოება ართულებდა ჩემ დამოკიდებულებას მათდამი: თითქოს ეთაყვანებოდა მათ, მაგრამ მაგრა ყავდა დაბმული, და ისე ექცეოდა როგორც უნდოდა, კუწავდა ნაჭერ-ნაჭერ, რომ უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილიყო სხვა ენაზე. მე აღმოვაჩინე მათი ერთდამიამვე

დროს სიდიადეცა და უბადრუკობაც. თავისდა საუბედუროდ, მერმე, საშუალო სკოლის კურსს შეეფერებოდა, ამიტომ მას ორმაგი ცხოვრება მიენიჭა: უბიწო, მტრედი „კოლომბა“ ამოად აფართხალებდა ფრთებს, იგი სადღაც ზედა თაროზე იყო უყურადღებოდ მიგდებული, ზედაც არ უყურებდნენ და კაცს არ გადაუფურცლავს, სამაგიეროდ, ქვედა თაროზე, იგივე ქალწული ჩაეტილი იყო პატარა ჭუჭყიანსა და მყარალ ყდაში, რომელიც იგივე სიტყვებით ნაამბობ იმავე ამბავს შეიცავდა, მაგრამ მას გერმანული შენიშვნები და სიტყვარი ჭონდა დართული; ყოველივე ამასთან ერთად, სასკანდალო ამბავიც აღმოვაჩინე, რომლის მსგავსი კაცს არ ახსოვდა ელზას-ლორენის მიტაცების შემდეგ: ეს წიგნი ბერლინში ყოფილა გამოცემული. კვირაში ორჯერ პაპაჩემი დებდა ამ წიგნს თავის პორტფელში. მე მეზიზღებოდა ეს დალაქული, წითელი ფაქრით გადაბზული და ადგილადგილ დამწვარი წიგნი: ეს იყო შელახული მერმე. გადავშლიდი თუ არა, სევდა მზარავდა: მეგონა, ისევე იყო დამარცვლილი და გადაღეჭილი, თითქოს პაპაჩემი უქარნახებდა თავის მოწაფეებს. განა გერმანიაში დაბეჭდილი და გერმანელების საკითხავად განკუთვნილი ეს ნაცნობი, მაგრამ გაუგებარი ნიშნები ფრანგული სიტყვის გაყალბება არ იყო? აქ კიდევ ერთი ყალთაბანდობაც იმალებოდა: ზედაპირი რომ გადაგვიცალა, ამ გალურ ვარსს ქვეშ, ალბათ სასადადებული გერმანული სიტყვები აღმოჩნდებოდა. ბოლოს ექვი შემეპარა, ხომ არ არსებობს ორი კოლომბა, ერთი ქვემარტი და მოუთვინიერებელი, მეორე გაყალბებული და დიდაქტიკური, ისევე როგორც არსებობდა ორი იზოლდა.

ამ ჩემი ძმა-კაცების შექირვებამ დამარწმუნა, რომ მეც მათი ტოლი ვარ. მართალია არც მათი ნიჭი გამაჩნდა და არც დამსახურება მქონდა და ჯერჯერობით, არც წერის სურვილი დამბადებია, მაგრამ მღვდლის შეილიშვილი ვეყავი,

წარმოშობით მათზე მაღლა ციდეტი და ჩემი ბედის უთუოდ წინასწარმეტყველებული. არ მელოდა მათსავეთ ზრწამებრივი გვირგვინი, რომელსაც ყოველთვის რაღაც სკანდალური ელფერი დაჰკრავს, არამედ მღვდლად კურთხევი; შარლ შვეიცერივით კულტურის სადარაჯოზე დავდგები. ამასთანავე, მე ცოცხალი ვარ და ფრიად მოქმედიც: თუმცა ცხედრების დაკუწვა არ მისწავლია, მაგრამ უკვე თავზე ვახვევ ჩემ კაბრიზებს: ხელში ვიღებ, იატაკზე ვალაგებ, გადავშლი, დავხურავ, გამოვუხმობ ბოლმე არყოფნიდან, რომ კვლავ უქან დავაბრუნო: ეს ნაკაცრები დედოფლების მავივრობას მიწევენ, მათი დამბლადაცემული ნაშთენი, რომელსაც უკვდავებას უწოდებდნენ, სიმრალულს მგვრის. პაპაჩემი აქეზებს მათდამი ასეთ მოურიდებლობას: ყოველ ბავშვს შთაგონება აქვს, რა უნდა შესურდეს პოეტებისა, რომლებიც მასსავით გულალალი ბავშვები არიან. კურტელინი მბობდებდა, კუდში დავდევი მზარეულ ქალს, სამზარეულოშიაც კი არ ვეშვებოდი და ვუკითხავდი კომედიას „თეოდორა ექებს ასანთს“. ჩემი გატაცება ართობდა დიდებს და ცდა არ დააკლეს რომ გაეზვიადებინათ და საყოველთაოდ გაეხმაურებინათ. ერთ მშვენიერ დღეს პაპაჩემმა სასხვათაშორისოთ მითხრა: „კურტელინი კარგი ბიჭი უნდა იყოს. რაკი ასეთ რიგად გიყვარს, რატომ წერილს არ მისწერ“? მეც ავიღე და მიეწერე. შარლ შვეიცერმა წარმართა ჩემი ხელი, თანაც გადაწყვიტა ხელუხლებლად დაეტოვებინა მრავალრიცხოვანი ორთოგრაფიული შეცდომა. წერილი ამ რამდენიმე წლის წინად დაიბეჭდა გაზეთებში და ბრაზი ვერ დავფარე როცა ვკითხულობდი. წერილის ბოლოში ეს სიტყვები ეწერა „თქვენი მომავალი მეგობარი“, რაც ფრიად ბუნებრივად მიმანდა: ვოლტერთან და კორნელისთან ვმთაკაცობდი და რატომ უნდა ეთქვა უარი ჩემს მეგობრობაზე ცოცხალ მწერალს? კურტელინმა უარი მითხრა და კარგადაც მოიქცა: შეილიშვილისათვის

რომ ებასუხა, პაპის ხელში ჩავარდებოდა, მაგრამ იმ ხანებში ჩვენ სასტყუად დავგმეთ მისი ღუმელი. „დაეუშვათ, რომ ბევრი საქმე აქვს, თქვა შარლმა, ჯანდაბას მაგის თავი, მაგრამ ბავშვისათვის მაინც უნდა გაეცა პასუხი!“.

ეს მცირედი ნაკლი, ფამილიარობა, დღესაც შემჩნა. ამ ბრწყინვალე ცხედრებს ველაბუცები; ბოდლერისა და ფლობერის შესახებ აზრის გამოთქმას არ ვერიდებ, ხოლო როცა ამის გამო მძრახავენ, ასე მინდა ვუბასუხო: „ძოდით, ჩვენს საქმეში ნუ ჩაერევით, იყო დრო, და ეს თქვენი გენიოსები მე მეტუთვნიდნენ, გულში ვისუტებდი და გატაცებით მიყვარდა ყოველივე მობოდიშების გარეშე და ახლა გინდათ, რომ პატივი და ბოდიშები დავუწყო?“ მაგრამ კარლის ჰუმანიზმი, ეკლესიის მსახურის ჰუმანიზმი იყო და მხოლოდ მაშინ განვიკურნე მისგან, როდესაც შევიგნე, რომ ყოველ ადამიანში — ადამიანი სრულად არის ასახული. რა სამწუხარო ამბავია განკურნება: გაქრა ენის ჯადოქრობა, კალმის ვმირებმა, ჩემმა ძველმა წინამძღვრებმა, დაკარგეს თავისი უპირატესობანი და ხალხში აილესნენ: მე ერთი ორად ვგლოვობ მათ.

ყოველივე ის, რაც ეხლა დავწერე, ყალბია. მართალია არც ყალბია და არც მართალი, ისევე როგორც ყოველივე რასაც წერენ შეშლილების თაობაზე, რასაც წერენ ადამიანების გამო. მე ავსახავდი ფაქტებს ისეთი სიზუსტით, რომელსაც ჩემი მეხსიერება სწვდებოდა, მაგრამ რამდენად მჯეროდა ამ ბოდვისა მე თითონ? თუმცა მთავარი კითხვა ესაა, მაგრამ არ ვიცი როგორ ვუბასუხო. შემდგომში დავრწმუნდი, რომ ჩვენი გრძნობების გამო ყველაფერი შეიძლება ვიცოდეთ, გარდა იმისა თუ რამდენად ძლიერნი, ესე იგი, რამდენად გულწრფელნი არიან ისინი. ამაში თვით ჩვენი მოქმედებაც კი ვერ დავგვხმარებ, ყოველშემთხვევაში მინამ, სანამ არ დამტკიცდება რომ იგი გულწრფელია და რისი დამტკიცებაც ყოველთვის ადვილი როდია. ასე განსაჯეთ: მარტო

ვიყავი ამდენ უფროსებში, მე თვით ვიყავი პატარა უფროსი და ვიყავი სათვის განკუთვნილ წიგნებს — ვიყავი ლობდი; ესეც უკვე სიყალბეა, რადგან ყოველივე ამასთან ერთად, ბავშვობა არ დამიკარგავს. დანაშაულის მონანიებას არ ვპირებ. ასე იყო. ესაა და ეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კვლევებიანი და აღმოჩენები ოჯახური კომედიის ნაწილს შეადგენდნენ, ისინი მაინც აღტაცებას იწვევდნენ და მე ეს ვიცოდი: დიად. ვიცოდი, რომ ყოველდღე ეს სამაწლებრივი ბავშვი ძილს უფროსობს ამ ჯადოსნურ წიგნებს, რომლებსაც პაპაჩემი აღარ ეკარება. მე ჩემი ასაკს შეუფერებლად ვცხოვრობდი, ისევე როგორც ცხოვრობენ ხალხე თავის შეძლების შეუფერებლად: ვიფხორებოდი, ვიჭაჭებოდი, თავს ძალას ვატანდი და სხვის დასანახად ვირჩებოდი. მხოლოდ ხელი უნდა მეკრა კარისათვის, რომ ბიბლიოთეკაში გაეჩენილიყავ და მე უკვე უძრავად მგდომი მოხუცი მშთანთქავდა: დიდი საწერი მაგიდა, საქალაღე. წითელი და შავი მელნის ლაქები ვარდისფერ საშრობ ქალაღდზე. სახანავი, პატარა წებოს ბოთლი, თამბაქოს დაგუბებული სუნი, ზამთრობით კი გაგარვარებული ღუმელი — სალამანდრა, ქარსის ტყრცილი — ყოველივე ეს თვით კარლი, განივთებული კარლი იყო. მეტიც არ იყო საჭირო, რომ უმაღვე მადლი მომფენოდა და წიგნებისაკენ გავქანებულიყავი. გულწრფელი თუ იყო ეს ამბავი? მაგრამ, რა იგულისხმება ამ გამოთქმაში? როგორ შემიძლია, განსაკუთრებით კი ამდენი წლის შემდეგ. განსახზვრა იმ შეუმჩნეველი და ცვალებადი წახანვისა, რომლის იქით თავდება აკვირება და იწყება თვალთმაქცობა? ვწევბი გულდაღმა, საბით ფანჯრისაკენ, ჩემ წინ გაშლილი წიგნია, ხელმარჯვნივ ჭიქით წყალღინო მიდგატელმარცხნივ თუფშე მურაბაფასმული პურის ნაქრები მილაგია. ისევე განვარძობდი სახიობას, მაშინაც, კი, როდესაც მარტოდ-მარტო ვიყავი: ან-მარა და კარღემამი ფურ-

კლავდინენ ამ გვერდებს ჩემ დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, ახლა ჩემ თვალწინ იყო ის რაც მათ უკვე იცოდნენ; სალამოს შემეგითხებიან „რა წაიკითხე? რა გაიგე?“ ეს ვიცოდი და უკვე ორსულად ვიყავ და მოსალოგინებლად ვეშხადებოდი, რათა მორიგი ბავშვური მახვილი სიტყვა მეშვა: უფროსებისგან გაქცევა და წიგნებში თავის შეფარება, მათთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალება იყო: აქ არ იყვნენ, მაგრამ მათი მომავლის მზერა აღწევდა ჩემს არსებაში კეფიდან და თვალის გუგებიდან გამოდიოდა, რათა იატაკის დონეზე მოეცელა ასჯერ წაკითხული სტრიქონები, რომელსაც მე ახლა პირველად ვკითხულობდი. ყველას დასანახავად ვკითხულობდი და ვხედავდი როგორ ვკითხულობ, ისევე როგორც ესმით ხოლმე თავისი ნალაპარაკევი. ნუთუ ასე შევიცვალე მას შემდეგ, როდესაც ჯერ ასოებიც-კი არ ვიცოდი და თავს ვაჩვენებდი თითქოს მარცვალ-მარცვალ ვკითხულობდი „ჩინელის თავგანდასავალს ჩინეთში?“ არა: თამაში გრძელდებოდა. ჩემს ზურგს უკან კარები იღებოდა, მოდიოდნენ, რათა ენახათ — „რას ვმოღვაწეობ?“: ყალთაბანდობას ვიწყებდი, უცებ წამოვხტებოდი, თავის ადგილზე ვდებდი მთესეს წიგნს და თითისწევრებზე ვდგებოდი, ხელს ვიშვერდი, რათა კორნელის მიმღე ტომი გადმომეღო; ჩემ გატაცებას წიგნის სიმძიმით აფასებდნენ: „რა რიგ უყვარს კორნელი!“ მესმოდა ზურგს უკან აღტაცებული ჩურჩული. კორნელი არ მიყვარდა: ალექსანდრიული ლექსი მოწყენას მგვირია. საზედნეროდ გამომცემელს სრულად მხოლოდ ყველაზე სახელგანთქმული ტრადიციები მოეთავსებინა, დანარჩენისა კი მხოლოდ დასახელება და მოკლე შინაარსი იყო. მეც სწორედ ეს მაინტერესებდა: „გრიმოალდის მიერ დამონებულ ლომბარდთა მეფის, პერთარიტის, მეუღლე როდელინდა, უნუღის ძალდატანებით. იძულებული გახდა უცხოელ ბატონიშვილს გაჰყოლოდა...“ „როდოგუნდა“, „თეოდორა“,

„აგეზილა“, გაცილებით ადრე გავიცანი ვიდრე „სიდი“, ვიდრე ~~მეცამეტე წელიწადში~~ ზე მადგა ქღერადი სასტუმრო, ამაღლებული გრძობებით იყო აღსავსე, თანაც ის მაწუხებდა, რომ არ შევმცდარიყავი და მათი ნათესაური ურთიერთობა არ შემშლოდა. ჩვენები ამბობდნენ „პატარას ცოდნა სწყურია, პირდაპირ ყლაპავს ლარუსს“. მე არაფერს ვეუბნებოდი, ნამდვილად სულაც არ მკლავდა ცოდნის წყურვილი: აღმოვაჩინე, რომ ლარუსის სიტყვარში პიესებისა და რომანების მოკლე შინაარსი იყო მოთხრობილი და ეს მიტაცებდა.

მიყვარდა როდესაც სხვას მოეწონდი და მსურდა კულტურის აბაზანა მიმეღო. მინდოდა ყოველდღე ვხიარებულიყავ. თანაც, საკმაოდ უეპულსუროდ: გავიშობებოდი და გვერდებს ვფურცლავდი; ჩემი პატარა მეგობრების თხზულებები ხშირად იგივე სამსახურს მიწევდნენ რასაც საამლოცველო ბორბალი ბუდის მლოცველებსათვის. მაგრამ, ამასთან შიშიცა და ნამდვილი სიამოვნებაც განმიცდია, როდესაც მაიწყდებოდა ჩემი როლი და თავგანწირულად მივენდობოდი ხოლმე იმ გადარეულ ვეშას, ამ ქვეყანას რომ უძახიან. თქვენ თითონ განსაჯეთ! ასე იყო თუ ისე, მაგრამ ჩემი თვლები ამუშავებდნენ სიტყვებს: უნდა მომესმინა ისინი, აზრი ამომეხსნა და ბოლოს, კულტურის კომედია, — კულტურას მძენდა.

მაგრამ იყო ნამდვილი წიგნებიც, რომლებსაც ამ საკურთხეველს გარეთ ვკითხულობდი, საბავშვო ოთახში ან სასადილო მაგიდის ქვეშ. ამ წიგნების შესახებ არავის ვუმხელებდი და დღე-ჩემის ვარდა არავისთან კრინტიც კი არ დამიძრავს. ან-მარამ ჩემი ნაძალადევი აღტაცება ნამდვილად ჩასთვალა, შეწუხდა და მამას გაუზიარა თავისი ექვები. ბებია საესებით სანდო მოკავშირე გამოდგა. „შარლი გონივრულად არ იქცევა, თქვა ბებია, შევამჩნიე, რომ თვითონვე აქეზებს პატარას, რა ბედენაა ამ წიგნების კითხვა თუ კი

ბავშვი დასწავლდება“. ამასთანავე ქალებმა გაიხსენეს გადაქანცვა და მენინგეტიც. მაგრამ პაპაჩეშვი გულდაგულ იერიშის მიტანა სახიფათოც იყო და ამოც: ქალებმა შემოსავლელი გზა ნახეს. ერთხელ, სეირნობის დროს, ან-მარი ვითომ შემთხვევით შეჩერდა სენ-მიშელისა და სულფის ქუჩის კუთხეზე იმ კიოსკთან, დღესაც რომ იქ დგას: თვალში შეცა მშვენიერი სურათები. მათმა მყვიარალა ფერებმა მომაჯადოვა, მოვითხოვე რომ ეყიდნათ და სურვილი შემისრულეს. შიგ გულში მომხვდა: ახლა ყოველკვირა მინდოდა მქონოდა „კრი-კრი“, „გეგ-მაკი“, „არდადეგები“, ჭან დელა ირის „სამი ბიოსკოტი“ და არნუ გალოპენის „თვითმფრინავით დედამიწის გარშემო“, რომლებიც ხუთშაბათობით გამოდიოდა ცალკე ნაკვეთებად. ხუთშაბათსა და ხუთშაბათს შუა მე მეტს ვეჩქრობდი ანდებს არწივზე, ფოლადის მუშტის მქონე ბოქსიორ მარსელ დიუნოზე, მფრინავ კრისტიანზე, ვიდრე ჩემ შეგობრებზე — რაბლესა და ვინიზე. დედაჩემი ისეთი წიგნების გამონახვას შეუდგა, რომლებიც ჩემს ბავშვობას დამიბრუნებდნენ. ზღაპრების ყოველთვიური კრებულის „პატარა ვარდისფერი წიგნებით“ დაიწყო, შემდეგ თანდათან გადავედი „კაპიტან გრანტის შეილებზე“, „უკანასკნელ მოპიკანზე“, „ნიკოლას ნიკობიზე“, „ლაგარდის ხუთ სუზე“. ზედმეტად გონებადამჭდარ კიულ ვერსი, ექსტრავაგანტური პოლ დ ივუა მერჩია, მაგრამ ავტორების მიუხედავად ვეთაყვანებოდი პეტრეცელს გამოცემულ წიგნებს. ეს იყო პატარ თეატრი. ამ წიგნების წითელი ყდები და ოქროს ფოჩები — ფარდად, ხოლო ოქროსფერი შემონაჭერი წიგნისა — რამზად მესახებოდა. ამ ჯაღოსნური კოლოფების წყალობით, და არა შატობრიანის გამოზომილი ფრაზების საშუალებით პირველად შევიცანი მშვენიერება. მათ რომ გავხსნიდი, ყოველივე მაეიწყდებოდა: ვანა ეს კითხვა იყო? არა, აღ-

ტაცება მკლავდა და ეს თვითგანადგურება უმაღლეს წარმოშობდა. მისი ბოლო ბოლო შეიარაღებულ მეტყველებას ტყუისა და თეთრ კასკინ მოგზაურს. მე ხილვად ვიყავ ქვეული, მე გამოვასხივებდი შუქს, რომელიც ეფინებოდა შავგვრემან მზეთუნახავ აუღას ლოყებსა და ფილეს ფოგის ქილვაშებს. საკუთარ თავისგან განთავისუფლებულ ჯადო-ბავშვს საშუალება მიეცა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მხოლოდ ჯადოქრობით დამტკბარიყო. აქ, იატაკიდან ორმოცდაათ სანტიმეტრის დაშორებით, აღმოცენდებოდა არა თავზე მოხვეული და ნაძალადევი, არამედ ქეშმარიტი ბედნიერება. ახალი სმეაყო პირველ ხანებში ძველზე ნაკლებად მოწესრიგებული მეჩვენა: აქ ცარცვადნენ, კლავდნენ; სისხლი ნაკადად მოედინებოდა. ინდოელები, ინდიელები, მოპიკანები, პოტენტოტები იტაცებდნენ ქალიშვილს. ბაწრავდნენ მის ხნიერ მამას და საშინელ ტანჯვანამებით მოკვლას ემუქრებოდნენ. ეს პირწმინდა ბოროტება იყო. მაგრამ მას მხოლოდ იმისათვის აჩვენებდნენ, რათა დაეშოთ იგი სიკეთის წინაშე: შემდეგ თავში, ყოველივე უკვე მოგვარებული იქნებოდა. მამაცი თეთრკანიანები აუარებელ ველურებს ზოცავდნენ და ათავისუფლებდნენ მამას, რომელიც გულში იკრავდა ქალიშვილს. კვდებოდნენ მხოლოდ ბოროტმოქმედნი და ზოგიც მეტად მეორეხარისხოვანი დადებითი გმირი, რომლის დალუპვა ისტორიის გაუთვალისწინებელ ხარჯებს მიეწირებოდა. თვით სიკვდილიც ფრიალ დაწმენდილი იყო: ძინი გულზელდაკრფილები ეცემოდნენ და გულმკერდის მარცხენა მხარეს მხოლოდ პატარა ნახვრეტი ემჩნეოდან, ხოლო თუ თოფი ჭერ შემოღებულ იყო არ იყო, ბოროტმოქმედებს, უბრალოდ „ხმალს უყრიდნენ“. მე ძალიან მომწონდა ეს მოსწრებელი გამოთქმა: წარმომედგინა თუ როგორ ესობოდა ეს პრიალა ბასრი მახვილი ბოროტმოქმედის გულში, გეგონებოდა კარა-

ქაო, კვეთდა მას და ზურგიდან ჩნდებოდა; მოკლული ეცემოდა მიწაზე ისე, რომ ერთი წვეთი სისხლიც კი არსად ჩანდა. ზოგჯერ სიკვდილი სასაცილოც კი იყო. მაგალითად სარკინოზის სიკვდილი, ვგონებ „როლანდის ნათლულში“: სარკინოზი ცხენით გაეშურა ჯვაროსანი მხედრის გზის მოსაპრელად, ხოლო რაინდმა ისე ძლიერ მოუჭნია მახვილი, რომ შუაზე გაკვეთა სარკინოზი. ეს შერკინება ასახულია გუსტავ დორეს ნახატზე. რა შესაქცევი ამბავია! ორად გაკვეთილი სხეულის ნაკვეთები უკვე აქეთ-იქით ეცემიან და უზანგებზე დაყრდნობილი ნახევარკალს შემოხაზავენ პაერში, გაკვირვებული ცხენი ყალყზეა შემდგარი. მრავალი წლის განმავლობაში ამ სურათის დანახვაზე იმდენს ვიცინოდი, რომ თვლები მიტრემლიანდებოდა. ბოლოსდაბოლოს ვპოვე ის, რაც მჭირდებოდა: მტერი საბუნდოვანი, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, უხიფათო, ვინაიდან მის ხრიკებს არა მარტო შედეგი არ მოჰყვებოდა, არამედ პირიქით მზავკრობისა და ჯოჯობეთური ვერაგობის მიუხედავად კიდევაც ხელს უწყობდა სიკეთის გამარჯვებას. თანაც აღვნიშნე რომ წესრიგის დამყარებას ყოველთვის თან ახლდა რაიმე წინსვლა: ვმირებს აჯილდოვებდნენ, ქება-დიდებას ასხვდნენ, პატივსა და ფულს არ აკლებდნენ. მათი შეუპოვრობის შედეგად ხერხდებოდა ტერიტორიის დაპყრობა, ხელოვნების ნაწარმოების წართმევა და ჩვენს მუზეუმებში წამოღება; ქალიშვილს შეუყვარდებოდა ხოლმე მოგზაური, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა და ყოველივე ამას ქორწილი აგვირგვინებდა. ამ ყურანალებსა და წიგნებიდან მე მივიღე ჩემი ყველაზე სანუკვარი ფანტასმაგორია — ოპტიმიზმი.

ამ წიგნებს დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ვკითხულობდი. საამისოდ ან-მარის გაფრთხილებაც კი არ დასჭირებია: მესმოდა რომ მათი კითხვა უღირსი საქმეა და პაპაჩემთან ამის გამო სიტყვაც კი არ წამომცდენია. ნაძირალე-

ბთან ვმძაყაცობდი, ვღრგობდი; ვრდებდებოდა საროსკიპოში ვატარებდი. მერამ არ მაეწყდებოდა რომ ჩემი ქვემარტი არსება ტაძარში რჩებოდა. ჩემ შეკვლებათა ამბით რატომ უნდა მიმეყენებინა შეურაცხყოფა ხეცებისათვის? ბოლოს კარლმა დანაშაულზე მიმასწრო: იგი თავს დაესხა ქალებს, ხოლო მათ, დრო იხელთეს როდესაც პაპაჩემი სულის მოსათქმელად გაიშობდა, და ყველაფერი მე დამაბრალეს: მე დამინახავს ყურანალები და სათავგადასავლო რომანები, დამიწყია ხეყნა-თხოვნა და აბა, როგორც უნდა ეთქვათ უარი? ასეთმა მოსწრებულმა ტყუილმა პაპაჩემს თვალი აუხვია: მე თითონ ჩემი ნება-სურვილით მიღალატნია კოლომბასათვის და ვილაც შეთხოვულ გომბიოებს გადავივლებივარ. მე, ბავშვი-წინასწარმეტყველი, ნორჩი პითონისი, კაზმულსიტყვაობის ელიასი, დაუშრეტელ მიდრეკილებას ვიჩენდი ყოველივე საზიზღრობისკენ. არჩევანი პაპაჩემს ეკუთვნოდა; მას უნდა გადაეწყვიტა: ან მე აღირავარ წინასწარმეტყველი, ან და ჩემ გემოვნებას ანგარიში უნდა გაუწიონ, ისე კი, რომ არც ეცადონ მის გაგებას. მამაშარლ შვეიცერი ყოველივეს დასწავდა, პაპა შარლ შვეიცერმა მკმუნვარე შემწყყნარებლობა აირჩია. მეც ამის მეტი არც მინდოდა, არხეინად განვაგრძე ეს ორმაგი ცხოვრება. ასე დამებედა და დღესაც „შავი სერია“ მირჩვენია ვიტგენშტიინის კითხვას.

ჩემ პაეროვან კუნძულზე მე ერთადერთი და შეუღარებელი ვიყავი; მაგრამ სულ ბოლოში მოვექეცი, როდესაც ჩვეულებრივ პირობებში აღმოვჩნდი.

პაპაჩემმა გადაწყვიტა, მიმბაროს მონტენის ლიკეუმში. ერთხელ დილით მიმიყვანა დირექტორთან და ქება შემასხა: ერთად ერთი ნაკლი ისაა რომ ზედმეტად განვითარებული ვარ ჩემი ასაკისათვის, დირექტორმა ყველაფერში ხელი შემიწყო: ჩამრიცხეს მერვეში და მოველოდი რომ ჩემი ასაკის ბავშვებთან დამსვამენ. მაგრამ ასე არ მოხდა:

პირველივე კარნახის შემდეგ ადმინისტრაციამ საჩქაროდ გამოუძახა პაპაჩემს. შინ დაბრუნებულმა გაათრებულმა ამოიღო საქალაქიდან დაჯდანილი და დალაქებული ავბედითი ფურცელი და მაგიდაზე დაადო: ჩემ მიერ შესრულებული სამუშაო ვახლდათ. პაპას უჩვენეს ჩემი ორთოგრაფია: „ჩვენი ბანში კურდგელი შემოიპარა“ და შეეცადენ შეეგნებინებინათ, რომ ჩემი ადგილი მეათე, მოსამზადებელ კლასშია. „კურდგელის“ გაგონებზე დედაჩემს სიცილი აუტყდა, მაგრამ პაპაჩემის მრისხანე შემოხედვამ უმაღლე ხმა ჩააწყვეტინა. პაპამ ჭერ სიზარმაცე დამაბრალა და ჩემ სიცოცხლეში პირველად გამკიცხა, მაგრამ მერე გამოაცხადა რომ ვერ დამაფასეს და მეორე დღესვე ლიცეუმიდან წამომიყვანა და დირექტორს წაეჩხუბა.

ვერ გავიგე რა მოხდა და ეს მარცხი სრულიად არ მწყენია: რა მოხდა, სასწაული ბავშვი ვიყავი, რომელმაც ორთოგრაფია არ იცოდა; თანაც უღარდელად დაეუბრუნდი ჩემს მარტოობას, რომელიც გულს მაკლდა. მიყვარდა ჩემი გულსტკივილი, ვერც კი შევამჩნიე როგორ დავკარგე სინამდვილისკენ შემობრუნების შესაძლებლობა. დამიჭირავეს პარიზელი მასწავლებელი ბ-ნი ლივეენი, რომელიც კერძო გაკვეთილებს მაძლევდა და თითქმის ყოველდღე მოდიოდა. პაპამ მიყიდა საკუთარი პატარა საწერი მაგიდა: შეუღლებავი ხის მერხი და პიუბიკრი. მოუჭდებოდი მაგიდას, ზოლო ბ-ნი ლივეენი დასეირნობდა და მიკარნახებდა. მასწავლებელი ვენსან ორიოლს ვავდა და პაპაჩემი ამტკიცებდა, მასონი იქნებო; „როდესაც ვესალმები, ასე მგონია ცერით მასონურ სამკუთხედს მიხატავს ზელის გულზე“ ამბობდა პაპა შემკრთალი და ზიზღნარევი გამომეტყველებით პატროსანი ადამიანისა, რომელსაც პედერასტი აეკიდა. მე მძულდა მასწავლებელი, რადგან მას ავიწყლებოდა ჩემი ვანებიერება: მგონია იგი, და არც უსაბუთოდ, ჩამორჩენილ

ბავშვად მთვლიდა. იგი გაქრა, არ ვიცი რატომ: ალბათ ვინმეს გაუხიარო თავისი მოსაზრებანი ჩემს შემტყუბუნებულს. ერთხანს არკაშონში ვცხოვრობდით სადაც სახელმწიფო დაწყებით სასწავლებელში მიმაბარეს: ამას მოითხოვდნენ პაპაჩემის დემოკრატიული პრინციპები, მაგრამ ამავე დროს, მას ისიც უნდოდა, რომ მღაბიოებიდან დაშორებით ვყოფილიყავი. მასწავლებელს რომ მაცნობდა ასეთი სიტყვებით მიმართა: „ძვირფასო კოლეგა, ვანდობთ ყველაზე ძვირფასს, რაც ვამაჩნია“. ბ-ნი ბარო პატარა წვერსა და პენსნეს ატარებდა: იგი ავარაქზე გვესტუმრა მუსკატის ღვინის გადასაკრავად და აღუთქვა პაპაჩემს, რომ ფრიად მოხარულია იმ ნდობის გამო, რომელიც მას საშუალო სკოლის წარმომადგენელმა აღმოუჩინა. გაკვეთილზე ცალკე მერხზე მსვამდა ზედ კათედრის გვერდზე და შესვენების დროს გვერდიდან არ მიშორებდა. მე მიმაჩნდა რომ ეს სამართლიანი მიკერძოებაა; არ ვიცი რა აზრისა იყვნენ ამის გამო ჩემი ტოლწლოები „ხალხის შვილები“, მაგრამ მგონია რომ მათ ფეხებზე ეკიდათ. მე ვილუბოდი მათი ცელქობისაგან და ზრდილობად მიმაჩნდა მოწყენილი ვყოფილიყავ და არ მოვშორებოდი ბ-ნი ბაროს სანამ ისინი თამაშით იყვნენ გართული.

პატივს ვცემდი ჩემ მასწავლებელს ორი მიზეზით: ჩემთვის სიკეთე სურდა და პირიდან ცუდი სუნი სდიოდა. წესად იყო, რომ უფროსებს დანაოკებული სახე ჰქონოდათ, მახინჯები და მოუხერხებლები ყოფილიყვნენ. ზელში რომ ამიყვანდნენ, მომწონდა, რომ იძულებული ვიყავი ოდნავ გულის რევა დამეძლია: ეს ნიშნავდა, რომ სათნოება არც ისეთი ადვილი საქმეა. ცხადია, უბრალო, ჩვეულებრივი სიამენიც მიზიდავდნენ: დავრბოდი, დავხტოდი, მივირთმევედი ნამცხვარს, კოცინიდი დედაჩემის ნახსა და სურნელოვან ლოყას, მაგრამ გაცილებით უფრო ვაფასებდი წამებით მიღებულ

სიამოვნებას, რომელიც ცდითა და დაგვიტ უნდა მოგვეპოვებინა და რომელსაც მოწიფულ ვაჟკაცთა საზოგადოებაში განვიცდიდი: ზიზღი, რომელსაც ამ დროს განვიცდიდი, მათი ავტორიტეტის ნაწილი იყო: ზიზღსა და პატივისცემას ერთმანეთში ვერ ვარჩევდი. მე სწობი ვიყავი, როდესაც ბნი ბარო დაიხრებოდა ჩემსკენ, მისი სუნთქვა ნატიფ წამებას განმაცდევინებდა ხოლმე, მაგრამ გულმოდგინეთ შევისუნთქავდი ხოლმე მის ღირსებათა მყარ სუნს. ერთხელ სკოლის კედელზე სულ ახალი წარწერა აღმოვაჩინე, მივედი და წავიკითხე: „ბებერი ბარო ნებვია“. გული საშინლად ამიჩქროლდა, გავშტერდი და ადგილიდან ვერ დავიძარი, შევეშინდი, „ნებვია“ — ნამდვილად ერთი იმ „ცუდ სიტყვათაგანია“, რომლებიც ლექსიკონის სანაგვე ყუთში ყრია და კარგა ვაზრდილმა ბავშვმა არც უნდა შეხედოს. ეს მოკლე, უშვერი სიტყვა უმარტივესი ცხოველივით უხამსად უბრალო იყო, რომ წავიკითხე, ისიც ბევრი იყო: მისი ხმადაბლა წარმოთქმაც კი აღვიკვეთე. არ მინდოდა, რომ ეს კედელზე შიტყვებული მურღალი ჭია გადმომხტარიყო, პირში ჩამჭრომოდა და ხორხში შავ, საზარელ ხრიხლად გადაქცეულიყო. იქნებ, ყურადღება რომ არ მივაქციო, თითქოს არც დამინახია. აიღოს და ისევ თავის ხერხელში ჩაძვრეს. მაგრამ, ამ სიტყვას რომ თვალს ვაშორებდი ახლა ამ უზრდელ მიმართვას ვხედავდი — „ბებერი ბარო“, რომელიც კიდევ უფრო მეტად მზარავდა: სიტყვა „ნებვის“ შინაარს მხოლოდ გულმანით თუ ვხვდებოდი, მაგრამ ის კი კარგად ვიცოდი, თუ რა ჭურის ხალხზე ამბობენ ჩვენ სახლში „ბებერი ესადაეს“ — ისე ახსენებდნენ მეზაღებებს, ფოსტალონებს, მოახლე ქალის მამას, მოკლედ ხანდაზმულ გლაბაყებს. გამოდიოდა, რომ ვილაცას ბატონი ბარო, მასწავლებელი და პაპაჩემის კოლეგა, ბებერ გლაბაყად წარმოუდგენია. სადაც, ვილაცის თავში წარმოიშვა და და-

იბუდა ამ აუტმა და უგანო სიტყვამ. ვის თავში? ჩემ თავში რომ არ ვაბრლებულა? იქნება ისეა, წაეკრებოდა, არა ამ ბილწ წარწერას, უფროსი კრებულები ამ მკრეხელობის მონაწილე? მეჩვენებოდა, რომ ვილაცა გაავებული ვიყი მასხარად იგდებს ჩემ ზრდილობას, თავაზიანობას, ბეჯითობას, სიამოვნებას, რომელსაც განვიცდი ყოველ დილას, როდესაც ქედს ვიხრი და სალამს ვაძლევ „დილაშვილობისა, ბატონო მასწავლებლო“, მაგრამ ისიც მეჩვენებოდა, რომ მე თვითონ ვარ ეს ვიყი დ ეს საზიზღარი სიტყვები და აზრები ჩემ გულში ირევიან. მაგალითად, ნეტავ რა დამიშლის ახლა, რომ დავიღრიხო „ეს ბებერი მიმძინი ღორივითა ყარს?“ მე წავიჩურჩულე „ბებერი ბარო ყარს“ და თვალთ დამიბნელდა, ავტირდი და თავს ვუშველე: გავიქეცი. მეორე დღეს ისევ აღდგა ჩემი პატივისცემა ბატონ ბაროს, მის ცელულოიდის საყელოსა და პეპელისმაგვარ ყელსაბამის მიმართ. მაგრამ, როდესაც იგი დაიხრებოდა ჩემი რვეულის დასახედავად, მე პირს ვიბრუნებდი და სუნთქვას ვიგულებდი. დედამ გადაწყვიტა, შემდეგ შემოდგომიდან მიმბაროს პუბონების სასწავლებელში. ხის კიბეს ავივლიდით და მეორე სართულზე საკლასო ოთახში შევდიოდით; ბავშვები ჩუმად დალაგდებოდნენ, სიღრმეში, კედლის გაყოლებით ისხდნენ ვაჭვიმული დედები და თვალს ადევნებდნენ მასწავლებელს. გვასწავლიდნენ უბედური ქალიშვილები, რომელთა ძირითადი მოვალეობა აქ შეყრილ ვუნდერკინდთა შორის ქება-დიდებასა და კარგი ნიშნების თანაბარი განაწილება იყო. ერთ-ერთ მასწავლებელ ქალიშვილს რომ უკმაყოფილება გამოეთქვა ან ზედმეტად მოსწონებოდა ვისიმეს პასუხი, პუბონის ქალიშვილები მაშინვე კარგავდნენ მოწაფეს, ხოლო მასწავლებელი ადგილს. აქ ოცდაათამდე ნორჩი აკადემიკოსი ვიყავით შეყრილი და ვერასოდეს ვახერხებდით ერთმანეთში გამოლაპა-

რაკებას. გაკვეთილების დამთავრების-
თანვე ყოველი დედა ქორავით დააც-
ხრებოდა თავის ბახალას და გამოუმ-
შვიდობებლად სახლში მიარბენინებ-
და. იმ სემესტრის დასასრულს დედამ
შემაწყვეტინა სწავლა: არაფერს ვაკე-
თებდი და თანაც ვეღარ გაუძლო, იმას
თუ როგორ მტრულად გადახედავდნენ
ხოლმე მეზობლად მკდარი დედები,
როდესაც ქება-დიდების ჩემი ჯერი
მოდგებოდა. ახალგაზრდა ქერა, პენს-
ნიანი მადმუაზელ მარი-ლუიზ, რო-
მელიც დღეში რვა საათს ასწავლიდა
პუბონების სასწავლებელში და ამა-
ში გლახაკურ გასამრჯელოს იღებდა,
დათანხმდა თავის უფროსების უჩუმ-
რად, სახლში კერძო გაკვეთილები მო-
ეცა ჩემთვის. იგი ხშირად შესწყვეტდა
კარნასს და ამოიხრებდა ხოლმე, რათა
გულზე დარდი მოშვევოდა: შემომჩივ-
ლებდა, რომ საშინლად დაიღალა, რომ
აუტანელ მარტოობაში ცხოვრობს,
რომ ყოველივეს დასთმობდა ამ ქვეყ-
ნად, ოღონდ ვინმეს, თუნდა პირველ
შემხვედრს მისთხოვდეს. ბოლოს ისიც
გაქჭრა: ვითომდა იმიტომ, რომ არა-
ფერს არ მასწავლიდა, მაგრამ მე ვფიქ-
რობ, რომ პაპაჩემმა იგი ბედუკულ-
მართ აღამიანად მიიჩნია. ეს ალაღმარ-
თალი კაცი, ნუგეშს არ აკლებდა ტან-
ჯულთ, მაგრამ მათ შეფასებას თავის
სახლის პერქვეშ თაკილობდა. დროზე
გაუგო: მადმუაზელ მარი-ლუიზ ჩემს
ვულში ეჭვის თესლს ნერგავდა, ვიცო-
დი, რომ ყოველ აღამიანის გასამრჯე-
ლო მისი ღირსების პროპორციულია,
ხოლო მადმუაზელ მარი-ლუიზზე ამ-
ბობდნენ რომ იგი ღირსეული ქალიშ-
ვილია, მაშ რატომ აძლევდნენ მას ასე
ცოტას? როდესაც აღამიანი თავის საქ-
მეს მისდევს, იგი ამაყობს ამით, აღსაყ-
სეა პატრიისციმით თავისთავისადმი,
ბედნიერია რომ შრომობს; რაზან ასეა,
რაზან მას ბედმა დღეში რვა საათის
შრომა არკუნა, რა აღამარაკებდა რომ
მისი ცხოვრება უსაშველოა. პაპაჩემს
რომ ჩემი მასწავლებლის გაჭირვებას
ვუხვებოდი, სიცილით კვდებოდა: ისე-

თი მახინჯია, რომ კაცი არ მღონდრებებს
მაგის შერთვას. მე არ მეცინებოდა მამ,
შეიძლება აღამიანი დაბადებულ ყველ-
რული იყოს? თუ ასეა, მაშ რატომ
ეზივარ: ამ ჩვენ მოწესრიგებულ ქვე-
ყანაში ყოველად უმსგავსო უსამართ-
ლობა ყოფილა. რა წამს მასწავლებე-
ლი დაითხოვეს, ჩემი შეშფოთებაც
მინელდა. შარლ შვეიცერმა უფრო წე-
სიერი დამრავებლები მომიწახა. იმდენ-
ნად წესიერი, რომ არც კი მახსოვს
ვინ იყვნენ. ათ წლამდე მარტო ვიყა-
ვი მოხუცისა და ორი ქალის გარემოც-
ვაში.

ყოველივე რაც მებადა: თვით ჩემი
არსება, ჩემი ხასიათი და ჩემი სახე-
ლი, უფროსების ხელში იყო დ მეც
მათი თვალთ ვისწავლე საკუთარი
თავის დანახვა. ბავშვი ვიყავი, ესე იგი
ის ურჩხული, რომელსაც ისინი თავის
გაცრუებულ იმედებისაგან ჰქმნიან.
უმათოდ, მე მაინც ვკარძნობდი მათი
მზერის ნაკვალევს, დღის სინათლეს
რომ შერჩენოდა. ამ მზერის შუქზე
დავბროდი, დავბტოდი, მან შემანარჩუ-
ნებინა სამაგალითო, წესიერი შვილი-
შვილის სახე, მან განაპირობა ჩემი თა-
მაში და მთელი ჩემი სამყარო. ლამაზ,
გამჭვირვალე ქურქულში, ჩემი სული
რომ ერქვა, აზრები ირეოდნენ, ყვე-
ლას შეეძლო თვალი ედევნებინა მათი
მოძრაობისათვის: ერთი კუნძულიც კი
არ რჩებოდა მოუხილავი, მაგრამ მა-
ინც ამ გამოუთქმელ, უფრომ და უხ-
ორცო გამჭვირვალე უმანკობაში გახ-
სნილი იყო აშკარა ქვეშარბიტება, რო-
მელიც ყველაფერს წამლავდა: მე მატ-
ყუარა ვარ. როგორ უნდა გაითამაშო
კომედიო თუკი თამაშისა არაფერი არ
გაგეგება? იგი თვით ამხელდა თავის
თავს, ის, ნათელი და გასხივოსნებული
გარეგნულობა, რომლიდანაც შეთხზუ-
ლი იყო ჩემი პიროვნება; ამხელდა,
როგორც შებღალულ ყოფიერებას,
რომლის არც ბოლომდე გავება შემეძ-
ლო და მის შეგრძნებასაც ხომ ვერ
შევწყვეტდი. უფროსებს მივმართავ-
დი, რომ მათ დაედასტურებინათ ჩემი

ლირსებები და ეს კი ისევ სიცრუეში
მაგდენდა. მე მისჯილი მქონდა, რომ
სხვას მოვწონებოდი ყველას დასანახა-
ვად ვაფენდი ჩემს მშვენიერებას, ის კი
წამსვე ქანებოდა. ჩემს მოჩვენებით
გულუბრყვილობასა და უქნარა მნიშვნე-
ლოვნებას ყველგან თან დავათრევედი,
იმ იმედით რომ ბედნიერი შემთხვევა
ჩამივარდებოდა ხელში: მჯეროდა რომ
ხელს წავატან, ამ წუთში ხელს ვტაცებ,
ნაბულს ვაკეთებდი, მაგრამ იგი ისევ
უკან მბარუნებდა იმ ჩვეულ ფუჭ სი-
ცარიელსავე, რომლისგანაც გაქცევა
მსურდა. თავის პლედში გახვეული
პაპაჩემი თვლემს. მისი აქოჩრილი
ულვაშების ძირში ვარდისფერი ტუჩე-
ბია გაშვლელბული. ეს აუტანელია:
საბედნიეროდ სათვალე უსხლტება და
მე მივეშურები ასაღებად პაპა იღვი-
ძებს, გულში მიკრავს და ჩვენი დი-
დი სასიყვარულო სცენის გათამაშე-
ბა იწყება. მაგრამ ეს არ იყო რაც მე
მინდოდა. ნეტა რა მსურდა? აღარ-
ფერი მახსოვდა, რადგან უკვე მოკალ-
თებული ვიყავი მისი წვერის ტევრში.
სამზარეულოში შევდივარ. და ვაცხა-
დებ, რომ მსურს დავეხმარო სალათის
გარჩევაში; ამ განცხადებას წამოძახი-
ლები და მზიარული სიცილი მოყვება:
„ასე არა, ჩემო სიხარულო! ხელი მაგრა
მოუჭირე: ასეა! მარი, მიეხმარეთ! დახე,
რა კარგად არჩევს!“ მე ყალბი ბავშვი
ვარ, ხელში სალათას ყალბი კალათი
მიჭირავს. ვგრძნობდი, რომ ყოველი
ჩემი მოძრაობა ყალბი იყო. კომედია
თვალს მიბრმავებდა და მის იქით ვერ
ვხედავდი ვერც ქვეყანას და ვერც
ადამიანებს: მე მხოლოდ ჩემ როლსა
და დეკორაციას ვხედავდი. უფროსე-
ბის სალაღობოდ ლაზღანდარობას
აყოლილს, როგორ შემემლო მათი საზ-
რუნავის სერიოზულად გაზიარება?
ხატის არ ვუტეხდი და ყოველ მათ ჩანა-
ფიქრს ვებმარებოდი ქების ღირსი და-
უზარებლობით, რაც მათი მიზნების
გაზიარებას მიშლიდა. ჩემთვის უცხო
იყო ადამიანთა მოდგმის მოთხოვნი-
ლებანი, იმედები და სიამენი და გულგ-

რილად ვფლანგავდი ჩემს არსებას, რა-
თა მომეჯადოებინა ადამიანები: ^{ჩემი}
ჩემი მაყურებლები იყვნენ, მათგან ეს-
კაშკაშებული რამპით ვეჭვებ ^{ჩემს}
ბული და ამ ამპარტავენტს ^{ჩემს}
ბას, უმაღვე სევდა შესცვლიდა ხოლმე.

გაცილებით უარესი იყო ის, რომ
უფროსების გულწრფელობაც შეეკვე-
ბოდა და თვალთმაქცებად ვთვლიდი. მე
დაშაქრულ სიტყვებს მეუბნებოდნენ,
ერთმანეთს კი სულ სხვა კილოთი მი-
მართავდნენ. ხანდახან ხდებოდა, რომ
თავის წმინდა ვალდებულებას არღვევ-
დნენ, მე ფრიალ მომხიზლავად ვიმანჭე-
ბოდი, რასაც ჩვეულებრივ ნაღდი შე-
დეგი მოჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ახ-
ლა მოულოდნელად ცივად მიბასუხებ-
დნენ: „წადი პატარავ, იქით ითამაშე,
ლაპარაკს ნუ გვიშლი.“ სხვა დროს
ისეთი გრძნობა აღმეძვრებოდა ხოლმე
თითქოს რალაცაში მიყენებენ. დედას-
თან ერთად ლიტქემბურგის ბაღში
ვსვირნობ, უცებ საიდანდაც ჩნდება
ბიძაჩემი ემილი, რომელიც მთელ ოჯახ-
თან უმძრახად არის. იგი პირქუშად
შესცქერის დედაჩემს და მშრალად
ეუბნება: „შენი გულისათვის არ მოვ-
სულვარ: პატარას ნახვა მინდა“. დას-
ძენს, რომ ოჯახში მხოლოდ მე ვარ
წმინდა გულის ადამიანი, არ მიმიყენე-
ბია მისთვის განზრახ შეურაცხყოფა
და მოტანილი ჭორების გამო არ გამიმ-
ტყუნებია. მე მელიმება, თან მრცხვე-
ნია ჩემი ძლიერების და იმ სიყვარუ-
ლის გამო, რომელიც ამ ბნელი ადამი-
ანის გულში აღძვარი. მაგრამ და-ძმა
უკვე თავის საქმეებზე ლაპარაკობენ
და ურთიერთ წყენასა და შეურაც-
ხყოფას ჩამოსთვლიან. ემილი შარლს
ემდურის, ან-მარი მამას იცავს, მაგ-
რამ თანდათან უთმობს ძმას, შემდეგ
ლუიზაზე იწყებენ ლაპარაკს, მე კი სუ-
ლაც აღარ ვახსოვარ და ვარ ჩემთვის,
ამ რკინის სკამების ამარა მიტოვებუ-
ლი. ცოტა უფროსი რომ ვყოფილიყავი
აღვილად შევითვისებდი მემარჯვენე-
თა ყველა წეს-ჩვეულებას, რომლის
თვალსაჩინო მაგალითს მოხუცი მე-

მარცხენეს ყოფაქცევა იძლეოდა: ტყუილი და მართალი ერთიდაიგივეა, თუ გინდა გრძნობა გაითამაშო, ისე მოიქეცი თითქოს ნამდვილად ვანიცდი, ადამიანი ზომ ცერემონიებისათვის შექმნილი არსებაა. მე მარწმუნებდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ იმისათვის ვარსებობთ, რომ კომედია გავითამაშოთ, კომედია ვთანხმდებოდით, ოღონდ იმ პირობით, რომ მთავარი მოქმედი პირი ვყოფილიყავი: მაგრამ გამოფხიზლების წუთებში, სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდით, რადგან ვხედავდი რომ ყალბი როლი მაქვს: ზედმეტი სალაპარაკო, მრავალი გამოსვლა, მაგრამ არც ერთი „საკუთარი“ წამყვანი სცენა, ჩემი როლი მხოლოდ უფროსებისათვის რეპლიკების მიწოდებით შემოიფარგლებოდა. შარლი მეალერსებოდა, რათა სიკვდილი მოეთაფლა, ლუიზა ჩემი ანცობით ამართლებდა თავის ცუდ გუნებას, ხოლო ან-მარი თავის მორჩილებას. მაგრამ მე რომ არ ვყოფილიყავ, მშობლები მაინც შეიფარებდნენ ან-მარის, ხოლო მორჩილება მაინც სათამაშოდ გახდიდა მას დედის ხელში. მე რომ არ ვყოფილიყავ, ლუიზა მაინც არ მოიშლიდა ყველას მიმართ ბურთიანობას, ხოლო შარლი მაინც მოვიდოდა ხოლმე ალტაცებაში მონ სერვენის მწვერვალის, მეტეორებისა ან სხვისი ბავშვების გამო. მე მხოლოდ მათი ხშირი ვათიშვისა და შერიგების შემთხვევითი საბაბი ვიყავი: ქეშ-მარიტი მიზეზი სულ სხვა იყო. იგი უნდა მაკონში, ვუნსხხში, ტივიეში გვექებნა, მოგვენახა მოხუც დაძაბუნებულ გულში, იმ წარსულში, იმ ამბებში, რომლებიც ჩემ დაბადებამდე დიდი ხნით ადრე მოხდა. უფროსებისათვის მე ოჯახური თანხმობისა და ძველთაძველი დავის ანარეკლი ვიყავი. ჩემს ღვთითმოცემულ ბავშვობას იყენებდნენ, რათა იმად გამხდარიყვნენ, რაც სინამდვილეში იყვნენ. ვიყავი ამ გაჭირვებაში: იმ დროს, როდესაც მთელი მათი ცერემონიები იჭითვენ

იყო მიმართული, რათა დავერწმუნებინე, რომ არაფერია ამქვეყნად უმბინო, რომ ყოველივეს უმცირესსა და უდიდესს თავისი ადგილი აქვს. მშენებლობის სამყაროში, თვით ჩემი სჯუთონის^{საქმის} სებობის აზრი ხელიდან მისხლტებოდა, ვგრძნობდი, რომ ტყემალზე ვარ და მარცხვენოდა, რომ ამ მოწესრიგებულ სამყაროში ვარიყულად ვარსებობ.

მამა რომ მყოლოდა, იგი უზრუნველყოფდა ჩემთვის ცრუ შეხედულებათა მყარ მარაგს; იგი შეიჭრებოდა ჩემს არსებაში, თავის უფიცობას ჩემს განსწავლულობად აქცევდა, თავის გულღვარაძლიანობას ჩემს ქედმაღლობად, მისი ახირება ჩემთვის კანონი გახდებოდა, იგი დამკვიდრდებოდა ჩემში. ეს პატივცემული მღვმური ჩემი თავის პატივისცემას დამინერგავდა, ხოლო საკუთარ თავისადმი პატივისცემა ამის უფლებას დამიმკვიდრებდა. მშობელი განსაზღვრავდა ჩემს მომავალს: ჩამომავლობით პოლიტექნიკოსს, ამ მომავლის დარდი არ მექნებოდა. მაგრამ, თუ ეან—პატისტ—სარტრმა იცოდა, ჩემი ბედ-ილბალი, მან ეს საიდუმლო საიქიოს გაიყოლა. დედაჩემს მხოლოდ ისლა ახსოვდა, რომ მამას უთქვამს: „ჩემი შვილი მეზღვაური არ გახდება“. უფრო ზუსტი ცნობების უქონლობის გამო, არავინ იცოდა და უპირველესად ყოველისა, არც მე ვიცოდი, თუ რისთვის დავბოგინობ ამქვეყნად. მამაჩემს რომ ქონება დაეტოვებინა, ჩემი ბავშვობა სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, არ დავიწყებდი წერას, რადგან სულ სხვა ვიქნებოდი. მამული და სახლკარი ანალგაზრდა მემკვიდრეს თავისი საკუთარი პიროვნების ურყევ გამოსახულებად მიაჩნია. იგი დადის საკუთარ მიწაზე, ხელით ეხება საკუთარი შუშაბანდის დაკუთხულ მინას, და მათ შეურყვევლობაში თავისი უკვდავი სულის რაობას ხედავს. ამ რამდენიმე დღის წინათ გავიგონე, როგორ უყვაროდა რესტორანის პატრონის შვიდი წლის ბიჭუნა მოლარე ქალს: „როდენ-

საც მამა აქ არ არის, მე ვარ პატრონი!"
აი, ვაჟკაცი! მის ასაკში მე არავისი პატრონი არ ვიყავი და არაფერი მეზავდა. იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ცელქობას ვიწყებდი, ღედა ჩურჩულით მტუქსავდა: „გონს მოდი, ჩვენსა ხომ არა ვართ!“ ჩვენ არასოდეს არ ვიყავით ჩვენსა: არც ლე გოფის ქურჩაზე, არც შემდგომში, როდესაც ღედა მეორედ გათხოვდა. მე ეს არ მტანჯავდა, რადგან ყველაფერს მისრულებდნენ, მაგრამ ისევ აბსტრაქციად ვრჩებოდი. მემამულეს ამქვეყნიური სიკეთენი საკუთარი თავის ასახვად ეჩვენება, მე კი ისინი მიმითითებდნენ იმას, რაც ჩემში არ იყო: მე არ გამაჩნდა სიმტკიცე და მუდმივობა, მე არ ვიყავი მამაჩემის საქმის გამგრძელებელი, მე არ ვიყავი საჭირო ფოლადის დასამზადებლად: ერთი სიტყვით, ამ მქონდა სული.

საუცხოო იქნებოდა საკუთარ სხეულთან თანხმობით რომ მეცხოვრა. მაგრამ ჩემი სხეული და მე, უცნაური წყვილი ვიყავით. ღარიბი ბავშვი არაფერს ეკითხება თავისთავს: გაჭირვება და ავადმყოფობანი გამუდმებით აყენებენ მას ხორციელ ტანჯვას, ყოველად გაუმართლებელი პირობები ამართლებენ მის არსებობას, შიმშილი, სიკვდილის მუდმივი საშიშროება, უმკვიდრებენ მას სიცოცხლის უფლებას: იგი ცხოვრობს რათა არ მოკვდეს. მე კი, არც იმდენად მდიდარი ვიყავი რომ ჩემი ბედისწერისა მკეროდეს, არც იმდენად ღარიბი, რომ სურვილები აუცილებელ საჭიროებად

მიმაჩნდეს. სუფრასთან მე ვისჯებოდი ჩემს მოვალეობას და ღმერთი მტყა იშვიათად მაინც, მანიჭებდა თავის მადლს — რაც მდგომარეობაში ვიყავი რომ მექამა და არ შემიძლებოდა — ე. ი. მადას მანიჭებდა. უფიქრლად ვსუნთქავდი, საცმელს ვინებდდი, გარეთ ვავდიოდი, ვცოცხლობდი, რადგან დავიწყე სიცოცხლე, ჩემი სხეული — ჩემი ნაბატეები კომპანიონი, არ მაწუხებდა არც ვნებათა ღელვით და არც დაუდგრომლობით. მხოლოდ თუ უკუენებოდა გამიპიანურდებოდა, უფროსები მეტ ვულისყურს იჩენდნენ. იმ ხანად, ყოველ პატივსაცემ ოჯახში ერთი სხეული ბავშვი მაინც უნდა ყოფილიყო. მე ნამდვილად მისწრება ვიყავი, ვინაიდან დაბადებისას კინალამ გამოვესალმე წუთისოფელს. თვალს მადვენებდნენ, მაჯას მისინჯავდნენ, სიცხეს მიზომავდნენ, ენას მაყოფინებდნენ: „ვერ ხედავ, ღღეს რა ფერმკრთალია!“ „ასეთი სინათლეა“, „გამხდრად მეჩვენება“, „კი, მამა, მაგრამ გუშინ აფწონეთ!“ ამ მომამზებრებელ მეთვალყურეობის ქვეშ, ჩემ თავს ნივთად, ქოთანში დარგულ ყვავილად მივიჩნევდი. ბოლოსდაბოლოს, ლოვინში მაწვედნენ. სიცხისაგან ვიხუთებოდი, საბანქვეშ ვშუშდებოდი, ველარ ვარჩევდი რა მაწუხებდა, სხეული თუ მისი ავადმყოფობა და არ ვიცოდი რომელი მათგანია უფრო არასასურველი.

ფრანგულიდან თარგმნეს
კოტე ჯამაიზვილიშა და ვასტონ ჯამაიზვილიშა

(გაგრძელება იქნება)

გიორგი დონიძე

ტანჯის სიუჟეტი

მიხეილ შოლოხოვი საბჭოთა ლიტერატურის ლომია, ჩვენი დროის უდიდესი მწერალი და ამასთანავე შეუდარებლად გულისხმიერი და უბრალო კაცი.

მაგონდება კახეთში შეხვედრა შოლოხოვთან, ინწობის პირას, ტყეში, იქ იყვნენ მევენახეებიცა და მიწის მხენელებიც, მასწავლებლებიცა და მწერლებიც. გულითად სიტყვებსა და საუბრებში ყველა აღნიშნავდა შოლოხოვისებურ სიყვარულს სიმართლისადმი, ადამიანისადმი. ლაპარაკობდნენ მის სისხლსაც რეალიზმზე; მწერლის გამჭრიახსა და ყოვლისმხედველ თვალზე, მის მაღალ სულზე, რომელიც ასერიგად ათბობს ადამიანს.

წრფელი გულით უხდიდნენ მადლობას დიდ მწერალს მისი მკითხველები.

— ჩვენ პირველად გხედავთ, მაგრამ ისე ვხედებით, როგორც მეგობარს, — ამბობდნენ ისინი.

ამის პასუხად შოლოხოვი თავისთვის იღიმებოდა.

შოლოხოვი იმორჩილებდა ყველას კეთილი ზნითა და მორცხვი ხასიათით, მისი სახე ნიშანი იყო უდიდესი თავმდაბლობისა, რომელიც ასე ამშვენებს კაცს. რა თქმა უნდა, იგი ამაყი დუმილით არ განმარტობებულა, შინაურულად საუბრობდა, ხუმრობდა და... მონადირულ ტყუილ-მართალსაც კი პყვებოდა.

შოლოხოვი ღრმა ფიქრის კაცია, ამასთანავე გულდიაა, სიცოცხლით საესე-გულწრფელია და გულითადი. უშუალოა მისი ბუნებრივი სიკეთე, მისი ადამიანური გული, მისი ყოვლისმომცველი ძალა. მასში მღერის ცხოვრების მარადი-

ული ბუბუღი. „ქვეყნის დაპყრობა ეს დიდი გმირობა არ არის, გმირობაა, თუნდაც ერთი კაცის გულს რომ დაიპყრო, — ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. შოლოხოვმა კი თავის გულით მილიონობით დაიპყრო. ამიტომაც შოლოხოვის სიტყვა მიწის სიუხვით დამძიმებული თავთავებია, დონის სტეპების სურნელოვანი ბალახია. ეს სიმართლეა, ძალა და დიდება ხალხისა.

...ხმაურობს ინწობა. აღმას შეხედებს ისერის. მიხეილ შოლოხოვის პატივსაცემად მდინარის ხმაურთან ერთად გუგუნებს მრავალკამერი. იგი კი, მშვიდი ზომიერი და ნათელი კაცი ლაპარაკობს სულიერ ტრადიციებზე, სვამს საღვებგაქვლოს ამ მაღალი მთებისა, სვამს პურის, ღვინის და სიყვარულის ბარაქის საღვებგაქვლოს.

— ჩვენ ისევე გვიყვარხართ, როგორც გვიყვარს ეს ჩვენი მაღალი მთები, — პათეტიკურად მიმართავს მწერალს ძველი პედაგოგი.

კახეთი ვაზის ქვეყანაა, მშრომელი ხალხის მხარეა, კახეთი, როგორც საკუთარ შვილს, ისე ეგებებოდა შოლოხოვს. ფართოდ გაუღეს გულის კარი დიდ მწერალს სიღნაღის მცხოვრებლებმა.

... ჩვენ აივანზე ვდგავართ. ცა ღურჯია, კრიალა. მზის სხივებით გასხივოსნებული, როგორც სიხარული. ქვემოთ ხოხბის ყელივით ეღვარებს ალაზნის ველი. უსაზღვრო ბაღები, ვენახები გარშემორტყმულია ღურჯინისლიანი მთებით, შორს კი გრძელი კავკასიონის კედელია. მისი თოვლიანი მწვერვალები შესანიშნავ სანახაობას ქმნიან. ოდეს-

დაც სტრამონი გაოცებული წერდა ამ მიწის ბარაქაზე. «ვახის ახალი ნერგები მეორე წელსვე იძლევიან ნაყოფს, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ვაზი იმდენ ყურძენს ისხამს, რომ ხშირად მტევანი ვაზზევე რჩება და ღებება. კახეთის საბედნიეროდ მიწა ახლაც უხვი და ბარაქიანია. შოლოხოვი დიდხანს დაჟინებით ვასცქეროდა ალაზნის ველს.

— სიღნაღი, ალბათ, იმიტომ აუშენებიათ, რომ აქედან დამტკბარაყვენენ ალაზნის ველის მშვენიერებით.— ამბობდა იგი.— მართლაც მშვენიერი ქვეყანაა. რა სივრცეებია! ვწუხვარ, რომ აქამდე არ ვყოფილვარ. ალაზნის ველის არნახვა დანაშაულია.

... წინანდალი. «მუშათა სავანეს» უწოდებდნენ ამ ადგილს მე-19 საუკუნის ქართველი და რუსი მწერლები.

აქ ცხოვრობდნენ ნინო ჭავჭავაძე— გრიბოედოვისა და მისი დაი ეკატერინე. მათ სიღამაზესა და მშვენიერებას უძღვროდნენ რუსი და ქართველი პოეტები. წინანდალში შოლოხოვმა ინახულა სახლ-მუზეუმი ალექსანდრე ჭავჭავაძისა, შესანიშნავი პოეტისა და მეომრის, საზოგადო მოღვაწისა, ვოლტერის, რასინის, კორნელის მთარგმნელისა, ჩადაევის რაევსკის, ბესტუჟევი-მარლინსკის მეგობრისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სიმამრისა. ჩვენს სტუმარს ანახეს წინანდალის ღვინის ქარხანა. როდესაც სურნელოვან ღვინოს აჭამნიყებდა, მიხეილ შოლოხოვმა შეინშნა:

— ქართულ ღვინოს მთელი ქვეყანა იცნობს. იგი ქართული ლექსივითაა!

თელავიდან გომბორის გავლით თბილისში მოვემგზავრებით. დასასვენებლად თეთრ წყლებში შევჩერდით, ხევსურულ სოფელთან. საუბარი ჩამოვაგდეთ ამ სოფლის მამაც მცხოვრებლებზე. ძლიერი ხასიათების გამომძერწავს განსაკუთრებით მოეწონა ჩემ მიერ მოყოლილი ერთი ამბავი.

ორთაბრძოლაში მოკლეს ხევსური— მამაცი მეომარი. სიკვდილის წინ ღმერთს ევედრებოდა: «ხელმეორედ გა-

მაჩინე და თუ მტერი ისევ მომკლავს, შეტს ნულარ გამაცოცხლებს!»

II

თბილისში ჩამოსვლამდე შოლოხოვი გაზეთ «კომუნისტის» კორესპონდენტებს ეუბნებოდა, რომ საქართველოსკენ გული ეწეოდა და არა ცნობისმოყვარეობა, რომ საქართველო ყოველთვის იყო მისი მშობლიური მიწა და ამ მიწისადმი პატივის მიგება მისი ოცდაათწლიანი ოცნება იყო.

სტანიცა ვეშენსკიას სახელოვან შეილს დიდი ხანია ვიცნობ. 1935 წ. ზაფხულში მოსკოვს მივემგზავრებოდი. სადგურ მიღეროვოში. ჩვენ კუბეში შემოვიდა ახალგაზრდა სიმპათიური კაცი, რომელსაც თეთრი ზალათი ეცვა და ლურჯი, ფიქრიანი თვალები ჰქონდა. მე დამამახსოვრდა კეთილი სახე, ღრმა შინაგანი განცდებით დაღარული.

ერთმანეთს ვავეცანიით. ეს იყო მიხეილ შოლოხოვი. ჩემთან ერთად მგზავრობდა კინო რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი— მახვილსიტყვა, მხიარული კაცი. მის ხუმრობებზე მიხეილ შოლოხოვი მხოლოდ იღიმებოდა. მერმე ჩვენ ვებედავით მოსკოვში, მწერალთა ყრილობებზე. ახლა კი საქართველოში შევხვდით.

თბილისი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი უძველესი და მარად ახალგაზრდაა. თბილისის მცხოვრებლებმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, მწერლებმა გულთბილად მიიღეს დონის ნაპირებიდან ჩამოსული ძვირფასი სტუმარი. შოლოხოვი აღტაცებული იყო თბილისის რიტმით, გულის ცემით. მუზეუმები, თეატრები, მერმე მთაწმინდის პლატო. მამადავითის მთიდან ღრმად ჩაფიქრებული ვასცქეროდა ქალაქს და ხმადაბლა ამბობდა:

— ასეც ვფიქრობდი...

მეორე დღეს გავეშურეთ საქართველოში სამოგზაუროდ.

სტუმარს, რესპუბლიკის ლირსშესანიშნაობებს აცნობდნენ პოეტი ირაკლი აბაშიძე, კრიტიკოსი ვიორგი ჭიბლაძე,

ჟურნალისტი დავით მკედლიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

თბილისიდან მცხეთას ჩავედით. საქართველოს ძველ დედაქალაქსა და კულტურას ცენტრში. შოლოხოვმა დაათვალიერა „ჯვარი“, VI საუკუნის ისტორიული ძეგლი. ვინ არ მოუხიბლავს — „ჯვარის“ სიმალიდან გადაშლილ სანახებს. არაგვის მარცხენა ნაპირიდან აზიდულია ზედახენი, რომელსაც ძველი მონასტრის ნანგრევები გვირგვინივით ადგას. ქვევით გაშლილია მუხრანის ველი. აქ იწყება არაგვის ხეობა. შორს კი გოლიათი მყინვარი ბრწყინავს. სულ ახლოს დიდებული სვეტიცხოველია.

აი, პომპეოსის ხიდი. აქ სახელგანთქმული რომაელი მხედართმთავარი ებროდა დიდ მითრიდატს. მცხეთაში „როგორც უდაბნოს ლომი მონადირისგან“, თავს იცავდა მითრიდატი. ჩვენს ნაამბობს ყურადღებით ისმენდა შოლოხოვი. მას აინტერესებდა არა მხოლოდ წარსული მცხეთისა, არამედ მისი ახალი ცხოვრება, დღევანდელი დღე.

მერმე საქართველოს სამხედრო გზა: ეივანო, ანანური, ფასანაური, მღვთა, გუდაური, სიონი, ყაზბეგი. გაგიჟებული თერგი, დარიალის ხეობა, დავით აღმაშენებლის სასახლის ნანგრევები. შოლოხოვი თბილისს დაბრუნდა, საჩუქრად წაშოიღო ბუნების სილამაზე და მშვენიერება.

ჩვენი სტუმარი გააოცა კლდეში გამოკვეთილმა ქალაქმა ვარძიამ. რვა-ათ სართულიანმა, ნახევრად დანგრეულმა ციხე-სიმაგრე-მონასტრმა. გააოცა დიდმა ტაძარმა, დარბაზებმა, არხებმა, მარნებმა, ფარულმა გასასვლელებმა, გვირაბებმა, ათასნაირმა სამეურნეო ნაგებობამ.

სტუმარს უთხრეს რომ ეს ქალაქი ააგეს თამარ მეფემ და მისმა მამამ გიორგი III ფეოდალური საქართველოს აყვავების პერიოდში. სპარსეთში საღამუქროდ მიმავალი თავისი მხედრობა აქ დალოცა თამარმა.

დიდი ყურადღებით დაათვალიერა შოლოხოვმა ვარძია. თანამგზავრები და-

ილაჩნენ. გადაწყვიტეს დასვენებამ. მაგრამ შოლოხოვს დასვენებისთვის არც ეცალა, ჩიუტად აღიოდა. მისი ალტაცებული იყო ვარძიის შემქმნელთა სიმამაცითა და ხელოვნებით.

— რა ხელმა გარდაქმნა ეს კლდეები ქალაქად! ვინ იყო ამის ოსტატი, ვინ გამოკვეთა ქვაში ეს დიდებული დარბაზები! ეს დიდი გმირობაა, — ამბობდა შოლოხოვი. მე ბედნიერი ვარ, ვნახე და გავიგე საქართველოს წარსული.

ვარძიის კლდეებში გრილა, ყინულივით ცივი წყალი მოჩუჩუხებს.

— ღმერთების სასმელია! — იღიმება მწერალი.

მიხეილ შოლოხოვს ქართული ლექსის ქღერადობა აინტერესებს.

— ქართული ლექსის მოსმენა მინდა, მინდა ვიცოდე, როგორა ქღერს.

რა თქმა უნდა, თხოვნა დაეუკმაყოფილეთ.

— შესანიშნავია ქართული ლექსი, ეს მრავალხმიანი ქართული მუსიკა!

ჩვენთან საუბარში ხშირად ახსენებდა ჩვენს წმინდა კერპებს: რუსთაველს, ბართაშვილს, ვაჟა-ფშაველას. შოლოხოვის საყვარელი ლექსია ბართაშვილის „ცისა ფერს“. დიდი მღელვარებით კითხულობს მიხეილ შოლოხოვი:

ცისა ფერს, ლურჯა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვებრფოლო.

და ახლაც, რღს სასხლი
მაქვს გაციებული,
უფიცავ—არ ვებრფო
არ ოღენ ფერსა სხვა.

თვალბში მშვენიერს
ვებრფო მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოქართოს სიამოი.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,
რომ უშხით დამდნარი
შევეთო ლურჯა ფერს.

მოკვედები—ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —

მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცეარს ციფრს!

სამარეს ზემსა, როს
გაბს ნილა მოეცეს—
იგია შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

... შოლოხოვმა ცოტახანი დაპყო საქართველოში, მაგრამ რამდენი ცოცხალი შთაბეჭდილებები გაპყვა თან მე მგონია, სტუმარი ჩვენი ხალხის სულიერ აზრს ჩასწვდა, განსაკუთრებით მოეწონა ჩვენი სიმღერები.

— თქვენს სიმღერებში, თქვენი მდინარეების ჩუხჩუხი ისმის.— შენიშნავდა შოლოხოვი.— ქართველი ხალხი გენიალური კომპოზიტორია.

მახსოვს, კახეთში, ინწობის ნაპირებზე მიხეილ შოლოხოვმა ტყის მღუმარკებას ბეთხოვენის სიყრუე უწოდა, ეტყობა, ამაში გენიალური კომპოზიტორის შინაგან შემოქმედებით სამყაროს გულისხმობდა.

— „გაფრინდი შავო მერცხალო“ იმღერეთ, — სთხოვდა შოლოხოვი მომღერლებს. ფასანაურსა და მცხეთაში კი მისი თხოვნით შეასრულეს „გამოღმით შენ ხარ“. კახელი მომღერლები შოლოხოვის პაცივისაცემად მღეროდნენ სახელგანთქმულ „მრავალკამიერს“.

— ხედავთ, რა ხმა აქვთ ალაზნის ველებს, — ამბობდა შოლოხოვი. სახეს ღიმილა უნათებდა, — იმღერეთ, სიმღერით გავიაროთ ალაზნის ველი.

... როგორც მე მომეჩვენა, მიხეილ შოლოხოვს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, მაგრამ იგი ლიტერატურის ღირსებას ყოველთვის ფიზიკად დააჩოვს.

მახსოვს, ქართველ პოეტთა წრეში ჩამოვარდა საუბარი პოეტურ დაფნის გვირგვინებზე. პოეტები ხუმრობდნენ, მახსობდნენ. შოლოხოვი იცინოდა. მაგრამ უცებ მის თვალებში ფიქრი გაწვა. მან შემოქმედების სიძნელეებზე უკვე სხვა კილოზე დაიწყო საუბარი.

— ეს დაძაბული, უწმინდესი შრომაა. დაფნის გვირგვინებს ევრე ადგუღად ვერ მოიხეკვ.

შოლოხოვი სიტყვისთვის წამებულა და სიტყვის ტრიუმფატორსაა.

შოლოხოვი განთქმულია სიტყვის დიდი სიტყვათამცოდნე. ეს სახელი ბრწყინვალე ტალანტითა და მძიმე, ჯიუტი შრომით მოიპოვა.

— რამდენიმე დღეში თითქმის მთელი საქართველო მოიარეთ, ალბათ, ძალიან დაიღალეთ, — უთხრეს შოლოხოვს.

— სიყვარული ადამიანს არ ღლის, — უპასუხა მან, — ბევრი სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი ვნახე, აქ ყველაფერი ჩემთვის მშობლიური იყო, მახლობელი, ძვირფასი, საქართველოში ყოფნისთვის ერთი კვირა ძალიან ცოტაა. ამიტომ მე ისევე დავბრუნდები.

სწრაფად გაიარა შოლოხოვის დღეებმა საქართველოში. ძნელი იყო მასთან განშორება. ჩვენ მოგვხიბლა მისმა ამაღლვებელმა ნათელმა გონებამ. მისმა ფრთიანმა გულმა.

და, აი, უკვე ჩვენ დონის პირას ვართ. 1961 წელი. მცხუნვარე ივლისი.

გიორგი ჯიბლაძე, დავით მჭედლი-შვილი და მე შოლოხოვს ვესტუმრეთ. წკრილა დილა. მწერლის სახლს ვუახლოვდებით. სტანიცის გზებზე ხორბლით, დონური ბარაქით დატვირთული მანქანები მოედინება...

... სტუმართმოყვარე სახლი ვეშენსკაიაში. ჩვენ გვიწვევენ მდინარე ზოპერის ნაპირებზე სათევზაოდ. მე მშობლიური ბუნების მშვენიებით განებივრებულ ქართველს მაოცებს დონური პეიზაჟის სილამაზე; გასაოცრად მწვანე მდელოები, ყვავილების სურნელება.

ზოპერის ნაპირზე დიდი კარავია დაცემული. ქვაბში თევზი იხარშება, აქვეა გაშლილი სუფრა. ჩვენ ვიყავით მიხეილ შოლოხოვის ყურადღებითა და მისი მომხიბლავი მუღულის მარია პეტროვნას გულითადობით გარემოცული.

შოლოხოვების ოჯახში გატარებული სამი დღე მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვება.

იმ დროს შოლოხოვთან სტუმრად იყო სკანდინაველი გამომცემელი თავისი მე-

უღლითურთ. ვლამარაკობდით ლიტერატურაზე, ლექსებზე. უცებ, ჩვენთვის მოულოდნელად, მიხეილ შოლოხოვმა უცხოელ სტუმარს დაუწყაო საუბარი ვაჟა ფშაველას მნიშვნელობაზე.

— ეს არის ქართული პოეზიის მთის არწივი. დიდი დანაკლისია, რომ მისი ლექსები აქამდე არ არის თარგმნილი მსოფლიო ენებზე. გირჩევთ დიდი ქართველი პოეტის გამოცემას.

უცხოელი ყურადღებით უსმენდა შოლოხოვს და რალაცას იწერდა.

... წყნარი დონი ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი ბარაქით.—ის უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ნილოსი. შოლოხოვის შემოქმედება წყნარი დონისაგან ბოძებული სიკეთეა. მშობლიური მიწის საუბრე დედა ტალანტის სიუჟეტისა. შოლოხოვის ტალანტის ძალა მშობლიური მიწის დაუცხრომელ სიყვარულშია.

მდინარე ხოპერის ნაპირები... მინდვრები, სურნელოვანი ბალახი, ოქროს

მღუშარება, ჩვენ თევზაობიდან გზარუნდებოდით. მანქანიდან უკვე ჩვეულებრივად შოლოხოვი აქებს ღმრთაველას მშვენიერ ყვავილს — ოქროშინდას. მე ძველი სიყვარული მაქვს ოქროშინდასი, ეს ყვავილი საქართველოშიც ბევრგან ზარობს.

დგას შოლოხოვი და მშობლიურ სივრცეებს გასცქერის. ოდესღაც ამ მიწაზე ფეხშიშველი დარბოდა ავტორი დონური „ილიადასი“.

მზით გარუჯული, ქარდაკრული, როგორც თავმდაბალი გუთნის—დედა. უკრეტდა მშობლიურ სანახებს. იგი გავდა მუხნარის ძველ ღმერთს.

დიდხანს ვუმზერდი შოლოხოვს და ვფიქრობდი: რა ღრმად ჩაწვდა იგი ამ მიწის საიდუმლოებას. მისი სული დაწნულია ყვავილებისა და თავთავებისაგან. მის ძარღვებში ყამირის სისხლი სჩქედს.

გიორგი გვარამია

პოეტური ოსტატობა და თანამედროვეობის
ტენდენციები

პოეზიის ისტორიის ვრცელ მანძილზე სიახლის ცნება უაღრესად შეფარდებითი ტერმინია და მუდამ საჭიროებდა მასში ასახული მასშტაბებისა და ღირებულების დაზუსტებას. სიახლეა მთელი რევოლუცია პოეტური აზროვნების სტილში, ვერსიფიკაციაში და სიახლეა ჩვეულებრივი მიმდინარე ლიტერატურული პროცესისათვის არსებითი ნიშნების გაუმჯობესებაც, მათი უმაღლეს დონეზე გამოვლენა. პირველი, ძნელად ასათვისებელი, და იშვიათი მოვლენაა, რომელიც ძირითადად, ეპოქების დასაწყისსა და ლიტერატურულ ცხოვრებაში გამოჩენილ ახალ სახელებს უკავშირდება. მეორე, შედარებით ადვილად მისაწვდომი და ტალანტთან დაკავშირებული ფაქტია. იხვეწებოდა და მდიდრდებოდა XX საუკუნის დასაწყისში გამოვლენილი ახალი პოეტური ზომები, სახეები, ლექსის შინაგან ბუნებაში გამოვლენილი საწყისები. და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან პოეზია უშუალოდ თანამედროვე ადამიანის სულიერი არსენალიდან საზრდოებს და, ბუნებრივია, დროში მომხდარი ცვლილებები ისევე უნდა ისახებოდეს მის ფორმებში, როგორც ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ახალი შთაბეჭდილებები ისახება მის ნაზრევში. ისიც უდავოა, რომ ხელოვნების ყველა დარგისათვის ეს საერთო კანონზომიერება არ შეესაბამება ლირიკული ქანრის სამყაროსთან „სარკისებურად“ დგომის წარმოდგენას. ლირიკა, მიუხედავად ადამიანის ინტიმურ სამყაროდან პირდაპირი მო-

დინარეობისა, უფრო „კონსერვატიულია“ ვიდრე ხელოვნების სხვა დარგი. სიახლე გაცილებით უფრო თვალსაჩინოდ ისახება პროზაში და განსაკუთრებით დრამატულ ხელოვნებაში, სადაც ახალი ურთიერთობის, ახალი ხასიათების, ინტერესების, საგნობრივი ფონის სანახაობითი წარმოდგენის მეტი შესაძლებლობაცაა მოცემული, ვიდრე ესაა პოეზიაში. ლირიკისათვის „ეპოქის მატერიალური სამოსელის“ (გოეთე) ფლობა არაა არსებითი მომენტი და ამის გამო პოეტს არ ჩამოერთმევა თანამედროვეის პასპორტი. ვაჟას პოეზია მოკლებულია „ეპოქის მატერიალურ სამოსელს“, ისევე, როგორც დღეს ესაა გ. ლეონიძის ბევრ ლექსში ან ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინაში“, მაგრამ ისინი თანამედროვეობის სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებებია. როდესაც კითხულობ გ. ლეონიძის სტრიქონებს —

მოსაღამურდა.
ხვალი მგლები დასხდნენ შავადა,
ლუქმას ხლეჩავენ დამკლავებთა.
ლეონიან ჯამში
ნარკოზიეთი მოვარე ჩავარდა,
ივსება მტკვარი ვარსკვლავებითა... —

აქ ისევე ძნელია ეპოქის ისტორიული ნიშნების გამოვლენა, როგორც ამ ლექსის ესთეტურ ღირებულებაში დაკვირება. ეს მომენტი ლირიკული ქანრის



მინაგან „კონფლიქტებს“ უკავშირდება და მისი გარღვევა ლირიკის განვითარების, საგანთან და სიტყვასთან დამოკიდებულების რთულ კომპლექსს მოიცავს. ამდენად, მცდარია იმ კრიტიკოსთა აზრი, რომლებიც თანამედროვე ქართულ პოეზიაში სიახლის გამოვლენას მხოლოდ თემებსა და მოტივებში ხედავენ. ხელოვნების დარგებიდან ლირიკა ყველაზე უფრო ინარჩუნებს თემებისა და მოტივების ისტორიულად განსაზღვრულ სახეს. პოეზიას აქვს მარადიული მოტივები და თემები, რომლებიც შემოქმედებით მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყველა ეპოქაში. და რა გასაკვირია, რომ დიდი პოეტური ტალანტის შემოქმედებითი მასშტაბების შემოწმებაც, ძირითადად, ხდება იმ მარადიულ პრობლემატიკაში, რომელიც საჭიროებისა და აუცილებლობის ღირებულებას არ კარგავს არც ერთ ეპოქაში.

როდესაც პოეტურ სიახლეებზე ლაპარაკობენ, ხშირად, მხედველობაში აქვთ თვით ლირიკული ქანრის სიახლეც, მაგრამ დღეს ახალი ქანრი არავის შეუქმნია. და იგი უფრო იმ ფსიქოლოგიური შთაბეჭდილების უკუფენაა, რომლის მიხედვითაც თანამედროვეობაში სასწაულებრივი გადახალისებისა და ახლის შექმნის ტენდენციაა. იგივე შეიძლება ითქვას პროეზიაზეც ეს უკვე ლიტერატურული კალმის ცდომილებაა და, როგორც ყოველგვარი შეცდომა, არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. როგორც ცნობილია, თითქმის ყველა თანამედროვე ლირიკული ქანრი თავისი სტრუქტურული მოდელით, აბსოლუტურად განსხვავებული სულისკვეთებით ეპოქების ნაყოფია და მექანიკურად ატარებს წარსულის ანაბეჭდს. ლიტერატურულ პროცესში რომელიმე ლირიკული ქანრის ახალი „ვაკტიურება“ და „გათანამედროვეება“ სწორედ თანამედროვეობასთან ამ სტრუქტურული მოდელის ასე თუ ისე შესაბამისობაში ვლინდება. ლირიკული ქანრის შერჩევა უკვე პოეტური ინდივიდუალობის თავისებურებიდან, მისი შემოქმედებითი ინტერესე-

ბიდან, გამომდინარეობს და არა თვით ქანრის სიახლიდან. იგივე ვითარებაა პოეტური ინტონაციის ცვლილებების თვალსაზრისით უფრო ელასტიურ სფეროში, ასევე იდეურ-თემატიკურ პრობლემატიკის განვითარებაში და სხვა.

ის კონფლიქტები, რომელიც მოჰყვება ლირიკაში აუთვისებელი ახალი საგნებისა და მოვლენების შემოტანას, აუთვისებელი რიტმისა და ინტონაციის დაუფლებას და რომელიც ისტორიულ ფორმასა და განცდის გამოხატვის არქაულობას შორის არსებობს, ადასტურებს არა ამ ტენდენციის უაზრობას ან წინასწარგამიზნულობას, არამედ იმ ჰერმეტიკობას, რომ ვერაფრით მათი პარამონიული შერწყმის დონე დაბალია.

ლირიკამ დიდი ხანია დაამტკიცა აზრისა და განცდების კონდენსაციის შესაძლებლობა. ეს ტენდენცია ქართულ პოეზიაში საფუძვლიანად გააღრმავა გტაბიძემ.

ამ თავისებური კონფლიქტის ფონზე იშლება დღევანდელი ქართული პოეზია და იგი შემოქმედებითი მასშტაბების, ტემპერამენტისა და ინტერესების შესაბამისად განსხვავებულ გამოძახილს პოულობს ქართველ პოეტთა შემოქმედებაში. მთლიანად, ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი თვისებაა სიახლის გამაძფრებული მოთხოვნილება. ამ ტენდენციის გამოვლენის სულისკვეთებითაა გამსჭვალული ჩვენი ლიტერატურული კრიტიკაც.

ზევით აღნიშნული იყო სიახლის ფაქტორის ფსიქოლოგიური შემოქმედების ნიშნით ლიტერატურული პროცესის ანალიზის შეფარდებითობა. მით უმეტეს, ეს მომენტი არაა იზოლირებული მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის უკანასკნელ წლებში დამახასიათებელი ტენდენციებისაგან. სიახლე თანამედროვე პოეზიაში, უპირველეს ყოვლისა, დაუკავშირდა 40 და 50-იან წლებში კულმინაციის მიღწეული პოეტური აზროვნების სტანდარტიზაციის თანდათანობით გარღვევის მომენტს.

შტამპის გავლენა სამშალო და უნიჭო პოეტის შთავგონებაზე შემოქმედების თვალსაზრისით, ცხადია, არაა სასარგებლო, მაგრამ არც დიდად საზიანოა. სამაგიეროდ, მან უარყოფითი და შემზღვეველი გავლენა იქონია ფართო შემოქმედებითი ინტერესებისა და მასშტაბების მქონე პოეტებზე. სიახლის პირველი გამოხატულება იყო ლირიკაში ახალი ინტონაციების გამოჩენა და, რაც მთავარია, ლირიკის მიერ ადრე თითქმის მიმჭრალი პოეტური საგნის ხელახლა მოპოვება. ესაა ზოგადი მხარე. რაც შეეხება თვით ლირიკული ქანრის შინაგან სტრუქტურასა და ტექნიკასთან დაკავშირებულ ფაქტორებს, სიახლე თანამედროვე ქართულ პოეზიაში თითქმის არ მოიცავს არც ერთ კომპონენტს, რომელიც გ. ტაბიძის ვერსიფიკაციისათვის უცნობი იყოს. ეს სრულიადაც არ გამოირიცხავს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიას განსხვავებული მრწამსისა და შემოქმედებითი პრაქტიკის მქონე სხვადასხვა თაობა აშენებს. ამავე დროს ჩვენს წინაშეა, როგორც პოეტურ ინდივიდუალობათა და ფორმების, ასევე შემოქმედებითი პრინციპების გარკვეულ შრეებად განლაგება. სინამდვილისადმი მიმართების მყარი პოეტური პრინციპის გვერდით, აქტიურობით ხასიათდება მიმდინარე ლიტერატურული პროცესისათვის ნიშანდობლივი გარდამავალი, ჭერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფორმები და თავისებურებათა გზის ძიებანი.

თანამედროვე პროზისა და კინემატოგრაფიის ფონზე „პოეტური აქტივობის“ საერთოდ ოდნავი შენელების შემდეგ, ისევ დაიწყო ლირიკული ტალღის ახალი მოქცევა. ამ გარემოებამ გამოხატულება პპოვა ჩვენი ლირიკის, როგორც უახლოეს წარმომადგენლებში, ასევე იმ პოეტებთანაც, რომელთა შემოქმედებითი მრწამსი კარგა ხანია ჩამოყალიბდა.

გასული წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა გ. ლეონიძისათვის. საერთო ყურადღება მიიპყრო მის მიერ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა ლექ-

სებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „მცხეთის მღვდელის“, „სევდა მიწისა“ და „ვინ მუშდღურესა“ ესაა ლექსი ურისა და მის მკვიდრთა უღმობელ ხვედრზე. დღეისათვის ტრადიციული წინაპრების უკვე დაფარული სევდა და ვნებები თითქმის ისევ ცოცხლდებიან და ელვარე თვალეებით შემოპყურებენ თავის შთამომავლებს, რომელთაგან ელიან შევლას, მაგრამ რით? როგორ? —

ახლა რა გიყობ, რით მოგარინოთ,
მოურჩენელო ჩემო წყლულეზო?
ვით დაგაბრუნოთ ძველო ახრდილო,
სხვის ზომალეებზე მიბაწრულეზო!

რა ვინდათ ჩემგან დასაუღლებლად,
სამშობლო გზით?
გწუროთით მტკვარით?
სად დაეშალო თვალთა მუდარას,
ველარ გიყურებთ,
დახურეთ კარი!

ამ გულს სიმწარით კლდეს ვინ მიახლის,
ვინ დამეა სევდა განუქურნელი?
დამწვარ დროშების,
დამწვარ იაღჭნის,
დამწვარ ვარდების
მიუვარს სურნელი.

გ. ლეონიძე ცოცხალ გარემოსთან პირველად შეხებათა მგრძნობელობის ნაშთილი ვირტუოზია. მის ლექსებში, განსაკუთრებით „ვარსკვლავთა ფაფარასა“ და „სევდა მიწისაში“, რამდენი სტრიქონიცაა, იმდენი საგნებთან და მოვლენებთან ფიზიკური შეხების განცდაა მოცემული. აქ ისეა შესისხლხორცებული საერთო პოეტური პოზიცია, სურათი, საგნები და მგრძნობელობის ფაქტი, რომ მას აღიქვამ არა მარტო როგორც ესთეტურ ფენომენს, ან როგორც ლამაზ პოეტურ განწყობილებას, არამედ როგორც სტიქიურ მოვლენას, ისეთივე ბუნებრივსა და უკომენტარიოს, როგორიცაა წვიმა და ქარი, სეტყვა და ნიაღვარი. ეს ფაქტი პოეტის შემოქმედებითი ენერჯიის უკიდურესი გამახვილების დადასტურებაა, რომლის ხილვებში და-

დაბუღებისა და დრამატის მოღვაწეობის ხშირად ისეთი ერთადერთი სტრუქტურები ახდენს, როგორცაა:

ვიცი, მაიკო ორბელიანი,
მარათს ნივზე ვაცვდა...

ეს უკვე მრავალმხრივობის, მოვლენათა სხვადასხვა კუთხიდან ხედვის გაფართოება და შინაგანი პოეტური ბუნების იმ სიმდიდრის ხელგაშლილად ფანტავა, რომლის გარეშეც ნამდვილ პოეზიას სიცოცხლე არ შეუძლია.

თვალისადაც მიტრისი, რომელიც ფართო მასშტაბის პოეტურ მიღწევებშია მოცემული, ესაა წარსულთან მიმართების კონტექსტში თანამედროვეობის სულისკვეთების ვარკვევა.

წარსულსაგან მიბრუნების ერთ-ერთი სტიმული ეპოქის სულიერი ატმოსფეროსა და ხელოვნების ურთიერთმიმართების უძველესი და მწვავე მომენტია. საგულისხმოა, რომ იგი შემოქმედებითი სიმწიფისა და შეჯამების ფაზაში მყოფი პოეტების წინაშე წამოიჭრა უფრო მძაფრად, როდესაც განვლილი წლები, ფაქტები, მოვლენები, ზნეობრივი ვალდებულებანი და სხვა ფაქტორები პირადი ბიოგრაფიული გამოცდილებითაც შესაძლებელი გახდა დანახული ყოფილიყო ვარკვეული დისტანციიდან და მოხდა მათი ნამდვილი სახისა და ღირებულების დრამატული განცდა. რომ არაფერი ითქვას გ. ტაბიძის უკანასკნელ ლექსებზე, სწორედ ეს მომენტი იჩენს თავს ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინასა“ და ს. ჩიქოვანის „ნახტევანის დღიურებში“. წარსულის პოეტის სულიერი ცხოვრების დრამა თანამედროვეობაში გაბნეული დიდი თუ მიკროტრაგედიების გარღვევის ცდაა. იგი ანალოგიურ პრობლემებზე პასუხის გაცემისა და სინამდვილეში დამკვიდრების მოთხოვნითაა ნაკარნახევი. ამ ნაწარმოებთა იდეური არსი თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროსკენაა მიმართული და უშუალოდ ეხება ჭეშმარიტების მიგნების სირთულეში გამოვლენილ ძვრებს. ორიენტირება ხდე-

ბა წარსულის ხელოვნათა ისეთ პიროვნებებზე, (და ახლა შემთხვევებზე), რომლებმაც მასწავლებელად დადეს თავისი ეპოქის მძიმე ხვედრი და ყველაზე ნათლად და წრფელად გვაჩვენებინეს მიღებული ჰეროიკების ტივილები. ეს არაა, არც ახალი ამბავი და არც ლოკალური მნიშვნელობის მხოლოდ ქართული ფაქტი. მით უმეტეს, ეს არაა მხოლოდ პოეზიაში მომხდარი მოვლენა.

წარსულთან მიბრუნების გაძლიერების ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობასთან დამოკიდებულების სიმძაფრის შედეგია. რაც უფრო აღსავსეა ეპოქა ძველის რღვევით და სიანხლის სულისკვეთებით, მით უფრო საჭიროებს იგი წარსულთან მიმართებას. თავის ინტერესებთან ნათესაობაში მყოფ ისტორიულ სამყაროს შეხებით იგი ცდილობს თანამედროვეობაში დამკვიდრების ვალდებულებას. ამ ტენდენციით აღბეჭდა XX საუკუნის უკანასკნელი დროის ხელოვნება საერთოდ. ამ თვისებით თანამედროვე ხელოვნება ნამდვილად რეტროსპექტული სულისკვეთებისაა. დასავლეთის ლიტერატურული დეკადანსის ისეთი კორიფეებიც, როგორც არიან ჯოისი, ელიოტი, პოლ ვალერი, პერსი, წარსულისა და თანამედროვეობის ერთიანი ტენდენციის გამოვლენაში ცდილობდნენ დღევანდლობის პრობლემატიკის მხატვრულ გადაწყვეტას. ცხადია, ეს ტენდენცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ანალიტიკის სულისკვეთებით აღბეჭდილი თანამედროვე ხელოვნების ორიენტირება მისგან თვისობრივად განსხვავებულ კლასიკური ხელოვნების სინთეტურ სფეროზე. მათ შორის არსებული შეხების მომენტები მოიცავენ საკითხების იმ ზოგად მხარეს, რომელიც ხელოვნების თვსობრივ სახეს არ განსაზღვრავს. სწორედ ამ თავისებურებით იქცევა ყურადღებას ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“.

ლექსების ამ ციკლმა სამართლიანად

დაიშვილდა სიყვარული და პატივისცემა. მის შესახებ კრიტიკაშიც ბევრი რამ დაიწერა. თანამედროვეობის დონეზე რუსთაველის სულიერი ძვრების ამოტანა, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ლექსების ეს ციკლი „ვეფხისტყაოსნის“ სახით კლასიკურ ხელოვნებაზე ორიენტირებად მივიჩნიოთ. ირ. აბაშიძის პოეტური ინტერესების სფეროში უშუალოდ ის შინაგანი კონფლიქტები ამოიზარდა, რომლებიც თანამედროვეობის სულიერი ცხოვრების უკუფენას წარმოადგენს.

ამ ციკლის ლექსებში ზნეობრივი მრწამსი იმ პრობლემატიკას მოიცავს, რომელიც ყველაზე უფრო მძაფრად ქართველი ერის წინაშე სწორედ რუსთაველის შემდგომი ეპოქების ისტორიულ ქართველებში ამოტივტივდა. აქაა ამ ციკლის „შინაგანი პოზიციის“ გასაღებები, რომელსაც პირველსავე სტრაქონებიდან ააშკარავენს პოეტი:

შენ აქ ხარ,

აქ ხარ...

მონასტრის კარებს —

ათისწლის ლოცვებს,

ლაღაღებს,

ქარებს

ძაგძაგით, უხმოდ შევახეთ ზეღ.

ამ პრელუდიის ვარიაციული დამუშავება ყველა მომდევნო ლექსი.

სხვა თვალსაზრისითაა საყურადღებო ირ. აბაშიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი „ფანტომი“ (ციკლიდან „მიახლოვება“). აქ უკვე შინაგანი სიმშვიდისა და ჰარმონიის შენარჩუნების სტოიკური განცდის მომენტია, ანტიკური სამყაროს სულიერ არსენალიდან ნასესხები შინაგანი სიმშვიდისა და ზომიერების ფაქტორის საფუძვლად უდევს ჰარმონიის განცდა, სიმშვიდე უმჭაფრესი განსაცდელის, უდიდესი სიხარულისა და შვების წუთებშიც—ასეთი იყო ანტიკური ფილოსოფიის ეთიკური პოზიცია, რომელიც მას რაციონალისტურ ელფერს ანიჭებდა. ამ სამყაროსთან თავისებური შეხების მომენტის ძიება ანალიტიზმის სულსკვეთებით აღბეჭდილ

ეპოქაში, როდესაც ქვეცნობიერი, ნერვებისა და ინსტინქტის მარშალის უსხლდება ადამიანის მოქმედების წარმართველ პირობად, მოვლუნათა წვდომის ელფერს მეტ შინაგან ენერჯიასა და დამაჯერებლობას ანიჭებს.

სიმშვიდე!

მშვიდად შეხვდი განსაცდელს,

გულს გედოს სიბრძნე საფუენეთა:

არ შეიძლება მიწას არ ასცდეს,

წავა, ჩაივლის,

წავა კომეტა.

სიმშვიდე!

იღექ როგორც ტამარი,

სიმშვიდე დღეებს,

დიღებს სისხამებს...

მზემ გაუჩინა მიწას ხანძარი,

მოაქვს სიმშვილი გოლვას მრისხანეს.

საგულისხმოა, რომ სიმშვიდისა და ზომიერების ანტიკური ჰარმონიის პრიმატი შემოქმედების უაღრესად სახიფათო მომენტია; რადგანაც სიმშვიდე და ჰარმონია ძველი ბერძენისათვის იყო არა სიწყნარე და უმოქმედება, არამედ ეს იყო ბრძოლისა და მოქმედების გრძნობა და, რაც მთავარია, ყოველგვარ კატასტროფაში საბოლოოდ სიკეთის გამარჯვების გრძნობა. ასეა ირ. აბაშიძესთანაც. საფრთხე იწყება დიდი მასშტაბებიდან მოსხლეტის მომენტში, რომელიც წვრილმანობისა და ყოფითობის ზღვარზე დაიყვანს ამ უდიდესი სულიერი სამყაროს სფეროს.

„ფანტომის“ შემდეგ გამოქვეყნდა ირ. აბაშიძის ლექსი „ბილიკი მღერის“. იგი უკვე იმ შინაგანი მოტივის განვითარებაა, რომელიც თავისებური პრელუდიის სახით დაიწყო „ფანტომში“. ლექსის პათოსი ისახება უმაღლესი ჰარმონიისა და სიმშვიდის სულსკვეთებაში. ამ ნაწარმოების შინაგანი აზრის ძლიერება იმ კლასიკური მსოფლგანცდის გაცნობიერებაშია, რომლისთვისაც აბსოლუტური ჰარმონიისა და სიმყუდროვის განცდა მხოლოდ დროის მომენტია სამყაროს წინააღმდეგობათა მთელ იერარქიაში...

არის დრო, როცა
თავს დამალავს
ჰამლეტის წყლული,
ფაუსტის ტანჯვა,
ურწმუნობა,
ფაუსტის რწმენა.

არის დრო, ქვეყნად
როცა მღერის სავანი ყველა
ყვავილი მღერის,
ცრემლი მღერის,
ბილიკი მღერის.

თანამედროვე პოეზია კლასიკური ხელოვნებისა და ეპოქების სულიერ არსენალში ეძებს დისპარმონიისა და კრიზისის საპირისპირო საწყისებს. სწორედ ამ ფსიქოლოგიურმა უკუშექცევითობამ იჩინა თავი ირ. აბაშიძის ლექსში:

... ო, ყველაფერი მას ესმოდა
მუსიკის ვღერად,
ო, ყველაფერი მას ესმოდა
ერთ გაბმულ გამზად...

სწორედ ამ სულიერ სფეროსთან შეხება და თანამედროვეობის დონეზე მისი ამოტანის მომენტი ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ირ. აბაშიძის ახალ ლექსებს. აქ არის სიკეთის ზეიმი და პარმონიის აბსოლუტური ტოტალობის ძეგლი განცდა, როგორც მხოლოდ დიდი შინაგანი კოლიზიების დაძლევის ტკბობაში აღიბეჭდება.

ბარათაშვილის ცხოვრების ფრაგმენტებზეა აგებული ს. ჩიქოვანის ლირიკული პოემის ის ნაწყვეტები, რომლებიც ახლახან დაიბეჭდა ეურნალ „მნათობში“. თუ „სიმღერაში გურამიშვილზე“ ბიოგრაფიული ქრონოლოგიის პრინციპი იყო დაცული, ამ პოემაში ს. ჩიქოვანის ინტერესს სავანი პოეტის ცხოვრების ის მომენტებია, რომლებიც მეტნაკლებად სტიმულის როლს ასრულებდნენ ბარათაშვილის შედევრებშიათვის. ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი ამოცანის სირთულეს ამ ციკლში წარმოადგენდა ბარათაშვილის გენიალური პოეზიის

ისეთი მოტივების განმწორება, რომელიც ტრაფარეტობის დასრულებამდე მთელ პოემას განმარტავს ხელოდ უნდა ითქვას, რომ მან დამალია შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ეს უაღრესად ძნელი პრობლემა და ლექსები აღბეჭდა არა ბარათაშვილის ჩვენთვის ნაცნობი მოტივებით, არამედ იმ სულიერი კოლიზიებით, რომლებიც მომავალში საფუძვლად ედებოდნენ ამ გენიალურ შედევრებს. ჩვენს წინაშე ახალი მღელვარებით იხსნება მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი პოეტის წერილისა და „სული ობოლის“ შორეული წინამძღვრები:

ვინც სანდო მეგონა, ყოფილა მაკდური.
მეც პური არსობის ვერავის ვუბოძე
დიდ გზაზე მჭირდება მამულის დასტური,
არ მინდა დღენები, მიჭრილი კუბოზე.

ზნეობრივი სიწმიდის პათოსი წარმატავს რვეზ მარგინის ბოლოდროინდელ ლექსებს. მის ახალ ლექსებში დიდი ადგილი ეთმობა ისეთ მოტივებსა და საგნებს, რომლებიც ადამიანის ყოფის უშუალო შეგრძნებებშია მოცემული. მისთვის უცხოა ლიტერატურული კოცეტობა და ამ თვისებით ნამდვილად აღწევს გრძნობის გაზიარების პათოსს. ლექსი ხდება სადა, გულითადი და უბრეტენიო. ამით რ. მარგინმა თემას მოხსნა ვარგნული ჰეროიზაციის ნიღაბი და გვაგრძნობინა უშუალობისა და გულწრფელობის სითბო. ამ ტენდენციითაა აღბეჭდილი „მნათობის“ შარშანდელ ნომერში გამოქვეყნებული ლექსები ციკლიდან „ლილე“. აქ თავისებური სიმძაფრე შეიძინა ზნეობრივმა ინტონაციებმა და ეროვნული გრძნობის სწორედ ამ სფეროში ატანის მომენტმა, იგი მთლიანობაში ინტიმურისა და მოქალაქობრივი მრწამსის განცდამდე მიიყვანა.

თანამედროვე ქართული პოეზიის მეტად მრავალფეროვანი ფონი ბევრი პოეტის ინდივიდუალობის სიმკრთალეს ფარავს და საჭიროა მაღალი ნიჭიერება და თავისებურება, რომ გაგარჩიოს და მიგიღოს მკითხველმა, არა როგორც რომე-

ლომე კარგი ლექსის ავტორი, არამედ საერთოდ როგორც პოეტი. ამ ფონზე თავისი საკუთარი პოეტური სამყაროს ფლობით იქცევა ყურადღებას მ. ლეზა-ნიძე. გამოსახვის ახალი ტენდენციები-საქენ ლტოლვისა და ტრადიციის თავი-სებური კონფლიქტის გრძნობა უღვეს საფუძვლად მის ერთერთ ბოლოდრო-ინდელ ლექსს „როცა ახალი დღეები დავლდის“. უაღრესად საინტერესოა აგ-რეთვე ლექსი „ვთამაშობ ნადირობას“, რომელშიც მხატვრული პირობითობა, იუმორისა და აზრის სიმახვილის მთლი-ანობით ნამდვილად ახალი ფურცელია პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

თანამედროვე თემების და მოტივების მეტ განვითარებას ვხედავთ ხ. ბერულა-ვას ბოლო ლექსებში. იგი ნათელი ფე-რების, დინჯი სევდის და კაცთმოყვარე-ობის პოეტია. მისთვის სასოწარკვეთი-დან ადამიანის გამოყვანის პირობაც პო-ეზიაა და ამიტომაც გამოსჭვივის მის ლექსებში ჰუმანისტური სულისკვეთე-ბა:

თითქოს დაეხშო სამზეოს კარო
თითქოს მის ბარბაცს ქვეყანა ხელავს,
წამით არ ესმის საცოცხლის აზრი
და ნაფოტით მიჰყვება სევდას.
კაცა ხანდახან ბურუსში მიდის,
როგორც იტყვიან, ხელის ფათურით,
სადა ხარ შაშინ, რომ ვასჭრა ბინდი
და წინ წარუძღვე, ვით სანათური.

ეს მომენტი თვითდისციპლინისა და გარკვეულ შინაგან სტოიციზმში გადა-დის, რომელიც ძნელად ურიგდება ცვა-ლებადობის უღმობელ კანონს:

არა და არა! მე ისევ მე ვარ
და არასოდეს არ შევიცვლები.
გულის ჩემის და პლანეტის რბევას
ავიტან დედის ხმას ვეფიცები!

ხ. ბერულავა ნათელია სევდაშიც და სიხარულშიც. ეს თვისება მას საშუა-ლებას აძლევს დაეუფლოს მშვიდ ინ-ტონაციას, მაშინაც, როდესაც მღელვარე და სევდიან განწყობილებას გადმოგვ-ცემს:

მამა! ის არის! თითქოს ბრუნდება
ოცდამეცხრამეტში გადაკარგული.

რომელიმე ტრადიციულ ელემენტის სტანდარტად ქცევა ზოგჯერ პოეტის თვისებაა. იგი შეუმჩნეველ ხდება ლე-ქსის სტრუქტურაში, მაგრამ ამოიწვევს სტანდარტი, აუფასურებს ყველაზე გუ-ლითადი და შინაგანი პათოსის მქონე თემასაც. მე მინდა ყურადღება გავამა-ხვილო ერთი მომენტის მიმართ. თანამე-დროვე ქართულ პოეზიაში მოხდა აზ-რის განწყობილებისა და მისი გამოხატ-ვის ზოგიერთი ფორმის ერთგვარი შაბ-ლონური კანონიზაცია. ესაა დადებითი ტენდენციით აღბეჭდილი მოვლენებით სიკეთით, სილამაზით აღფრთოვანების ისეთი ფორმა, რომელიც თავისი გან-წყობილებითა და, რაც მთავარია, სწო-რედ მისი გამოხატვის ფორმით არა-ფერს ეუბნება მკითხველს იმაზე მეტს, რასაც თვითონ უფრო უკეთ გრძნობს და ხედავს, ვიდრე ზოგიერთი პოეტი. ასე-თი შტამების გავლენა ისე დიდია, რომ მან ფესვი გაიდგა თითქმის ყველა თაო-ბის ქართველ პოეტებში და მისწვდა იმათაც, ვისაც მთელი პოეზიის პირო-ბად ემოციონალური სტიქია აქვთ და-სახული. მ. ლეზანიძის საკმაოდ გამარ-თული და დეკლარაციული სტრიქონე-ბი, როგორიცაა —

გაუმარჯოს მწვანე მიწას,
საწაბრებელს მარად მწვანეს,
იმის წინსვლას, იმის მიზანს
იმის დღეს და
იმის ხვალეს.

ჩემი აზრით, ეს ლექსი უბრალოდ არ ვარგა იმ მიზეზის გამო, რომ აქ მიმართებაა არა უშუალოდ პოეტურ საგანთან, არამედ თვით ემოციასთან. ხდება გრძნობის ახალი ემოცირება, მაგრამ ეს არაა მისი ახალ დონე-ზე აღმოჩენა. ნაკლი მდგომარეობს სა-განთან სწორედ ემოციური დამოკიდე-ბულების გამოფიტვაში, მასთან უშუა-ლო კონტაქტის დაკარგვაში. ლექსის ფაქტურას ავსებს არა ის, რასთანაც შეხებაში ვიძოვებით, არამედ ის, რაც მისგან გამომდინარეობს, როგორც და-სვენა, როგორც მისი შინაარსი. რაც აქ-

პოეტმა გალექსა, ის უნდა იყოს მკითხველის ლექსიდან მიღებული შთაბეჭდილება და, ცხადია, გალაკტიონის ისეთი სტრიქონები, როგორცაა —

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? —
ეს ჩემი სამშობლოს მთებია! —

უფრო მეტს ეუბნება მკითხველის ეროვნულ გრძნობებს და ესთეტურ განცდას საქართველოს წინსვლისა და მომავლის იდეის შესახებ, ვიდრე ყოველგვარი დეკლარაცია. საქმე ისაა, რომ ქართულმა პოეზიამ ეროვნული გრძნობის განცდა ინტიმური შინაარსის ფენებში აიტანა და მას მიანიჭა დამოუკიდებელი ესთეტური ღირებულება. საქართველო თვით იქცა არა მარტო პიროვნული სიამაყისა და თავმოყვარეობის პირობად, არამედ მას მიენიჭა სხვა მოვლენათა შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობაც. აქაა მშვენიერების იდეალთან მიახლოვების მომენტი, მხოლოდ თვით იდეალი ეროვნული სულისკვეთების მთლიანობაშია. უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პოეტური შტამში დღეს უფრო ქართული ბუნების სილამაზის საიდუმლოებათა ახლებურად დანახვის უუნარობის დადასტურებაა, ვიდრე ბუნების სილამაზით აღფრთოვანების გამოხატვის ერთადერთი ფორმა. ტრაფარეტი პოეტური ხედვის გაყინული წერტილია და საენის მრავალმხრივობას უკარგავს მნიშვნელობას.

ახალი საგნებისა და მოვლენების ესთეტური ათვისების სტიმული უდევს საფუძვლად მ. მაჭავარიანის ლექსებს. მისი ლექსების ბოლო კრებულში კიდევ უფრო გამოძვლავდა ინერციული ფორმებისა და სახეების ტყვეობისაგან განთავისუფლების ცდები. ამ მხრივ, მან სამართლიანად დაიმკვიდრა საკუთარი ხმის აქტიურად მამიებელი პოეტის სახელი. იგი ბევრ თავის თანატოლზე ნათლად გრძნობს შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამოუკიდებლობის მომენტს და ძიების სიმართლეში დაუ-

ეკველობით მიდის გამოსახვის ახალი საშუალებებისაკენ. მაგრამ ეს ძიება უკვე შირდება რთულ შინაგან წინააღმდეგობებს და ეროვნულ სტრუქტურებზე სწორად ორიენტირების უნარს, რომლის სირთულესაც კარგად გრძნობს იგი («ვაპირობ კიდევც»... «ჯიუტობს ლექსი»). ღრმა შრეებში აღბეჭდილი ჩვევები, მესხიერებაში წარუშლელად დარჩენილი ინტონაცია და ახალი სინამდვილის რიტმი ეხლართება ურთიერთს, და საჭიროა ნებისყოფისა და შემოქმედებითი ინტუიციის დიდი დაძაბვა, რომ პოეტმა მხოლოდ საჭირო ადგილზე გაარღვიოს საღტეები და წარსულისაგან შეინარჩუნოს არსებითი და მნიშვნელოვანი. ამ კონფლიქტის გარღვევის მომენტი მ. მაჭავარიანის ლექსებს, მართალია, უკარგავს უკვე ჩამოყალიბებული ფორმის სრულყოფილებას, მაგრამ საფუძველიანად ზრდის ახლის დამკვიდრების ღირებულებას:

— ახ, მთავარე, მთავარე! —

ვილაცა მღერის,
ჩჩეულმშვილის გამოდის ლანდი,
ყაბახის დამე...
ამბორი ხელის...
ბაკენბარღები და ექსელბანტი...

ცაში კი მიქრის თანამგზავრი,
მიქრის და მიქრის...
ტრამეის ხაზი, რკინიგზის ქსელი,
ვით ნერვიული სისტემა ჩემი...
სკრებერით, ლიფტით, სპიდომეტრით —
საქნავა ფიქრი...
ვიზრღები, როგორც მომავალი შორიდან გემი

ზღვიდან გამოდის ხოლმე ამ ღრის
რუსთველის ლანდი.
ამოდის ლანდი — ფერთა სამთა მახარობელი,
ამოდის ლანდი,
ამოდის და...
ეს ის ლანდია —
აჩის რომელიც, ქუშმარბაღ აჩის რომელიც —
ქართული სიტყვის უკვადების
მძლე ვარანთია!

აქ განცდილია თანამედროვეობის სირთულეში სწორად ორიენტირების პირობა და დიდ წარსულზე დაყრდნობის ფაქტი. მ. მაჭავარიანის ლექსებში გზებს

იკვლევს ახალი ლირიკული „სიმფონი-
ზმის“ პრინციპები, სინთეტური ინტო-
ნაციები, რომელიც ითავსებს ქალაქის
ქრიაშულის ხმებსაც და ლირიკული აღ-
სარების მღვლავარებასაც. „შინაგანი
ხმის“ ინტიმურობას და სასაუბრო მე-
ტყველების სისადავესაც.

განსხვავებული გზით წარიმართა ისე-
თი პოეტური ტრადიციის შემოქმედები-
თი ინტერესები, როგორცაა ანა კალან-
დაძე. თუ ძირითადად, მ. მაჭავარიანის
ლექსებში საგნებთან მიმართების ამო-
სავალ მომენტს ლირიკულად დაძაბული
ემოციური მდგომარეობა განაპირობებს,
რომელიც დეკლარაციაში და დამკვიდ-
რების აქტიურობაში იზრდება, ა. კალან-
დაძესთან წინა პლანზეა ლირიკული
ვითარება, თავისებურად მშვიდი მკვრე-
ტელობითი სულისკვეთება. სწორედ ამ
ორი მომენტის არსებობა განაპირობებს
საგნებთან დამოკიდებულების მათ გან-
სხვავებულ პოზიციას.

ერთ ამოღებული მოვლივარ ხმალი,
ფეხთ შიშა შაცეია,
თავს მხურავს ზეცა —

წერს მ. მაჭავარიანი და ლირიკული დი-
ალოგის ფორმასა და შემოქმედებით რი-
ტმში თვითონ მოაქვს საგნებისა და მო-
ვლენების დინამიკა. ანა კალანდაძე, პი-
რიქით, გარედან ელის, გარეთ პოულობს
სტიმულს, ექსპერსიას:

ქარი ჩამბერავს ფშვლერდები, მე ზომ სტირი
ვირ,

...შთამბერე, ქარო,
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!

ა. კალანდაძის ლექსები მკაფიო ლირი-
კული მონოლოგის იერს ატარებს. უღრ-
მესი სულიერი განცდების თრთოლვა-
ში იგი ავლენს შინაგანად ამალღებულ
და მოკრძალების განმცდელ რომანტი-
ულობას.

ა. კალანდაძისა და მ. მაჭავარიანის
ლექსებშიც აისახა ის ახალი ტენდენცი-
ები, რომლებიც ქართული პოეზიის
შემდგომი განვითარების დღის წესრიგ-
შია. ამ ორი პოეტის დამპირისპირებულ

პოზიციას ერთგვაროვანი შინაგანი კონ-
ფლიქტის დადასტურებაა. ა. კალანდა-
ძის პოეზიის შინაგანი კონფლიქტი თა-
ნამედროვე ემოციონალურ მდგომარეო-
ბას ხეის ფორმის არქაულ სტილშია.
მ. მაჭავარიანთან იგივე მომენტი თანა-
მედროვე ემოციურობისათვის შესაფე-
რი სრულყოფილი ფორმების ვერ კიდევ
დაუდგენლობაშია. სხვათა შორის, ამ ორ
პოეტს, დიამეტრალურად საწინააღმდე-
გო პოზიციათა მიუხედავად, აქვთ საერ-
თო სტილური თავისებურებაც. საქმე
ისაა, რომ ადამიანის სულიერი და პრაქ-
ტიკული მოღვაწეობის სფეროში არსე-
ბობს ისეთი ფაქტორები, რომლებიც
ხელოვანის ჩარევის გარეშეც ხასიათ-
დებიან გარკვეული ემოციური დატვირ-
თვით. ამდენად, ემოციური დამუხტვის
პირობად ხშირად საკმარისია არა სინამ-
დვილესთან პოეტის დამოკიდებულების
პრინციპი, არამედ თვით საგნის ან მო-
ვლენის ჩვენ ცნობიერებაში განმტკიცე-
ბული ფორმა, მისი ელფერი. ამიტომ
ისეთი საგნების და მოვლენების ლექ-
სებში შემოტანა, ხშირად ისედაც პოე-
ტური საგნის „ახალ პოეტიზაციაზე“ მი-
უთითებს, რომლისცენაც აშკარა მიდრე-
კილებას ავლენს როგორც ა. კალანდაძე,
ისე მ. მაჭავარიანი. მათ ლექსებში უზვა-
დაა მიმოზნეული ქართული კაცისათვის
ლექსის გარეშეც საკმაოდ ემოციური
ფაქტორების სფეროში გაშლილი ლირი-
კული ვითარებები და საგნები:

ოშკია და ზარზმა,
ბებერი ტაო...

ან

ქარები მისთა ზემთა ნალღელთა
განერქაძლენან...
იმათ ვიარვეინებს ძველთა რაინდთა
შუქი ავლია...
ტაძრის კედელზე ბადრი, ამირან,
სეფედავლია...

ლადამის შვილსაც აწ, სილამაზე
თვალს მიფარვია...
ლაპილზე, ალბათ, დიდებული და
სავსე მთავარა,
და ყველაფერი ზღაპრულია და

იღუპილია, —

ქველი კომეები, უშბა, თეთნულდი
და ლამარია.

აქ თვით ლექსიციის პოეზიის სურნე-
ლითაა გაუღწეოთილი ყველაფერი და ისი-
ნი მათთან დაკავშირებული ასოციაციე-
ბისა და ემოციური დატვირთვის გარე-
შეც კმარა პოეტური განწყობილების
შესაქმნელად. განსხვავებული პოეტური
მიზნის რეალიზებისათვის იგივე მომენ-
ტია მ. მაჭავარიანის ლექსში „ანდუყა-
ფხრო, ლიპარიტო“ და სხვა.

ქართული კლასიკური მწერლობის
ტრადიციები ეპოქის საერთო სულიერი
აღმონფერისა და მასში მაღალი ზნეობ-
რივი მრწამსით დამკვიდრების სულის-
კეთებითაა გამსჭვალული. თანამედრო-
ვე ქართული პოეზია ამ ტრადიციათა
გაგრძელებაა. მისი ერთერთი მომენტია
ისტორიული განზოგადოებისაკენ მი-
დრეკილება. გ. ტაბიძემ რეალისტის
თვალთ დანიახა კაცობრიობის „ინტე-
ლექტუალური სინდისისა“ და ცივი-
ლიზაციის წინააღმდეგობრივი სახე:

ოქროთი მოვარაუებული სირცხვილი —
შლოფლი ოჯახის ისტორია.

ი.რ. აბაშიძის ერთერთ ბოლოდროინ-
დელ ლექსს „ათას მიზეზე უფრო ელვა-
რე“ უკვე ამ „სირცხვილის“ კონკრეტუ-
ლი მიზეზი უდევს საფუძვლად: „ზირო-
სიმა და ნაგასაკი“. მაგრამ დღესაც ფაქ-
ტია, რომ —

ათას წლების მწარე სირცხვილად
წველიადს არ კვდება ერთი ნათელი.

მოკლენათა ინტელექტუალური შეფა-
სების ტენდენცია მეტად გარბიანებას მო-
ითხოვს თანამედროვე ქართველი პოე-
ტების შემოქმედებაში.

ჩვენი აზრით, მრავალ, არც თუ ისე
ახალ, ჯერ კიდევ უფროსი თაობის პოე-
ტებმა მიერ დამკვიდრებულ საზენიო,
პარადულ ე. წ. აქტუალურ თემებში ი.
წინეშვილმა ნამდვილად შეიტანა მაღა-

ლი ტონალობისა და პირადი სუბიექტუ-
რი განცდის სითბო, რამაც მას შეითხ-
ველთა ფართო მასების ყურადღებულ
სძინა. ეს თვისება მან კარგახანია გამო-
ამჟღავნა თავის მრავალ ლექსში და არ
შეგვიძლია სურვილის სახით არ მივიჩ-
ნიოთ საჭიროდ, რომ სათქმელის გულ-
წრფელად გასაგნების შესანიშნავი უნა-
რის მქონე პოეტმა კიდევ სხვა მიმართუ-
ლებით წარმართოს თავისი ლირიკის
აქტენტი. ვფიქრობთ სწორედ ახალი
პოეტური პოზიციის ძებნით უნდა იყოს
გამოწვეული უკანასკნელი დროის მისი
შემოქმედებითი დუმილი და მისთვის
უჩვეულო არაპროდუქტიულობა. ამის
განაცხადი იყო მისი ბოლო ლექსი
„ქვლავ ავიკადე გუდა-ნაბადი“, რომე-
ლიც სწორედ ძიებების, ახლის მიგნების
ინტერესითაა შთაგონებული. ამ ლექსში
პოეტი პირდაპირ გვაუწყებს სიახლის
ძიების საჭიროებას, ნაკარნახევს დღე-
ვანდელი სინამდვილით:

...როცა გაუწყებს „ილაბ“ და „იქნებ“,
შეუცნობელი შეცნობის ყინი,
როცა ყურს უდგებ, ვით სირთა გივილს,
გულში წამოშლილ ივეებს და ფიქრებს,
როცა მაღლიდან ზღვა მოსიანს მშვიდი,
ქვეყანაც თითქოს ბოლმით არ ელვავს,
როცა შენს ფეხქვეშ, ვით ცისარტყელა,
ირწევა ისე, ვით ბონდის ხიდი.

ინტონაციური მრავალფეროვანებისა-
კენ სწრაფვა შეიმჩნევა გიორგი შატბე-
რაშვილის ბოლო ლექსებში „ანალი“
და განსაკუთრებით, „დღეადენა“, რო-
მელშიც პოეტის რეფლექსიის საგანი
გამხდარა ენის მარადიულობის საკითხი.
შესაძლოა, ეს არაპირდაპირი გამოხმაუ-
რებაა იმ ფაქტთან, რომ დღევანდელ
ქართულ პოეზიაში მეტად საგრძნობია
ენის ფენომენისადმი სწორი მიმართების
ძიება.

თავისებურად საინტერესოა გ. კალა-
ძის ახალი ლექსი „მზის სადიდებლად“.
ეს ლექსი დღევანდელი ქართული
პოეზიის ფონზე არ გამოირჩევა რაიმე
თვისობრივად პრინციპული სიახლით

და კორექტივი არ შეაქვს თვით კ. კა-
ლაძის შემოქმედებაშიც, მაგრამ მხატვ-
რული ოსტატობის მაღალი დონითა და
ჰუმანურობის სულისკვეთებით იგი მე-
ტად საყურადღებოა.

პოეზიის განვითარება თვით პოეტის
შემოქმედებითი ლაბორატორიის სფერო-
ში ხდება და წარმატების საფუძველს
პროფესიული ოსტატობის მაღალი დონე
ვანსაზღვრავს. ამ თვისებით მიიჭ-
კია ყურადღება თ. ჭილაძის ბრწყინ-
ვალე ლექსმა „ყინწვისის ანგელოზი“.
თ. ჭილაძის პოეტური ოსტატობის დონე
არასოდეს არ იწვევდა ეჭვს, და ზნორად
მის სუსტ ლექსებშიც პროფესიონალიზ-
მი უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ინდივი-
დი. მაგრამ ეს არაა სწორხაზოვანი მი-
მართების ინერცია. მას თავისებური
უკუშექცევითობაც ახასიათებს და იმ
ლექსებში, სადაც საკმაოდ მიზიდველ
ემოციურ მხარეს რამდენადმე ვნებს
პოეტური სახეების ერთგვარი ნაძალა-
დეობა, შეიმჩნევა სწორედ პროფესი-
ონალური მარცხი. პოეტური აზრის
არათანმიმდევრობა ვანცდას უკარგავს
მთლიანობას და ლექსის ტექნიკური
მხარე მოწყვეტილი ხდება მისი მამოჭ-
რავებელი სასიცოცხლო ძალებისაგან.

ვიღაცა უკარავს შუალამისას,
ცაში ცახცახებს მავთულის ბაღე
და ბილიარდის ბურთივით მძიმე,
ბაღეში ვლია ყვითელი მთვარე.
ვიღაცა ისევ ჭიუტად უკარავს,
რატომ მგონია, რომ მე შეძახის?
ვით ძილგამტყდარი, მეკრდსავსე ქალი,
მიხეთქებაა ღობეს ჭერამი.
ვიღაცა ისევ ჭიუტად უკარავს...
მუსიკა... მთვარე... ღობე... ჭერამი...
ვიღაცა უკარავს შუალამისას,
ასე მგონია, არ მაქვს უფლება,
არ მაქვს უფლება — არ მოვისმინო.

ცხადია, რომ პოეტისათვის ძნელია
შეეფლოს ლექსიდან ისეთი პოეტური
სახის ამოგდებას, რომელიც ნამდვილი
პროფესიული გონებასაზღვრობით იქნა
მიგნებული, მაგრამ ამ შემთხვევაში,

პოეტური სახის ღირებულება დამოუკი-
დებლად უფრო მნიშვნელოვანეა ვიდრე
ლექსის მთლიან ქსოვილში: საყურადღ-
ებოა ორი პოეტური სახე: „და ბილი-
არდის ბურთივით მძიმე, ბაღეში ვლია
ყვითელი მთვარე“ და „ვით ძილგამ-
ტყდარი, მეკრდსავსე ქალი, მიხეთქება
ღობეს ჭერამი“. ორივე პოეტური სახე
ამჟამად უშლის ხელს ერთმანეთს და
არღვევენ ლექსში მოცემული განწყო-
ბილების მთლიან ეფექტს, საქმე იმაშია,
რომ ლექსის პირველი სტროფი ურბა-
ნისტული სულისკვეთებისაა, რომლის
შეგრძნებაც იწყება თავიდანვე, რასაც
ქმნის ქალაქური ყოფისათვის ნიშან-
დობლივი საგნებისა და ტემპის ვანცდა.
მაგრამ მეორე ნაწილი უკვე პასტორა-
ლურ სამყაროში გადადის და ზემოაღ-
ნიშნული პოეტური სახისა და ვალაქ-
ტიონის ინტონაციის ასოციაციით („ვი-
ღაცა ისევ ჭიუტად უკარავს... მუსიკა...
მთვარე... ღობე... ჭერამი...“) აბსოლუ-
ტურად არადინამიკურ კონტრასტს
ქმნის ლექსის წინა სტროფთან. თ. ჭი-
ლაძე მაღალი პოეტური კულტური-
სა და გემოვნების პოეტია და სწორედ
ეს ავალდებულებს მას უფრო მეტი
ყურადღება მიაქციოს ასეთ მომენტებს.

რაც შეეხება ჯ. ჩარკვიანის ლექსითა
კრებულების არა თანაბარ პოეტურ
ღირსებებს, ჩვენის აზრით, ეს მომენტი
მიუთითებს ჯერ კიდევ საკუთარი ინდი-
ვიდუალობისათვის შესაფერისი პოეტუ-
რი სახეებისა და ფორმების დაუხვეწაო-
ბაზე. მისი მრავალი ლექსი ყურადღებას
იქცევს მაღალი პათოსით, შშფოთვარე-
ბით, რომელიც ვერ ეგუება სულიერი
ცხოვრების მოდუნებას, უმოძრაობას.
ეს ტენდენცია ყველაზე სრულყოფილად
აღიბეჭდა ლექსში „ბეთანია“. ლიტერა-
ტურული პროცესისათვის დამახასიათე-
ბელი ძვრების გათვალისწინება, ვფიქ-
რობთ, კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს შეს-
ძენს მის ახალ ლექსებს.

ლექსებსა და ლირიკულ პოემებში
შკაერი პოეტური ინდივიდუალობისათ-
ვის შესაფერი სტილით, მოკლენათა იმ
კუთხიდან ზედვით, საიდანაც ყველაზე

მსაფრად შედარდება საგანთა ფარულა დინამიკა და თითქმის ტრაგიკულ პათოსამდე მისული დრამატიზმი, ყურადღებას იქცევს ო. ჭილაძე. იგი ცდილობს კონკრეტულ სახეებში გახსნას ზოგადი პოეტური აზრი და, მართალია, ხშირად მიდის ზედმეტ დეტალიზაციამდე, მაგრამ ეს უფრო საგნის ხედვის მრავალმხრივობის ინერციაა და არა მისი შინაარსის წვდომის უუნარობა. ო. ჭილაძე არ უფრთხის პოეტური საგნის თავისთავად არაპოეტურ ბუნებას, რადგანაც მისთვის თვით სინამდვილის ქეშმარიტი აზრი უფრო მეტი პოეზიაა, ვიდრე ლამაზი საგანი. კონკრეტულ ფაქტში იგი ეძებს მოვლენათა საერთო კანონზომიერებას და ცდილობს მართლის თქმის სულიერკეთებით დასძლიოს საგნის გაუცნობიერებელი მხარე. ამ პათოსს საბავს იგი პოეზიის პირობად:

მაინც ვტრფოდა პეპელა სანთელს,
მაინც ეძახდა სიკვდილი მოკვდავს
და ქვესკნელიდან ამოსულ დანტეს /
შემკრთალი ხალხი სიმართლეს სთხოვდა.
სიმართლე იყო შკაცრი და ბასრი
და ხალხს, რომელსაც ცოტა ენობდა,
ძლავს გამოქონდა სიტყვიდან აზრი.
როგორც ჭვირფასი კუბო ეზოდან.

ო. ჭილაძე თითქმის ერთადერთი პოეტია თავის თანატოლთა შორის, რომელსაც ლექსის მთლიან ქსოვილში შეაქვს არა ერთი რომელიმე მოტივის დასრულებული სახე, არამედ ასოციაციითა მთელი რგოლი, რაც მეტი სიმძაფრეს ანიჭებს მის პათოსს. ასეა ეს მის „იტალიურ რვეულში“, „თინის სამ ფირფიტასა“ და სხვა ლირიკულ პოემებში ეს მომენტი, ცხადია, ლექსის სტრუქტურისა და პოეტური ტექნიკის შესატყვის დაჭვემდებარებას მოითხოვს, რაც უშუალოდ საჭიროებს ზემდგომ სრულყოფას.

გრ. აბაშიძის პოემების შემდეგ, ქართულ პოეზიაში არ შექმნილა იმდენი პოემა, რამდენიც უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში დაიწერა. მაგრამ პოემამ,

იშვიათი გამონაკლისის გარდა, დღეს დაკარგა ეპიური ქანრის წინაშე. იქცა ლირიკულ მონოლოგად (ლირიკული პოემების მოჭარბება, მიუხედავად რათდენობრივობისა, არაა თვისობრივი წარმატების გამოხატულება. ლირიკის „ეპიზაცია“ ლიტერატურული პროცესის თვისებაა და ქანრის ახალი დადგენის, გარკვეულობის დროებითი საფეხურია. ამდენად, მისი ლირებულება, ხშირად, არაა მყარი და ისინი ცალკეული მიგნებების ეფექტურობით უფრო იქცევენ ყურადღებას. აქედან გასაგებია ის საერთო სიმკრთაღე, ფართო ტევადობის პრეტენზიულობაში აღბეჭდილი ბუტაფორიულობა, რომლითაც ეს პოემები ხასიათდება. თანამედროვე კინოს მოქმედებათა დინამიზმს შეჩვეული მკითხველი მათში ვერ ეგუება მრავალსიტყვაობას და გაჭიანურებულ მსვლელობებს, ზოგად ადგილებს. ლირიკული პოემების უმთავრესი ნაკლი შეგრძნებების უშუალობაში მოცემულ სინამდვილესთან შეხების შესუსტებაა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამის გამო აქ უკვე აღარაა სულიერი და მატერიალური სამყაროს მხედველობით შეგრძნებებში მოცემული გამომსახველობის ისეთი სიჭარბე, რომელიც სინამდვილეში აქტიურად დამკვიდრების ხელოვნებას უნდა ქონდეს. მისი განვლების კომპენსაციას, ცხადია, ვერ მოახდენს ის განყენებული მკვრეტელობის მომენტი, რომელიც ძალზე მოჭარბებულად იგრძნობა ამ პოემებში. ისიც ცხადია, რომ მათში არავინ არ თხოულობს პიროვნული დამკვიდრების იმ „ცხოველური ენერჯის ძალას“, რომლის მთელ ბუნებასთან შეწონასწორების სიხარულსაც გვანიჭებს თუნდაც ვაჟას პოეზიის თავისებური „ფოლსტაფური ფონი“. საქმე იმაშია, რომ გამომსახველობის ამ პათოსის ტრადიციებზე ორიენტირების გარეშე შეუძლებელია ჩვენს სინამდვილეში დამკვიდრების ცხოველმყოფელობის

ისეთი განცდა, რომლისკენაც თანამედროვე ადამიანი მიისწრაფის.

გ. გეგეჭკორის ახალი პოემა „სინათლის წრეში“ უფრო სუსტია, ვიდრე მისივე „მზიანი დღე“. ორივე პოემის პათოსი პიროვნული დამკვიდრების ძიებაში ისახება. სინამდვილეში ორიენტირებისათვის საჭირო გამოცდილების უქონლობა „მზიანი დღეში“ ივსება ისტორიულ ძირებთან მიმართებით, ხოლო „სინათლის წრეში“ უშუალო წინამორბედის — მამის აჩრდილის სახით. წარსულში ხდება მომავლის გზების დადგენა. მამის აჩრდილთან პიროვნულად განდობის მომენტი არაა ახალი და ორიგინალური. კინომოყვარულთა ხსოვნაში ჯერ კიდევ არ გამქრალა ახლახან დემონსტრირებული ფილმის „მე ოცი წლის ვარ“ მამის აჩრდილის გამოწვევის ცნობილი კადრები. იგივე მოტივია გ. გეგეჭკორის პოემაშიც, მაგრამ გარკვეული სქემატურობის დაწოლამ საფუძვლიანად შეზღუდა მისი შესაძლებლობანი. საგულისხმოა, რომ არა მარტო გ. გეგეჭკორის, ტ. ჭანტუჩიას, ო. ჭილაძის, პოემებში, არამედ ყველა ამ ტიპის ნაწარმოებებში შთაბეჭდილებას ახდენს უფრო ლირიკული ფრაგმენტები, ვიდრე მთელი პოემა. შთავონებითაა დაწერილი გ. გეგეჭკორის „სინათლის წრეში“ მამის ჩვენებასთან განშორებისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

მამალი ყვის... უნდა გაეშორდეთ
ახლა ერთმანეთს, მამალი ყვის...
აცილდება, როგორც ბავშვობა,
ჩემს შავიდაზე სინათლის სხივი,
მამალი ყვის... მალე ცისკარი
აბრიალდება ცეცხლის სისწრაფით,
მოიწვეს დილა, მამალი ყვის.

ამ ლირიკული ფრაგმენტის დამოუკიდებელი ღირსებები უფრო მეტად უკმაგრანობინებენ ავტორის პოეტურ ნების თვისებებს, ვიდრე მთელი პოემა.

ქართული პოეზიის ფონზე მკვეთრად ვლინდება შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობა. იქმნება ისეთი მოზაიკური სურათი, სადაც მთავარ ფერადოვან გამას თანამედროვეობაში დამკვიდრების ტენდენცია განაპირობებს. ამ სულისკვეთების ერთერთი თვისებაა წარსულის გამოცდილებაზე ორიენტირება. თანამედროვე ქართული პოეზია დღეს ანალიტიკური სულისკვეთების საუკუნეს ეკუთვნის და ეს ორიენტაცია ხდება არა წარსულის სინთეტური ხელოვნების ფორმებზე, არამედ იმ კონფლიქტებზე, რომლებშიც სულიერ ანალოგიას პოულობენ ჩვენი პოეტები.

თუ ტრადიცია პრინციპის ერთიანობაა, ხოლო ნოვატორობა ახალი პრინციპის აღმოჩენა, მაშინ მიმდინარე ლიტერატურული პროცესის საუკეთესო ნიმუშები შემოქმედების არავითარ ახალ პრინციპებს არ იძლევიან. ქართველ პოეტთა საუკეთესო ლექსების ცხოველყოფილობის ძალა განვითარების თანამედროვე საფეხურზე ისახება არა ახალი პრინციპების აღმოჩენაში, არამედ ქართული მწერლობის დემოკრატიული საწყისების განმტკიცებასა და უფრო მაღალ ხარისხში აყვანით.

ყოველი პოეტის შემოქმედებითი გამარჯვება იმ ერთადერთ მხატვრულ სისტემაზე მიუთითებს, რომელიც არ შეიძლებოდა შექმნილიყო წინამორბედების გარეშე, მაგრამ თუ იგი არ წარმოადგენს ტრადიციის თვისობრივ განახლებას, არაა არც ამოღობიერი სიბრტყის მატარებელი.

ქართული პოეზიის ტრადიციები ერის შემოქმედებითი გენიის გამოხატულებაა. მის ახალ დადასტურებას საჭიროებს დღეს ჩვენი ხალხი.

კაცი ცეცხლი და მამაცი...

1942 წლის დეკემბერი იყო, სუსხიანი დღე-ღამეობითი ზეობითა მწყობრს ხანგრძლივი შესვენება მოეწყო. საველე ფოსტით დატვირთულმა ჯარისკაცმა დროულად მიაღწია თანამოაზრელებთან. ავიატორები შეეშველნენ ამხანაგს ამანათების შერჩევაში და მისამართების მიხედვით სწრაფად ჩამოაჩვიეს ბარათები და ეურნალ-გაზეთები.

შეომრებმა ვერც მოაჰჩრეს თავიანთი წვრილუნის წაითხვა, რომ ჯარისკაცულ ფოსტაში შენაერთის გაზეთის — „წინ გამარჯვებისაკენ“ — მორიგემა ნომერმა მიიპყრო ყველას ყურადღება. გაზეთის პირველ გვერდზე დიდი შრიფტით დაბეჭდილი იყო სასიხარულო ამბავი. გაზეთი იწვევებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მამაციობისა და გმირობისათვის საბჭოთა გმირების ერთი ჩვეულებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მათ შორის სამი სახელთანი შეომარი მათი შენაერთის პარაშუტი იყო, ხალხს ერთი მათგანი, მათი ბატალიონის დაუღიწვარი კომისარი.

ეს უჩვეულო და განუმეორებელი სახეიშო აქტი ის იყო მიუღწეა, რომ შესანატვრე ეფრეიტორმა ა. შეგრელთშვილმა მარცხენა გულს-ჩიბიდან ამოიღო გაზეთის ვატიკული ამონა-ჭერი და ჩუმად, თავისთვის დაიწყო კითხვა. ეინ იყის. მერამდენიც კითხულობდა მებრძო-ლი ამ ამონაჭერს... იგი კვლავაც გატაცებით იმტორებდა ნაყნობ სტრიქონებს, მაგრამ უჩვეულო გრძნობითა და განწყობით. ნაცნობი იყო მისი ყოველი სტრიქონი, სტრიქონი და სიტყვა. ნაცნობი იყო ვითარება, ადგილი; გეგრიც ნაცნობი იყო, მაგრამ ამ წუთებში იგი სულ სხვაგვარად ელერდა, თითქმის პირველად იტრობოდა მას კომპიშორელი ეფრეიტორი ხმადაბლა, თავისთვის კითხულობდა, მაგრამ ჩინდა, რომ ეს შიღვეარება და გატაცება, მისდა შეუშველელად, სხვებსაც ედებოდა, ჯარისკაცთა ყურადღებას იპყრობდა მისი ხმა, მის გარშემო შეომართა დიდმა ჩვეულებამ მოიყარა თავი. სულ განახლებლი ყურს უდებდნენ და განედოლს თანაბრად ინაწილებდნენ შეომრებს...

ეს იყო სიმონ ჩიქოვანის ბალადა, „საბჭოთა კავშირის გმირი ელადიმერ კანკავა“ — შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები კავკასიის გმირული დაცვის თემაზე.

ამ ლექსში შემთავონებელი ძალითა და მხატვრული მსტატობითა ასახული ჩვენი ხალხის მამაცი და ერთგული შვილის შეომრული ცხოვრებისა და საბრძოლო შემაბრების მართალი და დაუღიწვარი სურათები ომის მკაცრსა და დამაბულ ვითარებაში; ნაჩვენებია ჩვეულებრივი საბჭოთა ახალგაზრდის არაჩვეულებრივი საქმე და თავდადება.

ეს ლექსი დაიწერა 1942 წლის სექტემბერში, ფრანტზე გმირის დაღუპვის დღეებში, ჭარბულ 392-ე დივიზიის შეომრებთან პოეტის სტუმრად ყოფნის დროს. ბუნებრივია, რომ იგი თავდაპირველად შებრძოლთა გაზეთის შევეულონ წაღვა საბრძოლო მწყობრში და თავისი დანიშნულება დირჩეულად შეასრულა.

ეს ბალადა მამაცი კომუნისტის დიდება და ამაღლებულ ამბავზე მოგვიხიბრობს; იმანზე, რა ერთგულად და სახელოვნად იცავდა საბჭოთა ადამიანი თავის სოციალისტურ სამშობლოს, მის ღირსებას და თავისუფლებას.

ლექსში გმირული, მაგრამ ამასთან ტრაგიკული ამბავია მოხსრობილი, რომელიც თავისი ოპტიმისტური სულისკვთებით განამტკიცებდა რწმენას, იმედს უნერჯავდა ათასებს მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

ბალადას დაწავებით კითხულობდნენ ფრანტული შეომრები და თელწინ ედგათ თავიანთი ღირსეული თანამოღველი და გულიდან ამოსულ, მართალ სიტყვას ამბობდნენ: „სწორედ ისეთია, როგორაც მას ვიცნობდით ბატალიონში“. ჯარისკაცთა ამ გულწრფელ თქმვაში სრული სინაართლე იყო გამოხატული. ასე ესახებოდათ ბალადის პერსონაჟი. იგი ნამდვილი, ცოცხალი მავალითა, მისაბამი და აღმაფრთოვანებელი ნიმუში იყო.

ბალადამი ამაღლებლად, დამაჩერებლად არის თქმული ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანის ჯარისკაცული ღვაწლის შესახებ, იმ ახალგაზრდა კაცის შესახებ, ვინც პატრიოტული მოვალეობისა და თავდადების სულსკვეთებით მოქმედებდა, ვინც წმინდა სისხლსა ღერიდა და სიცოცხლესაც არ იშურებდა გამარჯვების მოსაღწევად.

სწორედ ამან მოგვიხიბრობს მისი ჯარისკაცული ცხოვრება. მივეყვით თვით ჯარისკაცულ

ბალადის, რადგან ამ თავდადებული ახალგაზრდა ჭრთველი ცაცის, მამაკეი კომუნისტის საბჭოლო შემართება და თავგადასავალი სრულად და მართლად თვით ლექსშია მოცემული და გახსნილი.

შეტეი სწორად, თანმიმდევრულად გვიჩვენებს და აღწერს გვირის საბჭოლო ეპიზოდებს, ამ პოეტურ ქმნილებაში ადამიანი ნაჩვენებია არა მარტო თავისი ნამდვილი სახელითა და გვარით, ავტორი ღრმად იხედება მეომრის სულიერ სამყაროში.

მეომრის ქცევაში, მის საქმეში ავტორმა აღმოაჩინა და აღწერა დიდი ადამიანური არსი, მოქალაქეობრივი დანიშნულება, შიგვცა საბჭოთა ადამიანის, მაღალი შეგნებისა და კეთილშობილური მიზნის ხორცშესხმული შიგვლითი.

რამა ამ ახალგაზრდა ადამიანის გვირობის არსი, მისი თავდადების სიდიადე და სიღამაზე? გვირის საბჭოლო შტაბანე მოგვითხრობს:

პირველი რიცის საბჭოლო ამოცანა მესანგრებმა წარმატებით შეასრულეს: გადასისვლელები შზადა, ნიფეზიე ადგილზეა, დენატის მონაწილე მსროლელი ქვეგანაყოფების მეომრები უკანასკნელ თადარიგში არიან. მთელი პირადი შემადგენლობა საბჭოლო აღტყინებათ უზრუნველსა დღენიშენელოვანი საბჭოლო ამოცანის შესასრულებლად. თითქმის ყველაფერი შზადა ოპერაციის დასაწყებად, მაგრამ ამ დროს მოიეროზე მეომრთა საბჭოლო რაგებს აკლდება მსროლელი ქვეგანაყოფის კომისარი, ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ქონდა დაცირებელი ამ საბჭოლო ამოცანის შესრულებაში.

ამ გადაწყვეტ მომენტში, როცა წუთები წყვეტდნენ ბრძოლის ბედს, დავოვნება შეუძლებელი იყო. როცა დასახული საბჭოლო ოპერაცია წაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, შეზღავნი პოლიტმუშაკის წინაშე სწრაფად წარდგა პოლიტბელი კანკეა და თავისი გულისნადები მოახსენა — მას შიანდონ ამ საპასუხისმგებლო საბჭოლო ოპერაციის შესრულებაში მსროლელი ქვეგანაყოფის კომისარის მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობა.

ცხადია, იგი პირადი განდიდებათვის როდი მიიღოდა ამ რისკზე. იგი სტებთან ერთად საფვარელ საშობლოს იცავდა.

უფროსი პოლიტმუშაკი თანამობისა და მოწონების ნიშნად შავრად ართივენს ზელს კანკევას და წარმატებას უსურვებს ამოცანის შესრულებაში.

რა ამოჩაყებდა პოლიტბელ კანკევას, როცა მძიმე საბჭოლო ვითარებაში ასეთი ჩარისყაცული ინიციატივა გამოიჩინა, ასეთი გაბედული ნაბიჯი გადადგამ? მან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტ

ვეტ მომენტში დავოვნება დასამალო იქნებოდა საშობლოსა და თანამობათა წინაშე. კანკევამ იცოდა, რომ თითქმის ყველა მსროლის გადაღება და რაც შეეძლო, შეხვედრამ შეტყვის განვითარება. მას უკვე ქონდა მიღებული „საბჭოლო ნათლობა“. მიუხედავად ამისა, იგი შზად იყო სარდლობის საბჭოლო დავალების პირნათლად შესრულებისათვის. ამ შეგნებით იყისრა კანკევამ ახალი დიდი მოვალეობა.

კომუნისტ კანკევას ამ საბჭოლო ინიციატივას მართალი გულით უმღერა პოეტმა:

„მდინარის პირად შეგვეციე, გადამა ცეცხლში გადაბელო შენი მარჯვენის სიმტკიცე მტერი ბრძოლაში დალაზერა, შებჭოლო რიგი შექარი, წინ მიუძლოდი იერიშს, ვაშა დასახე შექეარი, გიბმობდა თერგი ძლოერი“.

აღიონზე, მოცემულ ნიშანზე, ქვეგანაყოფებმა სწრაფად და მოლოდინელოდ გადალაზეს წყლის ზღუდე და გაარღვეს მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზი, გაბედულად შეიჭრნენ მის განლაგებაში და ორი დასახლებული პუნქტიდან გარყვეს გერმანელი დამპყრობლები. მაგრამ მალე მტერმა მოახერხა ბრძოლაში ახალი მამველი ძალები შემოეყვანა და კონტრდარტყმით შეეცადა დავარგული ზღუდეების დაბრუნებას. რისთვისაც ბრძოლაში ჩააბა ათეულობით ტანკი, არტილერია, ნაღმსატყორცენები და ათასობით მეომარი.

ბრძოლის გელზე ამქარად არახელსაყერი ვითარება შეიქმნა ჩვენი მეომრებისათვის. ცოცხალი ძალისა და საბჭოლო ტექნიკის მხრივ მტრის დიდ რიცხობრივ უპირატესობასთან ერთად, ადგილმდებარეობაც მოწინააღმდეგის სასარგებლოდ წარმართავდა ბრძოლის მსვლელობას. მაგრამ არ შემდრკალან საბჭოთა მეომრები. მათ სწრაფად გამართეს და განამტყიცეს თავდაცვითი პოზიციები. სისხლისმფერი ბრძოლება ორ დღე-ღამეს გრძელდებოდა, მებჭოლოთა, რიგები თხელდებოდა, მაგრამ მტერმა ვერ გატება ჩვენი მეომრების სულიერი სიმტკიცე და შეუპოვრობა:

„აბა, ბიჭებო, არ წახდეთ, მტერი მოვსმით და გავრყოთ თითქო მთებიდან ვეძახდნენ, თითქო რკეკედა სამრეკლო“.

მძაფრი ბრძოლა შვირად ხელჩართული შეტაკების სასათის ღებულობდა, ხელუშობარები და ხმშით ვეუთება წვევტდა ზოგჯერ ბრძოლის ბედს. თავგამოდებით იბრძოდნენ ჩვენი მეომრები კაბიტანი ი. იაშვილი, უფროსი პოლიტბელი ვ. ლობჯანიძე, ლეიტენანტი ვ. რუხაძე, პოლიტბელი ს. მეტრეველი, უმცროსი ლეიტენან-

ტი შ. გერალიძე და სხვები. მათ სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მძიმე ზარალის და მსხვერპლისა, გვიჩვენებს სიმტკიცე და გულტანობა. ორ დღეში ტყვიითა და ხიშტით მოსპეს 250-ზე მეტი პიტლერელი, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 7 ტანკი და ბევრი სხვა სახის საომარი ტექნიკა.

ამ მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში განსაცდელრებელი მეომრული უნარი და შეუპოვრობა გვიჩვენა პოლიტბლმა ვ. კანკავამ. იგი პირადი ვაეკაცობითა და მხედრული მოსაზრებულობით რაზმად მეთმართა რიგებს.

ამ მძიმე ვითარებაში არ იყო მიტინგების ჩატარებისა და გრძელი სიტყვების წარმოთქმის საშუალება და არც საჭიროება, მაგრამ პალიტბლ კანკავის მოკლე, ციკლოგანი, მოწოდება სანგრიდან სანგარში აღწევდა, აცემენტებდა მეტბოლთა რიგებს, რაზმად კომუნისტებსა და კომკავშირებს საბრძოლო შემართებისათვის. იმ აველაზე კარგი ავტიკაცია პოლიტმეშაის თითოეული კომუნისტის პირადი საბრძოლო მოწოდება იყო და კანკავე იარაღით ხელში მოწოდებულად სწორედ იმ გამოჩნდებოდა, სიდაე აველაზე მეტი სიმწელე იყო.

აველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა მტრის ტანკები, ჩვენს საბრძოლო მწყობრში იჭრებოდნენ და მტრის ყუშპარები და ნაღმები სერაფდენ სანგრებს, კანკავამ ელვის სიწრაფით სტაცა ხელი დატრალი საბჭოთა მეტბოლთს ტანკსაწინააღმდეგო თოფს, შეარჩია მოხერხებული ადგილი და დასტეკა: ასაშობლოსათვის, იდეკით შედგრაფ, ამაანაკებო! პირდაპირი დაწიწიბით ადგილზევე ააფეთქა მტრის მეწინავე ტანკი. აფედნულად ტყორცნიდა პოლიტბული ხელუქმბარებს. შეუწყვეტილად ისართდა ტანკსაწინააღმდეგო თოფიდან. უთანასწორო ბრძოლაში პიტლერელთა მეორე ტანკაც მოსპო უშინებამ პოლიტბულმა.

მტრის ფოლიდის ურჩხულთან საბჭოთა მეომრის შეტანაზე, ამ უჩვეულო შერკინებაში საბჭოთა ადამიანის გამარჯვებაზე ამბობს პოეტო:

„აეპირე, სისხლით ნაყებო, ნაღმების ჩროლვამ მოწინსა, მტრის საზიზღარი ტანკები მოედინნ, ეპბი მოსმამ, არ შედრკი, შეხადი ვარქვართ, სიოდლოან ვიჭერ შეხადი, ორი ორჩხოლი დაღწეფ, მომშეს აფთოე იმედი...“

და, მართლაც კომუნისტი მეომრის გაბედულეობამ, მისმა პირადმა საბრძოლო მიგაღობობამ აბალი ძალა შემტა ჩვენს მეომრებს. ისინი ურყევ კლდესავით აობმართნენ, მარჯვად ურტყამდნენ მტრის და დაღინდობლად ცხრილადენდნ მოწინააღმდეგის რიგებს. სპობდნენ მის საომარ ტექნიკას. ამ სასტიკ შეტაკებაში 1942 წლის 9 სე-

ქტემბერს ბრძოლის ველზე მამაცი, სიგვილით დაეცა ჩვენი ხალხის სასტრატეგნ შქელე, მესანგრეთა ბატალიონის კომუნისტი მამაცი პ. კანკავი, ვმირი დაიღუბა საშობლობათვის.

ვმირის საბრძოლო თავდადებასა და ვაეკაცობას ლექსში ასე უმღერა პოეტმა:

„რა გული გქონდა, რა ცეცხლი, ფიჭვი მტყიცე და ნათელი ყაბარდოს ველზე დაეცი თავდადებული ქართველი. მოამეთა მიწს აკოცე, თითქო უთხარი მიდლობა. მტარვალი ბევრი დაბოცე, ისევე გინდოდა ადგობა. ყაბარდოს ველზე იწყე, თვალი დახუქე აღმასი. ყაბარდოს ველზე იწყე, კაცო ცეცხლი და მამაცი რას გაამბობდა მდინარე, მშობლიურ მთიდან მქუზარი. მკედარი იყუე თუ მძინარე, ბედნიერი თუ მწუხარი თითქო შენ მშვიდად გეძინა, მტრის ჩაუქციე ნაღველი. და, როგორც დროსა, გეფინა მკერდზე ვაეკაცის სახელი“.

პოეტი ღრმად წყდება კომუნისტი მეომრის ამბულბულ სულისკვეთებას.

მედლეგრამა სამშობლომ დააფთსა თავისი ერთოფელი შეილების თავდადება. მეომართა ერთოჩვეული დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო პოლიტბულ ვ. კანკავს სიდავლის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის ვმირის წოდება. ამაზე ვაუწყებდა სსრ კავშირის უმალესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება. რომელოც საბრძოლო მწყობრში ღრმა განცდით მოისმინეს ვმირის თანამოიარაღებებმა.

ასე სიმართლოთ ვიწინააღმდეგებამ ერთი ჩვეულებრივი საბჭოთა აბალგაზრდის, მამაცი კომუნისტის ვმირობა და შემართება.

პოეტმა ავიწერა აბალგაზრდა საბჭოთა ადამიანის შემართების ერთი „აფეთქების“ მომენტო, რომელიც შეშალებული იყო მთელი მისი ცხოვრებით, რომლის ხასიათი და მორალური მრწამსი უაღიბლებოდა, სრულყოფილი ხეღობა და შრომისა და ბრძოლის პრიოცსში.

სწორედ ამაშია კანკავის ვმირობის ბუნებრივი და კანონზომიერი ხასიათი, რომლის ბატრიოტულმა სულისკვეთებამ ასე, მთელი ძალით იბინა თავი მამარ და კრიტიკულ ვითარებაში.

ასეთი ადამიანის, ასეთი მეომრის მამაცობასა და ვმირობას მთელი გულთ უმღერა პოეტმა სიმონ ჩიჭოვანმა.

პაპლ. ნ. ბერძენიშვილი

დაბადების 70 წლისთავის გამო

ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე აკად. ნ. ბერძენიშვილის მრავალმხრივი დამსახურების ამომწურავი დახასიათება ერთ პატარა წერილში შეუძლებელია.

ჩვენ აქ ყურადღებას გავამახვილებთ მისი მეცნიერული მოღვაწეობის ერთ მხარეზე — ეს არის საქართველოს წარსულის შესწავლა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. განსაკუთრებით ინტენსიურად ამ დარგში ნ. ბერძენიშვილი ბოლო ათეულ წლებში მუშაობს და ამის შედეგად მის მიერ საქართველოს ისტორიის არა ერთი კარდინალური საკითხია დასმული.

ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დისციპლინის დამკვიდრება ჩვენში ნ. ბერძენიშვილის სახელთანაა დაკავშირებული და ეს სულ ახალი საქმეა.

ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში აკად. ივ. ჭავჭავაძის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია არ არსებობს, რის გამოც ისტორიული მეცნიერება იძულებულია დასჯერდეს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ ნაშრომსო. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს-ის პირველი ნახევრის დიდმა ქართველმა მეცნიერმა დავით აღმაშენებელმა ამ დარგში ეპოქალური გამოკვლევა ე. წ. „აღწერა საქართველოსა რუკითურთ, მაინც, დღეს იგი ვეღარ აკმაყოფილებს მეცნიერების ამ დარგის მოთხოვნილებას.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ეს ხარვეზი ნაწილობრივ თვით ივ. ჭავჭავაძელმა შეავსო, როდესაც თავისი „ქართველი ერის ისტორი-

ის“ მეორე წიგნის პირველ გამოცემას წინ, შესავლის სახით, დაურთო მონოგრაფიული გამოკვლევა „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია“, ხოლო უფრო გვიან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ისტორიული საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს, და სათანადო რუკაც გამოაქვეყნა. განსვენებულმა აკადემიკოსმა ჩვენ დროში პირველად დასვა საკითხი იმის შესახებ თუ რა პრობლემებს უნდა ეხებოდეს ისტორიული მეცნიერების ეს დარგი. მისი აზრით, ისტორიული გეოგრაფიის კვლევის ასპარეზია ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტი, პოლიტიკური საზღვრები, შინაგანი საზღვრები ანუ მოსახლეობის გეოგრაფია, ამა თუ იმ ისტორიული პუნქტის დადგენა და გზები — რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გააზრებული ისტორიულ პერსპექტივაში.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამის შემდეგაც არა ერთი მკვლევარი შეხებია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის გამოუკლებლივ ყველა მათგანი ეხება ამა თუ იმ ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციას ან ქველი პოლიტიკური ცენტრების გადანიშნულებას, ანდა საქართველოს პოლიტიკურ და შინაგან საზღვრებს და მათ ცვალებადობას.

ერთი სიტყვით, ყველა შემოხსენებული მკვლევარი და მათი ნაშრომები ისტორიული გეოგრაფიის დარგში ეხებოდა საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხებს ისტორიულ ხანაში.

ფაქტობრივად ამით ამოიწურებოდა ისტორიული გეოგრაფიის მიზნები, სა-

კითხთა მხოლოდ ამ წრეს მოიცავდა ცნება — ისტორიული გეოგრაფია.

ამგვარი საკითხების კვლევა და საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის მეცნიერული აღდგენა ისტორიული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უსაჭიროესი მოთხოვნილებაა დღევანდელი ისტორიოგრაფიისა და ეს ისტორიული გეოგრაფიის უპირველესი ამოცანაა, მაგრამ ეს არ არის მეცნიერების ამ დარგის ერთადერთი და, თუნდაც ძირითადი პრობლემა.

დღეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, თანამედროვე მეთოდოლოგიის შესატყვისად, საესებით ცხადად არის აღდგენილი საკითხთა ის წრე, რომელსაც იკვლევს ისტორიული გეოგრაფია.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ისტორიული გეოგრაფია შესწავლის ისტორიული პროცესის გეოგრაფიულ მხარეს, ე. ი. მისი განხილვის საგანია ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიული განვითარების ძირითადი საკითხები სწორედ ამ (გეოგრაფიული) თვალსაზრისით ხოლო, რამდენადაც ისტორიის ძირითადი საკითხებია საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ანუ ხალხის ეკონომიური განვითარებისა და სოციალური სტრუქტურის შესწავლა, და აგრეთვე ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური განვითარების შესწავლა, ამდენად ისტორიული გეოგრაფია ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს ამა თუ იმ ხალხის მეურნეობის გეოგრაფიას, რაზედაცაა დამყარებული მისი სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია და აგრეთვე ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ გეოგრაფიას. ხოლო რადგან ყოველი ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში, რომელიც ამის გამო ნელა, მაგრამ განუხრებლად იცვლება, ამიტომ ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტიც ამა თუ იმ ეპოქისა რამდენადმე ისტორიული გეოგრაფიის საკვლევ საკითხთა წრეში შემოდის.

ასე დგას დღეს საკითხი საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

ასევე დგას დღეს ეს საკითხი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიულ-ეტიმოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. თვით ამ პრობლემის დასმა ზემოხსენებულ ინსტიტუტში აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივაა. ეს თავისთავად, შემთხვევითი მოვლენა არ არის.

უკვე ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩვენს ისტორიოგრაფიაში გადალახული იქნა ის ვიწრო სარბიელი, რომელიც მანამდე ტრადიციულად ჰქონდა ჩვენში ისტორიულ გეოგრაფიას. ამ დროს იქმნება არა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, რომელშიც საქართველოს ისტორიის ესა თუ ის საკითხი ან საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ისტორია განხილულია არა მხოლოდ პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, არამედ იმ ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაწიერით, რომელიც დღეს აღიარებულია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ერთი პირველთაგანი აქ აკად. ნ. ბერძენიშვილი იყო. ამის ცხადი მოწმობაა შარშან გამოსული მისი შრომების პირველი წიგნი: „საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I. ისტორიული გეოგრაფია, თბილისი, 1964 წ.“

წიგნი შეტანილია სხვადასხვა დროს (1932-1958 წწ.) და სხვადასხვა მიზნით ჩატარებული ექსპედიციების საანგარიშო მოხსენებები და სპეციალური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ნაშრომები არ არის ერთნაირი ხასიათისა, მათი ასეთი შერჩევა გამართლებულია ერთი პრინციპით, იმით რომ, ყოველი მათგანი და ყველა ერთად დამორჩილებულია ერთ იდეას — საქართველოს შესწავლას ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით იმ ასპექტში, რომელიც ზემოთ მოკლედ იყო წარმოდგენილი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიის ყველა აქ დასმული ძირითადი საკითხი წამოჭრილია თითქმის მხოლოდ საველე-პრაქტიკული ძიების შედეგად — ეს არის ისტორიულ-გეოგრა-

ფიული ძიების არსებითი პრაქტიკული მეთოდი დღეს.

* * *

უკვე 1935 წელს ნ. ბერძენიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოს სხვადასხვა მხარეთა განვითარების თავისებურებების შესწავლის აუცილებლობას და მიუთითებდა, რომ „ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის“ (გვ. 175).

ამ ცალკეულ მხარეთა ისტორიულ სპეციფიურობას იგი ხსნის არა მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებით, არამედ, პირველ რიგში, მათი სამეურნეო განვითარებისა და სხვა მხარეებთან ეკონომიური ურთიერთობის თავისებურებებით. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ გზებს. ამ უკანასკნელთა გათვალისწინებით, მაგალითად, გასაგებია ზღემა თრიალეთის და ჭავჭავთის მფლობელობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა საქართველოს გაერთიანების პროცესში:

„გამტარი გზების სიმრავლით და ცენტრალური მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჭავჭავთს — თუ ჭავჭავთი სამცხე-ტაოკლარჯეთის მხრით ჰკეტავდა თრიალეთს, თრიალეთი ჭართლ-კახეთის მხრით ჰკეტავდა მას“ (გვ. 53).

აქედან უკვე სავეებით ნათელია ის ფრთხილ მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ჭავჭავთისა, ერთის მხრივ, და თრიალეთის, მეორე მხრივ, ასეთი სტრატეგიული მდებარეობა იყო ის ძირითადი ფაქტორი, რაც განსაზღვრავდა აფხაზთა მეფეებისა (რომლებიც X ს-დან მაინც უკვე ფლობენ ჭავჭავთს) და ბალვაშთა (რომლებიც IX ს-ის ბოლოდან ფლობენ თრიალეთს) განუწყვეტელ ბრძოლას: „ამ ორი ქვეყნის ასე თუ ისე გაერთიანების გარეშე, მათ მფლობელთა ურთიერთ შორის ქიშპის პირობებში საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანება ფრთხილ ფე-

რსდებოდა. აუცილებელი ჩანდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების (მეცნიერების თხოვდა): ან ჭავჭავთის მატარებელი ხაზთა მეფეს) უნდა აეღო თრიალეთი, უნდა დაემორჩილებინა ის, ან კიდევ აფხაზთა მეფეს უნდა დაეთმო ჭავჭავთი თრიალეთის პატრონისათვის და მასთანამე აღმოსავლეთ საქართველოსაც გასცლოდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე სხვას ეთავა, მაგრამ იმას კი, ვინც უპირველეს ყოვლისა ამ ორი ქვეყნის ზღეში აღებდას შესძლებდა“ (გვ. 53).

საბოლოო ჯამში საქართველოს გაერთიანება ცალკეულ მხარეთა ისტორიულ-ეკონომიური გეოგრაფიით და ამ ნიადაგზე მათ შორის განვითარებული სავაჭრო ურთიერთობით იყო გაპირობებული. ისტორიული გეოგრაფიის მორიგი ამოცანაა კონკრეტულად შეისწავლოს საქართველოს ისტორიის ეს კარდინალური საკითხი.

ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ საქართველოს ისტორიულ-ეკონომიური გეოგრაფიის ისეთი საკითხი, როგორცაა მაგალითად მთისა და ბარის საძოვრების განაწილება ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „დღემდე არავინ ცდილა წარმოეჩინა მესაქონლეობის მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიულ პროცესში“ (გვ. 353, ხაზგასმა ჩვენი). ესეც ისტორიული გეოგრაფიის მორიგი ამოცანაა.

მაგრამ მთისა და ბარის ურთიერთობა მხოლოდ ეკონომიურ (და აქედან გამომდინარე პოლიტიკურ) ასპექტს არ გულისხმობს: „მთისა და ბარის ურთიერთობა საქართველოს ისტორიის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია“ (გვ. 241). ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტს (მათ შორის სოციალურსაც) ნ. ბერძენიშვილი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მიმართებით ეხება. იგი ამ დიდ ისტორიულ პროცესს კავასიაში ორ ეტაპად ჰყოფს: პირველი, როდესაც მთა უტევს ბარს

და მეორე, როდესაც სახელმწიფოდ ორგანიზებული ბარი უტევს მთას და იმორჩილებს მას: „ვახტანგ გორგასანი კონდენსირებული „ბარია“ და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა“ (გვ. 241). „მთის შემოტევას ამიერიდან ეპიზოდური ხასიათი აქვს. მთიელები ამის შემდეგაც ჩამოდიან ბარში, მაგრამ არა როგორც დამპყრობლები, არამედ როგორც „მებეგრეები“ და თანდათან ბარის სოციალური ურთიერთობის კანონებისა და კვალად ეს მთიელყოფილები მთიელობასთან ერთად კარგავენ თავიანთ ეთნიკურ სახეს, ქართველგლეხდებიან“ (გვ. 242).

ამგვარად, მთისა და ბარის ურთიერთობას საქართველოს ეკონომიური და სოციალური განვითარების თავისებურებათა გარკვევის გარდა, მნიშვნელობა აქვს მისი ეთნიკური ევოლუციისათვისაც, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის გარკვევისთვისაც.

მაგრამ ეს ამ რთული პრობლემის ერთი მხარეა.

ქართველი ხალხის ეთნიკური ფიზიონომიის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ტომთა თუ ხალხთა მიგრაციას, კერძოდ თვით ქართველთა მოძრაობას ისტორიულ ხანაში საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და აგრეთვე არაქართველთა ინფილტრაციას.

მოსახლეობის მიგრაცია ისტორიული გეოგრაფიის ერთერთი ძირითადი საკითხია. საშუალო საუკუნეებში ქართველი გლეხი ხშირად იცვლის ადგილს, იხიზნება უკეთესი მიწის, უკეთესი პატრონის (ფეოდალის) ან მტრისაგან მშვიდობის მოპოვების მიზნით. ამ მოძრაობის ფაქტების ბუნებაზე დაკვირვება და მათი ღრმა შესწავლა ცხადყოფს, რომ „ამ მოვლენის მთავარ შემოქმედად კლასთა ბრძოლა უნდა ვაღიაროთ“ (გვ. 237).

მაგრამ გარდა ქართველი მწარმოებელი მოსახლეობის ადგილმონაცვლეობისა, მოდიოდა ან მოხვედათ არაქა-

რთული მოსახლეობაც: ლეკები, ქისტები, ოსები, ჩერქეზები, კუჩუკები, მერქნები, თათრები. სათანადო მოწოდებით ბევრია გვიანფეოდალური ხანის საქართველოსთვის. უფრო ადრეული ხანისთვის საამისო მაგალითად დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყივჩაღებისა და სომხების გადმოსახლებაც საკმარისია. ამასვე მოწმობს საქართველოს ტოპონიმია და ეთნონიმიაც. მთელი ეს რთული, ხანგრძლივი და მრავალმხრივი პროცესი მიმდინარეობდა ერთი ნიშნით, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი უწოდებს „დიდი მნიშვნელობის ფაქტს: იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ მხარის ფიზიკური შედგენილობა თანდათან იცვლება, მოსული ელემენტი დამხედურის კულტურას ეზიარება, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცევა, ე. ი. ამორიგენი ხდება“ (გვ. 239), ხოლო ზოგჯერ მთლიან ასიმილაციას განიცდის. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, წინაკლასობრივ ხანაშიც ხდებოდა. (გვ. 240).

* * *

მთისა და ბარის მთელ ზემოხსენებულ ურთიერთობასთან და გზებთან ორგანულადაა დაკავშირებული ციხესიმაგრეები, რომლებიც ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით დღემდე თითქმის არ არის შესწავლილი. ამ ნაკლს ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ 1933 წ. ანგარიშში აღნიშნავდა: მაშინვე ნ. ბერძენიშვილმა დასვა ციხის როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, შესწავლის საკითხი, რომელიც მან გააღრმავა უფრო გვიან 1947 წ. ბორჯომის ხეობაში მოგზაურობისას.

ნ. ბერძენიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართულ ციხეებს, როგორც მრავალსიმეტყველ მატერიალურ დოკუმენტებს საზოგადოების სოციალური განვითარების ეტაპების საილუსტრაციოდ, რადგან „გადაჭრით შეიძლება ითქვას, მატერიალური კულტურის არცერთ ნაშთს არ შემოუნახავს აგრეთ მდი-

დრად და აგრე ცოცხლად საზოგადოების თავდასასვალი, როგორც ის შემოგვინახა ციხეში... (გვ. 258).

საბოლოოდ, ციხე-სიმაგრის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული კატეგორიის, შესახებ აზრი უფრო გვიან ამგვარადაა ფორმულირებული: „ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისკენ ეწყოდა: ამა თუ იმ ციხის „შემავალ“ ქვეყანაში გამვლელი, რასაკვირველია გვირდს ვერ აუქცევდა ამ ციხეს, ხოლო მძელი საქართველო ზომ გარკვეულ დროს ასეთ საციხისთაო ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგებოდა... (გვ. 307).

ციხე-სიმაგრეების, როგორც სოციალური მოვლენის, შესანიშნავი ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზია მოცემული „ცხუმის ციხისა“ („მაგარატის ციხისა“) და „სოხუმის ციხისა“ („სოხუმ-კალე“) ურთიერთ მიმართების განხილვის დროს (გვ. გვ. 295-298).

* * *

საქართველოს მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა კიდევ ერთ საკითხს აყენებს. ეს არის მოსახლეობის რაოდენობის საკითხი ამა თუ იმ ხანაში. ასე, მაგალითად, ჯავახეთში 1933 წ. საველე სამუშაოების დროს აღწესებული მიტოვებული სოფლების რიცხვმა ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „ჩვენ მიერ ნაწარმოები სახელდახელო დაკვირვება ვერანაებზე და აწინდელ ცოცხალ სოფელთა რიცხვის გათვალისწინება უფლებას გვაძლევს ძველი ჯავახეთის მოსახლეობა უფრო მკირერიცხოვანი არ ვივარაუდოთ, ვიდრე ის არის დღეს“ (გვ. 165-6).

ეს მნიშვნელოვანი დასკვნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხასიათის საკითხებს ძრავს: კერძოდ, როდის იყო მოსახლეობის ასეთი სიმრავლე და მეურნეობის რა პირობები იყო ამისათვის საჭირო.

წინააღმდეგ საქართველოს სხვა მხარეებისა, ჯავახეთში ქვეყნის მთლიანობა, რომელსაც ეხლა მისდევდა, ნაყოფიერ ხშირი ყინვების გამო, არარენტაბელურია. სამაგიეროდ მეტად უხვ მოსავალს იძლევა სამესაქონლეო ბალახი და, ამდენად, აქ მესაქონლეობა ფრიალ ხელსაყრელია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მოსახლეობის ის სიმრავლე, რომელიც აწ არსებული, თუ ვერანა სოფლების გათვალისწინებით ივარაუდება, შეუძლებელია ასეთ არარენტაბელურ მეურნეობის (მეხობლეობის, დ. მ.) პირობებში შექმნილიყო და არსებულიყო. ამასვე გულისხმობდა საქართველოს სამეურნეო და ეკონომიური მთლიანობა მისი ფეოდალური განვითარების უძლიერეს ხანაში. მსხვილი და წვრილფეხა საქონელი (მუშასაქონელი, ხორცი, მატყლი, ტყავი, რძის ნაწარმი), სელი (-ზეთი), თაფლი (თაფლი, სანთელი), შინაური ფრინველი და თევზი, ქერი იყო ჯავახეთის მოსახლეობის დოვლათი, რაის გარდანამატსაც ის სააღებმიცემო საგნად აქცევდა საქართველოს სხვა კუთხეებთან, რომელნიც მას საჭირო სახმარით (პური, ღვინო, მარილი, ფარჩეული, ხილი) ამარაგებდნენ“ (გვ. 104). ასეთი იყო ვითარება ფეოდალური საქართველოს აღმავლობის ხანაში (XIII ს-დე). ეს არის საწარმოო ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპის, ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვების ხანა. ამ ნიადაგზე აღმოცენებული ფეოდალურ-პარტიკულარისტული ტენდენციები, რომლებიც განავითარა ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ (მონღოლთა ბატონობა, ბიზანტია-სპარსეთზე მიმავალი სავაჭრო გზების მნიშვნელობის შესუსტება) ვახდა მიზეზი საქართველოს სუსტი სამეურნეო მთლიანობის მოშლისა და ფეოდალური კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის განვითარებისა. სავაჭრო დაცვლა-გამოცვლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის შესუსტდა ან, საბოლოოდ თითქმის სულ შეწყდა. ამისდაკვალად ჯავახეთის მეურნეობა უნდა შეცვლილიყო, „არახელ-

საყრელად შექმნილ მესაქონლეობისა და სელის წარმოების ხარჯზე პურეულის თესვა გაეძლიერებინა, რაც ჯავახეთის პირობებში სამეურნეო რეგრესს მოასწავებდა და საბოლოო ანგარიშით ძველი მოსახლეობის საგრძნობ შემცირებას გულისხმობდა (გვ. 104). გამრავლდა ნაოხარი, უკაცრიელი, პარტაბი, ვერანა, ხარაბა და ეს მოვლენა სრულიად არ იყო მხოლოდ გარეშე მტრის შემოსევების შედეგი“ (გვ. 168). ეს ზემოაღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, მთელი საქართველოს მეურნეობისათვის მეტად საზიანო იყო, რადგან „ამიერიდან ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობა, რომლის საზაფხულო საქოვრებს სწორედ ეს მხარეები წარმოადგენდნენ“ (გვ. 169).

ეს ნათელი სურათი მხარის ისტორიული წარსულისა (ეთნიკური და ეკონომიური გეოგრაფიისა), შექმნილი სავლელ დაკვირვებების შედეგად, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჯავახეთის სპეციფიკას არ წარმოადგენს და მისი წარმოჩენა საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც სავსებით შესაძლებელია (შდრ. მაგ. თორი, გვ. გვ. 217, 253-4).

* * *

საქართველოში მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობის, უფრო სწორად, სიხშირის შესახებ მსჯელობა ამჟამად შესაძლებელია არა მარტო ფეოდალური ხანისათვის, არამედ წინაკლასობრივი პერიოდისათვისაც კი.

1953 წ. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვითი ექსპედიცია გარეჯახეთში. ისეთი რიგის არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენამ, როგორცაა კულტურული ფენების ანუ ადამიანის მწერ თავის ძველ ნასადგომეზე ცხოვრების შედეგად დატოვებული ნაშთქმედარის ნაშთების (ქვის იარაღები კერამიკული ნატეხები, ლითონის იარაღ-სამკაული, ორგანული ნაშთები, ნაცარ-ნა-

ცეცხლურები და სხვ.) შემცველი მიწის შრეების მქონე ბორცვების უკუჩვენების“ მრავლად დადასტურებამ, სავსაძველი მისცა ნ. ბერძენიშვილს აელო სწორი გუმანი მათი ბუნების შესახებ.

რომ სწორად შევაფასოთ ამ ფაქტის მნიშვნელობა, უნდა აღვნიშნოთ: ამგვარი არქეოლოგიური ძეგლები („გორები“, „ნაცარგორები“) მანამდეც არქეოლოგების მიერ არა ერთი იყო შენიშნული, მაგრამ ისინი ძირითადად მიჩნეული იყო „საკულტო ბორცვებად“ ანდა კიდევ ყორღანებად (სამარხებად). ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს ძეგლები ძირითადად ადამიანის „პირველსაცხოვრისება“ და თუკი ისინი დროთა ვითარებაში საკულტო ან სხვა რაიმე შინაარსში იქნენ, ეს საზოგადოების თანდათანობითი განვითარების შედეგია და შედარებით გვიანდელი მოვლენაა. მაგრამ ამა თუ იმ „გორის“ ასეთი მეტამორფოზი თავისთავად სწორედ იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ იგი ამ საზოგადოების „პირველსაცხოვრისება“ (გვ. 385). გარკვეული დროიდან ადამიანი სტოვებს ამ თავის „პირველსაცხოვრისს“ — საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ეს დიდი ტეხილია. „ამიერიდან საცხოვრისად ადამიანმა გორის ძირი, ან მისი შორიახლო ადგილი შეარჩია, გორა კი სპეციალური დანიშნულების საზოგადო ადგილად დარჩა: სალოცველ ადგილად, უკეთ, საკურთხეველ-სამსხვერპლოდ და ამ ცერემონიასთან დაკავშირებულ რიტუალის ადგილად (როკვა). სხვაგან კიდევ, საამისო საზოგადოებრივსა და ბუნებრივ ხელსაყრელ პირობებში. ასეთი გორაკები ციხე-ქალაქებად (ციხე-გალავნებად) იქცნენ და დაბლა, გორისძირას, ან მისგან შორიახლო განსახლებულ მცხოვრებთათვისაცავე ადგილებად—დედაციხედ“ (გვ. 386-387).

ამგვარად, ნ. ბერძენიშვილის მთავარი დამსახურება აქ ის არის, რომ მან ამ არქეოლოგიურ მოვლენაში („გორები“, „ნატატტრები“, „ნაცარგორები“) სოციალური შინაარსი ჩასდო, ამ არქეო-

ლოგიური ძეგლების, როგორც სოციალური მოვლენის, საკითხი დასვა. ეს კი გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, ჩვენს სინამდვილეში, ნამდვილი აღმოჩენაა!

• • •

უკანასკნელად ჩვენ შევხვებით კიდევ ერთ პრობლემას, კიდევ ერთ კარდინალურ საკითხს საქართველოს ისტორიისას, რომელიც მთელი თავისი მნიშვნელობით დადგა ნ. ბერძენიშვილის წინაშე სწორედ ისტორიულ-გეოგრაფიული საველე კვლევა-ძიების შედეგად.

ეს არის საკითხი ირივაციისა და კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოქმნისა აღმოსავლეთ საქართველოში.

1953 წ-ის ზემოხსენებული ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია, რომლის ერთ-ერთი შედეგი „გორების“ აღმოჩენა იყო, ფაქტიურად გამიზნული იყო აღმოს. საქართველოს ტერიტორიაზე ძველი სარწყავი არხების შესწავლა-გამოვლენისათვის, რადგან ნ. ბერძენიშვილის აპრიორული მოსაზრებით, ამ რივის მატერიალური ძეგლების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის წყალობით შესაძლებელი გახდებოდა კონკრეტული მსჯელობა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შესახებ და, კერძოდ, ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა-დამკვიდრების შესახებ (გვ. 368-9).

ექსპედიციის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. და ისეთი რიგის საკითხები წამოჭრა, რომლებიც აქამდე წარმოებულ კაბინეტურ ძიებას არ დაუსვამს და ვერც დასვამდა. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ყველა ამით არ შევხვებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითადს.

ჯერ ერთი, დაისვა მცირე და დიდი არხების ქრონოლოგიის საკითხი, მცირე არხი რწყავს ამა თუ იმ ხევში, ხეობაში განლაგებულ სოფლების მიწებს და თვითონაც იმავე ხევიდანაა გამოტანილი. ასეთი, ხეობებში განლაგებული სოფლების „მეტრნეობა ძირითადად ამ ხევე-

ბიდან გამოტანილ სარწყავ წყალს ეწყობა და ეს ასევე იყო (დაზღვევ უნდა) ძველადვე და უამწყლებრდ შანაბ ამ ხებით არსებობაც კი წარმოუდგენელია, ე. ი. მას შემდეგ რაც მეზობლეობა და, უფრო გვიან, მევენახეობა ამ სოფლების მკვიდრთათვის მეურნეობის ძირითადი დარგი გახდა, მორწყვაც, იგულისხმება, უკვე თან ახლდა მათ ასეთ მეურნეობას“ (გვ. 405-6).

რაც შეეხება დიდ არხებს, რომლებიც ემსახურებიან დიდი ველების მორწყვას, ისინი უფრო გვიანი წარმოშობისაა. „მათი მშენებლობა გულისხმობს შედარებით დიდი ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ გაერთიანებას, გულისხმობს საამისო ხელისუფლებას (უფალს, ხელმწიფეს, ფეოდალს) და წარმოადგენს სოციალური ურთიერთობის ძლიერ მომენტს“ (გვ. 406).

განსაკუთრებულ ყურადღებას ნ. ბერძენიშვილი სწორედ ამ დიდი ველის მომრწყველ არხებს აქცევს, რადგან მათ, მისი აზრით, გადაწყვეტი როლი ითამაშეს აღმ. საქართველოს მეურნეობრივსა და სოციალურს განვითარებაში.

ამ დიდი არხების არსებობის პირობებშია გასაგები ზოგიერთი ქალაქის, მაგალითად, რუსთავის ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ისტორიული წყაროების მიხედვით ივარაუდება (გვ. 573-575).

მცხეთის გაქალაქება ანტიკურ ხანაში და მისი გადღედაქალაქებაც დიდად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მუხრანის ველის, როგორც მცხეთის სასოფლო-სამეურნეო უბნის, სარწყავ სისტემაზე: „მართლაც და იმისათვის, რომ მცხეთას სხვა თავისი უპირატესობანი გაენადღებინა და იბერიის სახელმწიფოებრივად გამაერთიანებლის როლში გამოსულიყო, აუცილებელი იყო, რომ მას გადღედაქალაქების ბუნებრივი პირობებიც კჭონოდა, კერძოდ, აუცილებელი იყო, რომ მას შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო უბნები ზღებოდა. ერთ-ერთი ასეთი უბანი სწორედ მუხრანის ველი-

უნდა ყოფილიყო. ამის მატერიალურ მოწმობად მიგვაჩნია ჩვენ „საგლახაო რუ“. (გვ. 418).

მორწყვას უკავშირებს ნ. ბერძენიშვილი უძველესი ქართული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის „ჭვეის“ წარმოქმნას. „ივულისხმება, რომ ეს ხევეები, რომელთა გაღმა-გამოღმა სოფლები ჩარიგებულან, ამ სოფლების მრწყველია“ (გვ. 428).

ამგვარად, ქართული სოფლების განლაგება ხევეებში (ხეობებში) და ქართული მოსახლეობის ხევებად (ხეობებად), დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მორწყვითი მიწათმოქმედებისაგან. მას შემდეგ რაც მორწყვა მოსახლეობის მეურნეობის უმთავრესი პირობა შეიქმნა, ამიერიდან ქართული სოფელი ხევეს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა. აქედან ადვილი გასაგებია, თუ საიდან მოდის ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია, მთელი მოსახლეობა ხევებად და მოხევეებად დაიყო. ამრიგად, გამოდის, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხევებად შედეგია მისი სამეურნეო განვითარების სახეობისა“ (გვ. 423), რომ ეს დასკვნა საესეებით სწორია და რომ „ჭვეი“, და ჭე-ობა“ — „ჭეობა უპირველეს ყოვლისა მეურნეობრივ მთლიანობას ემყარებოდა და მისი შედეგი იყო, კერძოდ, კი — მორწყვაზე დამყარებული მეურნეობის შედეგი, ეს ჩანს იქიდანაც, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა, რა შინაარსს სდებდა გვიან შუა საუკუნეებში ქართველი ტერმინ „ჭეობაში“, რომელიც ამ დროს, უპიკველია, შეესატყვისებოდა წყაროებში დამოწმებულ „ჭვეს“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ჭეობა“ ნიშნავს „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს“ (ქართული ლექსიკონი, 1928). ცხადია, რომ აქ ერთ წყალზედ მრავალ მოსახლეს ნიშნავს საზოგადოებას, რომელიც გაერთიანებულია ერთ სარწყავ სისტემაზე დამოკიდებული მეურნეობით და ამ ეკონომიურ ერთიანობას

ეწოდება „ჭეობა“ „ჭე-ობა“ (ან, ჭევი*) რამდენადაც „ჭეობა“ ეტრინოლოგიურად დაკავშირებულია „ჭვეტანს“ და ბოთქოს ამ უკანასკნელთა ერთობლიობას („ჭე-ობა“) ნიშნავს, შესაძლებელია, ეს ორი ტერმინი განვითარების ორ სოციალურ საფეხურს დაეუკავშიროთ.

„ხევეების“ შემდგომი განვითარება ბარში იმ მიმართულებით ხასიათდება, რომ ჩნდება კერძო საკუთრება სავენახე, საბაღე თუ სხვა „ნაღვას“ მიწებზე ეკონომიურად დაწინაურდებიან სახლები (გეარები, დ. შ.) და იქმნება სოციალური უთანასწორობის წარმოქმნის ტენდენცია“ (გვ. 423). მეურნეობის შემდგომი განვითარება კიდევ უფრო აღრმავეს „ხევის“ შიგნით დაწყებულ ამ პროცესს „და ეკონომიურად დაწინაურებული სახლები და პირველ თავში მეუფე-მამასახლისის სახლი გადაღამს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაბიჯს. ის ინდივიდუალურად აწესრიგებს დიდი ველის მორწყვის საქმეს და ამ მორწყულ ველსაც, როგორც მესაკუთრე, ეუფლება“ (გვ. 424).

ამრიგად, სავლემ ისტორიულ-გეოგრაფიული ძიების შედეგად, სათანადო მატერიალური ხასიათის ძეგლებზე დიკვირებამ ნ. ბერძენიშვილს მისცა უფლება ჩვენში პირველად კონკრეტულად დაესვა ისტორიის კარდინალური საკითხი მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნისა და პირობების შესახებ. ხოლო თუ რა მნიშვნელობისაა ეს ფაქტი, საქმარისია მოვიგონოთ, რომ „ეს იყო გარდატეხა, რომლის შედეგადაც საბოლოოდ გაფორმდა ჩვენში საზოგადოებრივი კლასები, წარმოიქმნა სახელმწიფო“ (გვ. 425).

ბუნებრივია, რომ ირიგაცია, მორწყვითი მიწათმოქმედება ამიერიდან და ამის გამო წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს, კერძოდ, ფეოდალური საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს) ეკონომიური განვითარების საფუძველს, ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ევოლუციის არსებით ნიშანს: „დიდი

არხების მშენებლობა ფეოდალური საქართველოს დიდი აღმავლობის მანქანებელია, ფეოდალების (მეფის, ეკლესიის, დიდაზნაურობის) სოციალურ-ეკონომიური განვითარების მოწმობაა, ბატონყმური ურთიერთობის შემოსვლის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა“ (გვ. 420, თვით ქართული ფეოდალიზმის ბუნების თავისებურება ამაზე იყო დამყარებული: „საქართველოს ფეოდალური წყობილების ხასიათის მეცნიერული შეცნობა შესაძლებელია მისი მიწათმფლობელობის ხასიათის გათვალისწინების ნიადაგზე, ხოლო მიწათმფლობელობის ხასიათი საქართველოში დიდად იყო დამოკიდებული მიწის მეურნეობის ხასიათისაგან. ამ უკანასკნელის საფუძველი კი იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობა (მევენახეობა-მეხილეობა, მებაღეობა, მებორობა), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანწილად მორწყვის მომენტს ემყარებოდა“ (გვ. 395).

ასეთია ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია ქართული ფეოდალიზმის ბუნებისა და განვითარების შესახებ.

ამ თვალსაზრისმა ნ. ბერძენიშვილს შეაძლებინა მეცნიერული პასუხი გაეცა იმ ფრიად მნიშვნელოვან კითხვაზე, რომელიც პირველად ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დასვა ილია ჭავჭავაძემ, კერძოდ, თუ რა იყო ის ძირითადი ძალა, რამაც შეაძლებინა საქართველოს, ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე, ველურ ხალხთა მიერ სასტიკი ნგრევა-თარეშის პირობებში, გადაერჩინა თავისი ფიზიკური სახე, სულიერი ძალა და დიდი კულტურა. რა იყო ის წყარო, საიდანაც ქართველები იძენდნენ აღდგომანახლების დაუშრეტელ უნარს. მისი აზრით ეს ძალა და უნარი, სხვა პირობათა შორის, „ქვეყნის მეურნეობის ხასიათში, ქართულ მევენახეობა-მებაღეობაში და, კერძოდ მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში“ პპოვებდა თავის მაცოცხლებელ წყაროს:

„სარწყავი არხების გატანის თუ განახლების სიადვილე და ამდენად მათი მოუშლელობა (სადაც ესაა შესაძლებელი და რთული იყო, იქ მოიშალა კიდევაც და ქვეყანაც გაველურდა: ყარაია, იორ-სამგორი, ბორჩალუ), ამ მორწყვაზე აგებული სოფლის მეურნეობა“ — აი ეს არის ძირითადი ფაქტორი რომელიც ჰკვებავდა ქართველი ხალხის სულიერ სიძლიერესა და ფიზიკურ გამძლეობას. „ადვილი ასახსნელია საქართველოს გაუტეხელობა. ეს გაუტეხელობა ქართული მეურნეობის მოუშლელობაშია, მის ადვილად აღსადგენლობაში“ (გვ. 395).

* * *

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელთაც ეხება ნ. ბერძენიშვილი თავისი შრომების პირველ წიგნში. ეს არის ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები. მართალია, ყველა ისინი ერთნაირი სისრულით არ არის განხილული, მაგრამ ეს, ერთის მხრივ, გამოწვეულია თითოეული ექსპედიციის კონკრეტულ მიზანდასახულებით, და, მეორე მხრივ, მოძიებული მასალის უკმარობით. მოუხედავად ამისა თვით დამსულ საკითხთა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების მეცნიერული გააზრებისათვის, მოწმობს თვით იმ პრაქტიკული მეთოდის სისწორეს და სიცოცხლისუნარიანობას, რის საფუძველზედაც გახდა შესაძლებელი საქართველოს ისტორიის არაერთი კარდინალური პრობლემის წამოჭრა, მოწმობს ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლის სისწორეს.

საერთოდ უნდა ჩაზგასმით აღინიშნოს: ნ. ბერძენიშვილის „დღიურებში“, მოუხედავად იმისა, რომ თითოეული ექსპედიცია სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდა და ე. ი. სხვადასხვა საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას (თუმცა ხშირად უბრუნდებოდა ძველ საკითხებს), ყველა ეს საკითხი ურთიერთ მჭიდრო

კავშირში და ურთიერთგაპირობებულა. მართლაც, როგორც ზემოთ უნდა დაკრწმუნებულიყავით, გზების მნიშვნელობა უშუალოდ ქალაქებსა და ციხეებთან, აგრეთვე მთელ იმ ტერიტორიასთან არის გააზრებული, რომელთაც ეს გზები კვეთდა, ხოლო თვით ამ ტერიტორიის მეურნეობა ხალხის მოძრაობასთან, რომლის ერთი კონკრეტული სახეა მთისა და ბარის ურთიერთობა. ეს კავშირი, რა თქმა უნდა, არ არის ხელოვნური. ის მთავარი, რაც მათ ორგანულად აკავშირებს, ერთ მთლიანად ქმნის და საზოგადოების ისტორიული განვითარების მეცნიერული გააზრებისაგან მიმართავს, ეს არის ისტორიული გეოგრაფია. ისტორიულ-გეოგრაფიული გააზრება მოვლენებისა ნ. ბერძენიშვილს თავიდანვე ახასიათებდა. კერძოდ, მას თავის ადრეულ „დღიურებშივე“ განხილული აქვს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები: ეკონომიური გეოგრაფიის საკითხები (გზები, ამა თუ იმ კუთხის მეურნეობა, სავაჭრო ურთიერთობა სხვა კუთხეებთან, ქალაქების წარმოქმნა ზეგანებზე და სხვა); ეთნიკური გეოგრაფიის საკითხები (საერთოდ მოსახლეობის მიგრაცია, კერძოდ მთიდან ბარში ან ბარიდან მთაში); უფრო გვიან კი სოციალური გეოგრაფიის საკითხებიც (ქალაქები და მათი „აგარაკები“ დასახლებული „მერუვეებით“, „გლახებით“; უძველესი საგვარეულო სამოსახლოები — „გორები“) და სხვ.

ისტორიული გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის პრინციპულ სიმადლეზე აყვანა თანდათან ხდებოდა და ეს, როგორც აღნიშნეთ, ნ. ბერძენიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ცხადია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თითოეული მივლინება — მოგზაურობა ახალი მოვლენებით (და ამის შესაფერისი ფაქტებით) თანდათან ავსებდა და სრულყოფდა ავტორის წარმოდგენას ამა თუ იმ მხარის (ქვეყნის) ისტორიულ გეოგრაფიაზე, ვიდრე, ბოლოს, ყველაფერი ეს 9. „მნათობი“, № 6.

გარკვეულ მეცნიერულ ცოდნად (სისტემად) არ შეუძლებოდა მას (გვ. 24-25) ისტორიული გეოგრაფიის, რომელიც სამეცნიერო დისციპლინის ძირითად საგანს შეადგენს ტერიტორია, განხილული როგორც ისტორიული კატეგორია. რამდენადაც ტერიტორია იმთავითვე ადამიანის საზოგადოების ერთერთი არსებითი ატრიბუტია და რამდენადაც იგი საზოგადოების საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების შედეგად განუზრებლად იცვლება, ამდენად იგი ცოცხალი ისტორიული ორგანიზაციაა, რომელიც ყოველ გარკვეულ მომენტში მასზე განსახლებული საზოგადოების მეურნეობრივი და სოციალური განვითარების შესაფერისია. ერთი და იგივე ტერიტორია საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თვით ამ საზოგადოების მასზე უშუალო ზემოქმედების შედეგად იცვლის თავის ფიზიკურ გეოგრაფიულ სახეს, იცვლის თავის მეურნეობრივ პოტენციალს, იცვლის თავის სივრცეს. ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს იმავე ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებაზე და ამის შედეგად საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე. ერთი სიტყვით, ესა თუ ის ტერიტორია მთელი ისტორიული პროცესის მანძილზე იცვლის თავის მოცულობასაც და შინაარსსაც. ისტორიული გეოგრაფიის საგანი სწორედ ადამიანის ამა თუ იმ საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ტერიტორიული ერთეულია, მისი ცვალებადობის თვალსაზრისით. ტენდენცია ამგვარი ტერიტორიული ერთეულების ევოლუციისა საზოგადოების ნორმალური განვითარების პროცესში, როგორც წესი, გარეგნულად შედგენდება მათ სივრცობრივ ზრდაში: ან ურთიერთშერწყმამში ან ურთიერთშთანთქმამში.

სათანადო ტერიტორიული ერთეულების ასეთი სივრცობრივი და შინაარსობრივი ცვლა, რა თქმა უნდა, თვით საზო-

გადოების შინაგანი განვითარების გარე-
ვნილი გამოხატულებაა და, როგორც
ჩანს, საქმიანად ადექტატური გამოხატუ-
ლება. თუკი კანონზომიერი ჩანს XII
ს-მდე, საწარმო ძალთა განუხრელი
ზრდისა და საზოგადოებრივ ურთიერ-
თობათა შესატყვისი განვითარების პი-
რობებში, საქართველოში ტერიტო-
რიულ ერთეულთა შემოსხმეული
ზრდაც, ამის შემდეგ, ბუნებრივია, თუ
ვივარაუდებთ, რომ პოლიტიკური ავბე-
დობისა და ეკონომიური დაჩიხულო-
ბის პერიოდში ქვეყნის ისტორიულ-გე-
ოგრაფიული განვითარებაც სათანადო
ყოფილიყო და, რამდენადაც ტერიტო-
რიული ერთეულის ზრდა, საბოლოო
ჯამში, სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერ-
თობათა ზრდითაა გაპირობებული, ამ
უკანასკნელის სტაგნაციას და კიდევაც
რეგრესს, გამოეწვია შესატყვისი მოვ-
ლენები საქართველოს ისტორიულ-
გეოგრაფიაში. და, ჩვენის აზრით, რა
თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ
გვიანი საუკუნეების ქვემო ქართლის
ტერიტორიული ერთეულები (სათავა-
დოები), განსხვავებით განვითარებული
ფეოდალიზმის პერიოდისაგან, დაახ-
ლოებით ისეთივე მოცულობისაა, რო-
გორც ამავე ტერიტორიაზე არსებუ-
ლი ადრეფეოდალური ხანის ერთეულე-
ბი — „ქვეები.“

ყველა ამაზე ეხლა ჩვენგან საუბარი
ჯერ კიდევ ნაადრევი, რადგან ისტორი-
ული გეოგრაფია, რომელიც მოწოდებუ-
ლია სწორედ დაადგინოს, ისტორიულად
გაიაზროს და დაასაბუთოს ტერიტო-
რიულ ერთეულთა ასეთი მეტამორფო-
ზი, ფაქტიურად, ეხლა იდგამს ფეხს.
ასეთ პირობებში, ცხადია, ფრიად სამ-
წუხარო ფაქტია, რომ ნ. ბერძენიშვილ-
მა თავისი შრომების პირველ წიგნში
ვერ „მოახერხა ისტორიულ გეოგრაფი-
აზე თავისი დასრულებული საბოლოო
სიტყვა ეთქვა და ძირითადი შრომა მე-
ცნიერების ამ დარგში (— „ქვეყანა“) მას
ახლაც ცალკე გამოსაქვეყნებელი რჩე-
ბა“ (გვ. VI).

„ქვეყანა“ — ეს არის ნ. ბერძენიშვი-

ლის მიერ შემოთავაზებული ძველი ქა-
რთული ტერმინი სწორედ იმ ტერიტო-
რიული ერთეულის აღსანიშნავად, რომელიც
მლის ისტორია-განვითარებისას მისი
შეადგენს ისტორიული გეოგრაფიის სა-
განს.

ყოველი დიდი და მცირე სახელმწი-
ფო, ბოლოს და ბოლოს, წარმოიშვა ამ-
გვარი მცირე ერთეულების, მცირე
„ქვეყნების“ ურთიერთშერწყმის საფუ-
ძველზე, რაც გაპირობებული იყო საე-
რთო ეკონომიური, პოლიტიკური, კულ-
ტურული და სხვა ინტერესებით.

ისტორიული გეოგრაფიის მიზანია
თვალნათლად წარმოაჩინოს ეს რთული
პროცესი და გამოიკვლიოს მისი მამოძ-
რავებელი ძალები. ისტორიული გეოგ-
რაფიის საბოლოო მიზანია თვალნათლად
წამოაჩინოს „ქვეყანათა“ განვითარება
უძველესი ტერიტორიული ერთეული-
დან „ხევს“ წარმოქმნამდე, „ხევიდან“
— სახელმწიფომდე და მონათმფლობე-
ლურ სახელმწიფოდან — ჩვენს დრომ-
დე.

მართალია, როგორც ზემოთ იყო აღნი-
შნული, ნ. ბერძენიშვილს „დასრულებ-
ბული საბოლოო სიტყვა“ ისტორიული
გეოგრაფიის საგნის შესახებ ჯერ არ
გამოუთქვამს, მაგრამ უნდა აღინიშნოს,
რომ უკვე 1935 წლის ექსპედიციის ან-
გარიშში მას სრულიად ნათლად აქვს
ხაზგასმული საქართველოს ცალკეულ
მხარეთა განვითარების თავისებურება
და ამ უკანასკნელის შესწავლის აუცი-
ლებლობა: „საქართველოში თითოეულ
მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგა-
დის და საერთოს გვერდით თითოეულ
მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებუ-
ლი ისტორიული განვითარების თავისე-
ბურებანიც გააჩნია.“

მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილე-
ბელია... ქართული საისტორიო მეცნი-
ერება ახლა თავის ზრდა-მომწიფების
იმ ასაკშია, როცა მისი შემდგომი განვი-
თარებისათვის ცალკეულ მხარეთა ამ
თავისებურებების ისტორიული შესწავ-
ლა აუცილებელია. და ეს აუცილებე-
ლია სწორედ საქართველოს მთლიანი

ისტორიული განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის" (გვ. 175).

კიდევ უფრო ადრე მას ჩამოყალიბებული აქვს ფეოდალური ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ძირითადი ეტაპები იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნოს, თუ როგორ შეიძლება ერთსა და იმავე „გეოგრაფიულ პირობებში“ იცვლებოდეს ქვეყნის შინაარსი ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით (ეს არის ისტორიული გეოგრაფიის ერთერთი ძირითადი საკითხი): „ჯავახეთი — ეთნიკური ქართლის განაპირა ქვეყანაა, საზღვრულ სადგომსა მოვრებით მდიდარი (მცხეთა-არმაზის ძლიერების ხანა), ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ცენტრალური ოლქი („სამშალო საუკუნეები“ — IX-XIII სს.), დაცემის გზაზე დაზღვარი პროვინცია (XIV-XVI სს.), ჩამორჩენილი პროვინცია (XVII-XVIII სს. — ოსმალთა მფლობელობა) და მიყრუებული ბუნავი (XIX ს.). (გვ. 167). უკანასკნელ ხანშიც თავის წერილში „ისტორიული გეოგრაფიისათვის“, სადაც ნ. ბერძენიშვილი ამ დისციპლინის საგანსა და მეთოდზე საუბრობს, იგი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიის ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, დანაწევრებული შესწავლის აუცილებლობის შესახებ: „ჩვენი წერილობითი წყაროები ხშირად ინსენიებენ ხეობებს. მთელი საქართველო ასეთ ხეობათა ცოცხალ კრებულად წარმოგვიდგება. კიდევ მეტი: ის ორგანული გაერთიანება ამ ხეობებისა. და ჩვენ დღემდე არაფერი გავციკეთებია იმის მეცნიერული შესწავლისათვის, თუ როდის და რას წარმოადგენდა ესა თუ ის ხევი („ქვეყანა“), როდის იყო ის გვარის თუ გვართა საცხოვრისი, ან ამა თუ იმ ტომის ტე-

რიტორია, როდის გარდაიქმნა და როგორ, ეს ხეობები სახევისუფლებად სერისთაოდ, როდის როგორე ქვეყნის უფლებოდა ესა თუ ის ხევი მხოლოდ ხევებთან და მთელ ქვეყანასთან“ (გვ. 361).

ამგვარად, ყველაფერი ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია და ეს ვალი სხვასთან ერთად და პირველ რიგში სწორედ ისტორიულ გეოგრაფიას აწევს. ხოლო თუ რამდენად ეფექტურია ამ თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიის კვლევა, ამის დადასტურებაა ის არაერთი კარდინალური საკითხი ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარებისა, რომლებიც განხილულ შრომებში. ისტორიული გეოგრაფიის განვითარება აუცილებელი პირობაა ჩვენი ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისა. „ამა თუ იმ ხალხის მეცნიერული ისტორიის დაწერა, ჩვენს ხანას რომ შეეფერება, შეუძლებელია, თუ ეს ქვეყანა ისტორიულ-გეოგრაფიულად წინასწარ სათანადოდ შესწავლილი არ იქნა. ახალ ეტაპზე ქართული ისტორიული მეცნიერების ღირსეულად დამკვიდრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არა მარტო წერილობითი ძეგლები, არამედ ყოველგვარი წყარო და თვით საქართველოს ტერიტორია მარქსისტული თვალსაზრისით ისტორიულად შესწავლილი გვექნება“ (გვ. 256).

რამდენადაც ნ. ბერძენიშვილი იმთავითვე პრინციპული მომხრე იყო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისა იმ ასპექტით, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი, ბუნებრივია, თუ მანვე ჩაუყარა საფუძველი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მუშაობას ამ პრობლემაზე.



მინიორ კვესილე

ათასი ფუთი ბრადეგა

(განცდილი და გავიწილი)

დიდი ზაფხული...

1944 წელს, საიდანაც მე ვიწყებ ამ ამბების თხრობას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ფრონტზე გაჩაღდა ასეთი შეუპოვარი ბრძოლები. ოთხათასი კილომეტრზე გაშლილი ფრონტით უტევდნენ მოკავშირეები ნაციონალურ გერმანიას და მის ხელქვეითებს. ორივე მხრიდან საშინელი ძალით მოიწვედა ცეცხლის ნიაღვარი. ბოლოს მარწუხებში მოქცეული პიტლერელები შედრკნენ; იგრძნეს კიდევ, მათმა საბედისწერო საათმა რომ ჩამორეკა, მაგრამ მაინც არ ნებდებოდნენ, იქადნენ კიდევ, ჩვენ თუ წავალთ, ისე, წავალთ, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყოს. უნდოდათ მართლაც რიყედ და ქვიშად ექციათ მთელი ქვეყანა, მაგრამ არ გამოვიდა. მოკავშირეთა ერთიანი მოქმედებით ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძი გატყდა. ინგლისელებმა ფელდმარშალ მონტგომერის სარდლობით ელ-ალამეინთან დაამარცხეს რომმელის „აფრიკელი კორპუსი“. ამერიკელებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს წყნაროკეანის აუზში და სხვა ფრონტებზეც; საზღვაო და საჰაერო დესანტები გადასხეს მარიამის კუნძულებზე, ახალ გვინეაში, განავითარეს შეტევები იტალიაში, აიღეს რომი, შემდეგ ფლორენცია, ბოლოს კი, როგორც იქნა, განახორციელეს ოპერაცია „ოვერლორდი“ და გახსნეს მეორე ფრონტი.

დიდი ბრძოლები გაიმართა აღრიატიკის სანაპიროებზეც...

...მსოფლიო ომის ბედი კი მაინც აღმოსავლეთის ფრონტზე წყდებოდა. 1944 წლის გაზაფხულიდან აქ ისევ ამოძრავდა ბალტიისპირეთიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე ორი ათასი კილომეტრის მანძილზე გაჭიმული ფრონტი. საბჭოთა არმიამ ჰერ კიდევ წინა წელს გასტეხა პიტლერელთა წინააღმდეგობა და ახლა ვოლგის ნაპირებსა და კავკასიის მისადგომებიდან გამორეკილ მტრის დივიზიებს მისდევდა დასავლეთისაკენ. ორ ცეცხლს შუა მოქცეული გერმანია კიდევ უფრო შეიკუმშა თავისივე ტერიტორიაზე. ორი ფრონტი ორივე მხრიდან მიუახლოვდა ბერლინს. ამ წინსვლას თან ახლდა მოახლოვებული გამარჯვების საერთო სიამაყე და სიხარული...

... სიამაყე იმიტომ, რომ თავს ამ დღე, ისტორიული ამბების მონაწილედ გრძნობ, შეიძლება ისე პატარა მონაწილედ, როგორც წვეთია მდინარისათვის, მაგრამ მაინც გიხარია საერთო დინებას რომ მიყვები. ზოგჯერ გიმძიმს კიდევ, ძალიანაც გიმძიმს, მაგრამ მაინც გიხარია, რომ სძლევს არც არაფერი შეედრება დაძლევის სიხარულს, წინააღმდეგობის გადალახვისა და გამარჯვების წადილს — ფიქრს, რომ უფრო ძლიერი ხარ, ვიდრე შენს წინაშე აღმართული დაბრკოლება; რომ შენ მას დასძლევ და გაიმარჯვებ. ამის წადილი ეზიდება ადამიანს წინააღმდეგობათა დასაძლევად,

ზღვებისა და ოკეანეების გადასალახავად, კოსმიური სამყაროს დასაპყრობად, ან თუნდაც ისე. უბრალოდ, არაფრისა და არაფრისათვის, სპორტული ქინისა და ინტერესისათვის.

ზოგს უკვირს, რა ძალა მიეწევა მთამსვლელებს მყინვარებისკენ, სადაც არც ხნავენ და არც თესავენ; რატომ ამდენს ცდილობს ჭაბუკი, რომ რამდენიმე სანტიმეტრით უფრო შორს ან უფრო მაღლა გადახტეს, ან რა მნიშვნელობა აქვს, მძლეოსანი ამდენ ფუტს ასწევს, თუ იმდენს, ასეთი კითხვები შეიძლება იმას დაეხადოს, ვისთვისაც უცხოა წინააღმდეგობათა დაძლევის ტინი და სიხალისე. ვინც არ ფიქრობს, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შინაარსი და ბრკოლებათა დაძლევაა, დიდისა თუ პატარასი, სულერთია. ამის გარეშე არც არსებობს ყოფნის ინტერესი. ეს აწრობს ადამიანის ნებისყოფას და მოუხმობს. ძლიერი მიყვება კიდევ მის ძახილს და უხარია. იგი განგებ ეძებს სახიფათო თავგადასავალს, ზოგჯერ ფათურაკსაც გადაეყრება, მაგრამ წარბს არ შეიხრის, რადგან ლალია, უდარდელი, ისეთი, გაშლილი ზღვის ღიმილით რომ ხვდება განსაცდელს. ასეთი ადამიანი ბრძოლაშიც შეუპოვარია არც არაფრის ეშინია, რაკი მთელი არსებითაა დაბრკოლებათა დაძლევის მიჩვეული. ის არც ფიქრობს, რომ შესაძლებელია სადმე ფეხი მიუსხლტეს, ან კლდეზე გადაიჩეხოს. ამას კარგად გრძნობს ყოველი მეომარი, რომელსაც ტყვია-წამლის სუნი უყნოსია. იგი ყოველთვის ხალისიანია და სიკვდილის წინაშეც არ კარგავს იუმორის გრძნობას.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი მებრძოლი შეგხვდება კაცს ფრონტზე და რამდენი გაგაოცებს თავისი რკინისებური ნებისყოფითა და რაღაც ტრავგიული სიხალისით...

.. ახლაც ასეთი მეომრული ქინითა და ხალისით მიუახლოვდნენ ისინი სახელმწიფო საზღვრებს. ყველას უნდო-

და პირველს მიეღწია იმ მიჯნისთვის, რომელიც სამი წლის წინ აღმოცენდას პიტლერელებმა. ბალტიკიდან შავ ზღვამდე თითქოს გრანდიოზულად შექმნილი გაიმართა — ვინ პირველი გაიჭრა საზღვარზე. აღმოსავლეთის ყველა ფრონტი ჩაება ამ სტიქიურ „შეჯიბრში“; მათ შორის, ჩვენი, უკრაინის მე-2 ფრონტიც და... ისევ წამოვიდა ცეცხლისა და რკინის ნიაღვარი. სამი წლის დაგუბებული ბოლშევიკის რისხვად დაატყდა პიტლერელებს, თანდათან გასტეხა მათი წინააღმდეგობა და აიძულა ფრონტის ყველა ხაზზე დაეხიათ უკან.

ეს იყო 1944 წლის იანვრის ბოლოს. ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელების ღრმა ეშელონებად განლაგებული სიმაგრეები, გადალახეს მდინარე დნესტრი, სწრაფად წაიწიეს წინ, დაიპყრეს ქ. უმანი და კორსუნ-შეგჩენკოვოში ალყა შემოარტყეს პიტლერელების დიდ დაჯგუფებას, რომელშიც 9 ქვეითი დივიზია შედიოდა, ერთი სატანკო და ერთი ცალკე მორტო-მექანიზებული ბრიგადა. ეს იყო მეორე სტალინგრადი! საბჭოთა დივიზიების მარწუხებში მოქცეულმა მტერმა გააფთრებული იერიში მიიტანა ჩვენი არმიის ნაწილებზე, მაგრამ ალყა მაინც ვერ გაარღვია. მთებერვალს საბჭოთა სარდლობამ წინადადება მისცა გერმანელებს შეეწყვიტათ უაზრო წინააღმდეგობა და დანებებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ალყა-შემორტყმული ჯარების სარდლები ხედავდნენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას, პიტლერმა კატეგორიულად აუკრძალა მათ იარაღის დაყრა. იგი პირდებოდა დახმარებას, რამდენიმე სატანკო დივიზიაც გაუგზავნა ალყის გასარღვევად, მაგრამ ამოიღ: რაც სტალინგრადში მოხდა, იქაც იგივე გამოვრდა. ულტიმატუმის უარყოფის მეორე დღესვე დაიწყო მათი ალყა-შემორტყმული ჯარების ლიკვიდაცია. ჩვენი ფრონტის ყველა შენაერთი ერთად გადავიდა შეტევაზე. ცხარე ბრძოლები გაიმართა თვით ქალაქის მისადგომებთან. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას წევდნენ.

ოფიცრები — უმაღლედნენ ჯარისკაცებს, რომ ისინი ალყაშემორტყმული არიან. ეს აძლიერებდა მათი წინააღმდეგობის ძალას, მაგრამ ჩვენები სულ უფრო და უფრო უჭერდნენ მარწუხებს. მერე ყველაფერი გაიარკვა. ჯარისკაცებიც მიხედნენ, რომ გამოსავალი არ ჰქონდათ. დისციპლინა ერთბაშად დაეცა. უკანასკნელ მომენტში კი გენერლები და შტაბის ოფიცრები, მათ შორის, შემდეგში „ნატო“-ს შტაბში მომუშავე გენერალი შპაიდელიც, თვითმფრინავებით გაიქცნენ ბრძოლის ველიდან, „რიგითებმა“ კი იარაღი დაჰყარეს.

როგორ არ გავდნენ ახლა ეს ფეხებმოყინული, ათასგვარ ძონძებში ვახვეული, შშიერი და ჭუჭყიანი „ფრიციები“ გუშინდელ მებრძოლებს, რომელთაც ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა გალამნად... ისინი გავგნებულნი იყვნენ, გაკვირვებულნი: საიდან აღმოაჩნდათ, მათი აზრით „უკვე დამარცხებულ რუსებს“ ამდენი ძალა! ზოგი სულ ნირწამხდარი იყო, იმდგადაწყვეტილი და ხელეჩაქნეული...

...ჩვენები ველარ აუთავდნენ ტყვეების წამოყვანას თუ სამხედრო ნადგელის დათვლას. მთელი ბატალიონები და ლეგიონები თავიანთ მეთაურებიანად ყრიდნენ იარაღს. მხოლოდ ცალკეულ დივიზიებში მყოფმა ესესელებმა თვითმკვლელობა არჩიეს ტყვეობას. მათ მაგალითს ზოგიერთმა ფანატიკოსმა ოფიცრმაც მიბაძა. სხვები დანებდნენ.

მანამ არასოდეს მენახა ერთად ამდენი ტყვე გერმანელი. სტალინგრადის შემდეგ ეს ახალი მოვლენა იყო. ტყვე ჯარისკაცები გარცეხული მიჩერებოდნენ თავიანთ იარაღაყრილ ოფიცრებს, ლეიტენანტებს, მაიორებს, პოლკოვნიკებს... ადრე ვერც წარმოედგინათ, რომ შეიძლება ოფიცრებიც დანებდნენ ტყვედ. ყოველი მათგანი ხომ დაჟინებით შთააგონებდა ჯარისკაცებს, ეს უმშიმესი დანაშაულია ფიურერისა და სამშობლოს წინაშეო. თავის მხრივ, ოფიცრებიც და-

რცხენილი უყურებდნენ თავიანთ ჯარისკაცებს, ან რამდენადღაც შეწყობით, თვალს არიდებდნენ მათ! ბუერ მათებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამარჯვების იმედი დაკარგული და რცხვენოდა თავისი მდგომარეობის. ერთმა პოლკოვნიკმა ითხოვა კიდევ ჯარისკაცებთან ერთად ნუ გვამყოფებითო. ჩვენებმა შეუსრულეს ეს თხოვნა.

მე და ჩემს მეგობრებს ტყვე ოფიცრების დაკითხვა გვქონდა დავალებული. იმდენი იყვნენ, რომ დღე და ღამ ვმუშაობდით. სხვებისა არ ვიცო და, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გერმანული არმიის ოფიცრობა მორალურად ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი. თავიანთ მარცხს ისინი „გენერალ ზამთარს“ აბრალებდნენ, სტალინგრადის კატასტროფას კი — ფელდმარშალ პაულუსის დალატს...

...აი, დაკითხვაზე მოიყვანეს სიმპატიური გარეგნობის პოლკოვნიკი, „რანდის ჯვრის“ კავალერი, ბარონი. პოლკოვნიკს ჯერ კიდევ ამაყი გამომეტყველება ჰქონდა და, ტყვეობის მიუხედავად, კარგ მხედრულ წრთობას ამკლავებდა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე სამხედრო სალამი მომცა. მერე ქუდი მოიხადა და მონოკლი შეისწორა.

— დაბრძანდით! — ვუთხარი მე და სკამზე მივუთითე. არც განძრეულა. ისევ ისე გაჯგიმული იდგა და პირდაპირ სახეში მომჩერებოდა. დაბრძანდით-მეთქი, გაუუმეორე, მაგრამ ორიოდე ნაბიჯით წამოიწია მხოლოდ, მონოკლი ერთხელ კიდევ შეისწორა და დაჟინებით დამიწყო ყურება. გამეცინა, ალბათ, რაღაცათი არ მოვეწონე-მეთქა, მაგრამ მისი ასეთი ყურადღების ნამდვილ მიზეზს მაინც ვერ მივხვდი.

— რატომ არ დაბრძანდებით? — გაუუმეორე კითხვა. დაჯდომის მაგივრად ქუდი დაიხურა, ვაიქიმა და რატომღაც ისევ სამხედრო სალამი მომცა. მერე რაც შეეძლო მკაცრი გამომეტყველება მიიღო და სთქვა:

— თუ ნებას მომცემთ, ერთ კითხვას მოგცემთ!

გამიკვირდა; დაკითხვაზე ჩემთან მოიყვანეს, ის კი აქეთ მიპირებს კითხვების მოცემას-მეთქი, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— ბრძანეთ!

ერთხანს იყოყმანა მერე კი ისევ ძველი, პრუსიული წესის მიხედვით მესამე პირით მკითხა:

— ბატონი ოფიცერი ებრაელი ხომ არ ბრძანდება?

ახლა მივხვდი რომ ჩემმა „არარუსულმა“ გარეგნობამ შეაშფოთა, მაგრამ არ შევიმჩნიე, ისე ვუპასუხე:

— არა, ებრაელი არ ვახლავართ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ჩვენ არ ვისუფრებდით ებრაელთან საუბარს!.. — სთქვა მან და ისეთი ზიზღით შემომხედა, რომ ეტყობოდა არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი. ამიტომ მეც მის ტონს აყვევი და ვუთხარი:

— ბარონს ავიწყდება ტყვე რომ ბრძანდება და ისიც საბჭოთა არმიისა, ამიტომ, უნდა იცოდნენ, რომ ჩვენების მიცემა მოუხდებათ იმის მოუხედავად, ებრაელი ვართ თუ რუსი.

— არა, ჩვენ ებრაელებთან არ ვისუფრებდით ლაპარაკს — გაიმეორა მან და მესამედ მომცა სამხედრო სალაპი.

— გარემოებამ რომ გაიძულათ?

— სულერთია, ეს შეუძლებელია, ჩვენ არასოდეს არ ვღალატობთ პრინციპებს.

— არც ტყვეობაში?

— არა, არავითარ შემთხვევაში. გვიჩვენია მოვკვდით, ვიდრე დავიმკიროთ თავი და ებრაელს ჩვენება მივცეთ, — სთქვა მან და რამდენჯერმე გაიმეორა:

— არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი!

როგორც იქნა დავაჯერე, რომ ებრაელი არა ვარ. კავკასიელი ვარ-მეთქი. ამის შემდეგ ქუდი მოიხადა, დაჯდა, მაგრამ მაინც უკმეხად გასცა პასუხი ჩემს მიერ დასმულ კითხვებს. მისი ანტისემიტური ზიზღის გარდა მე ესეც მამბრაზებდა და მინდოდა რამეთი ვადამეხადა, მაგრამ არ ვიცოდი რითი. მერე თვითონ დამეხ-

მარა ამაში. დაკითხვის შემდეგ, როცა თითქმის ორ საათს გაგვრეკუდებდნენ... უნდა წასულიყო, რომ უკვე მომჩივს და და უკვე თავზიზიანდ მკითხა:

— ვისთან გვექონდა პატივი საუბარისა?

თავში ერთბაშად ჰაინრიხ ჰაინეს პოემის, „დონა კლარას“ ამბავმა გამიელვა. და არც დავფიქრებია, ისე მივხალე ჩვენი განყოფილების ერთერთი ებრაელი თანამშრომლის გვარი, სახელი და მამის სახელი.

— მაიორ გრიგოლ იზრაილის ძე ბრეიშანთან, თქვენო აღმატებულება!

სახტად დარჩა. ხელი რომ არ მიეშველებინა, ალბათ, მონოკლი ჩამოუვარდებოდა, ისე ზიზღით უთრთოდა სახე...

...მაშინ სხვა ოფიცრებსაც ასე ქედმალურად ეჭირათ თავი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გაზაფხულიდან ისევე დაიწყებოდა გერმანული არმიის წინსვლა აღმოსავლეთის ფრონტზე.

— სანამდე? — კითხე ერთ მათგანს.

— ურალამდე, — მიპასუხა მან.

— ციმბირამდე, სთქვა მეორემ.

— სანამ ჩვენი ფიურერი არ გვიბრძანებს გაჩერებას, — წარმოსთქვა მესამემ.

ისინი კი უკვე გაჩერებული კი არა, სულ უკან-უკან იხევდნენ, კორსუნ-შევჩენკოვო ახალი ლახვარი იყო მათთვის აქ გერმანელებმა 73 ათასი კაცი დაკარგეს — როგორც მოკლული ისე ტყვე. მარტო ჩვენი ფრონტის ნაწილებმა ხელთ იგდეს 41 თვითმფრინავი, 167 ტანკი, 10 ათასი ავტომანქანა, 127 ათასი გამწე, ურიცხვი ტყვიამფრტვევი, ნალმტყორცი და სხვა იარაღი, სურსათისა და საჭურველის საწყობები, ვაგონები და ცისტერნები...

...ამის შემდეგ ჩვენი ჯარების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. კიდევ რამდენიმე დარტყმა და უკრაინის 2-ე ფრონტმა გადალახა მდ. ბუგი, დაიპყრო

ქალაქები: ემერინგა, ვინნიცა, კამენეც-პოდოლსკი და 85 კილომეტრის სიგანეზე მიაღდა სახელმწიფო სასახლეო მდინარე პრუტს.

22 მარტს, მოსკოვში, სამსოცდაოთში ზარბაზნის ოცდაოთხმა ერთობლივმა გასროლამ ამცნო ქვეყანას ეს ამბავი. ყველანი გახარებული ვიყავით, რადგან იმ გრანდიოზულ „შეჯიბრში“ სწორედ ჩვენმა, უკრაინის 2-ე ფრონტმა გაიმარჯვა და სახელმწიფო საზღვარზე გასვლის პირველი საზეიმო სალუტიც დაიმსახურა...

...ამის შემდეგ რამდენიმე დღეში ჩვენმა 170 კილომეტრის სიგანეზე გადალახეს მდინარე პრუტი, დაიპყრეს 180 დასახლებული პუნქტი და გავიდნენ მდინარე სერეტის ნაპირებზე.

12 აპრილს საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა რუმინეთს კავშირი გაეწყვიტა გერმანიასთან და მონაწილეობა მიეღო ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი ქვეყნის — „დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად“. პრემიერ მინისტრმა იონ ანტონესკუმ არ მიიღო ეს წინადადება. ამას მოყვა რუმინეთისა და გერმანიის ჯარების კატასტროფული მარცხი სამხრეთის ფრონტზე. სარდლები ამ მარცხს ჰიტლერს აბრალებდნენ, ჰიტლერი კი სარდლებს. ძალა აღმართა ხნავსო; მან მოხსნა სამხრეთის ფრონტის არმიათა ჯგუფის სარდალი ფელდმარშალი მან-შტაინი, შემდეგ ფელდმარშალი კლასტიც და მათ მაგივრად დანიშნა ფელდმარშალი მოდელი და ახალგაზრდა გენერალ-პოლკოვნიკი შერნერი. გერმანულ არმიათა ამ ჯგუფებს ჯერ კიდევ „სამხრეთ უკრაინა“ და „ჩრდილოეთ უკრაინა“ ერქვა, თუმცა უკრაინა მათ დიდი ხანია, რაც უკან დარჩათ...

...იქ ახლა მხოლოდ 17-ე არმია იბრძოდა, ისიც ყირიმის ზაფანგში მომწყვდეული. უკანდასახევი სახმელეთო

გზა მათ უკვე აღარ ჰქონდათ. ^{ჩველი} ჯარებისა და ტექნიკის ^{წვეკუცობა/კი} მწელი იყო, რადგან ჰაერში ^{საბჭოთა} ავიაცია ბატონობდა. ^{გერმანული}

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამის გადარჩენა შეეძლოთ, რომ აქაც ჰიტლერი არ გაჯიუტებულყო. მან ყურადღება არ ათხოვა არმიის სარდალს — გენერალ იანეკეს, თუ სხვა სამხედრო სპეციალისტების რჩევას და ამ შემთხვევაშიც ბრძანება გასცა „უქანასკნელ კაცამდე“ დაეცათ „გერმანული ყირიმი“ (?). ასეთ ბრძანებებს ის ხშირად იძლეოდა. გერმანული არმიები ვოლგისპირეთიდან გერმანიამდე ისე გამოიქცნენ, რომ ჰიტლერს ერთი მტკაველით უკანდახევის ნება არ მიუცია, არც მაშინ, როცა ამას სტრატეგიული, ან ტაქტიკური აუცილებლობა მოითხოვდა.

„ჩემს გენერლებს, რომ თუნდაც ერთხელ მივეცე უკან დახევის ნება, მერე სულ ზურგს უკან დაიწყებენ ყურებასო“ — ამბობდა ის.

ჰიტლერი თავს ისეთ მხედართმთავრად თვლიდა, რომელიც უკან არასოდეს არ იხვეს.

„სადაც ჩემი ჯარისკაცი ერთხელ დადგება, იქიდან ფეხს არასოდეს მოიცივლის“ — ვანაცხადა მან. ასეთი განცხადება 1944 წლის გაზაფხულზე, სხვა რომ არა იყოს რა, სასაცილოდ ქლერდა, რადგან ამ დროს გერმანელი ჯარისკაცები მხოლოდ ზურგს გვიჩვენებდნენ...

...ახლაც ისე მოხდა. შეტევის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილებმა პერეკოპსა და ქერჩის ნახევარკუნძულზე ერთდროული დარტყმის შედეგად გაარღვიეს მტრის უაღრესად გამაგრებული პოზიციები. შეიჭრნენ ყირიმის შუაგულში, დაიპყრეს ჯერ ჭანკოი, მერე სიმფეროპოლი და გერმანულ-რუმინული არმიის ნარჩენები მირეკეს ზღვის ნაპირს სევასტოპოლის რაიონში, ჰიტლერმა უკვე მართლაც დაბნეული იანეკე გენერალ აღმენდინგენით შესცვალა, მაგრამ საქ-

მეს ამან ვერ უშველა. ვერც იმან, საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილ ტერიტორიების უმალესმა კომისარმა ალფრედ როზენბერგმა, რომ მოასწრო ყირიმის ქალაქების გერმანულად „მონათვლა“: სევასტოპოლს მან „თეოდორიკსპაფენი“ შეარქვა, სიმფეროპოლს — „გოტებურგი“ და სხვ.

როგორც ჩანს, ყირიმის თუნდაც დროებით შენარჩუნებას გერმანიისათვის მართლაც ჰქონდა ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა. ყოველშემთხვევაში, ასე ამტკიცებდნენ გერმანული არმიის უმალესი სარდლობის წარმომადგენლები.

ფელდმარშალი კაიტელი წერდა: „ყირიმის დაკარგვას ისეთი პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოყვეს, რომლის მასშტაბების და მნიშვნელობის გათვალისწინება ახლა შეუძლებელიცაა“.

საქმე ის არის, რომ 17-ე არმია, მეტწილად, რუმინულ დივიზიებისაგან შედგებოდა (შვიდი, თორმეტიდან). ამბობენ, ჰიტლერს ეშინოდა, მათ დაბრუნებას სამშობლოში ომის საწინააღმდეგო განწყობილების გაძლიერება არ მოჰყოლოდა.

ასეა თუ ისე, გერმანიის ეს ოპერაცია 200 ათსამდე კაცი და დიდძალი სამხედრო ტექნიკა დაუჯდა. ჰიტლერმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა ასეთი დანაკლისის კატასტროფული მნიშვნელობა, მაგრამ თავი ისე მოჰქონდა, თითქოს ყველაფერი ეს ბუნებრივი იყო ომის პირობებში.

იგი წერდა: „მე უფლება მაქვს მოვითხოვო ჯარისკაცებისაგან გასწირონ თავი!“ ჰიტლერი არც თავის „სულიერ მამას“ — ფრიდრიხ დიდს ივიწყებდა, რომელიც ამასვე მოუწოდებდა თავის გრენადერებს. მაშინ ასეთ თავგანწირვას იქნებ მეომრის დიდებაც ახლდა, ახლა კი ეს სრულიად უაზრო მსხვერპლი იყო, მსხვერპლი ჯარისკაცებისა და არა მათი გენერლების, რომელნიც არც თუ ისე უფრთხილდებოდნენ „რიგითების“ სიცოცხლეს. ჰიტლერი კიდევაც ურჩევდა მათ: „ჯარისკაცებისაგან თავი შორს და-

იჭირეთ და ნაკლებ შეგეცოდებოდეთ ისინი“ უყვარდა კიდევ ^{შეესტეგებოდა} მათთვის, თუ როგორ ესალმებოდნენ კალიგულას სასიკვდილოდ ^{განწირული} გლადიატორები:

— სალამი კეისარს, სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებიან შენ!

ყირიმში კი ჰიტლერელ ოფიცრებს ამის თავი სად ჰქონდათ. თვითონ თვითმფრინავებით უშველეს თავს, ჯარისკაცები კი ბედის ანაბარა დასტოვეს...

პირველი ნათლობა...

ამის შესახებ მე მაშინ რადიოთი ვისმენდი უკანასკნელ ცნობებს, ან ვაზუთებში ვკითხულობდი კორესპონდენციებს. ჩავრთავდი თუ არა მიმღებს, ან გადავშლიდი ვაზეტს, მაშინვე ნაცნობი სიტყვები მხვდებოდა: ქერჩი, ჯანკოი, პერეკოპი, სივასთი, სევასტოპოლი..., იქ ხომ ადრეც დიდი ბრძოლები იყო! სამამულო ომის ისტორიაში კარგადაა ცნობილი ქერჩის ნახევარ-კუნძულის გმირული შტურმი 1941-42 წლების ზამთარში. სამხედრო ხელოვნების ისტორიაში შევიდა გაბედული — საზღვაო-სადესანტო ოპერაციები თეოდოსიაში, და სევასტოპოლის ლეგენდარული დაცვა, რაც სამწუხაროდ, არ ითქმის ქერჩის ნახევარ-კუნძულის ვეჯუაციაზე 1942 წლის მაისში. მე ეს ამბები კარგად მახსოვს, რადგან ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობაც ამ ადგილებთანაა დაკავშირებული. მაშინ გავიგე მეტისმეტად ძნელი, მაგრამ მაინც მიღწეული გამარჯვების სიხარულიც და უთავბოლოებით გამოწვეული დამარცხების სიმწარეც. წინსვლაც განვიცადე და უკან დახვევაც. თუმცა ერთიც მოსავალია და მეორეც. ომის ღმერთი არესი ყოველთვის ერთნაირად როდი სწყალობს ყველას!..

...მაშინ 51-ე არმიაში ვმსახურობდი. ქერჩის ნახევარ-კუნძულის სადესანტო ოპერაციაც სწორედ ამ არმიას ჰქონდა დავალებული, ეს იყო 1941 წლის დეკემბერში. ჩვენებს უნდა გადაეღახათ

სამი კილომეტრის სიგანის სრუტე, ავლოთ ქ. ქერჩი და განეფითარებინათ შეტევა აკმონაის ყელის მიმართულუბით. ამასთანავე მარცხენა ფლანგზე მოქმედ 44-ე არმიის შავი ზღვის სამხედრო ფლოტთან ერთად თეოდოსიაში უნდა გადაესხა დესანტები და ქერჩის ნახევარ-კუნძულის გადაკვეთის საფრთხე შეექმნა. ამბობდნენ, ჩვენი არმიის ოპერაციებში აზოვის ფლოტილიაც ჩაერთვებო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

51-ე არმიაში შემავალი დივიზიები საერთო გეგმის მიხედვით დანაწილებული იქნა სადესანტო ჯგუფებად და განლაგებული ეშელონების მიხედვით. მეც მომიხდა მონაწილეობის მიღება ამ ოპერაციებში. დაეალემა უბრალო იყო: თუ პირველი სადესანტო ჯგუფები ქერჩის რაიონში ხელთ იგდებდნენ ტყვეებს, ან საშტაბო დოკუმენტებს, ადგილზევე მიშელო სარდლობისათვის საინტერესო ცნობები. ამისათვის შემოიყვანეს შტაბის ოპერატიულ ჯგუფში, რაც ჩემთვის იმიტომ იყო საინტერესო, რომ უფრო კარგად ვიგებდი საერთო მდგომარეობას ფრონტის ყველა უბანზე...

...სუსხიან დეკემბრის ღამეს გავდიოთ ქერჩის სრუტის აქეთა მხარეს ისარივით გაჭიმულ „ჩუშკაზე“. აქ გაცხარებულნი სადესანტო მზადება მიმდინარეობდა. მე სამხედრო სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ჩემთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ ფრონტი ასეთ რთულ ოპერაციისათვის მომზადებული არ იყო. აბა, წარმოიდგინეთ სამი კილომეტრის სიგანის „წყლის სიერცის“ გაღალახვა ყოველგვარი სამხედრო-სადესანტო ტრანსპორტის გარეშე. ამის მაგივრობას ვითომ ადგილობრივ კოლმეფურნეობებსა და მოსახლეობაში სახელდახელოდ შეგროვილი სათევზაო კატარღები, კაპარჭები, ბარჯაები, ტიუები და უბრალო ნაგები ეწეოდა. შავი ზღვის სამხედრო ფლოტი კი თეოდოსიის ოპერაციისათვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება აზოვის ფლოტილიას, როგორც მოგახსენებთ, იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ

ჩვენ არავითარი ფლოტილია არ გვინახავს. ამბობდნენ ქვეანახულის მხარეს მისი გამო, სეინერებიც ვერ გამოიყვანესო ნავსადგურიდან. საუბედუროდ, ქარიშხალიც მაშინ ამოვარდა და იმ რაიონში არნახული შტორმი დაიწყო. ეს იყო 25 დეკემბერს, ღამით. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, სარდლობამ მაინც გადაწყვიტა სადესანტო ოპერაციების დაწყება. პირველ ეშელონში განლაგდა მთელი დივიზია, რომლის შემადგენლობაში ჭარბელებიც ბევრი იყო. მას მხარს უჭერდა ცალკეული მსროლელი ბრიგადა. ახლა ყველაფერი ამ შენაერთების ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობაზე იყო დამოკიდებული. უნდა ითქვას კიდევ, რომ ამ შემთხვევაში სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ მეტბოლოთა განკარგულებაში იმყოფებოდა „ფლოტი“, რომლის მსგავსითაც, ალბათ არც ასე და ორასი წლის წინ ომობდნენ, ისინი მაინც მთელი გულითა და სულით მიიწვედნენ ქერჩისაკენ, რომ იქ შებმობდნენ მტერს. მე, რა თქმა უნდა, არ შევუდგები ამ ოპერაციების აღწერას. ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მოვიგონო ცალკეული სურათები, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ერთხელაც მოგახსენებთ, რომ არის რაღაც ილუმალი, არც თუ ისე ადგილად ასახსნელი ძალა თუ ენა, რომელიც მეტბოლოებს დაბრკოლებათა დაძლევისა და სახიფათო შეტაკებისაკენ ეზივდება. ეს ძალა ზოგჯერ ისეთ პათოსში გადადის, რომ მისი შეკავება შეუძლებელია. მაშინ ყველასათვის ცხადი იყო, რომ ასეთი ოპერაცია ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავდა. წარმოიდგინეთ ნათესადგური, გამაგრებული სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, კბილებამდე შეიარადებული გარნიზონი და სანაპიროზე განლაგებული „ცეცხლის შენიღბული წერტილებით“, არტილერიით, ნღმტყორცნებითა და სადაზგო ტყვიამფრქვევებით. წინაც ზელოვნური ზღუ-

დე: სამი კილომეტრი წყლის სივრცე და საშინელი ღელვა. ასეთ პირობებში მოცურავენ უბრალო კატარღებით, ნაგები-თა და ტივებით; მხოლოდ შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცები, რომელთაც გამბედაობის მეტი დაცვის არავითარი საშუალება არა აქვთ; ისიც მაშინ, როცა ჰაერში მტრის ავიაცია ბატონობს. იწყება ჯოჯოხეთური ცეცხლი, შენ კი რა უნდა ქნა? გვერდზე გადაუხვევ, სანგრებს თავს შეაფარებ, თუ რა... ზიზარ ნაფი, ტივზე, ან კატარღაზე და ძლივს-ძლივობით მიბობლავ წინ. სხვა, ყველაფერი ვინიცობის საქმეა: გადაარჩები ხომ კარგი, არადა: ომი ომი!..

...და მაინც ყველას ის უნდოდა, რომ პირველ სადესანტო ჯგუფებში მოხვედრილიყო. სანაპიროზე უამრავი ჯარისკაცი ირეოდა. დაიტვირთებოდა თუ არა კატარღა, მოაბამდნენ ხალხით სავსე ტივს და გაუშვებდნენ. რამდენიმე წუთში ის კატარღაც, ტივაცა და ხალხიც ღამის ბნელ ხანაში იკარგებოდა. მერე ახალი ტრანსპორტის დატვირვას შეუდგებოდნენ. ისევ ატყდებოდა ჩოჩქოლი. ყველას ერთად უნდოდა ასე.

— წესრიგი, ამხანაგებო, წესრიგი... — მესაეჭერ მოუწოდებს ოფიცერი, მაგრამ ამოდ: გაყინულ წყალში ვარდებიან, მიდიან, მიტოპავენ, მიცურავენ, კატარღებს ებლაუჭებიან... მინახავს, ფარვანები რომ აწყდებიან ასე ღამის შუშას. სინათლე უნდათ, სითბო, თორემ სიკვდილის ფსად რას მოიპოვებენ ასეთს?! ესენი კი დეკემბრის ამ სუსხიანსა და უკუნეთ ღამეში სად მიიჩქარიან! რას ექებენ! გარდა იმისა, რომ მტერთან უნდათ პირისპირ შეხვედრა, იმათთან, ვისაც ზიზლით „ფრიცებს“ ეძახიან... ამიტომ ვერ აკავებს მათ ვერავითარი ძალა. ასეთ დროს რას არ ნახავ! თვალებს არ ვუჭერი, სადღაც ავტომატების საბურველები უშოვით, ზედ ფიცრებს ამარებენ, უნდათ ამით ვადასკურონ ქერჩის სრუტე.

— კაცო, თქვენ ვიყები ხომ არა

ხართ — უყვირის მათ ვიღაც ხანშიშესული კაცი.

— არხენიან იყავი, ბიჭო, შენები კრესერი ვაგაკეთოთ რო... — ისმის პასუხად.

— ე, ბიჭო, ჩვენც ვაგებოთ მაგისთანა დრედნოუტი, — ხუმრობს უწვერულვამო ჯარისკაცი...

ყველა რაღაცას ცდილობს, ეძებს, ახერხებს და მიღის იქითყენ, სადაც სასწაულით თუ შეიძლება სიკვდილს ვადურჩეს ვინმე...

...ყველაფერი ეს შობა ღამეს ხდება... ძველად სოფლებში ამ დროს ბავშვები თეთრ ჩიჩილაკებს დაატარებდნენ და „ალილოს“ სიმღერით მიადგებოდნენ მეზობლის კარებს...

— კარი გამიღე!.. იხსნა მხიარული მგალილოე.

— რა მოგაქვს? — შეეკითხებოდა შიენიდან მასპინძელი.

— სიცოცხლე, სიკეთე, სიხარული. ბედნიერება, — ჩამოთვლიდა მოსული...

ომის დროს კი კარებზე ყოველი დაკაუნება წინასწარ შიშს იწვევს...

— ვინ არის? ფოსტალიონი თუა? რა მოაქვს? წერილი, თუ ცნობა იმის შესახებ, რომ...

...ვინ იცის, ეს ღამე რამდენ ასეთ ცნობას უმზადებს იმათ, ვინც ასე მოუთმენლად ელის ფრონტიდან „კარგ ამბავს“... გერმანელებიც, ალბათ, საშობაო ლოცვაზე იდგნენ იმ ღამით; ეკლესიებშიც გაისმოდა ღაღადი: სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი... იქნებ არც ელოდნენ თავდასხმას ქრისტეს შობის ამ „წმიდა ღამეს“, თუმცა საეჭვოა. ისინი ხომ თავიანთ ყავისფერ სატანას უფრო სცემდნენ თავყანს, ვიდრე მაცხოვარს. ბოლოს ისე გაკადნიერდნენ, რომ ეკლესიებში ქრისტეს ხატების შეცვლა მოითხოვეს ჰიტლერის სურათებით. ჩვენ კი ეს დღესასწაული

სულაც არ გვიწერია კალენდარში. სამაგიეროდ, ახალ წელს გვინდოდა ყირიმში შევხვედროდით...

გარიერაჟისას უკვე მთელი ჩვენი „არმადა“ დაიძრა ნახევარკუნძულისაკენ. მტერმა კარგა ხანია, რაც ეს შენიშნა და საშინელი ცეცხლი გახსნა. შტორმმაც იძალა. ცნობა მოვიდა, აზოვის ფლოტილია უკან გაბრუნდაო. ჩვენ არც გამოსვლა გვჭეროდა მისი და ამას რას გავიკვირებდით! ნაევები და კატარღები კი მაინც წინ მიიწევდნენ. აქა-იქ საბურავებზე დადგმული „კრეისერებიც“ ჩანდნენ. მერე ბრძოლის მძიმე სურათი გაიშალა ჩვენს თვალწინ: ტალღამ დაარტყა და ნავი გადააბრუნა. ჯარისკაცები გაყინულ წყალში ჩაცვივდნენ. რომელიღაც კატარღას მტრის ყუმბარა მოხვდა, უკან მიბმული ტივი მოცელა ტყვიამფრქვევმა. თვითმფრინავები შევეულად დაეშვნენ და პირდაპირ მოახვედრეს მიზანს. ჩვენი მებრძოლების ერთ ჯგუფს კი მეორე მიყვება, მეორეს მესამე, მეოთხე, მეხუთე. მაგრამ მტერი აძლიერებს წინააღმდეგობას, პირველი ჯგუფი თითქმის აღარ არის, მეორე, მესამეც, მაგრამ მეოთხემ, როგორც იქნა, მიაღწია ქრონის კონცხს და ნაპირზე გამაგრდა. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენი კატარღაც მიაღდა იმ კონცხს, მაგრამ შემდგომ შეტევასა თუ პლაცდარმის გაფართოებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და დესანტი თავდაცვაზე გადავიდა...

...სამი დღე და ღამე მძვინვარებდა შტორმი სრუტეში. ახალი სადესანტო ჯგუფების გადასხმა შეუძლებელი გახდა. ვერც შავი ზღვის ფლოტმა მოახერხა ბრძოლებში ჩაბმა. მხოლოდ მებრძოლთა თავგანწირულებამ იხსნა მდგომარეობა. 30 დეკემბერს კი ჩვენი არმიის ნაწილები ისევ წავიდნენ იერიშზე. მძიმე ბრძოლების შემდეგ რამდენიმე ჯგუფმა კიდევ მიაღწია ყამიშ-ბურუნს. მეც

იმ დღეს დაებრუნდი ქრონიდან, ამ ჯგუფს შევუერთდი. მერე ერთსა და დღე ვიმგზავრე კონცხზე. მაგრამ გადაერჩი! ასეთ რამეს მხოლოდ ბეტონის შემთხვევას უნდა უმადლოდეს კაცი!

გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე მოესპოთ ჩვენი სადესანტო ჯგუფები ქერჩის რაიონში, მაგრამ 30 დეკემბერს დილით 44-ე არმიამაც დაიწყო თეოდოსიაზე იერიში. შავი ზღვის ფლოტმა დესანტები გადასხანათსადგურში და დაიკავა ქალაქი. ორ დღეში აქ უკვე სამი საბჭოთა დივიზია და ორი ცალკე ლეგიონი იბრძოდა. გერმანელები იძულებული გახდნენ სევასტოპოლს, თეოდოსიასა და ქერჩის შორის დაექსაქსათ თავიანთი ძალები, მერე, როცა ჩვენებმა ორივე პლაცდარმი შექმნეს, გაჩნდა საშიშროება აკონანის ყელის გადაჭრისა და გადაწყვიტეს ქერჩის ნახევარ კუნძულიდან უკან დაბევა.

იმ ღამეს მე ისევ დაებრუნდი „დიდი მიწაზე“, ხოლო მეორე დღეს შტაბის ოფიცრებთან ერთად უკვე მძიმე ყუმბარმშენით მივფრინავდი ქერჩისაკენ. ესეც ჩემი პირველი საჰაერო „ნათლობა“ იყო. მახსოვს მაშინ ჩვენთან ერთად მოდიოდა ცნობილი რუსი პოეტი ილია სელეზნსკი. თვითმფრინავი ბაგეროვოში დაეშვა: ნერვები ჩვენ უკვე საკმაოდ გვქონდა გამაგრებული, მაგრამ რაც იქ ვნახეთ, ამის განსენებაზე ახლაც ქრუანტელი მივლის ტანში...

...დავეშვით თუ არა მიწაზე, მაშინვე ბაგეროვოს ტანკაწინააღმდეგო ორმოებთან აღმოვჩნდით, სადაც გერმანელებს სულ რამდენიმე საათის წინ დაეხვრიტათ ქერჩის რამდენიმე ათასი მცხოვრები. ერთი კილომეტრის სიგრძისა და 2 მეტრის სიღრმის ტანკაწინა-აღმდეგო ორმო სულ დახოცილთა გვამებით იყო ამოვსებული. თითქმის მთელი ქერჩის მოსახლეობა გამორბოდა ამ საშინელების სანახავად; ვინ ქმარს ეძებდა, ვინ მშობლებს, შვილებს, თუ ნათესავებს. მორბოდნენ წივილ-კივილით,

ორმოებიდან ამოქონდათ დახოცილთა გვამები. ზოგი ჯერ კიდევ სუნთქავდა, ზოგს ტყვია არც მოხვედროდა ისე ჩამბტარიყო ორმოში და იქ გაგუდულიყო მკვდრებს შორის მოქცეული. საშინელი სურათი იყო ყველა თავისიანს ეძებდა, პოულობდნენ კიდევ და თმებს იგლეჯდნენ. ერთის დატირებაზე რა ამბავია ზოლომე და აქ კი ათასობით მოკლულს ხუთი ამდენი ჭირისუფალი დასტირის! სელვისსკი და მე ვუყურებდით ამ სცენას და თმა ყალყზე დგებოდა. ნერვები ისე დაიძაბა, რომ პოეტის გულმა ვეღარ აიტანა და ითხოვა, წავიდეთო. ამ დროს შტაბის ოფიცერი მოვიდა ჩვენთან და იმ ორმოს მეორე მხარეს წაგვიყვანა, სადაც უფრო შემზარავი სურათი დაგვხვდა. ასამდე ძუძუმწოვარა ბავშვი ეწყო ერთმანეთის გვერდით — ყველა სათუთად შეხვეული. მშობლებისთვის უთქვამთ, სხვაგან უნდა გადაგასახლოთო. დედებს თბილად გაეხვიათ ბავშვები, გზაში არ გაგვიცივდესო. აქ კი ჯერ ბავშვები დაეხვრიტათ, მერე მშობლები და ისიც მსკდომი ტყვიებით. ბოლოს თვითონ შეეზარათ თურმე ეს საშინელება და სიკვდილის უფრო „ქუმანური“ მეთოდი გამოიყენეს — მოწამვლა. ორმოცამდე ბავშვს ტუჩებზე რაღაც უვითელი საწამლავი წაუსვეს და დახოცეს. ზოგიერთი დედა ისე მაგრა ჩაბლანუჭებოდა თავის შვილს, რომ ხელიდან ვერ გამოვგლიჯათ და ორივე ერთად მოეკლათ. სიკვდილის შემდეგაც ჩახვეული იყვნენ ისინი ერთმანეთს. მამაც ასე ჩაფრენოდა თავის ათიოდე წლის ბიჭს, მაგრამ ორივე ერთად დაეხვრიტათ ორმოს ნაპირას. ყველაზე შემზარავი ის იყო, მკვდრებს შორის როგორ „ამოთხარეს“ 60 წლის მოხუცი, რომელსაც სულაც არ მოხვედროდა ტყვია. იგი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და უხმოდ იცინოდა, თან ხელებით ეძებდა ტანზე ადვილს, ტყვია სად მომხვდაო, ვერ პოულობდა და უხაროდა. ისე შემადრწუნებელი იყო ეს ხელების ფათური და ჩლუნგი სიცილი, რომ ვერავინ გაუძლო მის ყურებას. იმ მოხუცმა კი-

დევ ერთხანს ამოწმა სხეულის ძველი ნაწილი და რომ დარწმუნდა, ტყვეობა მომხვედრიაო, რაღაც ხმამაღლა აღმუილი ამოხდა ყელიდან და გაიტყა. გაეკიდნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს, გარბოდა და რაღაცას ღრიალებდა... თუ ხარბარებდა...

შეშლილი იყო!

ხალხი კი ისევ ქოთქოთებდა ტანკსაწინააღმდეგო ორმოს გარშემო...

...იმ დღეებში ფრონტზე მიმავალ ახალ შენაერთებს ჯერ ბაგეროვოს ამ სასაქლოზე გაატარებდნენ, აჩვენებდნენ მთელ ამ საშინელებას და აბარებდნენ:

— სისხლი სისხლის წილ!..

გაგულისებულნი მემორები ნიაღვარივით მიიწვედნენ წინ. მათი შეჩერება არც ისე ადვილი იყო...

ამ გმირული ოპერაციის შედეგად ქერჩის მთელი ნახევარკუნძული ვათავისუფლებული იქნა გერმანელ ოკუპანტებისაგან. გერმანელების მე-11 არმიის სარდალი კი იძულებული გახდა სევასტოპოლის შტურამი შეეწყვიტა.

დაკარგული პოზიციები...

მით უფრო სამწუხაროა, რაც ამის შემდეგ მოხდა. ოთხი თვის განმავლობაში ჩვენი ფრონტის სარდლობა თავს უყრიდა ქერჩის ნახევარკუნძულზე დიდძალ სამხედრო ტექნიკასა და რეზერვებს, რომ ახალი დიდი შეტევა დაეწყო ყირიმის მთლიანად გასათავისუფლებლად. მაისის დასაწყისში უკვე ყველაფერი მზად იყო და დღითიდღე ველოდით გადამწყვეტ შეტევას...

მოხდა კი პირიქით... 8 მაისს თვითონ ჩვენი მოწინააღმდეგე გადმოვიდა შეტევაზე. დილიდანვე თითქოს გრანდიოზული საპარო აღლუმში გაიმართა ყირიმის ცაზე. მე მთელი საათის განმავლობაში გაოცებული ვუყურებდი გერმანული თვითმფრინავების დაუსრულებელ ნაკადებს, ტალობრივად რომ მოედინებოდნენ ჩვენსკენ. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მრავალი ათასი ყუმბარაშენი „იუნკერსები“ და

„პაინკელები“, „მესერაშმიტების“ ესკადრილების თანხლებით მოდიოდნენ ჩვენი პოზიციების დასაბოძბად. მაშინ არც ვიცოდი, რომ ეს თავისებური „ფსიქიური შეტევა“ იყო. გერმანელთა 4-ე ავიოფლოტის ცალკეული შენაერთები და 8-ე საავიაციო კორპუსის თვითმფრინავები ე. წ. „ვარსკვლავისებური ფრენით“ ქსელავდნენ ცას ჩვენს ზევით, ისე, როგორც ქალაქიდან ფანქრის მოუშორებლად იხატება ზუთქიმიანი ვარსკვლავი. ასეთი ფრენა ქმნის შთაბეჭდილებას თვითმფრინავების ახალ-ახალი ტალღების დაუსრულებელი დინებისა, მაშინ როცა სინამდვილეში ერთი და იგივე თვითმფრინავები ტრიალებენ და ვარსკვლავისებურად ხაზვენ ცას.

„ალუმის“ შემდეგ დაიწყო მოწინავე პოზიციებისა და ზურგში განლაგებულ სამხედრო ობიექტების დაბომბვა. მტრის ავიაცია მაშინ მნიშვნელოვნად ჰარბობდა ჩვენსას. ამან საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს საფუძვლიანად „დაეუთოვებინა“ ჩვენი მოწინავე ხაზი.

შემდეგ გამოირკვა, რომ გერმანელებს ძირითადი იერიში ჩვენს მარცხენა ფლანგზე მიეტანათ, იქ, სადაც 44-ე არმია იყო განლაგებული. აქ მათ შესძლეს უფრო ძლიერი შენაერთებისთვის მოუყარათ თავი და წარმატებასაც მიღწიეს. 44-ე არმიის მოწინავე დივიზიებმა უკან დაიხიეს სანაპიროს გასწვრივ.

იმ დღეს მე ფრონტის შტაბის საკომანდო პუნქტზე ვიყავი მორიგედ. ამის შემდეგაც აქ დავრჩი რამდენიმე ხანს... შტაბის ოპერატიული ჯგუფის სხვა ოფიცრებთან ერთად მე ვახლდი არმიის სარდალს, გენერალ ლოვგს. ყველას გვიყვარდა ეს „ქერათმიანი გოლიათი“, რომელსაც ერთი წყრთა უღვაშები ჰქონდა, რის გამოც ჩუმჩუმად — „უღვაშა“-ს ვეძახდით. თვითონაც იცოდა ეს. ზოგჯერ ტელეფონშიც ჩასძახებდა, „უღვაშა“ გელაპარაკებათო, და ხელით ჩამოიფოცხავდა თავის „სახის მშვენიბას“.

იმ დღეს სულ ბობოქრობდა, ცილაკეებს ეჩხუბებოდა ტელეფონის ხვეწებს იმტერევა და ისე ითბებოდა სვეტევაშე შეტევაზე გადასულიყო თეოდოსიის მიმართულებით. უნდოდა გვერდიდან დაეკრა გერმანელების წინ წამოწეული ჯარისათვის და მოეწყვიტა ისინი ძირითად ძალებსაგან.

მე არ ვიცი როგორ მოხდა ყოველივე ეს, არც ის შემიძლია ვთქვა, ლოვგმა ფრონტის სარდლობის დაუკითხავად თუ გასცა განკარგულება შეტევის დაწყების შესახებ, ყოველ შემთხვევაში, პირველივე დღეს რამდენიმე კილომეტრით წავიწიეთ წინ და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ჩვენს თვალწინ ასეთი ამბავი არ დატრიალებულიყო:

სანგრებში ვიყავით, რომ პირდაპირ ჩვენს მხარეს „იუნკერსების“ მთელი ესკადრილია წამოვიდა. ლოვგმა მაშინვე გვიბრძანა თავშესაფრებში შევსულიყავით; თვითონ კი, მიუხედავად თბონისა, ხვეწნისა და ადიუტანტის კატეგორიული წინადადებისა, მაინც ადგილზე დარჩა. სანგრები მას მუხლებამდე ძლივს წვდებოდა. მთასავით იდგა და ჰოგრიტით ზვერადა მოწინავე ხაზს, ყუმბარაშენებთან ერთად ტანკებიც წამოვლუნ თუ არაო... მერე რაც იქ მოხდა, მოსაგონებლადაც ძნელია. გერმანელების თვითმფრინავები შვეულად დაეშვნენ და ახლო მანძილიდან დაბომბეს შტაბის განლაგების ადგილი. ერთ ტალღას მეორე მოყვა, მეორეს მესამე...

ჩვენი გოლიათი სარდალი მძიმედ დაიკრა და სანიტრებმა წაიყვანეს, ამბობდნენ, მაშინვე ვადაფტრინესო ღრმა ზურგში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ მისი გარდაცვალების ამბავი, ისიც, თუ რა პატივისცემით დაესაფლავებინათ იგი თბილისში...

...ამის შემდეგ ჩვენ რატომღაც უკან დახვევის ბრძანება მივიღეთ. ახლა სამხედრო სპეციალისტებიც სწორენ, რომ ეს შეცდომა იყო. ჩვენ ამაში მაშინაც დარწმუნებული ვიყავით. ტყვედ ჩავარ-

დნილმა ოფიცრებმა, გერმანიის მოსკო-
ველი ელჩის, საქართველოშიც კარგად
ცნობილ გრაფ შულენბურგის ბიძა-
შვილმა დაკითხვაზე თქვა, ლეოვს რომ
შეტევა გაეგვრებლენა, დარწმუნებუ-
ლი ვარ ჩვენი ოპერაცია ჩაიშლებოდაო.
ამას რომ ამბობდა, ტურებზე ღიმილი
უთამაშებდა. ჩვენ კი უკან ვიხევედით.
ბრძანება იყო, ე. წ. „თურქულ სანგრებ-
ში“ ვაღმავრებულიყავით. ესეც, ალბათ,
გაუგებრობას უნდა მიეწეროს. ფაქტი-
ურად არავითარი „თურქული სანგრე-
ბი“ არ არსებობდა. ან ასი წლის წინათ
რუსეთ-თურქეთის ომის დროს გათხრი-
ლი სანგრები რა სიმაგრეებად გამოდგე-
ბოდა... ამას ჭერ უთავბოლო უკან და-
ხევა მოყვა... მერე ევაკუაცია. ვინც მო-
ასწრეს, გადაიყვანეს „დიდ მიწაზე“,
ვინც არა, დარჩა აჭიმულშეაის კატაკომ-
ბებში, რომ შემდეგ პარტიზანული
ბრძოლა ეწარმოებინათ...

...მე ერთხანს კიდევ ვასრულებდი რა-
ღაც დავალებებს ზოგჯერ მეზობელ შე-
ნაერთებშიც მგზავნიდნენ კავშირის და-
სამყარებლად, მაგრამ უკვე ეშმაკიც
ვერ გაიგებდა, ვინ ვის მეზობლად იმ-
ყოფებოდა. ყველაფერი ისე იყო ერთ-
მანეთში არეული, რომ თუ ძალიან ყუ-
რადლებით არ იქნებოდი, შეიძლებოდა
სადმე მტრის მეავტომატებსაც წა-
წყდომოდი. ცალკე უშილობა. სამხედრო ნაწი-
ლები ისე მოწყდა თავის ბაზებს, რომ
შემთხვევით თუ წავაწყდებოდი რამეს,
თორემ არავითარი მომარაგება არ იყო.
ისე კი, რას იპოვიდი ამ გადაფხევილ ნა-
ხევარკულულზე, სადაც მხოლოდ კირ-
ქვიანი ნიდავაი და კატაკომბებია. ერთ-
ხელ, მე და პოლკოვნიკი სამოილოვი,
სადღაც, მიტოვებულ ქოხში შემთხვე-
ვით კუთხეში მიყრილ ხახვს წავაწყდით.
სამი ღლის განმავლობაში ეს იყო ჩვენი
საუზმეც, სადილიც და ვახშამიც. ხახვი

კი „მსუქანი“ იყო, უკრაინელები რომ
„ციბულის“ ეძახიან, მაგრამ წყლიცა... და
საქმლის მაგივრობას მიწვევით ვიყავით
წევდა. მერე იმ პოლკოვნიკმა როგორ-
ღაც სულზე მიუსწრო უკანასკნელ სა-
ევაკუაციო ჯგუფს და მოახერხა ვადას-
ვლა „დიდ მიწაზე“. მერეც ხშირად შევ-
ხვედრივარ მას და ყოველთვის ასე ევ-
სალმებოდი ერთმანეთს:

— გამარჯობა, ხახვო!

— გაგიმარჯოს, ციბული!

ასეთი ჟარგონი ადვილად იქმნება
ფრონტზე...

მასხოვს, ყუბანში, სოფ. სვისტელნი-
კოვოში მძიმე ბრძოლებს სასწაულად
გადაჩენილ პროფ. საელე წერეთელს
შეგვხვდი, ვაგვეხარდა ერთმანეთის ნახ-
ვა, მაგრამ მაშინვე ისეთ ქარცეცხლში
მოგვხვდით, რომ დღემდე ასე ვესალმე-
ბით ერთმანეთს:

— სვისტელნიკოვოს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!..

...მერე პოლკოვნიკ შეველიოვის მე-
თაურობით შტაბის ოფიცრებისაგან შე-
კრებილი ბატალიონი შედგა. უკანდაბე-
ვის დროს, სულ უკანასკნელი, ეს ჩვენი
„ოფიცერთა ნაერები ბატალიონი“ მო-
დიოდა. იგი საარტილგადო ბრძოლებს
აწარმოებდა და ამით, შეძლებისამებრ,
ხელს უწყობდა ჩვენი ჯარების ევაკუა-
ციას ყირიმიდან. გერმანელების შეტე-
ვის შეჩერება ჩვენ, ცხადია. არ შეგვე-
ძლო, მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც ვაყა-
ვებდით მეავტომატეთა წინსვლას ენი-
კალეს მიმართულებით. აქაც ისეთივე
მძიმე პირობები ვეჭონდა. უკვე ოთხი
დღე არც ძილი ვიცოდით და არც სას-
მელ-საჭმელი. პირს ზღვის წყლით ვი-
სველებდით და ეს იყო ყველაფერი.

18 მაისს ევაკუაცია დამთავრდა. 19
მაისს ჩვენ აჭიმულშეაის კატაკომბებში
შევედით. აქ ათასობით ჯარისკაცებსა
და ოფიცრებს მოეყარათ თავი. ვეტებ
ნაცნობები: ვიქ. კუბრაძე, ვლ. მაჭავა-
რიანი, ვ. კუბრაძე, მაგრამ ვერ ვნა-
ხე. მერე ის დამეც თეთრად გავათე-

ნეთ... ვისზედით, ვფიქრობდით, ვდავობდით, მაგრამ მაინც ვერ გადაგვეწყვიტა, როგორ მოვეცეულობავით. თითქმის მთელი კვირის უძინარები ვიყავით, უსმელ-უძმელნი, დაქანცულები... ბედის დაცინვა ის იყო, რომ ვილაცას აქაც ერთი ტომარა ხახვისთვის მიეგრო და ბატალიონის ინტენდანტმა თითო თავი დაგვირიგა ყველას. მე ესეც ღვთის წყალობად მივიღე, ნელ-ნელა გავფტკვენი. თან მარჩიელობა დავიწყე, ისე, როგორც იბსენის ერთ-ერთმა გამირმა: თანდათან ვაცლი ხახვს ფურცლებს და ვფიქრობ, მივალწეე გულამდე თუ არა. თუ მივალწეე ხომ გადავრჩებით, თუ არა... ერთი, ორი, სამი, ხუთი, ათი... შემოვაცლი თუ არა ერთ ფურცელს, გადასაგდებად შენანება და ვღეპავ. მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი მწარე ხახვი შემხვდა, რომ თვალებიდან სულ ნაპერწკლები მაყრევინა... მერე, ბოლომდე რომ მივალწეე. არავითარი გული! ხახვს ფურცლებს რომ შემოაცლი, გრჩება არაფერი...

დილით ბატალიონის მეთაურმა გადაწყვიტა კატაკომბებიდან გამოვსულიყავით და ბრძოლით გავგეცვლია გზა ენიკალუსკენ, საიდანაც საბჭოთა ჯარების ევაკუაცია წარმოებდა. როგორც ჩანს, შეველიოვს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ აქ რამე ტრანსპორტს იშოვიდა და ჩვენც გადავიდოდით დიდ მიწაზე. გარიტრაჟისას ამოვედი კიდევ 300-მდე კაცი. დანარჩენები იქ დავტოვეთ. დღეს ყველამ იცის მათი გამირული თავგადასავალი. დიდი ხნის განმავლობაში უწყევლენ ისინი გერმანელებს წინააღმდეგობას, ვიდრე შხამიანი ვაშებით არ ამოახრჩვეს ყველანი...

მაცხოვრის შიკრიკი...

სანაპირო სოფელ ენიკალუმდე ჩვენს ბატალიონს დიდი წინააღმდეგობა არც შეხვედრია. როგორც მეთაურმა გამოგვიცხადა, დანაკლისიც „უმინშენლო იყო“: სულ 24 კაცი. დანარჩენებმა ამ პრიმიტიულ „გადასასვლელამდე“ მივალწეეთ და ზედ ზღვის ნაპირას ერთ

უზარმაზარ გამოქვაბულს შევავარეთ თავი. უძილობისა და დუქანდობის გამო ისედაც პალუტინსკის მცხანდა და ახლა რომ ამ გამოქვაბულს შეგნდე, მომჩვენა ბაყ-ბაყ დეფს დაუღია უსაშველოდ დიდი ხანა და მთელ შავ ზღვას უპირებს გადაყლაპვას-მეთქი. ზღვისა რა მოგახსენოთ და ჩვენ კი დავგეტიყავი. იარაღი ავიხსენით და დაქანცულები შირდაპირ მიწაზე დავეყარეთ.

...ხოლო მე „ვითარცა წყალი დავითხიე და განიბნინეს ყოველნი ძულანი ჩემნი...“ — წერია ფსალუმში...

...ევაკუაცია უკვე დამთავრებული იყო და გადარჩენის არავითარი იმედი არ არსებობდა. ვერც ისეთი სადესანტო ტრანსპორტი მოადგებოდა აქ, რომ ამდენი კაცი გადაეყვანა „დიდ მიწაზე“.

ქერჩიდან ენიკალე ხელისგულივით ჩანს, ზოლო თვითონ ამ სოფლის ნაწილიც უკვე გერმანელების ხელთ იყო. ლამამ გვიხსნა, თორემ აქამდეც შეიძლებოდა ყველაფერი დამთავრებულიყო. იმ ღამით კი რა სასწაული უნდა მომხდარიყო, ან რა „ნოეს კიდობანი“ უნდა გამოჩენილიყო რომ აქედან გავეყვანეთ. მით უმეტეს, თუ ჩვენს შესახებ იმ აღთქმულ „დიდ მიწაზე“ არაფერი არ იცოდნენ. დილით კი გერმანელები უკანასკნელ იერიშს მოიტანდნენ და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა.

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, არ დაიძინოთ, — ისმოდა პოლკოვნიკის მონოტონური ხმა. ზოგს მართლაც არ ეძინებოდა, ჩემთვის კი არაფერი ისე სანატრელი არ იყო, როგორც ძალი. ერთი საათით თვალის წატყუება დამიბრუნებდა ენერჯიას, მაგრამ სოფლის მეორე მხარეს რაკი გერმანელები იყვნენ, ძილი მართლაც არ შეიძლებოდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავდასხმა. მე ისევ ზღვის წყლით ვისველებდი პირს და ეს მშველოდა ცოტას, მაგრამ მაინც სულ დავიშალე. თავს ვერ ვიმაგრებდი, თვალეები მებუქებოდა, უძილო-

ბამ და წყურვილმა ღონე სულ გამომი-
ლია.

— არ დაიძინოთ! ეცადეთ, როგორმე
არ დაიძინოთ! — გვაფრთხილებდა ისევ
პოლკოვნიკი.

არც მე მინდოდა დამძინებოდა, მაგ-
რამ თავს ვერ ვერეოდი. ისე ვიყავი
გაბრუნებული, რომ განსხვავებასაც ვერ
ვამჩნევდი: უკვე მეძინა, თუ ჯერ კიდევ
არა. სულერთია, ამ ქვეყნისა აღარ ვი-
ყავი, თავი ტყვიასავით დამიმძიმდა, გო-
ნებასაც რაღაც ბურუსი გადაეფარა,
თვალეზი მელღლებოდა — თითქოს სა-
დღაც ვიძირებოდი, გარშემო ტალღების
მღვრიე რგოლები მისცურავდნენ... ერ-
თი რგოლი მიყვებოდა მეორეს... მეო-
რეს — მესამე... მეოთხე, და მერე ყვე-
ლანი ერთმანეთში ირეოდა ისე, რომ
მე ვერც ვარჩევდი სად პირველი იყო
და სად მეორე, არც იმას, სად რა იწყე-
ბოდა და რა თავდებოდა, ყველაფე-
რი ერთი იყო და ისევ ყველაფერი...

პოლკოვნიკის სიტყვები კი როგორ-
ღაც მაინც შესმოდა:

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, ვთხოვთ,
არ დაიძინოთ!..

ეს სიტყვები ლურსმნებზეთ მეჭედე-
ბოდა ტვინში!.. ვხედავდი ჩემს გარშე-
მო ყველა გარინდებული რომ იყო. აღ-
ბათ, ყველა თავის ფიქრებს მიყვებოდა,
ვინ იცის, საიდან სად, ან რომელი მი-
მართულებით! ვის რა აგონდებოდა, ან
თავს ძალას ატანდა, რომ მოგონებო-
და... ფიქრს ყველაფერი შეუძლია. მეს-
თვის არც დროა დაბრკოლება და არც
სივრცე. ფიქრებს თუ გაყვები, გინდა
ერთ წამში ათეულ წლებს გადალახავ,
ასიოდე ქვეყანას მოივლი, გინდა წარ-
სულში აღმოჩნდები, გინდა მომავალში,
ფიქრისთვის სულერთია. ყველაფერი
ეს ერთ წერტილშია გადაკვეთილი და
ერთ წამში შესაძლებელი. არც არაფე-
რია იმაზე სწრაფი, როგორც ფიქრი
ადამიანისა.

...ფაუსტმა რომ უსწრაფესი სულის
არჩევა განიზრახა მსახურად, შეიღი
მსურველი გამოცხადდა მის წინაშე
კითხვებზე: რა სისწრაფისა ხარ? ერთმა:

უბასუხა: როგორც ქარი; მეორემ: რო-
გორც ისარი; მესამემ: როგორც სინათ-
ლის სხივი; მეოთხე თუ მეხუთე ^{სულს}
ისიც თქვა: სწრაფი ვარ, როგორც სიკე-
თიდან ვადასვლა ბოროტებაში, მაგრამ
ფაუსტმა მაინც მეშვიდე სული აიჩრია,
რომელმაც უთხრა: როგორც ფიქრი
ადამიანისა!..

...ასეა. ფიქრი ხომ ადამიანის ფრთე-
ბია. იგი აღამაზებს ჩვენს ყოფას. აბა,
უფიქრებოდ რა ვიქნებოდით?! საკუთა-
რი სხეულის სიმძიმე, სხვა არაფერი!..

მე კი ფიქრებიც ისე დამიმძიმდა,
რომ არსებობასაც ვეღარ ვგრძნობ, რაც
შემიძლია კი ვებრძვი თავს, რომ ძილი
გავფრთხო, ერთხანს ზღვის ტალღების
ერთვეროვან შრიალს ვუსმენ, ყნოსვი-
თაც ვგრძნობ, ნიავს როგორ მოაქვს სა-
ნაპიროდან თევზისა და მარილის სუნი,
და ვფიქრობ...

...ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ ამის
თავი სად მქონდა. როცა ადამიანი ნორ-
მალურად ცხოვრობს, არც უფიქრდება,
თუ რა სიკეთე აქვს ძილის სახით მო-
მადლებული. ზოგი კი უსიამოვნოდაც
შეიშფუშნება, როცა ვინმე ეტყვის:

— იცი, ერთად რომ შევკრიბოთ,
ყოველ ჩვენთაგანს სიცოცხლეში თურ-
მე 20 წელიწადი ძილი გამოუღდის, შე-
იძლება მეტიც...

— რა საშინელება! — იტყვის ის,
ვისაც ძილი დროს დაკარგვად მიაჩნია.
გერმანელებს თქმულებაც აქვთ ასეთ
„დროს დახარბებულ კაცზე“, რომელ-
მაც დასწყევლა კიდევ ძილის გამჩენი.
ეს იწყინეს ანგელოზებმა და იმ კაცს
სულ წართვეს ძილის უნარი. ამაზე მე-
ტი უბედურება არც შეიძლებოდა მის
თავზე დატრიალებულიყო — თვალის
გუგები თითქო ქვებად იქნენ, ქუთუ-
თოები და წამწამები არ მოძრაობ-
დნენ... იყო ასე დღენიდაც თვალეზა-
ხელილი და შეძრწუნებული, მაგრამ რა

ექნა, როცა ძილი არ ეკარებოდა. ასეთ ტანჯვაში გაატარა მან მთელი სიცოცხლე, ვიდრე სიკვდილმა არ შეიბრალა და სულაც არ გაათავისუფლა ამქვეყნიურ არსებობისაგან...

ეს იგავი რომ გაიხსენა, თომას მანმა თავის მხრივ ასეთი პათეტიური სიტყვებით უძღვნა ბუნების ამ „დიად წყალობას“:

„ის, რომ დღის შემცვლელად ეშვება ღამე და მადლი ძილსა მწუხრის ყოველ ეამს გაშლის თავის მოსახამს, რათა გააქარვოს, ან დაამშვიდოს ყოველგვარი ტანჯვა, უკუღმართობა, ტკივილი და სევდა; ის, რომ ეს მკურნალი და თავდავიწყების მომნიჭებელი სასმისი შემზადებულია ჩვენი დასიცხული ტუჩებისათვის; და რომ მარადეამს და ისევ მარად იხმობს იგი თავის გრილ წიაღში ბრძოლისაგან მოთენთილ სხეულებს, ჩამოგვრეცხავს ოფლს, მტვერს და სისხლს, რათა კვლავ აღვდგეთ უფრო ძლიერნი, განახლებულნი, გაახალგაზრდავებულნი, დაეუბრუნდეთ ჩვენს საწყის უცოდველობას და უბრალოებას, აღვიდგინოთ თავდაპირველი სიმამაცე და არსებობის სიხარული — ო, მეგობარო, მე ყოველთვის მიიპინდა ერთ ყველაზე უფრო ამალელებელ წყალობად, რაც კი არსებობს ყოფიერების დიდებულ ფაქტორთა შორის“...

...ჩვენ უკვე თითქმის ერთი კვირაა, რაც ამ წყალობას მოკლებულნი ვართ. დაუღალავი პოლკოვნიკი კი ისევ თავზე გვადგას და გვაფრთხილებს:

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, არ დაიძინოთ!..

გამიგონია, კაცს რომ სიკვდილს მიუსჯიდნენ, კითხავდნენ, რა იქნებაო თქვენი უკანასკნელი სურვილი.

ჩემთვის რომ მაშინ ვინმეს ასეთი კითხვა მოეცა, უყოყმანოდ ვეტყვოდი:

— ერთი საათით ძილი.. თუნდაც მარადიული ძილის წინ!..

...აღმოსავლეთს ვარიერაში შევსადგა. ცამ თითქოს მადლა აეწიქო, სვედრევი გაიშალა და ნამძინარეგმევი მწუხრის ღამეები გაახილა. მთელი ღამე ვებრძოდით ფიქრსა და უძილობას, ახლა კი თითქოს პირველად გვენახოს, ისე შემფოთებული ვხვდებით ქვეყნის მნათობის მობრძანებას. თანაც რაღაც გაურკვეველს მოლოდინში ვართ. მზას ამოსვლასაც ისე ვუყურებთ, როგორც სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას. ასე გვგონია, სადაც არის, ვიდაც ჩავგჩურჩულეშს ყურში:

„მე შეკრიკი ვარ იმ მაქოცრისა, ვისაც შოელით განთიადისას!..“

...მოპირდაპირე ვორაკიდან ნაღმტყორცნებმა გახსნეს ცეცხლი. დაიწყო ნაღმები სადღაც ახლო გასკდა, სანაპიროსთან. მერე ტყვიამტრქვევებიც ახმაურდნენ. ყველანი ფეხზე წამოგვივდით, როგორც ერთი კაცი! გაჭირვებამ ისე შეგვაკავშირა, რომ ამ სამასამდე კაციდან მართლაც ერთი ორგანიზმი შეიქმნა. ყველანი ერთნაირად ეფიქრობდით, ერთმანეთს ვესმარებოდით, განსხვავება არ იყო, არც სურვილი ამისი. ყოველ განკარგულებაზე ავტომატურად გამოძრაობდით. მაშინაც, როცა ყველაზე კრიტიკული მომენტი დგებოდა, და რომ გვეგონა, სხეული დაიშალაო, ბატალიონი უფრო შეკავშირდა და განმტკიცდა. ყველას პიროვნება ერთში გაერთიანდა და როგორც ერთი კაცი, ისე ამოქმედდა...

...ჩვენს წინ კვარცხლბეკივით აღმართული უზარმაზარი ლოდი ეგდო. მგვიპტურ სფინქსს ჰგავდა, მკერდგამოშვერილს. ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი შეველიოვი ამ ლოდზე ავიდა. მას აყენენ კომისარი და შტაბის უფროსი. პოლკოვნიკმა, რატომღაც ქული მოიხადა და ისე თქვა:

— მეგობრებო! ჩვენ რაც გვეალეზოდა გავაკეთეთ და მოვრჩით. მეტი

არაფერი შეგვიძლია. გამოსავალი არ არის. მიინდა მადლობა გადავიხადოთ და გაგაცნოთ უკანასკნელი ბრძანება.

ახლაც კარგად მახსოვს — ტანდაბალი, მაგრამ წმუხი კაცი იყო, ფართო, ცისფერი თვალები ჰქონდა, დიდი ხნის შეუქრეჭავი თმები, მზით გარუჯული სახე და ბოხი, ხავერდოვანი ხმა.

ამას რომ ამბობდა, სადღაც ახლო ნაღმი გასკდა. ვიღაცამ დაიძახა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ფრთხილად!

პოლკოვნიკს რატომღაც გაეცინა და ხელი ჩაიჭნია. მერე ქული ისევ დაიბურა და შესძახა:

— ოფიცერთა ბატალიონო, სმენა! ყველანი გაევიწყეთ.

— ისმინეთ ბრძანება!

ეს „უკანასკნელი ბრძანება“ ისე ჩაიკითხა პოლკოვნიკმა, რომ ხმა ერთხელაც არ გაბზარვია. ის ამბობდა, რომ ოფიცერთა ნაკრებმა ბატალიონმა ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და რაკი სხვა გამოსავალი არ არის, სამარცხვინო ტყვეობის თავიდან აცდენის მიზნით, გადაწყვიტა მოახდინოს...

...ვის მოუვიდა თავში პირველად ეს სიტყვა, ახლაც მივირს: „თვითლიკვიდაცია“. როგორც ჩანს, „თვითმკვლელობა“ არ უნდოდათ დაეწერათ და ეს „თვითლიკვიდაცია“ მოიგონეს, თანაც საბრძოლო ბრძანების ფორმით. ბატალიონის სამ ოფიცერს, რომელთა გვარები ამოიკითხეს ამ ბრძანების შესრულების შემდეგ, ნაღმებით უნდა აეფეთქებინათ გამოქვამული და თავიანთი თავიც. ეს იქნებოდა 276 ოფიცერის მძათა სასაფლაო.

ბრძანება ისეთი პათოსით იქნა წაკითხული, გეგონებოდათ საქმე რომელიღაც მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრის აღებას ეხებოდა. ჩვენც ისეთი შეგრძნება გქონდა, თითქოს ვიღაც სხვების ლიკვიდაცია უნდა მოგვეხდინა და არა საკუთარი თავის. ძნელიცაა ასეთ ვითარე-

ბაში გარკვევა. იქნებ ჩვენ თვითონ ვიქცეით ჩვენთვისვე „სხვადასრულდება“, შეიძლებოდა ამ „სხვის“ სრულიად ადვილად მოსპობა, რაც იმავე დროს იქნება ბრძანებით გადაწყვეტილი „თვითლიკვიდაცია“...

...და ყველაფერი ეს ხდება გასაოცარი სიმშვიდით. მე მიმიძმს კიდევ აქ სიტყვა „სიმშვიდე“ ვინმარო, იქნებ ეს მოჩვენებითია. ხომ შეიძლება უკანასკნელ სახლვარამდე მოსული მღელვარება გადადიოდეს თავის წინააღმდეგობაში, რასაც უკვე განურჩევლობა და აპატია ჰქვია. იქნებ ამდენი ხნის უსმელ-უტყმელობითა და უძილობით მოთენთილი სხეული ჰკარგავს სწორი რეაქციის უნარს და ერთმანეთში ურევს სიკვდილ-სიცოცხლის კარტებს. ნამდვილად ასეა ეს თუ არა, არ ვიცი, ვერც ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ. მე მგონი, ამისი წარმოდგენა შეიძლება, განცდაც, მაგრამ ახსნა? არა. ყოველშემთხვევაში, ეს მე არ შემიძლია. ვაჟა რომ ამბობს, ბუნება თვით სიკვდილის სიცოცხლედ მაქცევს, ჩემთვისაც გასაგებია, მაგრამ ნიცშეს ზარატუსტრას ნათქვამში: „ყველას თვითმკვლელობას ეწოდება სიცოცხლე“ — სულ ვერ ვერკვევი. თუმცა არც იმას უარვყოფ, რომ შეიძლება ეს ასეც იყოს...

...პოლკოვნიკი შეველიოვი კი ისევ იმ ქვის კვარცხლბეკზე დგას. მაისის ახლად ამოსული მზე პირდაპირ ანათებს მის გარუჯულ სახეს და უფრო მეტ ვაჟაკურ იერს აძლევს. გაისმის ვანკარგულება: მოამზადეთ იარაღი! რევოლვერების ერთსულოვანი ჩხრიალი არღვევს დილის მყუდროებას. ეს იმას ნიშნავს, რომ „მომზადებულ იარაღს“ თითის გამოკრა-ლა აკლია. ამის შემდეგ სრული სიწყნარება, სამარისებური სიჩუმე. ყველა გარინდებულია. პერის მოძრაობაც შეჩერებულია. უკვე აღარც ზღვა შრიალებს, ან ჩვენ არ გვესმის

არაფერი... ასე გრძელდება ერთ წუთს. ეს, ალბათ, ის წუთია, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე რომ დევს და რომელზეც ამბობენ, ყველაზე ძნელი გადასალახიაო. მერე ისევ პოლკოვნიკის მოწოდება გაისმა:

— მაშ ასე, ამხანაგებო, გაბედულად!...

...და ისროლა. ჯერ იქვე, ქვის კვარცხლბეკზე ჩაიკეცა, მერე ძირს ვადმოვარდა. ოფიცრებმა ხელი შეაშველეს და დააწინეს... მერე ბატალიონის კომისარმა მიბაძა მის შავალითს... შტაბის უფროსმა... რამდენიმე ადგილასაც გაისმა სროლის ხმა...

...და აქ მოხდა საოცრება, რომლის გამო ვყვები ამ ამბავს. მე როგორღაც უნგრული რევოლუციური მომხვდა ხელთ, უშველებელი რაღაც იყო, ჩვენებურ ძველ დამბახას ჰგავდა, მსხვილყალიბიანს... ავწიე თუ არა ეს ჩემი „მზადყოფნაში მოყვანილი“ დამბახა... გვერდით მდგომ მაიორს უცებ სიცილი წასკდა. ეს ისე მოულოდნელი იყო და ისე იმოქმედა ჩემზე, თითქოს სადღაც, ბნელი უფსკრულის პირას ჩამავლო ვიღაცამ ხელი და შემაჩერა. მგონი, ცალი ფეხი უკვე გადადგმულიც მქონდა იქით, მაგრამ ამ უეცარმა სიცილმა ადგილზევე გამაშეშა...

მე არასოდეს არ დამავიწყდება ეს სიცილი. ალბათ, რამდენი კაციცაა ამ ქვეყნად, სიცილიც იმდენიაირია. ყველა თავისებურად იცინის. ადამიანის სულიერი სამყარო სიცილშიც მქადავდება. ზოგი ისე გაიცინებს, რომ შეგზარავს, ზოგის ღიმილი კი ცის კარებს გაიხსნის. გესლიანი სიცილი გულს გიკლავს, დამცინავი — გაღიზიანებს. ადამიანი სიხარულის გამო იცინის, მაგრამ ზოგჯერ დიდი მწუხარებაც იწვევს ნერვულ სიცილს (ახლა ისიც ვიცი, რომ თომას მანი წერს „შემამარწყუნებელი სიცილის“ შესახებ. ადრიან ლევერკიუნმა ისეთი სიცილი იცოდა, რომ შიშის ზარს სცემდაო თავის მეგობრებს).

„ჯოჯოხეთური სიცილიც გამიგონია; ისიც მინახავს, შეშლილმა რაიმესაქმელით გამოხატავს თავის უბედურებას. იმ მაიორის სიცილი კი სულ სხვა იყო, ძლიერი, ნერვიულიც, მაგრამ მაინც ხალისიანი, გულიანი სიცილიო, რომ იტყვიან, თუმცა იმ სიტუაციაში ისე მოულოდნელი და უცნაური, რომ შეშფოთებულმა შევხედე, ხომ არ გავიედა-მეთქი. სხვებმაც მოიხედეს. ალბათ, იმათაც ასე იფიქრეს. ის კი ისევ მზიარულად იცინოდა. მერეც ტუჩებზე ღიმილი არ მოშორებია, ისე მითხრა:

— შე იდიოტო, სად ნახე ეს ზარბაზანი, თუ თავის მოკვლაა, რაღა ამ უსაშველო ტყვიით იხეთქავ თავს, აგერ მოიცადე ცოტა და...

უცებ ხმას დაუწია, საზეზეც ღრუბელმა გადაურბინა და ერთბაშად ჩამოეხსნა ღიმილი მის ტუჩებს. სული რომ მოითქვა, ისევ წყნარი, მაგრამ უკვე გაქეცილი ხმით სთქვა:

— მერე ამ ჩემს „ბრაუნინგს“ იღებ და ის იქნება...

ამაზე სხვებსაც გაეცინათ. შეიძლება ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასე კი არის. ალბათ, ამ უეცრად მოვარდნილმა სიცილმა წალეკა ტრაგიკულობის შეგრძნება და ერთი წუთით მაინც მისცა გზა ხალისიან განწყობილებას. იმას კი ვინ იტყვის, თვითონ სიცილი საიდან მოვარდა ასე უეცრად, ან იუმორმა სად მოძებნა ხერხელი, რომ სიკვდილის ამ სამეფოშიც შემომძვრალიყო!

ამაზეც ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ არც არაფერი მიფიქრია. ისე, ერთი წუთით აგვიტაცა ცაში ამ უცნაურმა სიცილმა და კვლავ სინამდვილეს დავუბრუნდი.

რამდენიმე ადგილას ისევ გაისმა სროლის ხმა, მაგრამ ეს უკვე ჩემზე არ მოქმედებდა... თითქოს რაღაც დამავიწყდა, თუ თავი სხვაგან მეგონა, შესაძლებელია, ნისლიც გადაეფარა გონებას, რომ ისევ იმ მაიორმა გამკრა იდაყვი და გვერდით მიმახედა... კაპიტანმა თვალეზი დახუჭა და მეზობელმა ესროლა. ალბათ, თვითონ ვერ შესძლო...

— ვითომ ასე სჯობია? — მომესმა ისევ მაიორის ხმა.

— რა ვიცი, არა მგონია, — ვუპასუხე მე, თუ სხვამ ჩემს მაგიერად.

— კარგი, აბა, მოიცადე და მერე ჩემი „ბრუნინგი“ აიღე. ხელი რომ ასწია, ვილაკამ რაღაც შემზარავი, მჩხავანა ხმით დაიძახა:

— შეაჩერეთ სროლა!

ყველამ იქით მივიხედეთ. დახვერვის უფროსი მაიორი პავლოვი შეხტა ქვის კვარცხლბეკზე, რომელზედაც ჯერ კიდევ ზოლებად ჩამოდიოდა იმათი სისხლი, ვინც ორიოდე წუთის წინ მოახდინა „თვითლიკვიდაცია“. მაიორმა ხელი ასწია და ისევ დაიყვირა:

— შეაჩერეთ სროლა! სისულელეა! ვაუქმებ პოლკოვნიკ შეველიოვის ბრძანებას და თვითონ ვკისრულობ მეთაურობას.

თითქოს დაკიმული ზამბარები დახსნესო, ისე მოგვეშვა ყველას. მხოლოდ ერთი გასროლა გაისმა უკანა რიგში. ეტყობა, ვილაც უკვე ისე იყო შესული „თვითლიკვიდაცის“ ექსტაზში, რომ მაიორის სიტყვებისთვის ყურადღება არც მიუქცევია.

— როგორც მეთაური ვბრძანებ: შეაჩერეთ-მეთქი სროლა! — გაიმეორა მაიორმა — თავი რატომ უნდა მოვიკლათ, რა სისულელეა, ეს შეურაცხყოფს ოფიცრის ღირსებას! არა, ამხანაგებო! ასე ნუ მოვიქცევით. მე ვიცი, რომ გამოსავალი არ არის, მაგრამ თვითმკვლევობა მაინც სამარცხვინოა. ისა სჯობია, ვიბრძოლოთ უკანასკნელ კაცამდე და მოგვკვდეთ ბრძოლის ველზე. მტრის ტყვია მოგვხვდეს ის გვირჩევნია, ვიდრე საკუთარი...

— სწორია! — დაიძახა ვილაკამ, მერე სხვებიც აყვირნენ და, მგონი, ჩვენც ერთხმად შევძახეთ:

— სწორია, სწორია!

მაიორს სახეზე ღიმილმა გადაურბინა და ასე დაამთავრა თავისი მოწოდება: — მაშ ასე, ამხანაგებო, წავიდეთ იერიშზე და...

აქ ისეთი უწმაწური რამ თქვა, რომ...

პასუხად ერთსულოვანი ხარხარი გაისმა... ძლიერი და საშინელი... გაუთავებელი... ძრწოლის მოშველილები და როგორღაც დამამშვიდებელიც. თითქოს თუნუქის სახურავს სეტყვამ დაუშინაო, ისე ახორხოცდა ყველა. მეც ვიციწილი მათთან ერთად და ვგრძნობდი, როგორ თავისუფლდებოდა სხეული რაღაც უხილავი ტვირთისაგან. მივხედი კიდევ, ნებისყოფის რა არაადამიანური დამძახვის შედეგი ყოფილა ის „სიმშვიდე“, რომელიც დაგვეუფლა მაშინ, როცა რევოლვერები ჩახმახზე გვეჭონდა შეყენებული...

ისე ავხმაურდით და ავმოძრავდით, თითქოს მართლაც „ნოეს კიბობანი“ გამოჩენილიყოს „დიდ მიწაზე“ გადასაყვანად. იმაზე კი არ ვფიქრობდით, რომ ის, რაც ერთ საათში მოგველოდა იგივე იყო, რასაც პოლკოვნიკ შეველიოვის ბრძანება მოითხოვდა...

ტყვის მამიებლები...

სამ ასეულად გავიყავით. თვითეულ ასეულში 90-მდე ოფიცერი შედიოდა. ბატალიონის ახალმა მეთაურმა პირველი ასეული ზღვის ნაპირისკენ გაგზავნა მარჯვენა ფლანგზე, მეორე ცენტრში დააყენა, ხოლო მესამე, მარცხნივ, აჯიმუშაის კატაკომპებისკენ. მეც იმ მესამე ასეულში მინდოდა მოხვედრა, რადგან იმ მიმართულებით მეგულებოდა ჩემი თანამემამულე ვახტანგი. მაგრამ ბატალიონის მეთაურმა მეორე ასეულის კომისრობა დამიავლა და იმ მხარეს წასვლა არ მომიწია. სამაგიეროდ, მაიორი, რომელმაც თავის მოსაკლავად პატარა ბრუნინგი შემომთავაზა, ჩემთან მოხვდა ასეულში. გახარებული იყო, გადამეხვია და მითხრა: ხომ იცი, შენმა ზარბაზანმა გადამარჩინა, თორემ ახლა, ალბათ, ჯოჯოხეთის კარებთან ვიქნებოდი ატუზული.

მერე ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მტრის განუწყვეტელი ცეცხლისგან დანაკლისი არც მიგვიღია. პოზიციებზე გასვლამდე მაიორმა აგვისნა—

საერთო სიგნალის მიცემისთანავე „ფსიქიურ შეტევაზე“ წავალთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდით, რომ ერთ დროს ვიღაც კჰუანალოპოპის მიერ მოგონილი ეს „ფსიქიური შეტევა“ აქ იმიტომ იქნა ნახსენები, თავი მტრის ტყვეისათვის მიგვეშვირა... ესეც იმ „თვითლიკვიდაციას“ ჰგავდა, მაგრამ, ალბათ, უფრო ადვილიც იქნებოდა და ღირსეულიც...

...ნათქვამია: „ყველამ ვიცით, რომ უნდა მოგვედეთ, მაგრამ არავინ ვცდილობთ გავალამაზოთ ჩვენი სიკვდილი“. როგორ არ ვცდილობთ! აბა, ეს „ფსიქიური შეტევა“ რა არის! ესეც ხომ რაღაც რომანტიკასთანაა დაკავშირებული, „დასასრულის სილამაზესთან“, და ჩვენც, როგორც შეგვეძლო, ისე ვალამაზებდით ჩვენს დასასრულს... მაშინ რომ „საწვევი მასალაც“ გვექონოდა, ცხადია, უფრო დავამშვენებდით მას. ბისმარკს უთქვამს: გერმანელ ჭარბიკაცს ნახევარი ბოთლი შამპანური უნდა, რომ თავის ბუნებრივ სიმაღლეს მიადწიოსო. ვინ იცის, ეს ირონიით იყო ნათქვამი, თუ არა. ის კი შემიძლია ვთქვა: ყველა ჩვენთაგანს რომ ნახევარ-ნახევარი ლიტრი არაყი გვექონოდა... საკუთარ სიმაღლესაც გადავაჭარბებდით. მაგრამ სად იყო! ისე კი, ვცდილობდით რაც შეგვეძლო, რომ „ბუნებრივი სიმაღლე“ მაინც არ დაგვეკარგა...

...ცუდი ხომ არსებობს, მაგრამ არის ცუდზე უარესიც. და როცა იმ უარესს თავს ვაღწევთ, როგორც ჩანს, ცუდიც უკეთესად გვეჩვენება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ პირველი ასეული სულ სიმღერით წავიდა თავის პოზიციისაკენ. ისე გაკვივროდნენ „Широка страна моя родная“-ს, თითქოს ოთხივე მხრივ მართლაც უზარმაზარი სივრცე ჰქონო-

დათ „თავისუფლად სანაგებრო“ წერ-
მოდგენილი მაქვს, გერმანელებზე უკეთ-
გორ დაალებდნენ პირსეულმა ჩემთვის
რომ გაიგონებდნენ. მერე მარცხენა
ფლანგზეც გაისმა უფრო ძლიერი, „Эх
тачанка, ростовчанка...“ ბოლოს, ჩვე-
ნი ასეულიც ჩაერთო ამ „ოლიმპიადა-
ში“. აქ თვით ბატალიონის მეთაურმა
წამოიწყო თავისი ხრინწიანი ხმით:
«Эх, яблоко, куда котишься!» ჩვენც
ავყვეით და ორასი მეტრით წა-
ვიწიეთ წინ. მერე მაიორმა მაშ-
ხალა გაისროლა და წავედით!.. ისევ
სიმღერა, ისევ „შიროკა“, „ტაჩან-
კა“ და „იბალოკო“, უთავბოლო სროლა
და ხანდახან ურაა... ვითომ „ფსიქიური
შეტევა“! მაგრამ ფაქტიურად არავითარ-
ი შეტევა არ გამოვიდა. ჩვენდა ვასაო-
ცრად, მოპირდაპირე არსად ჩანდა. არც
არავითარი წინააღმდეგობა გაუწევია.
მივდივართ, მივიძლერით და სულ
ესაა ჩვენი „ფსიქიური“ ვაჟაკობა.
გავიარეთ ორი კილომეტრი,
ისევ არავითარი წინააღმდეგობა. მე-
რე კიდევ ორი. იგივე ამბავი, ერ-
თი კილომეტრიც წავიწიეთ და შევ-
ჩერდით. ვერაფერი ვერ გავიგეთ, რა
მოხდა. ან ის ნაღმმტყორცნები სად
წავიდნენ, დილით ადრე გორა-
კიდან რომ გვესროდნენ? მერე
გამოირკვა, რომ გერმანელებს ნაღმ-
მტყორცნელთა მცირე ნაწილის მე-
ტი აქ არავითარი ძალა არ ჰყოლიათ.
მთელი მათი ყურადღება თურმე ქერჩი-
სკენ იყო მიმართული. ყოველ შემთხვე-
ვაში, ეს ხუთი კილომეტრი ისე გავიარ-
ეთ, რომ უკანდახეულ მენაღმეთა შო-
რეული ცეცხლის გარდა არავითარი და-
ბრკოლება არ შეგვხვედრია. ჩემთვის ეს
ხუთი კილომეტრიც მძიმე მოსაგონარია,
არა იმიტომ, რომ არც ისე ადვილია
ასეთ მანძილზე ათრია შენი მოთენთი-
ლი სხეული, არამედ იმის გამო, რაც მე
ვნახე. ერთი კვირის წინ აქ ისეთი
ორომტრიალი იყო, რომ ეს მინდორი
ახლაც საშინელ სანახაობას წარმოად-
გენდა. მინდვრები და გორაკები სულ
დახოცილთა გვამებით იყო მოფენილი.

მიწა უკვე იწოვდა მათ სხეულს, რაც შემადარწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. რანაირ პოზაში არ იყვნენ ეს სხეულები გაქვავებულნი, ან რას არ ამოიკითხავდა კაცი მათ გაყინულსა და უმოძრაო შემოხედვაში...

...ომამდე ძალიან მიმძიმდა პანაშვიდებზე სიარული, მაგრამ თუ ზოგჯერ მაინც იძულებული ვხდებოდი, თავს გვერდზე მივიბრუნებდი და ისე ვავიდოდი ოთახიდან. დღემდე არც ის მესმის, რატომ უნდათ მიცვალებულის სახისთვის აუტრებიონ ხალხს, ამისთვის პანაშვიდებსაც არ ჭერდებიან და ქუჩაში თავაბილი კუბო მიიქვთ, თანაც რაც შეიძლება მაღლა აწეული, რომ მთელმა ქვეყანამ უყუროს. იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ ამაში არის რაღაც დამამკირებელი მიცვალებულისათვის, რომელიც ერთ დროს ადამიანი იყო და, ალბათ, თავმომწონეც. აბა, რა საყურებელია უმწიო ნაშთი სიცოცხლისა, რომელიც არაფერს არ გრძნობს და არ ხედავს, თორემ თვითონ რომ ესწრებოდეს თავის დასაფლავების ცერემონიალს, სირცხვილით დაიწვებოდა...

...ამ მძიმე ამბების შემდეგ ორი დღით თბილისში მოვხვდი. შემთხვევით, უნივერსიტეტთან გავიარე. ვიღაც მოხუც ქალს მიახვეწებდნენ. წინ დროშა მიძქონდათ, მერე იმ ქალის პორტრეტი, პორტრეტის შემდეგ ორმოცდაათამდე გვირგვინი გაემწკრივებიათ ბავშვებს, მათ უკან მაღლა აწეული კუბო მიცვალებულისა, მერე ხალხი და ბოლოს ორკესტრი... ხომ ბუნებრივია ეს სცენა, მაგრამ მე მაინც თავი უხერხულად ვიგრძენი ამ პარადოქსული კონტრასტის წინაშე. იქ ერთი ბუნებრივი სიკვდილი და ამოდენა ცერემონია, აქ კი...

...აქ კი ვინ არის ამათი პატრონი. ვინ იცის, ვინ საიდან მოსულა, რომელი

ქვეყნის რომელი კუთხიდან, ვის სად დარჩენია მშობლები, დედა, მამა. რომ იცოდნენ, რა ყოფილა მათი ქოჩორა ვაჟაკები, სიმწარისაგან თმებს დაიგლეჯდნენ. არ იციან და ელიან. ესენი კი გაშვებართულან აქ ამ მინდორზე და მზისთვის მიუპყრიათ თავიანთი უსიკოცლო თვალები. ერთი გულმოსულია და საზე მოლუშული აქვს, მეორე ტკივილებისაგან გამწარებულა, მესამე, ალბათ, წყველა-კრულვას უგზავნის ვილატას, მეოთხეს მუშტი მოუტეპშავს და იმუქრება...

თვალების გახელის მეშინია. ყოველი მზრიდან მომჩერებია მათი ღია თვალები და სახის უცნაური გამომეტყველება. ყოველივე ამის წიგნივით კითხვა შეიძლება, დამახსოვრება, მაგრამ დიდხანს არ შემიძლია ვუყურო, ისე შემადარწუნებელია მზისა და მიცვალებულთა ამ ღიად დარჩენილი თვალების ერთმანეთისთვის ცქერა. მინდა სწრაფად გავეცალო აქაურობას და იქამდე მივალწიო, სადაც სიკვდილი ჩვენც ასე ჩაგვწერს თავის დაეთარში.

მაგრამ სულ თვალებდანუქული ხომ არ ვივლი! გავახელ და ისეთივე სურათს ვხედავ... მერე ნელნელა ვეჩვევი... ვუყურებ... ვაკვირდები კიდევ და ვხედავ, რომ ყველას სახეზე უკანასკნელი ფიქრი და გრძნობაა აღბეჭდილი. სინანული, საყვედური, ტკივილი და თბილი, სათნო ღიმილიც. ყველაზე უფრო სწორედ ეს მიატებს — ეს ღიმილადქცეული ნიღაბი სიკვდილისა. ეს ყველაზე საშინელია თავისი კონტრასტული სიმძაფრით, არაფერი ისე არ შეგადარწუნებს ადამიანს, როგორც მიცვალებულის სახეზე აღბეჭდილი ღიმილი. მაშინვე იმას ფიქრობ, რომ უკანასკნელ წამს ისინი თავისიანებს ხედავდნენ და ისე ძლიერი იყო სიამოვნების ეს გრძნობა, რომ უშალ განდევნა სიკვდილის კომპარი და ღიმილად დარჩა მათ სახეზე...

...რა უდარდელია ბუნება ადამიანის მიმართ. ვინა სთქვა, ის თანაუგრძნობ-

სო კაცთა ცხოვრებას! ტყუილია. ადამიანი თანაგრძობა.. ეს რომანტიკოსი მწერლები წერენ ზოგჯერ — ადამიანი თუ დამწუხრებულია — ბუნებაც ცრემლს ღვრის, თუ მისი სული აბობოქრებულია — ქარიშხალიც მძინვარებს, ან თუ გული ხალისითაა სავსე — ბუნებაც იცინის და მხიარულობს... ყველაფერი ეს იმ ლამაზი, მაგრამ ფრთაშუბლქი ფანტაზიის ნაყოფია. ბუნება მხოლოდ თავის თავს ბაძავს. იგი გულუხვიცაა და გულგრილიც. თუ უნდა უანგაროდ გთავაზობს ყველაფერს, მაგრამ გულთან არ იკარებს ჩვენს უგუნურებას. ან რაში ვენაღვლებით! თუ ადამიანები არ ვმოქმედებთ „თანახმად ბუნებისა“, ბუნება რატომ თანაგვიგრძნობს? „განა ბუნების გული ადამიანის მკერდში არა სცემს?“ — გვეკითხებოდა, ბრძენი გოეთე. საქმეც ის არის, რომ არა სცემს. ვაქასაც უნდა, რომ ადამიანმა „დღეამიწის ლამაზი გული, მეორე გულად ჩაიდვას საგულეში“, მაგრამ ეს სურვილია მხოლოდ, გულკეთილი კაცის სურვილი და სხვა არაფერი. ბუნებასა და ადამიანს შორის ასეთი პარამონია რომ იყოს, არც ეს უტიფარი ცხრათვალა მზე დაუწყებდა ასე მხიარულად ყურებას ამ უთვალავ გვამებს და არც ადამიანები გამოიჩინდნენ ასეთ ძალადობას ბუნების წესსა და რიგზე. ბუნება უფრო ჭკვიანია ვიდრე ადამიანი! როცა დრო მოვა, იგი თვითონ მოუხმობს ყველას თავის წიაღში. უკვდავი არავინაა. ბუნების შვილები ბუნებასვე უბრუნდებიან. ეს არსებობის კანონია და წინ მას ვერავინ აღუდგება; მაგრამ როცა ბუნება ხედავს რამდენ ძალას, ენერგიას, დროს და მატერიალურ ღირებულებას ხარკავს კაცობრიობა იმი-სათვის, რომ ადამიანებმა მოკლან ადამიანები უფრო ადრე, ვიდრე ისინი თავიანთი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდებიან, გულგრილია მათ მიმართ, ან ბუნებამ რა ქნას, თუ თვით ადამიანები ჩადიან ასეთ უგუნურებას?..

...კიდევ ერთი კილომეტრით რომ წავიწიეთ, მტრის გამაგრებულ პოზიციებს წავაწყვით. აქამდე სიკვდილმა მოიტანა ჩვენზე იერიში. ტყვიამფრქვევებმა მოცელა „ფსიქიური შეტევის“ რამდენიმე რიგი. თითქოს ჩვენც ეს გვიდნოდა, მაგრამ სიცოცხლის ინსტიქტმა მინც გაიბრძოლა. ამდენი კილომეტრი რომ გამოვიარეთ, ახლა გადარჩენის იმედიც გაჩნდა. არც ამას ვაგრძნობინებდით ერთმანეთს, თორემ ყველას მოქმედებას ეს გრძნობა განსზღვრავდა. ამიტომაც ვიკადრეთ თავშესაფრების ძებნა, „ფსიქიური რიგები“ დაიშალა. ზოგი ბორცვს ამოეფარა, ზოგამც თხრილის მსგავსი რაღაც იპოვა, სხვები პირდაპირ მინდორზე დაწვნენ. მერე სასწრაფოდ ამოვთხარეთ „ინდივიდუალური სანგრები“ და ისევე ავტეხეთ უთავბოლო სროლა, რადგან ახლა უკვე სიკვდილის მამძიბელ ოფიცერთა წგუფი კი არ ვიყავით, არამედ მებრძოლი ბატალიონი, თუმცა ყველას გვემოდა, რომ ეს „ქისებური სანგრები“ იქნებოდა ჩვენი უკანასკნელი თავშესაფარი ამ ქვეყანაზე, თუ დროზე მამველი ძალები არ მოგვისწრებდა. ასეთი ძალები კი არსად ჩანდა. ტყვედ კი, რა თქმა უნდა, არც ერთი ჩვენგანი არ დანებდებოდა, ეს რომ ვინმეს ნდომოდა, არც არავინ უშლიდა ხელს — რამდენიმე ნაბიჯს ვადადგამდა მარჯვნივ, ან მარცხნივ, ენიკალესა თუ ავიმუშკაის კატაკომბებში და მოუცდიდა მტრის მოწყალებას.

ჩვენი ბატალიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი „მოწყალება“ არც ერთ მის მებრძოლს არ მიუღია...

უსახელო მადლობა...

კიდევ კარგი, რომ დამემ მოგვისწრო და გვამებით მოფენილ მინდორ-ველებს „მწუხრის ზეწარი ვადაეფარა“. ბრძოლაც შეწყდა. მოკლულები დავმარხეთ. მძიმედ დაჭრილები არ იყო. ოფიცრებმა იცოდნენ ასეთ დროს, როგორ მოქცეულიყვნენ, მსუბუქად დაჭრი-

ლებს კი როგორღაც მოვეუარეთ და ისევ დავიწყეთ გერმანელებზე უფრო საშიშ მტერთან, ძილთან ბრძოლა. სანგრებიდან სანგრებში ტურებივით ვკიოდით, რომ არ ჩავეძინებოდა. ვაზნები ბევრი გვქონდა და ვისროდით. ესეც ძილის გასაფრთხობად. მოწინააღმდეგე კი გატრუნული იყო. ჩვენ მათთვის, ალბათ, რაღაც გამოცანას წარმოვადგენდით. ოპერაციები აქ დამთავრებული ეგონათ და რას გაიგებდნენ, ვინ ვართ, ან რამდენი?

ლამით ბატალიონის მეთაურმა შეგვეკრიბა ასეულების მეთაურები და კომისრები. სასიხარულო ამბავიც გვითხრა. მესამე ასეულს დაზიანებული რაცია უბოვია, თუ ავამუშავებთ, დიდ მიწას დავეუკავშირდებითო. ისევ გაჩნდა რაღაც იმედი. შეიძლება ზავსივით სუსტი, მაგრამ ახლა ყველაფერს ვეჭიდებით. ყოველ ნახევარ საათში მორბოდა მესამე ასეულიდან მეკავშირე და მოჰქონდა ცნობა. სანუგეშო არაფერი იყო, მაგრამ მაინც...

.. ღამის სამ საათზე ამუშავდა რაცია. მაიორი დაუკავშირდა ტემრიუსს. ეს მათთვის სენსაცია იყო. არ მოვლოდნენ. მოითხოვეს ზუსტი კოორდინატები და შეგვეპირდნენ, გაუძელით და დაგვხმარებითო, როგორ, ან როდის, არაფერი უთქვამთ. ჩვენ ეს სასიხარულო ცნობა „ჩაჭკურით“ სისტემით გადაეცემა ერთმანეთს. სანგრებში გამაყრუებელი სროლა დაიწყო.

ეს სიხარულის სალუტი იყო!

მეორე, „უკანასკნელ გარიყრაქსაც გულის ფანცქალით შევხვდით. მტერი ფერდობზე იყო გამაგრებული. იქიდან ჩვენი პოზიციები ხელის გულივით ჩანდა. არც რამე სიძნელე იქნებოდა მათთვის ერთი ძლიერი შეტევით ყველაფრის ვათავება, მაგრამ რატომღაც ყოყმანობდნენ. ნაღმები კი დავვიშინეს, მაგრამ იერიშზე არ ვადმოსულან. ამასობაში ჰაერში ორი მზვერავი თვითმფრინავი გამო-

ჩნდა. ჩვენები იყვნენ. მასხალელები სიგნალები მივეციოთ. თვითმფრინავებმა ფრთების ქანაობით რაღაც პირობითი ნიშნებით ვვიპასუხეს, მაგრამ ჩვენს სურვილით, რას ნიშნავდა ეს, ურთულესი მქონდა ყურმოკრული სამხედრო სკოლაში ყოფნის დროს, თითქოს ასეთი ნიშნები ატყობინებს წინა ხაზის მებრძოლებს, რომ აეციცია, ან არტილერია თავს დაესხმის მოპირდაპირედ მყოფ მტრის პოზიციებს და ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. ასეც მოხდა. ოციოდე წუთის შემდეგ იმ მალღობს, სადაც გერმანელები იყვნენ გამაგრებულნი, ჩვენმა შეიღმა ბომბდამშენმა გადაუქროლა ძალიან დაბლა და ყუმბარები დააყარა. პირველ ჯგუფს მეორე მოყვა, მეორეს— მესამე; მერე თითოჯერ კიდევ შემოუარეს და სულ „დააუთოვეს“ იქაურობა. მტრის „მესესერშიტებმა“ დაიკვიანეს და ყუმბარაშენები მშვიდობით გაბრუნდნენ უკან. ჩვენც მაშინვე იერიშზე გადავედით და, სანამ გერმანელები გონს მოვიდოდნენ, იმ უსახელო მალღობს მივადექით. დიდი წინააღმდეგობა არ გაუწყვიათ ისე დაიხიეს უკან. მალღობი ავიღეთ და გერმანელების „კომფორტაბელურ“ სანგრებში მოვეწყვეთ. დანაკლისი აქაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ისე მოვიჭეციოთ, როგორც წინა დღეს. მძიმე დღე იყო ეს ჩვენთვის. ამდენის კი არა, ერთი კაცის დანაკლისიც ვვიკლავდა გულს. ბედმა ისე შეგვეერთა და შეგვეკავშირა, რომ ერთის სიკვდილიც ხორცის ამოგლეჯასავით მტყვენული იყო. ამ ტყვილმა დაფარა ჩვენში ყველა სხვა გრძნობა.

შიშშილი უკვე იმდენად არ გვაწუხებდა, არც წყურვილი და უძილობა. ზღვიდან ქუდებითა და მუზარადებით მოგვექონდა „წყალ-მარილი“ და პირს ვისველებდით. ამ „წყალ-მარილს“ ხუმრობით „პურ-მარილის“ მაგივრად ამბობდნენ, ხუმრობით მეტეი მაინც ვამბობ, რადგან ის ლობემქმერალა იუმორი არც აქ გეტოვებდა...

ნაშუადღევს მზვერავი თვითმფრინავების მეტი არავინ გვინახავს. ძალიან

გვიკვირდა მაშველი ძალები რომ არ გამოგზავნეს, მაგრამ მაშინ ამის მიზეზი არ ვიცოდით. მერე ისევ ღამე მოგვისწრო და ჩვენი ძველი სანგრები „ძაბა სასაფლაოდ“ ვაქციეთ. ისე დავმარხეთ ისინი, რომ სახეზე არც შემინებდავს. ამიტომაც დღემდე ცოცხლებად დარჩენენ ჩემს მესსიერებაში...

...იმ ღამეს ბატალიონის მეთაურსა და მე მნიშვნელოვანი საქმეც ვაგვიჩნდა. პირველმა ასეულმა მადლობის აღების დროს მსუბუქად დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი ჩაიგდო ტყვედ. ეს ძალიან საჭირო იყო ჩვენთვის. ახლაც მახსოვს მისი სახელი — კურტი ერქვა. ისე იყო შეშინებული, რომ ერთხანს დაკითხვაც ვერ მოვახერხეთ. ასე ეგონა, სადაც არის დამგლეჯენო. რაც შემეძლო დავამშვიდე და ხმა ამოვალეზინე. ფიცისა და საიდუმლოების შენახვაზე მაინც დამაინც თავი არ გამოუდგია. ყველაფერი დაფქვა. თურმე ჩვენს წინააღმდეგ ნაღმმტყორცნთა სულ ერთი ასეული იღვა. დანარჩენები ქერჩისკენ გადაესროლათ, რადგან აქ უკვე არავინ ეგულებოდათ. ამიტომაც დავიხიეთო უკან. მერე ისიც გვითხრა, ამაღამ ქერჩიდან მეავტომატთა ასეული უნდა გამოგზავნონო, მაგრამ „თქვენს მოსასპობადო“. კი არ თქვა, „ამ ადგილების გასაწმენდათო“. ეს რომ ბატალიონის მეთაურს ვუთარგმნე, კბილები გააკრაქუნა და მუშტი მოუქნია ისედაც შეშინებულ „ფრცხ“. მე ხელი დავუჭირე და ვუთხარი, რომ ის დაჭრილია. მერე თოკი რომ არ იყო, ჩვენი „ნადავლი“ ფრიცი ტელეფონის მეშველებით შეგვართო, ისე, „ყოველ შემთხვევისათვის“ სანგარში ჩავდეთ და ყარაულიც მივუჩინეთ...

...ხოვჯერ მართლაც ხერხი სჯობია თურმე ღონეს... ეს ხერხიც ბატალიონის მეთაურმა მოიგონა და მე გამანდო. განკარგულება გასცა და 50 ოფიცერი,

გუშავების გარდა, ყველანი ერთ-ერთობში შეკრიბა — ვითომ „სამხედრო სტაჰოს“ სხდომაზე. მოფიტანეთი მეთაურებით შეკრული ტყვეც, ხელაფხანსა ვუსხენით და ისე დავსვით. ერთად ამდენი ოფიცერი რომ დანახა, თვალეზი დაქაჩა. ალბათ, იფიქრა, სადაც ამდენი ოფიცერია, ჯარისკაცი რამდენი ეყოლებათო. მე გვერდზე მივუჯექი და ვეკითხებო:

— კურტი!

— დიახ, ბატონო ოფიცერო!

— კიდევ ცოცხალი ხარ?

— დიახ, ბატონო ოფიცერო!

— აბა დილაშდევ შეგიძლია ამ ქვეყნად იყო, დილით კი მორჩა, წახვალ საიქიოში საბალახოდ. ხომ ხედავ რამდენი მაშველი ძალა მოგვივიდა; მერე კომისრებიც მოვლენ და დავინახავენ თუ არა, კაპუტ შენი საქმე, ხიშტზე ავაგებენ.

კურტი შიშისაგან შეიკუმშა. გერმანელებს ყველაზე უფრო კომისრების ეშინოდათ. გებელსის პროპაგანდა შთააგონებდა მათ, რომ კომისრებს ტყვეებად არავინ მიჰყავთ, თვალეზს თხრიან, ენას ამოაგლეჯენ, ცხვირს, ყურებს, ხელებს დაჭრიან და მერე ხიშტზე ააგებენო. ეს ტყუილი მათ იმისთვის უნდოდათ, რომ თავიანთი ბარბაროსული ბრძანება გაემართლებინათ, რომელშიც ნათქვამი იყო, კომისრები სამხედრო ტყვეებად არ ითვლებიანო. ეს თითქოს „უწყინართა“ ფრაზა იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა არმიის ყველა პოლიტმუშაკი ადგილებზე უნდა დაეხერხათ. ამის გამო ეწყვიდნენ ასეთ პროპაგანდას. მდგომარეობამ მოიტანა და ახლა მე თვითონ დავუდასტურე ყველაფერი ეს კურტს.

— რატომ უნდა მომკლან, მე ხომ სამხედრო ტყვე ვარ? — შემომჩივლამან.

— კომისრები იმას არ დაეძებენ, შენ ტყვე ხარ თუ არა, მაინც გაგიყრიან ხიშტს. განა ასე არ გეუბნებოდნენ თქვენები?

— მეუბნებოდნენ, მაგრამ არ მჯეროდა, — სულ წახდა ის.

— თუ არ გვეროდა, ხვალ დილით დაიჭერებ, — შეეუყარე საფანტი ცეცხლში, — შეიძლება თვალები არ დაგთხარონ, მაგრამ ხიშტს კი აუცილებლად გაგიყრიან, გაიგე?

გაგებით კი გაიგო იმ საცოდავმა, მაგრამ შიშით კინაღამ სული გასძვრა.

„ათაბირი“ დამთავრდა. მცველმა ლეიტენანტმა კურტი ძლივს გაიტანა თავის „ბლინდაეში“, მერე ვითომ წასთვლიმა, კურტი გაინძრა და მიაყურა, მართლა ძინავს, თუ არაო. ლეიტენანტმა სულ მოიმკვდარუნა თავი. კურტი დარწმუნდა, ძინავსო, და ბლინდაეიდან ამოფოფხდა. ლეიტენანტმა აცალა, ვიდრე კარგა შორს გახონდებოდა და მერე ასტეხა განგაში. ატყდა სროლა, დავიდარაბა, მაგრამ „რატომდაც“ კურტი ისე მიეფარა გორაკს, რომ ვერაფერ ვერ მოახვედრა.

ერთი საათის შემდეგ მეთვალყურეებმა მანქანები გაისროლეს და ცნობა მოიტანეს, გერმანელები გაფაციცებით თხრიანო სანგრებს. კურტის მიერ ასეთი „საიდუმლო“ ცნობების მიტანის შემდეგ, ისინი თავიანთ გეგმას აუცილებლად შეცვლიდნენ და დილით შეიძლება იერიშზე არ გადმოსულიყვნენ. ჩვენ კი სწორედ ეს გვინდოდა — დროს მოგება. კიდევ ერთი დღე და, იქნებ ეს ასამდე კაცი მაინც გადავრჩენილიყავით...

...მესამე, „უკანასკნელი“ დღე მაინც ყველაზე გაუგებარი იყო ჩვენთვის. „დღი მიწიდან“ არავითარი დახმარება არ მოსულა. ბატალიონის მეთაურის შეკითხვაზე რაკიით, უპასუხეს — დიაცადეთო. ასეთი მოკლე ცნობა ჩვენ არაფერ სანუგეშოს არ გვეუბნებოდა, რადგან უკვე სწორედ ეს „დაცდა“ გახდა შეუძლებელი. გაძლებასაც თავისი საზღვარი აქვს. მეც ისე ვარ დაოსებული, რომ არსებობაც მეზარება. ასე მგონია, სიამოვნებით გავალ-მეთქი საკუთარი თავიდან და გადავიკარგები სადმე, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან,

მაგრამ ესეც შეუძლებელი იყო. სიბრძნის წყურვილი კიდევ იბრძოდა ჩვენში. თანაც იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა. აბა, რას დავიჭერებდნენ, რომ დახუჭ მარების გარეშე დავგტოვებდნენ? თურმე არც დავგტოვებდით, მაგრამ...

...მაგრამ, რაც აბლა უნდა გაიშობოთ, ეს მე მხოლოდ შემდეგ გავიგე. გავონილის გადმოცემას კი საბუთი უნდა, მე ეს საბუთი არა მაქვს. ამიტომ ამ ამბის შეამავლად თუ გამოვდგები, თორემ ნათქვამის ჭეშმარიტებაზე თავს ვერ გამოვიდებ. პლუტარქეს უთქვამს:

— მე ვალდებული ვარ გაიშობოთ ის, რაც მე მიამბეს, მაგრამ სულაც არა ვარ ვალდებული ეს მეც მჭეროდეს!

არც მე. ამიტომ მხოლოდ იმას გადმოვცემთ, რაც გავიგონე.

მიამბეს კი ასეთი რამ: თურმე რომელიღაც გენერალს „გენიალური“ იდეა მოსვლია თავში. მაშველი რაზმები გავაგზავნოთ არა ენიკალეს რაიონში, არამედ ყამიშ-ბურუნშიო. იმ ანგარიშით, რომ იქიდან ქერჩის შემოუვლიდნენ და, რაკი უკვე ამდენად წავიწიეთ წინ ჭალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთით შეგვიერთდებოდნენ. ამის შემდეგ კი ვითომ სხვა რაღაც შესაძლებლობებიც ისახებოდა.

ომის დასაწყისში ცოტა როდი იყო ასეთი გენერალი. ოღონდ რუქაზე შემოეხაზათ წითელი ფანქრით რომელიმე ობიექტი და ეთქვათ აქედან ესენი, იქიდან ისინი, შეერთება იქ, და გათავებულა, მტერი ალყაშემორტყმული იქნება. რუქების ასეთი იოლი ხაზვა შემდეგ მებრძოლების კისერზე გადადიოდა. ბევრი „ცოცხალი ძალა“ შეიწირა ამან.

ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მაშველი რაზმები ყამიშ-ბურუნში მტრის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და თუ ვინმე გადარჩა, უკან ვაბრუნდა. ჩვენთვის განკუთვნილი გერმანელი მეავტომატეებიც, ალბათ, იქ იბრძოდნენ იმ დღეს. ამან მცირე შესვენება მაინც მოგვცა, მაგრამ ის „უაზრო“ ოპერაცია რომ და-

მთავრდა, ყველამ ჩვენთვის მოიკალა. „დიდი მიწიდან“ ახლა ის შემოგვიტევა-
ლეს, ეშელონებად დაიხიეთ ისევ ენი-
კალესკენ და ღამით რამე საღესანტო
ტრანსპორტს გამოგვიგზავნითო, ვითომ
ეს ადვილი საქმე ყოფილიყო. როგორც
კი იმ მაღლობიდან ფეხს მოვიცვლიდით
გერმანელები მაშინვე გაგვათავებდნენ,
მაგრამ ბრძანება თურმე მაშინაც ბრძა-
ნებაა, როცა ის უაზროა.

ღილით ისევ გერმანელებმა მოიტანეს
იერიში და იმ მაღლობიდან გადმოგვრე-
კეს. ხალხი ბევრი დაეკარგეთ, რაცაც.
„დიდ მიწასთან“ კავშირი შეწყდა. და-
სასრულის გრძნობამ ისევ გამოყო თა-
ვი სოროდან. ბატალიონის მეთაურმა
გამოგვიცხადა — პოლკოვნიკ შეველი-
ოვის ბრძანება დროებით იყო შეჩერე-
ბული და საჭირო შემთხვევაში მაინც
უნდა შესრულდესო. ამ დროს სულ სა-
მოკამდე კაცი ვიყავით დარჩენილი.
საკმარისი იყო გერმანელებს კიდევ ერ-
თი პატარა იერიში მოეტანათ, რომ ყვე-
ლაფერი დამთავრებულიყო, მაგრამ უკ-
ვე შეზინდა და ბრძოლა შეწყდა. გერ-
მანელებს არ უყვარდათ დამ-ღამობით
ოპერაციების ჩატარება, მით უმეტეს,
გაურკვეველი მდგომარეობის დროს,
მაგრამ იმ ღამით ეს ტრადიცია დაირ-
ღვა. უკან დახევა ვაგვიჭირდა. გერმა-
ნელები ფეხდაფეხ მოგვყვებოდნენ.
გზადაგზა დანაკლისიც გვჭონდა. 60-
დან ბოლოს 27 დავრჩით. გულისწურვა
უფრო ვაძლიერდა და მწუხარებამ დას-
ძლია ყოველგვარი ადამიანური ინსტიქ-
ტი.

ყველაზე მძიმე ჩემთვის მაინც იმ მა-
იორის დაკარგვა იყო, მე რომ თავის
„ბრაუნინგს“ მთავაზობდა. ნაღმმა ორი-
ვე ფეხი წააწყვიტა... ჩვენ რა დახმარე-
ბის გაწევა შეგვეძლო, როცა სისხლი-
სგან იცლებოდა. ერთხანს ვატარეთ, მე-
რე ვაგვიძალიანდა... თავის მოკვლა უნ-
დოდა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა წინააღ-
მდეგობისა და, მომკალითო, იხვეწებო-
და...

...მინდოდა ამ ამბისთვის ^{სწავლი}
ამეგლო, მაგრამ რაკი სიტყვამ ^{პროტა-}
ნა, ზოგი რამ მაინც უნდაეგვიძეწუ-
ეს პირველი შემთხვევა ^{პროტა-}
უიარაღოდ დარჩენილი მძიმედ დაჭრი-
ლი რომ ითხოვდა მომკალითო... ასე
იხვეწებოდა ყველა, ვისაც უკვე ძალა
ან საშუალება არა ჰქონდა თვითონ გა-
ეკეთებინა ეს. მე ბევრჯერ გამოგონა,
ძმაო, მესროლეო, რომ იხვეწებოდა გა-
ტანჯული მეზობლი... ამაზე საშინელი
არაფერი სმენია ჩემს ყურებს... და არა
ერთხელ: აქაც, იქაც...

მეგობარო, მესროლე, მეგობარო, გა-
მათავე, გთხოვ... აღარ შემიძლია... მეს-
როლე, გამათავე... ახლაც ერთნატილი
მივლის ეს უცნაური პარადოქსი რომ
მახსენდება. იქნებ ამიტომ მოახდინა
ჩემზე ასეთი შემადრწუნებელი შთაბეჭ-
დილება, როცა ჟან პოლ სარტრის „ემ-
მაკი და კეთილი ღმერთი“-ს ის ადგი-
ლი წავიკითხე, სადაც გოც ფონ ბერ-
ლიძიგენი მოწყალებასავით არიგებს
სიკვდილს. ის კლავს თავის გულითად
მეგობარს და ეუბნება:

— ჩაძალდი, ჩემო ძმაო!

ეს უკვე გონების მრუშობაა, მაგრამ
მეგობარი რომ მართლაც სიკვდილს
გთხოვს, ამაზე ძნელი რა არის!.. ან რა
მოსაგონარია, თუ ზოგჯერ... მაგრამ არ
ღირს ამის მოყოლა. ეს მხოლოდ ბატა-
ლიონის მეთაურს შეეძლო, იმ რკინის
ნერვებიან კაცს, სხვას არავის... რამდენ-
იმე შემთხვევის შემდეგ კი ისიც გატ-
ყდა, მეტი აღარ შემიძლიაო, გამოაცხა-
და. აღარ მეგონა იმ წუთს თუ არ შე-
იშლებოდა, ისეთი სახე ჰქონდა...

...ახლა რომ ამაზე ვფიქრობ ისიც მაგო-
ნდება, რომ იმ მძიმე დღეებში ენიკალე-
სთან სადღაც შემორჩენილმა ყუბანელ-
მა კახაკმა ოფლში გაღვარული ცხენი
მოაგლო ზღვის ნაპირას. წითელ ლამპა-
სებიანი შარვალი ეცვო, თავზე წითელ-
კაკარდიანი ქუდი ეხურა, ქოჩორი ბუჩ-
ქით ჰქონდა გადმოშლილი, მკერდზე
კი ორდენები და მედლები ეკიდა, წელ-

ზეც ოდნავ მოხრილი ხმალი ერტყა. ამაყი ჩანდა, მისივე ცხენივით ფიცხი. ალბათ, იფიქრა ქერჩის სრუტეს გაცუ-რაგო. ამას ხხვაც ბევრი ფიქრობდა. სამი კილომეტრის გაცურვა მართლაც შეიძლება, მაგრამ იმას ვერ ითვალის-წინებდნენ, რომ სრუტის შუაწელში სწრაფი დინებაა და ვინც ამას ცდიდა, ქერჩთან გამოირიყავდა, სადაც მათ თევ-ზებივით იჭერდნენ გერმანელები.

იმ კახაკსაც მოუნდა ბელი ეცადა, სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან, ახსნა უნაკირი და მოსართავები, აპყარა აღვირი და ხელებით მაგრა დაუჭირა თავი. ჭერ თვალეში ჩახედა, მერე კისერზე ხე-ლები მოხვია და შუბლში აკოცა, ერთ-ჯერ, ორჯერ, სამჯერ — ხუთჯერ — რა ვიცი, ათჯერ თუ ასჯერ, კოცნიდა გაშ-მაგებით, თავდავიწყებით, თვალეში, კისერზე... მერე ხელი უშვა, უკან დაი-ხია, რევოლვერი გაიძრო და სამჯერ ზე-დიხედ დაახალა შუბლში... ცხენისათ-ვის არც შეუხედავს, ისე, გაიქცა ზღვი-სკენ.

ცხენი ჭერ თითქოს გაოგნებული შე-ჩერდა, მერე ძლივს შებრუნდა მხედ-რისკენ, ერთი ვახედა და დაიქისვინა. მხედარს არც ახლა მოუხედავს... ცხენ-მა წინა ფეხებზე ჩაიჩოჭა, კისერი წაიგ-რძელა, უნდოდა კიდეც დაექისვინა, მაგრამ რაღაც ხრიალი ამოხდა და დაე-ცა...

მხედარმა ზღვის ნაპირას ხმალი იძ-რო, ჭერ მოწიწებით ემთხვია, მერე მუხ-ლზე გადაიმტვრია და გადაავლო. შემ-დეგ ჩექმები გაიხადა, ტანისამოსიც და გადახტა ზღვაში.

ისიც, ალბათ, ქერჩის ნაპირას გარიყა წყალმა...

...ჩვენი მაიორი კი შეუძლებელს ით-ხოვდა ჩვენგან. გვიმტკიცებდა კიდეც, ასე სჯობიაო, პოლკოვნიკის ბრძანებაც ასეთი იყო, თან გაცივებას ცდილობ-და, ვითომ ნუ გეშინიათ, ეს „თვითლი-კვიდაცია“ არ იქნებაო...

მე ძლივს მიცნო, გამეხუმრა კიდეც,

ის ზარბაზანი რა უყავიო, პასუსი ვერ გავეცო, მერე ერთი კიდეც გვეჭრებო და სთქვა: ჩემი „ბრაუნამგა“ უფროა კაპა ჩუქოო ამას.

— გქონდეს ჩემგან სამახსოვროდ, — მითხრა უკვე მისუსტებული ხმით — ამას რომ გეუბნები მერიდება კიდეც. არ იფიქრო, მაშინდელივით გაძლევდე, პირიქით, ღმერთსა ეთხოვ, არასოდეს არ დაგვიბოლოდეს, ისე შეგვენახოს, ჩვენი ამ მიძიმე დღეების მოსაგონებ-ლად.

ეს ისე გულწრფელად თქვა, რომ იმ სულელებმა დაუჯერეს. ხელი შეუშვეს. ერთ წამში გაიძრო რევოლვერი და, სა-ნამ გონს მოვიდოდით, კიდეც დაირტყა საფეთქელში...

ის რევოლვერი ახლაც ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში დევს...

ნოეს კილოზანი...

მდგომარეობა სრულიად აუტანელი გახდა. მართალია, პირი ისევ ენიკალეს-კენ ვიბრუნეთ, მაგრამ სიარული აღარ შეგვეძლო. მივლასლასებდით მცირე ჭგუფებად — 2-3 კაცი. კიდეც კარგი, რომ მე და ვახტანგი ისევ ერთად ვი-ყავით და ერთმანეთს ვეხმარებოდით, სანამ შეგვეძლო; ხან მე მიმჭონდა მინი სიცოცხლე, ხან კი იმას ჩემი. ერთი წუ-თი შესვენება არ შეიძლებოდა, რად-გან ფეხდაფეხ გერმანელები მოგვსდევ-დნენ. ბინდმა რომ იძალა, ტრიალ მინ-დორზე გავედით. მარცხნივ ისევ გა-მოჩნდა ზღვის ლურჯი ზოლი. იქამდე რა მიადწევდა, თორემ შეიძლებოდა ზღვას ცოტათი გამოვფეხებინებინეთ. გამომშრალ პირსაც დავისველებდით მლაშე წყლით. ისე კი, დიდი გაჭირვე-ბით მიგვექანდა ჩვენი თავი. ერთხელ თითქოს ზეზეულადაც ჩავთვლიმე. მე-რე, უკან რომ მოვიხედე, ვახტანგი ვერ დავინახე. დავუძახე. ძლივს გამცა ხმა. თხუთმეტობდე მეტრის დაშორებით იჯ-და. ძალის—ძალით გავიარე ეს გზა უკან... ვახტანგი ძლივს წამოღგა და

გამილიმა. მეგონა, ცუდად ვახდა-მეთქი, და გამიყვირდა თვალუბგაბრწყინებული რომ შემხვდა.

— რა იყო, ხომ არაფერი მოგივიდა? — ვკითხე მე.

— არაფერი, მოდი რა გაჩვენო?

ხელში რაღაც ბალახი ეჭირა, ნეკის ოდენა ძირი ჰქონდა.

— ა, ბიჭო პრასა — მითხრა მან.

— რა? — ჩავეკითხე მე.

— პრასა! — გამიმეორა ისევ.

— პრასას რა უნდა აქ?

— ვერა ხედავ რომ პრასაა? — სთქვა გაკვირვებით და გულმოდგინედ შეუდგა იმ ბალახის ძირის ორად გაყოფას. მერე ნახევარი მე გამომიწოდა და მითხრა:

— ჭამე, ვიამება!..

„პრასის“ ნახევარი კი გამოვართვი, მაგრამ პირში არ ჩამიდგია, ჩუმად გადავაგდე. ვახტანგმა ღეჭვა დაუწყო, მაგრამ მერე ისე, რომ მე არ დამენახა, ჩუმად გამოაფურთხა.

— გემრიელი იყო, არა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ძალიან, — ვუბახუხე მე — შენ როგორ მოგეწონა?

— კარგი რამეა! — ბავშვობაში ძალიან მიყვარდა პრასა და აგერ არ ვნახე?

მერე ერთმანეთს შევხედეთ და გავვეცინა...

...ენიკალეს გადასასვლელთან რომ მივადწიეთ, 27 კაცი-ლა დავრჩით. ისევ იმ გამოქვაბულში ვართ, ისევ იმ ლოდთან, პოლკოვნიკმა რომ თავისი ბრძანება წაიკითხა, მაშინ 276 ვიყავით, ახლა — 27. სიტუაცია იგივეა: უკანასკნელი ღამე, ლოდინი, ვარიერაქამდე თუ არაფერი მოვიდოდა „დიდი მიწიდან“ დილით ისევ „თვითლიკვიდაცია“ და ძმათა სასაფლაო. ბატალიონის მეთაური ამას არ გვახსენებდა, მაგრამ უიმი-სოლაც ვგრძნობდით ყველაფერს...

...შუალამემ ისე მოაღწია, რომ არავითარი ტრანსპორტი არ ჩანს. მთისწილი ღამეა. ცაზე ხანტად მისცურავენ ხვთარი და შავი ღრუბლები... ზღვაზე კი ვერცხლისფერი ბილიკია გაწოლილი. ფიჭრით ამ ბილიკს მიეყვები... დიდი მიწისკენ, საქართველოსკენ. დამშეული, წვერებგაბურძგვნილი, ჭუჭყიანი, მებუნარებდახვეული, უძილობისაგან გამოთავყანებული, მაგრამ მაინც რაღაცის იმედის მქონე, ჩემს გვერდით ვახტანგი ზის, ისაც ფიჭრობს, ყველა თავისთვის ფიჭრობს. ერთმანეთს არავინ არ ელაპარაკება. მეთაური აღარ იძახის, არ დაიძინოთო, მაგრამ არც არავის ეძინება. ისევ იმ ანგელოზებს თუ მოაყვანი-ნეს გული, ღროსდახარბებულ კაცს რომ ძილი წაართვეს გერმანული ლეგენდის მიხედვით. თვალის გუგები ჩვენც გაგვიქვავდა, არც ქუთუთოები მოძრაობს. როგორც ჩანს, რაღაც უხილავმა ძალამ ძილის მაჭლაჭუნაც დასძლია. მე სულ ზღვისკენ ვიყურები, ზღვა კი ვრცელია ფხ უნაპირო, მაგრამ არა ისე მიმზიდველი, სანუჯვარი, თუ საყვარელი, როგორც სხვა დროს. პირიქით, ახლა ის შავი ვეშაპივითაა გაწოლილი ჩვენსა და დიდ მიწას შორის. ყველაფერი ასე დიდია და უზარმაზარი ამ ქვეყანაზე: ცა, ზღვა, ხმელეთი. ამდენი ველ-მინდვრებია, მთები, ოკეანეები, ჩვენ კი ისევ აქა ვართ მიქეპყილი ამ ხელისგულის ოდენა მიწაზე და გზა არსაით ვეაქვს. სხვაეც აღბათ, რამე ასეთ სისულელეს ფიჭრობს, ან სულაც არ ფიჭრობს არაფერს, ღამე კი ისევ შავ ობობასავით მიბობლავს სადღაც. ცაზე თეთრი და შავი ღრუბლები ირევა, პირაღმა ვწევარ და ვუყურებ: ხან თეთრი ღრუბელი გაასწრებს შავს, ხან კიდევ შავი თეთრს, მე კი ისე მეჩვენება, თითქოს ჰაერში ღრუბლები კი არა, კენტავრები მიჰქრიან მხარადმხარ, მიჰქრიან და ჩემი ფიჭრებიც მათ მიჰყვება — რომელი გაასწრებს რომელს: თეთრი შავს, თუ შავი — თეთრს... თეთრი სი-ცოცხლისაა, შავი სიკვდილის, ისინი მისცურავენ ვარიერაქისაკენ, განთი-

დისაგენ, მზის სინათლისკენ, მე კი მაინც არ ვიცი, რომელი ასწრებს რომელს, შერე უცებ ორივე კენტავრი გაერთიანდა, თუ ერთმანეთში აირია და...

სადაც იმ ყუბანელის ცხენის შემზარავი ქიხვინი გაისმა...

...ფეხზე წამოვტი...

— კარგია, რომ ჩაგვიჩინა, — მეუბნება ვახტანგი და მიცინის.

— არა, არ დამიძინია, ერთი წუთით ჩავთვლიმე მხოლოდ, — ვუთხარი მე და ვითომ გავუღიმიე კიდევ.

მერე ერთხანს ზღვის ტალღების უდარდელი შრიალი მესმოდა მხოლოდ. ყველა თავის ფიქრით იყო გართული. მე ეს მიკვირს. რატომ ერთმანეთს არ ველაპარაკებით? რატომ არ არის სურვილი რამე ვთქვათ, ვიხუმროთ, გავიციოთ, რომ ეს მძიმე განწყობილება შევემსუბუქოთ, როგორც ეს ხშირად გვიქნია. ნუთუ, ეს ერთი დიდი ორგანიზმი ისევე დაიშალა, როგორც ჩვენი სხეული იშლება დადლილობისა და უძილობისაგან? ან სადღაა ეს დიდი ორგანიზმი, 276 კაციდან 27 დარჩა! ეს უკვე არაერთი ორგანიზმი არ არის. მწუხარებამ ჩაკლა ყველაფერი. დაირღვა კავშირი სივრცის, ურთიერთობის. ხმას როგორ გავცემთ ერთმანეთს, როცა სულ დავიშალეთ და გავუცხოვდით. ახლა არც ერთმანეთისა ვართ და არც ჩვენი თავისა. დაღუპული მეგობრების აჩრდილი ბორკავს ჩვენს გონებას, წარმოსახვას, სურვილს, ყველაფერს... და ვზივართ ასე ცალკალკე, ერთმანეთს არ ვუყურებთ, არ ველაპარაკებით. მივჩერებივართ ზღვის ჰორიზონტს და ვართ გაჩუმებულნი. ეს სიჩუმეც ცხედარით ასვენია ჩვენს შორის და ლაპარაკის ხალისს გვიკარგავს. მთვარის სითეთრეში უფრო ხაზგასმულად მოჩანს ჩვენი შავი და არაფრის მთქმელი სილუეტები. ამღვრეული ფიქრები ზღვის შრიალს უერთდება, უკვე ყოველგვარ იმედს წაერთთა სუნთქვა და სწორედ ამ დროს, ვიდაცამ წვრილი, უსიამოვნო

ხმით, თითქოს რკინას ხერხავდნენ, წამოიწყო იმ დროს ფრონტზე, მძევალ-პულარული სიმღერა: *Видел я Россию*

Эх, умру я, умру я,
Похоронят меня...

— მოკვტე ერთი, რას კნავი, — შეუღრინა უღვაშეზიანმა კაპიტანმა.

— დაიცალე, იმღეროს, შენ რა გინდა, — სთქვა ბატალიონის მეთაურმა.

— მაგის მეტი ვერაფერი ნახა, რომ იმღეროს?

— რაც გულში აქვს იმას მღერის, ვერ მოეშვები?

სიმღერა მაინც შეწყდა. მერე ისევ ბატალიონის მეთაურმა წამოიწყო კრიხით:

Широка страна моя родная...

იმ წვრილხმიანის მეტი არავინ აპყვა და სიმღერა არ გამოვიდა. ყველა ისევ საკუთარ ფიქრებს მიეცა. მერე მოულოდნელი სროლის ხმა გაისმა. „მომღერალმა“ ლეიტენანტმა თავი მოიკლა... არავითარი რეაქცია, ვითომ ქვა აედოს ვინმეს და ზღვაში ჩაეგდოს... რაღაც რგოლებმა კი ვაირბინეს, მაგრამ ამით არც ზღვა აღელვებულა და არც აღამიანებია...

ამის შემდეგ ოცდაექვსი დავრჩით და ოცდაექვსივე ისევ ზღვას მივაჩერდით. თვალები დაგვაწყდა ამდენი ყურებით. მთვარე კარგა ხანია, რაც ჩავიდა. ბნელმა იძალა და ზღვის შავმა ტალღებმაც სადაც, უსასრულობისკენ იქცია პირი...

...მერე ჰორიზონტს ისევ ის მაცხოვრის შეკრივი შემოადგა. ცაც უფრო ნათელი გახდა... მღელვარებამ იმატა... ერთი რაღაცას ლიღინებს, მეორე ბოლთას სცემს... მესამე ხმამაღლა ფიქრობს, მეოთხე, ვატყობ, უაზროდ ითვის ციფრებს, რომ დრო გაიყვანოს. დრო კი ისევ ნელნელა მიედინება და იმედის

კვლასაც არ სტოვებს. სრული სიჩუმეა, ზღვა ძველებურად შრიალებს. ფიქრები კი ისევ იმ წერტილს უბრუნდება: ნუთუ, ეს 26 კაციც განწირულია? ნუთუ არ დაგვეხმარებიან? თუმცა ვინ იცის? ამბობენ, იმედი ფიზიკლად სიზმარიც, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი სიზმარიც ახლეს?... ფიქრები ერთმანეთში ირევა და სქელ რქისფერ ბურუსში ეხვევა. მე-რე თითქოს ზღვის ტალღებიც სწყვეტენ შრიალს, დედამიწაც აღარ ბრუნავს თავისი ღრქის გარშემო. ისევ საოცარი სიჩუმე სუფევს, სამარისებური სიწყნარე... და ამ დროს უცებ ისტერიული ყვირილი ისმის:

— ე-ჰე-ჰე-ჰეეე!..

ყველანი ჩვენდაუნებურად წამოვხტით ფეხზე, მაგრამ ვერ მივხვდით რა მოხდა, ისევ განმეორდა:

— ე-ჰე-ჰე-ჰეეე!

— რა იყო? — მივარდა მაიორი ახალგაზრდა კაპიტანს...

— ე-ჰე-ჰე-ჰეეე!.. — შესამედ გაიმეორა მან და ხელი ზღვისკენ გაიშვირა.

ჰორიზონტს მივაშტერდით და რალაც შავი წერტილი შევნიშნეთ, რომელიც თანდათან დიდდებოდა. ყველანი ცქერად და გულისცემად ვიქეციით. კატარღა ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა... მოგვიახლოვდა კიდევ... აი, ახლა სულ ახლოა... უფრო ახლო, უკვე მეზღვაურებსაც ვხედავთ...

— მოეშაღეთ, ამხანაგებო!.. — გასცა განკარგულება ბატალიონის მეთაურმა.

„ნოეს კიდობანი“ ნელნელა მოადგა ნაპირს. ესეც საკვირველება! ისე დინჯად და უდარდელად ვიქეცივით, თითქოს ავტობუსი ჩამომდგარიყოს მორიგ გაჩერებაზე. ზანტად მივდივართ, ფრთხილად, ერთმანეთს გზას ეუთმობთ, დაქრილებს ვეხმარებით.

— უიარაოდ არავინ არ ავიდეს კატარღაზე! — ბრძანა მაიორმა. ვაფრთხილება არც იყო საჭირო, იარაღი ყველას თან გვქონდა...

რამდენიმე წუთის შემდეგ კატარღა

მოშორდა ნაპირს და ისევ ღია ზღვაში გავიდა...

ეროვნული
ბიზილ კანკელაზა

ახლა რომ იმ ამბებს ვიგონებ, ყველაფერი მიკვირს, როგორ ხდება ეს? კატარღაზე რომ ავედით, არცერთის სახეზე კმაყოფილების ნიშანწყალიც არ გამოხატულა, არც არავითარი გრძნობების გამოძვლავნება, ერთმანეთისათვის მილოცვა, ან სიხარული... არაფერი, ისევ დუმილი და ფიქრები...

ნუთუ, ასე შეიძლება დაცლა ემოციებისაგან? რატომ არაფერი არ მოქმედებს ჩვენზე? რამ წაშალა ჩვენში ყველაფერი ისე, რომ განურჩევლნი გავხდით?

განვილიშა ოცმა წელმა დამარწმუნა, რომ იმ დღეებში ჩვენ დაგვარგეთ რალაც ისეთი თბილი და ადამიანური, რასაც მერე ვერაფერი ვერ დაგვიბრუნებს. „რალაც“-მეთქი, ვამბობ, მაგრამ იქნებ სწორედ ეს რალაცაა მომხიბვლელი გულუბრყვილობა, ჩვენს სიკაბუჯეს რომ ახლდა და რის ნაცვლადაც დაგვრჩა ის, რაც ხშირად უთქვამთ, ჩემი თაობის წარმომადგენლებისთვის:

Седина юности!..

...ჯერ გვეგონა პირდაპირ „ჩუშკაზე“ გაგვიყვანდნენ, მაგრამ რატომაც ტემრიუკისკენ წავედით. ეს ძალიან შორი გზა იყო, დღისით კი ღია ზღვაში ყოფნა კატარღისათვის საშიშია. იმ დროს უკვე თენდებოდა. ზღვიდან უზარმაზარი მზე ამოგორდა და თავისი უხვი სხივებით გაგვიღიმა. მე თითქოს შემრცხვა იმ მკრეხელური სიტყვებისა, ადრე რომ ვამბობდი, ახლა თითქოს მეც შევხაროდი მზეს და მის დიდებულ მობრძანებას დედამიწაზე, მაგრამ აღტაცების არც ძალა მქონდა და არც ხალისი... ისე ვგრძნობდი, რომ მზესთან ერთად ცამაც აიწია და უზარმაზარი სივრცე გაიშალა ჩემს გარშემო. ზღვა... ჰაერი... ჰორიზონტი... მე-

რე სადაც ცის ტატნობზე ორი თვითმფრინავი გამოჩნდა და ჩვენსკენ წამოვიდა. ვიცანი „მესერსმიტები“. აბა, საქმე ის იქნებოდა ამ ღია ზღვაში შევემჩინეთ და ჩვენთვის მოეცალათ! მაშინ ეს კატარა აქერონის ნავად გვექცეოდა და ისევ იმ ნაპირისკენ წაგვიყვანდა, სადაც მზე არასოდეს არ ამოდის.

— ამდენ უბედურებას გადავჩიოთ და ახლა ამ თვითმფრინავებმა რომ მოგვათავონ სასაცილო არ იქნება? — მკითხა ვახტანგმა.

— ჰო, სასაცილო იქნება, — მიუხედავად მექანიკურად.

ბედად „მესერსმიტებმა“ ისე გადაგვიფრინეს, რომ ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. ალბათ, რამე ოპერაციიდან ბრუნდებოდნენ და ჩვენი თავი არა ჰქონდათ; თორემ მე ბევრჯერ მიწაზე, როგორ ქორივით დააცხრებიან ხოლმე ისინი მსხვერპლს, მით უმეტეს, როცა მოწინააღმდეგეს დაცვის არავითარი საშუალება არა აქვს...

...როგორც იქნა, გამოვედით ტემრიუკში. დავადგით თუ არა „დიდი მიწის“ ფეხი ისე უბრალოდ, მე ვიტყვი, ისე გულგრილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს, თითქოს შემთხვევითი თანამგზავრები ვყოფილიყავით. მე ის უფრო გამოვიკირდა, თითო თბილი სიტყვაც რომ არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, ისე დავადექით ჩვენ ჩვენ გზას...

— ჯერჯერობით!.. — მოგვაძახა ვიღაცამ და წავიდნენ... ჩვენ ორნი დავრჩით! მე და ვახტანგი. შორს არსად წავსულვართ. ნავსადგურიდან პირდაპირ მიწაზე დავადგინეთ... არც საქმელი გვიძებნია, არც სასმელი, დავეყარეთ მიწაზე და დავიძინეთ... თუმცა არა, ამას დაძინება არა ჰქვია... დავიძინეთ კი არა, ჩავიძირეთ რაღაცაში — უძირისა და უსაზღვროში. მიწაზე რომ ვემშვიდობდით, უკვე მაშინ ვგრძნობდით, რომ რაღაც სიღრმეში ვიძირებო. არც ვცდილობდით რამეს მოქიდებას, თავის შემავრებას

და შეჩერებას, პირიქით, ვაფხვრებდით ამ სიღრმეს და გავითქვიფე როგორც უფრო მოსა და უსასრულოში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...როცა გავიღვიძეთ, მზე უკვე ჩადიოდა. ძილის ეშვი კი მოვიკალით, მაგრამ ახლა სხვა რამეც მოგვინდა. ბაზარში გამოვედით. ვიღაც დედაბერი შედედებულ რძეს ყიდა. ჩვენ ერთი კაპიკიც არ გველო ჯიბეში. მათხოვრებს ვგავდით. იმ ქალს შევეცოდეთ და უფასოდ მოგვცა. ქორებზე დავაცხრით და გადავყლაპეთ. მერე ისე გავთავხედდით, რომ მუქთად გავიპარსეთ, გავიკრიჭეთ და სამანსოვროდ „მინუტკაში“ სურათებიც ვადავიღეთ. ეს სურათები ახლაც ჩემს წინ დევს. ისეთი გამოთავყენებული თვალები გვაქვს ორივეს, ზედ გვაწერია რაც გადაგვხდა.

მეორე დღით გზადმიმავალ მანქანას გავყევით კრასნოდარისკენ. გვითხრეს, თქვენები იქ არიანო. როგორც იქნა, იქამდეც მივალწით, გავიკითხვამოვიკითხეთ და იმ ქუჩაზე შევეუხვიეთ, სადაც სამედიცინო ინსტიტუტია. ვიცოდით, რომ ჩვენებს დაღუპულები ვეგონეთ. აბა, სხვა რა უნდა ეფიქრათ, როცა ყირიმის ევაკუაციის შემდეგ ამდენ ხანს აღარ გამოჩნდით.

...პირველი, ვინც შეგვხვდა, ვიქტორ კუპრაძე იყო. ჯერ ვერ გვიცნო, თუ თავს არ დაუჯერა, მერე ცრემლები მოერია და გადაგვეხვია.

ხე ცხოვრებისა...

ახლა, როცა იმ ძველ მეგობრებზე ვფიქრობ, მიკვირს კიდევ ზოგჯერ რა უღარდელად ვექცევით ამ მართლაც გულის ძარღვებზე გამოსცნილ საქმეს. ვინ იცის, რამდენ მეგობარს ვიძენთ ცხოვრებაში და რამდენს ვკარგავთ ჩვენივე დაუდევრობით. ყოველი ჩვენი თანგანის „ხე ცხოვრებისა“ თანდათან იმოსება მეგობრობის ფოთლებით. ისინი ხარობენ და მწვანით იმოსებიან ჩვენთან ერთად. აბა, რა სჯობს ამ ფოთლენ-

ბის შეხმატებელიველ შრიას, მათი მეგობრული ურთიერთობის პარმონიას...

მაგრამ უბრალო რამ გვეწყინება... სულ უბრალო, და მორჩა... მოწყდა ფოთოლი ხეს... დაირღვა მეგობრობა. ზოგს ამის გამო თითქოს რაღაც ჩაწყდება გულში; სხვა აინუნშიც არ ჩაავდებს, ვითომ არაფერი! ისეთებიც არიან 30 ვერცხლად, ან სულაც ჩალის ფასად რომ ყიდიან მეგობარს. უკუნურები არიან, თორემ მეგობარზე უკეთესს რას შეიძენენ ამის ფასად. ეს კი იმით ემართებათ, ვისაც სხვებშიც თავიანთი თავი უყვართ. მეგობრებიც მანამ უნდათ, ვიდრე რამეში გამოადგებათ. ისე არც აინტერესებთ მათი ბედ-იღბალი. ასეთი რამ ბოლოს ცინიზმამდე მიდის, ისეთ უხამსობამდე, ალბერ კამიუს კლემანსი რომ გამოხატავს. იგი ამბობს:

— როცა მე ვამბობ, ჩემი მეგობრები-მეთქი, ეს მხოლოდ პრინციპისათვის; ისე, მე არც მყავს მეგობრები, მე თანამონაწილეები მყავს.

კლემანსი ამტკიცებს, რომ მეგობრების ყოლა არცაა ხელსაყრელი, უხერხულიცაა, რადგან შესაძლებელია უდროოდ დროს მოგვადგენს სასტუმროში, როცა მარტო არ ვართ, ან სწორედ მაშინ დაგვირეკონ, როცა არ გვცალია.

კლემანსს რომ ჰკითხოთ, შეიძლება მხოლოდ გარდაცვლილი მეგობრები გვიყვარდეს; ისინი არც დაგვირეკავენ და არც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვაყენებენ. ოღონდ საჭიროა მეგობარის, ან „თანამონაწილის“ სიკვდილმა არ მოგვაყენოს უხერხულობა. ხომ შეიძლება დასაფლავება იმ დროს დაინიშნოს, როცა ფეხბურთის საინტერესო მატჩია, ან ვინმესთან პაემანი გვაქვს დაინიშნული!

კლემანსს ის კი აინტერესებს, უყუროს საკუთარ დასაფლავებაზე რამდენი „თანამონაწილე“ მოვა, მაგრამ ამისთვის არ ღირსო სიკვდილი — ამბობს ის, ისედაც ვიცით ბევრი არავინ შეიწუხებს თავს და ვინც შეიწუხებს, ისიც

იბუზღუნებს, რაღა მაინცდამაინც ტოლეს ასაფლავებენო...

ასეა, კამიუს კლემანსის აზრით...

ერ. 1955 წლის
20 მაისი

... მაგრამ ასე არ არის, საერთოდ. მეგობარს ვინც არ ეძებს, ის თავის მტერიაო, — გვასწავლიდნენ ბავშვობიდანვე. ხალხშიც ამბობენ, ადამიანი მეგობრებითაა ძლიერიო; ისიც უთქვამთ, ხე ფესვებით ცხოვრობს, ადამიანი მეგობრებითო.

ამიტომაც ვამბობთ, რომ მეგობრობის ხეს უფრო სათუთი მოვლა უნდა. მას ისედაც ბევრი მტერი ყავს — დრო, ომი, სიკვდილი, გულგრილობა, ზოგჯერ ისეთი ქარიშხალი ამოვარდება, რომ ფოთლებს აგლეჯს მას, ან სულაც შეაღწევა ტოტებს. ესეც რომ არ იყოს, ხანდაზმულობასაც მიაქვს თავისი. დადგება შემოდგომა და იწყება ფოთოლცვენა... ჯერ ერთი ჩამოვარდება... მერე მეორე... მესამე... მეათე... და ჩვენი „ცხოვრების ხე“ თანდათან იძარცვება მეგობრებისაგან. მერე ზამთარიც მოახლოვდება და სულ გაშიშვლდება. შეიძლება სადმე კენწეროზე ერთი — ორი გამძლე და „ბოლომდე ერთგული“ ფოთოლი კიდევ შემორჩეს მის დამზრალ ტოტებს, მაგრამ ბოლოს მათაც დაიმორჩილებს ქამთა დინების კანონი...

ასეა იმაზე ვფიქრობ, თუ ჩემი ცხოვრების ხეც რამდენჯერ გაძარცვულა მეგობრობის ფოთლებისაგან, განსაკუთრებით ომის დროს, რის შემდეგაც ყველაფერი მოგონებად იქცა, ვზივარ და ვიხსენებ, ვინ რა იყო, რა გაუკეთებია, ან რითი ჩამრჩენია გულში. წერილმანები, დავიწყებას ეძლევა, რაც უმნიშვნელოა ქრება და ჩემს წინაშე ისევ დგება დროის ხანგრძლივობით განმტკიცებული მეგობარი, ჯერ ერთი, მერე მეორე... მესამე და ასე შემდეგ: იმდენი, რამდენიც იყო და არის. ამით ჩემი ცხოვრების ხე ისევ იმოსება მეგობრობის ფოთლებით, მართალია უკვე წარმოსახულით, მაგრამ მაინც

ძვირფასით. ამიტომაც ჩაეჩერებინა ამ ძველ ფორტო-სურათებს და გულში ვამბობ: ოო, ეს ის არის, ის „იუდას კერძი“ ისა, ესეც „სარდნაპალი“, „ქრუხის პალო“, „დედის ნებიერა“, „ქარიხვეტია“, „ბებერი ქერუბინო“, „ზოროტი მეშვიდე“ და რა ვიცი, რანაირ ზედმეტ სახელებს არ ეუფონებდით ხოლმე ერთმანეთს. ბევრი დაიღუპა, დაიკარგა, ან ისე დაეშორდით ერთმანეთს, რომ შორეული მოგონება-დადარჩა... ზღაპარი... იყო და არა იყო რა...

ყველაზე მძიმე კი აი ამ სურათის ყურებაა, ეს ჩემი ყირიმელი მეგობრებია, მარცხნივ რომ მაღალი ოფიცერი დგას, ვახტანგია, ეს კი მე ვარ, ცალმუხლზე ჩაჩოქილი, სხეებიც—ფეხზე დგანან, ან სხედან—სულ 25 კაცია. აქედან ხუთი კაცი-ღა დარჩა ცოცხალი. სხვა დაიღუპა, ან დაიკარგა. აი, ეს პატარა გოგონაც ამ 24 მამაკაცს შორის რომ ჩამჯდარა, მემანქანეა. ის ჩვენს თვალწინ ისე დაფლითა უეცრად აფეთქებულმა ნაღმმა, რომ მისი ნაწილებიც ვერ შევავსოვით დასამარხავად. ეს ბრგე ვაქცავი კი ცოცხლად ჩაიშარხა ბლინდაჟში; ვეცით, ამოვთხარეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო. აი, ის კი მტრის თვითმფრინავების თავდასხმის დროს დაიღუპა. ყველაზე ერთნაირად ვამბობთ „დაიღუპაო“, თორემ სინამდვილეში ეს სულ სხვადასხვანაირად ხდება. ადამიანს სიკვდილიც ისე თავისებური აქვს, როგორც სიკოცხლე. რაინდული სიკვდილი ისევე ამკობს ადამიანს, როგორც სახელოვანი ცხოვრება. იტყვიან კიდევ, ესა და ეს კაცი ასე მოკვდაო. ისიც ვიცი, დიდების როგორი შარავანდედი მოსავს ბევრი მათგანის უკანასკნელ წუთებს... მთელმა მსოფლიომ გაიგო, როგორ მოკვდნენ გასტელლო, მატროსოვი, კოსმოდეშინსკაია, რუხაძე და სხვა მრავალი. ზოგიც დიდებულად შიიცვალა თავის სარეცელზე.

— სინათლე, მეტი სინათლე! — სთქვა სიკვდილის წინ გოეთემ.

— მე უკანასკნელად ვხედავ მზე/წარმოსთქვა რუსსომ.

— საკმარისია! — წაიჩურჩუნა მისი ხმა.

ზოგს კი ისე უეცრად დააცხრება სიკვდილი, რომ ფიქრის დროც არ რჩება, უკანასკნელი ამოსუნთქვისაც. ფრონტზე უამრავია ასეთი შემთხვევა. რომ დაუფიქრდე რამდენნაირი სიკვდილი გინახავს ომში ყოფნის დროს... გაგიყდები. ბევრი არც დაიჭრებს, იტყვის, ზღაპარიო, მართლაც ჰგავს ზღაპარს, მაგრამ მე მაინც ვიამბობთ ერთ მათგანს, რადგან ყველაზე უფრო უცნაურია იმ სიკვდილთ შორის, რაც მე მინახავს...

...სამნი მივდიოდით ყუბანის ველზე—ორი ქართველი და ერთი რუსი. ისინი რაღაცაზე წაჩხუბებულნი იყვნენ და არც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. საბრძოლო დავალება ჰქონდათ ერთად შესასრულებელი, თორემ ასე მხარდამხარ როგორ ივლიდნენ! რა უნდა მექნა! ისე მივაბიჯებდი მათ შორის, თითქოს დუელიანტები ყოფილიყვნენ, მე კი მათი სეკუნდანტი. მტრის მოწინავე ხაზი ახლოს იყო, და ჯერ სანგრებს ვავეყვით, მერე ამოვედით და ფრთხილად განვეარბეთ გზა, ხან ზოხვით, ხანაც ფეხზე მდგარი. იმ ქართველმა დილით თბილისიდან ამანათი მიიღო, მეც გამიმასპინძლდა და მზიარულ ხასიათზე ვიყავით. მახსოვს კიდევ მისი სახელი და გვარი, მაგრამ არ ვიტყვი. ალბათ, ნათესავეები ყავს თბილისში და არ მინდა ვაიგონ ეს საშინელი ამბავი.

სულ რაღაც ნახევარი საათი ვიარეთ. წინ ერთი ობოლი ზე იდგა, ოლეს ჰგავდა მინდორში განმარტოებით მდგარს. იმ ხეს რომ მივეუახლოვდით. რუსმა იყვირა:

— დაწეკი!...

ყუმბარის, ან ნაღმის ხმა წინასწარ ისმის და ვისაც გამახვილებული სმენა აქვს, ადვილად გრძნობს. მოწყვეტილად დავეცით. ნ ლულიანი ნაღმმტყორცნის ჭურვებიც იქვე ახლოს გასკდა

და კვამლსა და მტვერში გაგვხვია სამი-
ვე. ბურუსი რომ გაიფანტა, წამოვდე-
ქით... ორნი, ის ქართველი კი არ ამდ-
გარა... მივევარდით, მაგრამ... მკვდა-
რია, ეს კიდევ არაფერი. თავი არა აქვს!
სისხლი მოთქრიალებს ტანიდან, თავი
კი არსად ჩანს... მართლაც ზღაპარს
ჰგავს, მაგრამ სინამდვილე კია. მივი-
ხედ-მოვიხედეთ, ვეძებთ კიდევ, მაგ-
რამ ამაოდ, ვერ ვნახეთ!..

მერე იმ რუსმა შენიშნა, რომ ხიდან
სისხლი წვეთავდა... ავიხედეთ და...
საშინელი სურათი ვნახეთ: ნაღმის ნამ-
სხვრევით აგლეჯილი თავი ხის ტოტებ-
ში გარჩენილიყო...

ენა დამება, მუხლებიც მომეკვეთა
და იქვე ჩავექეი. ის რუსიც გაშეშებუ-
ლი იდგა. ერთხანს ვერცერთმა ვერ
ამოვიღეთ ხმა... სისხლი კი ისევ წვე-
თავდა ხიდან... მერე იმ რუსს ხმა არ
გაუღია, ისე გაიძრო შინელი, ჩექმე-
ბიც, და ხეზე დაიწყო აცოცება. მე
თვალე არ ვაშორებდი მას და ვხე-
დავდი, როგორ მიიწვედა ზევით...

ხანდახან „გზააბნეული“ ტყვიაც გა-
იზუზუნებდა, მაგრამ ის ამას ყურად-
ღებას არ აქცევდა, ისე იყო გართული
თავისი საქმით.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია იქამ-
დე და მოგლეჯილ თავს ფრთხილად
შეახო ხელი... ტანში ერთხანტელმა
დამიარა და თვალები დავხუჭე. იმ რუ-
სის ხმა კი მაინც გავიგონე:

— აჰ, დაიქი!..

გული ვადამიქანდა და შეშინებულ-
მა, ჩემდა უნებლიედ წამოვიძახე:

— ზომ არ გავიყდი!..

შემეშინდა, მართლა არ ვადმოავდოს-
მეთქი, თან ზურგი შევაქციე, რომ
არ მეყურებინა. თავში კი ჩაქუჩივით
მირტყამდა ფიქრი:

— ვადმოავდებს თუ არა, ვადმოავ-
დებს თუ... ჰო, თუ არა... ჰო თუ...

ისე სძულდა საცოდავი, რომ შეიძ-
ლება მართლაც ვადმოვედო. გულში კი
გავიფიქრე: ახლა რომ მიწაზე თავის
დაცემის ხმა გავიგონო, კიდევაც გავ-
ვიყდები-მეთქი. მერე ჩემივე თავის

შემრცხვა, შიში დაეძლიე და ასევე
ქურდულად ავხედე იმ რუსს.

თავი ილიაში ამოეჩარა და ფრთხი-
ლად ჩამოდიოდა ხიდან... მისივე კე-
ცალხელა ჩამოცოცება, მაგრამ რო-
გორღაც მაინც მოახერხა. ჩემთვის არა-
ფერი უთქვამს, ისე მივიდა მკვდარ-
თან და მოჭრილი თავი ფრთხილად მი-
აღო ტანს. მერე ასევე ჩუმად ჩაიცვა
ჩექმები, შინელი კი მკვდარს გადააფა-
რა...

— უნდა წავიღოთ დივიზიის შტაბში,
იქ უკეთ დავასაფლავებთ! სთქვა მან.

— ჰო, უნდა წავიღოთ— ვუპასუხე მე
და ავდექი. ჩემთვის არც შემოურედავს,
ისე მოჰკიდა მკვდარს ხელი და აწვეა
სცადა. მე კი მინდოდა შევშველებო-
დი; წავიწიე კიდევ მისკენ, მაგრამ შე-
მაჩერა:

— მოიცა, მე თვითონ... — ეს ისე
წყნარად თქვა, რომ ძლივს გავიგონე.
სახეზე რომ შევხედე, გამიკვირდა:
თვალეები ცრემლებით ჰქონდა სავსე...
ამასობაში თავმოწყვეტილი ტანი
ფრთხილად ასწია და ეს ამხელა კაცი
მხარზე გადაიკიდა... მე ისევ შემეკუმ-
შა გული.

საღდაც უნებლიედ ასეთმა აზრმაც
ვამკრა:

ახლა რომ მითხრას თავი წამოიღეო
რას ვიზამ? წამოვიღებ თუ არა? ცხა-
დია, წამოვიღებ... წამოვიღებ... უსა-
თუოდ წამოვიღებ... ვარწმუნებ ჩემს
თავს...

ამ ფიქრში რომ ვარ, იმ რუსმა თავ-
ვიც თვითონ ამოიჩარა ილიაში და
გზას გაუღდა... გული კი შეუზნებოდა,
მიდი მიეშველეო, მაგრამ მაინც დარ-
ცხენილი მივეყვი შორი-ახლო...

ასეთ დროს კაცი ვერ იფარისევლებ,
ვერც სიძულვილს შეინახავ გულში...
დივიზიის შტაბში ნალმმტყორც-
ნელებმა ავეიხსნეს, როგორ შეიძლებო-
და მომხდარიყო ეს სასწაული, მაგრამ
ამის ახსნა საქმეს რას შველის...

...ყოველთვის კარგი ამბავი როდი
მოაქვს მოგონებას. როგორიც ცხოვრე-



ბაა, მოგონებაც ისეთია. ზოგი კარგი, ზოგიც ცუდი! ორივეს ერთიანობა ქმნის ჩვენი არსებობის სიმართლეს.

არის პერიოდები, როცა არც ერთი მეგობარი არ გყავს. ისე ხარ გათქვევდილი საერთოში, რომ არც არავის გამოყოფ და არც არავის განასხვავებ. ყველა ერთია და ერთნაირი, როგორც მდინარის წვეთები. ცხოვრებაც როგორღაც ტალღობრივად მიედინება, და შენც მიყვები ამ დინებას. მიმართულება ერთია, მიზანიც, ფორმაც ერთნაირი, გვაცვია და თითქოს განწყობილებაც ერთნაირი გვაქვს; დაკვირვებისა და განსხვავებისათვის არა გვცალკია, ზოგჯერ არცაა ამის სურვილი. ამ საერთოში უფრო კარგად ვგრძნობ თავს. ურთიერთობაც თავისებურია, უფრო სამხედრო წოდებებით განსხვავებული, ვიდრე ხასიათებით. სხვა დანარჩენი, თითქოს ერთნაირია,—ორი ერთდღივივე ისე ხედება საერთო ერთდღივივობის ფარგლებში ერთმანეთს, რომ განსხვავება არც არის. არც განსაკუთრებული რამ. ყველაფერი ისე ხდება როგორც უნდა მოხდეს და ეს ყველას ერთნაირად გვეხება. საქმესაც ერთიანი ძალით ვაკეთებთ, თავგადასავლებიც ერთნაირი გვაქვს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ყველანი ერთი ვიყოთ და უამრავი თავები, ხელები და ფეხები გვქონდეს.

იქნებ ამიტომაცაა, რომ იმ დროიდან უფრო ამბები მახსოვს, ვიდრე ადამიანები. . . მერე, როდესაც ვინმეს დაუახლოვდები და დაუმეგობრდები, ხედავ რომ პირიქით, ყველას თავისი სახე და ხასიათი აქვს. ამას დანახვა უნდა. დრო კი არ არის. ხალხში ამბობენ: ერთხელ რომ ვინმეს შეხვდები, ნაცნობიაო, მეორედ რომ შეხვდები—ამხანაგი, ზოლო თუ შესამედ შენვდი—მეგობარიაო. ფრონტზე ერთსა და იმავე პირთან სამჯერ შეხვედრა არც ისე ადვილია. ამიტომ მეგობარს ძალიან ძნელად პოულობ, მაგრამ ადვილად კი

კარგავ. დღეს რომ არის, ხვალ ვლარაა: „დაიღუბა“, „დაიქრა“ ან „სხვა რაიმე“ ში გადაიყვანეს“. არც მისამართი იცი მისი და არც გზავალი; არც არასოდეს შეხვდები, თუ რამ სასწაული არ მოხდა. . . ასეთი სასწაულებიც არის, მაგრამ იშვიათად. კიდევ უფრო იშვიათია ხანგრძლივი მეგობრობა, მაგრამ თუ ის არის, ისეთია, რომ მოგონებად ღირს. . .

...მე უფრო კარგად ჩვენი განყოფილების თანამშრომლები დამამახსოვრდა, რადგან აქ უფრო დიდხანს მიხედბოდა ერთსა და იმავე ხალხთან მუშაობა. განყოფილებაში სულ ასამდე კაცი იყო—ოფიცერი და რიგითი. გვქონდა საკუთარი საველე ტიპოგრაფია, სპეც-მანქანები, მოძრავი რადიოსადგურები, ხმის გამამძლიერებელი მოწყობლობანი და სხვ. ოფიცერები, რომლებიც აქ მუშაობდნენ, ადრე კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ—მწერლები, ლიტერატორები, მხატვრები, იურისტები, სავარეო ვაჭრობის სისტემის მომუშავენი და მთარგმნელები—უცხო ენათა ინსტიტუტების სტუდენტები—უმთავრესად, მწიგნობარი ხალხი.

სამომლო ომის ამბებზე ბევრი რამ დაწერილა. მაგრამ იმ სახის მუშაობაზე, რასაც მე ახლა მოვიყვებით, ძალიან ცოტა, როგორც მხატვრული ისე პუბლიცისტური. შეიძლება ეს არც ისე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც სხვა რამე, მაგრამ დავიწყების ღირსი მაინც არ არის. ბევრი რამ საინტერესოცაა. მე მინდა მოვიყვებ ამის შესახებ, იმათზეც, ვინც ამ სამუშაოს ასრულებდა. ეს შეიძლებოდა შემდეგისთვისაც გადამედო, მაგრამ ახლა მირჩევნია, ვიდრე რუმინეთში ჩვენი ფრონტის დიდი შეტევის ამბებზე გადავიდოდე, თორემ ის ორომტრიალი რომ დაიწყება, მერე ამისთვის ვინ მოიცილს!..

ნ. ნიკოლაძის წერილები აკაკისადმი

ქართული ხალხის სახელგანთქანი პოეტი აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოღვაწეოდ თითქმის ერთსა და იმავე დროს, გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოვიდნენ. ეს ორი დიდი ქართველი მოღვაწე თავიდანვე უახლოესი მეგობრები იყვნენ.

თავისი განვლილი ცხოვრების მოგონებისას აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“ წერდა: „ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოა და წერითლებში უზსათათობა გამოვინიშნე, მაგრამ დიდისა და საზოგადოებასთვის კი ჩემს დღეში არ მივალაღებია... მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წუნარად... ბუნებათანაწიარს, ყველას მეგობრობა და განწყობილება მსურდა... თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა ორისა. ისინი არ მიუტრებდნენ სხვებსა ვიდრე მის აყოლით და, სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მივიჩნიდით, თვარა ნაკლებ არა... ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე და მეორე — ნიკო ნიკოლაძე... აი, ამ ორ ახალგაზრდასთან მოვიბრუნებდი ზოლმე სულს სტუდენტობის დროს და სხვებს კი ყველას ჩამოვშორდი“ (ი. ბ. სრული კრებული, ტ. VII, 1858; გვ. 94)

აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, მოუხდევად იმისა, რომ მათ შორის სწორად პრინციპულ კამათსა და წინააღმდეგობასაც მქონდა ადგილი, ბოლომდის ერთგულ მეგობრებად დარჩნენ, ერთმანეთს დიდადაც აფასებდნენ და ურთიერთ მოღვაწეობას განუწყობდნენ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. ეს, განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს როგორც აკაკის მიერ სხვადასხვა დროს ნიკო ნიკოლაძისადმი გაწავნილი პირადი წერილებიდან (ი. ბ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 82-90), ისე ნიკო ნიკოლაძის მიერ აკაკისთან მიწერილ წერილებიდანაც.

ნიკო ნიკოლაძის პირადი წერილები აკაკისთან მხოლოდ მცირე ნაწილია პოეტის ფონდში შენახული და დაცული წერილებისა, პირველი წერილი დათარიღებულია 1875 წლის 8 ოქტომბრით, ზოლო უკანასკნელი 1885 წლის 28 იანვრით, პერიოდს, რომელსაც ეს წერილები შეიცავს. მხოლოდ ერთი ათეული წლით განისაზღვრება. ამ ორი დიდი მოღვაწის ახლო მეგობრული და საზოგადოებრივი ურთიერთობა კი გასული საუკუნის 40-იან წლებიდან მოკიდებული ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ხანგრძლივ დროის განმავლობაში ურთიერთობის დროს მათ შორის არსებული მიმოწერის შედეგად, ეს წერილებიც ბევრად მეტა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჭერჭერობით მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენამდე მოღწეული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ფონდებში დაცულია აკაკი წერეთლის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამსახველი მასალები. ამ მასალებს შორის უურადადებს ბევრს აგრეთვე პოეტის მიმოწერა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეებთან. ეს მიმოწერაც უხე მასალას იძლევა აკაკი წერეთლის სამწერლო, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მისი პირადი, ღრმამზინარბიანი, დამაწი ცხოვრების შესახებ.

ამ წერილებში აღბრულია იმ დროის ქართული საზოგადოებრივი ამოცანებისა და კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი საპირბოროტო საკითხები.

შ. გოზალიშვილი.

I წერილი

სამატიმო, 8 ოქტომბერი (1875 წ.)

მამო პაპაძე

ვირის თავი და ხბოს თავიც სწორეთ მერგება, მაგრამ ფული ვერ ეიშოვე, მშობის გუფიცები. ერთი კაბეიც რა არის, ის სჭირდება. ამ დღებში ვცდილობ ბანკის მეოხებით ვიქსილის დაშლას. როგორც მოეხებრებ, იმ წამს გამოვიგზავნი.

არც ერთი შენი სტატია არც გიმზიანებ. არც ნიკოზემ ცენზორმა არ გაუშვა. რომ იყო დე, ქუთაისზე რანიარათ შლიან უოლიფერს რუსეთზე, საფრანგეთზე რაც გინდა სწერეთო, ოღონდ ქუთაისის გუბერნიას თავი დაანებეთო. ორტრგეთის უუზზედაც წავიშლეს ფარამივის სალდათების და „არასილნების“ კაი-კაიო-ბა!!! რაც იბეჭდება, ამის ნახევარი იშლება და იკარგება ცენზურაში. ამისთანა არა მიზიანებს რა ჩემს დღეში.

თუ მშა ხარ „დროებაში“ ერთი მოწინავე სტატია დაწერე აი ამ საგანზე. ჩვენ ხომ უნდა ვხარობდეთ, როცა ჩვენი კაცი ამოღლება და კარგ ადგილს მიიღებს? მაგრამ ჩვენში, ყოველ მამულის შვილს ის სურვილი უნდა გვექონდეს, ეხლა რომ არც ერთი შესაძრველო ადგილი ჩვენებურს არ მიეცეს და უცხო ქვეყნულს დაჩრქეს. რისგან წარმოგებს ეს? ამიტომ, რომ ჩვენი კაცი, რომ ადგას იმისთვის, ურიაზე უარესი შეიქნება, და მარტო იმას ცდილობს, სხეებს რანირათ სიგლახში გადაეკარბო და როგორ მოუპირო ჩემებს ხელი, თავის „ხეირიანი“ მხრით გამოსაქნათო, დაწერე რამე ამ ლილიუტზე — მუხრანსკიზე. ფურცელაჲ— ცენზორი, ბაქრაძე, მელქი-შვერ და სხვა ისეთ საქმეებს შერტობიან, რომ ღმერთმანი მაქსიმოვი-შის ტირილი გეკადრებს. ასე წარმოადგინე: № 100 იყო (უნდა უოფილყო) ჩემი სტატია— სამეურნეო საზოგადოებაზე. ცენზორმა წაშალა ერთიანი, თუმცე ერთი საწინააღმდეგო სიტყვა შიგ არ ყოფილა: მე ვაღივრებედე და შევათა-ნასწორე (უსიტყვით) ირი წიგნი: *Обзор действий* гг. Воронцова за 1845-1850 და *Отчет Борникова за 1862-1872* წ.წ. და ეხლა ფურცელაჲ ამბობს მთელ ქალაქში— я плакал, запрещая эту статью. ეხლა კი-არ ვიცი ვისი ბრძანებით — ხელახლა დიხარეს ის სტატია და ვაუშვეს ერთიანი. მაგრამ დაბეჭდა არ შეძალდა, რადგანაც „Бирж. вед.“ გაავაზავენ ვარდაკეთებელი.

მართლა ამ ვაზეთის რედაქციაჲ წიგნი გამო-მიგზავნა: მიხატეს ვიქნე მისი *постоянный* *кор.* თბილისში. მე მივიღე. პავსის ავერსტო-ვაი და მტკიცე ბა გამომიგზავნა.

რომ ილივე რა შობებულება მოახდინა თფილისში მარტო იმ ვარემოებამ, რომ „თფ. მოამბეშ“ ერთი სიტყვა არ დაბეჭდა *индусам-ზე*, შესხმა გვილატა და დაბეჭდა *отчет-ები*, თითქო პარლამენტი ყოფილიყოს. ცენზორის კომიტეტმა პირდაპირ მოგეთხოვა — რატომ არაფერს სწერთო. პასუხი ჩვენი „Залесью“ იყო № 103-ში, იმაზე, რომ არაფერს ვიტყვით იმ საგანებზე. ერთი სიტყვით საქმე კარგათ მი-დის. ხელის მომწერლები სისოვენ, როგორც ვინახაბს სეტყვა. (თოელი და სეტყვა კი ერთათ არ მოდის, მაგრამ შეჩქარება). შენ იცი ქუთაისში რამდენს მოაწერირებ ხელს ძალა-უნებურათ. ცენზორიდან, როგორც ამბობენ მა-ლე ვაგვათვისუფლებენ. უნდა ნაბო მაშინ, რო-გორ გაგვხსნება შენ ფრთები! როდის მოხვალ? რატომ ხშირათ არ გზავნი სტატეებს: მართლა შენი დღევანდელი წერილი „Из Кобулета“-ს ვაგვავნე სტამბაში, მაგრამ იმდღე არა მიქვს ში-სი გაშვების. ამას წინათ „დროებაში“ ვაუშვეს შენი (მგონია) სტატია პარამუხა-მაქანაკალო-ლზე და თესლი ლუზინ-ოლზე. გუშინწინ პრიბილმა მოსთხოვა კომიტეტს მისი პასუხი

როგორ გაბედეთო, და საქმე ადრედა. მაგრამ იქნება ეხლაჲ ვერ ვაივონ. სხვა მნიშვნელო-სანი

შენი **6. ნიკოლაე.**
რატომ უფრო დაწერილენათ არს ამ მწერ „თფ. მოამბეზე“? რა შობებულება იქნება ვაზეთს საზოგადოებაზე, ყმაწვილებზე და სხვა? რომელი სტატეები უფრო მოსწონთ, რომელი არა და სხვა? ეს საგნებს ჩემთვის ძლიერ სა-ჭიროა, ვაზეთის ვაუშვობებულებისათვის და ვაუშ-თებისათვის, წაიკითხე „Каприза пера“ 10, № 104.

6. ნიკოლაე

11 წერილი

ტფილისი, 19 ოქტომბერი, 1875.

ძველი პაპადი!

შენი წიგნის მიღებამ სწორეთ ფრთები გა-მომახსია. რაღა თქმა უნდა, რომ შენ გადაქარ-ბე და მეტის მეტათ ამწიე, ისე რომ ირონიათ მიმანია, მე ზოგიერთი შენი სიტყვები. მაგრამ საქმე ამაში როდია, მე ის მიამა შენს წიგნში, რომ ვასტეხე ეს უცნაური „შემაერთებელი-გამ-შორებელი“ რაღაცა, რომელიც ჩვენ შუა დიდ ხანს ყინვართ იდგა, აი მარტო ამ მხრით, გან-საკუთრებით მიამა ის განძინობა, რომელიც შენ-ზე ჩემ სტატეებს აღუძრავთ. ჩემის მხრით მე შემიძლია ეთქვა, რომ როგორც პატიოსანი კა-ცი უოველთვის მაღლათ მიმანდა შენი ნიჭი, ყოველთვის სასარგებლოთ და მეტისმეტათ გა-მოსადეგრათ მიმანდა შენი წერა. მარტო ერთ-ხელ, 1869, როცა მე ქუთაისში დიხანს და ხშირათ შესმოლა შენი სასტიკი ლანდვა ყველა-საგან, მე ამიტყდა თავმა კითხვა: ეი(ნ) იცი ს იქნება ამ გვარათ შეჭლებული კაცის სიტყვას მნიშვნელობა აღარ ჰქონდესოქო. მაგრამ მაღ, 1870-ში, მე დაგწმუნდი, რომ ეს სედლადრი ევეი იყო და მაშინვე გთხოვე, გულწრფლად „დროებაში“ თანამშრომლობა. მას აქეთვა, მე ათასი და ათასიანი დამატკიცებლები დავინახე შენი წერის საკვირველ ვადენია, და უფრო მეტათ დავაფასე შენი ნიჭი და გრძინობა. მაგ-რამ მე არ ვიცი ერთ მხრითი აღსახების თქმა. რადგანაც პირდაპირ ლამარაკი დავიწყე თლთ ერთიანი ვიტყვი ჩემს აზრს დაღმამოვლეთ და აშკარათ, შენი თვალში. შენ იმისთანა პოეტური ნიჭი და იმისთანა ვონება და ტვინი გაქვს, რომ არც ერთი ჩვენი მწერალი, არც ერთი ჩვენი ყმაწვილითავანი შენ ვერ შეგედრება, ვარწმუნებ პატიოსანი სიტყვით, რომ ეს მოფერებთ არ არის ნათქვამი. რისგან არის, რომ შენ, მთავა-ლითად, ჩემზე მეტს ვერას ასერხებ და ჩვენზე მეტი ვაგლენა არა გაქვს ქვეყანაზე? მარტო იმისგან, რომ შენ თავიღამვე ვიორპირა და წა-ვახდინა იმ საშინელმა განსხვავებამ, რომელიც შენს და შენი ამხანაგების შუა იყო. შენ ყო-ველთვის უნიჭო და რეტი ამხანაგები გვაუდა

და მათთან შედარებით შენ უზომოლათ, უსწავლელათაჲ შეგეჭლო მათზე მეტი გაგვეთვინა. ამან გავაზარამაცა შენ და დამჭდარ შრომას ვადაგაჩვი. ამან მოგაელო ის ძალა, რომელიც შენს ნიჭს და გონებას შეეფერება და რომელთან შედარებით შენი ეხლანდელი გავლენა და ძალა მე თითქმის უძლეურებით მიმჩინია. ვარწმუნებ, მე ყოველთვის გულს მივლავდა, როცა ვხედავდი, რომ შენი ნიჭი და ძალა ასე წვერილმანად იზარჩება, მაშინ, როდესაც გვლენა და ძალა ეძლევათ უსუსურ და უძლურ კაცებს. რომ შემძლებოდა მე ვიცოდი როგორ შეიძლებოდა ამ უსამართლობის გასწორება, მაგრამ რას უზამ კაცი გაჭირვებას, ნიადაგ ცხოვრების ძველ საჭიროებას? — აი ჩემის მხრით ჩემი მოქმედების მიზეზები შენს შესახებ. — რომ დამიჯერებდე და ეშმაკს შევაფრთხილებდი, რომ დანებებდე თავს იმ წვერილმან კაცებს და წვერილმან დაბრკოლებებს, რომელიცა შენ ქუთაისში ებრძვი და მოხედოდე ჩვენთან, „მამაშემი“² გაეძვებოდე ჩვენ შრომაში, გაგვიყოფდე ჩვენ შრომას, გასაჭირას, შეძლების და საჭიროებებს, მე ვიცი რა ნაირათ შეიცვლებოდა შენი ეხლანდელი მდგომარეობა! მაგრამ როგორ ვითხრა მაინც და მაინც მოდიოქო, როცა ვერაფერს გასაჭირის მეტს, ჯერჯერობით ვერ დაგპირდები? დავანებოთ თავი ამ მწვევე საგანს, ვადავიდეთ შენს კითხვებზე. ბანკის საქმე ქუთაისში ით როგორ წავა, მგონია შენ იცე ჩემი აზრი ბესარიონ ლოლობერიძეზე. გუშინ ის ჩემთან იყო და ბევრი მელაპარაკა. რა ექნა მე იმნაირი ბუნება მაქვს, რომ ამ ერთ კითხვას ვერ ვვიწყებ: „როცა კაცს პატიოსანი მოქმედებით მხოლოდ მოგება შეუძლია, და უპატიოსნოთი კი წაგება, რა ძალა უნდა მიაღვეს მაინც და მაინც უპატიოსნო გზაზე დასადგომათ?“ მაგრამ ეს კიდევ არაფერი. წასულს შთამომავლობას, ახალგაზრდობას მომავლის, წრეს და სხვ. ბევრი უცნაურობის მოხდენა შეუძლიათ ყოველთვის. ის ყოველთავე ყურადღებაში მიხედვია, მაგრამ გვიყავს სხვა ენიშე კაცი ბანკის გასამართავით და წასაუვანით, მანდ ქუთაისში? თუ ვისმე იცნობ, დროზე თქვი შე კაცო, რომ ვიცოდეთ და დავეშინალოთ, თორემ იცოდეთ ამ ორ თვეში საქმე ვათადება და მერე ზრუნვა გვიჩნდა იქნება. ამ კითხვის პასუხს მოუთმენლათ ველი შენგან. რაც შეეხება სხვა ლოლობერიძეებს მე ისინი დაბოცილებათ მიმჩინია, თუ მაგათ ეხლაც კიდევ გგონია, რომ მათთან ბრძოლა სპობაოა, აღიდე ცხედარი შენი და ვილოდე შევიდობათ: იმერეთი მაშინ გაუსწორებელი ბრმა და ყრუ ყოფილა. ამ ქვეყანაში, სადაც ამ ორ უკანასკნელი წლის მავალითების შემდეგ ბ. (ლოლობერიძეებმა) ნიკომ და სისომ³ კიდევ შეიჩინეს რამე ნამდვილი გავლენა, ზნეობითი ანუ

გონიერი, სწორეთ, რომ ხელსადატი ვიყავი ყოფილა. მინდა ეხლა ჩამოდენოქმე [რუსეთს] სოლიკი-ებზე ვითხრა. ჩვენზე უკეთესი ყველაზე მედამ ის იყო, რომ ჩვენ ყოველთვის ვან-ვანზე ვდგებოდით ყოველივე იმ ცხოველიური წრებიდან და სახლებიდან, სადაც ახალგაზრდობა სესოვრობდა ან მოქმედებდა. იმის მაგიერ, რომ ჩვენ ამ წრეებს დავაბოლოებოდით და ჯეროვანი ყურადღება შრომა მოგვეხმარა მათ დახმარებაზე და გასწორებაზე, ჩვენ შორიდან უფერებდით და ვილაც ფურცელაქები, მღებროეები და ლოლობერიძეები კი უმამწილებს ახდენდენ და ატუტუტებდენ მგონია, რომ დროა ამ სისტემას თავი დავანებოთ, სადაც ვნახოთ ამ გვარი წრეები, ვეცადოთ როგორმე დავუბოლოვოდე, ბერიანია ვანწყობილება დავიკავოთ მათთან, წინააღმდეგი მიმართულება ანუ მოქმედება მათი საკუთარი იარაღით, მათ საკუთარ ნიადაგზე დავცეთ, ეს ჩვენთვის კარგი იქნება და ამ უმამწილებსთვისაც ვისაც უხებოთ კაცები უხერიოთ ხმარობენ, რაც შეეხება თეატრის წრეს, მე აქედამ ახა არც ვაბრუნებ ვან შესაძლებელია, რომ, მე რომელსაც ავიც ვსრე მინახავს, არც იმისი წესები ვიცი (არც მისი წერებები ვამოცენია) უფრო მტკიცე ან საბუთიანი აზრი მქონდეს ამ საგანზე, ვინემ მინდაურებს? მაგრამ ამ საგანზე მე შემდეგში — პიროვნათ უფრო ბლომათ მოგველაპარაკები.

შენი 6. ნიკოლაძე

III წერილი

ტფილისი. 28 ოქტ. 1875.

მამო პაპაქო

შენი წიგნი მივიღე გუშინ-წინ. მის მოხელადი ვაგივე აქ ის შემთხვევა, რომელზედაც შენ ორ-სამ სიტყვას მწერა: „უსიონისო მოქცევა“ შენთან ქუთაისელი წრის ზოგიერთი წევრებისა. მართალი ვითხრა, სიწინალოთ ვამბარახა ამ აბეშმა (რომელიც მე სერგიემ ვადამოცე). საქმე იმაში კი არ არის, მართალი ხარ შენ თუ მართალი არიან ისინი. ამ საგანს მე არც შეეხებო, არც ვამოვიძვე, არც ვამოვიხივს ღირსათ ველო. ჩემთვის შესანიშნავი მარტო ის არის, რომ შენისთანა კაცი ზანდისხან იმისთანა მდგომარეობაში სდგება, რომელშიაც ყოველს ჭეჭო-შეშევა ბავშვს ან უმეცარს ტუტუტს მისი შეურაცყოფა და შეგინება შეუძლია. რათ იმდაბლებ თავს ამგვარ წრეებში გაჩევიოთ, და თუ ერევი რატომ იმნაირათ არ გეიკვია თავი, რომ ვერავის ამგვარი შეურაცხობის მოყენება შენთვის არ შეეძლოს? .. იმ ეს არ შესისხ მე. მაგვარ წვერილმან საქმეებში, მაგნარი კაცებთან შენ ან სულ არ უნდა გეიკვოს საქმე, ანდა ისე უნდა გეიკვოს, რომ არავის აზრშიაც არ მოდიოდეს ფიქრი შენი შეურაცხოფის კი არა, წინააღმდეგობისაც. მე სწორეთ რომ ვწუხებარ ამ საქმეზე,

ერთი იმიტომ (უმთავრესად), რომ შენს პირში შეერაცხვით ვთვლი მწერალს და მწერლობას, და მეორეთ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ შემდეგში: ეს შემთხვევა დაანგრევს წრის საქმეს, რომელიც ხეირიან საქმეთ მიზანია და რომელიც სხვა მოთავეების ხელში ან სხვაგვარ საქმის წყევანით გვირბინ საჩვენებლობას მოუტანდა ქუთაისის ახალგაზრდა საზოგადოებას.

დაანებე თავი, თუ ღმერთი და ლიტერატურა გწამს, ამ უბედურ თვისებას — წყევლიან ბრძოლას და შენი ნიჭის და ძალის ერთშემათ დაშლას. მოდი აქ და აქედამ უფრო სახეირო გველუნის მოხდენა შეგეძლია. შევიცრის, როგორ არ მოგებურდა ამდენს ხანს ეს ქუთაისის პავა და ეს კაბოების შესაფერი დახშულ ქოთანში ცხრა ფეხებთან კენია — ბროლია?

„თფილისის მოამბეზე“ აი რას გეტყვი: გაცილდამ ის ყოველ დღე გამოვა. აქ შედგა „товарищество на вере“, იმისთანა პირებისგან, როგორიც ქუთაისდგომი, პეპინოვი, ყორღანოვი, თამაშვევი, შაბურაძე და სხვ. და სხვ. და სხვ. (სულ 20 კაცზე მეტი), რომელნიც იხებენ 10.000 და თუ საჭირო იქნება შეტს. „თფილისის მოამბის“ გამოსაცემლათ. დეკემბერში ისინი გაიხსნ ბუდეტს დაამტკიცებენ, და ყოვლად საჭიროა, რომ მაქნამდი შენ შიილი მონაწილეობა „თფ. მოამბეში“, რომ დაანახო იმით, რაგვარი საჩვენებლობის მოტანა შეგეძლება ვაზეთისთვის. შიილე ერთი „отдел“, და ერთი თვის განმავლობაში აჩვენე შენი ძალა. დღეს ისინი თხოულობენ, რომ ჩვენს კანტრატში ჩაწერილი იყოს, რომ ნიკოლაე და ერთი თვეი კისრულობენ ნიადაგ თანამშრომლობასათ. მოდი, და ისე წაიყვანე საქმე, რომ ამასთანავე იმგენმა მოითხოვონ აკაის სახელის ჩაწერა. ჩვენგან წარდგენილ ბუდეტის პროექტში ჩაწერეთ:

Ак. Церетели за сотрудничество—500 руб. ყველას იამა, მაგრამ ყველამ გვიკობა — ვანა აკაიმ რუსულათაც იცის წერათ? იფი-იფი-იფი რა კარგი იქნებამო ჩამოდი, და ნახე თვითონ, რომ დეკემბერში იქნება თვითონ მიგვიბატონ „ლანობარია“.

შეორე გარემოება. მე ვთვლი აუცილებელ საჭიროებათ თბილისში ახალი ვაზეთის გამოცემას ქართულ ენაზე, სახელათ „ბუკია“. ამ ვაზეთს, რომელსაც „დროებას“ წინამდებლობა კი არ უნდა მქონდეს მიზანში, უნდა მიეცეს იმ გვარა რედაქცია და მიმართულება, რომ შეიძინოს მკითხველებათ ყველა ის პარტები, რომელთაც მარტო წერა-კითხვა უსწავლიათ ქართულათ, და არავითარი განათლება არ მიუღიათ: გლეხები, უბრალო ვაჭრები, დიაკვნები, ქალები და სხვ. და სხვა. ერთი სიტყვით „ინტელიგენცია“, „დროებას“ დაუტოვო, და „ხალხი“ ჩვენ მივიბირთ. ეს სახალხო ვაზეთი

უნდა გამოცემა კვირაში ერთხელ (გარეკობით) რა მანათათ წელიწადში ერთხელ უნდა გაემართოთ მისი ორ-სამეცხველი ცხველები. მე ვთხოვ, მოხდეთ და ამ საქმეს ხელი მოკიდო, ითხოვო ნებართვა და გაემა საქმეში მკვიდრეთ და მარჯვეთ. ფულებს და შეძლებას ვიშოვით, ღღონდ შენ კი მოდი.

მაგრამ თუ შენ/ მინდ რამე სახეირო საქმე გკონდეს ფულის ან მამულის, ნუ მოხვალ: მე არ დამაბრალო შემდეგში საქმე მჭონდა და მიმატოვებინეო. მარტო იმ შემთხვევაში მოდი, თუ ვინცილობა ერთი კვირით აქ ჩამოსვლა და საქმის დაწყობა (ახრის შეტანა და სხვა) შენ საქმეებს არ დააბრკოლებს.

ამ წიგნის პასუხს მოუთმენლათ ველი. თუ პირათ მიმობტან ამ პასუხს, მაშინ ხომ რლად!

შენი ნ. ნიკოლაე

IV წიგნილი

თფილისი, 4 ნოემბერს 1875 წ.

ძმოს აპაჩი!

რადგანაც შენ ამბობ, რომ შენ სრულიად არ გარეეხარ წრეში და თვითდამე განხე ან შორ მდგარხარ, მე რასაკვირველია უნდა „უკან ავიღო“ ჩემი უკანასკნელი წიგნის. სიტყვები. მაშასადამე ამ საგანს თავი დავინებოთ, რადგანაც შენ არ მოდიხარ აქ, ორი კვირის შემდეგ მე ჩამოვალ ქუთაისს და უფრო დამჭდობა და საუფქელიანათ მოვილაპარაკებთ, ამ საგანზედაც და ბევრს სხვებზედაც.

ყველაზე უფრო მაკვირებს შენი ვაშწარებული სიტყვები: სამუდამით მოგდევარო. სად მიდიხარ? მეც ბევრჯერ გამომივლია მაგნარი გამჭარება, მაგრამ, ჩემი არ იყოს, ვერც შენ შეგეძლება დღდხანს უცხოეთში დარჩენა. მაშული და ქვეყანა მალე ზელახლე მიგზიბდავს. იმ გვარ ნისლიან და ბერუღლიან მეტაფიზიკის შენ, ლტის მადლით, არა ხარ დანეუვლა, რომ შეგეძლოს ყველგან ვასპლო. ვისაც შენსავით მოყვამ აქეს ფეხ-ქვეშ, ვისიც მოქმედება ნამდვილი ქვეყნის მოთხოვნილებაზეა დამყარებული, ის, დამიჯერე, ყველგან ვერ ვასტლებს და ყოველ ნიადაგს ვერ შეთვთისება. შეიც ეს დაგემატალება, სწორეთ ისე, როგორც მე ორჯერ-სამჯერ დამემართა. მაშასადამე სიტყვა „სამუდამით“ ამოშალე შენს ხსოვნიდამ. ვასერინება კი, თუნდ ერთი წლით იყოს, ძლიერ გარგებს. აქურების სიუღდეს დაგავიწყებს, და მით საბრალო მდგომარეობას უფრო შეგებრებულს.

დიდათ მეწყინა, რომ „ბუჯე“ თინხობა არ გამოცხადე. რა გეწყობა, მაგრამ „Тиф. Вестник“-ის რატომ არაფერს უგზავნი, იმის თანამშრომლობაზე რატომ არას სწერ, — ეს

მაკვირვებს, გთხოვ ამ კითხვებზე პასუხი მალე გაეცემა.

გუშინ ივ. შეხბამ ენახე, აქ ჩამოსულა ეგზემენის დასაპერათ, მინდ კი ვერ დაუპერია, თუ ჩაუპერიათ, არ ვიცი, გახსოვს, რა ვითხარი მე შენ თფილისში, გოგებაშვილმა რომ თავის მოკვლა განიზრახა და ვერ მოახერხა?..

სხვა რა ვითხრა? ბერი რამ მაქვს სათქმელი, — და ხომ იცე, პირი წყლითა მაქვს საესე. როდემო ვერ ვიპოვებ?

ხელ-ახლად გეუბნები: ყველა მხრით, როგორც „*Тиф. Вест.*“-თვის, ისე ქართული ჟურნალისტკისთვის, ისე მომავალი ჩვენი მოქმედებისთვის ყოველად საჭიროა, რომ სამი-ოთხი დღით აქ ჩამოვიდეთ. აქ ეხლა დღეი ამბები დეა ყარლოზებია, ქართული წიგნების მბეჭდელი წრის შესადგენლად. შენ ამ ყარლოზებს უსათუოდ უნდა ესწრებოდე, თუ გინდა რომ საქმე ამ თავითვე არ წახდეს. შერე გვიან იქნება, დამიჯერე.

შენი ნ. ნიკოლაე

V წერილი

1 დეკემბერს 1877.

ძმარ პაპაძე!

დღემდე იმედი მქონდა, რომ პეტერბურგში პარადთ განახადი და მოგვლამარეკობი იმ საგანზე, რომელზედაც ეხლა ბარათით უნდა გეშესაიფო, საუბედროთ დღემდე ჩამოსვლის ნება არ მომცეს პასპორტის „*პოქებამ*“-სამი კვირა წამართვა, და ეხლა როცა ნება მივიღე, წამოსვლა აღიარე კი შემიძლია, ამიტომ რომ დაბრუნებას და ყველა თადარიგის დაწვევას დროზე ველარ მოვასწრებ, საქმე იმაშია, რომ მე მივიღე ვაზეთის გამოცემის ნებართვა, კაშპანიატ ხეირიანი შევადგინე და ეხლა ვიწყებ გამოცემას 1 იანვრიდან. შენ კარგად გახსოვს, რანაიათ მიჩრევი ამ საქმის დაწვევას, ეხლა უნდა ვითხრა, რომ ამ საქმეში შენი დახმარების იმედი ყოველთვის მქონდა და მაქვს. შენ იცე, როგორ ამისრულებ ამ იმედს, როგორ ახლობრივ და ნიადაგ მონაწილეობას მიიღებ შვეიცარიოზაში, და როგორ გამომავრებ მხარსა და ზურგს. რაკი საქმეში ვაგეობთ, აუცილებლათ საჭიროა, რომ საქმე ბოლომდე პატიოსნათ და საკებრათ ვაგეტანოთ. უკეთეს სახელს და უმწობეს ვადღენას ჩვენ ვრადგერი სხვა დაწვევა ვერ მოგვეცემს, და დროც ისეთია, რომ მტკიცე შრომით, ცოტადღენი შეცადინეობით გამარჯვებას მალე ვედრსებთ. მკითხველი საზოგადოება ისე შეჩერება „*Однор*“-ის დაწვევას, თითქო დღემდე თფილისში არც ენათ, ვახუთი არ გამოცემულყოს. ყველას მარწვინდა აქაური ვაზეთების უახრობა, ყველას სპირია ისეთი ვახუთი, რომელშიაც ვარეგანი

შნო და შინაგანი სული ნამდვილი მწერლობის ღირსი იყოს. ნიადაგი მზათ ვერცხვით უნდა სულ გლახაკი არ გამოვდგენო, ვერცხვით თავის ყურადღებას და დახმარებას არ მოგვეყულებს.

ამ საქმისთვის შენ უნდა აქ ჩამოვიდეთ, იცოდე, რომ რა ვინდ ხშირათ და მარჯვეთ სწერლე მანდლად, მიინე იმდენს სარგებლობას ვერ მოუტან ვაზეთის, რამდენსაც შენი აქ ყოფნა მოუტანს. მაგრამ იმას როგორ ვთხოვ, რომ ყოველი შენი საჭიროება და საქმე დაივიწყე რომ მარტო მე დამეხმარო. არა, ვათათე შენი საქმე, და რაც შეიძლება მალე წამოდი. სანამ ამ საქმეს ვათავებდე, მანდლემ დამეხმარე. რუსული ვახუთების კითხვა — თუ კითხულობ — ბერის მასალას მოგვეშუშე შეშენიანი და ცეცხლიანი სატყების დასაწერათ?.

რა საჭიროა ვაგავრტელო თუ რანაიათ სტატები მიინდა მივილო შენგან. შენ თვითონ იცი ეს, და რჩევა ან ჩვენება შენთვის საჭირო როდია. შენ თონდ სწერე, სწერე ყოველდღეს სწერე რახედაც ვსურდეს, რამდენიც ვსურდეს და შეტს როდი ვახუთ. თონდ კი ყოველ ნომერში შენი იყოს რამ, თუ ძმა ხარ ელ დანიარე, ნუ დაივიწყებ საჭიროებას, ნუ ვადიდებ საქმეს. დანარჩენი ყველაფერი კარგად ვაშოვა.

პირველად სტატის გამოგზავნასთან მომწერე რამდენხანს დარჩები პეტერბურგს და სიდ მოგაწიოდ გონორი, იცოდე, რომ პირველი იანვრიდან შენ ყოველთვე უფლებამ ვაქვს მივიღო „*Однор*“-ის აღმინისტრაციადამ ნიადაგ ვამვირი. მართალია, ვერ, სანამ შენ თვითონ არ დანიშნავ რა ხშირი იქნება შენი მონაწილეობა, ჩვენ არ დავგინიშნია ვამვირის რადენობა, მაგრამ მიინე ყოველ თვე ისი მანეთის გამოგზავნა ადვილათ შეიძლება. თუ აქ ჩამოხვალ თვეში თხოთმტრე თქმანი ნიადაგ გეწუნება ნიადაგივე მანამშრომლობისთვის, გონია, რომ ამ ფასით შენ კი არა ცოლითაც შეგეძლება ცხოვრება თფილისში.

როცა აქ ჩამოხვალ მე შენთვის ერთი ჩინებელი საქმე მაქვს დამზადებული. მიინდა *Однор*-ის კორაქსპონდენტათ ვაგავზავნოთ რი კვირით ხუცუბანში, რომ საჭირთველოს ოსმალეობზე და ოსმალეთის ქართველობზე ათიოდ სტატია დაწერო, და მეძრე ვაქვს წახუდე, ორდანი ნახო და იქაური ხალხი, ქვეყანა, ხნე, ჩვეულებები და სურათები შენებური ხელოვნებით ასწერო. ვარწმუნებ, რომ ეს შენი მგზავრობა ბათუმისა, ყარსისა და ვარტომისავე ისეთ წიგნს დაგაწერინებს, რომელიც სამუდამით, ჩასწერს შენს სახელს რუსული მწერლობაში. როცა შენ თავი რუსეთს თვალგამოკუდებული უყურებს „ახლათ მოპოებულ“ მხარეს, მის ხელოვნრათ ამწერს

მთელი რუსეთივე ყურს დაუდგებს. შენ თერთონ იცი, რომ ეხლა დროა ამგვარი აწერის გამოცემისა, რომ არც ერთი კორესპონდენტი ამას არ შეხებია, სამხედრო ნაწილისათვის მე სხვა მწერლები ან ვითომ მწერლები მეყოლება. მაგრამ ამგვარი ხელოვნური აწერისთვის შენ ხარ საჭირო და ამ საქმეს, ჩემი აზრით, შენსავით ვერაიან შეასრულებს. ეს საქმე შენგან მოითხოვს სამი თვის მგზავრობას და შრომას. შეუდგე ამ შრომას, და გარწმუნებ პატიოსანებით, რომ შემდეგში, როცა მისი ნაშრომი აღმოჩნდება, შენ თვითონ დამიხადლებ, რომ ეს საქმე შენთვის ვარაუდებული.

მოამწერე შენი ადრესი, თუ დიდხანს რჩებოდე მანდა, რომ ვახვთი გამოგვაზავნო. მაგრამ თუ ჩემი წრფელი აზრის და რჩევის მოსმენა არ გეწყინება, შე გეტყვი, რომ არა მგონია, რომ ეხლანდელი შენი მანდა ყოფნა ან დიდხანს დაჩქარება ნაშრომიერი გამოვიდეს. ესე იხეთი დროა, რომ ფულის პატრონები კავასისიკენ წამოსვლას ომის ვათავებამდე ვერ გაბედვენ. ომი კი, ჩემი აზრით, მარტო ეხლა იწყება. მიატოვე მშვიდობიანობამდე შავ საქმეზე ცდა, თუ გინდა რომ მისი ნაშრომი შენვე დაგჩვენს, თუ არა და ძლიერ ცუდ პირობებს ჩამოგართმევენ და დროსაც ბევრს დაგაყარგვინებენ უსარგებლო ლაპარაკში. ეხლა, რაკი საქმეზე ლაპარაკს მოვრჩი და მთელი გვერდი მრჩება თავისუფალი, ორიოდე სიტყვას გეტყვი იმ დაბრკოლებებზე, რომელიც კამპანიის შედეგის დროს დამხვდა წინ. ვერ ხომ ახალგაზრდა სომეხებმა — ჩვენმა მეგობრებმა შეთქმულება შეადგინეს და რაც ღონე და გავლენა ჰქონდათ იხმარეს, რომ საქმე ჩაეთქვათ. იონოსიანი, არწრუნე, ლამპაროვი, თამაშვეი და სხვ. პირდაპირ ქადაგებდნენ, რუსული ვახეთი იფილისში სომხის, და არა ქართველის ხელში

უნდა იქნესო, და Обачи-ი არ უნდა დაარსდესო. იმათ ქადაგებას ის ვაჟიკა ჰქონდა, არც ერთი ახალგაზრდა *Улиткин* სომეხს კამპანიაში მონაწილეობაში მიუღია. მარტო ძველები დამხმარებენ, როგორც მინტაშვილი, ყორღანოვი, თაბიოვი და სხვ. მერმე გამობრძანდა ილია „მხარშიმე“ და სომეხების კლუბში ქადაგება დაიწყო, ვიგი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ამისთანა რისკოვანხოდ საქმეში მონაწილეობას მიიღებსო, ჩოთქით დაგიმტკიცებთო, ქადაგებდა, რომ მისი ეპარული ანგარიში ფულუბის დაღუპვა იქნებაო. „შემაქმია“ სულ ფინანსი იგლოფა „დროებაში“, თავისებურათ ვერც აშქარა წინააღმდეგობა გაბედა, და არც დახმარება მოიხდომა. ერთი სიტყვით, ვინც ჩვენში „უმაწილებათ“ ითვლებიან, სომეხი ვარ თუ ქართველი, რუსი თუ თათარი, ყველამ მიწინააღმდეგა, ერთ ხმით, ერთი კილოთი და ერთი სულით. დავსხათ ყველას თავსაფი, კამპანია მაინც შედგა (მართალია, ბესარიონსაც კი ამოიბრძინა ქუთაისიდან თავისი შტატიოთ), ეხლა ალბათ ეცდებიან ხელისმომწერლების რიცხვი შეამცირონ. ეხლა ამბობენ: ნიკოლაძე ვახეთს კარგათ დაიწყებს, მაგრამ ბოლოს ვერ გაატანს, მალე მოსწყინდებაო, ან ისეთ რასმე დასწერს — დაუბრუნებო. ამ ახალ ქადაგებას იმდენი მებუღე ჰყავს, რომ ვიძებნა. ამდენი პროპაგანდისტი საღ მოიძებნა ჩვენ ქვეყანაშიო, იტყვი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ მხრითაც იმათ ისეთივე თავსაფი დაესტმება, როგორც კამპანიის შედეგით დაესხა.

მოთუთმენლად ველო შენ წიგნსა და სტატებებს. თუ ძმა ხარ ანჭარდი, რომ ბლომათ მქონდეს „ზაპასი“.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

შენიშვნები და კომენტარები

1. ნ. ნიკოლაძის წერილები (11 წერილი) აკაკი წერეთელთან დაკვლია საქართველოს ხარ შეყინორებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკი წერეთლის ფონდში № 328.

2. წერილას ავტორგრაფი ბილიანკულია, რომელსაც ვრცელს უცნობი ხელთ ადრევე გადაწერილი პირი სრულად, წერილს წელი არ უწერია, მასში დასახელებული ფაქტების (ნ. ნიკოლაძის ხელმოწერა და დაქვდილი სტატია „Капризы пера“ „ტიფლისკი ვესნიკის“ № 104, 1875 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული და სხვა) მიხედვით უესტად დაკვათარიდეო, დაწერილია 1875 წელს და წინ უძღვის შემდეგ მომდგენი წერილებს. ეს წერილი პასუხია აკაკის მერე წერილზე (იხ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 15, 1963, გვ. 64), ხო-

ლო აკაკის საპასუხო წერილია მესამე (იხ. ტ. 15, გვ. 65).

3. ივლისხმება ნიკო დილოპერიძე (1838-1911), საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ქართველი სტამბის დამასარებელითაგანი, წიგნების გამომცემელი, თერდადულთა თათბის თვალსაზრის წარმომადგენელი.

4. „დაწერე რამე ამ ლილიპუტზე-მუხრანსკიზე“, — ივლისხმება ვიორჯი კონსტანტინე-ძე მუხრანსკი (1820-1877), ფეიდალი, სენატორი, ცარიზმის ერთგული მასაური. მის წინააღმდეგ აკაკიმ ოცობა ადრე გამოაკვეთა ფელეტონი-სატირია „ენების განამართლება“ ლექსით „მუხრანდამ ვარი მოდის“ („დროება“, 1874 წ. 6 დეკემბერი, № 452).

5. ბაქრაძე — ივლისხმება ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე

(1827-1890), რომელიც იმ პერიოდში ცენზორად მუშაობდა. მისი ცენზორობის დასასასიათებლად აკაკი წერდა: „ზმირად რომ წაიციტხავდა ხოლმე ჩემ ნაწერს და ვერას ნახავდა სამიშს, შევე დამეციოხებოდა ხოლმე: თუ ძმა ხარ მიხბარი, დაფარული, საორჭოფო ხომ არ არის რა აქო?“

6. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის სტატია „აკაკიასის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ 1875 წლის № 113-ში. ნიკოლაძე ამ გაზეთის უახლოესი თანამშრომელი იყო 1873-1877 წლებში.

7. იგულისხმება „დროებაში“ (1875 წ. № № 111, 114) დაბეჭდილი ბ. ჯ.-ის ინიციალებით—მე-სართიან ჯაფარიძის კორესპონდენციით, „იუბილეი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა“.

8. აკაკი წერეთელი თანამშრომლობდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ (1873—1880 წ.წ.). ზმირად იბეჭდებოდა მასი ფელეტონები, კორესპონდენციები და სხვა. აკაკის წერილი „Из Кобулета“, შემოწმებით გაირკვა, რომ „ტიფლისკი ვესტნიკში“ არ დაბეჭდებია, როგორც ნ. ნიკოლაძე წერს, ცენზურას არ გაუშვია.

9. ნ. ნიკოლაძეს შედეგობაში აქვს გაზ. „დროებაში“ (1875, № 109) დაბეჭდილი — „დროების“ კორესპონდენცია. ბათუმი, 17 სექტემბერს“, რომელიც ზელმოწერილია: „ქ თ ბ უ ლ ე თ ი ს მ ც ხ თ ე რ გ ბ ი ი ს მ ა ი ლ თ ა მ ა ზ -ო ლ დ ი“. როგორც წერილიდან ჩანს, ნ. ნიკოლაძეს ამ წერილის ავტორად აკაკი მიაჩნია.

10. გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ ზელმოწერილად დაიბეჭდა სხვადასხვა სტატებიც საერთო სათაურით „Капрузы пера“ (იხ. 1875 წლის № № 102, 103, 104, 109, 110, 115, 118 და სხვა), რომლებიც ნ. ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის.

აკაკი საპასუხო წერილში ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „ეს № 104 კარგია, მაგრამ უფრო ძლიერ რომ ყოფილიყო სჯობდა“. აქ იგულისხმება ნ. ნიკოლაძის სტატია „Независимая печать в окрестностях Тифлиса, 6 октября“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ (1875 წ. 7 ოქტომბერი № 104).

II

1. წერილის ავტორი არა არის. ფონდში შემონახულია მხოლოდ წერილის უცნობი ხელით აღწვევად წერილი პირი. ეს წერილი პასუხია აკაკის მესამე წერილზე (იხ. იხ. ტ. 15, გვ. 85).

2. იგულისხმება გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკი“ (1873-1880), რომლის უახლოესი თანამშრომელი ნიკო ნიკოლაძე იყო (1873-1877 წლებში).

3. ბესარიონ ღლოზბერიძე (1833-1879), ენობილი საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის თავადაზნაურთა ბანკის თავმჯდომარე 1876 წლიდან — 1879 წლამდე. ნ. ნიკოლაძეს და ბ. ღლოზბერიძეს მწვავე პოლემიკა ჰქონდათ საბანკო საკითხებზე.

4. იგულისხმება ძმები ნიკო და სიმონ ღლოზბერიძეები.

5. აქ იგულისხმება № 875 წლის 15 ივლისს ქუთაისში ჩამოყალიბებული „ახალგაზრდობის ქართული თეატრის მოყვარეთა წრე“ (წრის წესდება ჩემს მიერ გამოქვეყნებული იხ. „მნათობი“, 1960, № 9, გვ. 111). ამ წრესა და აკაკის შორის უთანხმოების ქონდა ადგილი (ამის შესახებ იხ. დავით მესხის „მოგონებანი“, 1940, გვ. 85).

III

1. ნიკო ნიკოლაძის ეს წერილი პასუხია აკაკი წერეთლის მეოთხე წერილზე (იხ. ტ. 15, გვ. 69), ხოლო აკაკის საპასუხო წერილია XV (ტ. 15, გვ. 84).

2. 1875 წლის 15 ივლისს დაარსებული ქუთაისის ახალგაზრდობის ქართული თეატრის მოყვარეთა წრის წევრებსა და აკაკის შორის უთანხმოების შესახებ იხ. სურგუი მესხის VI და VII წერილი აკაკისადმი (ზელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე ტ. III, 1961, გვ. 174-177). აკაკის წერილები (II, III, IV) ს. მესხისადმი („მნათობი“, 1960, № 9, გვ. 108-109).

3. ნ. ნიკოლაძე აპირებდა ქართული გაზეთის გამოცემას „ბუკის“ სახელწოდებით, მაგრამ ცენზურული დაბრკოლებების გამო ვერ განახორციელა.

IV

1. ეს წერილი პასუხია აკაკის XV წერილზე (იხ. ტ. 15, გვ. 84), ხოლო აკაკის საპასუხო წერილია VI (იხ. ტ. 15, გვ. 71).

2. აკაკი ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „...შევიდობით, მე მინდა ხელ გავიდებ, როგორც კი მოერჩები საქმეებს, აქვდამ და ვერ „ბუკში“ და ვერ „დროებაში“ მონაწილეობას ვერ მივიღებ დღეიდან, რადგანაც მივდივარ სამუდამოდ“ (იხ. ტ. 15, გვ. 85).

3. ივანე მესხი-სურგუი მესხის ძმა, ქურჩაღისტი, საზოგადო მოღვაწე, აქტიური მონაწილე ქუთაისის ახალგაზრდობის წრისა, რომელთანაც აკაკის უთანხმოება ქონდა.

V

1. წერილი დაწერილია ნაბეჭდ მტამიან ქალაქზე წარწერით „Обзор“. Ежедневная газета. По редакции. Тифлис № 3 — ხელით მიწერილია: „1 დეკემბერს. 177“. ნიკო ნიკოლაძემ მიიღო ნებასთვა თბილისში რუსულად გაზეთ „მონათობის“ გამოსაცემად; 1878 წლის 1 იანვრიდან იყო გაზეთის გამომცემი.

2. აკაკი, იმ პერიოდში, 1877 წლის ბოლოსა და 1878 წლის დასაწყისში, პეტერბურგში იმყოფებოდა.

3. „მშაყი“ — სომხური გაზეთი თბილისში (1872-1920 წ.), რომლის რედაქტორი იყო სომეხთა საზოგადო მოღვაწე გრიგორ არწრუნი (1892 წლამდე).

ღვანე ასათიანი

უბის წიგნაკიდან

ათი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლის ღვანე ასათიანის გარდაცვალებიდან.

ამ თარიღთან დაკავშირებით „მნათობი“ აქვეყნებს ნაწევრებს მწერლის უბის წიგნაკიდან. ცალკეული ჩანაწერები დაბეჭდილი იყო „მნათობის“ 1060 წლის მე-8 და მე-12 ნომერებში.

გერონტი კიკოძე მუშაუნება:

— ეხლა მე ვწერ ჩემს მოგონებებს. შექნება უკვე სამი ფორმა დაწერილი. სულ ალბათ 10-15 ფორმამდე იქნება. არ მინდა, რომ ეს მოგონებები პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფაქტების მშრალ წესხას წარმოადგენდეს. მე მინდა ეს უფრო ადამიანური დოკუმენტი იყოს. ამიტომ გვერდს არ აფუთვლი ჩემს რომანტიულ გატაცებებსაც, მშრალ მძაფრ ტრავიულ განცდებსაც, ამასთან დაკავშირებულს.

დაწერ, მხოლოდ ჩემს სიცოცხლეში არ გამოაქვეყნებ, რადგან ბევრი რამ იქ ჩემი ინტიმური ცხოვრების ამბავიც იქნება. მე მინდა დავტოვო ანდერძი, რომ ეს მოგონებები გამოაქვეყნო შენ, ჩემო ლევან... შენ გენდობი, მოთვლი და გამოსცემ მას, როგორც საჭიროა...

ჩემთვის მოთვლილელია ეს სიტყვები:

— გერონტი დიმიტრი, — ვუბნები მას აღერსით, სიყვარულით, — მე მინდა, უპირველეს ყოვლისა, მადლობა მოგახსენოთ ნდობისა და პატივისცემის, რომ ამ საქმეს მიაღებთ, მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ მე თქვენზე ადრე არ წავალ ამიერ ქვეყნიდან? ამ საქმეში უმცროს-უფროსობა ბევრ შემთხვევაში არაფერს ამბობს.

— არა, მე ეხლა სამოცი წლისა შეგსრულდა, შენზე თხუთმეტი წლით უფროსი ვარ და ბუნებრივია, რომ მე უფრო ადრე გავუდგები გზას.

— მეორეც ისა, — განავარძობ ჩემს სათქმელს, — რომ თქვენი მოგონებები, ბატონო გერონტი, იმდენათ საინტერესოა, რომ ის თქვენ სიცოცხლეშივე უნდა გამოაქვეყნოთ,

როგორც კი დაამთავრებთ, მაშინვე. თუ მოლიანად არა, ფრაგმენტების სახით მაინც.

მიტინვის შემდეგ, მარაბლის ქუჩაზე.
28. 6. 45

ლევო კიკიაშვილის ბავშვობაზე

ლ ე ვ ა:

— სოფელში სამი ნაჭერი სახანავი მიწა გექონდა, ზღუდლის დასაწყისში ქუთაისის გომნაზიაში სწავლის დროს, არდადეგებზე რომ დაებრუნდებოდი, ერთ-ერთ მიწის ნაქვეთს მივიჩნევებდი, წისქვილით ვმარჯავდი, ვამორებდები, საგულდაგულად ვუვლიდი. მახსოვს ქვეყაზე 15-20 ფუთი მოგვდიოდა. ეს კარგი მოსავალი იყო.

არც პოს ამბობს, არც არას!

მწერალთა კავშირში ლიტერატურულ დილაზე, კონცერტში, ღებმა იშხნელეგმა, სხვათა შორის შეასრულეს სიმღერა ი. გრიშაშვილის „არც პოს ამბობ, არც არას“, ი. გრიშაშვილი გვერდით მიქდა, მიაშხო:

— ეს ლექსი დაწერილი მაქვს საჩხერეში სილაპაშთ სახელგანთქმულ მარტისა წერეთელზე (თავად ფრიდონ წერეთლის მეუღლემ). მარტისა თავად მაქუტავის ასული იყო, მშვენივით აღსავსე, მომხიბლავი ბანოვანი. ნიხი ხმა ჰქონდა, თეთრი ხელები.

სრულად აბაღაზრდა ვიყავი, პირველად რომ გავიცანი. უზომოდ მომწონდა, ხელზე რომ ვეკოცებდი, ის შუბლზე მეამბორობოდა ხოლმე. სულ ვოცნებობდი, ნეტავ შუბლის მაგიერ ბაგეზე მაკოცებდეს-მეთქი. ამაზე დავწერე „არც პოს ამბობს, არც არას“.

მასვე მიუძღვენი ლექსი „უცნაური ბარათი“.

გრიშაშვილის წარწერა

ი. გრიშაშვილმა თავისი ლექსების ერთობ-
მეული მიძღვნა უცნაურთა წარწერით:
„ლევან ასათიანს.“

მე ვკოცნი შენს ნიჭს,
ავტორა.

აპაკი და ი. გრიშაშვილი

ი. გრიშაშვილს ვეთხარა, როცა თინამ ნახა
შენი წარწერა წიგნზე, ასე სთქვა: გრიშაშვილს
არ შეუძლია, რომ უველგან „კოცნა“ არ გა-
ურთოსო.

სოსომ გულიანად გადაიხარხარა და მიამ-
ბო:

1913 წელს ლადო მესხიშვილის იუბილე იყო,
მე ლექსით მივესალმე სცენაზე. ამ დროს
აკაი პარტერის პირველ რიგში იჯდა როცა
ლექსის კითხვის დროს მივედი იმ სტრიქონზე,
რომელიც თავდებოდა სიტყვით: „ამომტყო-
რცნა“, აკაის გვერდით მჭდომისათვის გადა-
ულაპარაკნა: ნახე, თუ ეხლა გრიშაშვილმა
შემდეგ სტრიქონში „კოცნა“ არ იხმაროსო.

ასევე მოხდა შემდეგ სტრიქონში ამომტყო-
რცნა მე გართომული მჭონდა სიტყვასთან „კო-
ცნა“.

ი. გრიშაშვილის რუბაია

გვანტე ნინოშვილის 20 წლის საიუბილეო
საღამოზე, ოპერაში კონცერტის დროს სოსომ
გღმომცა პროგრამა, რომლის უკანა გვერდზე
ეწერა:

„ლევან ასათიანს
(რუბაია)

მე ვკოცნი შენს ნიჭს,
შენს ძვირფას სამ ბიჭს
და გიჭებ, ძმაო,
ვიყაყურ ნაბიჭს.
თ. გრ.“

— ეს გამოწვეულია თქვენი შენიშვნით, —
უბნებდა იგი თინას, თითქოს მე უველგან
„კოცნა“ უნდა გავუროო.

18. 1. 1950.

ლევო აბაიშვილის და სანდრო შანშიაშვილის პირველი შეხვედრა

ლევო კვიციანი:

— სანდრო შანშიაშვილის სახელი ჯერ კი-
დედ მის ვაცნობამდე მჭინდა გავგონილი. მე
ძალიან მიყვარდა ზოგიერთი მისი ლექსი. იმ
დროს მე შევიცარაში ვცხოვრობდი, როგ-
ორც ემოვანტი. სწორედ იმავე ხანებში სან-
დროც ჩამოვიდა, მხოლოდ ის გერმანულ ნა-
წილში ცხოვრობდა, მე კი ფრანგულში. ერთ

დღეს ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. დღის სე-
ლიაშიელმა გაგვაცნო ერთმანეთი. დამიწერია
ჩემთვის ეს პირველი შეხვედრა სანდროსთან.
ჩემზე განუზომელი შთაბეჭდილება შექმნილი
მისმა დიდმა, ფართოდ გაღრმავებულმა
თვალებმა, რომლებიც შემოქმედებითი ცეცხ-
ლით იყვნენ ანთებულნი. მას შემდეგ ორმოც
წელზე მეტმა დრომ განვლო და ახლაც ცხო-
ვლად აწინა ჩემს გულს ეს პირველი სიხარუ-
ლი სანდროსთან გაეცნობისა.

„ჯაჟოს ხიზნების“ სურათი

გერონტი კიჭოძე:

— ახალდაბადი ცხოვრობდა თავადი კოლი-
სტეპიათაშვილი. მეტად ლამაზი, ახალგაზრდა
ცოლი ჰყავდა. მე ბევრჯერ მიწახვეს, შესანი-
შნავი ჭალი იყო. თავადი ხანშიშესული იყო.
მას ახალგაზრდა ლამაზი მოურავი ჰყავდა.
გვარად ნეშაძე. თავადის მეუღლე ამ მოურა-
ვისათვის ცხოვრობდა. მოურავმა, რასაკვირველია,
თავადის ხარჯზე, ქვიშვითში სახლი აიშენა,
მამული შეიძინა. რევოლუციის შემდეგ მან
თავადის მეუღლე სულაც წაიყვანა. მოხუცი
თავადიც მერე მასთან ცხოვრობდა სახლში.

ეს ისტორია მე ვუამბე მიხეილ ჯაჯაბიშვილს.
ამის საფუძველზე დასწერა მან თავისი მოთ-
ხრობა „ჯაჟოს ხიზნები“.

აზარიისი დუბაბე

გერონტი:

— ლეიპციგში სწავლის დროს ჩვენთან ერ-
თად სტუდენტად იყო გურული ახალგაზრდა.
გვარად დუმბაძე. დიდი მოხერხებული ყმა-
წილი იყო. დაუმეგობრდა გერმანულ სტუ-
დენტებს, ერთი გვარად კურტი იყო, მეორე —
კორტი. კურტი მდიდარი მექარხნის სიძე იყო.
დუმბაძეს სამი ბიძა ჰყავდა, ორი მათგანი —
გენერლები. ისინი თვეში თორმეტ-თორმეტ მა-
ნეთს უგზავნიდნენ. ეს ფული, ცხადია, საცმა-
რისი არ იყო ლეიპციგში საცხოვრებლად.

ერთხელ ამ დუმბაძემ დიდი სადილი გამი-
რთა. უკანასკნელი ფულები დახარჯა, მოიწვია
მთელი თავისი ამხანაგები, მათ შორის გერმა-
ნული სტუდენტი კურტი, შუა სადილზე მას-
პინძელს დებეშა მოუვიდა. ის მოიღუპა, მაგ-
რამ არაფერი თქვა. ყველაზე დაინტერესდნენ
კურტი ჩაივიდა, გვითხარა დუმბაძის შინა-
არსიო. ბილოს, როგორც ეწია, ვითომ იძუ-
ლებით, დუმბაძემ გააცნო მას დუმბაძის შინა-
არსი. ზუგდიდიდან სწერდნენ: შენს კარბანებში
მუშების გაფიცვა გამოიტყდა და მუშაობა
შეჩერდაო (ეს ამბავი 1905 წელს ხდებოდა).
დუმბაძემ მწუხარედ თქვა, ეხლა ფულიც არა
მაქვს, რომ სასწრაფოდ გავემგზავრო და სა-
ქმეები მოვარიგოო. კურტს შეეცოდა და უთბ-

რა, არ შეწყნებდ, ჩემს სიმაჰის გამოყვარებზე და გასესხებო. მართლაც, მეორე დღეს დიდძალი თანხის საბანკო ჩეკი მოუტანა. ამ ფულთ გამოემგზავრა საქართველოში დემბაძე. ცხადია, ზუგდიდში არაერთი პარტნიერი არ ჰქონდა. ლეიპციგიდანვე გამოუგზავნა მისივე ამბავი და დეპეშა, რომელთადაც წინასწარ იყო მოლაპარაკებული.

კვიშეთი 20 გვ. 1053

დუმბაძის ხმა ზრიკაში

გ ე რ ო ნ ტ ი:

—სამშობლოში გამოგზავრების წინ, დუმბაძე ცნობილ გერმანელ მეცნიერს კარლ ბიუხერს შეხარდა, საქართველოდან შრომის სიმღერებთან დაკავშირებულ ხალხურ ლექსების ნიმუშებს ჩამოგიტანო, ოღონდ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისადმი მიწერილობა მომეცი, რომ ამ საქმისათვის ვიგზავნებო. კარლ ბიუხერს თავისი ცნობილი წიგნისათვის „მუშაობა და რიტმი“ მასილა მიაცილა სტუდენტმა ფილიპე გოვიჩიშვილმა. ახლაც იფიქრა, ეს უმაწვილი ვარგ მასალას ჩამომიტანსო და მისცა მიწერილობა.

დუმბაძე გამოემგზავრა რუსეთში, თან ევლაც გერმანელი ექიმი წამოიყვანა, ვითომ პირადი ექიმის მოვალეობის აღსრულებელი. ეს მას სპირდებოდა ზედმეტი განდიდებისათვის, როგორც „მდიდარ მექარხნეს“. ამ „სამეცნიერო“ მგზავრობიდან, როგორც ჩანს, მან დიდი გამორჩენა ნახა. რასაკვირველია, არავითარი ხალხური ლექსები მას საქართველოდან არ გაუგზავნია ბიუხერისათვის.

კვიშეთი, 20. VIII. 53

სუბსომლინოვის ანაზღა

გ ე რ ო ნ ტ ი:

—პეტერბურგში ყოფნის დროს დუმბაძე დაუახლოვდა სამხედრო მინისტრის სუბსომლინოვის ცოლს და მისი საყვარელი გახდა. დუმბაძე ლამაზი უმაწვილი იყო და ქალებს ძალიან მოსწონდათ, მართლაც, სუბსომლინოვის ცოლს ძალიან უყვარდა იგი. მისი საშუალებით სუბსომლინოვისაგან დუმბაძემ პირველი ომის დროს ფრანკ საპასუხისმგებლო და გამოსარჩენი დავალება მიიღო — იარაღის შექმნა ამერიკაში. დუმბაძემ ამ შეკვეთის საიდუმლო მიჰყიდა გერმანიის დაზვერვას, რითაც ყოვლად საზოგადოებრივ გამცემლობა ჩაიდინა. ამის შედეგად ის მიხვდა, რომ რუსეთის ქარში ამერიკიდან მიიღო სულ სხვა ფალების უზმარებები, ვიდრე ეს სჭიროდა რუსეთის არტილერიას. ეს გამცემლობა გამოემდგინებოდა იქნა 1916 წლის დამლევს და დუმბაძეს ჩამოხრჩობა გადაეწყვიტეს. მაგრამ მას მოუწერია 1917 წლის რევოლუციამ. დუმბაძემ დროებითი შთავრობის ხე-

ლისუფლებას განუცხადა, რომ ის მოელოდა არა მერკანტილური მიზნებით, არამედ როგორც ქართველი ნაციონალისტი ის გამოემგზავნა. ბოლშევიკებს ვერაფრით გადუმგზავნა. მაგრამ მას რემინციის სახელით ფიქრს დაუწყებდა და არ გაპარულიყო უცხოეთში. გერმანიის დამბრუნების დროს, როგორც ამბობენ, მას თავისი ძველი ვალი გადაუხდია კურტისათვის, რომ მისი „პატროსანი“ სახელი არ შებღალულოყო, ამის შემდეგ ის წაიდა ამერიკაში. იქ მას, როგორც ვაიფერას და ბიზნესმენს, უამრავი ქონება შეუძენია.

გარდაცვალების შემდეგ, მას, ამბობენ, 27 მილიონი დოლარი დარჩენია.

დუმბაძის ამბები თავის დროზე მე უვამბე მიხეილ ჯავახიშვილს. ბევრი რამ ამ ამბებიდან მან გამოიყენა თავისი „კვაკვი კვაპანტირაძეში“.

კვიშეთი 20. VIII 1953

მინსკაში

გ ე რ ო ნ ტ ი:

— 1921 წლის თებერვალში, როცა მენშევიკების ქარებმა თბილისი დასტოვეს, ქალაქში ვიყავი. ლენინის მოითხოვებით, ვარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული იმ დღეებში, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინათ ნოე ეორდანიასთან, შუამნხმების საკითხებზე ლენინის წინდადება შემდეგი იყო: შემდგარიყო საქართველოს შთავრობა პარტიეტულ საფუძველზე ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან, შექმნილიყო ქართველი წითელი არმიის ნაწილები.

ეორდანიასთან მოსალაპარაკებლად გავგზავნენს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: მიხაკო წერეთელი, მე, გიგო ნათაძე და თედო დლონტი. ჩვენ წამოვედით და მოვალეფიეთ ლიბის მიდამოებამდე. წითელი არმიის შტაბი ლიბის სადგურში იდგა. მაგრამ ჩვენ ვერ შევედით ფრონტის გადალახვა, რადგან ბრძოლა სწარმოებდა და ჩვენმა პარლამენტორმა ვერ შესძლო დაკავშირება მენშევიკების სარდლობასთან. ლიბის სადგურზე რამდენიმე ზანს ვიყავი. შტაბის უფროსმა გვითხრა, რომ მენშევიკებს სუცხობო ოფიცრები ჰყავთ. მაგრამ ქარისკაცები არ უფერავათ. მასსოცს, ჩვენს იქ ყოფნაში შივიდა ორდინარეცი და მოიტანა ამბავი, რომ ჩვენმა ნაწილებმა წითლის სადგური აიღესო. უფროსმა წითელარმიელს სამხარებლოდ ერთი გირვანქა პური უბოძა.

ჩვენი დელეგაცია დამბრუნდა თბილისში და მეორედ გამოემგზავრა რამდენიმე დღის შემდეგ. მხოლოდ საყავახოში შევედით ფრონტის გადალახვა. იქ ვნახეთ ნოე ეორდანიას, ის სალონ ვაგონში იჯდა, ფეხებზე პლუდი ეხურა. ელაპარაკებოდა თედო დლონტს: დიდი ზერტეუ და ამაყებული ვაიცი იყო ეს დლონტი, მოლა-

პარაკებიდან, მახსოვს, არაფერი გამოვიდა, რადგან ამ დროს ბათუმში უკვე მოსული იყო საფრანგეთის სამხედრო გემი მენშევიკების მთავრობის წასაყვანად.

მიხაკო წერეთელი თან წაყვება მათ უცხოეთში. ჩემის აზრით, ჩვენი დელეგაციის წევრობაჲ მან იმისთვის გამოიყენა, რომ ფრონტის ხაზს ვადასულებო და გასცლოდა ბოლშევიკებს.

ქვეშევითიდან რომ ვაკლებდი, ბილიკზე ჩასვლის დროს, ძველი ამბების გახსენება

20. VIII. 1952

ცაცია— გრიშაშვილი

o. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი :

— მე ცაცია ვარ. მარჯვენა ხელით მხოლოდ წერა შემიძლია, დანარჩენი საქმისათვის მხოლოდ მარცხენა მუშაობენ. მიმანემოდ ცაცია იყო, ჩვენს უბანში მას ცაცია გრიშას ეძახდნენ. საუცხოო მოკრივე იყო. ცაცია ხელით ურტყამდა. ღვინოს არ სვამდა, ალბათ, მისგან მომდგამს, რომ არც მე ვარ ღვინის მსმელი:

ჩემს ცაცობაზე ვიამბობთ:

ერთხელ, ახალგაზრდობისას, „ციმბირელში“ ეთამაშობდი პეტრეს როლს. ერთ ადგილას პეისაში ჩემს სატრფოს ვუთხარი: „აი ამ მარჯვენით შევინახავთქო“. მთელმა დარბაზმა სიცილი დაიწყო, თურქე ცაცია ხელი მჭონდა აწეულად.

ქვეშევითი. პიონერთა ბანაკში. სვირნობის დროს.

19. III. 1952

o. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი :

— ვანო სარაჯიშვილზე დაწერილ ლექსს, რომელიც ამასწინათ ოპერის თეატრში წარმოვსთქვი სარაჯიშვილის საღამოზე, ჩერ ვერ დავბეჭდავ, სანამ ერთ რითმის არ გამოვცვლი. ის რითმა სხვა ლექსში მაქვს გამოყენებული და იმითმ.

— როგორ, ნეთუ ერთდაიგივე რითმა არასოდეს განვიმეორებია?

— არასოდეს, ყველა ჩემს ლექსს საყუთარი რითმები აქვს. ისინი სხვაგან აღარ მეორდებიან, არა თუ ორიგინალურ ლექსებში, თარგმანებშიაჲც მე ვცდილობდი ახალი, მინამდე ჩემ მიერ უბმარი რითმები შეხმარა.

ერთხელ კ. გამსახურდიამ მითხრა, როცა ოვანეს თემანიანის თარგმანები გამოვეცი ცალკე წიგნად— „არ დავგანანა ასეთი კარგი რითმები, რომ დავიხარავს თარგმნილი ლექსებისათვის“

მაგრამ მე სხვაგვარად არ შემეძლო, თორემნიც ხომ ჩემი ლექსია სანახევროდ, თუკი მარჯვენია, მიფიქრია, ქართულად ამედაწერება?

სახუბრე ტელეფონური
9. 12. 1944.

ხმობა დაღბას

o. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი :

— ბორჯომში ერთი დალაქი შპარასეს, სულ იმისთან დადღივარ. ერთხელ შემეხვეწა, რა აქნება, ერთი ლექსი დამიწეროთო, მეც ხათრი არ გაუფრთხე და აი ეს ლექსი ვუძღვენი:

მომივლია ბუერი დაბა-ქალაქი,
არ მინახავს შენისთანა დალაქი...

(შემდეგ ტექსტი აღარ დამამახსოვრდა, 8-10 სტრიქონამდე იქნება სულ მთელი ლექსი: — ლ. ა.)

დალაქი ძალიან კმაყოფილი დარჩა და მეც მსიამოვნებს, რომ ვაჯახარე. ყველაზე რაიმე დაწერილი და დალაქის შრომაზე კი არავის უწერია, თითქოს მათი შრომა დასაფასებელი არ იყოს. რა დაწავებს საწყალმა დალაქებმა?

ქვეშევითი. პიონერთა ბანაკში სვირნობის დროს.

19. VIII. 53.

ჩემი პირველი კრიტიკოსები, იცო, ვინ იყვნენ? ერთი ქორეოლიანი იყო, ქართული თეატრის სცენარიუსი, მეორე კიდევ მეკიოსყე სიმონა, ქართული კლუბის შესავალში ჰყიღდა ვაზეთებს. მივიღოდი, ვუკითხავდი ლექსებს, მის შენიშვნებს გულდასმით მოვისმენდი, ჩავიწერდი, შერე მის მიხედვით ვასწორებდი ლექსებს.

ბოლოს ჩემი მეკიო კრიტიკოსები იყვნენ ახალგაზრდა ქალები. ჩემი ლექსები ზეპირად ვიციოდი, როცა შევხვდებოდი მათ, ვუკითხავდი და თანაც სახზე ვაკვირდებოდი. გამომეტყველებდაზე ვამჩნევდი, რა მოეწონებოდათ და რა არა.

ერთ-ერთ ასეთ კრიტიკოსად მყვანდა ოლია თოიძე, რესტორან „პურ-ღვინოს“ პატრონის ალექსანდრე თოიძის ქალიშვილი, ცოლისდა შალვა აფხაიძისა. ეს ალექსანდრე თოიძე ლექსებსაც წერდა, „სანდრუა ბიქს“ აწერდა ფსევდონიმიად. ყველა ქართველ მწერალსა და ლიტერატორს იცნობდა. ქართულ ეჭრანა-გაზეთებშიაც წერდა. ერთხელ მან თავის რესტორანის რეკლამაც კი გალექსა და ისე გამოაკრა რესტორანში.

არუსთაველის პარსპეტზე სვირნობის დროს.

10. 12. 44

აკაის სახელი არც კი გამეგონა, გვიმშვილი-
სა და სკანდარნოვას ლექსებს რომ ვიცნობდი,
— მიხობა ი. გრიშაშვილმა, — ესენი მოდიოდ-
ნენ მაიმჩემის ტუქანში, ღვინოს სვამდნენ, მერე
მთვრალეები თავიანთ ლექსებს ამბობდნენ. სკან-
დარნოვა ოთახების მითითვი იყო, იჯარით იღებ-
და ხოლმე ამ სამუშაოებს. ქმუხი, გაუცინარი
კაცი იყო.

პაზირა! კარგად ვიცნობდი. მისი სახელი და
ვეარი იყო აბრამ აბრამოვი. პაზირა — ფეხვედო-
ნიმი, თვითონ გამოიგონა. ოსმალური სიტყვაა
ნიშნავს „მზათა ვარ“-ს. როცა მიმართავდნენ
ლაუკარიო, ისიც წამოაბებდა „პაზირა“ — მზა-
და ვარ, დაუკარაო.

ილია ჭავჭავაძე პაზირას იცნობდა და მოს-
წონდა მისი ლექსები და სიმღერა. ილიამ მას
დააწერინა ავტობიოგრაფია და „ივერიაში“
დაუბეჭდა. პაზირა ამბობდა, შე კახეთიდან ვარ,
აბრამიშვილიო. ჩემი და ქართულად მონათლეს,
მე კი სომხურადაო, ეს იმიტომ, რომ ჩვეულებ-
ა იყო ასეთი. თუ ოჯახში ერთი სომეხი ერია,
შვილებიდან ვაჟს სომხურად ნათლავდნენ,
ქალს კი მართლმადიდებლურადაო.

მამის ახალგაზრდა ვიყავი. ერთხელ „სახალ-
ხო გაზეთის“ რამდენიმე თანამშრომელი ორ-
თაქალაში წავედიო პურის საქმელად. პაზირა
მოიფანჯნეს თავისი დასტით. პაზირას ხმა უკვე
აღარ ჰქონდა, რეჟიტატცივით ამბობდა ლექსებს,
მაგრამ ჩემზე მინც ღრმა შთაბეჭდილება დას-
ტოვა.

„არ მიყვარს, არა, არ მიყვარს,
კაცი ორპირი, ცბიერი,
არ შეეჭამ მე იმის პურსა,
თუ გინდ ვეცდებოდე მშვიერი,
არ გავცემ ხმასა გულახდით,
არ გაიღვიძოს მძინარეშ,
არც იმის ხიდზე გაივლიო,
თუ გინდ დამახრჩოს მდინარეშ“.

იეთიმ-გურჯიცი ჩემი მეგობარი იყო. მისი
ცნობილი ლექსი „გამარჯობა, ჩემო ტფილის-
ქალაქო“, შე შევიტანე წიგნში „ძველი ტფილი-
სის ლიტერატურულ ბოქმში“ და ბოლო შე-
ვასწორე. იეთიმს ჰქონდა:

„გავიდული ორპირ მეგობრისაო
დაბლიშვილი იეთიმ-გურჯი მოვედი“.

ჩემ წიგნში ასე დაიბეჭდა:

„გამარჯობათ! იეთიმ-გურჯი მოვედი“

ამ ერთი სიტყვის ცვლილება იეთიმს შევე-
თანხმე. მან მიხობა: გასწორე, გენდობიო.

როცა იეთიმის ლექსების პატარა კრებული
გამოეშვა გამოცემლობა „მროში“, მგონი,
1927 წელს, იქ მას ამ ლექსიდან გამოუტოვეს
სტრიქონი:

12. „მნათობი“, № 6.

„დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ჰმისაო“.

ჩემს წიგნში ეს სტრიქონები ცალკედაცნენ და
ისე დაიბეჭდა.

ს ი ნ ა მ ა რ ი ა

ქართულ თეატრში რომ შევედი, ახოსპირელი
იყო სუფლიორად, მე მის თანამეგობრე მამილეს
ბეგლარი ძალიან სვამდა. ასეთი ჩვეულება
ჰქონდა: კარგად რომ დათვრებოდა, მერე საკონ-
დიტროზო შევილიდა, ერთ ჭიქა რძეს დაყო-
ლებდა და ისე წავიდოდა შინ. არ ვეცი, ეს გა-
მოფხიზლებაში შეველოდა თუ ღვინოს მონე-
ლებაში.

ერთხელ მთაწმინდაში დამთვრალიყო, ზრამში
ჩავარდილიყო და ფეხი მოეტეხა. მისი მეგობ-
რები მისიხობები ეთიქედ და გვარაძე დასცინოდ-
ნენ: შენც რაღა, ბარათაშვილობა მოინდომეო.

ახოსპირელი მთელი ოთხი თვე აღარ მოსუ-
ლა სამუშაოდ. ფეხის ტყენაზე მე მას ვარძელი
ლექსი გამოეუთუქვი და თეატრში კედელზე წა-
ვაწერე. როცა დაბრუნდა და ნახა, იქვე გვერ-
დით წააწერა პასუხი, სიდაც მშვერდი, ეხლა ვა-
მითავისუფლებიხარ, შენ ისერიწე, მე ვიმუშა-
ვებო. ეს იყო ჩვენი სახუმარო გაბეჭკრება.

ერთხელ, როცა ახოსპირელის მავიარად ესუ-
ფლიორობდი, „დედის ერთი“ მიდიოდა. ფარდა
რომ გადასწიეს, შე ამ დროს სუფლიორის „ბუღ-
კაში“ ვიჯექე, წინ პეესა შედო. ფარდის ბოლო
წამოვლო წიგნს და მისი დაშლილი ფურცლები
მთლიანად წაბეჭდა. რაღას ვიზამდი, იძულებული
გავხდი მთელი პეესა ზეპირად შესუფლიორებინა.
კარგი, რომ ლექსით მახსოვდა, რადგან მე თი-
თონ შრავალყერ მქონდა ნათამაშვეი, ქალაქის გა-
რეუბნებში.

10. 12. 44.

საღამოს ჭიქა ღვინოზე მასთან. მე და
რამდენ გვეტაძე. ოსები დროვამოშვე-
ბით ეუბნება დისწულს: „ანი, მოუტანე
სტუმრებს ჩაი“. ამაზე ანა გულით იცინის:
კარგად დაგიწერეს „ნონანში“ შენ და
აბაშელს, რომ ჩაი და მაწონი ვიყვარო,
აცაღე, თითო ჭიქა ღვინო დალიონ სტუ-
მრებმა.

ი. გ. ი შ ა შ ვ ი ლ შ ა მ ი თ ხ რ ა :

ვანო სარაჯიშვილმა რომ პირველად იმღერა
ჩემი „გენაცვალე“, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი,
20-21 წლისა. პარტურში ვიჯექი, ხალხმა ცქერა
დამიწყო. მე შემრცხვა, ვაწვითლდი, სკამში ჩა-
ვიწიე, მზად ვიყავი სულ ჩავმძვარალიყავი.

გორში, ლიტერატურულ საღამოზე, რო-
ცა „ცენაზე ვიდაც „გენაცვალეს“ მღე-
როდა.

21. 12. 44.

გორში, თეატრის ბნელ კედლებში გავლის დროს, ი. გრიშაშვილი ხუმრობით მეუბნება მუხისბის:

„მამ გავგინათუ, ძვირფასო ლეენ,
ბორბოტი კაცი არ დაილევას“

„ბორბოტი კაცი“ (იციინის ხმამაღლა) სტრიქონის გასამართავად ვითხარბო.

21. 12. 44.

კოტე ხახანაშვილი ამბობს, რომ თბილისში, წმინდა ნინოს სასაფლაოზე, ერთი—ძველის ქვას ასეთი ეპიტაფია აწერია:

«Прохожий, остановись! Сядься, отдохни на травке около меня. Помни, ты—гость, а я дома у себя».

ამაზე იოსებ გრიშაშვილი ვეუბნება: „ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის რომ ვიყავი, ბევრი ეპიტაფიები შემიბოხებია. უამრავი ხალხი მოდიოდა ჩემთან შვე სოფლიდან და ძაღლის უბნიდან, მიკვთავდნენ საფლავის წარწერებს. ჩემი ეპიტაფიები მრავალადა პეტრე-პავლეს და კრწანისის სასაფლაოებზე. ჯერ უფასოდ ვაყუთებდი, მერე გასამრჯელოს მიადევდნენ. ცნობილი პოეტი რომ გავხდი, თავი დაეანებე, მრცხენოდა, აღარც შეირდებოდა.“

ამ რამდენიმე წლის წინათ სასახლის ქვნიანუ, ბინანუ ერთი მოხუცი დედაკაცი მომადგა, მთხოვა: შენთან მომასწავლეს, საფლავის ქვის წარწერა გამიკეთო.

შეშებრალა, გავუკეთე.

ჩემს ლექსში „უნიბისფერი სიღამო“ სამი ეპიტაფია მაქვს მოყვანილი. ეს სწორედ ამ ახალგაზრდობის დროს შეთხზული ეპიტაფიებია, ახალი რედაქციით სახეშეცვლილი. ლექსი 1916 წელს მაქვს დაწერილი. აი, ის ეპიტაფიები:

1. „ამა გვადრუც ქვეშ დაემარბე წელი, —
უნდო საწუთროს ვინ მივდობა!
სხვა რალა დამრჩა შესახვეწელი:
გთხოვ, წამიოხებელი, მითხარ შენდობა!“
2. „ბედმა დამფურცლა ბედის მქვენელი,
შენ მაინც, სატრფოვ, დრო-გამოშვებით
მოდი, იხილე ეს ლოდი ბნელი,
მოდი, დამხედ ჩვენი ბავშვებით“.
3. „შენ ნუ იდარდებ, შენი ცვენა-მე,
მეც შენთან მოვალ დღესა თუ ხვალე“

21. 12. 44.

ვაგონში, გორიდან რომ მოვდიოდით, კოტე ხახანაშვილი გვიჩვენებს, თუ როგორ ვითხულობდნენ წინათ სახარებას. როგორ მოსთქვამდნენ ზარით და სხვა.

ამაზე ი. გრიშაშვილი ამბობს:

„მამა რომ გარდამეცალა, დედაჩემიც სწორედ ეგრე ვაპმით მოსთქვამდა მის კუბოზე. დიდხანს მოსთქვამდა, შეშეცოდა, მიველა, ხელა

მოვიკიდე, გეყოფა-მეთქი ტირილი. მითხარ: დამაცა, შევილო, წესიაო“.

მეჩვენებენ
შემჯობენ

ი. გრიშაშვილი მეუბნება:

„გამიგონია, ნიკო ხინაშვილი კორნელი კასრაძემ მოვლა, ტერორისტი იყო. ლექსებსაც სწერდა, ბუდედა „ნელიას“ ფსევდონიმით. შემდეგ ის საღდაც“ ვიდააკარგა. ამბობდნენ, უცხოეთში გიქცა, იქვე მოკვდაო.“

ვაგონის კენჭულში ცალკე სკამზე ესდებოდა მე და ი. გრიშაშვილი. მატარებელი მიდის, დამდებია. ფინჯარაში მოსხანს თოვლით დაფენილი ველები. შორს, სივრცეში აქა-იქ ბუტუვს სინათლე. ი. გრიშაშვილი მიამბობს თავის ცხოვრებიდან ფრაგენტებს. აი რაც დამამახსოვრდა:

1

შაჰანგეს (შამის შამას) დათია რწმევი. დედისაგან გამიგონია, რომ ეს დათია ოღესლაც იმერეთიდან გამოქცევი თავის ბატონს, ქალაქში მოსულა, ხარფუხში დასახლებულა. გვარად მამულაშვილი ყოფილა.

შაჰანგეს გრიშა ერქვა. ის ცნობილი იყო მთელ ხარფუხში როგორც მოკრივე, დარღიშანი ვეყავი. ლამაზი იყო, ჩახსკენილი. კაცი ერთ დროს მეტოქე არ ჰყოლია, თუმცა ცაცია იყო (მეც ცაცია ვარ, თუმცა მარჯვენა ხელით ვწერ, მაგრამ საქმის კეთება უფრო მარცხენა ხელით მეხერხება).

შაჰანგეს ერთხელ კრივი კაცი დაუშავებია. როცა მოწინააღმდეგე მარჯვენა მუშტი მოუქნევია, ამას ცაცია დაუხვედრებია, ფერღში გაუტრყამს. ის იქვე წიქციული გულშეღონებული. ჩქარა მომვდარა კიდევ. ამის შესახებ პოლიციისგან მამანგეს ხელწერილი ჰქონდა ჩამართმეული, რომ არასოდეს არ გავიღოდა კრივი.

მამანგეს ხელობით კალატრონი იყო. აგური მიღებს აწვევბდა. ბავშობაში დედაჩემს დაუნახვებია ჩემთვის მარზოგვის ქარხნის მიღები, მამაშენის აგებულაო, ერთხელ შეშაობის დროს მამას აგური დასცემია ცხვირზე და გაუტეხბია. ჩემს მახსოვრობაში მას პაუტე ცხვირი ჰქონდა.

შემდეგ მამანგეს კალატრობისათვის თავი მიუტეხებია და საწერილმანო დუქანი გაუხსნია. ჰყიდა მარბის, ასანთს და სხვა წერილმანს. ვერ უხერხნია. ბოლოს ლეინოების ზიდეა დაუწყო მუხარინიდან, ხარფუხში პატარა სირაჯხანა გაუხსნია. ლექანი ჩვენი სახლის ქვეშით ჰქონდა, პატარაობისას ჩავდიოდი, ვეშმარებოდი მამას ლექანში.

ქ ხელოსნები მოდიოდნენ, ლეინოს სკამდნენ, ქეიფობდნენ. ამ ლექანში ხშირად მინახავს სკანდაროვა, პაზირა და სხვა მელქსე-მომღერლები. როცა დაღვედნენ, შტროდნენ ლექსებს. მათი ლექსები ზეპირად ვიცოდი, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ აკაკის სახელს გავივიწყებდი.

ავაის „სულიკო“ ათი წლისას მკობნია, არ ვიცი საიდან. ჩემს დას უთქვამს, ერთხელ შინ მოვედი, შენ ავად იყავი, იწვევი, სულიკოს ღმესი მიიხარია.

მამაჩემის ვაჭრობის საქმე კარგად წავიდოდა, რომ მეტოქე არ გამოსჩნებოდა. ჩვენს უბანში იყო ერთი სირაჯი მინასა, გვარად მამამთავროშვილი. მამა-ქალი პყავდა საყვარელი, ბებური რუსი დედაკაცი, — მის ფულზე ვაჭრობდა, მისით ცხოვრობდა.

2

მინასა გადაემტერა მამაჩემს. ვერ ითმენდა მის კონკურენციას. ერთხელ მან ის შენობა იყიდა, სადაც მამაჩემის ღუქანი იყო, მხოლოდ იმისათვის, რომ მამაჩემი ვეგვლო ამ ღუქნიდან. მამაჩემი წავიდა, მაგრამ ღუქანი მაინც გახსნა იქვე ახლო, ცოტა ზევით.

მამის მინასამ მკვლელი მიუგზავნა: ერთხელ ღამით მამაჩემს ღუქნის წინ ეძინა: უცერად გავღვიძა, ნახა, ვიღაც ხანჯლიანი კაცი დასდგომოდა თავს წამოეარდა. ჩანინი იყო, შეურტია. უცნობი გაიქცა. მინასამ მაინც არ მოიხევენა. ბოლოს, ერთი ცნობილი მოკრივე იყო, ის ვაინდო და მიუგზავნა მამაჩემს. ეს მოკრივე ჭეხუბების მკეთებელი იყო, დიდი ღონიერი და ზორბა ვეკაცია. ერთხელ ის მექვებე მოვიდა თურმე მამაჩემთან ღუქანში. ღამე იყო, ჰეროდან ჩამოშვებული მალღო ღამა ენთო.

მექვებემ მოითხოვა ღვინო, დაღია. შემდეგ იდგა და წასვლა დაამარა. მამაჩემმა ფული მოსთხოვა. — რის ფული, რა ფულიო, — დაცინვით და თავხედურად შეურტია თურმე მექვებემ.

მამაჩემი თავმოყვარე კაცი იყო. ვეღარ მოითმინა უღიერი სიტყვა, გუქნია მუშტი და კარგა ღაზითანად ვაარტყა სახეში ტურტუს. იმასაც ეს უნდოდა თურმე. მექვებემ ზელი სტაცა ბოთლს, გაისროლა და ანთებულ ღამას მიახეთქა. ღამმა დაიმსჭვრა. ღუქანი დაბნელდა. მექვებე მამაჩემს დედგვრა.

ბნელ ღუქანში საშინელი ამბავი დატრიალდა. ორი ვაეკაცი, მძინეარედ, გაფთრებით, სამკედრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ერთმანეთს. არავინ იყო მოწმე და გამშველებელი.

მექვებე უფრო ახალგაზრდა იყო, უფრო ჩანინი, უფრო მაგარი. ბოლოს მოერია თურმე მამაჩემს. ძალიან სევმა, თითქმის ცოცხალ-მკვდარი დასტოვა ღუქანში.

ამის შემდეგ მამაჩემს დიდხანს აღარ უცოცხლოა. ნაცემი სხეული მოეშუშდა, მაგრამ გულში იარა გაეხსნა. შეურაცხყოფილი, გულმოკლული, დაჩაგრული ვაეკაცი ღოგინად ჩავარდა. დედაჩემს უბნებოდა თურმე, აი აქ, — ყელზე უჩვენებდა, — რაღაც მაწევებო: ბოღმა ახრჩობდა.

ჩქარა მოკვდა კიდევ. მამის თათხმეტი წლის ექნებოდა.

3.

დედაჩემი ღიზო სულ ახალგაზრდა კაცი იყო, მამაჩემს რომ მისობოვებოდა. ეს მეორე ცოლი ყოფილა მამაჩემისა. პირველი მოკვდომია, კარგელი ცოლისგან დარჩენილი ვადა ჩემი ქალი. ცამეტი წლის რომ გამხდარა ეს ვაგო, დედაჩემს ის ვიღაც ქალი-ლოღელ ბერძნისათვის, გვარად ღაზარდისათვის, ვაუტანებოდა ცოლად. დედაჩემი ეჭვის თვის დაქვრივებული ყოფილა, მამაჩემს რომ ვაკყოლია. ასეთი წესი იყო ძველად: ჭვრივი ჭვრივს მიჰყვებოდა.

დედაჩემი კამბეჩოანთ ქალი იყო, სოლოლაქში ბინადრობდა თურმე. გვარად ოპანეზოვი იყო, სომეხი, მაგრამ არც სომხური ღამარაკი იცოდა, არც სომხური წერა-კითხვა. სოლოლაქში მათ შეზობლად ცხოვრობდნენ კათოლიკე ხარისკარაშვილები, ლითანიშვილები, — მათ ესწავლებინათ თურმე დედაჩემისთვის ქართული წერა-კითხვა.

4.

დედაჩემის მამას კოჯრის ქუჩის თავში ჰქონდა გახსნილი ღვინის ღუქანი. მამაჩემს კარგად იცნობდა მანამდეც, სანამ სიძე გახდებოდა. უყვარდა როგორც კარგი ვაეკაცი.

5.

დედაჩემის ძმა, კამბეჩოანთ ვიგუას, ცნობილი მოკრივე და დარღმანდი კაცი იყო თურმე. ზორბა ვაეკაცი იყო, მოქვიევი, ღუქნებსაც თხზვდა, მისი ღუქნები შევაგროვე და ეხლაც შენახული მაქვს.

6.

მამა რომ ვარდაიცოცხლა, ბიძაჩემმა თავისი და ბავშვებით თავისთან წაიყვანა. მეც ბიძაჩემთან ეცხოვრობდი ორ წელიწადს. ტყუილად რომ არ ვყოფილიყავი, თავისთან მამუშავებდა სარდაფში. ბიძაჩემს, კამბეჩოანთ ვიგუას, ხალის საეპოპო ჰქონდა ოქრომჭედლების ქუჩაზე. ეხლაც მახსოვს, სარდაფში ქუჩიდან ჩადიოდა კიბე. შიგნით კედლებზე თახჩები ჰქონდა გაკეთებული ზღისათვის. ჩემს მოვალეობას შეადგენდა გრძელი უფთების გახსნა, ვაშლების გადარჩევა, მსხვილები და მთელები ცალკე, წვრილები და დამპლები კიდევ ცალკე უნდა ამოიყვყო. ეს შემოიბოძა არ მომწონდა. მე მკვირცხლი, მოძრავი და ცნობისმოყვარე ბავშვი ვიყავი. არ მომწონდა ერთფეროვანი და უხალისო სამუშაოს შესრულება.

7.

წერა-კითხვა დედაჩემმა მასწავლა. ვეფხის-ტყალისანი ბირველად მომეცა წასაკითხად ჩვენი უბნის მეპურემ კოტე ქადავიძემ.

ბიძაშემთან ორ წელიწადს ვიციხოვრებ. მერე დავებრუნდი ისევ ჩემ სახლს ხარფუხში. იქ მდგომარეობა იღვწენ, თვეში 15 მანეთს იძლეოდნენ. ბიძაშემის რჩევით, ეს ფული მე განმივთქვანა დედამ. ჩვენი სახლი ჯერ ბანიანი იყო, იქ დავიბადე. ორი-სამი წლის რომ ვიყავ, მამაჩემმა ამ ბანიან მიწურს მეორე საართული გადამიდგა. ღამით მუშაობდა, რადგან პოლიციისა ვმშინოდა, ნებაბრთვა არ ჰქონდა აღებულები.

ბიძაშემთან მუშაობას რომ დავანებე თავი, დედამ დიოშიდე კილაძის სტამბაში მიმამარა შევირბად. ჩემს მოვალეობას შეადგენდა საბეჭდ მანქანასთან დგომა და დაბეჭდილი თაბახების სწორება ბეჭდვის დროს. ვერც ამ მუშაობას შევეჩვევე. ამის შემდეგ ერთ მხითაროვთან ვმუშაობდი, პუშკინის ქუჩაზე საჩქოე ჰქონდა, ყოველ დღით დავტვირთავდი ცხვირთან „ტაკას“ რბიანი ბოთლებით და ეატარებდი სახლებში.

ერთხელ „ტაკა“ გადამიბრუნდა, ბოთლები დამემსხვრა, მხითაროვმა სამსახურიდან დამითხოვა. ეს მხითაროვი ეხლაც ცოცხალია.

ცხრასათთან წლებში, როცა უკვე ცნობილი პოეტი ვიყავი, ლიტერატურული საღამო გაემართე. სხვათაშორის, საღამოზე მოვიწიე ჩემი მეგობარი, სომეხი მხატვარი ბაშინჯაგიანი, რომელმაც ქართული საუცხოოდ იცოდა.

ბაშინჯაგიანი მოვიდა და თან მოიყვანა თავისი ნაცნობი ჩემი „ნახაზენიარი“ მხითაროვი, ეთქვა, წამოდი, ისეთ კაცს ვაჩვენებ, გაგიკვირდებაო.

მეორე რიგში ისხდნენ, როცა გამოვედი ლექსების სათქმელად სცენაზე, მხითაროვი სახტად დარჩა, ვაოცდა, ხალხმა რომ ასე კარგად მიმიღო. მას პატარა ბიჭობის შემდეგ აღარ ვენახე, მაშინ მნახა პირველად. სულ ცქმუტავდა თავის სკამზე, გაკვირებული იყო.

დარბაზში რომ შევხედი, გაეხსენე, გახსოვს, ერთხელ ყური რომ ამიწიე-თქო.

მან მიპასუხა:

— ყური რომ არ ამიწია, ეგეთიც არ გამოხვიდოდითო.

კითხვა ძალიან მიევიარდა. რასაც ვნახავდი წიგნს, გატაცებით ვკითხვოდი. ძალიან დავხელოვნდი. ჩვენი უბანში სირაგებს, მუხრებებს, ზელოვნებს ხმამაღლა ვეკითხავდი ბეჭანიანს, ყარაშანიანს და სხვა სახალხო გამოცემებს.

ერთხელ აფიშაზე რუსული ასოებით ძლივს ამოვიკითხე წარმოდგენის სახელწოდება

„Вишневый сад“, საოცრად მომეწონა ეს სახელწოდება — აღუბლის რაღი. გრადეწვიტე უსათუოდ წავსვლიყავი და მენახა წარმოდგენა მიდიოდა ავლბარში, მტყარწყარტყარში.

ეხლაც კარგად მახსოვს, შევედი: მტყარწყარში და ბილეთი ვიყიდე. ცხრა შუური მივეცი. ის ბილეთი ეხლაც შენახული მაქვს.

ადგილი იყო ბალკანის პირველ რიგში. ჩემს გვერდით ერთი რუსის ქალი იჯდა. სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი სახე. იმ ქალს „პელერინიანი“ ჰაღტო ეცვა, ახალგაზრდა იყო. წარმოდგენის დროს იტარა ის ქალი ეხლაც იხედება ქუჩაში, თავს ვუყარავ ხოლმე. წარმოდგენა რუსულ ენაზე მიდიოდა და მე ვერაფერი ვაგვიგდამამახსოვრდა მხოლოდ რამდენიმე სცენა.

ქართულ წარმოდგენებსაც ვესწრებოდი ხოლმე ავლბარის თეატრში. ამ წარმოდგენების გაელენით დავწერე ვოდვეილი „ტომოთეს ლეღი“. ერთ ღამეში დავწერე. ეს პიესა რუსულიდან მაქვს გადმოყვთებული.

ხარფუხში ტოლი ბიჭები მუავდა, ერთად ვკრივობდით, ერთად ვთამაშობდით. ამ მეგობრებისგან შევადგინე წრე და წარმოვადგინე „ტომოთეს ლეღი“ და სხვა პატარა პიესები.

ავლბარში, ერზინიანის თეატრში, ქართული დრამატული დასი ღვაღლა წარმოდგენებს, ერთხელ სუფლიორი გახდომილათ ავად. ვილაყას ეოქეა, ხარფუხში ერთი ახალგაზრდა ბიჭია, კარგად კითხულობს, მოვიყვანო.

მართლაც, მოვიდნენ, წამიყვანეს. მე სიხარულით დავიწყე მუშაობა — ესუფლიორობდი. იქ ვავიყანი სოსო ივანიძე, რომელიც დასს განავება. საუცხოო, კეთილშობილი პიროვნება იყო. პირველ ჩემს ლექსებს მას ვეკითხავდი, ის მისწორებდა.

ქართული დრამატული საზოგადოების თეატრი, რომელიც არწრუნისეულ სახლში იყო მთავსებლი, დაიწვა, დასი იძულებული იყო სხვა თეატრებს შეხაზნოდა და იქ ემართა წარმოდგენები. მთელი ოთხი წელი ქართულ დასს არ ჰქონდა საკუთარი შენობა. 1908 წელს ამ დასში მიმიღეს სუფლიოროსი თანაშემწედ. გუნიაშ მიმიღო. მან ავლბარის თეატრში მნახა, იქ ესუფლიორობდი მას.

გუნიასთან ჯერ კიდევ წინა წელს (1907) დავიწყე მუშაობა „ნიშადორის“ რედაქციაში. ძალიან გულმოდგინე თანაშორიმიელი ვიყავი.

ჩემს მოვალეობას შეადგენდა ხელისმოწერის მიღება, ეურნალის დაკეცვა, ახალი ნომრების დარიგება ეურნალის უახლოეს თანამშრომლებსა და ერთველებსა და დაუზარელი მუშაობისათვის გუნია ძალიან შემიყვარა. შემდეგ წელს წერაც დავიწყე. პირველი ჩემი ლექსი, რომელიც 1908 წელს დაიბეჭდა იქ, იყო ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსი.

ეურნალში ვათავსებდი აგრეთვე წარწერებს კარიკატურებზე „გრი-გრის“ ფსევდონიმით.

16.

გუნია ძალიან მიყვარდა, უაღრეს პატივს ვცემდი, ჩემს შამად ვთვლიდი. როდესაც ის წარმოდგენაში მონაწილეობდა, მე სპექტაკლის გათავებამდე ვუცდიდი, შემდეგ სახლამდე მიაცილებდი უსათუოდ.

17

„ნიშადურის“ რედაქცია ქარვასლაშივე იყო მოთავსებული. გვერდით წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია იყო. წიგნების გამყიდველად იყო შოი მღვიმელი, ბუხალტრად ვასო ედილაშვილი. შიო კეთილი და გულბრყვილო კაცი იყო. ალბათ, წიგნები მოჰპარეს დაზვიდან, ერთხელ წიგნების დანაყლისი აღმოაჩნდა და პასუხისგებაში იყო მიცემული.

წერა-კითხვის მაღაზიის უკანა ოთახში ფართო კარაღები იყო. მთელი ის ძვირფასი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო შეგროვილი და აგრეთვე კერძო შემოწირულობით შემოსული, იმ ოთახებში იყო შენახული. იმ ოთახებში ხელნაწერა პიესებიც იყო მოთავსებული. ყველა ის

პიესა მე წაკითხული მქონდა, ზევრი მათგანე ჩემი ხელითაა გადაწერილი. **ერ. მ. მ. მ. მ.**

მგზავროვნ. (გრიგორიან)
21. 12. 44 წ.

ა. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი :

—ნ. ბარათაშვილს თავის ლექსებში ზოგან ქარბათა აქვს, ზოგან კი ნაკლებად ორთოგრაფიული არქაიზმები. ჩემის აზრით ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვის უგზავნიდა პოეტი თავისი ლექსის ნუსხას. გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ავტოგრაფებს, მაგალითად, ეს არქაიზმი აუცილებლად ახასიათებს. ხოლო ქალებისადმი მირთმეულ ლექსებში მას ნაკლებად ეხედებოთ.

ნ. ბარათაშვილის კომიტეტის სხდომაზე მეტნ. აკადემიაში.

2. 11. 45 წ.

ა. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი :

— ლექსებს მხოლოდ ხარფუხში ვწერ, ან წალეერში. მხოლოდ იმ სიწყნარესა და მარტობაში შემოძლია ვიმუშავო.

ხარფუხში არვინ მოდის ხოლმე, ვზივარ ჩემთვის დილიდან და ვმუშაობ.

ლექსს რომ დავწერ, შევინახავ ხოლმე. მეორე დღეს მოვებრუნდები, ვასწორებ, ვაშალაშინებ. მესამე დღესაც ასე. ერთი კვირის შემდეგაც ბევრი ჩემი ლექსი ბარემ ათვერ გადაიწერია, შემისწორებია.

ვცდილობ არ გაეიმეორო რითმები. ვცდილობ რითმა შემთხვევითი არ იყოს, არამედ გასართამავი სიტყვა ორგანიული ნაწილი იყოს სტრუქტურის, მისი ბუნებრივი დამთავრება.

სულბარი რედაქციაში, როცა აკაკის „განთიადი“ მომიტანა დასახებუდათ.

19. 11. 45.

მუღმივი თანამგზავრევი

„ლიტერატურა და ხელოვნება“ ახლხან ვა-
მოსცა დეშნა შენგელაიას წერილების წიგნი —
„მუღმივი თანამგზავრევი“. წიგნის სათაერი
შემთხვევითი არაა. კრებულში მკითხველი გაეც-
ნობა ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთ
გამოჩენილ წარმომადგენლებს, რომლებიც თა-
ვიანთი განუმეორებელი შემოქმედებით ამდიდ-
რებენ ადამიანის შემეცნებას და აზიარებენ პო-
ეზიას.

დეშნა შენგელაია სიტყვის გამოჩენილი ოს-
ტატია, — ვინც ეს იცის, ის ორმაგი კმაყოფი-
ლებით გადაშლის წიგნს, დარწმუნებული, რომ
ელის დახვეწილ გემოვნებასთან, მაღალ კულ-
ტურასა და ნიჟთან შეხედვრით გამოწვეული
სიმოწეუნება.

წერილების წიგნი საინტერესოა იმიტოვ, რომ
იგი ჩვენს წინ ვადაშლის თვით ავტორის სულს;
როცა მწერალი ამა თუ იმ ხელოვანის თვისება-
ლისებებზე გველაპარაკება, ამით იმასაც აშ-
ბობს, თუ თვითონ რა მიაჩნია ვაქცაობად, გვი-
რობად, ნიჟად, ტანჯვად და ვამარჯეუნად.

პირველი წერილი ეძღვნება დედაენას. ვადაშ-
ლები მოწიწებით და მოკრძალებით, დამაყრებ-
ლობით, ემოციების ნაირფეროვნებით და ექს-
ტაზით ჰყეუნა დეშნა შენგელაია დედა ენის აშ-
ბავს — ჰყეუნა, თითქოს პირველნახულ სილამა-
ზეზე, პირველდმოჩენის ენერგიით და სიბა-
რულით.

საერთოდ, მწერალს სიტყვა არსად არ უმსუ-
ბუნებდა და აზრი არასოდეს არ უწყალობდა,
მაგრამ მისი თხრობა უფრო ეფექტურია მაშინ,
კალამს მაშინ უხარია, როცა გამოჩინულად ახ-
ლობელ, ან ტრაგიულად დაძაბულ თუ წინა-
აღმდეგობრივ ხასიათზე ვეცასუბრება. მას იტა-
ციებს ძლიერი და თავისებური ხასიათის გამოვ-
ლინებანი.

რომანტიკული ბუნებისა და ტემპერამენტის
წყალობით დეშნა შენგელაიას შესწევს უნარი,
რომ ისტორიულ მოღვაწეებზეც კი ისე ილაპა-
რაკოს, როგორც ბავშვობაში დამახსოვრებულ
ბაბაზე. ის კი არ ლაპარაკობს, ხატავს და თით-
ქოს იგონებს, იხსენებს. ის უყოველგვარი პათე-

ტიკის გარეშე გვიამბობს სულხან საბა ორბელი-
ანის იგავ-არაკებზე, „სიტყვის კონაზე“, გვიამ-
ბობს იმაზე, თუ როგორი „აჩივებული შრომით
შიალწია დიდმა ივავთმწერალმა ქართული ენის
შექს“ (აღივდა მისახვედრია, რომ მწერალი
ხაზგასმით აღნიშნავს სამ სიტყვას — „ქართუ-
ლი ენის შექს“) — ეს სამი სიტყვა, რომელიც
შეიძლება სულ სხვა ამაჟვანთან დაკავშირებით
გაჩნდა, სულხან საბა ორბელიანისადმი მი-
ძღვნილ სტრიქონებში ორმაგ ძალას იძენს —
ამასთან ისინი აქ ისეთ ადვილას სხედან, რომ
მათ ყველა დაინახავს.

დეშნა შენგელაია მეტად ბუნებრივად უკავში-
რებს პორტრეტს პიროვნების ანალიზისთვის სა-
ჭირო ელემენტებს — თითქოს ფერმწერის
ხერხებს ხმარობდეს. მხატვრებმა იციან: კარგი
მხატვარი ასევე კარგად უნდა ხატავდეს ნატუ-
რიდან. სტილიზირებულ ნამუშევარში იმდენად
არ ჩანს მხატვრის თვალის სიზუსტე და ხელი.
მწერლები არ აწყობენ ასეთ შეკებრებებს, —
შეიძლება ბევრს ვერ დაეხატა ხე ისე, რა-
გორიც არის. ასევეა პორტრეტიც. დეშნა შენ-
გელაია ვასილიკარ უნარით, ფსიქოლოგიური
ნიუანსების შემცველი უხერხე ხაზებით გვიხა-
ტავს თავისი თანამედროვეების თუ წინაპრების
პორტრეტებს.

იი აღვესანდრე უაზრევი: „საწერა მავიდას ცა-
ლი ნიდაყვით ჩამოტყენია. ცალმჯღავაყარილი
ლეკური შალის ლამაზი ჩოხა მარჯვენა მხარზე
ახალის ზემოთ დაუდგერად წამოუსხამს. მარ-
ცხანა ხელზე უხით ჩამოყრდნიობის მეგრებზე
უხვად დადენილი ჰალარა წვერი ცალმჭარე შე-
თელვია: ფიქრად წასულს მეორე ხელში კალ-
მისტარი ვაშეშებია. ხშირ წარბებს ქვემოდან
დიდრონი თვალებით შთაყონებული იცქირე-
ბა. მულოტნაკარეი მეგხერი, მავრამ რბი-
ლი თმებით დამშვენებული მაღალი შუ-
ბლი, გრძნობიერი ნესტომართოლოვარე სო-
თი ცხვირი და ჰალარაშერეული წვერ-უღვა-
ში ვაცილებით ხნიერს აჩენს. ხშირი უღვაშე-
ბით ჩამოფენილი სურვილიანი ტურნები ოდნავ
უჩანს, მავრამ მაინც ვრძნობ, რომ ელიშება.“

ტიციან ტაბიძის შემოქმედების დაბასიათებო-
სას მწერალი ვაცილებული შტრიხებით გვი-
ხატავს გამოჩენილი პოეტის თავისებურ პიროვ-
ნებას, ამავე დროს ეს დახასიათება საყესა პო-

ეტის შემოქმედების ანალიზის შემცველი ნიშნებით. ამდამ ფაქიზად, მაგრამ მინც დაუღვრად ჩაემულ-დაბურულს კარგად შეყვრილი კოსტიუმო ტანზე კობად აღვა და კიდევ არ აღვა. სიარულის დროს მთელი სხეულით იმნა. ირად მიიწყოღა, რომ ფეხები მის უნებლიეთ, თითქოს შემთხვევით და უცაბედად მიაქანებდა. მისი ბავშვურად დაბუნებულ მსხვილ ტურნებოვით წითელი და ვანუკრული შიხაკი, ის რომ ყარამფილს უწოდებდა, ჰკერდზე მდამ სისხლის კოსტიუმით ენთო და იმნაირად დაქონდა, თითქოს მისი ტარების ნება ზოგად მას ქონდა, სახელსაც ყვეაილოვანს უცხოს და ძვერადს ატარებდა; ციციან ტაბიბ... თვითონაც მთელი თავისი ვარჯნობით რალაც ევება ტროპიკულსა და ზორცივან-სურნელოვან ყვეილსა ჰგავდა.

შეგრძობიარეა ვალატიონის გარდაცვალებაზე დაწერილი სტატიონები, ღირბოვით და ვულწირფლობით გამოირჩევა წერილები ნიკოლოზიქვიანისძესა, ვასილ ლაბაროვსა და უშანგი ჩხვიძეზე.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ყველაზე დიდხანს ალბათ ვაჟასა და უახზეგზე გვარძელდება კამათი. თავის წიგნში დემნა შენგელაია გვაძლევს ბევრ ორიგინალურ, ახალ დავაერებებს ამ მწერლების შემოქმედებაზე. უაღრეს ინტელექტუალბოვან ვართად ვაჟამ შეინარჩუნა საკვირვლად ბაძნული მიაძიტობა იმ პირველი ადამიანისა, რომელიც ეს არის დობადა, იხილა ქვეყანა პირველად და მისგან მოხიბლულის გულის სიღრმიდან აღტაცება აღმოხდა — ეს არის გადამუშებელი დასყვნა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ვაჟის შემოქმედების ზოგიერთი საკითხის ახლებურად გახსნას.

მსგავს შესაძლებლობასთან გვაქვს საქმე, როცა მწერალი უახზეგის შემოქმედების ვებზეა: „უახზეგისათვის ადამიანი ვენებათა ჭურჭლია“, „იგი რომანტიკოსია თავისი სულაერი წყობით და მთელი მისი უიღბლობა იმაში მდგომარეობს, რომ მას განიხილავენ როგორც რეალისტ მწერალს“. დემნა შენგელაიამ იცის, რომ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების განხილვისას ურთი მთავარი არტემენტი მისი პირადი ცხოვრებაა. ამის მიხედვითაა განხილული გოგოლის, ლევ ტოლსტოისა და ჩეხოვის შემოქმედება.

დიდი აღმავლობითაა დაწერილი ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების ამბავი. ჩვენს მწერალს არ გამოჩნენია არც ერთი ღირსება თუ ნაკლი რუსეთის მიწაყელის დიდი მწერლისა. ეს წერალი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ტოლსტოის ტიტანურ შრომაზე, მისი ხასიათის წინააღმდეგობრიობასა და ზეადამიანურ ნიჭზე. უნდა იყო ნოვატორი, რომ შენს მიერ შექმნილი ლიტერატურა იმსახურებდეს შემდგომი თაობების ყურადღებას. ჩეხოვი იყო ნოვატორი: ყველაფერი, რაც მე დაეწერე, 5-10 წელიწად-

ში დაიწყებას მიეცემა, მაგრამ ზემს მიერ გვაღვალული ვებები უვენებელი და წარუწყვლი დარჩება, — ამანია ჩემი ერთადერთი დემნა შენგელაია. ამბობდა ჩეხოვი და მატილდო ნიქტის წინ გოლსტოისი წერდა: „უკანასკნელი იყო ჩოის განმავლობაში ყველაზე ძლიერი მავნები მრავალი ქვეყნის ახალგაზრდა მწერლებისათვის იყო ჩეხოვი“. დემნა შენგელაიასთვის ჩეხოვი არის სიხლის მომბტანი მწერალი, მოკრძალებული და ვულმართლი ბაძენი, რომელიც ყველაზე ნაკლებ გვეუბოდა ამ სიტყვისა და ვაერბოდა მის სიმძიმეს. „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“ — ამბობდა ჩეხოვი და ამით ადამიანის პირველ მოვალეობად მიაჩნდა თვითაღზრდა, თვითონტროლი და სიტუვლილი სიყალებისა და სიბრბივეისაღმე. აი როგორ ახასიათებს დემნა შენგელაია რუსი მწერლის შემოქმედებით კრელას: „ჩეხოვი ადამიანს, მის ღირსებასა და კაცურ კაცობას, ადამიანობასა და მის უფლებებს თავდაიწყებით უმღერდა და, როცა ეს ადამიანობა ილახებოდა, უსინდისოდ იბილწებოდა ბანალობით, როცა ის დამცირებული, დაქუცმაცებული იყო წერილმესაყურთული ინტერესებით და ღრმად ველობოდა ცხოვრების წყმში, რომელიც თვით მანვე დააწენა, ჩეხოვი გული სტიკოდა, მის გულს უსახვარი დარდი ეუფლებოდა“. ჩეხოვი ისეთი კაცთმოყვარე და ადამიანური მწერალია, რომ მრავალი ქვეყნის მწერლები სიამონებოთ წერდნენ და წერენ მასზე გამოკვლევებს, ამბობენ სიტყვებს — ეს წერალიც მათ რიცხვს ეუთუნის.

ჩეხოვის თავისი ჰუმანური იდეებით საქართველოდან ებმურება დავით კლდიაშვილი. ჩეხოვივით ისიც წერდა ისე, როგორც ჩიტი ვალობს. „დავით კლდიაშვილი ისე იწყოდა სამშობლოს, ადამიანის უშრტი სიყვარულით, რომ მას შართლაც არ ვაუთია, როგორ ჩიბარა დიდი შთავარებით გამოთბარმა სამოედარვა წელიწადმა, არ შეტუტვია, როდის მოხუცდა“. დავით კლდიაშვილის შემოქმედება ცხოვრებას შეჭრილი ნაწილია და, როგორც წერილის ავტორი ამბობს, სამავალითოდ ახლოს დგას ცხოვრებასთან და მისი მოთბორბები ხშირად ხელოვნების ნაწარმოებები თუ არა, თვითონ ცხოვრება გვონია. დავით კლდიაშვილის გმირები იმდენად რეალურნი არიან, რომ ლიტერატურულ ვმირებზე ვერც იტყვი: „სოლომონ მოტბელაძე, ან აბესალომ საღამთაძე, ან როსტომ მანველიძე გმირები არიან? არა, ისინი პირდაპირ ცხოვრებნიდან შემოსული ადამიანები არიან და მოთბრობაში თავი ისე ამოუყვანათ, რომ ტანისამოსის გამოცვლა ვერ მოუწარიათ“. ზუსტი სახეებით და ფერებით ხატავს დემნა შენგელაია დავით კლდიაშვილის სოფლის სურათებს და ასე, დაპატეებული სტუმრებოვით შეყვარათ მწერლის კარბიდადამში. ავტორის ამ წერილშიც იგრძნობა ის სიბოთ, რომელიც მხოლოდ გულის

მოთხოვნით დაწერილ სტრატეგიებს ახასიათებთ ხალხი.

წიგნში განხილული „მედვიე თანამგზავრების“ სია, დარწმუნებული ვართ, პირველ რიგში თვითონ ავტორისათვის არ არის სრული. ამ წიგნით დემნა შენგელაია მეთხვევს წარმოუდგება, როგორც დიდი განათლების, კულტურის და უტყუარი აღღოს მჭონე მწერალი. ახალგაზრდებისათვის იგი არის სამაგალითო ინტელიგენტი. ის მგზნებარე და ამავე დროს სიზუსტის მოყვარე მწერალია. — ეს ორი რამ ემოციურობას მატებს მის წერალებს.

ყველაფერი, რაზეც მწერალი ლაპარაკს იწყებს, წინასწარ წარმოდგენილი უნდა იქნებოდეს. ასე რომ ამა თუ იმ მწერლის ცხოვრების, დროის, ხასიათების ანალიზი მეთხვევლისათვის სრული და გასაგებია.

იგი წერს ველით. გულს კი, საერთოდ, ერთი კუნძული ბანალური ამბებისათვის აქვს. დემნა შენგელაიას, იღბათ, არა აქვს ასეთი კუნძული, ან თუ აქვს მას, გამოცდილი უკარგულები უყენია.

ბ. ხარანაული

დედის ლექსიკონი

დედის ლექსიკონი

ასე უწოდა გიორგი შატბერაშვილმა თავის ლექსიკონს ჩინაწერების შრომატურ სოფელ თვალადში. მწერალი დიდი ხანია სწავლობდა ქართლის ამ ერთი უძველესი სოფლის მეტოვრებთა მეტყველებას, ადგილობრივ სიტყვებს, შთის ისტორიასა და გამოშსაშველობას. იგი ავტორია მშვენიერი ლექსიკოლოგიური შტუდიებისა, რომელთაც კარგად იცნობს მეთხვევი საზოგადოება. ამაჟამად ეს შტუდიები თავმოყრილია და გამოცემულია ცალკე წიგნად „ქაშნიკის“ სახელწოდებით.

სიტყვა მწერლისა და მეთხვევის პირველი შეამავალია. მწერალი სიტყვის საშუალებით გვაჩვენებს ადამიანთა უნებართლეებს. სიტყვა ავტორის, რომლითაც შენდება ყოველგვარი მხატვრული ნაგებობა. მხოლოდ ის მწერალი გვაძლევს მალაშხატვრულ ტილოს, რომელიც მრავლად დაგროვებს ასეთ ავტორთა შარავს.

სიტყვა, საუნჯე და სამკაული ენისა, პირველ რიგში სამოსელია აზრისა. ადამიანის გონება რიგწყვეტლავ ქმნის აზრის მოედლს, რასაც იმთავითვე ბეგრათკომპლექსის, სიტყვის სახეს აძლევს. ამიტომ სიტყვა აზრის უშუალო სინამდვილეა, ასახეა, განზოგადება ნახელისა, გავონილისა, განედლისა, სანახეისა, გასაგონებლისა, განსაცდლისა; სიტყვაში აისახება აწმყო, წარსული და მომავალი, შესაძლებელი, საეარაუდებელი, ნუ იტყვიო, შეუძლებელიც.

მხოლოდ აზრი შობს სიტყვას და სიტყვაც აზრს ასახავს განურჩევლად იმისა, კონკრეტულია ის თუ აბსტრაქტული, მართალი თუ არამართალი, დადებითი თუ უარყოფითი. სიტყვას ქმნის, თავის ემბაზში ავლებს, ზრდის და აბარტყებს ხალხი, შემოქმედს, მატარებელი და მომხმარებელი ენისა. სიტყვა იბადება და ცოცხლობს ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა წრეში, აქ იხვეწება და სპეტაკდება იგი, აქედან გა-

დადის ლიტერატურაში და ერთიანი ენის განუყოფელ ერთეულად იქცევა: ერთ კუთხეში დაბადებულ სიტყვას ამ გზით ფართო ასპარეზი ეძლევა, შედის სალიტერატურო ენის საგანძურში. ცოცხალი მხოლოდ იმ სიტყვას პეკია, რომელიც ხმარებაშია და კომუნეკაციის ძირითად ერთეულად გამოიყენება: დიალექტურ მეტყველებაში ვპოულობთ ათეულობით მშვენიერ სიტყვას, რომლის მოქმედების პორიონტი ერთი კუთხით შემოიფარგლება, მაგრამ მისი ვავრტყელება დაამწვენება დროს მთელ კანზულიტყვაობასაც. ამისთანა სიტყვებს ფართოდ უნდა გავღოს კარი მწერლობაში.

ადამიანის ლექსიკონს მარაგში ორი ფენა გამოიყოფა: აქტიური, რომელიც ყოველდღიურ მიმოქცევაშია, და პასიური, რომელიც ამაჟამად არ იხმარება, მაგრამ სპერტობს შემთხვევაში შეიძლება ჩავართოს საერთო სიტყვათბრუნვაში. მეტყველება სიტყვათბმარებისა და სიტყვათმშეშოქმედების პროცესია. ურთიერთსიხმარისა და წერაში საყოველთაო ხმარების უფლებას იძენს არა ერთი და ორი მტვერწყაირილი ან ერთ კუთხეში ლოკალიზებული სიტყვა, რომელიც პასიური ან დიალექტური ფონდიდან სალიტერატურო ენის განკარგულებაში გადადის.

ცხოვრება ამოწმებს ენის გამოშსაშველობის საშუალებათა შესაძლებლობას, მოითხოვს ლექსიკონს შეეცემას, ახალ სინონიმეკასა და ანტონიმეკას. სიტყვათა ერთ-ერთი ამოუწყვეცი საგანძური დიალექტიური მეტყველებაა. სიტყვათბმარებელი ახალ მასალას, უწინარეს ყოვლისა, დიალექტს ესესება. ქართული კანზულიტყვაობა ყოველთვის მდიდრდება და დიალექტებით და მდიდრდება ამაჟამად. მწერლობას მუდამ კარგად ესმოდა, რომ დიალექტური ლექსიკონს საერთო სახალხო ენის საუნჯის განუყოფელი ნაწილია. ჩვენმა მწერლებმა მრავალ დიალექტურ სიტყვას ჩამოაცილეს ეს არაფრის მთქმელი ეპითეტები და თამამად ჩააყენეს ისინი სალიტერატურო ენის სამახტრში. ეს მწერლების

უძველი დამსახურებაა. ქართული ენის მემკვიდრე პირთუნელად გამოარკვევს თითოეული მწერლის წვლილს ამ დიდ ეროვნულ საქმეში და მათს ღვაწლს ღირსეულ შეფასებასაც მისცემს. სიტყვათმცოდნის ეს მშვენიერი ტრადიცია ახლაც ცოცხალია, ვაკომისნათა მოწინავე ნაწილი ამას თავის ღვაწლს მოვალეობად თვლის და სავსებით სამართლიანადაც.

ღიალექტური სიტყვის ერთ-ერთი ქომაგი იყო ნიჭიერი პოეტი და ბელეტრისტი გიორგი შატბერაშვილი. იგი ყურს უგდებდა ბუნებრივ სასაუბრო ენას, პირველ რიგში, ჩვენი ენის დედა ეკლესია — ქართულის სუნთქვას. მოგზაურობდა ქართლის სოფლებში, ესაუბრებოდა დაბაბასელ მოზრეებსა და გონებანათელ ქაბუკებს, ეცნობოდა ამ კუთხის ზეპირსიტყვაობას, სიველ-გუჯრებს. მისი დაკვირვების მთავარი ობიექტი იყო სალაპარაკო ენის საუნჯე.

მწერალი სიკაბუკის წლებში მასწავლებლობდა ქართლის სოფლებში და შესაძლებლობა ჰქონდა უფრო ახლოს გაესცნობოდა ადგილობრივ მეტყველებას, უფრო ღრმად ჩაეხედა ხალხის ლექსიკურ საგანძურში, წლების განმავლობაში ეწარმოებინა ამ საგანძურის ძიება, ჩაეწერა ნაირი მასალა. „ჩემი სამუშაო მაგდის უკრებში, — მოგვითხრობს გიორგი შატბერაშვილი, — და კარადის თარიღებზე დიდხანს ეწეო ძველი საერთო რვეულები, დასტებად შეკრული გავეთლებული ფურცლები, ფარად-ყდიანი, სხვადასხვა დროის უბის წიგნაკები, ძველი და ახალი მარკის პაპიროსის კოლოფის ყდები; შავით თუ ვაერთ ვაერთი ხელით მიწერილი სიტყვები და გამოთქმები. ამ სიტყვების, გამოთქმების მოკლე აღსნა, ჩაწერის თარიღი, მთქმელის ენაობა...“

ასე დაუტოვებია მწერალს ფასეული მასალა. ახალ სიტყვათა დიდი ნაწილი დედისაგან გამოიწიო: დედაა ამ ჩანაწერთა დიდი ნაწილის პირველმთქმელი და ამხსნიელი, ამიტომ განზრახულ ნაშრომს შინაურულად „დედის ლექსიკონს“ ვეძახი და მასვე ვუძღვნიო“.

ამ გზით შექმნილა „თვალადური ქართლის ჭმინია“, შესანიშნავი ნარკვევი „ქართული სიტყვისა და სიტყვის ქართული ოსტატების შესახებ“ „ქმინია“ ლექსიკოლოგიური ნარკვევიცა და მხატვრული მოთხრობა სიტყვის ბედობაზე. კაცს უჭირს, რომელ მხარეს მისცეს უპარატესობა. სხვა ანალოგიური ნაშრომი ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება.

გიორგი შატბერაშვილის დაკვირვებათა ღირსება მათს უშუალოდამია. სიტყვის იგი იწერს იმ სახით, როგორიათაც ცოცხლობს ურთიერთ საუბარში. მწერალმა კარგად იცის, „სიტყვის გახსენებას საჭიროება იწვევს. შეიძლება წელიწადიც გავიდეს და კაცმა ესა თუ ის სიტყვა ერთხელაც არ თქვას, მაგრამ ისიც შეიძლება, იგივე სიტყვა დიდიდან საღამომდე აუცილებ-

ლობის გამო ბევრჯერ გაიხსენოს“. გეგმობრივად ასეა პრაქტიკა განსაზღვრავს სიტყვის ხმარებას, პასიური ფონდიდან მტკიცებრივად განსაზღვრავს აქტიური ფონდის ხმარებას, ან პირიქით, აქტიური ფონდიდან პასიურში გადატანას.

„თვალადური ქართლის ჭმინია“ ლექსიკონი არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ ლექსიკონისათვის შეტად მდიდარსა და სანდო მასალას შეიცავს. ყოველი ენის განმარტებისათა თუ ღიალექტურ ლექსიკონს სწორედ ამისთანა „ქმინიები“ უნდა ედგოს საფუძვლად. მაშინ უფრო მეტ მოწონებას დაამსახურებს ყოველგვარი, პირველ რიგში კი, ღიალექტური ლექსიკონები.

სიტყვა აზნაური, მაგალითად, თვალადურში ენობლითან ერთად (ტახტის, საეკლესიო, მძიხებელი, კერძო) დაციენის მნიშვნელობით დიართვის უცნობ ენითებებსაც (ნაფოტის, ქაობის, კუდა, ცალქალამან...); ნაფოტის აზნაური, ქაობის აზნაური, კუდა აზნაური, ცალქალამან აზნაური... ამით ოთხი დამოუკიდებელი სიტყვა შეემატა სალექტიკატურო ენის საუნჯეს.

აღაოს მნიშვნელობას თვალადური ახალნიენებს უმატებს: პირველად აქ გამოიყოფა ბუნებრივი და ხელოვნური აღაოს, წყლისა და შრის აღაოს. დაზუსტებულია აღქატის მნიშვნელობა („აღქატი სახე“, „აღქატი მიწა“, „აღქატი მარცვალი“). პირველადაა ძიების საგნად ქვეული აწურული რძე (ხბოსათვის შენახული რძე), გუგულის თოვლი (გვიანდელი, აბრლის თოვლი), გადამმერთილი (გადახწყენილი), გადამაფეა (გადამა), გაკვიკვიება (გაითოთება) და მისთ. დღის დამე თვალადურში ახლად შედამებას ნიშნავს, ზოლო აისი და დაისი ამხნილა ხალხური გააზრების დარად: აისი — ადის, დაისი — ჩადის... გონებაშხვილურადაა განმარტებული დარდილი: თვალადური, ზეგარი, დარაგობა; გულში ფართლად შენახული რისხე, გულს-წყრომა და განზრახვის შესრულებისათვის შესაფერ ეამთა ძიება“.

საინტერესოა თვალადურში აღორძინება, აღორძინება სიტყვის მნიშვნელობა. თანამედროვე ქართულში სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ძველ ქართულში ჰქონდა. ძველად იგი მცენარის ზრდას ნიშნავდა. საბა: „აღორძინება არს უფროსისა მიმართ ჭერა და მოკლება უმცროსის მიმართ“; ნ. ჩუბინაშვილი: „აღორძინება (აღვიორძინება აღორძინდება) მომატება ანუ მოძარკობა; მოზარდთა სხეულთა უმეტესისა მიმართ“; დ. ჩუბინაშვილი: „გაზრდი, მოყვანა მცენარე“; თანამედროვე ქართულში აღორძინება გოფურჩქვანას, აყვავებას ნიშნავს: „აყვავება, გა-

ფურცქენა, განახლება, აღდგენა“ (განმარტებითი ლექსიკონი, I, 117). თვალადურში სიტყვა არტული მნიშვნელობითაა შემონახული: „ყინვა თუ მოშუშავს ლობიოს, ვეღარ იხებრებს, კინწი მისწყდება, სიმინდი კი იხებრია, ვამძლეა. ღვივი რომ მოყვინოს და გაიხსნას, მერე სიბოზზე შიანც იღორძინებ“.

მწერალს შეინძნელი აქვს, რომ თვალადურში ფართო ადგილს იკერენ წარმოქმნილი სიტყვები. ცნობილი და გავრცელებული ძირებოსაგან მიღებულია ახალი ფუძეები: გაკაკიკებრა (სიმინდის კაკუპის ამოყრა), ვამოსიკებარტი (პირში გამოსავლება), და მრავალი სხვა.

თვალადურში დადგენილია ბევრი სიტყვის ახალი მნიშვნელობა, რაც არსებულ ლექსიკონებში აღნიშნული არ ყოფილა. ამ მხრით განსაყოფობით უნდა აღინიშნოს წინწანაქიარი (პირველად გამოიყენა ლედი, არაყი), ქანარი (ნესტიანი, სველი, ნოტიო), ჭირკოტიანი (ხშირად ავადმყოფი), წამოგონება (ეუბნ, ანაზად გახსენება), შეკვეთილი (შეჩვეული, შეკავშირებული), ნარბილი (გატეხილი, დამუშავებული მიწა) და მისთ. მრავალი სიტყვები ჩვენი ენის საუნჯის ნამდვილი შენამატია.

„ქაშნიკში“ ვეცნობით ცალკე სიტყვათა გონებაშიაზვილურ გამატიკელ-ეტიმოლოგიურ ანალიზს, სინამუშოდ უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, კავთაი სიტყვის წარმოადგენილი ეტიმოლოგია. მართებულადა გამოყოფილი ძირი კავ და სუფიქსი — ა (ა). ძნელია თქმა, რომ კავ იგივე ხეცურული ქავია, თუმცა მათი ფონეტიკური დამთხვევა უეჭვოა. სწორადაა მითითებული მრავლობითის — თ (ა) სუფიქსზე ქართულ ტომონიმიკაში, ოღონდ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ფაქტი დიდი ხანია აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 110; ჩვენი: ქართული ლექსიკოლოგია, 1964, § 67). — თ (ა) არის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი, გამოყენებული ტომონიშითა სწარმოებლად. ამიტომ ავტორის ახსნა მართებულია: კავ-თა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმათ (შტა: კავებ-ისა).

ბევრის თქმა შეიძლება ავტორის სხვა მიგნებებზეც. მწერალს აქვს სწორი ალღო. მისი მიგნება ეყრდნობა მდიდარ ფაქტობრივ მასალასა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებას. თავისივე ადრე გამოთქმული ვარაუდებიც დაზუსტებულია. ერთნაირი სიყვარულითაა შესწავლილი როგორც საზოგადო სახელები და ზედსართავეები, ისე ტომონიმები და პილდრონიმები, აღმაშნათა საერთარი და მეტსახელები.

გიორგი შატბერაშვილის „ქაშნიკი“ ჩვენს ორიოდე შენიშვნას იწყევს. წიგნში ერთ ადგი-

ლას მშვენიერადაა განმარტებული „მედიის პუტა, მაგრამ არაფერია ნაუქვენი, ბედებს წყართზე, რომელიც სწორედ ქაშნიკის მარტება. ბოძანძარას თანერობად ნახსენებია ოჯინჯარი/ოჯინჯალა, მაგრამ ასევე არაფერია ნათქვამი მის წარმოშედლობაზე, სიტყვა კი იმერულთან ერთად გურულშიაც იხმარება და კოლხურიდან მომდინარეობს. თილიყამყამი, იშვიათად ხმარებულ სიტყვად მიჩნეული, ხშირად გვხვდება სწორედ ქართულურშიც. სოფ. ყარაღაჯში (ქართლი) ჩაწერილ ზღაპარში, მთავალითად, ვკითხვლობთ: „ჩემ ოთახში ერთი მამა-პაპისებური ხმალი მაქვს ხორხონის ფოლადით დამირული და ჰეირ-ხიბარ-ხაბარ-ყამარ-ყათლის თილიყამყამიც გვერდზე უდობ“ (ქართული ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. 181). სწორადაა განმარტებული თვალადური კაკაკაცი და მოკარაკაცეა (კაიურ-კაიობა; ცის მიწმუნდა), მაგრამ აქვე საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ ვც სიტყვა სხვა დიალექტებში ამ მნიშვნელობით არ გვხვდება. გურულში, მაგალითად, კარაკაცი იგუიყა, რაც კირიყა, კისისი, სიცილი (გ. შარშიძე, გურული ლექსიკონი თბ., 1938, გვ. 35). ერთ ზღაპარში იკითხება: „სიცილ-კარაკაცი თიიზოდენი“ (გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 192); იმერულში: „კარაკაცი ვადაპარბებული სიცილია“ (ეუფ. ბერიძე, სიტყვის კონა, 1912, გვ. 20).

კიდევ ერთი შენიშვნა. „ქაშნიკში“ გამოქვეყნებულია სინტერესო ლეგენდა კაციკამია სერზე (წინარეხი). ლეგენდა მოგვიხსრობს: წინარეხელი ქალი ცოლად გაყოლია ამ სერზე მცხოვრებ კაცს. ქალს შეუნიშნავს, რომ აქურები ადამიანის ხორცს ჭამდნენ. დაუვლია ძუძუთა ბავშვისათვის ხელი და გაქცეულა. ბავშვს ტირილი აუტეხია. შეშინებულ დედას ბავშვისათვის ძუძუ მიუცია და სწორედ ამ დროს კავთრამე ვადებულ ხიდსაც მისდგომია. კავთრა ადიდებული მიქვხდა თურმე საცალღებო ხიდქვეშ. ქალი რომ ხიდზე შემდგარა, ბავშვი უფრო გამწარბებულა და დედისათვის ძუძუზე ქენა დაუწყია. ქალს წამოუძახნია: „მოსწი გვირისი!“ (ე. ა. შენი ჩვეარის მოგდაგამი). და ადიდებულ წყალში გაუვლია ძუძუთა ბავშვი. ლეგენდა საგულისხმოა ხსენებული ტომონიმის („კაციკამია სერი“) გენეზისის გამოსარკვევად, მაგრამ მისი არიალი მართო წინარეხით არ შემიფარგლება.

სასურველი იყო, ავტორის აღნიშვნა, რომ ანალოგიური შინაარსის ლეგენდა საქართველოს სხვა კუთხეშიაცაა ჩაწერილი. ერთი ვარიანტი, კერძოდ, ვასელი საუკუნის 90-იან წლებში სოფ. საროში (ყაიხეთი) ჩაუწყრია კ. გვარამაქს. ამ ლეგენდის თანახმად, სოფ. საროში კაციკამია ცხოვრობდა. დილით ის ნადირობდა

ადამიანზე და სიღამოს შინ ბრუნდებოდა. ერთხელ ლამაზი ქალი დივიზია, არ შექამა და ხსად დაისვა. დაკეტულში ჰყავდა. შეეძინა ვაჟი. როგორღაც კაციაშიას კარი დარჩა ღია, ქალმა წამოავლო მცირეწლოვან ბავშვს ხელი და გაიქცა, მტკვარზე გადაასწრო. კაციაშიამ შეიღს დაუძახა: „შვილო მამისაო, გასწი გვარი-საო!“ შეიღმა გაიგონა მამის ძახილი და მიონ-დომა დედის გაჩერება. გამწარებული დედა მოთმინებიდან გამოვიდა, მოიგლიჯა გულიდან მოლაღატე შვილი და მტკვარში გადაისროლა („ავაჟის კრებულო“, X, 1898, გვ. 75—76).

ორივე ლეგენდას, როგორც ვხედავთ, ერთი საფუძველი აქვს. მათი შეპირისპირება ავ-

ტორის მსჯელობას შეტ დამაჯერებლობას მას-ცემდა.

გიორგი შატბერაშვილის **„მეტაფიზიკა“** ნაშრომში ლექსიკოლოგიური ლიტერატურის მშენებელი შენახენია. მას ცხოველი ინტერესით გაეცნობა მეთხველთა ფართო საზოგადოებრი-ვობა, ვველა ვისთვისაც ჭვირფისია ჩვენი ენა და მისი ლექსიკა. და დიდად დასანანია, რომ ჩვენგან ასე უდროოდ წაივდა „მამნიის“ ავ-ტორი. მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი ლექსიკოლოგიის დარგშიაც.

ალ. ლომაი

არისტოტელის „მეტაფიზიკა“ ქართულ ენაზე

ცნობილია, რომ კლასიკური ხანის ძველ ბერძნულ ფილოსოფიას დღესაც არ დაუკარ-გავს თავისი საერთო საკაცობრიო მნიშვნელო-ბა. სწორედ ამიტომაც, რომ დღემდე გრძელ-დება ბერძენ ფილოსოფოსთა ნაწარმოებების თარგმნა მსოფლიოს ხალხთა შორეულ ენაზე, მათი მნიშვნელობა და კომპლექტრება.

საქართველოში ბერძნულ ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმნას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ძველი ბერძნული კლასიკური ფილოსო-ფიისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერ-და მე-11-12 საუკუნეებში. სამწუხაროდ, თურქ და მონგოლ დამპყრობანი შემოსევების შემდეგ ეს დიდი საქმე საუკუნეების განმავლობაში თითქმის სრულიად შეწყდა, დაიღუბა ის თარ-გმნილი ძეგლებიც, რომლებიც მანამდე მოგვე-პოვებოდა.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ძეგლების ხელახლა თარგმნა და შესწავლა მხოლოდ მეო-ცე საუკუნის ორმოციანო წლებიდან ვახდა მე-საბრძენი და ამჟამად ქართულ მეთხველს ხელთა აქვს ძველი ბერძნული და რომელი ფილოსოფიის ისეთ მნიშვნელოვან წარმომად-გენელთა თხზულებების თარგმანები, როგო-რებიც იყვნენ დემოკრიტე და ეპიკურე, ლუკ-რეციუსი და პლუტარქე, პლატონი და არის-ტოტელე. ამ ცოტა ხნის წინათ კი ქართული მეოცნეულის წიგნის თარო შეივსო არისტოტე-ლეს ძირითადი თხზულების — „მეტაფიზიკის“ თარგმანით.

როგორც ცნობილია, არისტოტელეს ფილო-სოფია საერთოდ, და მისი „მეტაფიზიკა“ კერ-

ძოდ, ძველი ბერძნული ფილოსოფიის შევამე-ბას წარმოადგენს. არისტოტელე გენიოსისათ-ვის ჩვეული სიღრმით თვისებებს წინამორბედთა ფილოსოფიურ მეშვეიდრობას, კრიტიკულად გადაამუშავებს და შემდგომ ავითარებს მას.

არისტოტელეს ფილოსოფიის დიდად აფასე-ბდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. მარქსმა მას „უდიდესი მოაზროვნე“ უწოდა, ენგელსმა კი „ძველი დროის ვველაზე უფრო უნივერსალუ-რი თავი“. დიდ ინტერესს იწენდა მისი ფილო-სოფიისადმი ვ. ი. ლენინი. ის დადებით შე-ფასებას აძლევდა არისტოტელეს ბრაოდს პლატონის იდეალიზმის წინააღმდეგ. არისტო-ტელეს ეს მღალი შეფასება გამირობებული იყო ამ დიდი როლით, რაც შეასრულა არის-ტოტელემ საკაცობრიო აზროვნების განვითა-რების ისტორიაში.

ქართული თარგმანის ერთ-ერთ დადებით ნი-შანს წარმოადგენს არისტოტელეს ღრმა ზა-ნაფიქრის მარტივი და ნათლად გადმოცემა. აზ-რის სინათლე და მარტივი გადმოცემა კი, ჩვე-ულდებრეად, აზრის კარგი გავების შედგენა და „მეტაფიზიკის“ ქართული თარგმანის ენის სი-მარტივეც, ცხადია, ამის შედეგი უნდა იყოს. მართლაც, არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ქარ-თული თარგმანის გათვალისწინების საფუძ-ველზე ნათელი ვახდება „მეტაფიზიკის“ მრავ-ლი ძნელად ვასაგები ადგილი და თვით „მე-ტაფიზიკაც“, ამიერიდან წარმოგვიდგება, რო-გორც უადრესად ნათელი, გამჭვირვალე, მარტი-ვი, დაჯეწილი შეცნიერული ენით დაწერილი ნაწარმოები, სადაც ყოველი ტერმინი და ცნე-ბა თავის ადგილზეა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნული აზროვნებისათვის, საერთოდ, და განსაკუთრე-ბით არისტოტელესათვის, დამახასიათებელი იყო აზრის გადმოცემის ლაკონურობა. ბერ-ძნებს სძულდათ ზედმეტლიტყუაობა იმდენად,

არისტოტელე, „მეტაფიზიკა“, „საბჭოთა სა-ქართველო“ 1964. თარგმანი, შესავალი და კო-მენტარები ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქ-ტორის თამარ კუყუჯანი, რედ. პროფესორი პ. ბერაძე.

რომ ზოგჯერ ფრანგიან ტოვებდნენ საჭირო სიტყვებსაც კი, თუ მათ გარეშე შეიძლებოდა აზრის გაგება. ქართული თარგმანის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისში დაძლეულია ის სიძნელებები, რაც ამ ლაქონურობის გამო ახლავს ხოლმე ყოველთვის ძველ ფილოსოფიურ ძეგლებს. ქართულ თარგმანში აზრი ხშირად ისევე ლაქონურად არის გადმოცემული, როგორც დედანში, თუმცა ის აჩანავს ნათელადა, ვიდრე ამ თარგმანებში, სადაც ეს ლაქონურობა დარღვეულია. მაგალითად, არისტოტელეს ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც ბერძნულ დედანში ოთხი სიტყვითაა გადმოცემული, სიტყვათა ამდენივე რაოდენობითაა გადმოცემული ქართულში „ნაყლი წინააღმდეგობის პირველი სახეა“.

ანალოგიური მაგალითების მოტიანი უხვად შეიძლება.

ცნობილია, რომ არისტოტელე უდიდესი მოაზროვნეა და იგი ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას აღის აბსტრაქციის ისეთ სიმაღლზე, სადამდეც იშვიათად თუ ვინმე ასულა, ამიტომაც ჰქონს ხოლმე ამ უპარკსად აბსტრაქტულ ცნებათა მკითხველისათვის გასაგებოდ გადმოქართულება. მთარგმნელები და კომენტატორები ამ შემთხვევაში ცდლობენ ცნებათა დაიკონკრეტებას სხვადასხვა განსაზღვრებებისა და ცნებების დამატებით და ტექსტში შეტანით, რასაც დედანში ადვილი არა აქვს. ხშირად ეს ხდება ხოლმე არისტოტელეს ზედმეტად გამატირალისტიკების ან გაიდივალისტიკების მიზნით.

მაგალითად, რუსი მთარგმნელი კუბიცი არისტოტელეს ცნების „უზოგადეა“ აკონკრეტებს „უზოგადეს საწყისად“ („მეტაფიზიკა“, წ. I, თ. III.). ბერძნულ ტერმინს „ატენე“ კუბიცი და გერმანული მთარგმნელი გოლკე გადმოსცემენ ტერმინით „ხელოვნება“, რაც მთარგმნელის მართებული შენიშვნით მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს აქ იფიქსიმბეზოდეს ხელოვნება ზვენი ვაგებით, მაშინ, როდესაც არისტოტელეს მხედველობაში აქვს ყოველი დარგის ყარგი ცოდნა, დახელოვნებული ადამიანი, ამიტომაც სწორად იქცევა მთარგმნელი, როდესაც სადაც კი შესაძლებელია, ამ სიტყვას გადმოსცემს ტერმინით „აბეტალოვნება“, ან „აბეტალოვნებულა“ („მეტაფიზიკა“, წ. I, თ. I.).

ერთ ადგილას კუბიციც აქვს მიზეზი „აუკონკრეტებია“ „მატერიალის მიზეზად“, ტექსტში კი სიტყვა „მატერიალური“ არაა (იხ. „მეტაფიზიკა“, წ. I, თ. I.).

მთარგმნელი ასევე წარმატებით აღწევს თავს არისტოტელეს ტექსტის „დაკონკრეტებას“ იდეალიზმის მიმართულებით, რასაც გერმანული მთარგმნელი გოლკე მიმართავს და ასტრუტებს არისტოტელეს ცნებათა აბსტრაქციის სიმაღლენზე დარჩენას. ბერძნული ტერმინი, რაც ქართულ მთარგმნელს გადმოუცია გამოთქმით „სხვა

მოვლენათა არსებობის მიზეზი“ (წ. I, თ. 6), საცხებით შესატყვისება ბერძნულ „ἐξαιτίας“ მარმანელ მთარგმნელს გადმოუცია „სხვა“ „ყოველთვის ცნებადი მიზეზი“. დედანში კი გამოთქმა „ცნებადი“ არ გვხვდება და მთარგმნელის თვითნებურ ჩანართს წინააღმდეგენს. ქართული სიტყვა „საწყისი“ შესანიშნავად გადმოსცემს შესატყვის ბერძნულ ტერმინს, გოლკე კი მას თარგმნის „იდეალურ ფორმებად“, რაც, ვასაგებაა, თუ რა მიმართულებით „აბუსტებს“ არისტოტელეს. (იხეი, თ. 7.).

„არსებულა“ გერმანულს დაუზუსტებია „იდეალურად არსებულად“, მაშინ როდესაც დედანში ტერმინი „არსებულა“ გადმოსცემს საერთოდ ყოველგვარ არსებულს და არა მარტო იდეალურად არსებულს. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ქართული თარგმანის ტერმინი „არსებულა“ უფრო ახლოა ბერძნულ დედანთან. ასევე ტერმინი „მიზეზი“ გერმანულ მთარგმნელს „ძალად“ გადმოუთარგმნია (წ. I, თ. 9.).

ანალოგიური შემთხვევები ბევრია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შემოთქმულიც საქმარისა დასკვნისათვის, თუ როდენ სიტხიზღეს იხენს ქართული მთარგმნელი, რათა არ დაამახინოს არისტოტელეს ტექსტი და შეუნარჩუნოს ფრაზებსა და ცნებებს ის წინმწერლობა რაც მათ დედანში ჰქონდათ. თარგმანის სხვა უფრო კონკრეტული ღირსებებიდან აღსანიშნავია ბოლოში დართული კომენტარები, სადაც მთარგმნელი ეკამთება სხვა მთარგმნელებსა და კომენტატორებს და იძლევა ზოგიერთი მწივად ე-საგები ადგილის საკეთარ ინტერპრეტაციას, რათა გაუადვილოს მკითხველს შესატყვისი ადგილის ძირითადი აზრის და იდეის წყდობა.

მართალია, ვერც ქართული მთარგმნელი ვაქცეხია ზოგიერთ გარდულად შემთხვევაში საკეთარ ჩანართების ვაქცეხებას ტექსტში, მაგრამ კუბიციც თარგმანისაგან განსხვავებით, მას ეს ჩანართები არა აქვს გამოყოფილი კვადრატული ფრჩხილებით, ამით ერთგვარად იხრდილება კიდევაც ის დიდი მუშაობა ტექსტზე, რაც მთარგმნელს ჩაუტარებია, მაგრამ სამაგიეროდ ხელს უწყობს მკითხველს ტექსტის ადვილად წყდობაში. ასევე მოსაწონია დედნის პავინაციის არა სწოლოში ჩატანა, არამედ გატანა აშობზე, რაც აადვილებს ამა თუ იმ ადგილის მიგნებას ტექსტში და მის ციტირებას.

დასასრულ, მინდა შევეზო თარგმანის ზოგიერთ ხარვეზს.

ზოგ ადგილას მთარგმნელი თავს ვერ არიდებს ბუნდოვანებას, რაც შეიძლება თვით არისტოტელეს ძველად გასაგებ ტექსტის თვისებებთან იყოს დაკავშირებული. მაგალითად, გვ. 51-ზე ვკითხვლობთ: „ასევე აუტოლებლად ელუმენტობა მიმართება უნდა იყოს სხეულიცა და ყოველადე სხეულ, ანდა არც ერთი-მთავარი. რა ყოველ ზორიც, ისე ძველად და ყოველივე დანარჩენი არა“.

სტობოს ამის გამო, მატრიის გამო რასაც ის ცეცხლს, წყალს, შიშას და პაერს უწოდებს*.

არის არასიზუსტურიც. „აღამიანთა საქმეების უმრავლესობა თრ ერთმანეთისადაში დაბარის-პირებულ პოლუსსა, ჰქმნის“. უნდა იყოს: „აღამიანთა დაკავშირებული შრავალი თვისება ჰქმნის წყვილებს“ (იხ. გვ. 36).

გვ. 40. „ამას პირდაპირ კი არ ამტკიცებენ, არამედ ეს მათი მოძღვრებიდან გამომდინარეობს.“ უ. ბ. „პირდაპირ კი არ ამტკიცებენ არამედ შემთხვევითი კავშირის საფუძველზე“.

არის სიტყვების გამოტოვების მავალითები. გვ. 27 გამოტოვებულია სიტყვა „ცოდნა“, „მეცნიერება“*.

ბერძნული საკეთარი სახელები სწორი ფორმითაა ქართულად გადმოცემული. არის ზოგან შეცდომა. გვ. 32-ზე ვკითხულობთ ჰიფასოს შერაპონტელი და პერაკლიტე ეთესელი. უნდა იყოს: ჰიპასოს, ეფესოელი.

არის ზოგი არასიზუსტე ბერძნული სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემისას. სიტყვა „პოეტიკოს“ უნდა ითარგმნოს „პრაქტიკული“, „მშეღობითი მეცნიერება“ ავტორის კი აქვს „პრაქტიკოსი“ (კაკი გვ. 27.) „ფანტაზია“ არის წარმოდგენა, ავტორი კი არ თარგმნის და ტოვებს სიტყვას „ფანტაზია“. „ტბივ“ უმგობესია გადმოფიქრებით სიტყვით შემთხვევითობა, არასარწმუნოება, ავ-

ტორს კი აქვს ნახშირი სიტყვა „შემთხვევა“.

სასურველია წიგნში უფრო ფართოდ გამოიყენებინათ მოცემული კომენტარები, მით უმეტეს, რომ როგორც გამოკვეთებული წიგნიდან ირკვევა, მთარგმნელს ჰქონდა ამხსნაძენ სპირიტუალური დიკაია და უნარიც, სინანულს იწვევს ის, რომ ბევრგან განუმარტავად არის დატოვებული მრავალი ისეთი ადგილი, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა კომენტარებს.

ასევე საჭირო იყო, რომ მთარგმნელს შესავალში მოეცა არისტოტელეს ფილოსოფიისა და „მეტაფიზიკის“ პრიზმულმატიკის არა ზოგადი მიმოხილვა, არამედ ვრცელი გამოკვლევა, მით უმეტეს, რომ ჩვენში მიუხედავად მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ინტენსიური ზრდისა, გამოკვლევები ძველი ბერძნული ფილოსოფიის შესახებ არც თუ ისე ხშირად იწერება.

უკანასკნელ ხანებში ჩვენში აღიზარდა კლასიკური ენების მცოდნე კადრები, რომელთაც აქვთ ყველა მონაცემი იმსათვის, რომ შესანიშნავად თარგმნონ და გამოიკვლიონ ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურის ნიმუშები ამის ერთ-ერთი დადასტურებაა არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ქართული თარგმანი,

ნ. კეხელიძე.

სახელოვანი ტრადიცია

ახალგაზრდა რუს პოეტთა კრებული „შთავონება“, რომელიც ახლახან გამომცემლობა „ნაკადული“ გამოსცა რუსი და ქართველი პოეტების ტრადიციული მეგობრობის კიდევ ერთი ახალი გამოვლენება.

წიგნი ოთხი ავტორის (ევგენი ევტუშენკო, ანდრეი ვოზნევენსკი, რობერტ როცდესტენსკი, ვლადიმერ ციბინი) ლექსებს აერთიანებს და მკითხველს საშუალება ეძლევა წარმოდგენა იქონიოს ყველა მათგანის შესაძლებლობასა და ინდივიდუალურ თვისებებზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით, კეთილსინდისიერებით შესრულებულმა თარგმანმა განაპირობა.

ევგენი ევტუშენკოს — ერთ-ერთ სუკეთესო ახალგაზრდა რუს პოეტს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც ქართველი პოეტების მთარგმნელსაც. მისი ღრმად პატრიოტული ლექსი „ვოლგა“, რომელიც ამ უდიდესი მდინარის ქებათა-ქებას წარმოადგენს, ოსტატურად უთარგმნა შოთა ნიშნაიძემ, სრულყოფილად გადმოტრანია ორიგინალის სულისკვეთება. ძნელია ამაზე უფრო უკეთ გადმოსცე რუსი ხალ-

ხის უსაზღვრო სიყვარული დედა-მდინარისადმი:

ვოლგა როდია მხოლოდ მდინარე,
ის ჩვენთვის უფრო რაღაც მეტია.

საზღვარგარეთული ციკლებიდან „შთავონებაში“ ევგენი ევტუშენკოს რამდენიმე ნაწარმოებია შეტანილი, მათ შორის მისი ცნობილი „ლექსი ფიდელზე“ (თარგ. ქანსულ ჩარკვიანისა). თავმანს თავიდან ბოლომდე შენარჩუნებული აქვს დედნისებული სილღე, ფრაზის მოქნილობა. ვფიქრობთ, ჯ. ჩარკვიანი სწორად მოიქცა, როცა თარგმანში ევტუშენკოსათვის დამახასიათებელი ვრც რითმების ხშირ გამოყენებას მოერიდა და ქართული ლექსისათვის უფრო შესაფერისი, მუსიკალურად მგლერი (დრაზმი-გრომით, ცურავდენს-სურათებს, აუვი-გაუფო და სხვა) რითმები იხმარება. თუ რამდენად ბუნებრივად არის გადმოცემული ლექსის საერთო ტონი, მოვივანთ ორიოდ სტრიქონს, სადაც თავისუფალი კუბის დამცველები „ცეცხლოვანი კენჭების“ ერთგული ჯარისკაცები, ირონიით ლაპარაკობენ აგრესორთა თავდასხმებზე:

— მტრის თვითმფრინავებს ჩვენ ყოველთვის ვხვდებით ზეიმით, ვუვლით ნამსხვრევებს — ღია ცის ქვეშ გვივს მუზეუმი...

ვგვინი ვერტმენჯოს პოზიციში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ თემებზე დაწერილ ლექსებს. საქართველო მისთვის ვგზობტია როდია; იგი საქმოდ ახლო იცნობს ქართულ სინამდვილეს, რაც კარგად ზანს, თუნდაც ჩვენს სახელოვან მხატვარზე, ლალო გულიაშვილზე დაწერილ ლექსში — „ქაშვეთი“.

კრებულში ერთ-ერთი საუკეთესოა თარგმანი ვერტმენჯოს აღნიშნული ლექსისა — „ფანჯარიდან ხედავს პროფესორი ქათვათა ხეებს...“ (მთარგ. გივი ძნელაძე) ლექსში დამატებლად არის გადმოცემული ქალბატონი პროფესორის განცხადება, ოჯახური დრამით გამოწვეული გული-სტევილი, ეს თარგმანი დიდ სიზუსტით გამოიხატავს და თავისუფლად იკითხება.

ქართულ ენაზე ოსტატურად არის ამტკველებული აგრეთვე ლექსები — „ამაღლები“ (მთარგ. ტარიელ ქანტუჩიასი) და „ზაფხულის ღამით იფიქრე ჩემზე“ (მთარგ. გივი გვიგეკორასი) სასიამოვნო ფაქტია, რომ ახალგაზრდა თანამოაქალბეთა გვერდით ვითხოვლობთ უფროსი თაობის პოეტის ხარტონ ვარდოშვილის თარგმანს („კუბელი დედა“).

ანდრე ვოზნესენსკი ამ კრებულში რვა ლექსით და ერთი პოემით არის წარმოდგენილი. ყველა ეს თარგმანი ერთ პოეტს შოთა ნიშინიანიძეს ეკუთვნის. ვოზნესენსკის პოეტური ლექსიკა მეტად რთულია. ეს სირთულე განსაკუთრებით თვალსაჩინოა მის უკანასკნელ პოემებში — „Оза“, სადაც უხვად არის გაბნეული თანამედროვე ფიზიკისთან დაკავშირებული სიტყვები და ტერმინები (თუმცა ნაწილობრივ ეს იმანაც განაპირობა, რომ აღნიშნული პოემის გმირი პროფესორი ფიზიკოსია). მეტიად რთული და ზოგჯერ ძნელი წარმოსადგენია ვოზნესენსკის პოეტური სახეები. „შთავონებაში“ ისეთი ნაწარმოებებია შერჩეული, რომელთა თარგმანს ქართულად შედარებით ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ ამავე დროს დამახასიათებელია ვოზნესენსკის პოეზიისთვისაც. კარგად არის თარგმნილი ლექსები — „ლენინი ტრიბუნაზე 1918 წელს“, „წერტილის ბაღადა“, „ქართული ბაზარი“... განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა — „ოსტატების“ თარგმანი. ამ თარგმანში შ. ნიშინიანიძე მეტრული მრავალფეროვნების დიდ უნარს აცლენს. პოემა წარმოადგენს ძველი ოსტატების — ციხე-კოშტებისა და ტაძრების ზოტბას; ეს არის მგზნებარე პიში დღევანდელ გამართულ მშენებლებზე, მათზე ვინც ამწებს და მწყობარში აყენებს გვიანტურ პესებს. ჩვენი აზრით, შოთა ნიშინიანიძე მართებულად იტყუა,

როცა თარგმანში შემოქმედებთადაც (ანუ თვით მასალა განსაზღვრავს) იყენებს გალკტიონის „ნიკორმინდას“ ინტონაციებს!

თარგმანები
ბიზლინი

...ჭერთა ლავარდებით, ბიზლინი
სარკემლოქარტული
კოშკი ცის ეხლება,
როგორც ორაველი.
ვოლო — გუმბათები —
გოგრა, ქოქოსები
შვის ქვეშ
ქონვურები
ბრწყინავს ოქროსფერი.

შართალია, ამ თარგმანში გვხვდება მცირეოდენი გადახვევა ტექსტიდან (რომელიმე ფრაზა თუ სახე შეცვლია მათი მსგავსით), მაგრამ დედნის ძირითადი აზრი ხელშეუსაბუბავს არის გადმოტანილი.

წინა ორ პოეტთან, როგორც ბოვარადიულად, აგრეთვე შემოქმედებითი პრინციპებით ახლო დგას რობერტ როდესტეენსკი. იგი ცდილობს რაც შეიძლება მათთან, ამაღლებლად გამოხატოს ომისშემდგომი თაობის მრავალმხრივი ცხოვრება, გადმოსცეს მისი ფიქრები, მისწრაფებები. კრებულში შრთავსებულა რ. როდესტეენსკის ფართოდ გახმარებული „რეკვიემი“ (მთარგ. ვახტანგ ჯავახიასი), რომელიც პოეტმა ომში დაღუბული „ჩვენი მამებისა და უფროსი მშობის... საბჭოთა არმიის მორად ახალგაზრდა ჭარისკაცებისა და ოფიცრების სიკვანას“ უძღვნა.

ახლა როცა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს მთელი მსოფლიო ზეიმით აღნიშნავს, ეს ნაწარმოები უფრო მძლავრად ეღერს, ყველას მოავონებს იმ გაუგონარ მსხვერპლებზე, რაც მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა. შემადარებლად, შმთავსებარე მხატვრული ძალით გამოხატავს პოეტს დედის მწუხრება შინშოუსვლელ ერთადერთ ვაჭზე.

მარტო ვარ და
ვისდა უნდა მივინდო,
უწინობამ
ველი მწარედ დაღადა
დამბორუნდა,
ერთადერთი იმედო!
ჩემო მშვე და
ჩემო მთავარე,
სადა ხარ?

„რეკვიემში“ ასევე გულისშემტკვლად ისინი დაღუბულთა ზმა, მათი ძაბილი, ვინც თვალს ვერ ავლენს ამწვანებულ მინდვრებს, ვინც ვერ ისმენს ჩიტბატონების გალობას, ვერ ხედავს ყვეაგებულ აუღლებებს, ვისთვისაც აღარ ხმაურობს შშიშლიურა მდინარის ზვირთები, ისინი

ვერ შერიგებთან სამარადისო ძილს და საფლავის გამოიმტრევას ლამობენ, რათა კვლავ სიცოცხლედ დაუბრუნდნენ მიწას; სწუხან — ომის გრიგალემა კვლავ არ შთანთქმის ლაღი სიმღერა; ცოცხლად დარჩენილთ სთხოვენ, რომ დაეწყებას არ მისცენ მათი სახელი.

ისინი, რომელნიც ვერ მოვლენ ვერასდროს, გაფიცებთ, — გახსოვდეთ! გახსოვდეთ! გახსოვდეთ!

და საბჭოთა ხალხი მუდამ უსაზღვრო სიუვარულით იგონებს, მას მუდამ ახსოვს სამშობლოს ერთგული შეილები, თავიანთი გმირული სიკვდილით უკვდავების ძეგლი რომ დაიდგეს. ვლადიმერ ციბინის ლექსთა თარგმანები, ვარდა ერთისა („სიხიზნლის ბაღადა“) შესრულებულია შოთა ჩანტლავის მიერ.

0. კვიციანი

გერმანული ლიტერატურის ქრისტომათია

პროფ. ვრ. ზეთასის მიერ შედგენილი „გერმანული ლიტერატურის ქრისტომათია“, რომელსაც დართული აქვს ლექსიკონი, კომენტარები და ცალკეული ძეგლის შესავალი წერალები, გამოხუთაა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების იმ ფაქულტეტებისათვის, რომლებზედაც საზღვარგარეთის ლიტერატურის ზოგად კურსთან ერთად იკითხება გერმანული ლიტერატურის ისტორიის სისტემატური და სპეციალური კურსები. მაგრამ, ვარდა ამისა, წიგნი ჩვენი აზრით, უდავოდ, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას გერმანული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში.

გერმანული ენის ისტორიის შესწავლა ძეგლებზე მუშაობის გზით გაუადვილებს ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას ამ ენის აქტიურ შეთვისებას. სტუდენტებს უშუალოდ ექნებათ შესაძლებლობა დააკვირდნენ ენობრივი მოვლენების განვითარებას, მისი სისტემის ცვალებადობის უმთავრეს ფაქტორებს. ამის საფუძველზე ისინი მოახერხებენ თანამედროვე გერმანულ ენაში არსებული მოვლენები შეადარონ და დაუკავშირონ ადრე მოქმედ კანონზომიერებას, რომლის შედეგი კვლავ განაგრძობს არსებობას ენაში და სხვა მოვლენებს განაპირობებს. ორიგინალურ ის-

მთარგმნელს შესაფერი ფორმა მოუძებნა პოეტის თავისებურებათა გადმოსაცემად. ესტატურადაა თარგმნილი პირველივე ულტიმი „ვლუზური ძეგლი“. ვ. ციბინის „ვლუზური ძეგლი“ წინაპართა თავდადებულ შრომას და გამოძიებას, ამაყობს, რომ მათი შთამომავალია, მათსავეთ გამძლე და მშრომელი.

პოეტს ეამყება, რომ მიწაზე ამ „მაგარი ძელის“ იმედით დადის და ქართველების არ ეშინია. კარგად არის აგრეთვე თარგმნილი ვლადიმერ ციბინის სხვა ლექსებიც — „დღესასწაულები“, „ლიტერატურულ სტაროვერებს“, „გულის ოპერაცია“.

საერთოდ კრებული „შთავგონება“ ნათელი დადასტურებაა იმ უწყვეტი შეგობრობისა, რაც რუს და ქართველ პოეტებს აკავშირებდა და აკავშირებს.

ტორიულ ძეგლებზე მუშაობა ხელს შეუწყობს ჩვენს სტუდენტებს შეინჯონ ძველი გერმანულის მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის გამოყენებას.

სარეცენზიო კრესტომათიაში შეტანილია გერმანული ენის IX—XIII საუკუნეების მხატვრული ძეგლები, სახელდობრ: გერმანულ-ბურგული შელოცვები, ლუდვიგ გერმანელის ქება, ჰილდებრანდის სიმღერა, ლუდვიგის სიმღერა (IX საუკუნე), დიტრიხ ბერნელის ოქმულება, ალექსანდრეს სიმღერა, როლანდის სიმღერა (XI საუკუნე), მეფე რითერი (XII საუკუნე), პერტოვი ერნსტი (XII საუკუნე), ნიბელუნგების სიმღერა და გულრუნი (XIII საუკუნე). როგორც ვხედავთ, კრესტომათიაში წარმოდგენილია ძირითადად ძველი ზემოგერმანულის კვლეა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი და აგრეთვე საშუალო ზემოგერმანულის საწყისი პერიოდის რამდენიმე თვალსაჩინო ნაწარმოები. კრესტომათიის შემდგენელი გვიპირდება, რომ მომდევნო პერიოდის ძეგლებს, კერძოდ, სარაინდო რომანისა და ლიტერატურის ნიმუშებს, აგრეთვე XIV—XVII საუკუნეების სხვა ლიტერატურულ ძეგლებს მოგაწოდებს მეორე წიგნში, რომლის შედგენა და გამოცემა გათვალისწინებული აქვს მომავალში.

გერმანული ლიტერატურის კრესტომათიის შედგენა-გამოცემა ჩვენში დროული და მეტად სასარგებლო საქმეა. ცნობილია, რომ ძველი და ნაწილობრივ საშუალო გერმანუ-

გერმანული ლიტერატურის კრესტომათია, შეადგინა, შესავალი წერილები და კომენტარები დაურთო პროფ. ვრ. ზეთასმა.

ლის ძეგლები ვთვებარია თანამედროვე გერმანული ენის მკოდნეთათვის, ამავე დროს მათი შესწავლა აუცილებლად საჭიროა გერმანული ლიტერატურისა და ენის სპეციალობის სტუდენტთათვის. ამ დარგის სპეციალისტებს ორიგინალში უნდა გაეცნონ არა მხოლოდ თანამედროვე გერმანულ ენაზე არსებულ ძეგლებს, არამედ ძველ და საშუალო გერმანულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებების უმნიშვნელოვანეს ნიმუშებსაც. განსაკუთრებით საჭიროა ამ ძეგლებზე მუშაობა ენის ისტორიის შესწავლისათვის. ძველი და საშუალო გერმანული, ლიტერატურული ძეგლების გაეცნობა მოსწავლე-ახალგაზრდობას შესაძლებლობას მისცემს დააკვირდეს ენობრივი მოვლენების ცვალებადობას და მათი განვითარების კანონზომიერებას.

ქრესტომათიაში მოთავსებული მხატვრული ძეგლების ნიმუშები საფუძვლიანად არის დამუშავებული პედაგოგიურად; ქრესტომათიის შემდგენელს დიდი მუშაობა გაუწევია იმისათვის, რომ მოცემული ლიტერატურული ნაწევრებისათვის გაეკეთებინა ლექსიკონი, დაერთო ვრცელი ტექსტობრივი კომენტარები ქართულად. საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი უძველეს ძეგლებთან, გარდა ცალკეული გვრებარის სიტყვისა და გამოთქმისა, განმარტებულია მთელი სტროფები, აქვე მოცემული და ახსნილია ის თავისებური ფორმები, რაც ამ პერიოდის გერმანული ენისათვის არის დამახასიათებელი.

ქრესტომათიაში მოცემული კომენტარები შეეხება არა მხოლოდ წარმოდგენილი ტექსტების შინაარსს, არამედ მათ ენობრივსა და ორთოგრაფიულ თავისებურებებსაც; მაგ., 125-ე გვერდზე „როლანდის სიმღერის“ შესავალ წერილში მითითებულია ის ენობრივი და ორთოგრაფიული თავისებურებანი, რაც ამ ძეგლს ახასიათებს, კერძოდ: *th-*ს მაგიერ *d-*ს ხმარება (*thid, thicke, dicke, nither/nieder*), *h* ნაცვლად *g-*სა და *c-*სი (*sluoh/sluoc*), *p-*ს ხმარება *b-*ს მაგიერ (*pucht, pringen*) *v* ნაცვლად *b-*სი (*selven, erweben*) და ა. შ.

ამრიგად ამ ძეგლის შეტანა ქრესტომათიაში დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სტუდენტებს არა მარტო ლიტერატურის ისტორიის საფუძვლიანად შეფიქსების, არამედ ენის ისტორიაზე მუშაობაშიც.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გერმანული ლიტერატურის ქრესტომათია პირველ რიგში გამოიხატავს ქართველი სტუდენტების მიერ გერმანული უძველესი მხატვრული ძეგლების ორიგინალში გაეცნობა-შესწავლისათვის. ამ

წიგნში დაბეჭდილი ძველი გერმანული ძეგლების შესწავლა გათვალისწინებულია გერმანული ლიტერატურის ეტრნში მუშაობის სტუდენტის ახალგაზრდობა გაეცნობა იმდენ ინდივიდუალ გერმანული ხალხის ეკონომიური და სულიერი ცხოვრების დამახასიათებელ დეტალებს. ცალკეული შესასწავლი ძეგლის წინ დართული შესავალი წერილი მოკლედ გავცნობს ნაწარმოების დაწერის დროსა და პირობებს. მაგ. „პილდებრანდის სიმღერის“ შესავალ წერილში აღნიშნულია, რომ ეს ნაწარმოები გერმანული საგმირო ეპოსის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ძეგლია. იგი დაიწერა VIII საუკუნის დასაბრუნდს. მასში აღწერილია დრამატული აღსავსე ეპიზოდი მამისა და შვილის შეხვედრისა და შებრძოლების შესახებ.

ქრესტომათიაში ძველი გერმანული ძეგლები, რამდენადაც ამის საშუალებას მისი მოცულობა იძლევა, წარმოდგენილია სრულად, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ნაწარმოები დიდი და მისი მთლიანად დაბეჭდა ვერ ხერხდება, მოცემულია მისი ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწევრები, ხოლო ნაწევრებს შორის გამოტოვებული ადგილების შინაარსი გადმოცემულია შემდგენლის მიერ. წარმოდგენილია აგრეთვე ზოგიერთი ძეგლის ნაწევრების ფოტო-ასლები. ამრიგად სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ორიგინალში გაეცნოს ძველი გერმანული ლიტერატურის ძეგლებს და გაიგოს მისი შინაარსი.

ასეთია ძირითადად „გერმანული ლიტერატურის ქრესტომათიის“ სტრუქტურა და შინაარსი. როგორც უხედავთ, მასში წარმოდგენილია ლიტერატურული და ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო მასალის შემცველი ნაწარმოებები. შემდგენელს სერიოზული და სასარგებლო მუშაობა ჩუქტარება ქრესტომათიაში მოცემული მასალის სრულყოფილი განმარტებისა და ვრცლად კომენტირებისათვის, რათა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ზღმისაწვდომი გაეხადა ძველი გერმანული საყურადღებო ლიტერატურული ნიმუშები. სტუდენტ-ახალგაზრდობა წარმატებით გამოიყენებს ამ ქრესტომათიას გერმანული ენისა და ლიტერატურის შესწავლისას. ქართული უმაღლესი სასწავლებლების იმ ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომლებზედაც გერმანული ლიტერატურა და ენა სპეციალურად ისწავლება, ეს ქრესტომათია მეტად საჭიროა და სასარგებლო შენაძენს წარმოადგენს.

შ. შატირიშვილი

3360 80 333.

ИНДЕКС
76128



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՄԱՍԻՆՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“